

716 / 2

1964 v9



წიგნი

IX

KAVKASSIONI

Recueil littéraire

(en Géorgien)

197



PARIS
პარიზი


1964

9842
19902

„კავკასიონი“


წიგნი მეცხრე
1964 წ.

კრებული „კავკასიონი“-ს ეს მეცხრე წიგნი
მის თანამშრომელთა ხსოვნას მიეძღვნება



ჯვარი წინამძღოლი, მეთერთმეტე საუკუნისა.
(მარტვილის მონასტერი)

პროკოვი აბულაძე
ზალვა ამირეჯიბი
ვლადიმერ ბაჭრაძე
სიმონ ბერიძეანი
მიხეილ ბილანიშვილი
ალექსანდრე ბასრტაშვილი
გელა გელაზანი
ვლადიმერ ემუხვარი
არჩილ ჭურაბიშვილი
ეკვთიმე თაყაიშვილი
სტეფანე ქასრაძე
დავით ლალიძე
ინილორა მანჯაძე
ვლასა მგელაძე
ირაკლი ორბელიანი
ედუარდ პაპაძე
გიორგი შურული
გრიგოლ რობაქიძე
დავით საღირაშვილი
ს. შურულაშვილი
ალექსანდრე ცომაია
მიხეილ წულუაძე
ნიკოლოზ ჰუმბუაძე
დავით ხაკინძიჩიშვილი



გიორგი არონიძე
(1881 — 1962)

გიორგი ბიხილე მოხუც მამებში
ქართული სიტყვის დიდი ბენი
შენი ბრძოლები ღამფვარ ღამფში
ნაკვეთსებებით იუზრებინა

მეყენის მზიური ზიღვა იუავი
შემოსულტული სიბრძნის მკლავებით
სიუვარულის და აზრის მუინვაკი
ღებენღარული კილოკავებით

ღაუნდობლობა მენ არ ღაბინდო
კაღბან მუესავით იუავი სრული
ღაღუმეღულა ცრემლსაც არ ინდობს
წითელ ჩარჩოში „ჩაკლული სული“

ბადმოიხელა კაოლოს ხვედრა
სინსლის ცრემლებით ტირის ტიციან
ტკივილით კვენის თბილისი დეღა
მოხუც მთაწმიდის მართალ მიწიდან

იგონებს ბარდის იგონებს პარიუს
„მალშტრევი“ — „ლონდას“ „ლონდა“ —
„ღამარას“

კუბოს ყვავილთა ბვირბვინი აზის
ვით ფიროსმანის ფერთა კაბარა

საფლავს ეხვევა ღამე მავრული
მიწას ღაკრული ველარ ვოროდები
ხმა უცხოეთის ჯვარჯიშ ბაკრული
ღამის სტრიმონით ბამფირობები

მთის მფვრვალეზში მზე რომ ჩაჯღება
რჩეულთა შორის სიცოცხლე ღაოგს
მარადისობა მყო ბამარჯვება
შენ შოტას შემღებ ჩამო წმიდანო



ბლდათის, ტირის, გააცოცხლე ძველი ოსტატი
მორჩილი ხელი ჰკლავს ზურმუხტს, აღმასსა და ლალს
ტიტველ სირენას და მოთენითლ მალონას დალაღს
ყველაფერს იტევს შენი ლეკუა მოანდამანტე.
ჭიხინით მორბის და მორეკავს თეთარ ცხენის რახტი
შვადლის სიტყვი გააღებულს გისმენთ მზით დამთე-
რალს

მაგი ჟინგლერი თვალს აყოლებ ვარსკვლავთ კარნა-
ვალს
საქართველოს ბედს დაფაურ შეგნების საღტე.

ხარ მეორეჯერ მონათლული დანტეს ემბაზში
იყავი მეფე — ზეცას გიწერს ბედის მწერალი
დაცემის ორმო და აღდგომის თეთრი მწვერვალი
ღიღების ცეცხლი მარად გინთებს სამეფო კარავს,
გამარჯვების მზეს უხედობა ველარ დაფარავს
პოეტს, მეგობარს მაამაყებ შელეკეთ ბაში.

† ტიცინან ტაბიკი

1916 წ. მაისი

მოსკოვი



სონეტი რობაქიძის

შენზე ამბობენ: კუმტიაო, ამპარტავენი
და, გიწოდებენ — უკარებელს, თავკერძს და ტრაბახს;
მე კი მორცხვი ვარ! ეაქებ ტვილისს. სალაყზოს, ყაბახს
და მზიბლავს ნუში. აშაშახანა. მკერდის მტეიანი.

შენ თუ უაღდთან ღრუბლებში გაქვს ვარდის სევანი.
და მზის მისამართს აწერ ხოლმე სიოს მუშაბახს,
მე ვეტრფი კინტოს - ატმით სასვე დატვირთულ თაბახს;
შენ სრულობა გსურს? მე მსურს მქონდეს ნაკულუევანი

ჩვენ ვერ ვაგვივებს! ვერც დავგვალა ამგვარ ჯირითმა.
მაგრამ ჩვენს შემდგომ, — როს ჩვენ ორი დავიხოცებით,
ზოიგონებენ ჩვენ სახელსა მზივ-გაოცებით!

ვა პოეტებში ამღერდება, მწამს, ჩენი რითმა. —
და ვინც ისურვებს, რომ იხილოს მგოსნის დამარი:
მას, ალბად, საზღვრად უნდა ჰქონდეს ჩენი სამაო.

ი. გრიშაშვილი

1918 წ.

ხარ საქართველოს, პარნასის ელჩი გრიგოლ რობაქიძის
ქიერიონის, ქიში ვაბმული,
გული მოძრავი, მომეფთა ხვედრიო,
ცოსფერი ხვევით, ვამოკვართული.
ბრძოლის ბედია, უბედლოთ მოდგმა,
ქინკების ბოღა, წაილო ქარმა,
და ნიაღვარმა ახალი სეტყვის,
ახალი სიტყვა გარჯუნა მარად.
შენ ვადახსენი, ევროპის გულში,
ქართული ძარღვის, სისხლის უჯრედო,
როგორც უჯრედო, სიგელ-უჯრედო,
თქმა საუნჯენი, მშობლიურ ენის.
ქართუს მარჯვენა, აცოცხლე მარად,
ამეტყველე, ყამირი სიტყვა,
მზიური ზიღვა, მიწიურ ხვედრის,
ზღვა — გრიგალებთან, კალმით შეხვედრი.
ვინა თქვა ბედ-კრულს, ერი არ გწყალობს,
შაირებს შეკრულს მზიურ თებებიდან,
როს ფიროსმანის, ფერებით შემკულს,
ვათა გილიმის, მაღალ მთებიდან.

გიორგი ყფიანი

პარიზი, 1950.



გრიგოლ რობაქიძის

(„ორი ფოთოლის“ გამო)

შენ გამოჰკვეთი სიტყვიდან ძვირფასი ქვები,
ფერები: ლუწუ, მეწამული და ყარამფილი,
აღმასი, ლალი უმტკიცესი, ხან ტყვია ლილი,
ზეკაცთა აზრი და მითოსი ბრძენი მოგვების.
საკულთარ ფიჭითა და გრამონების ხანძართ თები,
როცა იწვები ბნელი დამით ვით თავლის ცვილი, —
იელიტეს, მევის და ლამარას მწუხარე ჩრდილი:
მარმარაილოზე დანთხული სისხლის წვეთები.
ყველა ოცენება, სიხარული და იმედები
ფოთების ტკაცუნით ცას გაჰკვეთენ როგორც მტრე-
დები,
რომ კვლავ იხილან მშობლიური ოდის კარები.
სადაც დაზრდილან: ლონდა, მეგი და ლამარები.

გიორგი გამყრელიძე

1956.



გრიგოლ როპაძის თბილისში

დ. ქიქრიძე

მწუხრი

(დავით საღირაშვილის წიგნიდან: „ფიქრთა და მოგონებათა რეველი“. მადრიდი, 1961 წ. გვერდი 109)

(ვუძღვნი უტყობეთში გარდაცვლილ ყველა მამულიშვილის ხსოვნას).

აი, ქართველო! სხვა რამ სურათიც
შენთვის მარადის მოსაგონარი;
დედა ქალაქში დიდი დარბაზი
საოპეროსი, გავსილი არი,
ეინ არ მოსულა: სომეხი, რუსი,
და ქართველთ რიცხვი გაუგონარი!
თვით ბაჭოდანაც თავი კაცობა
დღეს თბილისშია, ჩვენი სტუმარი.

როგორც გავიგე და როგორც ამბობს
ქართლის ცხოვრების ახლო წირსული,
დაბადებულხარო მზის ქვეყანაში,
კაცკასის მთებში ხართ ფე-ადამული.

და სცენაზე დგას ირუბაქიძე,
ლაიპციგიდან ახლად მოსული,
მხიარულ სახით, ნათელ თვალებით,
ტანად მაღალი, დღეს აქ მეტყველი,
ქარდუს ბრძანებით აზრებს მოაზნევს,
ზესთა ბუნებრივ ამალგებულა...
დარბაზი სმენად გადაქეუულა
და მიქმელს ყურს უგდებს მთლად განაბული.

ყრმობის დღეებში ავღენებით
ბედი სასტიკი, განრისხებული,
მოუწყვეტიხართ მშობლის ძუძუზე
მწარე განცდებით გარემოცული.

შორს გახიზნულხარო უტხო მიწაზე
ობლად, მარტოკა ვით განკაცული,
უფლებეაყრილებს გზა გიკვლევიათ,
სამშობლოს ბედზე ღრმად დაფიცილი.

დიდ ხანს ვაგძელდა გრიგოლის სიტყვა,
იქ მყოფი ყველა მოაჯადოვა,
ახალ ცნებათა აზრო საწყობიდან
სიბძნე გადმოგვცა. გაგვიზიარა.
მაგრამ ბაბოვსა, ჩემს გვერდით მჯდომსა
რატომაც გულზე ბოღმა მოაწევა,
სომეხმა კაცმა აღარ კი იცის,
რა გვარ გუნებით ის სახლში წაივა!

არ დაეძებდით, არასდროს გსურდათ:
განცხრომა უქმი, სიმდიდრე, ფული;
მშობელთან გწადდათ ყოფნა-დარჩენა,
შეება, სიცოცხლე და სიზარული!

ხუთჯერ ვესმინეთ, ამავე დარბაზში,
რუსულად მიქმელსა, რიხით მეტყველსა,
ყველას ენაზე აწ აკერია
სიტყვა-მჭრელობა რობაქიძისა;
ქართველს სახელი მან აქ გაუთქვა,
რუსიც კი მიხვდა თვის კმეზობასა,
და ჩვენ ვამაყობთ, მაღლობს ვუთვლით
მშობელი ქვეყნის კიდევ ერთ შვილსა...

დღეს კი! არ ვიცი სად განისვენებთ,
რომელ მიწაზე ხართ დამარხული;
დრო-ვამს უვლია ქარიშხალებით,
აღარ გინახათ მზე დადაფული.

დავით საღირაშვილი

ან კი არსებობს თქვენი სამარე?
ან ვარდი თუა მასზე დარგული!
ევონებ ამბავიც აღარ არსებობს
თქვენს ცხოვრებაზე შემონახული!

იქნებ დავით ბრძოლის ველებზე,
უნდობი ტყვიით ხართ განგმირული!
იქნება კუბოც არა გრგებით
და არც დედისგან ხართ დატორული!

ვაი, თუ უტხო სენმა მოგწამლათ!
ვერ გადიტანეთ ნაღველი, წყლული,
ან თავზე გადგათ სულთამხუთავი,
ქვეყნად ნაგმობი, ნატუქში, კრული!

იქნებ ოცნებით გადაიღალეთ;
ველარ ისუნთქეთ, გეხუთათ სული!
ოჰ, იქნებ დარღმა დაგასნეულათ
და უცაბედად გაგისკდათ ვჯლი!

+

ნეტავი სიტყვა წარმოსთქვა ვინმემ
თქვენს დაკრძალვაზე აღელვებული?
ან და სამშობლოს თუ გაუგია
თქვენი ამბავი გაწამებული?..

+

ვერც ის გავიგე, სატრფო თუ დავრჩათ
დაღალ-გაშლილი, დაღუპებული,
თქვენს საფლავებზე ჩოჭვით მლოცველი,
შავი მანდილით დაყუდებული!

+

ისიც არ ვიცი, თქვენს ხსენებაზე
შესანდობარი თუ იყო თქმული,
ან პანაშვიდი თუ გადგებადეს,
ან თუ აკურთხეს ეგ თქვენი რჯული.

+

არა, არ ვიცი დღეს რასა ჰფიქრობთ!
წეგხართ მიწაში გარინდებული,
ხმას აღარ იღებთ, ბედს არ უჩივით,
არც გახსოვთ მოძმე დაობლებული.

+

ადეკით, კიდევ თვალთ მენახვეთ!
გულზე მახალეთ სიტყვა ქართული!
გაშალეთ დროშა! წინ გამოძეხით,
ერთად ვასრულოთ ფიცო-აღთმული!

+

ნეტაც ვიცოდე სადით წახვედით!
რისთვის დამტოვეთ გულ-დათუთქული?
არ ვიცი, არა, რად შემომწყყროთ,
სადა გაქვთ მწუხარი გადაფარული?

+

მაგრამ ეს ვიცი ჩემო მოძმეო,
ამ ლექსში მისთვის ხართ ხსენებული,
რომ გადამწვარხართ სამშობლოს ტრფობით
და წავგიღათ მის სიყვარული.

დ. ქიქრიძე

ხანდახან ღამით დამდგარი ხიდზე
ის ყურს უგდებდა ტალღების შვილის
და ეძლეოდა წარსულზე ფიქრებს —
ღამაში განსჯით შეკონილ ტკივილს.

და როცა ჩქრიას უსმენდა ხარბად,
წყლის ორეული იწყვედა ხმაღში,
და გვიან მგზავრებს ეგონათ ალბათ —
რომ პოეტს სურდა დახრჩობა წყალში.

თითქოს მის თვალებს ააკრეს ფისი...
თითქოს ეკლებით შეუქმეს შუბლი.
და მაინც იყო ოცნება მისი —
განათებელი ვარდისფერ ღრუბლით.

და ისევ სწავდა და ისევ სურდა
ალადანტურით აესილი ყანწი,
მაგრამ, მკვლევლები მის სიველიდნენ ქურდად,
თითქოს ის იყო მპარავი განძის.

მას კი, არ სურდა განძი და ღარი,
არც ფუფუნება რთული, ზვიადი...
ენატრეზოდა ხავერდი მთვარის
და ჭიისფერი ცა განთიადის.

უნდოდა ყურძნით ავისილი ძრები
ისევე ეხილა მარანი, ეზო...
მაგრამ ძაღლები ღრუნით და ყვეფით
კანჭებში ჰკბენდნენ სულ უმიზეზოდ.

და თუმც დაუბუნეს პირიმზის შუქი
და შეუგინეს ოცნების ხატი,
მაინც ღვივოდა ღვითურ სიუხვით —
გული, განცდათა დიდი ოსტატის.

როცა მაისის თქვეშებს და წვიმებს
შესცვლიდა ზამთრის ქარი და ყინვა —
ის ხელს ახებდა საკრავის სიმებს,
და ცის წიაღში ლურჯ სერაფიმებს —

აუტყდებოდათ ქვითინით გმინვა.
აწ განისვენებს მუზეების მონა...
აწ ველარ უსმენს ტალღებს ქაფიანს,
დარჩა პოეტის ლექსების კონა
და საფლავის ქვის ეპიტაფია.

გიორგი გამყრელიძე



გიორგი რობაქიძე
ნოემბერი, 1962 წ. ქენევა

ბრიტოლ რობაქიძის წერილი

განსვენებული გიორგი რობაქიძის ამ წერილის ხელნაწერი დედანი ხელთა ჰქონია ბნ ალექსანდრე ფანჩულიძეს (მისი ასლი დანიშნულებისამებრ გადაგზავნილია). იგი მომავლად ბნმა ალ. ფანჩულიძემ, რისთვისაც მადლობას მოგახსენებ. განსვენებული გიორგი რობაქიძის ამ წერილის ხელნაწერ დედანს, მისი დაბეჭდვის შემდეგ, მის პატრონს, ბნ ალ. ფანჩულიძეს ვუბრუნებ. მოწიწებით შეინახავს.

ვ. გ.

ირაკლი აბაშიძეს:
პირველ მდივანს
საქართველოს სა-
ბჭოთა მწერლები
კავშირისა

აპრილი 1962

პატივებულო
ბო ირაკლი!

წავიკითხე ვინმე ეალერიან კანდელაკის წერილი

„შენიშვნები ზოგიერთ პასუხზე“ („ლიტერატურული გახეთი: 2. 3. 1962). ერთს ალავს, საცა ავტორი სერ გო კლიაშვილს ეკამთება, ჩაწვეთებულია „შეპარვით“: „... ხოლო „ლამარა“ ვაეასია“. ასეთი გაყალბება ფაქტისა არა თუ ქართულ, მთელს მსოფლიო ლიტერატურაში არ მოიძებნება. „ლამარა“ ვაეასია? მაშ მე, ავტორი „ლამარასი“, ლიტერატურული ქურდი ვყოფილვარ! და: რა ყოფილა ქართველი ხალხი ბეცი, რომ ეს „ქურდობა“ ათეულ წელთა მინძილზე ვერ დაუნახავს! სიტყვა მიცეთ ფაქტებს.

„ლამარა“ წავიკითხე რუსთაველის სახელობის თეატრში რეჟისორთა და მსახიობთა წინაშე 1924 წელს, შემოდგომის მიწურულში. დადგეს 1926 წელს იანვარის 29. დრამას პირდაპირ საარაგო გამარჯვება ერგუნა. მაგონდება. ვზივარ პირველ ლოქაში, სცენითგან მარჯვნივ. ვათავდა მესამე აქტი. ფარდა ეშვება. ფეხზე დგება მთელი თეატრი. მეც ვდგები. ტაშის გრიალი — სცენის მიმართ. გრიალს, რა თქმა უნდა, მეც მივყვები. იხდება ფარდა. ვხედავ: სცენითგან ტაში მოდის. გაოცებული ვარ, ერთი მეგობარის ხელი — ჩემს მარჯვენა მხარზე. ვერკვევი: სცენითგან მოშვებული ტაში ჩემკენ აბრუნებს მისდამი მიზნავებული ტაშს მთელი თეატრისა. ნეტარი წუთი, რომლის მსგავსი მე როგორც შემომქმდის არაოდეს განმიცდიდა. (ავტორის თუ დავუჯერებთ, ლოქაში ჩემს ალავას ვაუა უნდა მჯდარიყოს!).

კიდევ უფრო მეტი გამარჯვება იგემა „ლამარამ“ პროვინციაში. იგი ლევენდალ იქცა თანისთან. სახელი „ლამარა“ მოეფინა მთელს საქართველოს. დაარქვეს იგი სადოლე ცხენებს. ტფილისში ერთ რესტორანსაც დაარქვეს. საითგან მოდის ეს სახელი? მოვეგონოთ ქართველი წარმართი ღმერთქალი „ლაგამარა“ — გაეიხსენოთ სენათა პატარა სალოცავი „ლამარა“. ქართველ ჭაღს არაოდეს რქმევია „ლამარა“ — დრამის გახმებუბის შემდეგ ამოციალდენ მრავალნი ცირანი: „ლამარანი“. დღეს ისინი დაქმარშვილიანებულნი იქნებიან. ერთი ლამარა, დღით ქართველი, გერმანიაშიცაა; მეორე, ქართველი გოგონა, სირიის დედაქალაქში: დამასკოში. სახელი „ლამარა“ შევიდა ქართულ პროზაშიც.

გამარჯვება „ლამარასი“ მით უფრო საკვირველი იყო, რომ სცენიური განფენა მისი არ იყო უნაკლო. 1. რეჟისურამ ამოავლი მეოთხე აქტი: დედაგული დრამისა. ეს მოახდინა კოტე მარჯანიშვილმა. თავში კოტე სანდრო ანბეტელთან ერთად შეშაობდა „ლა-

მარაზე“. მან გაგვემა მთელი დრამა და გამართა ორი აქტი — სანდროსთან ერთად. უეცრად გახდა ავად — იწყვა კლინიკაში. მორჩა: მაგრამ — მისსა და ახმეტელს შორის „ამასობაში“ ამტყუდლო განხეთქილების გამო — თეატრს იგი აღარ დაბრუნებია: შექმნა ახალი, საკუთარი თეატრი. (ეს განხეთქილება აწერილი მაქვს დაწვრილებით ჟურნალში „ბები ქართლისა“ (№ 19, თებერვალი, 1955, პარიზი). უნივერსიტეტის წიგნთსაცავში, მანდ, იქნება, ეფიქრობ.) კოტემ მოთხრა: მეოთხე აქტი ხელსუშლის მოქმედების დრამატულ მალამალა ვითარებასაო. გავტყერდი. გარეგან აქ მოქმედება მართლა მიწვეულია — შინაგან კი უპარტულად დინამიური. სულერი დრამა მინდიასი და თორღვასი და მათ შუა საბედისწეროდ მოქცეული ლამაზისი — სწორედ ამ აქტში იშლება. რა ჩქნენ? ბოლო სცენა მოპყვეთეს ამ აქტს და მექანიკურად მიაკრეს მენამეს. გამოცდილი თვალთვარისა ლისა უთოთე შეამჩნევს ამას. 2. „ლამარა“ როგორც დრამა, მართალია, „რანდული რომანტიზმის“ ხაზით ვითარდება, როგორც ის მხედრად შეუნიშნავს სანდრო ამბეტელს — ხოლო ვასწვიოდ ამ ხაზისა მონდის დენა მინდიასი: მისტერიული. ეს დენა დადგმაში არ ჩანდა. 3. „ლამარა“ პირველი სიტყვითგან უქანასკნე ლამდე სიმფონიურად არის ვაშლილი. იგი, ვთქვათ ასე, ერთგვარა ორკესტრი არის, რომელში თვითეული მომქმედი პირი ესა თუ ის ინსტრუმენტი. ამ მხარეს დრამისა ნაკლები ყურადღება ჰქონდა მიქცეული. არ იყო დაცლი პაუზა: რაიც სასწაულმოქმედი „სიტყვის“ წარმოთქმისას, განსაკუთრებით სცენაზე. აქ ბრალი ედებოდა უფრო ამბეტელს, რომელიც მარჯვანიშვილის წასვლის შემდეგ ვანავრძობდა „ლამარაზე“ მუშაობას. შეეყარებული „მორტორულ რიტმებზე“, იგი მინჯა-და-მანჯე პაუზებს არ „წყალობდა“. მიუხედავად ამ ნაკლთა, თეატრში „ლამარაში“ შექმნა ხელისადა ახალი თეატრალური სტაია: წმინდაქართული. თუ რა მინდა ამით ვთქვა, გაიგებს ყოველი მცოდნე თეატრისა, საკუთრივ, თუ მას უნახავს ებრაელთა თეატრი „ვაბიამი“, ან და ვაუგონია იაპონელთა „კაბუტი“.

განვლეს წლებმა. 1930 წელს, ზაფხულში, გაიძარ თა მოსკოვში სათეატრო ოლიმპიადა ყველა ხალხთა საბჭოეთისა, მათ შორის რუსთაც. ჩვენმა თეატრმა ვაუშვა სამი პიესა — სათავეში იყო „ლამარა“. სამი ნაკლი უქანასკნელის დადგმისა აღენიწენ. ამას ახლა ემტყუდოდა ისიც, რომ დასში აღარ იყვნენ შესანიშნავნი მსახივრებელნი: თორღვასი — უმანე ჩხვიძე, ლამარისი — ჰეკევაძე თამარ, რაიხელისი — ლამბაში

ძე შალვა. (თამარ და შალვა აღწე ვაყვენ მარჯვანიშვილის — უმანე კი გვიან.) „ლამარამ“ ვაიბარჯვა მაინც. და მე-მე რაგორ? ფანტასტიკურად ვაყარებე მე? აქაც ვაქმეებს მივეცი სიტყვა. 1. ყოველი პიესისა საცდელად ორჯერ უნდა დაედგათ. „ლამარა“ დადგეს რვაჯერ თუ ცხარაჯერ. („ვაბიოცდა“ მცდელთათვის ალბათ თობადა იქცა.) არ რავში თუ ცხარაში ერთხელ დადგეს სავანებოდ მოსკოვში მსახივრებ უცხოელთათვის — მეოთხელ მხოლოდ მსახიობთა და რეჟისორთათვის მოჯობზე თეატრებისა. 2. ერთს წაშოდგენაზე — იენისის 26 — მესამე აქტის შემდგომ ოვატია ოვატიაზე ვაგარძელა ნახევარ საათზე მეტ: 35 წუთი. (აღნიშნულია ეს თეატრის დღიური ში.) 3. პრესისა დიდი ქებით შეხვდა „ლამარას“. ერთ-ერთ ესეც იყო ნათქვამი: „შექსპირივსეუ ობრაზი“. ამავე დროს ხაზს უსვამდენ: „შინაგან ეს „ჩენი“ არააო, რაც კიდევ უფრო აძლიერებდა ქებას გულითა თქმით. 4. ერთმა გერმანულმა ჟურნალმა, რომელიც იმ დროს მოსკოვში გამოდიოდა, მიმოხილვა ოლიმპიადისა ამ სათაურით გამოაქვეყნა: „ლამარარა“, რითაც მან მონოგრაფია გამოკვეთა სურათისათვის მთელი ოლიმპიადისა. (მიმოხილვაში ავტორი, გერგოლ რობაქიძე, „კლასიკოსად“ იყო ნახსენები. ჩემს ვამაყლებელს თუ დაეუჯერებო, ავტორად ჟურნალს ვაყა უნდა ეხსენებია.) 5. თეატრთა ისტორიაში უმაგონისა ამავე. ერთს წამოხედვანს თვით „იგიც“ დასწრებოდა: სტალინი. (მე ოლიმპიადისა არ დაესწრებოდა.) მისულიყო ბოლო აქტზე. და, ფარდის ჩამოშევის შემდგომ სურვილი გამოეთქვა: თაიდან ზოლოდვ ვანოიმპიადინათ პიესა. რასაკვირველია, ვან-მეორებინათ დაცალიერებულ თეატრში — ახლა მეტრტემპერამენტით, ესეც რასაკვირველია. (ფოტოსურათი მთელი ამ „სცენის“ გამოქვეყნებულ იქნა ერთს რომელიღაც ქართულ ჟურნალში. თუ თეატრს არ აქვს, იქნება ოისებ გრანოშვილის — აბა როგორ ვაუშვებდა ასეთს უნიკუმს.) 6. იმავე წელს ნოემბერში მოსკოვში ვიყავი. ვინახულე ერთი საქმის გამო სერგო ორჯონიკიძე. საუბარში უეცრად „ლამარამ“ წამოყო თაგი. შთაბეჭდილება მის ლეგენდარული გამარჯვებისაგან ოლიმპიადაზე მეტ კიდევ არ იყო მოსკოვში მინელეული. „რა დაგიწერია, კაცო!“ მომმართა მე ვითომ „წყარობით“: „რადაც ურა-პატრიოტული, ულტრანაციონალისტური?!“ სახტად დავწრა. რას მივეუბნებ? „შემდეგ ვადმოქანდა სავარძლითგან ჩემი მთელი ტანი და — თითქო მარჯვენათი დაყუევება უნდოდა ჩემი — სილაღით ვაბადრულმა ვადმომძახა ზემოიბერულად: „კაი კია და!“ 7. მოსკოვში ერთ დღეს ბორის პილნაკთან შევიარე. ის იყო, წასვლას

აპირებდა სადაც. ერთი ინგლისელი ჟურნალისტი დამირდა მაღალყელიან გლოუმებს — დღეს უნდა მივიღე მასთან — თუ ისურვებთ, თქვენც წამოდიეთ“. წაყვევი. გვაირ ჟურნალისტი მახსოვს: Fisher. მივეცი. ვამეცნობა. მოესმა თუ არ ჟურნალისტს „ქართული მწერალი“ წარდგენისი, თქვა მან — ალბათ ჩემი გვაირ ვერ მოესმა გარკვევით, ამ თუ დავიწყებულე ჰქონდა — „რა ბედნიერი უნდა იყოს „ლამარას“ ავტორი!“ პილნაყე ღიმილით მიუვო: „ავტორი თქვენ წინ დგას!“ მ. ზოლოს ეს ფაქტიც იმევე წელს ტვილის ეწვიენ მოსკოვითვან უცხო მხარეთა და ხალხთა კორესპონდენტები — რიცხვით ორმოცამდე. მღეთს რომ მოუახლოდენ სამხედრო შარაზე, ერთხმად გასძახეს თურმე მთების მიმართ: „ლამარა!“ „ლა...მარა!“ „ლა... მარა!“

ეს ფაქტები თავისთავად მეტყველებენ. „ლამარა“ ვაყასია! მაშ, მე ლიტერატურული ჭერიდ ვყოფილვარ; და ყოფილა ქართული ხალხი, რომ ეს „ქურთობა“ ამდენი ხნის მანძილზე ვერ დაუნახავს! ახლა ერთი სხვა კითხვე უნდა დავუყენო ავტორს, მისთვის პირდაპირ მოსასპობი. თუ „ლამარა“ მართლა ვაყასია, მაშინ რატომ ამოვარდა იგი რეპერტუარიოვან? ვთქვათ: „გადალია“. მაშინ სხვა კითხვა იბადება: ვაყას თიბადების 100 წლის თავზე მაინც რად არ გაუშვეს!?

აქ წერტილი უნდა დამესვა. მე სიტყვას ვაგრძელებ მაინც: ვაგრძელებ, რადგან მგონია, რომ ავტორს „ლამარა“ წაეკითხულიც არ უნდა ჰქონდეს. თუ წიგნად გამოკემა „ლამარას“, „ლონდასა“ და „მაღმურემთან“ ეჭთად „სახელამისა“, 1926, „ალარ იშოვება“ — მწერალთა კავშირის ყოფილი ჟურნალი „ქართული მწერლობა“ ხომ მოიპოვება, საცა „ლამარა“ პირველად იქნა გამოქვეყნებული? ავტორს შეუძლია დაუპირისპიროს „ლამარა“ ვაყას „გველისმქამელს“ შიგთავის (contenu) მხრით. სად არის „გველისმქამელს“ ხეყსურთა ბიჭუნედი ლავაზის მეთაურობით? სად არის იქ თორღვაი: მძა მინდასი, არა დღეთი? სად არის იქ თითოთი ლამარა, ქისტა ქალწული ტურფა, თორღვის მიერ მოტაცებული? ლამარა, რომლით მოხიბლულია მინდიაც? ლამარა, გულის მოგებისათვის რომლისა შურვილი მძათა შეღღმი გადაღის? ლამარა, რომლის ირავილი იშლება დრამა და ვითარდება? სად არის იქ იხო, მამა ლამარასი: დიდი იხო, რანდი, აწ რისხვაყავანილი, დარბევს რომ უქაღის ხეყსურებს შვილის მოტაცების გამო? სად არის მურთაზ, მძა ლამარასი: ყრმა-ყვები, შურისგებისათვის თვისილი თორღვისი მიმართ? სად არის ტკბილი, ბუნნიერი მო-

ხუცი ჰილდირი: მამა იხოის? სად არის იქ ქვეთარ: ლამარას მამა? სად არის იქ სცენა მისს ქობში: კანძი მთელი ღრამისა? სად არის იქ რაიბულ/გამოჩი: მამა მინდასი და თორღვისი? სად არის იქ ვაყასმარტობით ახალისეული ღრეობა ხეყსურთა? ღრეობა, საცა ლამარა პირველად ივებს, რომ მისი მომტაცებელი მინდასი კი არაა, ქისტეთხეყსურეთ ხრამ-ზღვართან: შეხვედრილი — და ვულნი ხეყდრილი, არამედ თორღვაი. იქვე ნახული, სახით თითქმის იგივე მინდასი, გულჩვილი მისინი, გარნა ნიშატით შემტევი და შიშომტეველი? ლამარასი? სად არის იქ დანაღვლიანება ლამარასი? („ნაღვლიანი“: არს ოდესმე ცნობას იყოს და ოდესმე „უცნობო“. საბა, ხდება ნაღვლიანი, ხედავს რა, რომ ვახდა უნებური მიხეზი ქისტებისა და ხეყსურების საბეღისწერო შეგლა-შემოხლისა).

სად არიან აქ დები მინდასი და თორღვისი, მხიულა და მიაი, რომელთაც მიჰყავთ ავადმყოფი ლამარა, სულიერ, შლილი, „ადგლის დედასთან“: და საყუვეებლად, დასანებლად, დასამშვიდებლად? სად არის იქ ეს სხვაური ტანჯვა მინდასი: ეს რამდენად მეტად ეტანება ლამარას, იმდენად უფრო და უფრო ჰკარავს მისნურ ნიქს: საერთო ენას ყვაილებთან, ფრინველებთან, ნადირებთან? (ვახსნა ამ სადუმლოის: ქვემოთ.) სად არის იქ ტყედ-ვაგარდნა და ბორგვა ატეხილი თორღვისი, ლამარას გულის ვერმომნადირებელის სრულად — რომელსაც მურთაზ, შურისსავებულ ხეყსურეთში შემოჰკრილი, ხრამლ-დამხრამლ შემამში შემოაკვდება? და ზოლოს: სად არის იქ გრივალი, ავარდნილი და თინდათან დანელებული, მისტიურ სტრუქტურაში გადასული? ვეულისსმობ — რაც ხდება ბოლო აქტში: იხო, დიდი იხო: რისხვით აყვანილი. მოსტაცეს ლამარა, მოუკლეს მურთაზ. ემზალებთ: შემსურთა, გაანადგუროს ხეყსურეთი. ხეყსურები ტყუილობენ მისს განზახვას და თვითონაც ემზალებიან თავდასმისათვის, რომ შეტევით დასწორან იხოს შემოსევას. სისხლი დაიღვრება. ორ ხალხთა შუა უფსკრული გაითხრება. საშუელი არაა. მინდასი ვაგურება ქისტეთისაკენ. მივა. წარსდგება იხოს წინაშე. იხო: „ეინა ხარა? მინდასი: „თორღვაი!“ იხო: „გაკეარ მიწას!“ მინდასი დაეშვება. იხო იძრობს ხრამლს. აღმართავს. ესაა, უნდა დაჰყას და: უეცრად ხრამლს განზე ავდებს. „რა მოხდა?“ ეს უსიტყვი კითხვა ვაოცრულ თანამყოფთა. მინდასი აო იძვრება. იხო, აცახცახებული, სულგანაბულ მინდასი: „როს უნდა დამეჭნია ხრამლი შინდა განსაკეთად, შენს სახეზე ერთი კუნთიც არ შეჩხეულა! ვაყაც ყოფილხარ! წამოდი!“ შვილის ნაცვლად გოვლიდ ამიერ!“ (ეს სცენა მოგონილი არაა: ასეთი რამ მომზარა

ჩრდილო კავკასიაში.) მინდია წამოდგება, განცვიფრებული და თანც ანათვებული. ჰილდრი: „იჩო, შეილი! ვხედავ მეორედ შეგბულს!“ კანკალებს — გაჰყავთ. იროც ვაღის: ამ წუთს ჰსურს მარტოდ დარჩეს. ეტყვის იქ მდგომთ: „გაართეთ!“ ქისტები ვარს ეხევიან მინდიას ლანიშ, პატარა ძმა ლამარისა, სულ ლამარზე ეკითხება, არ ეშვება. უყრად ერთი ქისტა შემოვარდება ზახილეთი. „ხეცსურები თავს ვეცხსხმან, თორღვაი მოუძღვით!“ გაშტერება მგესლავი. მინდია ახლა მათ თვალში თვალის-ამქცევი. შეკრავენ თოკით. ხრიალზე მოაშურებს იჩო. „რა ამბავია?“ ამცნევენ. თავზარდაცემულია. „მართალია?“ მინდიას. მინდია: „არა ვარ თორღვაი: ეგავარ თორღვაის! მოველ: სისხლს აიღებდი, შურისგება ვათავებდი. ლამარა ჩემს გულშიცაა. ავადა, მორჩებოდა.“ გააცხებული იჩო ძლიერდა სუნთქავს, ახლა უფრო მეტად აფრთოვანებული. „განათავისუფლეთ!“ მინდია გრძნობს სიმძაფრით აქტს თავშეწირვისა. ძალა მისწერი უბრუნდება. უმღერის ყვავილებს. მოასქდებიან ხეცსურები ზვილით: „სიკვილი იჩოს!“ იჩო დვას: უძრავი, უღარავი. გაიგებენ რა მოხდა. ახლა ისინი ექვადებიან: მომხდურები. პაუზა მსუნთქავი. აფრენენ ზვიდას ლამარისთან. პაუზა კიდევ. შემორბის ლავაზ. „ლამარა მოხსლტა ლოგინს, ცხენს მოაჭენებ.“ კვლავ პაუზა. ზვიდას შემოჰყავს ლამარა. იჩო გულში იხეტებს. ლანიშ მუხლებზე ეხევეა. ლამარის (ყველაფერი გაუფა ზვიდასაგან) მოიხმობს რაიბულს მამასთან. ნიშნს აძლევს მათ: ხელი ხელს გაუწყოლონ. სრულდება. შემდეგ მოიხმობს მინდიას და თორღვისა. იგივე ნიშანი. ესენიც ხელს ართმევენ ერთმანეთს. აღარაა განხეთქილება ირ ტომთა შუა. შუღლი ძმთა შორის გამქალაია. ლამარა, უნებური კენძი ტომთა შეხლისა და ძმების შუღლისა, თვითონვე სისამ ამ კენძს. გახსნას გადაჰყავთ თან: ვითარ მსხვირპილი საკლარული. ტრაველია მისტერიაში გადადის. ლამარა სულს განტუტებს. სურათი: ერთი მხრით იჩო და რაიბულ, ხელიხელ გადაჭობილინი — მეორეთი, მათ უკან, მინდია და თორღვი, ესენიც გადაჭობილინი ხელიხელ. მკლავებზე დასვენებული, საუფროდ განსვენებული — ლამარა მიჰყავთ, მიღლა აზიდული. ვალობენ ძველთაძველ ჰიმნს ქართველთა. ჰიმნიში კიაფობს სახელი: „ლამარა“.

(წერს ამ სტაქიონებს და — რა დასამალავია — ცრემლებს ვერ ვიმაგრებ: ლამარა ჩემთვის იყო და არის მეტი ვიდრე მგოსნური ხატი.)

გადმოშალე „ლამარა“ შვითაგის მხრით დეტალურ

— ბოლო აქტი კი თითქმის სრულად. არის თუ არა „გველის-მკამელში“ თუგინდ ერთადერთი ხტილიც გადმოშლილითავან? კიხხვაც შედმტრული

ახლა აქ შემდეგიც უნდა ნათელყო. მესამე აქტში, დროებაზე ხეცსურებისა, ვაჟა გამოჩნდება. წარმოთქვამს შარს. ახიზებული იქნებოდა გვეთქვა: თოქო ამით „ლამარა“ ორიგინალურობით რაიბის ჰკარავადღეს. პირიქით: ვაჟის შეყვანით ღრამაში თავისებურება უკანასკნელისა კიდევ უფრო მატულობს: მსაფრღება: ისტორიული პირი გამოდის „თანამედროვედ“ ზეისტორიულისა: მითითრისა: მინდიას.

შემდგომ. საჭიროდ ვსკანი: მინდიას, როგორც მისტიურ მისანს, ასარკულ ხელია თავის თავი. („სარკე აქ სახის — ამ შემთხვევაში მისან-არისს — დინებისა თვის.) ეს ხდება მეორე აქტში: ჰეთარის ქოზში. მინდია ისმენს ლავაზის, მისი პატარა მეგობრის, მიერ წარმოთქმულ ნაკვეთებს „გველის-მკამელითავან“, ისმენს გულდაზმით და ხედავს შინაგან თავის თავს, საცა მოხაზულია იგი, ასარკული: ხატად ქცეული. შიერი ღრამის ავტორისა — ესე იგი: ჩემი — სრულიად დაარღვევდა „თანამედროვეობის“ რკალს, რომელშიაც მინდია და ვაჟა ურთიერთს ემთხვევიან. მინდიას უნდა მოსმენოდა სიტყვა: სწორად მისი „თანამედროვეისა“: მისი მომღერალის: ვაჟისა. „ლამარაში“ ყველაფერი მითამბტურად მოხშილია — ასევეა მოზომილი ესეც: „სესხი?“ ქვეყანაზე ჯერ არავის სმენია, რომ „ციტატა“ „სესხი“ ყოფილიყოს. მე „სესხი“ საერთოდ არ მჭირდება. ყალბი თავდაბლობა სრულიად უტყბია ჩემთვის. ვიტყვი პირდაპირ: მე ვერ წარმოადგენია, არა თუ ვაჟას, თვით ჰომერს „დავესესხო“, რომლის ერთერთ ნაშვიერად ვაჟა ჩამითვისდა. არა, „ლამარა“ სრულიად თავისთავადური ნახეღავია! ამ ფაქტს შეარყევს ოდნეაც? ვერა-ვინ!

„ლამარაში“ 5 მთავარი მომქმეღია: მინდია, თორღვაი, ლამარა, იჩო, მურთაზ. მათგან მხოლოდ მინდია არის „გველის-მკამელში“ და ესეც: როგორც ხალხური თქმულებითგან ამოღებული. „ლამარას“ მარჯი როგორც სვეტაკლისა ამ ზმთის განსახიერებით იმაართება. მინდიაზე ცალკე მექნება სიტყვა. ამ-ხელად კი სიტყვა იმ ომბხმ უნდა ითქვას, რომელნიც სრულიად ახალი სახეები — არა მარტო ქართულ დრამატურავაში.

განსახიერება მათი. (ვიგონებ პირველ წარმოდგენებს.) ლამარა: თამარ ჰეგუაძე. დიად შესაფერი. ოდნე ტანსრული, ვიდრე ლამარა წარმოსახული. სიტყვა, გამოთქმა, მიმოხრვა, იერი — ამნდელი ქალის

ქისტია. თამარს აქ შეელოდა მისი კახური წარმოშობა. თორღვაი: უშანგე ჩხეიძე. მოკვეთით ერთი სიტყვით: მეზობევედრილო, მხოლოდ მესხ-ვაღარჩენილი და ამით: მეზი თვითონ. მურთაზ: აკაი ვასაძე, რასისულ დახვეწილი ჩერქეზი: მსახველი გმირისა ისეთი მოქნილობით, რომ სახვე მთავრობურ წვედად იცემაოდა. ირა: აკაი ხორავა. მოკვით ვსეცე თი ხაზმოსმით: ნამდვილი შამილი. არა მგონია, ირამ უმარჯვესი მსახველი იპოვოს ვიდრე ხორავა — არც ის მგონია. ხორავამ უმჯობესი სახე ნახოს ვინმე ირა. გავიგე, მისი იტელის ვაიკელებში მოუყვანია: თვით კანალოვი, თვით ნემროვიანი-დარჩენიკო. მე მივინც ვამოთქმული აზრისა ვარ. ვფიქრობ: თვითონ ხორავაც დამეთანხმება.

(აქ ერთი შეხვევა. დაწმუნებული ვარ, რომ ხორავას თამაში „ოტელიოში“ ქართული იქნებოდა უკანასკნელ წვეთამდე და როგორც ასეთი: ეროვნული. ეს კი ანადგურებს ჩემი მაყალბებელის მტკიცებას იმე წერილში: თითქმის ეროვნულ თეატრს მხოლოდ და-მხოლოდ ეროვნული დრამატურგია ჰქონიდა. ვერა რომელი ნიენსკი იცეკვებს „ქართულს“ ქართველივით და ვერცა რომელი პავლოვა. ვადამწყვეტ აქ გვიჩინა, რასა. ასეთივეა მსახიობის „თამაში.“ დრამატურგია ქმნის მას? რომელი დრამის შეუღლია წარმოქმნის აკაი ვასაძის ვასაოცარი მიმიკა? თეატრი თავის-თავადა ხელოვნება. ეს ვერ გაუვია ავტორს, რომელიც თურმე „ხელოვნების დამასტრებულ მოღვაწე“ ყოფილა და თანაც: დრამატურგი) რად გამოუღვი ყოველ ამას? მხოლოდ ამ კითხვისათვის: ლამარა, თორღვაი, მურთაზ, ირა — ვაყვს შემოქმედების რომელი ნაკადებიდან გამოდიან ეს სახეები? მინახონ ეს ნაკადები: ძებნა ამოიდ დაურჩებათ.

მინდია. თამაშობდა მას გიორგი დავითაშვილი. ძალიან კარგად. შეიძლება ითქვას: ამ როლში მონახა მან პირველად თავის თავი. ეს სახე ჩემი თუ არაა, აცე ვაყვას: იგი ქართველი ხალხის ზებრივებული გენის კუთვნილება. მინდიას ხატში ამ გენიამ მთლიან ასახიერა ორმაგი უნივერსალური იდეა: სიყვარული შეიქმს შემეცნებას (მოციქული პავლე) — შემეცნება შეიქმს სიყვარულსა (ლიონარდო და ვინჩი); როგორ ვითარდება ეს იდეა „გველის-მკამელში“ და როგორ „ლაშარაში“?

1. „გველის-მკამელის“ მინდია ქაჯეთში ტყვე ქმნილი შემოხვევით იგემებს ქაჯების საკმელს: გველის ხორცს. „ლაშარას“ მინდიას, შუა-დღის ხვატში, ხის ჩრდილში მიძინებულს, გველი ყურს უღოკავს. გველი მეგობარი ხდება მისი ამიერ.

2. „გველის-მკამელის“ მინდია გველის ხორცს შემოხვევით იღებს მისურ ნიქს. „ლაშარას“ მინდიას ეძლევა ეს ნიქს სიყვარული ჩიტის გულისადმი. „გველის-მკამელის“ მინდიამ „იკის“ და: „უყვანს“ (მას) მკამელს იხრება ლიონარდოსაკენ. „ლაშარას“ მინდიას „უყვანს“ და „იკის“ (მან). დრამა იხრება პავლეკენ. 4. ტანჯვა „გველის-მკამელის“ მინდიას. ოჯახს შეშა უნდა, საყვები უნდა — მინდიამ ჭადარი უნდა მოჭრას, ჯიხვი უნდა მოჰკლას. ხედავს პირველის ცრემლს — ესმის კენესა მეორესი. იტანჯება. რა ქმნას? „გული ჩავიდევ ქვისაო, რომ სულ აღარა მეჭმნაო რა“ — ამბობს. ესე იგი სიყვარული მოახშო გულში. ახლა აღარც ცრემლს ხედავს ჭადარისა და აღარც კენესა ესმის ჯიხვისა. მაგრამ დახე: სიყვარულის მოხშობასთან ერთად — აქ პოემა უახლოვდება პავლეს — მისურს ნიქსს წაერთვა: აცე ხე, არც ყუავილი, არც ნადირი — არა რა ემხანება მას. მინდია კიდევ უფრო იტანჯება. თაურმა კერძოურისა გაიპარჯვა თაურზე მსოფლიურისა. („კერძოური“ აქ: ოჯახია.) სულ სხვაგვარ იტანჯება „ლაშარას“ მინდია. მას უყვარს ყოველი არსი და ვაგებდა ენა ყოველისა. ამ სიყვარულში შემოიჭრება ლამარა, რომელიც მინდიას გულში ჩრდილავს ყოველ სხვა არსს. სიყვარული მინდიას ყოველისადმი გადადის თანდათან ლამარასადმი სიყვარულში. თაური პიროვნული იმარჯვებს თანისთან თაურზე ზებრივებულსა. უფლებებელ ყოველნი არსნი დღით-ღღუ სკივლებიან მინდიას შინაგან: აღარ „ესიტყვებიან“ მას. მინდია იტანჯება. (ეს ტანჯვა — უნდა ვანიჭემოთ — ვადმოშლილი რეიესსურის მიერ გამოტოვებულ აქტში.) 5. ბოლო „გველის-მკამელის“ მინდიასი. ხეცსურები ტყობილობენ: ქისტები თავდასხმას აიპიებენ. სად უმჯობესია დაუხვევები? ეკითხებიან მინდიას. მათ კიდევ რწამთ, რომ მისანი მინდია, უმცლარი მრჩეველი ასეთ შემთხვევაში, ახლაც მხვედრ რჩევას მისცემს თემს. მინდია უარობს: მისნური ნიქს წამერთვაო, ეუბნება თანამოთემთ. ამით ეს არ სჯერათ — თავისას არ იზიან. ბოლოს, იძულებული მინდია ურჩევს: „მოწამლულ ხევი“ დაუხვევითო. ასეც იქცევიან. ხეცსურები მარცხდებიან. ამას მინდია ვეღარ იტანს და: თავს იკლავს. ახლა თვალს ვაქციეთ „ლაშარას“ მინდიასაკენ. ხეცსურეთის შესვლაში ქისტეთთან მინდია მზადა თავი შესწიროს — რომ ამით იხსნას როგორც ხეცსურეთი ისე ქისტეთი. (მოვიგონოთ რა მოხდა.) მინდიას ამ დროს უყვარს: არა მარტო ლამარა — არამედ, როგორც თავში: ყოველი არსი. და დახე: მსხვერპლად გამხცავს მისნური ნიქს უბრუნდება. თაური ზებრივებულია იმარჯვებს თაურზე პიროვნულსა. დრამა

მისტერიულში გადადის. ეხედვ ნათლივ: „გველის-მკამელის“ მინდია სხვა და „ლამარასი“ კიდევ სხვა.

ბარათის მთლიანობისათვის აქ ერთი ადგილი უნდა მოვიყვანო „ვაჟის ენგადითვან“. („ბელი ქართლისა“, № 38, პარიზი, 1961; ერთი ცალი ჟურნალისა ამავე ფოსტურ გვეზენებთ.) „მრწამსა და მრწამს უღრმესად, რომ ისეთი არის, როგორცა მინდია, თავს არ მოიკლავს, უკეთ: ვერ მოიკლავს. მეორე მხრით: მრწამსა და მრწამს უღრმესად, რომ ასეთი არის, როგორცა ხალხი, არ ცდება არც ერთ მუხლში თავისი ქმედით ცხადებისა. როცა „ლამარასი“ ექმნილი, ორ ცეცხლ შუა ვიყავი: „მინდია თავს ვერ მოიკლავს“, ეამბობდი — „მინდია თავს იკლავს“, მეუბნებოდა ხალხი. გაგებდ ბოლოს და — პირველად ჩემს სიკიცხლში — შევასწორე ხალხის ნაზრები. დიდ ხანს მაწუხ ეს გულზე სიმძიმედ, დიდ ხანს, დიდ ხანს. რაოდენიმე თვის წინ წავიკითხე (პირველად) ვაჟის კრიტიკული წერილები. მათ შორის „კრიტიკა ბ. იმ. ვართავაჯისი“. ამ წერილში ვაჟა გვითხრობს, სხვათა შორის: თუ რაა ხალხური თქმულებითვან „გველის-მკამელში“ და რაა მისი საკუთრივია. რა აღმოჩნდა? თურმე მინდია თავს იკლავს არა ხალხური თქმულებით — არამედ ვაჟის პიროვნული მიზნებით. მომეზვა წამსვე სიმძიმე, დაინახე რა, რომ ხალხის „გნება“ არ შემიღაბავს“.

თითქმის „მოლექულარულ“ გადმოვშალე „ლამარასი“ და „გველის-მკამელი“. პირველში — ცხად ვყავი — ერთი მოლექულაც არაა მეორეგან შენარატი. „ლამარა“ ვაჟისაა? ამის მოქმელს „კომპლექსად“ გადაქცევი „ლამარა“. სხვა ვერ მომიინახავს. ხოლო ეს „კომპლექსი“ არ ათავისუფლებს ავტორს პასუხისგებისაგან ქართული მწერლობის წინაშე, რომელიც მას, უნდა ვიფიქრო, „შეაჩვენებს“ თავისუფლობისათვის. თუ როგორ — ეს ჩემი საქმე არაა. დეე, ახსენონ „ლამარა“ უსწენებლად ჩემი სახელისა როგორც ავტორის! (ვიფთნი ასეც იქცევიან.) „ლამარა“ ისეა ქართული ხალხის გულში შესული, რომ მის გულისცემიდანაა ქცეული — შესული და ქცეული ავტორის სახელით. ასე რომ: ჩემი სახელის სწენება მაინცად-მაინც საჭირო არაა.

ამასთან დაკავშირებით მსურს ერთს ამბავს შეეხბო აქ. საბჭოთა საქართველოში მე „არ“ მახსენებენ. თუ „ვერ“ მახსენებენ. ღმერთი, რჯული! მე არავის ვძალადობ, მახსენოს მაინცად-მაინც. ვინც მე მიცნობს, უმაღლვე დაიჯერებს ამას. ვერ გახივია მხოლოდ

ერთი რამ: რუსეთში ივან ბუნინის ნაწერებს ბრათობობით აქვეყნებენ — საქართველოში გრიგორ რიბაქის სახელის სწენებასაც გაურბიან. დავიფიქრო, ბუნინი ჩემზე უფრო ნაკლები „ანტა“ მყოფი („ანტა“ — არ უნდა ამას ვამხარტება.) აქ შესაძლოა ვინმემ თქვას: „ბუნინი ბუნინია და...“ „უკინა“ წამოყოს თავი. (ეს ჯიში კაცუნათა უმაღლესი მატით ვერ კიდევ არ გადაშენებულა.) სანამ მის პასუხს მოვისმენდეთ, ნება მიბოძეთ, დავახსათოო მისი ჯიში. მეტის-მეტად რინტერესოა.

ერთი სიტყვით რომ მოვხაზოთ ქართველთა ყოფა, ეს იქნება: „გაახარე — გაიხარე.“ ქართველთა ნაღმი, რომლის სადაზი მივლს ქვეყანაზე არ მოიბოვება, წყროდ ამით იფინება: „გაახარე — გაიხარე.“ თვით „ზრდაც“, ქართული შეგნებთ, სიხარულია. ეამბობთ ხომ ხშირად ქართველი: „მცენარე ხარობს“ — მაგიერ: „მცენარე იზრდება.“ აქა უტოლო ხიბლი ქართველთა. უთუოდ წყაითებული გენგნებთ ამერკიელი მწერლის ჯონ სტენბეის შესანიშნავი „ქართული დღიური“. (საკვიფრია ამ დღიურისა მე წავიკითხე საქართველოსადმი მიძღვნილ რვეულში ჟურნალისა „Atlantis“. ოქტომბერი 1961, ცულრიხი. Nota bene. იქვეა მოთავსებული ჩემი ეტაღი — სამწუხაროდ ძალზე შემოკლებული, უადგილობის გამო — „Vom Weltbild der Georgier.“ თემა: რომელსაც საუკუნეთა მანძილზე ჩემს გარდა ჯერ არავინ შეგნებია: არც საქართველოში და არც სხვაგან. თემა: თუ რა შეუქმნია ზეპიროვნულ გენისა ქართველთა. წაუყენონ სხვა ხალხებმა ნაქმს ამ გენისა მათი გენის ნაქმი — ენახათ, რა ვამოვა! უნდა შეეჩერდე — (სიტყვიამ გამიტაცა.) ჰოდა: სტენბეის „დღიური“თვან — გავიგე, რომ მივლს საბჭოეთში — მოიგონებთ ამას — საქართველოს „ნატურის თვალად“ თვლიან. „ნატურის თვალა“ იგი მართლა, ეინათვან მისი ყოფის თაური, ეიმერებ, ესაა: „გაახარე — გაიხარე!“ ყოველა ყოფა, მაშასადამე ხალხურიც: პოლარულია (არა „ღლია ლეტურით“) და ია, აქ ჰყოფს თავს „უკინა“: ეითარი უაზოფითი ზოლი ქართული ყოფისა. ჰინკას არა ახარებს რა, საკუთარი ყოფაც არ ახარებს. სხვის მარჯი მისთვის უბედურობაა. იგი ეამყოველ მარტს უცდის სხვისას. მხოლოდ მაშინ იხარებს, თუ რაიმე მარცხი დაეგმართა. ეს კიდევ არაფერი. გულში გახარებული, მიღის და დამარცხებულს მოკისამძიმრებს. მოკამძიმრებს ისეთნაირ ათამაშებით ნიღბისა, რომელსაც მსახიობურ ვერ შეძლებს რომელიმე ვასამე. თანვე ჰინა ძალიან გამეჭობიან: საკუთარ როგორც ვიერშემა. აქ იგი „Troll“ სკანდინავიეთა უღრის, უნდა

ვიზმარო რუსული გამოთქმა — „90 ოჩკო დისტ ვე-როლი“

ახლა მოვიხილოთ გულგებულ კინკის პასუხი კითხვას: რატომ ბუნინი რუსეთში „ისე“ და რომაქიმე საქართველოში „ასე“? მისი მისი სიტყვა, ღიღინა-ჯული: „ბუნინი, ბატონო, ბუნინია და...“ აქ პასუხს უშვებს: იცის, უფრო მეტყველია. ვხედავ: მარცხენა წარბი ოდნავ აუჭევია — ეს გაკვირებისათვის; ზაგის მარჯვენა კუთხე ოდნავ შეუქუშავს — ეს ირონიისათვის. კინკის ბუნება რომ ვიცი, ვხედავ მისივე: რომ ბუნინი მას ისე აინტერესებს, როგორც „მარშან-დელი თოვლი.“ ბუნინით მას მხოლოდ ეს ჰსურს: მე „წაპკრას.“ გარნა ჩემი „წაპკრავა“ არც ისე ადვილია და აი რატომ. (საქორაა ქვემოთ გავუწყოთ თქვენ და ყველა თქვენ თანამოქალაქებს.)

1933 წელს ბუნინს არაგუნეს ნობელის ჯილდო, საკუთრივ წიგნისათვის „უიზნ არსნიევა.“ ეს წიგნი გადართგმნეს გერმანულად — გამოვიდა სხვა სახელით. ახლა მოვხაზოთ კვირული „Die Woche“, რეული: 1934, ივნისის 4. პირველ გვერდზე წავიკითხავთ რეცენზიას სხენებულ წიგნზე ბუნინისა, საცა შემდეგია ნათქვამი:

რომ არ ვიცოდეთ, რომ ავტორი ლაურეატია ნობელის, ვაწილებდა ჩვენი მოლოდინის ნაკლები იქნებოდა. ის, ვინც შესძლებდა მარადი რუსეთის გადმოცემას, არის ავტორი რომანისა „Die gemordete Seele“: გრიგოლ რომაქიმე. სიტყვა სიტყვით. დავტოვით ვანზე, მართალია თუ არა რეცენზენტის აზრი. ეს მით უფრო, რომ: ერთი. ჩემი შემოქმედება სრულიად სხვაა ვიდრე ბუნინისა, რომელიც მე, რა თქმა უნდა, ღიღინა ვეფხვე; მეორე: მარადი რუსეთი“ ჩემი თემა არაა: (ავტორს ალბათ რუსი ვეფხვი, რაიც სხვათა შორის, მიუღლომლობას მისსა აძლიერებს.) დავტოვით ვანზე, მართალია თუ არა რეცენზენტის აზრი და ჩვენი ყურადღება მხოლოდ-და-მხოლოდ ფაქტზე შევჩერდეთ, ფაქტზე ასეთი აზრის გამოთქმისა, გაკვირებით. რა დღეი „შობებულებება უნდა მოხდინა ჩემს რომანს რეცენზენტზე, რომ მას, რომანს, მისს სჯავს ნობელის პრემიით დავიკვირებულული წიგნი ასე დაეჩრდილა?! (ვხედავ: მოღანდებული „კინკა“, კულამოძებული, გაპარვით გვცოლებდა.)

მოთხრობილის ერთი მხარე აქვს კიდევ, ყოველი ვამოჩინილი ავტორის წიგნს აქ გამომცემელი თან-აყოლებს ხოლმე პროსპექტს, საცა მოყვანილია სხვა-და-სხვა სჯავნი ავტორის შემოქმედებაზე. ჩემმა მთავარმა

გამომცემელმა გამოსცა ამგვარი პროსპექტი: სანო. ამდენმა ხანმა ვაგლო — ზემოთხრობილი დღესაგნა ჩემი რომანისა პროსპექტისათვის არ გამომეყენებია: რატომ? რომ ვამაღწებია აქაური რუსებზე და-ვაგლოზე მათი თამოყვარება. გამოვიჩინე რანდობა, ჩიტიყვი: ქართული. თუმცა მათს ვანზახ-„ღუმიბას“ ვიცი სახელს ირავლივ არა ერთხელ მოვცივ სახაბი, რომ ამ შემთხვევაში სხვანაირად მოვქცეულიყავი.

აუცილებლად ვთვლი, ორიოდე სიტყვით მოვხაზო აქ ლიტერატურული ნიშატი ჩემი „იმ“ რომანისა, რომლის საგანი საბჭოეთის ასე თქვათა: „მოლეკულარული“ ვითარებაა. უთვალავ წიგნებში საბჭოეთზე ჩემი რომანი ყველასაგან გამოირჩევა. იგი შექმნილია „მესამე ნაბირზე“ — მდინარეს მესამე ნაბირც აქვს, უხილავი. „მესამე ნაბირი“ არც იქითაქეთურ „ნოიტ-რალობას“ და არც მამებზედელ „ნოიექტიურობას.“ (Nota ben. როგორ შევიდა ეს ყოვლად უაზრო ტერმინი კაცობრიობის შეგნებაში? ლათინური სიტყვა „Obiectum“ ქართულად იქნება: „წინაგებული“. მასასადამე, „ნოიექტიური მსჯელობა“ ვამოცა ასე: „წინაგდებულური მსჯელობა.“ სასაცილო-რამ. ნამდვილი ტერმინი აქ ვასა: „ტრანსპონექტიური.“) რას წარმოადგენს თვის-თავად „მესამე ნაბირზე“ დგამა — ფილოსოფიური ახსნა შორს წამიყვანა. სიტყვას აქ ვერი მოვათავებ, რომ სხენებული რომანის „ნოიგრაფიით-გან“ ერთი ფაქტი არ მოვიყვანო. ომის წინ შევდურმა ყურნალობა IDUN ანკება გამართა. ლიტერატურათმცოდნეთ უნდა დაესახელებათ სანო უმნიშვნელო-დანესი წიგნი ჩვენი დროის მსოფლიო ლიტერატურაში, დასაბუთებით არჩევისა. ამ სანოში იქნა მოქცეული ჩემი „Die gemordete Seele“ გამოჩენილი ავტორის მიერ: S. Neander Nilson.

ვაგივ: მანდ ჰგონიათ თორმე: თითქო მე პიტლე-რანინ ვყოფილიყვე, აქ ორი ფაქტი მხოლოდ. 1. ერთ-მა მსოფლიოში ცნობილმა ორგანიზაციამ მაცნობა (7. 6. 1955), ერთს ამბავთან დაკავშირებით, რომ ჩემს წიგნას იგი არ თვლის „ნაცისტურად.“ 2. მე რომ პიტლერიანი ვყოფილიყვი, მაშინ არ იქნებოდა გესტაპოს ზეერვის ქვეშ მოქცეული 1941 წლის ივნისის შუა რიცხვებიდან ომის ბოლომდე.

აქ ვსავსე წერტილს. კარვად ვიცი, რომ თქვენ ამ ბარათზე ვერ მპასუხებთ. ამას მისთვის გწერთ, რომ ვაცნობოთ მხოლოდ, რომ პასუხს არ ველ.

ბრიტოლ რომაქიმე



(გიორგი გამყრელიძის არქივიდან)
განსვენებული გრიგოლ რობაქიძის ქვემოთ მო-
თავალებული ლექსები გადმობეჭდილია თვით

გრიგოლ რობაქიძის ხელნაწერი დედნიდან. ამ
ლექსთა დედანს მის პატრონ გიორგი გამყრული-
ძეს ვუბრუნებ.
ვ. ნ.

ქიქოვი

*კუდუშლი. აყროყვილი. ოკუზიანი.
სხუნე სივრცეთა კოშკებზე უღვანო ბუში.
ზაიასავით გამოშვარი ზანგელა ბურში.
უსხო. უთვისო. მატანტალა. შორიგზიანი.
ამპარტავანი. ნელი. დინჯი. თავაზიანი.
მოდუნებული მეთქვე შორეთის მურში.
ზოგსკვი. ვანელი. მოსოჯი. მუსი. მრუში.
გახუნებული შეგამ მაინც მარად მზიანი.*

*საოცარია უში ზანტი მთქნარებით თვლელმა:
მზეთა გაღობით რომ მოთენთა უღაბნოს რთველმა.
ქიქარს თავის ღიზით გასკვირ ალმურს კომლიანს —
თითქოს ვესუნთქოს არაბეთის ამწვარი ნარდი.
და უშნო ცოხნვით ოდეს ერთვი მეღანქოლიას
ღორბლიან ტურზე გიობდება სამყაროს დარდი.*

აპრილი 1918

ბ. რ.

თავი-და-თავი აქ ბოლოა.

აქლემი

აყუდებული. აყროყვილი. ოკუზიანი.
ცხუნე სივრცეთა კოშკებზე უღვანო ბუში.
ზაიასავით გამოშვარი ზანგელა ბურში.
უსხო. უთვისო. მატანტალა. შორიგზიანი.
ამპარტავანი. ნელი. დინჯი. თავაზიანი.
მოდუნებული მეოცნებე შორეთის მურში.
მორცხვი. კეკელი. მოალერსე. მუსუსი. მრუში.
გახუნებული მაგრამ მაინც მარად მზიანი.

საოცარია უში ზანტი მთქნარებით თვლელმა:
მზეთა გაღობით რომ მოთენთა უღაბნოს რთველმა.
ქიქარის თავის ღიზით გასკვირ ალმურს კომლიანს —
თითქოს ვესუნთქვის არაბეთის ამწვარი ნარდი.
და უშნო ცოხნვით ოდეს ერთვი მეღანქოლიას
ღორბლიან ტურზე გიობდება სამყაროს დარდი.

აგვისტო 1918.

ბ. რ.

თავი-და-თავი აქ ბოლოა.

პასაჟი

უკარგული - ზაფრიანი. ტანგატრუნული.
ხვედისურ ვანზე მზის ხაოთი სქლად მოწვეთილი.
სოფელში ცოცვით მკერდზე თეირად გადაცვთილი.
რუმი. გვერდულა. აღმაცერა. ცქერაქურდული.

სოფლიანებს თავიპოვით ჩამოწვეუცილი.
რუნის წელიანი ფულურში ვალაპულარული.
ქოსა. თვალკუსა. ლორწიანი. ცხვირდასურდული.
სოფლის ავიზნით ცხარე ტვინში ხშირად წვეტილი.

გოყნად სიკაშქლე შორი ^{შეყოფილი} შვილი პასაჟი -
ხოლო პანის ჟამს ცნობ ყველაფერს ასე ფარსაგად.
როს ნაწვიმარზე მზე იშლება ნელი თაყვანით

შენი სინესტეში ყველას უწინ შენ გაოცდები :
ხის სენაკითგან მალვით ზემო ამოცოდები
და შეუდგები თუთი დიდებას კვაზე ყაყანით.

სტამბული პასაჟი 1919

მ. რ.

თავი-და-თავი აქ ბოლოა.

პასაჟი

უკარგული. ზაფრიანი. ტანგატრუნული.
ხვედისურ კანზე მზის ხაოთი სქლად მოწვეთილი.
სოფელში ცოცვით მკერდზე თეირად გადაცვთილი.
რუმი. გვერდულა. აღმაცერა. ცქერაქურდული.

თავისიანებს თავიგულვით ჩამოწვეუცილი.
მუხის წელიანი ფულურში გადაბუდარული.
ქოსა. თვალკუსა. ლორწიანი. ცხვირდასურდული.
სოფლის ავიზნით ცხარე ტვინში ხშირად წვეტილი.


გიყვარს სიღამბლე შორი მატლი მშვიდო ვასაკა —
ხოლო პანის ჟამს ცნობ ყველაფერს ასე ფარსაგად.
როს ნაწვიმარზე მზე იშლება ნელი თაყვანით
ბნელ სინესტეში ყველას უწინ შენ გაოცდები:
ხის სენაკითგან მალვით ზემო ამოცოდები
და შეუდგები დთვის დიდებას კვაზე ყაყანით.

სტამბული მარტი 1919

მ. რ.

თავი-და-თავი აქ ბოლოა.





8. 6. 1955 ყენევა

ნელი შრიალით შეფოთლილი თუ ვინმე მოჰქრის. უღალი ბელურა თავს ევლება ტანსარო ალვას. ის ვერ იხილავს ჩემს ეზოში პატარა ალლას — მე ვეღარ ვიტყვი უცხო სტუმარს „ნიკარტი ოქროსი“ თეთრი ღმირი აგონდება გადაბრლი ქორედს. ობლობას იხდის დედოფალა ნაჭრიან ჩიითი. გულდათუთქული ცქერას მესვრის ცქრიალა ჩიტო და სამუდამოდ გაფრინდება ნაღვლიან შორეთს. ვაშურებ ოთახს. დასრიალობს სიკვდილის კვალი. ნინოს ხატის წინ დავიგოქებ სათუთი მწიჩი. მოვიკუტები ჩუმი ლოცვით ნეკითი მცირე და ვიშრობ ცრემლებს საცოდავი ვით ჰქის თვალი.

1920

ბ. რ.

ყველაზე უფრო „ლირიული“ ჩემს შაირებშია — ჩემი ფიქრით.

ორღობის მუშაფოტი

ბრიბოლ რობამქიმ

ჩამორჩობილი ვიფილინ ორღობის სარზე (ეპილეპსია, გადარევა და ბუდის წერა). მაგენ თვალბის აქ ცივდება სასტიკი მწერა. ბოლო ეღება ყოველ ნდომას აქ მარტო მწარზე.

უყვარს ცენის თავს დაუინებოთ ქვეყანა მრუდე (საოცარია გაბზარული უცხვირო ხაპი). დაღრენილ ხაზას კიდე ახსოვს სიგოის ქაფი — ბნელდამორეულ მელამურას ეხსენება ბუდეთ.

ზრქელი ობობა სპლინის ბადეს სკელეტზე ლამაზს (დროს გუგადამაპლს თუ მოსწყინდა უმიწო ბანდი). გახეთქილ შუბლზე გადაირბენს ასტრალის ლანდი. უცხო გამველეი წაიკითხავს საშინელ ამბავს.

თავის ორალის ჰიხინის იგი მოეღის მარად (მწელია მეტად ხსოვნისათვის კუნძული პატმოს). შიშობს სიკვდილმა არავინ დათმოს — მთელი სამყარო ესურება დაიქცეს არად.

და როცა მიწა გაყვება ძეობას ავი (მზე მაშინ ალბათ გადატყდება გადახრის ტარზე) — დაიჭიხინებს ბოლო წყევით ორღობის სარზე გატიტვლებული ძვალდაბრული გამხმარი თავი.

ტვილისი 10. 2. 1921

ძვირფასო გიორგი! გეგზავნი „ორღობის ეზო ფოტა“. დააკერდი, როდის არის დაწერილი: ვიგზენ წინასწარ ბოლშევიკების შემოსევა?! პირველად წავუკითხე საწყალ ნ. მიწიშვილს ყაბანანაში „ძმური ნუგეში“. შე ი რ ხ ა ! (ძალიან გონიერი და ნიჭიერი იყო საცოდავი: „მართლაც „მიწის-შვილი“). შაირში „მელა. მურას“ მაგიერს იყო: „მგელის წიწილებს.“ შეეცვალა. ადვილ მისახვედრია: რატომ. შაირს ეჭირება „ხელის-ნური“ გადამუშავება. ვიჭარბი: ფოსტის ყუთს გახსნიან მალე. კიდე მოგწერ — ველი მიუნხენითვან ცნობებს. ფილიალი „ამერიკის კომიტე“-სი ევროპაში — მიუნხენშია: ფილიალს გავუგზავნე პასუხი მის დადგენილებებზე... გულმხურვალე მოკითხვა ვალისა! იყავი მხნედ და მარჯველ!

შენი

წმიდა ნინოს

ეს ლექსი დაბეჭდვებ კრებულში „ქართველი ტრი“ № 6-7. ვთავსებ აქ ხელახლა, რადგან დაბეჭდილში შეცდომები იყო გაპარული. ამგვარად, ეს ლექსი მესამეჯერ იბეჭდება: 1923, 1944, 1964

3. 6.

ქალწული ნინო, ეშვები ჩრდილებით: დაღურსულ ფითლებში მზისთვალი დაღვარული. ჩვენ, დანებულნი და გულახილით, შენ წინ ვეფინებთი უშრეტო სიყვარულით.

მცხეთას რომ მოგესმა ნელი ხმა ზეითვან — გული ღვთისშობელის ჩვენთვის რომ უხვია — ჯვარი გამოქერი ვაჟის ნახსლევითვან და ცხელი ქრილობა თმებით შეუხვიე.

ღვთიური ტკივილი და არა წამება იყო აქ, გვითხრობდენ ამას ჩვენ მამები. არ გვიანდა, დედაო, სხვა ჯვარი ბერწების, არ გვიანდა სხვა მიწა და სხვა ნახსლევო! ვიცით: შენი ჯვარი ღმინია ლტერწამის — ტოტებს აიყრიან მეტი ახლებით,

როცა ვადანსლავენ სასტიკი სახსლავით.
ქალწულო ნინო, ათასჯერ გვენახე!
შენ გეალერსება დედული ვენახი.
ღვთიურ ანთებული ჩვენს მიწას ევენები
— სხვა როგორ ვიფუღვით აქ შენი ნაცვალი?
ჭარში რომ გაივლი, ჩაურსულ მტყენების
მზის თვლით ივსება ყოველი მარცვალი.
შორითგან გიყურებს, ავს რომ ავაშოროს.
ხრამამოდებული მწევაჟი ლაშარი.
ის არის ივერის მცველი და მწევაჟი
და ჯვარს ვაწისა წაართმევს ვერა ვინ!

ნათელი ნინო! ვით მიწის ხნულები
შენ წინ ვადანსლავდი აწ ჩვენი გულები.
მო, გადავვიარე, ზედს გადავურჩებით
და ტურფებს დავიკოცნით მავარი ტურჩებით.

დაო და დედაო,
ღვთიშობლის დობილო,
ვართ შენზე დანდობილი
და შენი შენდობით
არ ვადავშენდებით!

ბრიგოლ რობაჰიმი

ძვირფასო გიორგი! პირველი ვარიანტი ამ შო-
რისა დიბეჭდა 1923 წელს. იყავი მხნედ და მარ-
ჯვედ! შენი **ბ. რ.** 17. 5. 1954. თენევა.

ლეჭებზე გარდა, აქ ვათასებ აგრეთვე განსვენე-
ბული ბრიგოლ რობაჰიმი სამ წერილს, რომელს
განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს — იგი სა-
სტიკი კირტიკოსია თავის მიმართაც. ვ. ნ.

23. 5. 1955 თენევა

ძვირფასო გიორგი!

მივიღე შენი ბარათი (15. 5. 1955). ჩემი უქანსკენ-
ლი ბარათი „მზკლედ და მშრალედ“ მიგინჩევია. ასეთი
ბარათის შედგენაც ძველი ვახდა ჩემთვის ჩემს დღე-
ვანდელ ყოფაში. დილითგან საღამომდე ჭაპანწყვეტაში
ვარ. ვიღებო, ვიქანებო. ქართული საწერი მანქანა
მინც მქონდეს — წერას გამიადვილებდა. (გერმანუ-
ლად წერისათვის ევროპიულ მანქანას ეხმარებ — უკ-
ვე 15 წელია, რაც მანქანაზე წერას შევიჩვიე) ხელით
წერა მიჭირს: ნაწერი ჩემი „ვასმული“ კი არაა — ალ-
ბათ შეამჩნევდი ამას — არამედ „ამოჭრილი“. ასობის

„ამოჭრა“ კი მტეს ძალას მოითხოვს — დამეთანხმები.
„აქლემი“, „ევასაკა“, „შენი აზრით, ამ ორ სონეტში
პირველი „პირველობს“. ჩემი აზრით, „ევასაკა“ „აქ-
ლემს“ არ ჩამოუვარდება. არ მეთანხმები „აქლემ-
შიაც“ და „ევასაკაში“ ბოლოა თავი-და-თავი. ამბობ:
„სონეტის რვა ბუქარიში გამოქანდაკებულია მართლა
„ქლასიური ასხმით“ აქლემის ფორმა...“ შესაძლოა ეს
ასეც იყოს. ხოლო ეს „ასხმა“ ახატვაა და „ახატვა“
ვერ ქნის თავისთავად „მალა“ პოეზია: იგი ხშირად
„აღწერად“ რჩება. აგრძელებ: „შემდგენს ბუქარი ის
ხდება „სულეირად“ და ანიჭებს მას მეტაფიზიურ აზრს.“
ეს მართალია. რადგან ჩემთვის „მეტაფიზიურის“ გამო-
ვლენება ყველაფერია — გამოვლენება, რასაკვირვე-
ლია, არა ანსტრუქტულია — ამიტომ ვიმეორებ ახლაც:
ბოლო იქ თავი-და-თავია. „ევასაკაც“ ასევეა შეთხზული.
ორი ბუქარი „აქლემის“ ბოლოსი: „და უშნო ცოხნით
ოღეს ერთი მელანქოლიას, / დორბლიან ტურჩე ვიგობ-
დება სამყაროს დარდი“ — ორი ბუქარი „ევასაკას“ ბო-
ლოსი: „ახს სენაკითგან მალვით ზემო ამოცოცდები“ /
და შეუღლები ღვთის დიდებას კვახე ყაყანი“ —
არ ვიცი, რომელი ხვეულია აქ უფრო „მეტაფიზიური“:
პირველი თუ მეორე. ერთი შენიშვნა კიდევ: ჩემს შა-
რებში ვერც „აქლემი“ მოუჭეკვა პირველ რიგში და
ვერც „ევასაკა“. ეს ჩემი პირადად აზრია.

«Der Panther» რილკესი. ბევრჯერ წამეითხივას, მხ-
სოვს. მე ამ შორის არ ვაყენებ ისე მალა, როგორც შენ.
მისი შესახებ სხვა დროს — უკვე დავიკვირდი და
„ორლობის ეშაფოტს“ ვადავწერ და გამოვიგზავნი.

მაცნობე შენი ახალი მისამართი. გულმხსრულად მო-
კითხვა ვაღიას!

იყავი მხნედ და მარჯვედ!

შენი

ბრიგოლ რობაჰიმი

„ორლობის ეშაფოტს“, ჩემი განსჯით, ვერც „აქლემ-
ში“ გაეტოლება. „ვიზიონერული“ მხრით, და ვერც
„ევასაკა“.

11. 7. 1955

ძვირფასო გიორგი! შენი ბარათი (16. 6. 55) მივიღე.
პასუხი დამივივანდა. ღრმად გაგივია ჩემი „ორლობის
ეშაფოტი“. შენს განსჯას ამ შორისა მე დავუმატებდი
მხოლოდ: რომ აქ მკიცრე რამეზე ვადმოშლილია ეგზომ
დიდი ვიზიონი. ვწერდი და ვიმეორებ: შირის ექორ-
ვება „ხელოსნური“ ვადამუშავება. — პაოლო. მართა-
ლია შენი აზრი: იგი მართლაც ყოველთვის „ერთს ხო-
მალდებ“ იღვა. „თითქმის“ — მივეუმატებდი. რით ახ-
სნება ეს? პაოლოს, გეკოდინება, სანადიმო სიტყვა
შეძლო „ზმებით“ (რითმეწერი) წარმოეჭევა. ხოლო

შაირს იგი ასე „უტყუარად“ არ ეტყეოდა. შაირი მისთვის ნამდვილი დღესასწაული იყო სიცოცხლისა. დიდ ხანს, ძალიან დიდ ხანს, ამუშავებდა მას შინაგან. აქეთ-გან: მისი „ურთის ხომალდზე“ ღდომბა. ასე ეხსნი იმ ამს. — გასული თვის 15 ქართულ მწერალთა და ჟურნალისტთა საზოგადოებამ პარიზში, ერთხმად დაადგინა: ემიგრანტ - მწერალთა კონგრესზე წარმომადგენლობა და მეთაურობა ქართველთა დავეალოს გრიგოლ რობაქიძეს. ვახარებელი ვარ: როგორც მწერალი და როგორც ქართველი. — ხმა მომესმა, კონგრესი მოხსენსო. აჰ ვიცი, რის გამო. — გულმხურვალე მოკითხვა ვალას. იყავი მხნედ და მარჯველ! შენი

გრიგოლ რობაქიძე

30. 7. 1962. თენევა

ძვირფასო გიორგი!

დიდი, დიდი ხანია: შენგან არა ისმის რა. ჩემს ვრცელ ბარათზე ვერ მიასახე. უაღრესად დამწუხრებელიაო, მაცნობა ვალიმ — დისა და სიძის (აკაკი ბელიაშვილი) დაღუპვის გამო. „ღრო გაივლის“ — გავივლე გულში — „მწუხარება შეუნელდება: მიასახეებს“. არ გამაზოთლა ჩემი მოლოდინი...

განვლო კიდევ ხანმა. დაიბეჭდა ჩვენს ჟურნალში ჩემი წერილი „შენს წიგნზე“. გავიფიქრე: ახლა მაინც მომწერს-მეთქი ორიოდ სიტყვას. მოლოდინი არც ამ შემთხვევაში გამიბარბოდა. ამის გამო შემდეგი უნდა გიოხრა:

1. შენს წიგნში მე მომეწონა 9 „შაირი და 9 „აკილი“. აღნიშნე ეს ჩემს წერილში მართებულად. იცოდე: მე

რომ რომელიმე პოეტის — სულერთია: ქართველის თუ არაქართველის — წიგნში 9 „შაირი და 9 „აკილი“ მოეწონო. ეს იწებოდა დიდი ამბავი.

2. ენას შეეხებ შენსა. ნათქვამია: „ქართულ მწერლობაში, სამწუხაროდ, ისე ხშირია გრამმატიკული წესების დაწლევა, რომ მე კიდევ მიკვირს, რომ ავტორს 152-გვერდიან წიგნში ასე ცოტა გრამმატიკული შეცდომები შეპარია.“ იცოდე: ეს ჩე მ გ ა ნ დიდი ქება!

ჩემი სიტყვა ყოველთვის „სასტიკია“ — რაკ ს ი მ ა რ თ ლ ე ს თ ა ნ მაქვს საქმე. ხოლო იგი არაოდეს გამოდის უნაყოფო — ვინაიდან კეთილი ნდომით არის თქმული. მაგალითად: „გასვენება შემოდგომით“ დაიბეჭდა ჩვენს ჟურნალში. გავარჩიე. მოგწერე. ჩემი სიტყვა არ იყო „ლბილი“. ვიცოდი, არ იჩნებოდა შენთვის საამო. განვლო ხანმა. შაირი შეაკეთე — ალბათ „*mécontentement*“ შეგინელდა — ჩემი სიტყვის მიხედვით. შაირი ვაუმჯობესდა, რომ ჩემს წერილში ასე დავახსიათე იგი: „ბუნება აქ გუნებაში გადადის და გუნება ბუნებაში“. მარტოდ-მარტოდ ეს რომ მეთქვა — ესეც საკმაო იქნებოდა შექებისათვის შენი წიგნისა. გულთიადი სალაში ვალის. იყავით ორივე კარგად!

შენი ბრიზოლ

თუ დმერთმა ინება, და ქართველმა კაცმა, აქ უცხოეთში „აკაკასიონი“-ს შემდეგ წიგნთა გამოცემა მოისურვა. გაგარძელდება განსვენებული გიორგი რობაქიძის წერილთა გამოქვეყნება, რათა იგი სამუდამოდ არ დაიკარგოს.

ვ. ნოზაძე

აკაკი პაპავა

„მცირე უწყება“

ბრიზოლ რობაქიძისათვის“

ჩვენს ბედაცდენილ თაობას იმგვარი მემბრანა რომ ჰყავდეს, რომელმან მწვენიერი ძეგლი: „მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის“ დაგვიტოვა, ეჭვი არაა „უწყება“-ში რამდენიმე სტრიქონს მაინც შეიტანდა „ბრიზოლისათვის“... და აქ ის კალიგრაფიულად უბადლოდ შესრულებულ (როგორც ასე ემარჯვებოდა ჩვენს გრიგოლს, რომეც იკ იპოზენლ მხატვარივით განლაგებულად აჩუქურთმებდა ქართულ ასოებს) ფრაზებში გვიხეხდა:

„ესე გრიგორი იყო ქართველი კეთილ, სიბრძნისა მოყვარებასა შინა და მეტყუტვლებსა გამოცდილი, რი-

ტორი კეთილი, წერილთა მალალ ფრასხედ დამთბტვლი და სტიხთა და შაირთა და იამიკოთა მწვენიერ გამოთქმელი... და ასრე ცხოვრებითა გარდავლონ წელნი თვისნი“...

მაგრამ იქ, სადაც ჩვენი დიდის ხერხემალის საქართველო ვადვით, მისი დიდი მემბრანენიცი თან იახლა...

ახალ, საკმაოდ დაქვეითებულ და ასევე საკმაოდ „ჩამონაკრების გამო“ დამომცვრებულ საქართველოს, ასეთივე დამომცვრებელი სტილის და შემოქმედების „მემბრანენა“ შერჩენიან. ეს მახდენინებს „მცირე უწყების წერას“ გრიგოლ რობაქიძისათვის“.

მაგრამ ამ „უწყებასაც“ ბევრი კნინობა თან დაჰყვა. ჩემს მიუღღმომელ შეფასებას გრ. რობაქიძის ლიტერატურულ მემკვიდრეობისას სხვა დაბრკოლებებიც ეღობება წინ.

ჯერ ერთი ის, რომ ჩემი ბიბლიოთეკა არ შეიცავს ყველა იმ „მასალას“ (შეფურეხებელია ეს სიტყვა გრიგოლის ნაწერისათვის), რაც ახასიათებს გრ. რობაქიძის შემოქმედებითი მუშაობას ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი.

ჩემთვის, და ვფიქრობ, ქართული მწერლობისათვისაც სწორად ამ პერიოდის ქმედობაა ყველაზე ცხოველი და საინტერესო...

მის მიერ უტყობოში გამოქვეყნებული რომანები მხოლოდ ერთის მძლავრის, მაღალის ალით ვაშუქდნენ და, სამწუხაროდ, კარგა ხანია დაიწყებენ მიეცენ...

საქართველოში ნათქვამს და ნაწერს კი სხვა სიკვარის ძალა ახლავს, სხვა ნათელი არტყია, რომელი დიდხანს ჰყენს შუქს.

იქ გრიგოლის სტილი და ღაღადი სხვა, ცხოველ ფერებად იშლება... და რჩება...

რჩება სამი მოქცევის საქართველოში; საქართველოში, რომელიც იყო პროვინციად (ან უკეთ: კოლონია) რუსეთის იმპერიისა, მაგრამ შინაგან გამართლებული იღვა და ვადაჭროს ქართულ ძირებით მას ძველი ტრადიციების მატარებელი მწერლობა ორგანიზულად აკავშირებდა.

მეორე საქართველოში, მკვდრებით რომ აღსდგა და „პროვინციობიდან“ თვითმყოფობა „მილო“ და „აილო“, რის წიაღში ღაღად გაიშალა ქართულ მწერლობის ქმედობითი გენია, და

მესამე „საქართველოში“ — თებერვლის სუსხის შემდეგ, რომელს დამპყრობმა და კვლავ კოლონიად დამყვანმა „რეკოლუციას“ დაარქვა... და არა მარტო დაარქვა, — დერეკით განაწყესა, რომ ეს დაპყრობა ყველაზე და უწინარეს ყოველით კი ქართულ მწერლობას, „რეკოლუციად და განათავისუფლებად“ მიიღო და პოეტური ემოციებში ღამაშ სახეებად გაეშალა...

ეს იყო ტრაგედია, რომელმან მწერალთა რიგებიდან (და უფრო კი „პირველ რიგებიდან“) ბევრი დააღუპა, ან ალენინოვად „ააღღერა“...

ამან დაიწინა მესამე მოქცევის ქართულ მწერლობის შუბლს ღარები და მის გულს ჰრილობები...

აი, ამ სამი ეპოქის ქართულ მწერლობის „ამებების და რაობის“ აღსაწერი „მასალა“ მაკლია, რათა გრ. რობაქიძის ამ ტენილებზე სელა და მისი კვალი გამოვავლინო.

ა-ა

ჩვენის აზრით, როგორც აღენიშნე, ეს სამი პერი-

ოდი მოიცავს ყველაზე უფრო დამახასიათებელს და უშუალოს გრიგოლის შემოქმედებიდან.

სამწუხაროდ, ამ სახის მასალა უტყობოში საერთოდ არ მოიძიება. საქართველოში კი, არა თუ ამის შეფასებაზე, არამედ გრ. რობაქიძის სახელის ხსენებაზე ფიქრიც აღკაძულია. ესეც ჩვენი თაობის ბედაა...

ეს არის პირველი დაბრკოლება.

მეორე დაბრკოლება, ამ ხანად რომ მელოდება, არის ჩვენი ნახევარ საუკუნეზე უფრო გრძელი და ძველი მეგობრობა და ამასთან მისგან ასე ახლო, სულ ახლო წარსულში სამარადისოდ განშორება.

გრ. რობაქიძის სწორი შეფასებას უდავოდ უფრო დიდი პერსპექტივა სჭირდება...

ამ სამოც წელთა მანძილზე ჩვენი მწერლობის და მხატვრულ პაექრობის ასპარეზზე გრიგოლმა მრავალჯერ გაიღუვა და გრავინვად გადაიარა. აქ მას ბევრჯერ მომხილავ ეფექტად გაუშუქებია ქართული პარქსა...

თუ რამდენად ღრმად ჩ ა ჯ დ ა დ ა ჩ ა ი ჰ ე დ ა მისი „ახალი თქმა“ და მომავადიგებელი ღაღადი. ამას რიცხის დრო... ეს ცივი და უანგარო მსაჯული. მაგრამ როდის? ესაა მისი საიდუმლოება და ამაშია მისი დიდი ძალაც.

... და ერთი წელი მისი სიკვდილის შემდეგ ამ „დრო“-ს ვერ ამტყველებს; ის არ ჩქარობს, სხვა საზომით ზომავს.

ნახსენებ ამ დაბრკოლებებს ზედ ერთვის კიდევ წმინდა სუბიექტიური ხასიათისაც; ის, რაც მინდა გულწრფელად გადავშალო და ვთქვა, გრიგოლისათვის იქნებ საწყენიც ვახდეს (ზოგი რამ), და მე არ შემძლია ჩემი ახლო მეგობარის წყენით შეზება მაშინ, როცა ის ვაკიბებული და ხელ-ბაგე დაღუშებულია და მისი მზიურ-ხატოვან არგუმენტაციით ვეღარ მომიგებს.

და თუ მაინც ვიღებ კალმას, ეს მიტომ რომ მინდა მისი შემოქმედების ზოგი ხაზი გამოვავლინო... ხაზები შემოქმედებისა, რაც ქართლის გულთა, ან უკეთ, „გულწრფელობით“ იყო და დაშთა ნაკარანავე.

თან მინდა ეს შეფასება იმ დიდ „რეზონანსიდან“ გამოვაცალკეო, რომელიც წილად ხედა გრიგოლის წულაი, „აეგადი“, „ჩაკლული სული“, „დალი“ — რომანებს (რაც უმთავრესად დიდრიხის გამოცემლობამ გამოაქვეყნა გერმანიაში: „მეგი — ქართველი ქალღმერთი-ქალის ძახილი“, „გრალის მოდარაჯენი“, „დემონი და მოთოსი“). აქ (კლდე არ ვასახლებ მის პირველ რომანს („გველის პერანგი“), იმავე დიდრიხის მიერ გამოცემულს, რადგან ის უფრო ადრე საქართველოში გამოქვეყნდა („მნათობ“-ში).

ამ რომანებმა ქართლის და საქართველოს ბევრი

თავისებურება ხელოვნურ ხაზებში მომავალიდობლად გაშალეს.

ბევრი უცხოელი განაცვიფრა ქართული რზობის მითოსურ სამყაროში ამტკველებამ, დღის რეალიზიდან გაშორებამ და უხსოვარ ძირებით გადაბმამ.

ავტორის თითქოს ნაწილად დღის „სულ განსხვავებული გაქანების“ პრობლემები, მსოფლიოს რომ აწვალდებენ, ამ „ძირების“ მონაცემებით აესხნა. ეს კი, ჩვენის აზრით, ხშირად სახიფათო სახეს იღებს და „ქართულ ფენომენსაც“ უცნაურ ასპექტში აჩენს: ვანსაქუთრებით ამ რომანების გმირი ქალები გვევლინებიან ამ უცნაურის სახით და ქმედობით...

ამ რომანებში გვხვდება გამოვლინება ქართველი ქალის იმეგარ „ხატის“, რომლის დასვენება ჩვენის სულის უძველეს ტაძარში შეუძლებელი ხდება.

აქ გრიგოლის მიერ მითოსად აუყვანლ წმიდა „ჯვარის ეახისას“, წმიდა ქალწულის თმებით შერკულს, საქართველოს ამ უძველეს სასივებს, უსულოდ მოდგეს წარმართული „ათქვირებული და გახელებული“ (ორივე გრიგოლის მიერ განმეორებით ნახშირი ეპიტეტებია), ენებით და ექსტაზით ატაცებული ქალი.

უცხო მკითხველთან შესაძლოა ქართველსაც აიტაცებს რომანის უცნაური ხალათები; კერძოდ გიჟური ტალები, მისტიურ, დიონისიური აზრებები და სტიქია ენებისა, რომელსაც ზელოვნურად და, მისთვის ჩვეულ „სახეთა და სიტყვათა“ არსენალის მიშველებით, აცოცლებს ავტორი.

მაგრამ ქართველ მკითხველს აქ მაინც რჩება გრძობა რაღაც საკვირველების, ძალდატანების, რაც ჩვენს ბუნებას არ უდგება და აწუხებს.


მისთვის გამოუცნობია მთელი ეს დიონისიური ატმოსფერო, იგი უცხო „სფეროდ“ რჩება: მარტო მზიურ წვაში და ენებში ქართველი დედის, დის, გამდელის და ასულის ფენომენი ჩვენთვის ვერ გაიშლება. სამაისო „მასალას“ მრავალი „ცხოვრება და მოქალაქეობა წმინდა და ნეტარია დედათა“ არ გვაწყდის.

ქართველ ქალთა „სიყვარულს“ გზა და მისი ფენომენი სულ სხვა იყო და ამის „დოკუმენტაციით“ სავსეა ჩვენი ძველი და ალორძინების მწერლობა (გრიგოლ ხანძთელზე უფრო ადრინდელია).

ეს სიყვარული ერთგული და უცვლელი რჩებოდა, იყო ის რაიმე შემთხვევის გამო აცდენილი და დროებით დაშორებული (ნესტანი და თინათინ), თუ სამუდამოდ ჩასვენების გამო „სევდის საგუბარად“ ქვეყლი, ასკეტური...

რასაკვირველია, იყო და არის გამოჩაჩისები, „საკეტობას“ და „სიკვდილამდე ერთგულებას“ რომ ამარცხებენ; მაგრამ ეს თვისება, მაპატროს გრიგოლმა, ვერ

განაპირობებს და ვერ ახასიათებს ქართველ ქალთა ისტორიულ გზას.

მეტყენის ხსენება: მაშ, როგორ ავსნიანქანდნი და მარჯვება ამ რომანებისა გერმანიაში? 

მაპატრონ მათაც, რომელთ ჩემზედ უფრო მეტად არ უყვართ გრიგოლი და არც თუ უფრო მათზე ნაკლებ ვაფასებ მას, რომელმან მხატვრულად გამოიტანა და გაშალა „საქართველო“ ევროპაში და ეკრძალ გერმანიაში. გარდა ავტორის ინდივიდუალურ, მკვეთრ ნიქისა „გამარჯვების ასახსნულად“ აქ სხვა „ფაქტორი“-ც უნდა მოვიშველიოთ: გერმანია გეოგრაფიულად იყო და არის უახლოესი ქვეყანა, ბოლშევიზმის აწყვეტილ სტიქიას რომ ესაზღვრება.

ამ „რუსულის“ მისტიკა, ამ მოხეტეებულ უტებ ტალების არის „ახსნა და დახსნა“ თავიდანვე აწვალეზდა „პოეზია და მოაზროვნეთა“ გერმანისა...

ეს მითოსური სახე იყო სახე სტალინისა, მისი ფენომენი, რომელს შორიდან მოაქონდა სუნთქვა ჩინგიზ ყუენისა და თუმცა მას რუსული „ბლუზა“ ჩაეცვა, მაგრამ იყო ქართული გვარის, ნაშობი ქართველი ქალის მიერ.

და ეს ჩვენი საუკუნის უდიდესი და საშიში ფენომენი ყოველ მოწინააღმდეგის ძალას მაგურად და ქმითურად შლიდა...

რა იყო ეს ხაზზე? ასეთი პატარა საქართველო, უძველველი რომ წარმოეშვა?

რა დედამ შობა ეს უმეტესი სტიქია ჩვენი ეპოქისა: იოსებ სტალინი?

ვინ ახსნის ამ მისტიკურს?
და ამ ძიებისა და დეზორგანიზაციის ხანაში შემოიკრება პატარა საქართველოდან ქართველი მწერალი, რომელიც თავის რომანებში იძლევა ვასალებს ამ საიდუმლოებისას, ახსნას სიმბოლიკის და მისტრიებისას, ცილით ფარად აუწია.

და ეს ყველას იტაცებს... მაგალითად, მაშინდელი ცნობილი მწერალი და მოაზროვნე პერმან კიხურლინიც გრიგოლის რომანზე სწერდა:

« Das ist das erste ganz tiefes Buch über das bolschewistische Russland... Mit ungeheurer Hellsichtigkeit hat Gr. Robakidze das Wesen des neuen bolschewistischen Menschen erfasst... »

ასევე ახასიათებდნენ სხვანიც; აიღეთ, თუ გნებავთ, ისეთი დიდი გაქანების და ერთდროისი მწერალი, როგორცაა სტეფან ცვაიგი, რომელმან გრიგოლის „გველის პერანგს“ წინასიტყვიანა უძღვნა. აქ ცვაიგი ავეიწერს ევროპისათვის ჯერ უცნობს, სრულიად ეკსოტრიკი ქვეყანას, მის ხალხს, ზნე-ჩვეულებას, ქართულთა ცხოვრების სტილს.

და ყველა ამ „ჩვენებით და ხაზებით“ აღფრთოვანე-

ბული, უცხო ეთნობებით მოჯადოებული მწერალი ამბობს, რომ ამ რომანიში ის ნათლევ აღიქვამს მისთვის სრულიად ახალ სამყაროს, რაობას უძველესი საქართველოსას... აღწერს „დედამიწის უმწვენიერეს კუნძობს, სახელგანთქმულს თავისი სიმღერობას, ლევანდებით და სამარცხვინოდ ჩვენთვის, ევროპელებისათვის ჯერ გაუცნობს. თუ რადენ მდიდარია იგი მითოსურის ძალებით, აღსილი გმირულის სულით და ამავე დროს ზღაბებული თანადროულობას, ეს პირველად პოეტის ამ წიგნიდან გავიცავ... აქ ცხადდება სრულიად ახალი და არა ჩვეულებრივი ზონა ჩვენი ახალი ნდომის სულის წრეში... ავტორს უნდა ვგმადლოდეთ ამ ეკსოტიურობისათვის... მან, ამ წიგნმა გაზინათა პორიონტი ეკსოტიურის მიმართ. ძღვეამოსილებით გამიცხადა სიცოცხლე დაუშვებელი მითოსისა“ (იხ. „სტ. ცვაივის წინასიტყვაობა“, თარგმნილი მაშინდელ უფროსად „ქართული მწერლობა“).

აი, ეს სამყარო ის მაგიური ძალა, ის აუხსნელი მისტერია, რაც მოდის რუსეთის დაუსრლებელ სტეპებიდან... და სტეფან ცვაიგთან მრავალ სხვა მაშინდელ მოაზროვნეთ და მწერლებს გერმანია-ავსტრიისას, გარკობაქიძე მიანიშნათ ამ ეკსოტიურ სამყაროს საიდუმლოებას ამხსნელად. მათთვის ბოლშევიკური ქვეყანა ხომ რომანტიულ „ეკსოტიკად“ ისახებოდა!

ეს იყო იმ ეპოქის დიდი გულუბრუნელობა, რაც მათ ასე ძვირად დაუჯდათ და უჯდებოთ დღესაც.

თითქმის მთელი მაშინდელი ევროპა ამ „ეკსოტიკას“ თვალაცუცხებით შეკუთრებს და დიდი ტრაგედიის და მისი რეალობის არა ესმის რა. მას მხოლოდ სწავლია „დიდი ქოლოვის“ მისტრიკის ახსნა, მზერით ათვისება...

და ქართველი რომანისტი გრიგოლ რობაქიძე თითქმის იძლევა გზას პირველ წყაროსთან მისაკვლევს — „წყაროს თვალთან“ მისასვლელს.

და ევროპიელ მკითხველს ატყვევებს თუნდ ასეთი „ეკსოტიკა“:

„სამეგრელოს მშვენიერი ასული „მეგი — ქართველი ქალწული“, ახლად აყლორტილი (18 წლისა) მყის აწივება აფხაზ ასტამურ ლაქაბაიას სიყვარულით... მას იტაცებს უცნაური, გიჟური წყურთელი, და დასულილავა აქენებს კლდე-ღრეებში ასევე ეთნით ანთებულ ცენს; ატარებს ამ ვაჟის, ასტამურის, ნაჩქარ, უმწვენიერეს, თოვლივით თეთრ მიმინოს. მიმინოს ამაჟო შერა, მისი უცნაური, მომაჯადოებელი თვალბერი ივიკა, რაც კოლხის ასულ „მედისას“, ის დღეს მეგის „ხატში“ მისტრულად გაცოცხლებულა... უცქერის თავის ოთახში მეგი ამ მშვენიერ, იშვიათურ-იშვიათ თეთრ მიმინოს; უმანკო ქალწული უმზერს ფრინველთა ცო-

ცხალ ზღაპარს და... მოულოდნელად წამოხტება, მკვარდება საყვარელ ადამიანის ნაჩქარ მიმინოს და ხელით თავს წაწყვეტს. უცქერის მის უმანკო წინსხლს და ისევ წეება... თითქმის აქ მედია ამარცხებს მტრის, შურს იძიებს... თითქმის ეს იყოს ძველ ამორძალთა ამეტყველება ახალ დროში.

მაგრამ გერმანელი მკითხველი ამ „მედია“-ში ძველ მითოლოგიას კი არ ხედავს; აქ ის თითქმის კოლხის შვილის, „ფლორანდი კაცის“ სენტქეის საიდუმლოებას ხსნის; მისი დამშლევი და დამრღვევი ქოლოვის მისტერიის ახსნას პოულობს.

მაგრამ ჩვენ, ქართველ მკითხველთ, ეს „გასალები“ ყალბად გვეჩვენება და არა მხოლოდ ყალბად... ის გვესახება ქართველ ქალწულის სრულიად აცდენელ ტოხადა. მისი ატავისტური თვისებების დამდაბლებად, ავუნედ, შიშველ ენებად დაყვანილად... მაგრამ მეგიზე უფრო უცნაური და უარესი არიან მისი დედა — ციცინო, მისი გამძელი — მენიკი და ზევი სხვა.

ასეთები არიან გრიგოლის დანაჩენ რომანებში გამოყვანილი ქართველი ქალები; ისინი ენების წყაროს მისტერიულ სახეებად იწვებიან.

მაგრამ, როგორც ვთქვი, ამ ჟამად მე გრიგოლის იმ შემოქმედებაზე შეგჩერდები, რაც მას საქართველოს მიწაზე მოუტია; ხალხ რომანებს, მეტ წილად უცხოელთათვის საგანგებოდ დაწერილს, მინდა ნაკლებ შევეხუ. ნუ მიწყენს ამას ჩვენი დიდი არბსტი და მეგობარი.

ამ „გვერდის ახვევას“ ისიც ამართლებს, რომ მისი ზოგი რომანის და კერძოდ „გველის პერანგი“-სა და „ჩაკლული სულის“ კრიტიკული შეფასება მე თავის დროზე უკვე გადავიტანე ქალაქზე, და ჯერ კიდევ ჰამბურგში გრიგოლის ყოფნის დროს (სადაც იგი არა ერთჯერ გვეყავდა ხალხმე), გამოქვეყნებამდე, პირად გასაცხადებდა ვადავც.

მაშინ ის ხელნაწერი მან თან წაიღო და შემდეგ აღარ დაუბრუნებია.

მე მივხვდი, რომ გრიგოლს სულ სხვა რამ აფიქრებდა; მას აქ უნდოდა ბოლშევიკური ხელისუფლება კედლე უფრო მტად გაეფთხოებინა.

იმ ჩემს წერილში მე ვრცლად ვეხებოდი „ჩაკლული სულს“ და ქართველ მწერლობის ტრადიკულ ბედს ავსახავდი; რომანის გმირში, მგოსან თამაზში, მე გრიგოლის პრაფილი ვხსნიდი... იქ, ნილბას ქვემ გრიგოლს ვეხადვდი; მის მძაფრ ნაკვეთ ინდივიდუალურ ბუნებას და ზრახვებს... მგოსანს, რომელიც დიდის მოხებრებით და „აკრობატობით“ კოლქტივიზმის წითელ ტალღებში დატყარავდა; ცალი ხელით „მზა-

რულს გადაიღა“ და მეორეთი ნიღაბს იჭერდა. ეს მართლაც სახიფათო პოზა იყო...

ასე ხრავდა და შლიდა ქართულ შემოქმედების სულს ბოლშევიკური სტიქია.

+

სამწუხაროდ, არ ვიცი, რა ბედი ეწვია იმ ჩემს ნარკვევს... და არა მარტო მას, არამედ საერთოდ მიღეს არჩევს ვრიგოლ რობაქიძისას, ამ — ჩემის აზრით — საქართველოს მწერლობისათვის მეტად საინტერესო და საყურადღებოს.

ქართული მწერლობის „ჟამთა სიივის“ ქრონიკებში — „ჩაკლულ სულ“-ში თითქოს წინასწარაა ხილული და განცდილი ბედი გრ. რობაქიძისა; სამშობლო, მისი საყვარელი მიწა რომ ჰაზარდისწეროდ მითარგევისინს და გაუგონარ წამებში დასწვეს.

ამ რომანში მოკემულია ნამდვილი სურათი ქართველ მწერლის სულიერი სამყაროს და შლისა, მისი წინანსწორობისა, პიროვნების და ადამიანობის დაცემისა, დამდაბლებისა და წაშლისა.

ვინ, რა ხერხით და როგორ აცლის ხერხემალს ქართულ შემოქმედებით გენიას? გენიას მრავალ საუკუნოვან ისტორიას რომ ითვლის?

ამის „გასაღებს“ გვაწვდის ავტორი „ჩაკლულ სულ“-სა.

ეს უცნაური ძალა არა მხოლოდ მოდერნულ საჭურველში ჩამდგარია არამა მოსკოვისა, არა მხოლოდ მოხეობება დიდი რუსეთის ავტორებულ სტიქიისა...

ამგვარ „დაწოლას“ მუდამ უძღვებდა საჭირველო. ბეგრი ახსოვს გადაქელვა, წამებათა საუკუნეები, ასე მიმიღედ რომ აწვა ჩვენს ქვეყანას და მის მწერლობას...

მაგრამ ჩვენს მატანეს არ ახსოვს ისეთი მისტიკური, დემონიური და „შომშლეული ფენომენი“, რაც ამ წითელ ტალღის და ჯარის მიღმა იფარება.

იფარება, რათა მხოლოდ ხანდისხან გამოვლინდეს და უცნაურის, შუშის (ან ვრიგოლის განცდით: რებტილის) თვალებით, შემოგზნების, გაგტების და დაგშალოს; რათა მისმა მაგიამ უცებ ამოაშროს შენი ნების წყარო და ავაცალოს სიცოცხლის ყოველი ენერჯია. ამ რებტილის თვალშია შინაგანი ძალა დემონისა, რომელი სინაზარტხანდში აედევნება მგოსანს და მგვარად ხდის; და შენში რჩება მხოლოდ იმდენი ძალა, რამდენიც საჭიროა, რათა შენ თვითონ მიხვიდე და პირში ჩაუვარდე იმ ვეშაპს, დიდ „რებტილს“, ისე როგორც მონღსხულთა ბაჟია, ან თავგი, მთელის ტანის ცახცახით, დიდ გველს ხაზაში უფარებდა.

ეს არის „თვისება“, ანუ „ნიჭი“ რუსული ბოლშევიზმისა, რომლის სათავეები მის რელიგიურ სექტებში, მის „შამანებ“-ში, „ხლისტებ“-ში და ნაირ მისტიკი-

ებში იმალება. ამის გახსნის წყურვილი ჰქვავდა დოსტოევსკის, სოლოვიოვს, როზანოვს, რამინოვს, ანდრეი ბელის და მრავალ სხვას...

X

„ჩაკლულ სულ“-ში იწყება პროცესი გაორებისა, „დენის იქვის“ ჩაწვეთებისა; პროცესი მისტიკური შინაგანი, რომ ამ „თვალმა“ შენი შინაგანი უკვე იცის და მის ველარსად წაუზვალ, რომ ამ რებტილის ხედვით მთლიანად გახსნა შენი ნაფიქრი და ეხლა მკრთალად გაეღებულე ზრახვასაც ხსნის.

ეს პროცესი ბევრად უფრო მტანჯავი და მომშლეულია, ვიდრე მისი ფინალი, თვით სასჯელობა.

აი, ამ დემონიურ ატმოსფეროში ცხოვრობის ჩვენი მწერლობაც; ეს ყველაზე სათუთი, მკრძობიარე ბარომეტრი ერის შინაგანი ანთებისა და ჩაფერფელისა აი, ეს პროცესი დიდის ხელოვნებით და უშუალო აღქმით გაიშვავდა გრიგოლმა თვის უკვდავ „ჩაკლულ სულ“-ში.

ეს რომანი ბევრგვარად ავლენს მის პირად განცდებს, შინაგან ტანჯვას და შიშვე, სახიფათო ბილიკებით სვლას. უცხოელ და შინაურ მწერალს წარის გარეთ და შინ, დღით და ღამით ის თამაშია — რობაქიძე დიდის ნიღაბით, ალაპარაკებს სხვას უნებურ იტყვის უცნაურს და შემდეგ იწყება მისი გაორებული ბუნების მძაფრი შუშის. ავლენდება ბრბო, სტიქია, რის უკან იმავლად ივღე შუშის თვალის, რომელი იღმული „დიდი უროზის“ ამ თვალწარმტაც სილამაზის თეთრ, თველივით ქათქათა ცხენს და ჩაჰქოლავს, წამებით ხდის სულს. რად? იმიდ, რომ ის სხვა, უცხო, წარმტაცი და აზვეებული იყო; ზღაპარი... და „სიკბადის კოლექტივი“, კაცუნების დიდი ხროვა ამ მშვენიერების, დიდ კონტრასტს ვერ უძღვებ.

და ჩაჰქოლავს, მოჰკლავს კომპლექსების ველურ ენერჯით ეს სიმშობლო თეთრი შვენებისა.

ასე ჩაკლვენ ჩვენი მწერლებიც, და მათ შორის გროვალ რომაქიძეც.

და განა მარტო ის? ამ „რებტილს“ ჯერ ვერვინ გადურჩა, ვერსადა...

ააა

მისთვის ჩვეულ, მოკვთილ ხატოვანობით ავიწვირს გრ. რობაქიძე სტიქიის უკან მდგომ „პატარა“ კაცს, რომელმან ქვეყნები დასძრა; აჯანყებას, თავდაუპყრელ აზვითებას იდეოლოგია შეუქმნა, ანარქია ორგანიზაციად მონათლავს; მიჰყვად და სხვანი, მილიონები მიუშვა, მაიდენა.

გრიგოლი აქ მოსჩანს როგორც შეუდარებელი პორტრეტისტი. „ხატში“ რომ უტყუარა ბუნებას და ძალას შლის; ის სწერს:



„ლენინი“! ორ ხმოვანში ერთი ფიგურა იჭრება... კათოდრაზე დაბალი კაცი, ჩასკენილი და დამოუკვილი. მაგარი თავი. ტიტველი გრანტი. მაღალი შუბლი და უტეხი კორბები შუბლის. თავის ქალა ოდნავ ჩაწული ქორბითან, მაგრამ კევა მტკიცედ ამოკორბილი... თვალები მონგოლის; წვერილი. ერთი — მოხუკული ოდნავ; უნდობი და გამხვრეტი. მეორე — ვანზე მოცეხი რალი თითქო, თვალები თვალში გეკრებინა და თვალბე, იქითა... ინდუბინა. მთელი ფიგურა — უგლომი... თითქო ყველაფერი ხედება წინასწარ, როგორც მორკინალი. ლაპარაკობს. ხმა ერთფეროვანი: არც პაუზა, არც ინტონაცია. ფრაზა დაგრაგნილი და დახვრეტილი. არავითარი პლასტიკურობა... ხელის თათი ფართო; თითები მოკლე სწანან; ასეთი ხელები აქეთ ვაჭრებს: მთაში უზარმაზარ ხეებს რომ კოპავენ და ტივებისათვის მთის თხემიდან ხეში ჩაუშვებენ. ლაპარაკობს. არა: წაღიით ხის მაგარ ტოტს სჭრის. ნაჯახით ნაწორს აპობს. ტურტებზე ირონია არ სცილდება... მაგრამ აპა: თითქოს ლასოს გაისროლა და ველური ურა ცხენი დაიჭირა... და ირონია ტურტებს სცილდება. ფიგურაში არის ძლიერა და გამარჯვება. მთელი სხეული დაძაბული ყველა კუნთებით... უტეხი, უღრეკი... არავითარი იქვი. ერთი გეზი. ორგველი: ყველაფერი ამ გეზისათვის გამოსაყენებლად. არა, არ ლაპარაკობს: ნებას სკედავს ქველდობისათვის. თითქოს გინძობს ხანძარის ასანთებად... არავითარი სკედავს და არავითარი სილბილე. — და კაცი (ლენინი) თითქოს ამ მოდგმის მორგევა კუნთბეაყრილი... — ფატუმის მოარგი. (გველის პერანგი, თავი „ნორდ-ოსტ“).

აქ მოცემულია რუსული ბოლშევიზმის მხატვრული ვიზიონი.

ის უფულოდ, ცივად მიაბიჯებს და სრესს. მას გული არც აქვს და არც სჭირია. მაგრამ ქართული გული ხომ სულ სხვაა. და ეს გული, თუნდაც ნახევრად გადაგვარებული, სამშობლოდან შორს მყოფი, მაგრამ მაინც ქართული გულია და სხვა რიტით ფეთქს...

აი, არჩინადალ მეკეში (მაყაშვილი, ძველ ირუბაქიძეთა ძირებზე ამონაყარი): ინგლისელი ქართულის სისხლით და გულით. აი, ამიტომ მისი გული ნათესავია არაბულ ცხენის გულის რიტმისა.

როგორია ის?
„არაბული ცხენის გული ექვს კილოს იწონის. ამ გულს ფეთქს რა შედარება?... და ამიტომაც არჩინადალ მეკეში „გულიც“ საგულთს ვერ ეტევა. ვაყი თალაში ვერ ეტევა. გადის ვარეთ, მიდის უმინოდ... ის გულს მიჰყავს, მის უწყაურ ცემას, რიტმს. რა შეარჩევს ასეთ გულს და მის „მზერას“ ლენინ-

ნების გულთან და მზერასთან? აი, ტრაგედის სათავე, რამაც ყველგან, ყველაფერი და ყოველი იმსხვერპლა. და ჩვენი მწერლობაც მისთვის და მისგან... სამსხვერპლოდ“ დაკლული უმანკო კრავია...

ამ „ლანას“ ვერ გადაურჩა, ვერ დაემალა გრიგოლ რობაქიძეც.

და ქართული გული მოექცა მიღწერებულ მონგოლის ხელში, „რომელიც მთებში უზარმაზარ ხეებს კოპავენ და ტივებისათვის ხეში ჩაუშვებენ“... ამ ძალამ მორცვად მიიღო არაბულ ცხენის გულივით მფეთქავი გული ქართული კაცისა და ნებას მას ის ტივებად შეჭრას. ვინ უნდა შეჭრას იგი გული?

გაეცხსოვოთ კიდევ გრ. რობაქიძის მიერ უბაღლოდ გამოცემი პორტრეტი ამ „ტივების შემცვერლისა“:

„ლენინში მოცემულია მთელი რუსეთის „საშო“, აქ არის რუსეთის ველი, რომლის უკიდურება შიშს პბადღებს. აქ არის გიჟური მოხედვა მღვრიე ქაოსისა, რომლის გულგინი ქვეყნელში ტიუტეგება ვაიონა. აქ არის ნგრევის რიტმების აგორება, რომელსაც თან გადაჰყვა სკრიაზინი. აქ არის სლაფური შეტევა სამყაროს მიმართ... მასში უთუოდ არის რასიული გაჯანება მონგრეული მონღოლითის... ახალს ისტორიაში ასეთი ცეცხლი მგონი არავის არ ჰქონია...

აქ არის სიციხე ჰანინბალის და რისხვა თიმურის... ასეთი აგებადვა“ სამყაროს მიმართ არ ჰქონია არავის... თვითონ სახელი მისი — „უღიანო—ლენინი!“ — მოდის ისე, როგორც ურავნი. ის მოცემულია, როგორც ძელქვის კოპი — უტეხი და უფეცილი. ის სასტიკია, როგორც მოქნეული ხრამლი... მასში მოსძანს „უპიროვნო“ სახე, თვითონ ისტორიისა. ამისთვის არის ის საოცარი და საშიშარი. ასეთია „ფატუმში“ თვითონ. (იხ. გრ. რობაქიძის წერილი ლენინზე თბილისის „კავკასიონ“-ში.

+

ამ „უფულო“ უცნაურობის „მორგვის“ დაპირისპირება ქართულ გულთან მრავალნაირად აწვალბებს ჩვენს მეგონებს და კერძოდ გრ. რობაქიძეს. აქ გაუგონარი განსხვავებაა, რის ძირები მისი წარსულისაკენ გვახედებენ, როგორც „გველის“ თვის პერანგიდან“ გამოუსულს.

ქართული ბუნება კი ამ წარსულში მუდამ ნათელ გულის ცემას ხედავდა. ეს სიტყვები არაა... ესაა ისტორია; ესაა „ქართლის ცხოვრება“ და ამ ფენომენზე მეტყველებს გრ. რობაქიძე ხელოვნად არტისტით... ამ სურათში სწანს კონტრასტი „მეტიცესთან“ თბილისში: „ვიწრო ქუჩაში პატარა თოხანა გამოსკუბული... პატარა ფანჯარა, პატარა მაგიდა, პაწა ლამფა. მაგიდას ორი ბავში უსხედს. უმცროსი კითხულობს;

იგი შეიღო წლისა, ხელები ჩვილი და თვალები ნაღვ-
ლიანი.

— რა სწერია — ეკითხება უფროსი.

— თავსა კობტისას შერევილიაო...

— ვინ?

— მანზე, ევარსლან, დადიანი კოტნე, ვარამ გაგე-
ლი, ჯანყვარე, კუპრი შოთაძე, პერელი, კახნი, თო-
ბულნი, გამრეკელი, სარგის თმოგველი, მესხნი, ტაო-
ვლინი...

— ჩვენ უმეფონი ვართო... შეგვრბეთ ყველანიო,
ეგზოქოლით თათართაო.

— მერე?

და მეამეთ გაგრძელებას „ქართლის ცხოვრების“
ფურცლებიდან ჰკითხულობს პატარა. მარცვლავს „უა-
მთა აღმწერლის“ ნათელ სიტყვებს ნათელი გულის
შესახებ:

... „ვითარ იხილა ესე კოტნე წარჩინებულნი ესრედ
უპატიოდ მსხდომენი და სიკტილიად განწირულნი,
ეუბრდაჰდა ჰუნისაგან და დასაზიდა სამოსელი თვისი,
განწიშვლა და შეიკრა მხარნი და დაჰდა წარჩინე-
ბულთა თანა მწუხარედ“...

და შემდეგ:

... „ვითარ ესმა ეს (სიტყვანი კოტნესი) ნიონთა მით
განჯივრდეს სათნოებისაგან მისისა და თქვეს: ენითი-
გან ნათესავნი ქაზველთანი ესოდენ კეთილ ხართ და
არა ეტრუებიან ერთი ეროსა, რომე აფხაზეთით მოვი-
და კაცი ესე დიდებული, რათა დასდევას თელი თავისი
მოყვასთა თვისისათვის, და განწირა თავი თვისი სი-
კტიდით, არა არს სიკრუდ მით შორის და ამისათვის
უბრალოდ ვჰპოვებთ“...

ეს იყო მაშინ, მეცამეტე საუკუნის დასაწყისს... დღე-
ის მოგვლემმა ასეთი „განტყვება“ აღარ იციან. ეს
რათი გრიგოლმა გაგვიცოცხლა...

ამით „უამთა სიავის“ ახალი ჯურღმულეები ძველის
სურათი გრიგოლმა გაგვიცოცხლა...

*

აქედან გვინდა პირდაპირ ვადავიდეთ გრ. რობაქი-
ძის ქართული გულის მეტყველებაზე, რაც მან თავი-
დაწვე, ნახევარი საუკუნის წინ, უცნაურ ფერებად გა-
გვიშალა.

ვის არ ახსოვს (ჩვენი თაობიდან) გრიგოლის კრიტი-
კული წერილები, მისი აფორიზმებით გამდიდრებული
ახსნა და გამოვლინება ქართული ენის, სიტყვის, ხა-
ტის და ბუნების? ერის გენისი, ღირსების და თვისების
ჯადოსნური ამეტყველება?

ვის არ ახსოვს მისი მომთაბრუნებელი ლექციები
აკაიზე, ილიაზე, ვაჟაზე, ბარათაშვილზე და ახალ ქა-
რთულ მწერლობაზე? მაგონდება: ჩვენი ცნობილი მწე-

რალი და მოაზროვნე არჩ. ჯორჯაძე, რა ადრთოთეა-
ნებით სწერდა იგი გრიგოლის ამ ლექციებზე, ქართულ
პოეზიის და ესთეტიკის კითხვების ~~სტრუქტურაზე~~ ახა-
ლის გაგებით და მიდგომით.

და განა მარტო არჩილ ჯორჯაძე? ვადაშაღეთ (თუ
სადღე კიდევ შეხვდით) მაშინდელი ჩვენი პრესა და
დაწამულელები, რომ ის იყო მრავალ პრობლემათა აღ-
მძვრელი და ხელოვნების ცეცხლით ატაცებული. ასე-
თი არის მაშინდელი მისი წერილები შოთა რუსთა-
ველს (იხ. „გვირგვინი“, კრებული სამოს ფირცხალა-
ვის რედაქციით), ვაჟა-ფშაველას, რომლის „გველის
მკამელზე“ გვიოლომა რუსულ „რუსსკიაი მისლ“-ში
შესანიშნავი წერილი მათათვის; საერთოდ მისი წერი-
ლები ქართულ მწერლობაზე ვახეთ „სახალხო ვახეთ“-
ში, სადაც ის ათავსებდა ნარკვევებს ქართული ხელო-
ვნებაზე და ლიტერატურაზე „ბარათისში“ სახით; არჩილ
ჯორჯაძესთან, კიტა აბაშიძესთან, ივანე გამართელთან
და სხვა მწერლებთან.

ამას მალე დაერთო მისი გამოსვლა „მანიფესტებით“
„სიფერე ანწებ“-ში, სადაც ის ქართულ სიმბოლის-
ტებს გზას უკვლევდა.

ამ გამოსვლებმა ჩვენს პრესაში დიდი შეხება-შემოხ-
ლა გამოიწვია. მაგრამ გრ. რობაქიძის დამსახურებად
ჩათვლება ესთეტიკური კრიტიკის ვაშლა ქართულ მწე-
რობაში. ამასთან მრავალი ახალგაზრდა პოეტი მან
პოპულიარული გახადა და წააქეზა.

დადა ჩვენი ეპოქის ყველაზე დიდი ხანა: რევო-
ლუცი და მალე ერთნაირი განათავსებულება. ამ ამ-
ბეზს პოეტური აღზნებით შეხვდა ჩვენი მწერლობა.

აქ მკვეთრად უნდა გამოჩენილიყო გრიგოლის აღ-
ზნებული პოეზია... მაგრამ ის ამ ხანებში ძველებურად
აღარ სჭედა...

ჩემთვის ეს გაუგებარია არ იყო.

გრიგოლი იყო ბუნებით ესთეტი, მაგრამ არა რევო-
ლუციონერი. შეიძლება მის სიტყვით აზვეებულად გა-
ეშალა რევოლუციის სტიქია, მაგრამ იწილით ის მის
გარეშე არჩობდა. ის იყო ქემშარიტი ანდიდულის-
ტი, რელიგიურ-ესთეტიურ პრობლემებით გატაცებუ-
ლი, მაგრამ მასის ქედობა, „მატერისი აჯანყება“ მის
შინაგან მუდამ აფრთხობდა.

მის ახაზუნდა საქართველოს აღდგომა, მისი დამოუ-
კიდებლობა, მაგრამ ის მას ვერ ესხეულა, როგორც რე-
ვოლუციის თანდაყოლილი აქტს... ერის ახალი ძალებიც
გრიგოლისათვის გარეშე იყვნენ და ის ისევ თავის
„პოეტების ცეხთან“ დარჩა.

ასეთი იყო მისი ბუნება, ახალ ვითარებაში და აზ-
ერთებაში ვარჯიშეული და ჩათბობილი. თითქმის
უცდიდა დროს, ამბავთა და მოვლენათა დადუღებას
და ქართული ესთეტიური რაობის ნელნელად გამოღვი-

ძეპს ეროვნული თავისუფლების წიაღში.

მაგრამ, საუბედუროდ, ეს დრო ჩვენდა სასარგებლოდ არ განვწყუ.

„ბედი ქართლისა“ ისევ უკულმა დატრიალდა და ახლად გაწლილი ფრთები ეროვნული შემოქმედებისა კამათა რისხვამ მოსტეხა. ჩაჰჭრა ლამპარია... და აქ, მწერალთა წრეში გამეფდა დიდი სევდა, დაბნეულობა...

ზოგი საშინელმა უიმედობამ და შვიმა პესიმოზმმა მოიკო. „ასეთი ყოფილა“. ამბობდნენ ისინი, „მაზად ჩვენი ბედი. საქართველოს გამძლეობის ხერხემალი აღარ გააჩნია. ჩვენი ეროვნული ენერჯია და გენია უფრო ფანტაზიის ნაყოფია, მოჭორილი ამბები, ვიდრე სინამდვილე“...

ასე გულვატებით დასტორიონენ ჩვენს წარსულს და აშკინის ზოგი მწერლები და ამის ირგვლივ მაზინ დიდი კამათი ვამბობთა „ქართული მწერლობის“ ფურცლებზე. პესიმისტურ განწყობილებაზე მტყვევლება ჟურნალის რედაქტორი, პოეტა ნ. მიწიშვილი.

საჭირო იყო ამ უიმედობის და უღიაჯობის გზის ჩახტევა, მისი შეყენება... მაგარი ძველებური შეძახება და ახალი იმედის ნაპერწყალის გავლივება.

×

იმ ხანებში ზოგს იქნებ ეუცხოვა კიდევ: რომ სწორედ ინდივიდუალისტი, რევოლუციების „მოძულე“, შინაგან კარჩაკეტილი გრიგოლ რობაქიძე, შეიქმნა ეროვნული პესიმოზმის მოწინააღმდეგეთა მეთაური.

ესლა ეს ინდივიდუალისტი და მისტიკოსი ძლიერი და ურყევი ნების ავღზნებით დაესხა თავს „პესიმისტების ბანაკს“ და ნამდვილ პატრიოტულ რევოლუციონერად მოგვევლინა ამ სულიერი კრიზისის ეპოქაში.

გრიგოლ რობაქიძემ ახალი „უელიგია“ ქვაყუთხედ დაულო ნაციონალურ სიმტიკეს. საქართველოს წარსულში, მის გმირულ ისტორიაში, როგორც ყველაზე ძვირფას და მეტყველ „რეალობაში“, ჰპოვა მან ეს ენერჯია გამძლეობისა, ატანისა და რაინდული ბრძოლისა.

მისი ჩარევა იმ კამათში ნამდვილი ბრძოლის ყივიანა, ქართული ატავისტური ენერჯიის გამოვლინება და „ჭირთა შიგან გამაგრება“, უიმედობის და ექვემის გაფანტვა...

მე პირად არ მეუცხოვა გრიგოლის ასეთი შინაგანი „რევოლუციონერობა“, და მისი სიტყვები, ქართული მწერლობის მედროშისა ამ ძნელ ბედობის დროს ბევრნაირად ბუნებრივად ჩავთვალე.

დღესაც ერთგვარი აუღელვალე კითხვობლბ შინაგან ქართულად დაძაბულ გრიგოლის ამ ნათელ და მართალ თქმას „მიწიშვილი (მისინი ამყონი“)“, საქართველოში ღვთის ხელს ვერ ნახულობს“... „აქ უფრო ტკივილია,

ვიდრე აზრი... ეს სულის კრიზისია... თუ პრესტორიულ ხალხებს და თანადროულ „ველურებს“ ვანიჭებთ გენისა, დავიჯერო, რომ საქართველოს წესდამაგნითი მაღლი?

„არა არის მაშ“ „ქართლის ცხოვრება“?

„მე ელაპარაკობ სერიოზულად და ჩემი თქმა არ არის „ფრაზა“. მთელს ქვეყანაზე ძვირად მოიპოვება საღარი „ქართლის ცხოვრების“. ეს არის არა მარტო „ისტორია“, არამედ ნამდვილი „ეპოსი“ — დიდი ეპოსი დიდი ხალხისა, და იშვიათია ისეთი პოემა (არა მარტო ჩვენში), რომელსაც შეეძლოს დაუპირდაპირდეს ამ მხრით „ქართლის ცხოვრებას“. აქ ყოველი სიტყვა თითქოს მთაოლოგიური ტატიტის მიერ იყოს დაწერილი. და თავი და თავი: სიტყვისა და სიტყვის შუა დარჩენილია უთქმელი, რასაც სიტყვა არ სჭირდება და რომელს ისტონთავე მხოლოდ. აქ არის „სურნელი“ გარდასულ ხანის. (ნამდვილი ნიშანი გენისის), როგორც ბერძნების „ლილიად“-ში, როგორც ბაბილონელების „გალგამეშ“-ში“.

გრიგოლი აქ ჩიხში ამწყვედევს უიმედობით შეპყრობილი და ეტყვის:

„და გეკითხებით მე: „ნუ-თუ „ქართლის ცხოვრება“-ში გენისი ცეცხლის ნატყვისი არ არიან?“

„მაგრამ ამ კიდევ ცოტაა.

„ქართლის ცხოვრება“ ღიადია, როგორც „ეპოსი“, მაგრამ უფრო სიოცარია იგი, როგორც „ისტორია“...

... „და ეს ამბავი, მომხდარი ათას წელს უკან, თითქოს შენი საკუთარი ამბავია, მომხდარი ენლა, შორეული და ენლა მომხდარი ამბები შენის ერის... ასეთი გზნება ისტორიისა შერჩა ებრაელებს (უფრო, ვიდრე რომელიმე სხვა ხალხს); ასეთი გზნება „ისტორიაში“ აქეთ ქართველებს. და ეს გზნება გლველდობია „ქართლის ცხოვრება“-ში. ამ გზნებით არის იგი ამწეპარი მთელი თავისი ტანით. მისთვის „ისტორიის გზნება“ არის ქმედითი სხოვნა, გზნება „მთელის“, რომლის ცენტრი შენს გარეშეა“.

ამ გზნება „მთელისა“, რომელს „ქართლის ცხოვრება“ ისტორიულ ეპოსად ჰშლის, გრიგოლ რობაქიძე აშხელს უკედევ ეცნილობას ერისას და მით ჩამქარალ იმედებს კოცონად ავიზიზიხებს. ამარტებს პესიმისტური ჰანგების სამყაროს.

„რით ჩამოუვადება დავით აღმაშენებელი მარც ავტრელს? ან ევროპის ლეგენდარულ გმირებს რაინდული სახე კოტნე დადიანისა? — კითხულობს გრიგოლ რობაქიძე.

„განა ეროვნული გენია ისეთ მონუმენტალურ ძეგლით არ მეტყველებს, როგორიცაა „ვეფხისტყაოსანი“. შავითნი, ჩახრუხაძე, ხონელი, თმოგველი და სხვანი

მრავალნი, რომლის მხოლოდ ფრაგმენტებია ჩვენამდე მოღწეული?

„განა ეხლა, 1902 წ. არ აღმოაჩინა მარამა „ცხოვე-რება წმ. გრიგოლ ხანძთელისა“?.. გამოდის: მეოცე საუკუნის თურამდე არაინ იცოდა, თუ კიდევ რა საუკუნე ჰქონდათ ქართველებს. ქმნილება, რომელიც ქართული გენის ხალასი ნაყოფია“...

„და თუ გერმანელები ლუტერს ბიბლიის გერმანულად თარგმნისათვის გენიალობას ანიჭებენ, რა დააშავეს ჩვენმა მამებმა, რომელთაც ბევრად ადრე სთარგმნეს იგივე ბიბლია? და მერე როგორ სთარგმნეს? განა მთაწმიდელთა თარგმანი ნამდვილი ენის ქნა არ არის?“... „და რაოდენი ჯერ კიდევ არ ვიცით, ვერ მიგვეჩინა სხვა განძეულობათათვის. განა აქ არა სჩანს „ღვთიური ხელი“? დიდი მადლი ეროვნული გენისა“...

ქეშმარიტად, იმ შებენელ დროში, სასოწარკვეთილების ხანაში, გრიგოლის ასეთი შეძახება, ტრანსლიანდ გამოფიხილებას უღრდა...
და ბევრ იმედ-დაკარგულს საქართველო მთელის სიძლიერით, გრძელის ანალებით და გენიით კვლავ დაანახა და გაუცოცხლა მან.

*

ამის შემდეგ გრიგოლი ძველიდან ახალს მიუბრუნდა და ქართული ლიტერატურული პორტრეტებით, ქართველ მწერალთა სახეებით განამტკიცა ცოცხალი იმედი და სიყვარული საკუთარ, ეროვნული ქმედობისადმი...

არც ეს იყო „ფრაზა“; აქაც იყო იგივე „გზუნება“, რაც მან ქართულ ანალებში იპოვა.

„იზიარის ხელოვნებით დავიხატა მან „პორტრეტები“ ჩვენი, ძველის, ნათელის ამბებისა და „ქართლის ცხოვრების“ ვაგჷძელელობა „აღმწერლებისა“: ყაზბეგის, ვეკას, აკაკის, კლიდაშვილის, ნინოშვილის და სხვათა.

მე ვფიქრობ, რომ გრიგოლის შემოქმედებით ძალა ყველაზე მეტორად ამ პორტრეტებში მოხანას; აქ რამდენიმე ხანში ის იძლევა მთავარს, დამახასიათებელს... თითქოს თქვენც იცოდით, ადრევე შემეგჩნიათ, მაგრამ უმნიშვნელოდ გეჩვენებოდა... და თურმე ეს ხანს, ეს „ნაფუსი“ — თქვენ რომ არად ჩაადგით — გადამწყვეტი და სწორი გასაღები ყოფილა ხელოვანის შინაგანი სამყაროსი.

ჩამებედა მე (და ალბათ სხვებსაც) გრიგოლის მეტორი და „ესენციის გამლები“, სხარტი ფრაზები (თუ აფორიზმები):

აღ. ყაზბეგი — „სიყვარულია, ეხლა მოწყვეტილ ვაშლის კბეჩა“.

ვაკა — „პირია უპიროვნო შემოქმედების. იგი

პომეროსის ნატეხია საქართველოს არეზე“...
აკაი — ჰქონდა რაღაც სხვაინარი „სიმოდლე“: საუგანო მალა იცქარებოდა. მისი შემოქმედება: „ჯერ მუსიკალური გულება“, შემდგომ „პოეტური იდეა“. მის ლექსში „ყურია“ უფრო, ვიდრე „თვალა“.

დევი. ნინოშვილი — „ეჭვადი და ძმარია“.

დავით კლიდაშვილი — „მოგვიტებს ხელს ხელში და წამევე იწყებს გულს გადაშლას. აქვს მათოსი გრძნობის გაზიარების... ახარებს სიკეთე... კიდევ უფრო: სხვისი კაზვი. უსმენ ამ გულს და გიყვარის სიციცხლე (გაქირვებისას) დალხინება, სიცილი. ხედვე მინდას, მთებთან ბარში ჩამოსულს“.

ვას. ბარნოვი — „მალალი მიტროპოლიტი, ნათელის გულით, ოლიმპიური თხრობით“.

და მას მინდა ერთიც დაეუბრა: ფილიპე მახარაძემ „ეფეზისტყაოსანი“ ფეოდალური კლასის სალავოდ დაწერილად მონათლა. სხვებთან ერთად მეც ამგზედრდი... უყასუსზე. გრიგოლს წაევათზე. სათაური შეუფრეზოლად სცნო. „მაშ რა ეტყულო?“ — ვკითხე. — „პისარევის ქალმანი“. — განა უფრო მხედური შეიძლებოდა? და ამ სათაურით დავებედე...
+

ხელახალა გადავივითხე გრიგოლის ესკიზები: აკაკიზე, ნინოშვილზე, კლიდაშვილზე; აქ ისე ახლო ხეობით მათ, ვინცლით ამ სახალეს; მათი დიდი და სულ პატარა, ნამცევი ამბებისას, რომლებიც ასე აცხოველებს ჩვენს მწერლებს, რომ გინდით კიდევ და კიდევ უსმინონ მათ, უცქიროთ, ენასით; და გწყდება გული, რომ გრიგოლ რომაქიმემ თავისი მომბიბლოა თხრობა შეაჩრა და ამ აზრდილებს გაევაშორა; და მე გულწრფელად ვეუზხარ, რომ მან ბევრი ასეთი პორტრეტი არ დაგვიტოვა.

სადევი ემარტება გრიგოლს საქართველოს პეიზაჷები, ჩვენი სინამდვილის ცხოვრების სტოლი და აქაც გეწყდება გული, რომ ის ასე ხშირად სწყვეტს ნამდვილ ამბავს და გადადის უტანაურ მისტიკებში, რომელიც მას ასე ეხერხება...

სულ სხვა იყო გრიგოლის მისტიკური გამოხედვა, მუქარე ხმა, ძარღვიანი თქმა, რომლის დროს ეს მისტიკა გაჯადობებ. მაგრამ რომანში და მის ხლართში ეს არაგუმენტაციები, რეფლექსიები, ეს ეკსტურსები მითოლოგიის, რელიგიის, ფილოსოფიის სამყაროში, თან მეტაფიზიკურ მსოფლიოში შეჭრა და მასზე დაუსრულებელი მსჯელობა მხატვრულ გეხს ურეცს, რომანი რეზონირებაში გადადის და ნიჭური ეუნლისტიკად იქცევა.

ასეთი სახიფათო „ჩაეარდნები“ ხშირად გვხვდება მის მხატვრულ ნაწარმოებებში — მსჯელობებით, ანალოზებით და ფსიქოლოგიურ მომენტებით მძიმედ

დატვირთული რომ არიან. ხშირად ეს მოდერნიზმი და არტისტის სტილი მას ისე შორს გაიტაცებს, რომ ექსტაზი შემოქმედებისა ამ რეზონანსში ცხრება და სულ იკარგება. მაგალითად, ასე მოსდის მის რომანს: „ფალსტრახი“-ს, სადაც მწვენიურ ტიპებს ყაზი ბეისას, რომელს „სახეზე შამილის სურნევა ჰქონდა“, და ელენეს სიყვარულით ანთებულ ქალისას, სცლიან ველგარული ტიპები, ბანალური ტიპები და მათი დაუსრულებელი, უსიციცხლო, უმარდლო მსჯელობებით: ხელოვნებზე, პოეზიაზე, მითოლოგიაზე...

სადაც სრულიად შეუსაბამოდ მითურში იჭრება სიჭბადის მრავალი წველიმანობა: თბილისის პოეტებზე და თვით გრიგოლ რომაძეებზე, რომელს თურმე იმ დროს ორი რამ აწვავდა: აპოკალიპსი და დიონისო და ამბე დროს ამზადებდა იგი „ორლობის ეშფოტს და მის რითმებს“-ო... ამ თბილისის „ფანტასტიკას“ არ აკლია „არგონავტების ვარსკლი“, ამერიკული ბარი, კახური და კოკტეილი და იქამდე, „კოკინი“-ც...

სამწუხაროდ. ეს კოტა ბზღვარული ჟანრი სრულიად არ შეეფერება იმ დიდ პრობლემას, რასაც ავტორი რომანში ისახავს.

ამ მარტის ვერ გადაურჩა ვერც ევროპაში გამოცემული, პოპულარულია გამხდარი რომანები, როგორც „გველის პურანა“, სადაც შესანიშნავის ოსტატობით და ექსპრესიით შესრულებულ თავს: „ქართლის ცხოვრება“, მოსდევს სრულიად გაუგებარი, ფანტასტიური და აკრომატიულ, ბულვარული ამბები: „ეკუბო ეზოში“, რომელშიაც გამოყვანილია მახინჯი ვინმე „მარკო პროკა“...

ამ თავში უტყუარ, კინოს მსგავს, ზღაპრულად აწვევებულ ფანტაზიებშია სრულიად დაუჯერებლად და იაფფასიან ეფექტებით შეზავებული, — ოხუნჯური მისტერია... რისთვის? ამას ვერაიენ გავიგებს.

ამგვარმა სცენებმა გამოიწვია მეტად მკაცრი და ბევრი მართალი კრიტიკა ამ რომანისას, რაც დიდი ირონიით, მაგრამ ნიჭით გაშალა პეტრე გელეიშვილმა „წნათობა“-ს ფურცლებზე და რამაც დიდად ატკინა გული ჩვენს გრიგოლს. ეს გულისტკივილი მან განმეორებით უშხილა ამ სტრიქონების დამწერსაც. ყარობი, სამწუხაროდ, აჭარბებდა და აზავებდა მუქ ფერებს თავის კრიტიკაში, მაგრამ გრიგოლიც შინაგან გრძობდა, რომ მის რომანში იყო ხიფათის, „რისკის“ ფურცლები, რაც მას არტისტულ ეფექტებისათვის სჭირდება და რასაც წმინდ ხელოვნება ვერ იტანს...

სიყალბის ნიუანსებით „გამიდრება“ არ უყვარს კუშმარტ შემოქმედებას. ვიზიონური თვლებით ყვე-

ლაფრის და ყველგან შემოქმედი ფონს ვერ გავა. მაგრამ ეს არ იყო, ემიერებ, გრიგოლის შემოქმედებისთვის მთავარი...

იქ, სადაც მისი „არტისტობა“ გულწრფელად მოსდევს ტრიალებიდა, გრიგოლში „შეუღარებელი ოსტატი იზარებდა; ამან დიდად შეუწყო ხელი მის მხატვრულ გამარჯვებასაც. სწორედ ამან აიძულა ის, ეს ნამდვილი ესთეტი და ინდივიდუალისტი, დაეგლო სახიფათო გზა „სამართლებით მოთამაშე გაერთიან“ თანამშრომლობისა, კოლექტიურ, ჯოჯურ „ხელოვნების“ ქურუმობისა და თავისუფალ შემოქმედების გზას დასდგომა. კუშმარტი ხელოვანი, რომელს ასე ნათლად შეეგნო „მონგოლის“ წაილი და „სულის ჩაკვლის“ მძაფრი შიში, მისი „სამსახურის გზას“ ევლარ გაპყვებოდა.

—

და ბუნებით ანტირევოლუციონერმა გრიგოლმა ყველაზე დიდი და გაბედული რევოლუცია მოახდინა... მან გასწევიდა საბჭოეთთან, დასტოვა საყვარელი სამშობლო, მისი ახლობელი პოეტების წრე და ევროპას მიაშურა. ბევრი იყო განცდილ-ვადატანილი, დიდი სულიერი კრიზისი და სახიფათო გზა ელოდა მას...

და მრავალ შემდგომ ჩვენს კვლავ შევხვდით ერთმანეთს; ეხლა უკვე თამამად და აშკარად ეძებედით ურთიერთის ჩვენი ხელოვანის და „მოქალაქის“ ტრაგედიას, რასაც გადაკრულის ჩურჩულით და თვალთა აქეთ-იქით ცრეცილთ ვუხარებდით ერთმანეთს საქართველოში 1921 საბედისწერო წელში.

მაშინ ქართული მწერლობა მტკივნეულად განიცდიდა 26 მაისის საქართველოს დაკარგვას.

პირველ თვეებში ჩვენი კავშირი საკმაო მხნეობით და თავგამოდებით იცავდა ძველ ტრადიციებს; მწერლები შვე ჩიხებში გამოწყობილნი ჩუმად გლოვობდნენ თავისუფლების დაკარგვას, მაგრამ ბიძოლის და თავდაცვის უნარი და გამბედაობა არ შეუნებლბია მათ. იმ მძიმე დროში კ. მაყაშვილი „თავისუფალ მწერლობა კავშირის“ თავმჯდომარე ოჯახური უბედურების და ეროვნული ტრაგედიისა გამო (ბრძოლების დროს თბილისისთან მოკლეს მისი ასული), დიდ მწუხარებაში განაზე გადაგა, ნერვებმა ველარ გაუძღეს და „მწერლობა კავშირის“ თეული მუშაობა მე დამაწვა, როგორც მეორე თავმჯდომარეს. განათლების კომისარიატი, ბრინიჩოვის და ბოგდატეივის მეთაურობით სასტატად გვეიტედა და ჩვენი „კავშირი“ კომუნისტური მწერლების სათარეზოდ უნებოდით ვახებდა. დატარებდა ეულის მეთაურობით მათი სექტორი.

მაგრამ მტკიცედ, შერყული დაუხვდა მათ მთელი ქართველი მწერლობა და მესრბოლი საქართველო.

და აი, აქ სიმტიკე გამოიჩინეს გრიგოლ რობაქიძემ და მისმა მეგობრებმა პ. იაშვილმა, ტ. ტაბიძემ, ნ. შიშვილიძემ, ვ. ვაფერინაშვილმა და სხვებმა, რომელთაც „შემარბებელი“, ცოტა უცნაური და ჩვენთვის მიუღებელი პოზიცია დაიჭირეს და თავიდანვე თანამშრომლობის გეზი აიღეს.

ყველა ამით ცრეგოლის მეთაურობით ჩაგანეს ხელისუფლებას, რომ შვერალთა სიმაგრის აღება მეტად ძნელი საქმე იყო და ბევრ რამეში დათმობა სჯობდა... და ორახელა შეიღ—ელიავე—მდივანის ურჩობა მოსტებეს.

განათლების სამინისტროსთან შესდგა ქართული ხელოვნების კომიტეტი; თავმჯდომარედ გრიგოლ რობაქიძე დანიშნა; ლიტერატურული-საშვერლობო სექტორის გამგედ უნდა დამტკიცებინათ ამ სტრიქონების დამწერი, როგორც ფაქტობრივი ხელმძღვანელი ჯერ კიდევ მტკიცედ მდგომ ქართულ შვერალთა კავშირისა; დრამატული ხელოვნების გამგედ შალვა დადიანი; მუსიკალურის — მელიტონ ბალანჩივაძე და ასე... ფაქტურად დაფიქრებული ქართულ ხელოვნების სასესიან ძველი, „წარმომადგენელი ხელოვნების ცენტრის“ წევრები. მაგრამ ბრძოლა პირველ დღიდანვე გამწვავდა.

ჩვენი ასპარეზი დღითი დღე იზღუდებოდა, შავი ძალები, ბოინინიოვის მეთაურობით, შეუპოვად გვიტევენდა და მე სულ მალე „ჩვენი განქარაგვლებაში“ მოხვდებოდა.

შვერალთა ერთმა წრემ ფილიპე მახარაძეს მიმართა, როგორც ქართველ შვერალს და კავშირის ძველ წევრს... ფ. მახარაძემ კ. ცინცაძეს „ლომობიერება“ მოსთხოვა და მე ჩვეის კლანჭებიდან დამიხსნეს; მაგრამ ლიტერატურული განყოფილება ჩამომართვეს.

გრიგოლი ძალიან სწულდა, მაგრამ მე ვიციდი — ის უძლური იყო და არაფერი მივადრებოდა...

მით უმეტეს, ხერხდებოდა ჩემი სახლავარეთი გამოსვლის საქმე. მხოლოდ კლასიკების გამოცემის საქმე მკვიდრ ნიადაგზე დაყენებული დავტოვე. ესეც იმ დროში ბევრი იყო...

×

ეხლა, მრავალ წელთა შემდეგ, გრიგოლიც უცხოეთს გამოვიდა და, რასაკვირველია, სიხარულით მოეხებოდა ერთმანეთს, მოვიგონებთ თბილისის ამბები და წამებული მწერლები... ვადალდებდა მათი ბედი, გვაწუხებდა მათი შინაგანი ტკივილი.

იმ დროში გრიგოლს გამაჯვებათა ტრიუმფალური გზა ჰქონდა განვლილი; მის „ლამარა“-ს გასაოცარის ზეიმით შეხვდა მთელი საქართველო და მოსკოვის ოლიმპიდაზე გვირგვინებით შეამკეს ქართული დასი გრიგოლის „ლამარა“-ს ჩინებულად დადგმისათვის.

მაგრამ მან კარვად იცოდა და გუმანიტი ხდებოდა, რომ სახლვარი ახლოს იყო და საბჭოებზე უმბლესი მწვერვალთან მრავალი უფსკრულსაკენ ვადეშვეს. დიდი გამარჯვება დიდ ხიფათს უმბლესად მასაც... თეთრი ცხენი სულ მალე უნდა ჩაქეულათ და დაეკლათ. საჭირო იყო ევროპაში ფეხის მომავლება და საქართველოს მითითის გამოშვება.

მაგრამ ევროპა, რომლისთვის უზამიან გველს ჯერ არ ეცხენა, რომანტიკის ტალღებს მიჰყვებოდა, ბევრი რამ უსულეს და უცხო აჯადოებდა და ჩვენს კრიტიკა და დიდი სკეპსისით ხედილობდა.

ეს გვიფიქრებდა ორთავს და აშკარა, გამართული სვლის გეგმინოდა... მოსალოდნელი იყო ფეხის წამოშვება და თუ ერთხელ წაიჩქებდა ჩვენი გრიგოლი, შემდეგ ვეღარ გაიმართავდა მუხლს.

აი, ამ „რომანტიკოსთა“ წრეში მოხვდა თავიდანვე გრიგოლი და მისი პირველი პროტექტორი სტეფან ცვიკთან ერთად იყო ცნობილი ებრაელი მოაზროვნე და მეცნიერი მარტინ ჰუბერი.

ამათ გემოვნებასთან „შეგუება“ ინდომა იმ ხანად გრიგოლმა; და უფრო მისტიკა, ძველი მითოლოგიის გაშლა ამჯობინა, (სიმბოლიკით ხაზების ამტკველებს ბა). ვიდრე დროშის აშკარა გაშლა...

ამან განაპორობა მისი რომანები, ნახევრად მითოლოგიურ-მისტრიული ტიპით; კერძოდ, ქართული ობის და მისი ქალის ეკსოტიკა და უცნაური ნება, რომელიც ცნებაში და უტებს თინში ვადალიდა. ასეთი მიდგომა ერთად - ერთ შესაძლებლობად ჩასთვალა...

†

იმ ხანიდან ერთ-ერთ ბარათში, იმ მრავალ წერილებიდან, რომელთა გამოცემა უეჭველად საინტერესო და საჭიროც იქმნებოდა, გრიგოლი შვერალს:

... ჩემი ახალი რომანი მზადდება გამოცემებად და ჩემი აქ (იენაში) ყოფნა საჭიროა. ქან თამარს უყვე ვაწვებთ თავის დროზე ამ რომანის შესახებ (თემატიკური ხაზი). აქ არის მხატვრულად გადმოცემის ცდა იმ ატმოსფეროს, რომელსაც მე შევხებ თქვენთან — შენთან და თამართან — საუბარში ორი თვის წინად; არსებობს სამეგობრო აღქმევა („პერსექციონ“) ბოლშევიზმისა: ა. კომუნისტური (შესაძლოა შინაგან ხილული, ხოლო ცალკეობი, პარტიული); ბ. ანტიკომუნისტური, ემიგრანტული (შესაძლოა შინაგან მართალი, ხოლო ესეც მეგობრო-სუბიექტიური); გ. ობიექტივი — ევროპულ და ამერიკულ ავტორთა (არა ცალმხარეი, არა მებრძოლი, ხოლო ნოიტრალური და მასასადაზე ზერცლე.) ჩემი წიგნის ხაზი სულ სხვაა: აღქმევა ობიექტიური, ხოლო არა ნოიტრალური. ასეთი აღქმევა მხოლოდ შემოქმედებით არეშია შესაძლო; ჩემი წიგნი ცდა ასეთი

აღქმვის. მხოლოდ ცდა. ენახოთ... არის დავა სათაუ-
რისათვის. ოქტომბერში თავისუფალი ვიწები და,
როცა გინდა, მაშინ ჩამოვალ... დიდი ხანია ვუღლდს-
მით შენთან არ მისაუბრია, — საბასო ქი ბევრია. სა-
შინელ ხანს ვანიჭად ჩვენი სამყარო, — და ამ საშინ-
ელგანაში ბედი ქართველსა — იქ, თუ აქ... ეს სულ
ერთია — კიდევ უფრო უწუგეშოა... (5. 4. 1933).

როგორც ვხედავთ, გრიგოლი შეეცადა სრულიად
ორიგინალური ხაზი აეღო: „აღქმევა ობიექტური
ხოლო არა ნოიტრალური“. ამ ფორმულად არის ერთ-
გვარი წინააღმდეგობა, რომელიც მკვეთრ და გაბას-
რებულ პერიოდში, როდესაც მოპირდაპირენი უკვე
მთავილ ამოწვდილი ღვანან ურთი ერთის პირის პირ
და შამილის ცქერით ზომბეტენ მომარჯვებულ დატყ-
მას — ამ დროს ობიექტური, ნოიტრალური... და
არა ნოიტრალური კი ობიექტური ვერ იქნება.

საზღვარია ვაგვება შეუძლებელი ხდება და ნოიტრ-
ალური გულ განგმირული ეცემა...

და სწორედ იმ ხანებში, დაღმართით დაქანებულის
შეაკება, ობიექტური განზომება შეუძლებელი იყო.
და ცახცახით შლიდა გრიგოლი საბჭოთა გამოცემებს
და ცრემლებით სავსე თვალეზით კითხულობდა საქარ-
თველოს მწერალთა, მისთვის ყველაზე ახლობელთა
ცხბის საშინელ განაჩენს და გაიკვირება. და აქ ფაქტიზი-
ლეთი იყო ვადმოცემული ხელმოწერა ყველაზე საყვარ-
ელ პაოლოსი, ტიციანის, ვალერიანის და ნიკოლო-
ზის. ესენი მას „განდიდების სენით შეპყრობილის, გა-
დავარებული პიროვნების“ სახელით ნათლავდნენ და
„ამიერიდან შეცდარად“ აცხადებდნენ. სამშობლოს მო-
ალატის და გამცემის დალით ამკობდნენ და სათანა-
დო სასჯელს მოითხოვდნენ ხელისუფლებისაგან ამ
„მკვერად გამოცხადებულისათვის“...

მწაუ იყო ეს განაჩენი, მაგრამ ჩვენზე უკეთ ხედავ-
და გრიგოლი ამ დემონიური აქტის ნამდვილ „ავტორს“
და ასევე ნათლავ ხედავდა წამებულ მეგობარ-მწე-
რალთა ნამდვილ სახეებს და მათ უბრალო ნათელ
სულს...

ჩვენ, ყველანი. მის ახლოს მყოფნი, ვამარგრბდით
და ვამხვედნით მას და ახალ შემოქმედებისკენ მო-
ვუწოდებდით...

და მან სძლია ამ კრიზისს; მაგრამ გრიგოლს სძლია
იმ საზარელმა ამბებმა, რაც შემდეგ მოხდა...

დაუმხვრეის ყველა იმედი, აფეთქებს ყველა ხიდი
და ამ ტრაგედიას კიდევ დაერთო მისი ოჯახური: სა-
ყვარელი თანამგზავნი და მუდელ უკურნებელ სენის
მსხვერპლი გახდა და დიდ ხანს იტანჯა.

ეს ჯვარიც გრიგოლმა ძველებურის, ქართულის მო-

თმინებით და სასოებით ზიდა... დიდ ხანს ზიდა და
არც რამე საყვედური ჰქადა ბედს: რელიგიური აღგ-
ნებაში და ლოცვებში გადავიდა.

მაგრამ გული კაცისა რკინა არაა და გრძელვადი ცხვე-
იყო. კარგი, მართალი და ნიჭით უხვად დაჯილდოე-
ბული კაცი. მაგრამ გული მისი იყო ძაფზე დაკიდებუ-
ლი და არა ჯაჭვზე, და ეს ძაფიც გაწყდა ამ საშინელი
ქარიშხლის დროს.

მაგრამ გული არ დაკარგულა; ის საქართველოს კალ-
თაში ჩაეყვანა და დღეს უხილავად იქაც სცემს...

+

გრიგოლ რობაქიძის მრავალმხრივი შემოქმედება იმ-
სახურება კარგ ადვილს ამ დედის კალთაში.

რა ექნება, რომ მისი გვაში უცხო მიწის შეფარება?
ეს მისი ბრალი არ არის; არც — ჩვენი... მაგრამ მისი
გული მინც იქ სცემს, მის საყვარელ ქვეყანაში, რო-
მელზეც გრიგოლმა გრიგოლად გადაიარა.

იქ ვაუსწორა მან მზეს თვალად და უთხრა:
„ეს გრიგოლი შენ იყავ, კარდუ! ჩემს მხრებს ეხლაც
ასსოვთ ის ფრთენი“.

და კარდუმ ეხლა ვით ექომ უკან დაუბრუნა გრი-
გოლს მისი მხედური სიტყვა:

„შენი ლანდი, შარავანდით მზემოსილი, ვხედავ უკ-
ვე მიმალულა. ვადევნებ თან ოქოს სიტყვას:

„მზეგრძელ იყავ კარდუს შვილი გრიგოლ!“

აკაკი პაპავა

ბუენოს აირეს, 1963.

გიორგი ყიფიანი —

ინსამ შუთინისი

მასხოვს მისი ქუთაისის ბაღში ჩამჯდარი,
სხევების სიქით დახუთული რიყის ქუჩები,
განაუბრები ჩანჩქერებით რიონის დენა,
„ილიტის“ ქვაზე დასიქებული გულის სიმღერა.
წითელი ხიდი. მალღობიდან ტაძრის ნანგრევი.
ლაშის არღნები. ლეჩხუმის გზა და მთვრალი ქომა.
ქალაქის ეკუჭი — ყფანი და მწვანე ზაზარი —
ლობიანი თუ უღობიო მქვადით ეკარობა.
ლაღას ღიმილი და ჯღამაძის ჯოხის ტრიალი,
შეშლილი მამო. მოწვევითა გავი კისკისი.
პატარა ბავშვი, შიმშილივით სამე მტრალური —
ჩემი სამშობლო, დაბადება და ქუთაისი!

პარიზი, 1958.

გიორგი ყიფიანი

არა ერთჯერ მქონია შეხვედრა და საუბარი განსვენებულ გრიგოლ რობაქიძესთან. აქ მხოლოდ ერთ მცირე მოგონებას ვათავსებ.

ეს მოხდა 1941 წელს. სხვებთან ერთად ვიყავი ტყვეთა ერთობი ბანაკში, რუმინეთში. ევებურთელა ბანაკი ტყვეთა, მრავალ ათასიანი რიცხვი...

ჩვენი მისვლის მეორე თუ მესამე დღეს მოვიდა ჩვენთან ერთი გერმანელი ჯარისკაცი. მიკითხა. გამოვეცხადე. ვამეტრო —

— ობერსოლდატ ფიშერ!

შემატყო ვაკვირებდა. არ გამეგონა თუ ასეთი ხარისხი არსებობდა. მოთხრა —

— „ობერსოლდატი“ არის ხარისხი იმ ჯარისკაცთა, რომელნიც კაიზერ ვილჰელმის ჯარში მსახურებდნენ და ახლაც ვაწვეულნი არიანო. ჩემისთანებს საგუშაგო და უბრალო, იოლ სამსახურს ასრულებინებენო.. თქვა და ჩაიცილა. კეთილ კაცად მომეჩვენა.

— გავიგე ჭართველების მოსვლა. თქვენზეც მიმოითხეს. იცი თქვენ ბატონ გრიგოლ რობაქიძის ვინაობა? ან თუ შეხვედრიხართ მას?!

— ვიცი. ვიცნობ კიდევ კარვად, ბატონო ობერსოლდატ!

— წუთუ? რა ბედნიერი კაცი ყოფილხართ!!!

— რატომ, ბატონო ობერსოლდატ, ფიშერი?!

— ოაო! ბატონი გრიგოლ რობაქიძე დიდი მწერალია. დიდი მწერალი! გერმანელებს ძალიან მოსწონთ იგი. უყვართ ძალიან. ჩვენ მწერალთა შორის არის იგი დიდი. ყველა მისი ნაწერი წამიკითხავს, არა ერთჯერ!

— დიდად სასიამოვნოა ჩემთვის ამის გავონება! პირადად თუ იცნობ მას?

— სამწუხაროდ, პირადად არ ვიცნობ მას, მაგრამ მქონდა ბედნიერება და მას ვწერდი. იგიც პასუხს მაძლევდა ხელზე; ხშირი მიწერილობერა მქონდა, გარანა ამ ომმა მომწყვეტა მას. იცი თქვენი? აქ ამ ბანაკში არის ერთი რობაქიძე, ტყვე.

— არა. არ ვიცი. ჯერ ტყვეთა აღწერა არც კი დაგვიწყია...

— ხო! არის ერთი რობაქიძე, ბატონ გრიგოლ რობაქიძის მძისწული. კარგი ემწვილია... (და ამოიხზა) რა უბედურებაა ეს ომი!

არ გამეგონა, თუ ბატონ გრიგოლს მძისწული ჰყავდა, მაგრამ ობერსოლდატ ფიშერს ამის გამო არაფერი ეუთხარია... ეს ობერსოლდატ ფიშერი, როგორც დაახლოების შემდგომ მომიხსრო, იყო გიმნაზიის მასწავლებელი, დიდად განათლებული კაცი და თვითონაც მწერალი... ხშირად მწახლებლობდა და ვცემბარებოდა. რამოდენჯერმე თავის პოეზიას გამაჩნო. ყოველ შე-

ხედლაზე გრიგოლ რობაქიძეზე მესაუბრებოდა. მის რომანებს ახასიათებდა. დიდი სიყვარულით ეჩვენა მას.

გამოვინახე ტყვე რობაქიძე. ეს იყო მადლილი, ქერა, ლამაზი ახალგაზრდა. შიმშილისაგან ძალზე გამხდარი, მიკნავეული.

— რა გვარი ხარ, ახალგაზრდა!

— რობაქიძე ვარ, ბატონო!

— ნამდვილად რობაქიძე ხარ? (ტყვეები ხშირად გვარს იცვლიდნენ).

— დიახ, ბატონო. ნამდვილად რობაქიძე ვარ.

— გინახავს შენ გრიგოლ რობაქიძე?

— არა, ბატონო, არ მინახავს.

— ნათესავი ხარ გრიგოლის?

ამ შეკითხვაზე ტყვე რობაქიძე შეერტა. შეიშშოშნა. შეუყოვნადა. არ იცოდა რა პასუხი გავეცა. ვაუღუეოერე; მერმე მიპასუხა:

— არა, ბატონო! არა ვარ მისი ნათესავი.

— მაშ, რად უთხარა ერთ გერმანელს, რომ შენა ხარ გრიგოლის ძისწული?

ტყვე რობაქიძეს ფიქრმა გადაჰკრა პირისახეზე. მერმე გაწითლდა. შევიტყვე, ცუდად იგრძნო თავი. შიშოც მოერია.

— მოთხარა! ნუ გეშინია!

— ბატონო! ვიცოდი, რომ გერმანიაში გრიგოლ რობაქიძის დიდი სახელი ჰქონდა. გამიგონა. როცა აქ მოყვანისა გვარებს სწერდნენ, ერთმა გერმანელმა გაიგინა ჩემი გვარი და თარგმანის საშუალებით მიკითხა: თუ იცნობ გრიგოლ რობაქიძესო? ეუთხარი: ვიცნობ, ძისწული ვარ მისი. იმ წუთასვე მოვისახრე, რომ ის გერმანელი იცნობდა გრიგოლს და იქნებ მისი პატივსაცემით დამეხმაროსმეთქი! თქვენ კარვად მოგესხენებათ. თვითონ ხედავთ, თუ რა მდგომარეობაში ვარ! რა შიმშილია! ბალი ბუზიგით იხოცება! და მგე დალოცვილმა გერმანელმა, გვარი მისი არ ვიცი, პირველად ერთი ნაწერი პური მომიტანა. შემდეგ ყოველ საღამოს მაძლევდა ჩუმად პურის ნატეხს. ამით ვიბრუნებდი სულს. ბატონო, არ დამკლათ და არ უთხრათ იმ გერმანელს, რომ მე გრიგოლის ნათესავი არა ვარ! დამეკარგება ერთი ლუკმა! იქნებ დამსაჯოს კიდევ!

აქ უნდა აღვნიშნო, რომ ტყვეებთან რაიმე ურთიერთობა და მით უმეტეს დახმარება სასტიკად აკრძალული იყო. დიდი ვაბედულება გამოჩინა ობერსოლდატ ფიშერს, რომ ტყვესათვის ასეთი დახმარება აღმოეჩინა.

— ნუ გეშინია! არ ვეტყვი. ამას გარდა იქნებ ჩვენც შეეძლოს თქვენი შემწეობა. ენახათ. ნახე, პური, ნორი — ესა მითავარი! იქნებ მოგახერხობთ!

გავბედეთ. წაველით ბანაკის გამგე გენერალთან. ეს გენერალიც ვილჰელმის დროისა იყო. როდესაც მას-

თან ქართველ ტყვეთა დახმარების საკითხი აღეძარით, მას კიდევ შეეშინდა. ჩაფიქრდა. გვითხრა:

— სასტიკად აქამალულია! მე არაფერიც არ მეტოდინება! როგორც შეძლებთ, ისე დაეხმარეთ! ჩემად! მე არაფერი ვიცი! ვაივით? მალულად!..

ნოირი! ჰური! რა ზეიმი იყო ტყვე ქართველთა შორის!..

ორი წლის შემდეგ შეეხვდი განსვენებულ გრიგოლს და მას ეს ამბავი მოუთხვევი. დიდად ნისიამოვნები დაჩა. ბევრიც იცინა. არ ვიცნობ ყმაწვილ რომაელებს. რასდენი ხანია დაეტოვე საბჭოეთი! ობერსოლდატია ფიშერა?! როგორ არა! პირადად არ ვიცნობ. მიწერმოწერა კი მქონდა მასთან! თვითონ კარგად წერს. განათლებული კაცია! მაშ, ობერსოლდატია ჩვენი ფიშერა?! ეს!.. (და გავაძეულდა საუბარი ომზე)...

პ. ს. განსვენებულ გრიგოლ რომაელებზე ერთ საუბარში ბ-ნმა პავლე ევაშემ მკითხა: — ვახსოვს? ერთ-მა გერმანელმა, ოლტენიკაში, გრიგოლისათვის მისალოც ბარათზე ხელი რომ მოგვაწერინა? — არა, არ მახსოვს, რადგან იმ დროს იქ არ ვყოფილვარ. — ხოდა, მოგვიტანა გრძელი ბარათი, სხვა გერმანელებსაც ჰქონდათ ხელი მოწერილი და ჩვენ, ყველა იქ მყოფ ქართველს ხელი მოგვაწერინა. ამბობდა, ბატონი გრიგოლ რომაელები დიდი, დიდებული მწერალიაო. მას ახლა შობა-ახალწული უნდა მიეულოცოთო. ჩვენ, ეს ამბავი ძალიან გვესიამოვნა, და რასაკვირველია, ყველამ მოუაწერეთ ხელი...

და ალბათ ეს არ იყო გამონაკლისი მილოცვა გერმანელთა მხრივ.

ვ. ნოზაძე

† კროკოფი აბულაძე

(გადარჩენილი ფურცლები)

(† შოთა ნიკოლაძის არქივიდან)

ისმენს არაგვი ტალღა-დაკრული — ჰუტუ, საყვარელო! ვაჟამ ზომ სთქვაო! — და ამ ფიქრებში გზა-დაკარგული შეცრად კლდეზე ჩამოეხეთქა.

მოვა მეოთხე მზე — მეოსან-ღმერთად, სიტყვით ანთებებს გრძნობათა კოცონს, ხალხს ააუღერებს სიმებთან ერთად, რომ დედამიწიამ ზეცას აკოცოს.

ნუ იგვიანებ, უკან ნუ რჩები!
აუბი მხარი ცეცხლეულ ღვინოს,

სულ ამოწრუბე თასის ტურები
და სუფრას ცეკვით შემოურბინოს!

ავმღერდეთ ყველა! ავტეხოთ ლხინი!
ერთადვე გავყვეთ სუფრას საფირონს,
მხრებ-გადაშლილი და თავ-დახრილი
ჩვენს წინაპრებში გადაგვაფირონოს!

თეთრი ფეხები მისდევნ თარგებს,
დამტყდარ ხეულებით მოავლეს რკალი,
დაზვირთულ მკერდის როკვას ამთავრებს
ჩამოთენთილი მხრების კანკალი.

როგორც ლაშქარი მწყობრობს ტაშები,
ქანაობს თეძო ვიწრო ქამართან,
გზნება-ვიზიონში ნაეაშკაშები
მოსხლიტა წელი და გადამართა.

თითქოს გაფრინდა, ზეიმი გაშორდა,
თან გაიტაცა საკრავის ხმები,
ამ დროს ყმაწვილმა ტანი გაშოლტა,
შემოაფურა არწივის მხრები.

ატეხილ ენებით გზას გადაუდგა,
უკუაქორცვა მწყარლი ასული,
შაქარ-ღმილით შემდეგ დაუტეხა —
და მის ჩოხაში დალია სული.

1927 წ.

ღღეს შენი სახე ისეა ნაზი,
მთვარის ვარდივით სურნელ მდელოსი;
ბაღში სილამოს გადანარაზი
ან სიყვარული, ან ანგელოსი.

ავაფრთოვანებს ტრფობის თერმოსი,
ეთერ გრძნობებში გადამართული;
სული გაქვს მთვარის საქართველოსი,
კოლხეთის მთებით შემოკალთული.

ხვალ მწიფე გრძნობებს ჩამორეცს ქარი,
ეგ სიქალწულე გაჰყვება დარბებს;
და სახე-ფერი ნაქალწულარის
დაიბნიდება ვარდისთვის დამღვეს.

შემდეგ, წარსული დარჩება ოხლად;
გადავლენ წლებიც, ბედის ტრიალი;
და იქ, მტკვრის პირას მთისთან მახლობლად
დაავიკრეცინებს ვაზის შრიალი.

1928 წ.



შენ გიყვარდა ჩაგრულთათვის ყივინა და მშობილა,
განთიადის სიახლოვემ გული აგიტრფივლევს უკვე

და გინდოდა ყოფილიყავ მეგ ზურ-მანარობდალ
მაგრამ გზაში დაიღუპე უპატრონოდ, ობლად;

შენთან ერთად დაამიწეს დათიყო და სხეები,
მომავალი გაზაფხულის პირველი მერცხლები.

ასეთია ზოგჯერ კაცზე ცხოვრების დაცინვა,
მაგრამ ტყეილა არ ჩაივლის თქვენი თავგანწირვა,

და როს ზარი გამარჯვების შემოკრავს სიონში,
თქვენც ერთ ადგილს დიკავებთ ქართულ პანთონში.

გვ. აბულაძე

1945 წ.



ბ ა ჯ ა ლ ო

ვეტირი აბულაძე

სტეფანე კასრაძის ხსოვნას

ვაი როგორ დაღუპულხარ, მეგობარო კარგო!
ის ლ დაბრჩა, შენი ხსოვნა მოგონებდა ქვარგო.

შენ გინდოდა საქართველო ყოფილიყო დიდი, —
აღმოსავლეთ-დასავლეთის შემერთი ხიდი!

ცხოვრებაში მხოლოდ ერთი გქონდა სალოცავი,
და კიდევ მის სამსხვერპლოზე მიიტანე თავი.

მახსოვს, როცა ფიცულოზი სამშობლოს და დედას,
და ძმასავეთ გამიყოფდი სიხარულს და სევდას...

შენ იცოდი საქართველო იყო სულ პატარა,
მაგრამ მას მთელ მსოფლიოში არ გაცვლიდი, არა!

მშობელ ქვეყნის სიყვარულის გულში გედგა ალი,
დღეს კი სხვისი დაგეყრა მიწა განამწყრალი!

აქცე შენი მეგობრები დაზავრული ბედით,
მოვიგონებთ, როცა ჰაბანს შენთან ერთად ვწევდით.

წასვლისას რომ შესანახად წიგნი დამიტოვე,
მისი უკან დაბრუნება რატომ არ მადროვე!

სად მარხია შენი კუბო! ან კი გავიკეთეს?
შენი სულის ტყვიები შეიგე ჩაიკეტეს!

წმიდა სისხლი იქ დაინთხა, სადაც არ ეოლოდი,
სწორედ მაშინ, როცა მამულს განსაცდელში გრძნობდი

შენს პატარა სამოსელში გული გქონდა დიდი,
სამშობლოსთვის თავადღებას დიად ვალად თვლიდი.

† სტეფანე კასრაძე

სტ. კასრაძე დაიღუპა უკანასკნელი ომის
დროს აღმოსავლეთის ფრონტზე. იგი დახე-
რიტეს გერმანელებმა. მან და დათიყო ლუ-
დუმბემ თვის თავზე მიიღეს ის სამხედრო
დანაშაული, რაც ქართველმა ახალგაზრდებ-
მა ჩაიდინეს და ამგვარად ათეული კაცი გა-
დაარჩინეს. ეს იყო მათი მხრივ დიდი გმირობა
და თავის განწირვა მოყვასისათვის...

სტეფანე კასრაძის ამ მოთხრობის „ბაჯალი“
ორი თავიცი კი არ დამიბეჭდავს სრულად.
ხელთ შემრჩა მხოლოდ მისი ანაბეჭდი და
ახლა, იმედო მაქვს, სრულად დაბეჭდვად. ა-
მსურს დავეუკარგო (აქამდე, ჩემს ხეტილში
თან ვატარებდი!) მისი ნაწერი, ამ ნათელ და
თავდადებულ ადამიანს — ესაა მისი უკანასკ-
ნელი ნაშრომი.

გ. ნ.



ავტორისაგან — ბაჯალის ნაწერები იბეჭ-
დებოდა უცვლელად. როგორც სჩანს, ეს ახალ
გარზდა კაცი, ღირსი ყურადღებისა, იცნო-
ბდა და სწოვრობდა იმ პირებთან ერთად.
რომელთა ზოგიერთი თავგანდასავალი, ნა-
ამბობია „თარი-არალე“-ს პირველსა და
მეორე წიგნში.

**



შეზარბოშებული ვიყავით, როდესაც გვეწყია თომა ფერული. მისი მოსვლა ვაგვეზარდა. მას იამა ჩვენი სიხარული და მოლიმარი გვიბოხრა დავებრძანებულავით, — უნდა მოვასხენით მძებო, რომ ჩვენს გულში სიყვარულის მეტი არაფერი არ არის და რასაც ჩავლევთ, ყველაფერს სიყვარულით!

ასე დაიწყო თამადა თომას სადღეგრძელო; თამადა კარგად ლაპარაკობდა, თამადა კარგად გრძობდა, კარგად ზედვდა და ყოველი მისი სიტყვა იყო გამომხატურება ჩვენი გრძობის.

თამადა იყო ჩვენი ტიტე, მაღალი, ფერმკრთალი, ჩაღმაგებული თევზითა და მლეღარ თმიანი, რომელსაც მოჰყვებოდა სიტყვის მადლი და სწყალობდა წყობილი სიტყვა.

დანარჩენი ვიყავით მისი მეგობრები, ისეთივე იყისა, თუ ცოტა მეტი წლის, ჰაბუტები. როგორც ტიტე, ალიყო, ქერა და ოდნავ ბეცი, დამკინავი, რომელსაც ყოველ გარემოებასა და ვითარებაში შეეძლო აღმოეჩინა სასაცილო რამ და არ იცოდა, როდის დაიწყებდა სიცილს. ნიკა, ნაკლებმეტყველი მხატვარი როსმანის მხატვრობის შორის.

ჩემი მეგობრები თვალით საამუშო იყვნენ. როდესაც ტიტე ლაპარაკობდა, თომას ვიხივებ, როგორც უფროსი კაცი, დამჯდარი ყოფილიყო. ხოლო ჩვენ ფეხზე ვიდექით და ისე შევსვით მისი სადღეგრძელო.

შემდეგ ვიმღერეთ.

სიმღერებს იწყებდა თომა თავისი ტკბილი ხმით და მე არ ვიცო, ამ ადამიანებს საღ გააჩნდათ ამდენი კეთილი, მომხიბლავი გრძობა, ასე რომ მელაენდებოდა მათ ხმებში. მე განცვიფრება გამოვაცხადე. თანაც დაძინებ:

— მე კი, თქვენს ბაჯადოს, მეგობრებო, დღეს მართლა მიყვარს ქვეყნიერება და ამისი საბუთი მაქვს — მე არ ვტყუდობ.

ზამთრის დღე მალე ილევდა და უთუოდ მიმწუხრი იწყებოდა, რადგან ნამეტანი ჩამობნელდა და სამიკტრნოს მსახურმა, ლენოსთან ერთად მოგვიტანა ანთებული ჭრაქი, რომელიც დაიდგა ჩვენს გვერდით, მაღალ კასრზე. ჭრაქის შუქმა კიდევ ახალი განწყობილება შექმნა და ჩვენ უხომოდ ვაგვიხარდა.

— აი, ბაჯადო, — სთქვა ნიკამ — როგორ არ მიყვარდეს ქვეყნიერება! ქვეყნიერებაზე არსებობს აი, ეს — ნიკამ სამიკტრნოს თვალა მოავლო — ქვეყნიერებაზე არსებობს აგრეთვე ფიროსმანი, საწყალო ნიკაა ფიროსმანი!

— ვაშა ნიკა! ყოჩად ყოჩად, ყოჩად! —

თამადა ბრძანა:

— ჩვენ გვახლოებით დიდი ადამიანის, საწყალო ნიკაა ფიროსმანის სადღეგრძელოს — უთუოდ უნდაც საერთო იყო ჩვენს სამიკტრნოში შექცევას და როსმანის მხატვრობას შორის.

მე რამდენჯერმე მიინახავს და ხანგრძლივად ვმდგარე ვარ ფიროსმანის ტილოების წინაშე; ვხედავ, ნახვლივნივია სადაღ, უბრალოდ; სჭარბობს შავი ფერები, საზოგადოდ მუქი ადამიანის სახეებიც როგორღაც დაბურულია და მე, მათ მხახველს, მუდამ ამესია სული და გული წუხილით, მხოლოდ არ ვიცი, იმის გამო ხდებოდა ეს, რომ მე ვერ ვწვდებოდი მხატვრობას, თუ პირიქით, მხატვარი თვით სწუხდა და მე მივწყდი.

ყოველ შემთხვევაში, რაკი ნიკამ ფიროსმანი ახსენა, ჩვენ უთუოდ მთვარალები ვართ. მაგრამ ჯერ კიდევ იყო სმენა და ვაგონება.

თომა ფერულს მეტად ტკბილი ხმა ჰქონდა და მან იცოდა ადამიანის თვალებში ჩახედვა. ბევრმა იცის ასე, მაგრამ უმრავლესობა, თვალებში რალაცას დაძებებს, ზეგარეს შიშველ სულსა და ეს არ არის სასიამოვნო. თომა არაფერს დაძებდა; ჩახედვდა ნათელი, თითქო თბილი თვალებით; ასე ჩამხედა თომამ თვალბებში და მიბოხრა:

— არის ბაჯადო ზენში რალაც ისეთი, რაც ადამიანის ყურადღებებს იპყრობს და აჯადოებს, ჰო, ჩემო ბაჯადო! —

ეს იყო ჩემთვის მოლოდინელი; თუმცა შექება ძალიან მიამა, მე სიცილი არ შემიწყევტია და თითქოს ჩვეულებრივი კარგი სიტყვა მიბოხრეს და მე მათთვის დიდი მნიშვნელობა არ მიმიცეს, ისე ვუპასუხე:

— გამადლო თომა, დიდად გამადლო! მაქვს იმედო თქვენი მეგობრობის. —

საბოლოოდ აივსო ჩემი სული სიხარულით და როდესაც მორიგი სდგრული წამოიწყეს (თუმცა ბიჭებს ერჩიათ ბოპოქობა — იძულებული იყვნენ ემღერათ დაბალი ხმით, რადგან თომა ასე მოითხოვდა) ნიკა ვადმოიხარა ჩემსკენ და კვლავ ჩამოავლო ფიროსმანზე ლაპარაკი.

კასრის თავზე ელაავა ხელადილთ ღვინოები, ჭიქები და საქმელი. ჩვენს ირვავლივ სიბნელეში ვწყო ღვინო სავეს კასრები და რუშბები; ჭრაქი ოდნავ ანათებდა ჩვენს სახეებს, ანათებდა კოთაოდენ არეს და ჩვენ ვიცოდით, რომ ესაა სამიკტრნოს საწყალო და ჩვენ აქ გვიჩვენავს; სამიკტრნო მეტად ნათელია; იქ იციან, რომ ჩვენ აქ ვართ და პატივს გვცემენ.

— ფიროსმანი, ადამიანსა და გარემოს წარმოგვიღვენს არა მარტო ისე — ამბობდა ნიკა — როგორც



ისინი არიან ცოცხალი, არამედ წარმოგიდგენს მათ, ამავე დროს, მკვლარს! აბაას! ადამიანები ჰგვანან აგრეთვე სათამაშოებს და მხატვარს ისინი შეჰყურებენ მკვდარი თვალებით. ფიროსმანი დიდი მწუხარად აღამიანია! ის ყველაფერს ხედავს! შემდეგ ჩვენც ვხედავთ! აღფრთოვანებული ახალგაზრდა კაცისათვის ადვილია მეგობარს დაეთანხმოს. მე აღფრთოვანებული ვარ და ნიკას ვეთანხმები. ეს ნიკა უნდა იცოდეს. გარდა ამისა, ნიკა დღეს თბილისიდან ჩამოვიდა და ეს სუფრა მისი პატვისციემის გამოხატულებაა.

მე გულწრფელი ვარ, არაფერს დავუმაღავ მეგობრებს, მაგრამ არიან მეტად სათუთი მოვლენები, რომელნიც ჩემს სულს ნეტარებით ავსებენ და რომელთა გამძლევნება, რაღაც ალღო მიტარავენს, წაართმევდა მათ სურნელებს. ესეც უნდა იცოდეს ნიკა!

არ ვიცი ასეთი სიტყვებით მიხვდა ნიკა ჩემს განწყობილებას, თუ მე გულახდილობით ყველაფერი წამომცდა; მხოლოდ ნიკა წამით დამაკვირდა და მე მომიჩვენა, რომ ჩემში მან ისეთი რამ აღმოაჩინა, რომ თავისთვის ინატრა. ამის შემდეგ ნიკა ამბობდა:

— ნუთუ დავიჯერო, არ აღმოჩნდება ამ ქვეყნად, ამდენ მშვენიერ გოგონებში ერთი, რომელსაც მე შეუყუარებდი? — ნიკა ამბობდა ვნებიანად.

თომა ფერეული კიდევ მღეროდა და უთუოდ ჩვენი საუბარიც ესმოდა. მან სთქვა, რომ ყველაფერი, რასაც ხედავს ადამიანი და ისმენს, არის მშვენიერი!

— რომ იცოდე, ნიკა, არ ამბობდი ხარ ასე რომ ბოჯავა! — თომამ ნიკას ქოჩოჩში ხელი ჩავლო და ხელათვე გაუშვა; შემდეგ დასძინა: — მომხიბლავი ხართ ბიჭებო, მომხიბლავი! — მე ვიმეორებ:

— რა თქმა უნდა, მომხიბლავი! და ყველაზე უკეთესი ხართ თქვენ, ძვირფასო თომა ფერეული! — მერე ვეუბნებდი ნიკას:

— მე მაინც მიჩივნივარ, ნიკა, მკვდრები მიცქეროდნენ ცოცხალი თვალებით, ვიდრე ცოცხლები მკვდარი თვალებით! არის საგნები, რომელიც არ უნდა ითქვას; შეიძლება მართალი იყოს, მაინც არ უნდა ითქვას! არა, არა! ეს ეგება ფიროსმანს; ნიკალა ფიროსმანი საწყალი და დიდი ადამიანია, მას შეუძლია ყველაფერი გვიბრძანოს! —

ჩვენც იმ წუთში მე ვერა განმეგრატა მიზეზი ასეთი სიტყვებისა, მხოლოდ ვხედავდი მეგობრებს აღსასესხ ნებისყოფით, რომელნიც ჰპორავენდნენ სიცოცხლის ძალით; როგორც მწიფე ხეხილი, ისე უქვიყოდათ სახელები; თვალზეთ აესოდათ სიცოცხლის ნიჭით, როგორც მინახავს ახალგაზრდა, ველური შველი, დაფთვებული რომ გარბის! ყველა ამან მათქმევინა, რაც ვთქვი. მაგრამ უმათერესად ჩემი სული იმის გამო აჯანყდა, რომ

არ შემეძლო ასეთი რამ დამეშვა იმ თვალებისათვის, რომელიც რადღენიმე კვირაა მე მუდამ მახსოვდა და რომელთაც დაეჭირათ ჩემი გული და ძლიერდებოდა.

ჩიტო, საშა ვოჩიძის და.

უწინ ის ცხოვრობდა ბათუმში. მე მას არ ვიცნობდი და არ შემეძლო მასზე ფიქრი. ეს შეიძლება ისეთი იყოს, რომ ადამიანები არ ვფიქრობთ, ადამიანებს არ გვახსოვს თუ გვაქვს თვალები.

ამას წინად, ნავთსადგურის სამმართველოში, სადაც მე ვმსახურობდი, თანამშრომლებმა სთქვეს, რომ საშა ვოჩიძის წლის თავი იყო და მთხოვეს მათთან ერთად წავესულიყავ. საშა ვოჩიძე ახალგაზრდა მხედარი იყო რუსეთთან ბრძოლაში დღღუპული

წვიმად. ცოცხ ქარი ჰჭროდა.

მე ვიცოდი, რომ ბათუმშიცაა ჩამოსულია ვოჩიძის და, ამბობდნენ, რომ ის ლაშაზია, მაგრამ ვერ წარმოვიდგენდი, თუ ის იმდენად მშვენიერი იყო. არაფერი მინახავს ისეთი მომხიბლავი; დავდამისთან ერთად, ის იჯდა ნახდაფენილი ტახტზე; თავი ადგათ ხელებ დალიავებული ქალბა მამა; ვარს ერთკთა ქალები და მამაკაცები და სულ-ყველა სტიროდა.

თუმცა ჩიტო სტაროდა და უხვად ჩამოსდიოდა ცრემლები, მე მაინც მომეჩვენა, რომ ის ჰგავდა ვახუშტის შემოღამებს, რომელიც საესეა სულწლებითა და მოლურჯო ჰაერით, აგრეთვე საესეა ჰაბუქ ხმებით, რომელნიც უმღერიან შემოღამებს.

არ ვიცი, შეიძლება თუ არა ასეთი შედარება; მხოლოდ მე მის შემედგარეს ასეთი რამე წარმომიღდა და თავებურ დამესხე

ჩიტოსთან ახლოს მე შევინაშნე მანანა ფერეულის ქალი, ისიც მტირალი და მშვენიერი, მაგრამ ჩიტო! ჩიტო!

მეც ცრემლები ყელს მომეხვიანა. კიდევ კარგი, დარბაზში მრავალი მოსამძიძიერ ერთად შემოვიდა და ჩვენ იჭაურობა დაეტოვეთ. ამის შემდეგ სულის სიმშვიდე მომერთობა. რამდენჯერმე შევხვდი ჩიტოს და საბაბე მომიცა მივსაღებოდი; იგი მუდამ მიპასუხებდა ოღენავი ღიმილით და მის თვალებში ჰკითხოდა რაღაც ალერსი, მაგრამ შესაძლებელია მე ეს მომეჩვენებოდა, რადგან ის იყო მეტად ზრილი და უთუოდ ყველა ნაცნობს ასე ესაღებოდა. მე კი, არავითარი განსაკუთრებული ღირსება არ გამაჩნდა, რომ მით შემძლებოდა ამ ქალის მოხიბლვა

„ღირსება? გაწუმდი ბაჯადო, გაწუმდი!“ და მეც ცდილობდნი ვამეჭმუნებია ჩემი გული და სული, რადგან მე ვიყავი ერთი იმ მრავალ სტუდენტთაგანი, რომელნიც უნივერსიტეტში ირიცხებოდნენ, ხოლო ამ ხანად მსახურებდნენ სხვა და სხვა დაწესებულებებში

და ხელდასად, ქაღალდის მილიონებთან ერთად ღებულდნენ ცოტადღენ ულუფას (პაიკს): ტარანას, თუთუნსა და ფეილის. არც უნივერსიტეტში სწავლა მინდოდა, რადგან გულის ნადებად მჭონდა, რომ გამეცოტებია რაღაც დიდი და ისიც ერთბაშად, ხოლო როგორ, ან რა დარგში, მე ეს არ ვიცოდი.

განა ეს ღაცობაა? რამდენი იყო ახალგაზრდა ჩვენს ქალაქში, ღაცოლებით ნიჭიერი და მშვენივრით სავსე. მე არ შემიძლო მჭონოდა არავითარი იმედი და გულის წუწხლივრთ ენატრობდი ცყოფილიყავ გაცოლებით უშგობესი!

ტიტემ, რომელიც მე მიყვარს, რომელიც მეგოსანი და ჩიტოს ახლობელი ნათესავი, ბევრჯერ ჩამომიგდო ჩიტოზე საუბარი. ერთი სიტყვა, თითქოს ჩიტოს ეკითხა: თუ რას ვაეცებ მე, ბაჯალი, ამ ქვეყნად და საზოგადოდ რას ვაძმოვადგენ! მერმე სიტყვა, რომ ჩიტო ჩემს ამბებს ხშირად ჰკითხულობს და ჩემს ხსენებაშია! ამაზედ, ტიტე ასეთნაირად ამბობდა: ეს რაღაც საეჭვოაო! ასეთი საუბარი მე მაკრთობდა და ცვლილობდ სიტყვა სხვაზე ვაღმდეგანა, რადგან ჩემი მეგობარი პოეტი: იქნებ იგონებდა, იქნებ მაშინვედა რაიმეს და ევბრალებოდი. ვფიქრობდი:

„შორს სიბრალული, ჩემო ტიტე! შენი ნათესავი ქალი მეტად მშვენიერია; იმდენად მშვენიერი, რომ მის მოკონებაზე წარმოდგებანა, რაღმეობები, რომელიცე ადამიანში პბულდობენ იქვე, სადაც ცრემლები. მე ერთ სტრვილი მაქვს: ის ქალი იყოს ბედნიერი! ჩვენ კი ვისაუბროთ, ტიტე, პოუზიან!“

ესაუბროდით დაუსრლებელიც.

დღეს ნიკა ჩამოვიდა თბოლისიდან. სამიკიტროში რომ მივდიოდი, ტიტემ დამიმარტობელა; მას ჰქონდა ცოტათი ჩახლელილი ხმა და როგორც იცოდა, ჩქარი, რაღაც ზედიზედ ლაპარაკი, გამოდიოდა, თითქოს ჩუჩილებდა, მითხრა:

— ბიჭო, დაბატყებული ხარ! გაბატოვბს ჩიტო; ეიქნებით მხოლოდ ახალგაზრდები; რამდენჯერმე გამიმეორა: თუ დიბარი გწამს, უფარი არ სიტყვას; აუცილებლად მოიყვანეთ! წამოხვალ ბაჯალი, ხომ აპ? — და უეცრად, რა დაერწმუნდი, რომ ტიტე არ ხუმრობდა, მე ვივრტძენი ნეტარება. ყოჩად ტიტე, ყოჩად! სუფრა ისე ჩაატარა, რომ ამის შესახებ ვადაკრული სიტყვა არ წამოსცდენია. ვათავდა ჩვენი პატარა ნადიმი. თუმცა ზამთარი ჯერ კიდევ არ დალეულიყო, ვარედ იღვა მშვიდი ღამე, საცამოდა თბილი. მე არ შემიძლო შინ წასვლა და დამინება; მინდოდა მოძრაობა და ამიტომ დავიძახე:

— მეგობარებო, მოდი ნუ წაველთ შინ; არამედ ყველანი ერთად წავიდეთ თომა ფერულთან კარაყინი!

— ყველას გეხარდა. მხოლოდ ნიკას არ შეეძლო წა მოსვლა, ვიყავით ღვინო.

ალიკომ და მე, ჩვენ შინიდან წავეიღეთ სანადირო თოფები. ძაღლები არ წავაციყვანია; რადგან მათმას კარავში ჰყავდა უშველებელი მურა და იქნებ მას არ ეგუებოდა ისინი.

ჩვენ მივდიოდით ორი-სამი დღით. სამსახურში დაელებდა არ იყო საფრთხილო. ვხაზე შეშხვდა ერთი ჩემი პარტიული ამხანავი; მას ჩემთან დიდი საქმე ჰქონდა, მაგრამ შემბატყო ნაღვინარი ვიყავ და დათანხმდა, სამი დღის შემდეგ მომლაპარაკებოდა.

როგორმე უნდა გამეტანა სამი დღე. მეოთხე დღეს, მე ვნახავდი ჩიტოს.

თომა ფერული რამოდენიმე წელიწადია ცხოვრობდა ვანმარტოებით, უბრალო ფიკრულ კარავში მიდინარე ფირობის პირად. იმის მტეი იქ არავინ ცხოვრობდა. ადგილი იყო უდაბური, ნახევრად ველური, ხოლო თვით თომა, საცამოდ განათლებული, მშვენივრად აღზრდილი და ადამიანებთან ურთიერთობაში სწორედ მომხიბლავი.


ჩვენ უნდა გავველო ტბა, რომელსაც მდინარე ფიჩორი, ორიოდ კილომეტრის მოშორებით ერთეოდა. როდესაც ღვილში ჩავსტეილით და ტბას შევედქეთ, მე მიხვდი, რომ არ შემიძლია გაჩუმება; ან ჩიტოზე საუბარი უნდა მესმოდეს. ან ისეთ რამეზე, რაც ჩიტოსა ჰგავს და მას მაგონებს.

— ჩემო ძვირფასო თომა! ნუთუ შენ, ასეთ ადამიანს, მართლა არასდროს არ გყვარებია? — შესაძლებელია სხვა დროს ასეთ კითხვაზე ღიმილით ეპასუხა; მაგრამ ამ ეჟმად, მე ისე წამოვიძახე, არა უბრალო ცნობისმოყვარეობით, არამედ თავდავიწყებით, გატაცებითა და პატვიისცემით, რომ მივერს თუ რატომ ვერ მიხვდნენ, რომ ეს ეკუთვენოდა ჩიტოს. ვერ მიხვდნენ. წუთით ვაწუდნენ და ამ წუთიერ სიუფემში შეიქმნა განწყობილება გულწრფელობისა და თანავრტძობის.

გაქემო ჩვენ ხელს არ გვიშლიდა. ტბა წყნარად იყო. უხმარული იყვნენ ნაპირებიც თავისი ლაშქრებითა და შორიული ტყეებით.

— როგორ არ მიყვარებია, შე სულელი ბაჯალი — თომამ გაიღიმა. მერმე მოჰყვა, თითქოს თავის თავს ესაუბრებოდა; არა, კი არ ესაუბრებოდა, არამედ თითქოს აღლევებული იყო და თავის თავს ამშვიდებდა. მე კარგად ვიკნობ ასეთ სულიერ მდგომარეობას; იგი ცოტათი მტანჯველია! და როცა თომამ თავისი ამბავი დაიწყო, ჩვენ მართლა აეღვლიდით. მე პირადღ შეეჩტვა და კინაღამ დავიძახე: „თომა, თუ კაცი ხარ, მოდი, ნუ გვეტყვი ამ ამბავს!...“

მე ამის საბუთიც მქონდა, რადგან ჩემი მიზეზით



იყო ეს საუბარი გამოწვეული; გარდა ამისა, თომა ცოტა მთვარელი იყო; გამოდიოდა, რომ ჩვენ ახალგაზრდებმა გამოიტყუეთ მას გულის ნადები, რაც სიხშირე-ღებში იქნებ მას არ გაემიზილა. ამხანაგებს გადავხედე: ისინი თომას შეპყრებდნენ ისეთი თანაგრძობით, ისეთი პატივისცემითა და სიყვარულით, მოვარგებ-ღდა ბავშვებმა რომ იცან: გადასდებენ ერთმანეთს მხრებზე ხელსა და მიმოვიძინ. არაფერი მიტიქვამს.

მუდამ მომწონებია კაცი, რომელიც გულწრფელად მოპყროლია თავის სუსტ მხარეებს. ჩემს თვალში ასეთ კაცს ღირსება არ დაჰკარგვია; მაგრამ პირადად მე, ვერ გავედგა ჩემი მოყვით, იქნებ მე მხალღი ვარ! კარ-გია გულწრფელობა?!

ყვლწრფელობა უთუოდ მშვენიერია. ყოველ შე-მთხვევაში ის არ არის თვისება წყრიღმან ადამიანის. მაგრამ მაინც ვყოყმანობ იმის შესახებ, შესაძლებელი თუ არა იქნება ყოველივე, რაც ხდება ამ ქვეყნად!

თომა ლაპარაკობს:

— ქალი, რომელიც ყველაზე უფრო გატაცებით მი-ყვარდა, იყო მეძაღვი. ეს მოხდა დიდი ომის დროს, ჯარისკაცად ვიყავი. მაინც უცნაურად შევხვდი იმ და-ღლიცივალს. ქუჩაში დათეს დაატარებდნენ. უტეც დათვი-გაქეტეს, თათებით მე ზურგზე ჰქრილობა მომაყენა, ხა-ღლი დათეს დაედევნა და მე დაერი მარტო. მახლო-ღებულ სახლიდან ახალგაზრდა ქალმა მომაშურა: „თქვენ დაჰქრილი ხართ, უნდა წამოხვედითო!“ —

ასეთ დროს ქალს უნახებდნენ, რომ ეს არაფერია, ნუ შესწუხდებიოთ! და მეც ასე მოვიტეტე.

— ღმერთო ჩემო, რას ამბობთ! — ქალმა თავისი პატარა ხეღები შემახო და მე მას გავეცი.

ის იყო ძლიერ კარგი, ნარნარი. არის ქალის მშვენი-ერება, რომელიც ქუჩაშიაც იპყრობს ადამიანის ყუ-რადღებს; არის მეორე მშვენიერება, რომელიც მხო-ღად მაშინ სრანს და ისიც განსაკუთრებულ პიროვნე-ბათათვის. როდესაც ქალს ეს პსურის და მშვენიერება თითქოს იზღება ქალის გულის კარნახით.

ასეთი მეორე მშვენიერება იყო ეს ჩემი უცნობი, ახალგაზრდა მანდილოსანი. იგი აღმოჩნდა ლეკის ქალი.

სანამ სახლში შევიღოდით, იგი უცრად შესღდა:

— მე გთხოვთ, ჩემზე ცუღად არ იფიქროთ. მე თქვენ გემუღარებთ... — სთქვა მან. მე ღიმილი გა-მიქიჯა; ქალმა ეს ითხოვა დიდი მწუხარებით, თითქმის ტრილონი. მე არაფერი ვიციღდი და შევწუხდი. მო-მეჩვენა, თითქოს ქალი კიღეც შეყოყმანდა, მგონი უნ-ღოდ დაღვთხოვე და სახლში არ შევეყვანე. ბოღოს შევეღით. რაღაც უსიამოვნების გრძნობამ მომიცვა ამ სახლში. ყვეღაფერი სუღთა იყო, მაგრამ ამ სისუღ-

თავეს ახღდა რაღაც საეჭუო, რაღაც ცუღი. მე არას-ღროს არ მომსურებია ვაეცნობოღი საროსკობებს, მაგრამ რომ მსმენია, რაღაც ასეთი რამეწმუნს ცხოღი-ღიყო.

მეწყინა. ენა დაღება.

ქალმა ჰრილობები მომბანა. შემიხვია. სანამ ჩემს გამოიტეტეღლებს ვერ ჰხეღავდა, ქალი რამოღენჯერ-მე გამომწლარაკა:

— ხომ არ მტყვიავო? ჰო! ღრმა არის! მაშ, მე ქარ-ღელი ვარ? ეს მეტკობა ყვეღაფერი. თუ ოღდემ შე-ღვიღი... თუღმც არა, არა; ას მითხოს, არასღდეს არ შევიარო — მე ეუბასუხები დაბნეულად. ქალი სა-ქმეს მორჩა და რა შემომხეღა, არ ვიცი რა სცნო მან ჩემს გამოიტეტეღლებში, იგი უეცრად, თითქოს აი-მართა ჩემს წინაშე განარისხებღლი. მე ვეღოღი დაღტუ-ქავას (ქალი ისე ღღვა ჩემს წინაშე, თუღმც არ ვიცი რატომ, ან რისთვის) და ხმა არ ამოღიღია.

ქალი ისევე უეცრად მოუღუნდა, როგორც აენთო და თეღლები აეღოს ცრემღით. მე სულ ღმერთი გამოწყ-ურა და ენას ვერ ვძრავღი. მას ბავები შეუღრთოღლ-ღა, მაგრამ ხმის ამოღება არ ისურვა და ხელით მანი-ღნა დამეტკოღებია.

არ მახსოვს ოღდემ ვეღლიყავ, ვინმესთვის მეწყე-ღინებია; არა მარტო, იმიტომ თითქოს არაღდეს არა-ღვის ეს არ დაემსახურებოღის. არა! ცუღი საეჭეღი, უხარხული გამოთქმა, გაჯავრება გინდა სხვა რამ ასე-ღი, კაცის ზღნება. ეს ყვეღლი მოსღეს; ზწორად და-ღვიქიღებულთა ამავუ და კაცის სისუსტე შემბრალე-ღია; და ეღლა, თქვენ წარმოიღღინეთ, ამ ჰაწია ქალმა, თავისი გუღის სიკეთით ასე მომიარა და მე ის უნდა დამეტკეღებია ატირებღლი.

მე არ შემეძღო.

გარდა ამისა, მე უთუოდ არ მიწღღდა ჩემი თავი-სათვის გამომღღადენება, თორემ როდესაც ქალი ჰრი-ღობას მიხეღავდა, მისი ყოველი შეხება ჩემთვის ნე-ღარების აღმძერული იყო; ხმაც ისეთი სღთა და გუ-ღლითაღი ჰქონდა, თეღლები ეღვარე, ხოლო მიღღად რაღაც სეტკაცი, კღმმა მოსიღი, მწუხარების ეღფერ დაეკღღი.

იქნებ ჩემს გუღს ჰსურდა ასე მომჩვენებოღა ეს პა-ღტარა მიღეღი ქალი. რა შემატყო არ მიღღიღი, ან იქნებ იმის ღამო, რომ სახეზე მწუხარება გამოამწ-ღა, მან სთქვა:

— მართალი ხართ, მე ზიზღის ღირსი ვარ — და ისევე ვაღმოდინდა ცრემღებით. მაშასადამე, მე ვიყავი მართალი: ეს მეძაღვი ქალი იყო. მაგრამ ამის შემღდეგ მე ენა არ ამოვიღე. თუ რა ჩემში კარგი გრძნობები ოღდემე ყოფიღან, ახღა თავის თეღად ვაღმოიზღღენ და ქალი დარწმუნდა, რომ ის სრულეღბით არ ჰრძან-

დებოდა საზოგადოებრივი; მართალია, მისი მდგომარეობა იყო ნაძვრები მძიმე, მაგრამ ეს იწვევდა მხოლოდ სიბრაღეს, არა ისეთს, რომელიც ხშირად კაცს შეუჩაქვავს, არამედ სიბრაღეს, რომელიც თვითონ ტანჯვას და ადამიანური თანაგრძობას.

მე მას აღუთქვი, რომ კვლავ ვინახულებდი და დავტოვე დასშვებულს.

ვერ წარმოიდგენთ, რა გაძვივრდა ადამიანის გონება: როდესაც რამდენიმე კვირის შემდეგ მე დაერწმუნე, რომ მთელი ქალი ჩემს ველს დაუფლავა, გონებაში შემოქმნა გადაწყვეტილება, რომ ამაში დასაძრახისიკ კი არაფერია, რადგან ეს არის სიყვარული და არა სიძულვილი!

მე ვიყვე სიარული მთელი ქალთან. მას ჰქონდა თავისი თოხანი; ჩვენ იქ მხარტოვდებოდით და ვეკვიწყდებოდა ყველაფერი. ვერ ვიტყვი, ეს იყო ზედნიერი წუთები! მაგრამ ეს იყო ყველაზე უმეტესი, რაც მე მარტუნა ბრძოლა.

ასეთ დროს ლეილა იყო ძლიერ სათნო და მე, ფიციტ შემძლია ვთქვა, რომ მისი სული იყო სეტყაი. იგი ჰგავდა ყვავილს, რომელიც მზეზე ვაშლიდა და სუნუნლოვნებს, მაგრამ ხელათვე დასცხრება, როგორც კი ჩავა მზე.

ვგაღმა, ასეთ დროს ხშირად მოგვესმოდა მთვრალი ალიაქოთი; მოგვესმოდა არღნის ხმა და ლეილა ისე შეიკრავდა წარბებს, როგორც სამარტელოდ გამზადდებულ ადამიანი. მე რომ თავისუფალი კაცი ვყოფილიყავი, წაიცივანიდ ამ მთიელ ქალს და წარვდებოდი წინაშე ჩემი ნათესავებისა და მეგობრებისა, და თუ ისინი ზურგს შემაქციევენ, მე ვეტყვოდი მათ: — არაფის წინაშე არ ვარ ვალდებული ვიყვე უმჯობესი, ვიდრე ვარ! — ჩვენც ვიცხოვრებდით განმარტობით, გადაწყვეტილი მინც გვექონდა, ლეილა აქაურობას მოშორებოდა.

ჩვენი ნაწილი ფორნტზე ვაწვივს. ლეილასთან რომ მივდილი, იგი უკვე საღვალე წასულიყო. სახლის პატრონის მანდლოსანი, მეტად მწყარალი დაიხვდა, რადგან ლეილას წასვლას ჩემს გავლენას მიაწერდა და რამდენიც არ ვეცადე, ვერავფერი ვაეცი: სად წავიდა ლეილა, როგორ, ან ვისთან! მარტოოდენ წერბილი ვადმომცეს: ბავშვური, ვალტურბეროლო ხელით დაწერილი. ლეილა მთხოვდა მქონოდა მისი ნღობა და იმედი, რადგან ჩემი ნღობა და იმედი, მას სიკვილაზემე ჰქონდა!

რალა ბევრი გავაგრძლო. ვიომეთ. დავიჭერი და ჩამიყვანეს რუსეთის ერთ დიდ ქალაქში. არასოდეს არ მქონია მიდრეკილება გარყვნილებისადმი, მაგრამ ჩემს ბედის წიგნში, უთუოდ ესეც წერებულა და რა საავადმყოფოდამ ვამოვედი, მე შემეყარა ცული სენი.

ეს, ყმაწვილებო, მართლა უბედურება და სისადაღლე! ვარდა ყველაფრისა, მე ამიტანა სირცხვილმა ჩემი მშობლების ხსენის წინაშე:

„როგორ! მათ მომანიჭეს ჯანმრთელები, მაგრამ სხეულს მე ვერ გავუფრთხილდი და სამუდამოდ წამებილმა სისხლი!“ ბევრი ვიკამე და, მართალია, მოგჩი, მაგრამ მე აუტკრძალე ჩემს თავს ყოველივე ის, რისი უფლებაც მანამდე მქონდა.

ამის შემდეგ საჭირო აღარ იყო მეძებნა ლეილა! მაგრამ არ იღვიქრით ყმაწვილებო. თითქმის მე შევექმნილიყო უბედური ადამიანი! სრულებით არა! ან კი არ არის ბედნიერება! ბედნიერება მე ის მგონია, როდესაც სხეულის ძალ-ღონე შეესაბამება სულიერ ძალას და ორგვე კიდევ ვონებისას; ამით შორის თანხობა და წონასწორობა ბედნიერებაა რა თქმა უნდა, მე არაფერს არ ვქადაგებ. იქნებ ჩემი სხეულის ვანწყობილებაში რაიმე შეიკვალა და იგია ყმაყოფილებას რაიმე მგერის. ამას წინად ჩემმა ბიძა-შვილმა კოტე ფერულმა ავადმყოფობა შემომწამა: — უთუოდ ავადმყოფი ადამიანი ხარო! — არ ვციცი, მაგრამ ვიცი, მშვენივრად შეიძლება ზოგიერთმა ადამიანმა იცხოვროს ისე, როგორც ვცხოვრობ მე!...

ამ სავანზე საუბარი კარავაიცი ვაგრძელდა, სადაც ჩვენ მალე მივაჭვივით. თომას მოსევით ნასაიმოვენე მურა, ჯგონს ვეება ძალდა, აუფლდა. დაინთო კერა. შემოვუსხედით. მურაც მეფურად იჯდა ჩვენ შორის და ყველაფერი ხდებოდა ერთად, მიწყვი. თომას ჰქონოდა დაუბოცილი იხებები, ბოთლებში ცხარე წვენი, მქაღი. ყველაფერი თებებოდა. დახმსენის მოლოდინში საუბარი მსუბუქად ხლტოდა, რადგან არაფის სურდა დავა.

ბიჭები ამბობდნენ, რომ თუ გონება დასთანხმდა, უთუოდ ადვილია ცხოვრება ისე, როგორც ვანდებილები ცხოვრობდნენ ძველად და ალბათ, მათი ცხოვრება იმდენსავე ბედნიერებას უჭმინდა მათ, რამდენსაც თანამედროვე ცხოვრება და საზოგადოდ, რამდენსაც იტებს ადამიანის აგებულება.

თომამ სთქვა, რომ სიტყვა მეგობარი, წარმოსდგება სიტყვიდან „გობი!“ ეს იყო წინასიტყვაობა და მობოღიშება იმისი, რომ ჩვენ უნდა გვექმნა ერთს გობში. ვილცამ ვწინაშე, რომ ქარი ამოჭრილა და დარი შეიცვლებაო ეს ჩვენ არ გვებებოდა!

მირველი სადღევრძელო მე დავლიე. ვთქვი ასე: — მეგობრებო! გთხოვთ ვადღევრძელოთ ჩვენი ადამიანური გული, რომელიც ჩვენად გვეგულება, მაგრამ არ გვეკუთვნის ჩვენ! იმთავი გაუმარჯოთ, ვინც იწებებს ჩვენს გულს! — შუალამე ვასული იყო, როდესაც მივეჭვიეთ.

მე იცვ მესმობა თომას ჩონგური, რომელსაც ის

უბაღლოდ უყარავდა; მესმოდნა თომას ღლინი და ზედ ქარის ხმა და ძილში ვადასული, ვიმოგობები ჩემთვის: „შეზე, შეზედვი, როგორ უცხოვრია ძვირფას თომას! რამდენი უტანჯია! ავრეთვე ლეილა! საბრალო ლეილა! თქვენ კი, საყვარელო თომა, მართლა რომ ბარაქალა! თქვენმა ამბავმა, თქვენმა ჩონგურმა დამიამა სული და გული“.

იმის მაგივრად, რომ დილით სანადიროდ წავსულიყავით, ნაღვინებზე ძილი ღრმად მოგვეკიდებოდა და ჩვენ გამოგვაღვიძა ნადირობიდან დაბრუნებულმა თომამ. ალიყო გასწყვიტა: სანადიროდ მძივრიდა წასვლაო! მაგრამ ხელათვე ვაეცინა. მეც ვამელიმა, რადგან სანადიროდ წასვლას დილით ძილი მერჩია.

თომამ გამოგვეცხადა, რომ თოვლია მისული და ჩვენ საჩქაროდ ავდგეთ, რათა გვეჩხა თოვლი.

მე არ მიყვარს გვიანი ზამთარი, მაგრამ თოვლზე საყვედურს მიანიც არ ესძრავ. ცა, რომელიც ჯერ კიდევ უწყურლის იყო ვამევირვალე და თვალუწყვინელი, ეს-ბა დაღლა ჩამოსულიყო და მის ქვეშ ქვეყნიერება ჰგავდა შარავანდელით მოსილს. სანახაობით მოხიზლული, მე ვფიქრობდი ჩემთვის:

„ერთი მითხარით, ასე დიდებულად ჩვენ რომ ვცხოვრობთ, ვის უცხოვრია! ჩვენს განკარგულებაშია სპეციალური თოვლი; ჩვენს განკარგულებაშია თომას კარავი; ავგარ სულზე უტკბები შეგობრები არიან ავრეთვე ქალები და დასასრულ, ჩვენს განკარგულებაშია მტერი, რომელიც ოჯახში შემოგვივიდა, რომელსაც უნდა ეზრძოლო და დაამარცხო; და ყოველივე ეს სრულიად უსასყიდლოა!“

ტიტემ ლექსის თქმა მოისურვა და რადგან ლექსი ჩვენ ვიცოდით, ხოლო ტიტე პოეტია და მას სურდა ახალი გამკონე, მან მიმართა მურას, რომელიც მოდიოდა ჩვენსკენ:

უეცრად მოვიდა შეშლილი მოხუცი და თეთრი მერანი ჩემს ბაღში დაბაბ; ირგვლივ გედებია თეთრი, დანახოცი; ქვეით ტაძრებია...

თომას ძალმა მურამ უხერხულობა იგრძნო, ტიტეს გვერდი აუარა და იქვე თოვლი დაასველა. სიცილი დაიწყო ალიკო. შემდეგ ყველანი ვიცინოდით.

— მურა დიდი ძალაა და მეშინია, თორემ თოვლაბურთის ვეთამაშებოდით — სთქვა ტიტემ; რაც შეეხება ხეებს, რომელნიც ჩვენს ირგვლივ იდგნენ, მათი შტოები, დაბურდული თოვლით, მართლა ჰგავდნენ დაბოკო ველებს.



ნამეტანი კარგია ცხოვრება, როდესაც ადამიანი საქმეებში ხარ ვართული, ვერ ასწრებ მათ და საქმეები

გიზიდავს; ასეთი ცხოვრება დამეწყუო თომას კარავიდან დაბრუნებისას.

პარტიულმა ამხანაგმა, ამას წინაშე რომ უნდა მომლაპარაკებოდა, მხნა თუ არა, გამომრცხადა, რომ უფროსებმა გადასწყვიტეს ახალგაზრდობის ხელმძღვანელობა მე მომადონო, რადგან აქ ვრჩები და არსად არ მივლივარ. მე უარი განვაკახადე:

— მართალია, დღეს აქ ვარ, მაგრამ რა ვიცი, ხვალ რა ქარი დაჰპროლებს — მას კამათი არ დამეწყია: ჩემს პასუხს ის გადასცემდა უფროს ამხანაგებს და რადგან ფულელი იყო სპეციალ, ვადმომცა დავალბა, მომეწყუო საღამო. ეს შემეძლო. დაეტრიალდი.

— ამხანაგებო, თქვენ მოამზადდებთ ერთ პატარა პიესას და მზად იყოლიებთ ხოროს.

ეწყობა სტუდენტთა დღე. მომწყობა კომისიის სხდომაა ხვალ. შევიძლიათ დავსწროთ!

— მაგრამ სტუდენტთა დღე გასულია!

— არაფერია!

ახალგაზრდა აქტიორები დატრიალდნენ. ტიტეც დატრიალდა.

ავიტირობაში, სადაც საღამოს ნებაართვისათვის ვიყავი, შემოვიდა იონა თავაძე.

— აა, ჩემს ბავაჯოს სალამი!

იონა თავაძე საგანგებო კომისიის (ჩეკის) თავმჯდომარე იყო ჩვენს ქალაქში. მან ჩემი განცხადება წაიკითხა

— სტუდენტთა დღე — სთქვა მან: მაშ ფულები შემოგვეკეთათ!!!

— დიახ, ამხანაგო თავმჯდომარე!

იონა თავაძე უთუოდ სალაპარაკოდ იყო ვანწყობილი: — ბავაჯო, ბავაჯო! ნეტავ შენ ყველადგერს ხედავდე როგორც მე, მაშინ თავს დაანებებდი ყოველგვარ ჩერჩეტბას...

— მე ისე ვხედავ, როგორც თქვენ, ამხანაგო იონა: დღეს, მაგალითად, წვიმს და ავი დარია!

იონამ ვაიკინა:

— ცივანი ხარ — მერმე ხუმრობით სთქვა: შენ იცი თუ არა, რომ ისტორიის ბორბალს ჩხირ-კედელაობით ვერ ვაგრებ? აყოლიხართ ერთი მთელი და არ გინდა ჩაუფიქრებდი იმას, თუ რა ხდება! იცი შენ რამდენია ამ ქვეყნად ისეთი, რომელიც თავის სიცოცხლეში არავფერს აკეთებს და სხვისი ნაოფლარით ცხოვრობს?! მერე, სამართლიანია ეგა? და შენ, როცა გვებრძვი, იცი თუ არა, რომ იმათ საქმეს აკეთებ? კარგია განა ეს?..

ძლივს დავახწიე თავი იონა თავაძეს და როდესაც ტიტეს ვადავკო ჩვენი საუბარი, მე და ტიტე შევიტანხმდით, რომ არ არის კარგი ადამიანი ცხოვრობდეს სხვისი ნაოფლარით, რომ ეს სისამაველა და მათ ჩვენ არ ვეხმარებით, ხოლო თუ გვიწევს ბრძოლა, ამაში დამ-

ნაშვავა იონა და მისი აზნანაგები, რომელთაც ისტრეკს
„აქართველოში რუსის ჯარების შემოყვანა“.

საუბარი სწარმოებდა ვანო ჟონელიძის სამხატვრო
სახელოსნოში, სადაც ახალგაზრდა მხატვრები აკეთებ-
დნენ ავტობროშის პლაკატებს. ნიკაჲ აქ იყო; იონა თა-
ვაძის სიტყვებზე დაფიქრდა ნიკა და სთქვა: იონა თა-
ვაძე გულწრფელი კაცია!

და ყველა საუბარი, რომელსაც მე ვისმენდი, რო-
მელშიაც ემონაწილეობდი და აგრეთვე სხვა ურთი-
ერთობა ადამიანებთან ამ ვამად, ჩემის მხრივ იყო ისე-
თი, რომელიც მე მსურდა მალე დაბოლოებულიყო, რათა
კვლავ გადამესინჯა ჩემი სულიერი საფუძველი და
დამეტკბარიყავი მითი.



მე არ მახსოვს, როგორ ჩამოვართვი ხელი ჩიტოს.
მას ჰქონდა ფუნთუშა ხელი. არც ის მახსოვს, რა ვთქვი
ისეთი, რომ მან მიპასუხა:

— მე ვიცოდი, რომ თქვენ კარგად ფიქრობდით ჩემ-
ზე... ჩვენ ვუღიმიოდით ერთი მეორეს და სულ ახლოს
ვიჯდით. ტიტე და ორი ქალიშვილი, მეორე ოთახში
სუფრას სტოლიდნენ. მათი ხმა ჩვენ არ ვგესმოდა.

უმეტესად ჩვენ ვიყავით მღუმარე. მხოლოდ ხან და
ხან მე ვამბობდი ისეთ რამეს, რაც შეპყვიის არა ფეხ-
ვალს, არამედ მთვრალს; შესაძლებელია მე არაფერ-
საც არ ვამბობდი, მხოლოდ ვგრძნობდი, ვფიქრობდი
და ჩიტოს ეს ესმოდა:

— ღმერთო, ჩიტო თქვენნი თვალები, კბილები, წამ-
წამები!

არ მახსოვს, როგორ მოხდა, ჩიტოს მკლავებში ხელი
ჩავავლე და როდესაც მინახა მან თვალები, დავუწყე
ტუჩებში კოცნა, ჩიტო მომეკრა მყერდით.

— ჩიტო, გენაცვალე, იცო რა?!

— რა იყო გენაცვალე?...

მაგრამ არაფერიც არ იყო. მე მინდოდა დაერწმუ-
ნებულყოფიე მხოლოდ. თუ რა მომდის! ვირევი, თუ ეს
მართლა ჩიტოა, რომელსაც მე შემშიდათა ვკოცნიდენ
და ის ნინას მითავს. მე მას ვკოცნიდი დრო გამოშვე-
ბით; ჩვენ, როგორც ძილში მყოფი ადამიანები, ისე
ვებუტუბუბდით რაღაც სიტყვებს...

კარზე დაგვიკაქუნეს: სუფრა გაშლილია, მოზრძან-
დით!

ვანა მე მინდოდა სადილი? არც ჩიტოს! მაგრამ მე
უნდა მკოდნოდა, რომ ჩიტო დიასახლისია და მისმა
მეგობრებმა მას ხათრი დასდევს და ამდენ ხანს თავი
შეიწყუბეს. ჩიტო ლაპარაკობდა ოდნავ დალოდილი და
ისეთი რამ ერია მის კილოში, რაიც ერთობ მეკუთუ-
ნოდა მე; ეს იყო გულითადი მონობა, რამაც მისდამი
მალლომის გრძნობით ამაქუსო. „გმადლობ, გმადლობ,
ჩიტო!“, ვფიქრობდი მე. კიდევ ვფიქრობდი: „მაპატიე

რომ მიყვარხარ!“; თუმცა მგონი, არ იყო საჭირო ასე
მეფიქრა, რადგან ჩიტომ, როგორც ლაპარაკობდა, მხო-
ლოდ ჩემთვის, ისეთივე კილოთი, სარკეს წინ თმები
გაისწორა და თავისი აღფრთოვანებულ თვალებში მწე-
მავლო და შეაჩერა. მე თავი ვერ შევიკავე და ისევე
დაუწყვე კოცნა. სუფრაზე ჩვენ ხშირად შევეცქრო-
დით ერთმანეთს (მე და ჩიტო). მე ვგრძნობდი მის-
დამი რაღაც სიბრალულისდაგვიარს, რომ მან ჩემთვის
ბევრი ვაილი და უღიღინე სურვილი იყო ჩემი, რათა
ის ბედნიერი ყოფილიყო.

ტიტემ ერთ საღმრთოებლოში, რომელიდაც ინდო-
ელი პოეტი ახსენა. პოეტი დაახლოებით ასე გამოი-
თქმოდა: „ქალი, მე შენ გკოცნიდი და განცვიფრებუ-
ლი დაეწი, თუ ამდენი სიტყვობა, როგორ თავსდე-
ბოდა ამ პატარა სურათში!“

სეთი რომ მეც შემეძლო მეთქვა, მაგრამ ჩემი სული
იმედება მდღიარი იყო, რომ არ მეკადრებოდა არც
სხვის გრძნობის მიმატება, არც ჩემთა გამოჩენა.

ყოფილ ვაჟთა გიმნაზიაში დაარსდა სტუდენტთა
დღის მომწყობი კომისია. იქ იყვნენ ყველანი, ჩვენი
ნაცნობანი. იყო აგრეთვე დარბაისელი ლევან ფერეუ-
ლი, რომელიც დიდ აღფრთოვანებას არ იჩენდა, მაგ-
რამ ვიცოდი, ბავშვივით გაიქცეოდა და შესარულიბე-
და, თუ რაიმე დაეგეგმებოდა; იყვნენ ქალბებიც. ჩიტო
და მანანა მოვიდნენ ერთად.

როდესაც ისინი დარბაზში შემოვიდნენ, მე გულმა
ძვრა მიმატა და თუმცა მთელი ყურადღება ჩიტოსა-
კენ მქონდა მიპრობილი. შევინაშენ, რომ ვინო უთნე-
ლიძის, მართალია, ლაპარაკი არ შეუწყვეტია, მაგრამ
მის ხმაში გამოიყოფოდა რაღაც ახალი, ჭაბუტური სიხა-
რული.

ჩიტო და მანანა იყვნენ მშვენიერი; ისინი მორცხ-
ვად იღიმებოდნენ და მათი თვალები გამოსცემდნენ
ელვარებას, ხოლო ქალწულებრივ ბავთთა შორის უკრ-
თილად უზნალო კბილები. მათ შემხედვარეს გუნება
ეცვლებოდა და ებადებოდა სურვილი დიდი საჩქებების
კეთების. როდესაც ისინი მოგვიახლოვდნენ, მე ვთქვი,
რომ ბავშვებისა და პატარა გოგონების ადგილი აქ არ
არის! მანანა იჩქებოდა 16 წლისო, ჩიტო — 18-ის. ეს
ეხებოდა მანანას; იგი მოშიალოვდა ერთობ მოლიმარე
(მისი მოძრაობა იყო ცინცხალი წყაროსებური, მთრთო-
ლავი და მრავალფეროვანი), მკლავზე ჩამომეკიდა და
მიითხრა: — მართალია მე, ბავჯალი, ბოროტი ვარ, მა-
გრამ ერთიც იქნება ამის გამო დაიჯიჯები!

მანანას სახეზე ალმური ასდიოდა, მაგრამ რა! მას
ესეც ჰშვენიოდა; იგი იყო მუდამ მშვენიერი; აგრეთვე
ჩიტო; მანანა იქტურობას ცოტა მოეწორო და გულ-
წრფელად ვთხოვარი:

— თქვენ რომ შემოდით ორივენი, მანანა, ასე გვე-
გონა შემოიტანეთ შარავინები!

მანანა გაიღიმა, თუმცა ის მუდამ იღიმოდა!

— ჰმ, ბაჯალო! — სთქვა მან და ამ „ჰმ ბაჯალოთი“
მე მივხედი, რომ მან იცოდა.

მოვიდა ვანო უთნელიც და მანანა მას დარჩა. ვა-
ნოს „შეწვეირი ბავშვის ელფფრს აძლევდა მოკლე, და-
უყვარესნელი თმა, ხალი ჰქონდა ლოყაზე და ოდნავ
ენა ემბებოდა. ვანო და მანანა ძლიერ დამეგობრებულ-
ნი იყვნენ და მათი ერთად ნახვა იყო საამურო.

— ამ რიგად, ამხანაგებო, გადასაწყვეტია. შეასრუ-
ლოს თუ არა ხორბო ეროვნული ჰიმნი.

სხდომა დაიწყო. ჩიტო იჯდა ჩემს პირდაპირ. მე
ეთქვი:

— უდავო! უნდა შეასრულოს! თუ ხელისუფლება
დაწყობა, პასუხისმგებლობას ეკისრულობ პირადად
მე. მაგრამ ეს მოხდება მას შემდეგ, როდესაც საღამო
იქნება ჩატარებული. არა მგონია ამის გამო საღამო
შეწყვიტონ; ეს გამოვა ალიაქოთი და ამას მოერიდე-
ბიან და თუ მაინც და მაინც შეწყვიტეს, მით უარესი
მათთვის; ჩვენ არაფერს ვკარგავთ!

მიღებულ იქნა. ამ დროს დარბაზში შემოვიდა აგიტ-
პრობის მდივანი. ეს იყო აგრეთვე სტუდენტი, შემოს-
ვლისის მან, ელექტრონის პაუჩა ლამფა, რომელიც
ხელთ ვჭირა, ჩააქრო და ისე პირქულად მოგვესალმა
და თავისთვის დაჯდა, რომ ჩვენ მივხედით, მან გა-
რედა მოსმინა ჩვენი ლაპარაკი.

მერე არა მე შევნიშნე, რომ ჩიტოს იამა ჩემი გამოს-
ვლა; მეტი მე არაფერი მინდოდა.

როდესაც სხდომა დასრულდა და ხალხი წასასვლე-
ლად აიშალა, ჩემთან მოვიდა ნიკა. მან, როგორც იყო-
და, თავი ვანზე გადახარა, თვალები მიიღულა და
მთხოვა:

— ბაჯალო! ვამაცანი, ბიჭო, ჩიტო.

— ნებე — ეუბასუხე: ილდი სიამოვნებით, პირ-
ველი შემთხვევისათანავე —

ნიკასა და მე, ერთნაირი ქალები მოგვწონდა.

მიუხედავად წვიმისა, რაც სანაპირო ქალაქში ზამ-
თის დამლევს ხშირია, სტუდენტთა საღამოს ილდი
საზოგადოება დაესწრო; რა თქმა უნდა, საზოგადოე-
ბის დასწრება უფრო გამოხატულება იყო ერთსულოვ-
ნებისა, ვიდრე სასიამოვნოდ დროის გატარების სურ-
ვილი.

ვაუთა გიმნაზიის დარბაზი გამთბარი იყო და კედ-
ლები მოზოთული ნაძვის გირლანდებით. ფარდა ახდოდა
ესტრადაზე, კოხხალ ყვევილებით მოერითო უნივერ-
სიტეტის რექტორის სურათი, რომელიც მშვენივრად
შეესრულებია ვანო უთნელიძეს; ვანოსივე და მისი

ამხანაგები შესრულებული იყო სცენის სიღრმეში მო-
კრატული ფარდა მოწვეული, რაშიაც სპარობდა
ფერად შავი და მწვანე.

ყველაფერი ეს მომწყობთ გველღვებდა, ველოდით
დაწყებას და გვექმნებოდა საამური გრძობობა. დარ-
ბაზში მე შევნიშნე ყველა ფერეულედი. მსკოვანი სო-
ლომონიც აქ იყო. მისულიყო ძვირფასი თომაც, რა-
მელიც დავითანხმით ხოროს მიხმარებოდა. ფერეუ-
ლებთან იდგნენ და საუბრობდნენ მამა ჩემი და ჩემი
ღაა.

ჩიტოსა და მანანას დაჰქონდათ პაუჩა კალათები და
ყვავილებს ჰყიდნენ. მამამ რაღაც ღიმობით სთქვა,
რის გამო ჩიტო ძლიერ იციროდა და მამამ ჯიბეზე გა-
იკრა ხელი. მე კარგად ვიცოდი, რომ მამა იყო გულ-
უხვი და ხუმრობაც ძალიან უყვარდა.

გასინა ზარის წყარები; ფარდა დაეშვა და საზოგ-
ადოება დასხდა; ხოლო მონაწილენი გაიკრიფნენ კული-
სებში. მეც მონაწილე ვიყავ; ჩემს წინ ირევიან კუ-
ლისებში, მიდიოდა ახალგაზრდების ჯგუფი და მათ
შორის ჩიტო. მე დავუძახე:

— აუუ! —

ჩიტო შესდგა. მე მას ვაკოცე. იგი ანთო და გამი-
ღიმა. მან იცოდა, რომ ეს არ იყო სულმოკლეობა ჩემის
მხრივ, არამედ ამას უნდა გავეძინებევი.

საზოგადოების წინაშე ესტრადაზე გამოსვლისათვის
მთავარია, არ ღელავდე, დაიწყო გონება-მოკრეფით
და იყო გულწრფელი. მე ეს ვიცოდა. პირველი სიტყვა
მე მეუკუთვნა და როდესაც დავეწყე, ჩემი ხმა იყო
ჭაბუკურად მღელვარე. მაგრამ მე მესმოდა ჩემი ხმა და
აზრი ჩემი სიტყვების. ძლიერ მოკლედ ვილაპარაკე:
ვახსენე ილდი ღვაწლით მისილი, ძვირფასი რექტო-
რი; დამეჩინა ცნება: სჯან თავი თვისი! ჩვენი ერი.
ფუტკარი. მშობლები. დავასრულე მამა-პაპათა ანდუ-
ძით: ის უჩვენია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს
მამას!

უთუოდ გავიმორჯვე, რაღვან მთელი დარბაზი ცხა-
რე ტრუსიკებით გამომეხმურა.

— „იღებდა“! —

არ ვიცი, ეს მე დავიძახე თუ საზოგადოებიდან მო-
თხოვა ვინმე. დარბაზი ფეხზე წამოიდა და ხორბო
შეასრულა ერთგულნი ჰიმნი. ამ დროს ფეხზე იდგნენ
აგრეთვე აგიტპრობის მდივანი, ამხანაგი სტუდენტი
და იონა თავაძე. იონა თავაძე რაღაცას ელაპარაკებოდა
ნიკას, უთუოდ ისეთ რამეს, როგორც ამას წინაღ — მე.
ნიკას ჰქონდა გულმოდგინე მსმენელის გამომეტყვე-
ლება; მაგრამ არა მთავარია. მე შევნიშნე ერთი რამ,
რამაც ძალიან მშიარულად ვანმამწყო; გავათავე თუ
არა სიტყვა, ჩემმა დამ ისე ცხარედ დაიწყო ტაშის-
ცემა, თითქოს ძმის მფარველობდა და მე ჩქარა მინდო-

საქართველოდან



რომ მოვდიოდე საქართველოდან,
ნაწვიმარ მიწის მომქონდეს ყნოსვა,
თერგი, რიონი და ალაზანი,
წითელ ყლორტიდან მოწყვეტილ მგოსანს
მომქონდეს მთებზე გარიჟრაჟება,
ლურჯ ფერიებში დილა მზიანი,
გადამეხვევით და მეტყვეით ალბად —
„ხარ პოეტი და ადამიანი“!

რომ მოვდიოდე საქართველოდან —
უშლელი უშბა და მთიულეთი —
ნაქერალადან ვადანათება,
დარბაისელი ყაზბეგი თეთრი,
გულზე დარგული გურიის მთები,
გელათის წირვა და მოწამეთა,
ლეჩხი სუნთქავდეს ბახმაროს პაერს,
მკურნალად მადგეს ნაძვენარათა ზეცა,
ამტყვევლდება ქვები უძრავი,
გულში ჩაიდგამს სიტყვათა მადანს,
პოეტს რად უნდა სახელის მტერევა, —
მას საქართველო ერქმევა გვარად.
თქვენ გაიმბობდით დალუპვის მზისას,
დღეს ჩრდილოეთის ქართი უჩინარს,
როგორ გაწითლდა ჯგვარი ვაზისა,
ფეხს რომ წმიდანი გადაერჩინა...

რომ მოვდიოდე... მაგრამ სად არის...!
სიზმრების ღამე და მოლანდება,
გადამალული ფიჭვი ნადავლი
უცხო დღეების ჯირითში კვდება.
დაიხვევს გული ლექსების ზეფელს,
დაბადებიდან ბედით განწირულს,
ჩემი სიცოცხლის გაბზარულ სხეულს
უცხო დღეების ქუსლით დაწინაღულს.

მართი მარცვალი

ერთი მარცვალი ლექსის —
ერთი მარცვალი პური.
როგორც მარცვალი თვალი —
ყვავილთა თიავული.

იზრდება ერთი ათად
სიუხვე სიტყვა გულის,
თესავს სიცოცხლეს მართალს
მარცვალი სიყვარულის.

ვადაამრავლებ მარცვლებს,
ერთია ასის მქმნელი,
როგორც სიცოცხლის ყანა,
მომავლის შემომპყველი.

და შენც უზიხარ ფიჭუებს,
მარცვლავ ვარცვლავებს ცაზე,
ჯგუფს დაინახავ ერთად,
კვლავ შეგერდები ასზე.

მზე ცბელ მარცვლებად იწვეს,
მზე სიმწვანეში ნაზი,
მთელი სიმძიმე მიწის
მარცვალს წერტილად აზის.

პარიზი, 1963.

სანიდან სად

ვის გავეზიზნე, ვის შევეზიზნე,
რად მოვეკიდე წარსულს, მომავალს,
სამყარო — ცივი დედინაცვალი,
თვალში ნაცარი და ცისკვი კიბე.

ჯვარზე ხვიარჯინი გადავიკიდე
და პურის დამტერულს ცრემლით ვასველებ;
გულის დანგრეულ სამლოცველოში
მე არ მასვენებს ლექსი და ქრისტი.

სიზმრებით ნაფენ საბანში მიძინავს,
ზარები რეკენ, ზარები მრუში,
ვერ ვამაღლებ მუ პოეზია —
მზე- პოეზია თვით მიზის გულში.

ქრელი ჭინკების დასრულდა წირვა,
ღრუბლების ძირას საფლავი თეთრი;
დაკარგულ გზიდან ყვავილებს ვზიადე,
ვარ შებრალებს უწყინარ ღმერთის.

~~გაგაგა, რიონი და ალაზანი,~~
დადლილ ღრუბლებში ჩამგადარა მთვარე,
შემოსევია ათასი მტრედი;
დადგრილია ყოველი დამე,
შავ კუბოების დამწვარი მტვერით.

პარიზი, 1963.

და იგი სახლში მენახა და გამეგო, თუ ამის შემდეგ როგორ მოახერხებდა ჩემს დაცინვას:

— ბატონო, ვაგვათავა ყოველთვის შენმა გამოსვლამ, ქე მინც, შე უბედურო, ლაპარაკი გეხერხებოდეს! —

ენახოთ! ენახოთ!

ყველაზე საამური ჩემთვის, როდესაც ლაპარაკი ვაგვათავი ის იყო, რომ ლევან ფურცელმა, რომელიც ხორბოში იდგა, რამოდენიმე ნაბიჯი გადმოდგა ჩემსკენ, ხელი ჩამომართვა და მითხრა:

— უჰ, ბაჯალო! რა კარგი ხარ! —

ფურა დაეშვა. რექტორის სურათი სცენიდან დარბაზში გავტანეთ და ამ დროს ჩიტო ჩვენიან იყო, თითქოს დგებოდა, მაგრამ ხშირ გამოხედვებზე ვამჩნევდი, რომ მას უნდოდა ჩემთან ყოფნა.

რა თქმა უნდა, მე ცოტადენი გამარჯვება მერგო და თუ ეს კარგი იყო, ჩიტოსაც უნდა ვაუზიარებია. არეულ ხალხში ნიკა შემომეფეთა და თვალებით მთხოვა ჩიტო გამეცნო.

— ჩიტო! თქვენ ნიკას არ იცნობთ?

ჩიტო შესდგა. მე ცოტათი არ მიამა ნიკას მხრივ ასეთი დათინება. ნიკა წარადგინე:

— მხატვარი, იშვიათი მოსაუბრე —

ისინი დადგოე და მე ვაგივინე ნიკა რომ ეუბნებოდა ჩიტოს:

— უცნაურია. რატომ არსად მინახავართ? ვთქვით თქვენ ბათუმში ცხოვრობდით... — ალბათ ნიკას წინასწარ ჰქონდა მოფიქრებული ასეთი დასაწყისი (ჩვეულებრივად ნაკლებ მოლაპარაკე ნიკას), ხმა ცოტათი უღელავდა და ემჩნეოდა სურვილი, ჩიტო მასთან დარჩენილიყო.

წარმოდგენა დაიწყო და მე, როგორც მოყარანზე, წიგნით ხელში უნდა ვმდგარიყავ კულისებში. ხელოში მტვერი იყო და არ მინდოდა მოვავსებოლიყავ; თან ვფიქრობდი, რომ მოვიდოდა ჩიტო. ჩიტო არ მოვიდა.

მშვენიერი რამ იყო წარმოდგენა, არაჩვეულებრივი და არა ჩვეულებრივი იყო მითი, რომ მოხუცებს ჰქონდათ ჰაბეზა ხეები და მათი ბებრული დახვედრება იყო გულუბრყვილოდ რამ მოგონილი.

მანანა წარმოადგენდა ხნიერ დედას. ტიტეს ეცვა ჩოხა-ახალგაზრდა და ძალიან ემჩნეოდა ვიწრო მხრები. სხებზე ისე მიმოდოლდნენ და მათი მიმოხევა თუ თავისდაქება იყო ისეთი მონდომებული, რომ იწვევდა ღიმილს.

მე მივბადებოდა სურვილი ვადამეკონა ყოველი მათგანი. უთუოდ საზოგადოებამაც ასე შეფასა ჩვენი მსახიობები და მათ მხურვალედ ესალმებოდა. დასასრულ ხორბო რამოდენიმე ხალხური სიმღერა შესასრულა. ხორბო იყო ნამდვილი; ხმები შეწყობილი და ანკარა და

ამ ხმებზე მე კარგად მესმოდა ჩიტოს ხმა.

უკანასკნელად იმღერეს „ცხელა და გოგონა“. ეს არის საცეკვაო და გაისმა თუ არა ჩიტო, საზოგადოებაში შეიქნა მოძრაობა და ზოგიერთნი უთუოდ უნებმილდ კიდეც წამოდგნენ.

— დაბრძანდით! დაბრძანდით! — გაისმა ხმები.

ხორბოდან გამოვიდა სანდუნერო დარგის მოსწავლე ის იყო წყნურე და ძალიან შეგნოდა შავი ჩოხა. მან რამდენიმე წერტილი სწრაფად და სუბუბად, შემდგე შეანელა, ბოლოს ხორბოს წინაშე თითქმის შესდგა და ჩვენ დავინახეთ, მან ვილაცას თავი მიმივდა, ღიღის: პატრივისგან დაუტყრა და ხორბოდან გამოვიდა პატარა, ათი წლის გოგონა; ის იყო იმენერის და.

მე ძლიერ მიყვარს მერცხალი! მაგრამ ეს პატარა გოგონა, ვაშლა თუ არა თავისი პაწია ხელები, მერცხალზე უფრო საყვარელი შეიქნა. ჰგავდა კი მერცხალს.

ამას ეცვა ძველები: გრძელი, შავი ტანთსაცმელი, რომელიც წინ, საარტყელიდან დაბლა, მიჰყვებოდა თორი მოლურჯო თავისუფალი არშია; მკლავები დაფარული, ცალ მაჯაზე უკრთოდა ოქროს ძეწყვი; თავს არა ეხურა, მაგრამ მისი წაბლისფერი დალაღები მოძრაობისას ნელიად ირხებოდა; ჰაბეზის მიმოხევა ამ ყამად იყო არა ლაღი, ვიყური როგორც დასაწყისში, არამედ დარბაისლურა...

როცა მათ ეცვა დასარტყელი, ძმამ თავის პაწია დას ხელზე ეამბორა; შემდეგ საზოგადოებას ორივემ მაღლი გადაუხადა და ისინი კვლისებში მიიძალნენ.

ამდენ ხანს სულგამედილი დარბაზი ფეხზე წამოდგა და ერთბაშად ხელვდა. სურდათ განმეორებით ენახათ ეცევა, იღა და ხანს დაინებენ მოითხოვენ, მაგრამ ყველამ იცოდა და-ძმა მეორედ არ იცეკვებდა; და საზოგადოებამ იწყო დაშლა.

ყველაზე ბოლოს მომწყობნი წავედით.

ავადარი იყო, თუმცა არ ცოვოდა. მე ჩიტო მიმყავდა. აქ იყვნენ ლევანი და მანანა, ვანო, ტიტე და ალიკო.

— ჩემად თქვე დასაწყებტებო! — დროგამოშვებით იახნა ლევანი, რადგან ჩვენი ხმები ნამეტარი იყო ამ მიმნარ ჰუმბეში. იღვა წუმბეები, ჩვენ ვბტოდით, ეს იწვევდა სიცილს.

ძლიერ მსურდა გამეგო. თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა ჩიტოზე ჩემმა მეგობარმა, მაგრამ სურვილისა მე თვით ჩიტოზე ვნდოდა; ხომ ვერ ვავამეღვენებდი! ჩიტომ დრო იპოვა და მკითხა:

— იცა შენი მეგობარია, ბაჯალო?! —

— იო, რა თქმა უნდა! — ვუპასუხე და სარქობდ სხვა საგანზე დავიწყე საუბარი. რადგან მომეჩვენა, თითქოს, ჩემს მიმართ უნდა ჩაედინათ რაღაც სულღირი ქველმოქმედება და ეს ვამოდიოდა ჩემი დასჯა უღირსი ცნობისმოყვარეობისა და სულმოკლეობის გამო.

გვიან დაებრუნდი სახლში.
ბევრი ვიანგარიშე და ჩემი გამოანგარიშებით მამის
ქებდა სინებოდა, მხოლოდ ბაბი, ჩემი დაა უთუოდ
ფხილაობდა. ამიტომ შევედი თუ არა ჩემს ოთახში,
ხელათვე დის ოთახს მივადექი და კარზე დაუეკატუნე-
ოთახიდან მამა გამოვიდა. მე ეს მამა და მამას ნიშ-
ნის მოგებით ვკითხე:

— როგორ გუნებავს ბრძანდება ქალბატონი? —
მე გვულისხმობდი ჩემს გამარჯვებას; ეს ყველამ იც-
ნო ბოლოს და ბოლოს და ქალბატონი ჩემი დაა.
ბრძანდებოდა მეტად უხერხულ მდგომარეობაში.

მამამ მიპასუხა:
— სადაა, შეილო, შენი დაა! —
— როგორ! —

მამა დაბრუნდული, თუ შემინებელი იყო და სრუ-
ლებით არ ხუმრობდა. მე დის ოთახის კარი გავაღე
და როდესაც მამამ მომაძახა:

— ჩემამ დაატუსაღა! — და კიდევ რაღაცას მელა-
პარაკებოდა, ოთახში ეღეტქრო ანათო
რა უკანაურობაა! დის ლოგინში, ისეთივე თმიანი
ქალი იწვა, როგორიც ბაბი იყო; ვინ იყო, მე ის ვერ
ვიცანი და უნებურად წამოვიძახე:

— უკარავად, მამატეთი! — შემდეგ ამ ქალის სახე
ჩემს ცნობიერებაში ზუნდოვანად აღსდგა და მე შე-
ვკითხე იმავე განცვიფრებული კილოთი:

— თქვენ ბრძანდებით ბაბის შემცველი?! —
მე ვიანგარიშე ასე: უბედურება მომხდარია და რა-
დესკა ხუმრობა შესაძლებელია, შემთხვევა არ უნდა
გაუშვა. ქალს არ სურდა გაღიბებოდა, მაგრამ გავდიხა:
— შე უბედურო ბაჯადო — მომიგო მან — არასო-
დეს არ დაქვიანდები?! სულ ასეთი უნდა დარჩე! —
ოთახში მამაც შემოსულიყო და მან სიტყვა, მხო-
ლოდ გაჯერებით, თუ დაკინებით:

— თუ არ დაქვიანდება, იყოს, ხვალ ნახავს თავის
სერის... —

ეხლა მე ვიცანი მწოლიარე ქალი. ის იყო ჩემი დის
კარგი მეგობარი. ვიწმინაზია ერთად დაასრულეს. ხში-
რად იყო ჩვენსას. მე მასთან ძალიან თამაში ვიყავი.

ის მეძახდა: უგნურ ბაჯადოს! მაგრამ ჩემს ხუმრო-
ბაზე მუდამ გულწრფელად იცინოდა და მე ვიცოდი,
მას ჰქონდა კარგი გული. ის გათხოვდა. ამ უამად მგონი
არა ლეგალურად ცხოვრობდა; მისი ქმარიც ამგვა-
რადვე.

— სალაში ქალბატონო ოლია — მივესალმე მე --
ერთი ამისხენით, რა მოხდა, რაშია საქმე?!

საქმე ამისხნეს. ხან მამა შევლოდა ოლიას, ხან ოლია
— მამას.

ოლია გვეწეოდა, როდესაც მამა და ბაბი სახლიდან
გამოსულიყვნენ. ოლია სახლში დაბრუნდებოდა. ჩვენები

როცა საღამოდან დაბრუნებულყვნენ, ბაბის უკვე მო-
ესწრო დაწოლა, მოსულიყვნენ ჩეცისტები, ოლია ამ-
ბოხს:

— სახლი გავეჩხრიკეს —
— წაიღეს რაზე?! —
— წაიღეს, შეილო, წაიღეს! —
— რა წაიღეს?!? —

ჩემს წამოძახილზე მამა მიხვდა, რასაც ვეკითხებო-
დი. საშინაულის კვლეში ინახებოდა შაშხანა თოფი
და ორმოციოდ ვახანა.

— არა! — მამაშვილებს მამა, წაიღეთ რამოდენიმე
ჩემი ხელნაწერი და ედიკოს სურათი. ედიკო ჩემი უფ-
როსი ძმაა. ძველი მეგობარი. მამა ამბობს:

— ძალიან ძვიეს, სად ცხოვრობს, რას შერება ედუ-
არდობა! როცა ვაივს თბილისშია, მისამართი მოი-
თხოვეს. ჩვენ ეუბასუხეთ, რომ წერილებს არ იწერება
და მისამართი არ ვიცით. წაიყვანეს ბაბო და შენ და-
გვიბარეს; ხვალ დილით ჩეკაში გამოცხადდენ —

— მეტი არ აუღვთ გვერდები! მე ამ საღამოსვე
თბილისს მივდივარ! — ვთქვი თუ არა, ხელათვე მო-
მაგონდა ჩიტო, რომელიც უნდა დამეტოვებია, რატომ-
ღაც მომაგონდა ნიკა.

— არა, შეილო! შენ უნდა გამოცხადენ, იმიტომ,
რომ ოლია, ხომ იცი იმალება, მას მხოლოდ ხვალ სა-
ღამოს უშვინიან ბინას და შენ რომ არ გამოცხადდენ,
ჩეკა ისე მოგვაკითხავს და ოლია ვერ გადარჩება —

მე ვატყობოდი ადღევებული გავიარე ოთახში:
— ერთიორის, მამა, საქმე ამ სოციალდემოკრა-
ტიკაში — დავიძახე ოლიას გასაგონად, რადგან ოლია
და ჩემი დაა სოციალდემოკრატიები იყვნენ.

— რაო, ბიჭო, რაო?! — მეკითხება ოლია მეორე
ოთახიდან.

— არაფერი, ქალბატონო ოლია. მე ხვალ, მართა-
ლია, გამოცხადდები ჩეკაში, მაგრამ შეგიძლიათ მენ-
დონ, რომ თქვენს შესახებაც გამოვაცხადებ და თქვენც
იქ მობრძანდებით! —

მე არ ვიცო, ბაბი დაიჭირეს ჩემს გამო, თუ მე მიჭე-
რენ ბაბის მიზეზით. ყოველ შემთხვევაში ბაბის არა-
ფერეი დავმართებდა, მე რაც უნდა ის მომივიდეს, მაგ-
რამ ედიკას რომ რაზე დავმართოს! ერიპაა! —

საჩქაროდ დავწერე წერილი:

„ედიკელა! წუხელია ჩეკა გვეწეოდა და სახლი გავ-
ეჩხრიკა. წაიღეს შენი სურათი და ძალიან ძიობდენ
შენს მისამართს, რომელიც უკერ არ იციან. მე და ბაბი
დატუსაღებული ვართ. იქნებოთ თადარიგი. ყველანი
კარგად ვართ. მამა მხნდდა. იყავი მშვიდობით ედი-
კელა! გააკცებთ ყველანი. ბაჯადო“.

ედიკელა ჩემი ძმაა, აგრეთვე მეგობარია და ამიტომ
მის წერილს წვედი დიმიდო, თითქმის ველაპარაკე-

ბოდი. ნამდვილი სახელია მისი ელუარდი. ბავშობისას მას ევაძხებიდ ედიკოს და შინაურობაში, გასაჯერებლად ედიკელს. რა ვაიზარდა, სახელი ედიკელა შე-რჩა, როგორც გამოხატულება უნახესი გრძნობების.

«და მართლაც ედიკელა! თქვენ შორის და თქვენის წყალობით (შშობლებსა, შენი და ბაბის) ცვანი მე, თუ არ ამბიანობაა ჩემში და თქვენი ჩემდამი სიყვარულის ძალით, გაიფურჩქნა ყველა ჩემი ნიჭი სიყვარულისა და სხვა გრძნობები.

შვეილობით იყავ ედიკელა! გამარჯვებით ედიკელა!»

წერილი მამას გადაეცე. უნდა მიეტანა ალიკოსათვის, რომელიც გაედიდა სადგურზე და ვინმე სანდო პირს, თბილისს მიმავალს, ჩააბარებდა, მისთვის და უსურნებელი გადასაცემად.

— ხელა დავწევთ, მამა! —

— დავწევთ, შვილო! — მამა დაღონებულია. მე ვამთქნარებ; ეს მთქნარება მამის დასამშვიდებლად გაემიგრანე და ეთხოვ, რათა ხეალ დილას ძალიან ადრე არ გამაღვიძოს.

— ძილი ნებისა, მამა! — ეთქვი მე და მამას ვეამბოჯე.

— შვილო ბაჯალო! დაგლოცოს ღმერთმა!...

მამის ოთახი სამზარეულოს გვერდითაა, რადგან მამა ფიქრობს, რომ იგი უფრო თბილია. მამა მიღის თავის ოთახში.

— ძილი ნებისა, ქალბატონო ოლია! — ვიძახი მე და ვაჭრობ სინათლეს. პასუხი არ არის და რადგან ასეთი უპასუხოდ დარჩენა ადამიანს, რაღაც დაუცმაყოფილებლად სტოვებს, მე ვუპასუხებ ჩემს თავს მის მაგივრად: გეძინავს, ბატონო, გეძინავს!

— რა დროს ძილია, შე ქერქეტო! —

არ სძინებია.

— მამ ოცნებობთ! —

— არაფერია! — ამბობს ოლია — ჩეკაში ჯდომა

ბრძოლის ხალისის შეგმატებს —

ეს ჩემი პასუხი არ იყო მხოლოდ; ისე სთქვა; ცხადა, ოლიამ თავისი ფიქრები ხმამაღლა გააგრძელა.

«ყოჩაღ, ქალო!» გაიფიქრე მე. ხელათვე ჩამეძინა.

კარგად არ იყო გათენებული, ჩეკაში რომ გამოეცხადი. ვილაც ერთი შეიარაღებული ენახე და წარეუღდექი.

— მე ესა და ეს კაცი ვარ, გამოეცხადი — მან მითხრა მომეცადა. მეორეს წარეუღდექი. იგივე პასუხი. ეს გამოდიოდა სასაცილო. არავის არ უნდოდა ჩემი დატუსაღება და მე გულში ვიციხოვრდი:

«ეხ. ოლია, ოლია! თქვენ არ ბრძანდებოდით სახლში, მე არ ვიქნებოდი აქ ხელგაწვედილი, რათა ღეთის გულისათვის დამატუსაღონ!»

ბოლოს, იქნებოდა საათის 10, მოვიდა ირან თავაძის

თანამშრომელი, მოქალაქე ანდრეევი და გუშავს უთხრა:

— საერთო საკანი! —

საქონისა
სამსახურისა

გუშავს გავყევი.

საერთო საკანი იყო საკმაოდ ფართო ოთახი, ნახევრად სარდაფი. კარი გადაარახული იყო რკინის ურდულით. იღვა თოვანი გუშავი. საკანიდან მოისმობდა მრავალთა ხმა, მაგრამ დაიწყეს თუ არა კარის გაღება, ხმები შეწყდა.

ნამეტარი განცვიფრებული, თანაც ნასიამოვნებით დაერჩი, როცა საკანში შევედი. აქ იქნებოდა დაახლოებით ოცოდე კაცი; მაგრამ ვინ გინდათ, რომ აქ არ იყო! ნავთსადგურის მტვირთველი მუშები, რკინისგუნდები, ერთი მასწავლებელი, ერთი ვექილი, უბრალო მოქალაქენი, სულ ყველა ადგილობრივი მკვიდრი, რომელთაც ბევრჯერ შეგხვედრივარ ქალაქში და თუმცა უმრავლესობას არ ვიცნობდი, მათი სახეები ნაცნობი იყო ჩემთვის. მათ იწყეს ღიმილი და ყოველი მათგანი მომესალმა:

— აჰა ბაჯალო! —

— ბაჯალოს ვახლავართ! —

— ბაჯალოს ვაუმარჯოს! — ყოველ მხრივ გაისმოდა ძახილი და მათ ძახილში მესმოდა მოფერება. ბევრი ჯერ კიდევ არ ამდგარიყო და ნარებზე იწეა. მე მათ მივესალმე. მხოლოდ ერთ ბნელ კუთხეში, მომჩვენება თითქოს, ვილაც მეტის-მეტად მიღიოდა და ის უნდა ყოფილიყო ნაცნობი. მოღიძირი ჯეტრად წამოდგა და ნარიდან გადმოხტა. მე წამოვიძახე:

— ბიჭოს, ტიტე! — რადგან იგი ტიტე იყო.

ტიტეს, მეტის-მეტად ნასიამოვნებს ჩემის მისვლით, უხმო სიცილისაგან კისრის ძარღვები გამოჩნეოდა და პირი დაეღო. მან ხელი მოხზია და აღფრთოვანებით სთქვა:

— ბაჯალო! — შემდეგ კიდევ სთქვა: აქაც ვიცხივროთ, ბაჯალო! —

ტიტე მოყვანათ დილის სამზე.

არ გაველო ნახევარ საათს, რომ საკანში შინაური კაცი ეიყავი. ნარზე, ტიტეს გვერდით მომეცა ადგალი. მე და ტიტე ვწევართ. ტუსაღები აბოლებენ თუთუნს. ისმის განუწყვეტელი ხუმრობა და სიცილი.

ფართო ფანჯარა დაჩრდილია. ფანჯრის რაფაზე აწყვიდა სასმელ-საჭმელი, რომელსაც პატრონობს ერთი ბატარა მამაკაცი; მას გრძობდა თმა აქვს. ტიტე მიხსნის:

— ეს არის ჭად-კომი. პირადი გადმოცემა ერთად გროვდება და ყველაზე ნაწილდება —

— ეს კარგია ვამბობ მე — და სწორედ საჩემო,

თორემ მამა სახლში მარტო დარჩა და ვეკვობ, მან რა-
იმე მოახერხოს.

— კი მაგრამ შენი დაი სადაა?! —

— ჩემი დაი, ისე როგორც სხვა ბევრი, წუხელის იო-
ნა თავადის ბაღეში მოხვდა და აქ ბრძანდება —

ქალ-კომი იძახის:

— ეგერ ბაჯადო შენი დაი! — ისე იძახის ამას ქალ-
კომი, რომ ემჩნევა იგი და ბაბი პარტიული ამხანაგები
არიან, ერთმანეთს იცნობენ. ტუსალები ფანჯარასთან
მოკროდენენ.

ტალახიან ეზოში, რომელსაც ქვის მაღალი გალავანი
ერთყა, სასიეროდ გამოეყვანათ ჩემი დაა და ერთი
უცნობი, ხნიერი მანდილოსანი. ქალებს წარბები შე-
კრათ და უკმაყოფილო სახით მიმოდიოდნენ. მე მინ-
დოდა ფანჯარა გამეღო და ჩემს დას მივსალმებოდი,
მაგრამ ქალ-კომმა, რომელიც ამავე დროს მამასახლი-
სიც იყო, ნება არ დამართო, რადგან ამ დროს, ჩვენ
ფანჯარასთან იდგა თოფიანი გუშაგი. ისე უცქეროდ-
ნენ მანდილოსნებს ტუსალები, რომ ნამდვილად ჩემი
დაა მოხდენილი უნდა ყოფილიყო და მას (მის მოხდე-
ნილებას) ასე საეგებოდ ვამბობ, იმტომ რომ ძმა,
დასი სილამაზეს ვერც ხედავდა და ვერც აფასებს და
ამაში ვასაკვირო არაფერია.

ქალებმა სერიზოზა თავათეს და ბატონი ალექსანდრე
ისევ მორავდა; ეს იყო მეორე ამორავება ბატონ ალექ-
სანდრესი, რომელიც აცხადებდა, რომ ის მონადირეთა
კავშირის თავმჯდომარეა, კლუბის ვასალები მას აბა-
რია, ხოლო კლუბში აწყვიდა თოფის წამალი, საფანტი
და ყველაფერი ის, რაც მონადირეებს ძალიან სჭირიათ
და რომ ყველაფერი ეს დაუშვებელია!

ბატონი ალექსანდრე იყო ხნიერი ადამიანი, ბოხი
ხმის პატრონი; ეცვა ჩოხა-ახალთუხა და თავს ეხურა
ბუხისის ქელი; მისი მღელვარება ტუსალებში იწყებდა
წრფელ სიცილს, რაზედაც მას გული არ მოსდიოდა.
ჩამოდენჯერეთ უთხრა მას ვექილმა:

— კრებაზე რომ საქმეს მიპირებდ: ამხანაგო, ფაქ-
ტური შენიშვნა და ფაქტური შენიშვნა, ამ შენ ახ-
ლა ფაქტური შენიშვნა!

ვექილი ნიშნის უტლიდა. ამაზე ბატონმა ალექსანდ-
რემ უპასუხა ვექილს:

— მერ რა, ბიძია, შენ უკეთეს მღვთმარებაში ხარ
თუ?! —

საკანი იცინოდა. საზოგადო ყველაფერზე იცინოდა
საკანი, რადგან თავის არსებობის მეორე წელში გადა-
სული მთავრობა, ჯერ კიდევ განმტკიცებული არ იყო,
ფიქრობდნენ, რომ ის ადვილად დაიმსობოდა, ერთი
სიტყვით, არ იყო საჭირო დაღონება.

ბატონი ალექსანდრე ადვილად მშვიდდებოდა და
აღწუთობიდან პირდაპირ ვადლიოდა „ჩვენ მშვიდო-
ბა“-ზე, რომელსაც ის იწყებდა თავისებური ბოხი ხმით;
კარგად მღეროდა საკანი. მხოლოდ ბატონ ალექსანდრე
რეს, მზაზე და ერთობ სიმღერაზე ეტკობოდა, რომ ის
უნდა ყოფილიყო (სულ უქანასკელი რომ ითქვას)
აღლი და არა ნამეტანი ბრძენი კაცი.

სიმღერა მოთავდა და როდესაც საკანს სიცილი შე-
მოაკლდა, ვექილმა უთხრა ალექსანდრეს:

— ბეჩავო ალექსანდრე, ჩემო ამხანაგო ესეა ალექსანდრე!
გამომდევარბა და აქ მიმტკიცებ, შეუთავად იონა თა-
რათ მინდა მე ეს! ისედაც ვიცი. ეთოფავად იონა თა-
ვადეს შე კაი კაცი, იქნებ მართლა გაგანათავისუფლოს!
საკანი გატვრენილია და გულში იცინის, რადგან
ჯერ კიდევ საკითხია, გამბრუნდება თუ არა ბატონი
ალექსანდრე. იგი თვალბეს ატრიალებს:

— მართალია, მართალია! — იძახის იგი. საკანი უდა-
სტურებს. მალე ბატონ ალექსანდრეს სიტყვიერი გან-
ცხადება გუშაგების საშუალებით მიდის საგანგებო
კომისიის თავმჯდომარესთან, რომელიც გუშაგის საშუ-
ალებითვე უპასუხებს:

— მანდ იჯდეს წყნარად, თორემ უარესად დაის-
ჯება! — საკანი ხარხარებს.

ასე მოაწია სადილობა. მე მერგო უსასყიდლო სა-
დილი, რადგან მამისაგან მომივიდა ერთი „გადმოცე-
მა“ და ის წაუღეს ჩემს დას.

ერთი კვირის შემდეგ ვექილი და ბატონი ალექსან-
დრე განათავისუფლეს. ჩემი დაც განათავისუფლეს.
მე ეს მამა უმეტესად მამის გამო, რომელიც უთუოდ
სამხარებულოში ბეცლზე მიმდგარი ხშირად წამოიწ-
ყებდა დაბალ ლინის, რაიც შემცველი იყო გაჯავ-
რებულ ფურთხებისა, რადგან „ადამიანი! გულისწყრო-
მის გაძიონა არ ვერავ; იგი ამკირებს კაცის ღირსე-
ბას!“

ჩვენი საცნიდან ბევრი წავიდა; განახევრდა საკანი
და მოგვცა არე.

მომამზერებელია საკანში ჯდომა. ჩვენ ვერთობით
სიმღერით, სხვა და სხვა ამბავის მომსენით, რასაც
დრო გამოშვებით წამოიწყებდა რომელიმე ტუსალი და
იმ სათამაშობით, რაც ცნობილია ყველა ტუსალისა-
თვის და რაიც ერთი და იგივეა ყველა სატუსალიში.
ასეთია მაგალითად: ხელის გულზე ცემა, ზნედა და სხ.

ბაბი რომ განათავისუფლეს, მას შემდეგ ვლებუ-
ლობი რივიან საქმელს. ერთჯერ მე და ტიტეს მოგ-
ვივიდა საგანგებო სადილი და ნამცხვრები, რომელიც
გამოვტანათ ჩიტოსა და მანანას. ჩვენ გადაწყვი-
ტეთ, რომ უთუოდ სადმე წეროდა იქნებოდა ჩამა-

ლული და მართლაც, სოხვის ფოთოლში აღმოვიჩინეთ იგი. ჭალალები გვეწერდნენ:

„ორივეს ვაკოცებთ ორივენი, ჩიტო და მანანა“.

ფარდის აწევებზე დარბაზში სიჩქმე ჩაედა. გუნდი დაახლოებით 30 კაცისაგან შესდგებოდა. გუნდს ეცვა შავი ჩოხა-ახალუხი, ლობტარს — თეთრი. კარგადაც მღეროდნენ; ხმებიც იშვითა გააჩნდათ; განსაკუთრებით გვეწვდებოდა ერთი ბანი, სქელი და ტალღისებურ მკერძი, მაგრამ გუნდმა ვერ შებოჭა ჩვენი სმენა, რადგან არ მღეროდნენ აფხაზურს.

ისე ვთავადე კონცერტი, რომ მე და ტიტე ერთი-მეორეს ეუთხარებდით შენიშვნებს და არ გვეკონია თავდავიწყების წუთი.

უკანასკნელად გუნდმა შეასრულა „დაიგივიანეს“; დარბაზი ფეხზე წამოდგა და ხანგრძლივ ტაშზე ემჩნეოდა, რომ იგი გულის სითბოთა ემშვიდობებოდა სტუმარ მომღერლებს.

— დაიგივიანეს... — ეგერა-აგერ ისმოდა ამის შემდეგ საზოგადოებრივ, სიმღერით თქმული, და ამას ეძლეოდა გარკვეული მნიშვნელობა.

ერთმა ხნიერმა კაცმა მე და ტიტესაც მოგვიმღერა: „დაიგივიანეს!“ და მას ეტყობოდა მოუთმენლობა. ჩვენც ვთქვით, მე და ტიტემ: „დაიგივიანეს!“ რადგან შუა-ღამე გადასული იყო და მყუდროებას არაფერი არ ღვედა.

— უთუოდ გადაიღვა — შევთანხმდით ჩვენ და რადგან ტიტეს ჩემსას უნდა გავითია ღამე, ვაეწყეთ ვერა. მე არ ვიცი, როგორ ვახსენებ დანსიდან წაშინი-ვიწყეთ ასეთი საუბარო: მეგობრობა

— ბობოროკი! — ვამბობდით ჩვენ და ვიცინოვდით დაუსრულებლად. გვარის სასაცილოდ გვეჩვენებოდა; ვართუებ ისიც, რომ მას დაეწერა 80 თუ 120 ტომი. უნდა ვევატიოს მე და ტიტეს ასეთი საქციელი, რადგან იმ პატიოსან მწერალს ჩვენ ბოროტად კი არ დავცი-ნოდით, არამედ ეს იყო უბრალო მიზეზი, რომელიც ამგლავნებას ჩვენში სიჭაბუეთი დაგროვილ მხიარულე-ბის ძალას.

— ჰო-ჰო-ჰო, გრძელი ბიბლიური წყევრები! — (ვარდა ამისა, შესაძლებელია მე და ტიტესაც დაე-ცივინონ ოდესმე და ამაში, არაფერია აუცილი).

— საბრალო მოსწავლეები; ყოველმა მწერალმა რომ ამდენი სწეროს! —

— ჩინეთში ხუთი ათასი პოეტი!... — ასეთი სიცილით შევედით ჩემს ოთახში, სადაც ერთი მეორეს ვაწუხებდით, რათა მამა არ შეგვეწუხებია, მაგრამ ამაღ.

— ფუ-ფუ — ისევ ვიწყებდით და მეორე დილას, მამამ ღმილით მკითხა:

— ძალიან ტკბილად იცინოდით შეილო! ნეტავ რა-ზეღო? — მაგრამ ჩვენ მაშინ არ ვიცოდით, თუ მამას ძილი დაეუფრთხეთ და ტიტემ უეცარი სიღინჯით მიიხრა —

— მეტის-მეტად ვიცინით ბიჭო; კარგი არ მოგვე-ლის! —

— ცრუმორწმუნე ხარ, ჩემო ტიტე! — დაეწყით და ხელათვე ჩავევიძინა.

კათედრალის ზარი დაირკვა განთიადზე და მე და ტიტეს ვამოგვეციდა ერთად.

— დაიწყე! — ვთქვით და ზე წამოვედით. ვხედავთ ერთმანეთის ალღევას...

— მოიცა! სანთელი არ აანთო! —

— სჩანს რამე? არის მოძრაობა? —

— არაფერი არ ისმის! —

— თქვენი რჯული კი გაწყდეს! — ფანჯარაში ვხედავდით მხოლოდ დილის ნისლს და კათედრალის ზარი, რომელიც არა ერთჯერ დარე-კილა, არ მახსოვს ყოფილიყო ასეთი მრისხანე.

— ტიტე! მე მაქვს თოფი! წავიდეთ კათედრალში და გადმოვავდეთ. ვინც რუკავს! —

— არ ვარჯა ზაჯადო! —

— დიდი-დიდი, მოგვეკლან! რაა! —

— ჩვენ ვერ დაიწყებთ... —



ჩვენ მიანც გავედით სამზარეულოში, სადაც ინახებოდა შაშხანა და სადაც მალე გამოვიდა მამა.

— რა მოხდა შვილო! — მამას რაღაც ეგვრნოდა ფერწასული იყო.

— საქართველო აჯანყდა! დაიწყო აჯანყება! —

მამამ არაფერი გვიპასუხა; მხოლოდ ტუჩები ძლიერ დაუჭურჭ; ეს შევატყვევ თითრის წვერების მოძრაობაზე. ჩვენს წინაშე მამას მშვენიერად ეჭირა თავი. მას არ უკადრებია ჩვენთვის დარიგება. პირიქით, გვითმობდა ასპარეზს. ეს ეტყობოდა სახეზე, მერე სიტყვითაც დადასტურა:

— თქვენ იცით... თუ რამეში დატყირდებით შვილო...

ტიტმ მკლავებში ჩაავლო მამას ხელი და თვალბეში ჩახედა. მამამ ოდნე გაიღიმა. ჩვენ ვადაუწყვტივით გვეცადა; თუ ატყებოდა სწოლო, ან შევინშავდით რაიმე მოძრაობას... წვაღ-წამოვედით... მამა თავის ოთახში; ჩვენ ჩემსაში. ამ სიბნელეში ტიტე ეწეოდა პაპიროსს და როდესაც პაპიროსი ანათებდა, ტიტეს ისე უღვავდა თვალბეში, როგორც მველს. ზარის რეკა შესწყდა. ფანჯარასთან ზეერვასაც თავი დაგანებეთ და სანამ კარგად გათენდებოდა, ჩვენ გვეძინა.

ტიტე ამდგარიყო საცვლების-ამირა და მე გამომეღვიძა, ის რომ მიესალმა მამას:

— დილა მშვიდობისა, ბატონო ევთიმე — ამბობდა ტიტე და ღია კარებში მე დაეინახე, იგი იღვა აივანზე და ზელით ეჭირა საცვლის ტოტი, რათა არ ჩამოვარდნოდა.

ჩემს ამხანაგებში მამას განსაკუთრებით უყვარდა ტიტე, თორემ ასეთ დაუღვერობას მგონი არ აპატებდა.

— დილა მშვიდობისა, ჩემო ტიტე — უპასუხა მამამ და გულის სიკვითი გაიკონა: ეს გაკინება იყო პატებება. მეც გამეცინა.

ტიტემ სთქვა: არც აჯანყებაა, არც ბუზი და ის წვაეცხლა სახლში. ლოგინიდან წამოვხტე:

— შენ ხომ არ გადაარეულხარ ბიძია! ვისაუწმით და ერთად წავიდეთ! —

— არა! — ტიტეს დასერილი ჰქონდა ხალათი და ეს აწუხებდა.

— აი, ბრაციე! —



ვერადერმა გასტრა. წავიდა. მამამაც საყვედური მიოთხრა. სახლიდან გამოსულბმა, რა კათედრალის ვალავანს მიუახლოვდი, მე გამოაცა მრავალ შეიარაღებულთა დანახვამ. ესენი იყენენ ახალგაზრდა კომკავშირელები, რომელნიც იცავენდენ კათედრალს, შეპყრობილ მოქალაქეებით საესეს.

— ჰე, ბაჯადო, აქ მოდი! — ნიკა დაეტუსლებოდა და ფანჯრიდან მეძახდა. მივედი.

— ეს რა უსამართლობაა, მე დატყისალებულდი ვიყო, შენ კი სეირნობდი! ესლავე ვანცხადებხს ვერე — ნიკა იცინოდა. ტუსალებს ჩოჩქოლში ის იძულებული იყო ხმა მაღლა ელაპარაკა. მე ვუთხარი: თავს ნუ ივდებ ნიკა!

შემდეგ ვავიგე, რომ ტიტე ჰქონიდან წაყვანათ ჩეკაში. ჩეკასა და საპყრობილეში ადვილი არ იყო. თოფიანმა ახალგაზრდად მიბრძიანა ფანჯარის მოგშორებოდა და მე წავედი ნავთსადგურში, სადაც ვმსახურობდი. ხილზე იღვა ტყვიამფრტვევი, თუმცა მიმოსვლა თავისუფლად შეიძლებოდა. ისედაც არაფერს ვაეთებდი სამსახურში, მაგრამ იმ დღეს არც წვინი გადამიშლია, არც კალბი ჩამიწია მელანში. სხვანიც ასეთ კოფაში იყვნენ. ვიდეკით ფანჯარასთან და ვუტყქროდი ნავთსადგარის იმ მხარეს, სადაც რკინის გზის ლიანდაგია და სადაც ცხლა, რამდენიმე ჩონოიდის კედელს ავსებდნენ სილოთ. გამოვიღვა სახელდახელო ჯავშნოსანი. რკინის გზით მიმოსვლა შეწყვეტილი იყო. ამავ დროს ვრცელდებოდა მრავალნაირი ხმა; ამბობდნენ: საქართველო მთლიანად აჯანყებულა და ბეერვან, ხელისუფლება შეპყრობილი. თვით კომუნისტებიც (ზოგაერთი) მოვიდოდნენ ჩვენთან, საუბარში ერეოდენ და გულწრფელად აცხადებდნენ, რომ თუ კი ასეა, მათ არ სურთ ხალხის წინააღმდეგ ბრძოლა.

არავინ არ იცოდა მხოლოდ, რას უტყლიდა ჩვენი ქალაქი, რატომ არ ჯანყდებოდა იგი.

ხმბე ვრცელდებოდა: კათედრალს უნდა აჯანყების დაწყება და მათ ძლიეს აჩერებენო.

მეორე დღეს ჩვენს ნავთსადგურში ბათუმიდან მოვიდა გემი, შეიარაღებული კომუნისტების რაზმით. ისინი უწყვეტადნენ ადგილობრივ რაზმს და გუშინდელ ჯავშნოსანით ვაეგმზავრნენ საბრძოლველად.

ქალაქი დარჩათ ახალგაზრდა კომკავშირელებს.

ცხლა კათედრალზე იყო სიტყვა; მაგრამ კათედრალმა გონიერება გამოიჩინა, რადგან იმისი გამოსვლა იქ ნებოდა უბრალო და შედგენილი მსხვერპლი.

მესამე დღეს ჩვენს ქალაქამდე მოაღწია ზარბაზნის ხმამ. ზარბაზნს სკვმდნენ ჯერ სულ ახლოს, შემდეგ კი იგი მოისმოდა მთებდან.



აჯანყება წავიგო.

იმ კვირაშივე დაბრუნდა საბრძოლველად წასული რაზმი, რკინისგზის მიმოსვლა აღსდგა. მოსამსახურეები ვალდებული ვიქცით დაესწრობოდით რაზმის ჩამოსვლის გამო ვამართულ მტრინგს. მტერი და მოყვარე დელერემილი იყო. თვით გამარჯვებულ რაზმელებსაც

გიორგი გამყრელიძე —

ამერიკას

მერიკაში, (ცოცნებობდი ბავშვობის წლებში),
რომ ვიხილავდი — გარეული კამეჩის ჯოგებს...
დავინახავდი მოლილივც კონდორს ღრუბლებში
და მისისიპის ნაპირებზე ინდიელთ ქოხებს...
დღით, დამისწობდა ნიაგარა სმენას გოდებით,
ღამით მიმღერდნენ სერენადებს კაიოტები...

ვფიქრობდი: ვნახავ სკუნკის კუდით შემკობილ ქუდებს,
ტყის ინდაურის ჭოწვლიანი კვერცხების ბუდებს...
ვფიქრობდი: მიწა მისი არის ჯერ ხელუხლები —
როგორც ქალწულის ენებიანი, ცხელი მუხლები...

თქვენმეტი წლიდან მე დღეიწყე ლექსების წერა...
მიყვარდა ვეფა, რილკეს ლექსი და პოლ ვერლენი.
და როს გავეცან მე, ედგარის სევდიან მღერას —
მე გავიფიქრე: სწერდეს უნდა ასე მგოსანი,
თუ სურს პარნასი დაიკვიდროს მან სხვიოსანი.

წარვიდნენ დრონი... გაიტაცა გრივალმა ტივი;
ნალევლით სავეს გამოვცალე ბევრი ფილა;
და ზედისწერამ, განწირული „მთვარლ ხომალდივით“,
მე დედამიწის ყოველ კუთხეს მახეტიალა.
რომ დავეკაცადი, შევიქვიე ალვის მსგავს ტანით,
მე გავეცანი ურითმო ლექსს — უოლტ უიტმანის...
და ვთქვი: რითმისთვის არ ყოფილა საჭირო ბაეი,
თუ ძალუმს პოეტს: სიტყვას მისცეს სიმტკიცე კაეის.

ჰო, ამერიკა! ჯერედ კვიცო მშლაერი ტორებით,
სავსეც, წყალბადის და ატომის რეაქტორებით,
სად გადამალე დენთიანი ძველი თოფები?
ვეტიწურვის ცას მათი ქუეკა აღარ ანათებს...
ცას გასკვერიან გიგანტური ტელესკოპები —
უთვალთვალემენ კოსმოსის გემს და კოსმონავტებს.

ჰო, ამერიკა, შენს ძარღვებში ძალა მედგარი —
სდუღის და გადმოდის ნაპირებზე გამორჩენილი...
და თუ უიტმანს ვამჯობიხო დღესაც ედგარი
არ გავეციწოს, არ გეგონო ჩამორჩენილი.

გიორგი გამყრელიძე

გიორგი გამყრელიძე

ვულის ხალისიკ გამოიკალა,
სხვა აღარ დარჩა აღარაფერი,
სულ ყველაფერი გამოიკვალა,
გაჰქა ოცნებაც ზე-აღმფერნი.

აგმედიითი დრო სისხლის დროშებით
დანაგურულ წარსულს მიემალნება;
მოიგონებენ დრო-გამოშვებით —
რა წამება და რა ვალალება!

მოიგონებენ კიდევ სხვა რამეს:
არაგინ სძულდა, არგისი შურდა;
რომ უცხოეთში დაასამარეს,
თუმც სამშობლოში სიკვდილი სურდა!

სატრფოს ხატება გულს ჩაირკინა,
და სიყვარულით დიდ ხანს ატარა;
გაუტყდა გული, — მაშინ იტირა
და ბოლოს თავიც გადაატანა...
1930 წ.

პროკოვი აბულაძე



შოთა აბაშიძე

როკვა ქართული

სახსოვრად ნათელა რუხადის ასულს

სახიდან ჩემს ღმილს გიგზუნეი სხივებად,
გრივალი ქაჩივით წრეს გაქსოვ ტალღებად,
შენს თვალ წინ ჩუქურთმებს ვალაგებ მძივებად,
თავს გიხრი და გსახავ ზეცურ განგებად.



მიფრინავ სისწრაფით უხილავ ზმანებით,
გიყურებ სახეში ორთავე თვალებით;
მოკლე გზით გიხვდები ვაშლილი მკლავებით,
ყურებას არ მაკლი ხელების ფარებით.



წინანდელ ადგილას ჩადიხარ მზესავით,
ჩერდები უძრავად პიტლო კლდესავით,
გთავაზობ მეორედ გაფრენას სივრცეში,
ფრთებსა ჰშლი, დაჰჭიხარ, ხალისობ ჩემსავით!



დარცხენით მოდიხარ პასუხის სათქმელად,
თვალ წინ მესახები ჩამოწილ სანთელად!
ფრინდებით უსიტყვოდ ეშვების სამკელად,
გარს ეუვლით ერთმანეთს ერთობის საფენად.



არავის დაუთმობთ: სინაზეს, გმობობას...
ბოლომდის ეტარებთ ურთიერთ პირობას.

შოთა აბაშიძე

პარიზი, 1946 წ.

კრიკა შეეკრათ, თითქოს უქმაყოფილო იყენენ თავის გამარჯვებით.

ჩემთან მოვიდა ერთი წვითარებელი რაზმელი, რა-
ლაც უყურადღებოდ შემომხედა; ასევე უყურადღებოდ
სახეში სილა გამაწნა და წავიდა.

ძალიან შემრცხვა. განვირისხდი. დაიბენი. მაგრამ
ხმა არ ამოიძლია. არასოდეს ვაგლაზულვარ. არც მიყ-
ვარს კრივი. მაგრამ ლაჩარი როდი ვარ! მე ვიგრძენ,
რომ რაც იმ კაცმა მიყო, არ იყო პირადად ჩემს გამო:
მე ის მერგო ვით ჯილდო და თუმცა გულსიტყვილით,
მაგრამ მაინც უნდა ამეტანა.

ის რაზმელი იყო მტერითველი მუშა და მე მას ვიც-
ნობდი შორიდან. მიტინგი დამწყო. იონა თავაპე ლა-
პარაკობდა ნაღვლიანი კილოთი, ისე როგორც იცოდა
საუბარი. მან წარმოადგინა იარაღები, უთუოდ სანიმუ-
შოდ: გადაჭრილი შაშხანა და ძველთა-ძველი რევოლ-
ვერი, რომელიც წაერთმიათ აჯანყებულთათვის:

— ბევრმა წააგო სიციხე — აცხადებდა თავაპე
— კიდევ ბევრი წააგებს! და ჩვენ ვურჩევთ მათ, ვისაც
სურს აჯანყება, ამითი ნულარ აჯანყდებიან!

ყოველი სიტყვა მე მცემდა გულში, უთუოდ სხევე-
საც. ასე, რადგან არც მტერი, არც მოყვარე მოქადაგე-
ებს ტანს არ უტრავდა, მხოლოდ როდესაც ტრიბუნაზე
გამოჩნდა ძველი მთავრობის თანამშრომელი, ამ ეჟამდ
კომუნისტებს შეეცდებულა, და მიიწოდნა ლაპარაკი,
რაზმელები აჩრქოლდნენ: ერთმა რაზმელმა თოფი
გაღმოიღო და დაიყვირა:

— ეხლავე დაბლა ჩამოდი, თორემ ვაგცვეთ! —
სალაპარაკოდ გამზადებული, ფერწასული, ჩამოვიდა
დაბლა; იგი უაზროდ ილიმებოდა, რასაც უთუოდ ვერ
ამჩნევდა მღელვარებისა გამო.

არ იყო დრო და არც გრძობები ეხმაურებოდნენ
წვრილმან მოვლენებს, თორემ ამ ცოცხალ ადამიანსა
და მის საქციელს სჯობდა ყოველი მოკვლევი კაცი.

იმ ჩემს შეურაცყოფელ რაზმელს მე შეეხედი მარ-
ტო, პირისპირი. მას იარაღი ესხა და მე ვკითხვ:

— ერთი შემატყობინეთ, თუ კაცი ხარ. რა მიზეზი
იყო, სადგურზე რომ სილა გამარტყე? —
მან გაიკვირა:

— რას ამბობ, ამხანაგო ზაჯადო! უთუოდ სცდები!
მე არავფი ამდაგვარი არ მახსოვს. არაფერი არ ვიცი
— მან სწორედ ასე სთქვა, ორ-სამჯერ გაიმეორა და
მე წავედი, რადგან კაცი თუ უარპყოფს თავის საქცი-
ელს, ეს ბოდიშს უღრის და მეტი არ მოეთხოვება.

სხვა საქმეა ის რომ ვაგაუტყებულა; მაინც მე მას
დავუბრუნებდი იმ საჩუქარს, რაც მისგან მივიღე.



ბედნიერი ადამიანი იყო ჩემი დაბა ბაბი, რომელსაც

შეეძლო ტირილი. იგი ჩამოვიდა მიტინგის შესამე დღეს
და არ ვიცი, მე რომ დამინახა მაშინ ატრიადა, თუ ეზო-
ში შემოვიღო ისათიანე. ჩვენ ერთმანეთს ვადაცქვარებო.

— დავიღუბეთ, ბაჯადო გენაცვალ! დავრღუბეთ! —
კახცახით ამბობდა ის და მე შემშურდა მისი ცრემლები.
მგონი მამასაც შემშურდა. მამამ ამოიგმინა:

— ოოპ, ამოდი სული და წაიდი! —

მე ვთქვი:
— გეყოფა ბაბი. მე მგონია, შენ ეხლავე უნდა წახ-
ვიდე თბილისში! ედისათვის ეს იქნება კარგი! —

— ხომ არაფერი იცი?! — თავზარდაცემული შემე-
კითხა ბაბი. მე არაფერი ვიცოდი გარდა იმისა, რომ
თბილისის მატარებელი ვადიოდა რადენიმე საათში.

— კიდევ რამე?! — მწუხარებით კითხა მამამ.
— არაფერი არ არის მამილო, არაფერი! ყველაფერი
გათავდა და ეხლა სიწყინარეა...

მე გავიქეცი ალიკოს სახლში. შემდეგ უნდა შემეგვლო
ორ-სამ ოჯახში, სადაც შესაძლებელია რაიმე საჩქარო
ჰქონოდათ თბილისში. ეს იყო მოვალეობა.

არ დარჩენილა ოჯახი, სადაც არ სტროოდნენ. ჩემნი
ქალაქიდან ბევრი ახალგაზრდა კაცი წინასწარ წასული-
ყო აჯანყების აღვიღებში. უმეტესობა შეეპყროთ, ხო-
ლო დანარჩენები ვასულყვენენ თემებში. ვასულთა რა-
ზმელები ბევრი იყო ხეცსერეთში, სენაფთისა და გუ-
რის მთებში. ხელისუფლება მას დასდევდა და ისინი
მიიწვედნენ ბრძოლით ოსმალეთისაკენ.

მთავრობა იტყობინებოდა, რომ დასატმირებულა
„ნაღმუხედებლობის კომიტეტი“ და აჯანყების მრავე-
ლი ხელმძღვანელი, რომელთა გასამართლება მომა-
ვალში მოხდებოდა.

სია დახეტებულთა, რომელთაც იცნობდნენ თავისი
წარსული მოღვაწეობის, ისევე ქვეყნდებოდა; ამავე
კათედრა თანდათან იწყებს პატიმართა განათავისუფლება.
ათორდალი დაცალა.

ნიკა მე ენახე დაღონებული და მე იგი შემებრალა
იმ სიბრალულით, რომლითაც სასევი ვიყავე ყველა ამ
მოკვლენისადმი, თვით ჩემი თავისადმი.

— მე რა ვიცი! — მწუხარებით სთქვა ნიკამ —
თუ ამდენი ძლიერება იყო საქართველოში! ძლიერება
ეროსლოვნობის! იცი, ბაჯადო, კათედრალს აჯანყება
უნდოდა და მე ვიყავი დამწყებთაგან — შემდეგ ნიკა
ამბობდა, რომ კათედრალში ის დაუახლოვდა ძველ მუ-
შებს:

— რა სუფთა ხალხი! მთელი თავისი სიციხე ადა-
მინანს გაუტარებია ბრძოლასა და შრომამში და დარჩენი-
ლა მსულით სპეტაკი, ვაგატყებით აღფრთოვანებულა! —
ნიკას შეყვარებულა ისინი. ჩვენ ვემშვიდობებოდით

ერთმანეთს, ურთი - ერთით ემაყოფილნი, როდესაც ვკითხვ:

— ნიკა! მას პარტიის საკითხი მოისხნა! —

ნიკა დაეფიქრა:

— არა! — დალონებით სიტყვა მან — არ მოხსნილა! ჩვენ უთუოდ არ გვესმის მორჩინალმდგე. იცი შენ, რომ ამდენი ხოცვა-ჭლეტა უბრალო საქმე არ არის? ეს იგივე მათი უსხეურპლია და როცა ამდენი ამდენს სწირავს, მას უთუოდ აქვს რწმენა, რომ ის ამდენად ღირს. ჩვენ გვევალება ამისი გაგება! —

მერე ნიკამ სიტყვა: თუ ის ჩაეწერა პარტიაში, უეჭველად დაიწყოებს შავ მუშაობას, მტერი თავად, რათა თავის ნაცნობ მუშებს მტრ პარტივს სცემდეს და მითვისეთ გააპტეკავდეს.

— დიდი ახირებული დასკვნებია ნიკა! — ვუქაასხებ მე დაუდევრად — ეს რაღაც სოფისტიკაა! ჩვენ მსხვერპლის გამო მტერი გებრალეობდეს! მოდი ერთი სკა-ლან მათ ჩვენი გაგება, მათ სკენ პარტივი ჩვენს რწმენას და მოგვეშვანა!?! —

ეს, ნიკა! ნიკა! შენ ცდები, რადგან გინდა ცდებოდე! მხალი გონება ხარ, ბიძია! — რა თქმა უნდა, ნიკას შეეძლო შემომკამათებოდა, კიდევაც სურდა, მაგრამ მე ის დავეტოვე.

ბაბი დაბრუნდა. ქალები მუდამ სტორიან და ბაბიცი სტორიად, თუმცა კილო მისი ცბერლებია ეხლა სულ სხვა იყო, ვიდრე აგარაკიდან დაბრუნებისას.

— გადარჩა ედიკო, ძლივს გადარჩა! — აცრემლენული გვიამბობდა ბაბი და მის ხმაში, შიშთან ერთად ისმოდა სიხარული ედიკოს გადარჩენის გამო.

ედიკო და ორი მისი ამხანაგი, სამივე ყოფილი ოფიცერი შეეპყრათ აჯანყების მესამე დღეს. მათ ქუჩაში თავის დასხმოდნენ ჩეკისტები ორ ავტომობილში მჯდარი. კიდევ კარგი, ჩვენებს თან იარაღი არ ჰქონოდათ, თორემ წინააღმდეგობას გასწევდნენ და უეჭველად დაილუქებოდნენ; ხელემა-აწეული ჩაუსხამთ ავტომობილში და გაუჭროლებიათ. საბედნიეროდ „დახერებტები“ შეჩერებული ყოფილიყო და ხელისუფლებას (ვანუკითხავად დახერებტთა შემდეგ) განეახლებია დასკითხვა და დატუსაღებულთა მშმსენა.

თბილისში ამ დროს არსებობდა რამდენიმე ჩეკა, საქართველოსი, ამიერ-კავკასიისა, რკინის-გზის და სხვა. ბაბის ჯგრ უნდა მოეძებნა ტუსადი და მერე უბრუნდა განათვისსტრულებავს. ორივე ეს იყო ძნელი. ბაბის შეეძრა მთელი ნაცნობები. ამ ნაცნობებში ერთნი დიდი თანამდებობის კომუნისტებიც. ამათი საშუალებით კიდევ მოეძებნა ედიკო და კიდევ გაენათვისსტრულებიათ.

— მაგრამ, ღმერთო ჩემო, — ამბობს ბაბი: რას ჰვავ-

და ედიკო! გამხდარი, ნერვიული. უთუოდ მას გიხსენებოდა ძველი კანტუზია და თავს ისე აცანცარებდა, როგორც ძველად. ის დამსგავსებოდა მოხუცს! საწყნარი ედიკო!

ბაბი დადუმდა. მაგრამ მე მომჩვენა, თითქმის მას კიდევ ბერი რაღაც დარჩა გაუმულანებელი. მე ფრთხილად დავეუწყე გამოკითხვა:

— სხვა რა ამბებია? —

— ნუ მკითხავ; სატუსალოების ირგვლივ ბანაკია ჯარებისა და მოქალაქეების. ქალაქში სააღყო წესებია და ღამით სინათლე უნდა იყოს ჩამქრალი და ქუჩებში დადიან ტანკები. სულ ყველა სტორის: სახლებში, ქუჩაში, სატუსალოების წინ... — მამა უსმენდა მდუმარედ. დიდი ხნის შემდეგ მან იკითხა:

— მსურნალთან თუ ბრძანდებოდა ედუარდი? —

მამას ასეთი მწუხარების დროსაც კი არ შეეძლო სხვაგვარად მოეხსენებია თავისი შვილი.

— ძალით წაიყვანე — უპასუხა ბაბი: რაღაც წამლები მისცა და დედის დაფიცებით სიტყვა ჩამოფართო, რომ წამლებს წესიერად იხმარდა —

— ო, ამ შემთხვევაში ფიცს არ გასტებს —

— ალიკო? —

— გადასახლებენ; ორივეს, ალიკოსა და მის ამხანაგს! ორივეს ბედი ეწიათ, რომ დახერტას გადარჩენე, ეს სწორედ სასწაულია! —

იბრუნე უბედურებას ეხედავდით ირგვლივ, რომ ციმბირს გადასახლება ჩემი მგვობრისა, უნდა გვეცნო ბედნიერებად. მე ეს კარგად უნდა ამეხსნა ალიკოს მშობლებისათვის.

როდესაც მე და ბაბო მარტო დავრჩით, ჩვენ შორის გაიმართა საუბარი, რომელიც კარგია მამას არ მოუსმენია, თორემ დასტანჯავდა.

— მე არ ვიცი, რა ეშველება ედის — სიტყვა ბაბიმ — მე იგი მგონა გადარეული! შენ წარმოიდგინე: დაუყრინებია, ჩეკაში უნდა ჩაეწერო და შვინიდან უნდა ეთმეშაო! ბაჯადო გესმის? ეს ნამდვილი თვითმკვლელობაა! —

მე პირველად გონება მოვიკრიბე; შემდეგ მივხვდი და აველიდი:

— ხომ არ გაეციებულა ოჯახქორი?! — და რა წამოიძიხებ ასეთი სიტყვები, დამებადა გეგმა და სურვილი გეგმის შესრულებისა.

— კარგი! მე მოგევაკარებ, ბაბი, ამ საქმეს. მშვენიერად მოვავაკარებ — ვუთხარი მე ბაბის.

ალიკოს მშობლებთან მივიღიდი; თან ვეფიქრობდი: ედის ვეტყვი, რომ მე ამას ვერ ავიტან; თუ ამან ვერ გასტრა, მაშინ გამოვეტყვადებ სიმშოლს; თუ არც ამან იმოქმედა, დავემუქრები, რომ მე გავცემ მას, რადგან



მირჩევნია მე თვით მოვკლა ჩემი ძმა, ვიდრე მოჰკლან! ბიჭო ედიკელა! თუ ძმა ხარ, ნუ ჩაიდენ ამას; ნურც მე ჩამდანიანებ, გაფიცებ დღის ნათელ ხსოვნას...

სამსახურში საჩქაროდ ანგარიში მივიღე და თბილისს გადავბარადი. თბილისში რომ ჩავედი, ბნელოდა. ქალაქი ჰგავდა მიცვალეხულს, რომლის სახეს ამ ბნელოში ვერ ვარჩევდი. ჩემი ძმის ეზოში ვიღაც ქალი მოსთქამდა:

— შეილო, შეილო, ჩემო ვაჟაკო შეილო... —

მე ვერ ვხედავდი მტირალ ქალს; მხოლოდ სხეულში რაღაც ვრუანტელმა დამიარა და შევდექი. უთუოდ ეს იყო ვინმე დახვრეტლის დედა, რომელსაც პირველი სიმწარე გამოტრეხული ჰქონდა და ესლა ალბათ მის ცრემლებს თან გამოჰყვებოდა გული, რომელიც მალე გათავდებოდა...

ვინ იცის, რამდენი დედა ატრეხულა ჩვენში ამგვარად! მხოლოდ ამ ვაშად მოაკის მისმენა გამოეხმაურებოდა ჩემს გულსა და ცრემლებს, მე რომ ასეთი მქონოდა; და მე მივიჩნე: რატომ ცდილობდა პატარა გოგონას ხმა, დაეწყნარებია მტირალი დედა:

— დედი გეყოფა დედი! — ისმობდა ცრემლმორეტლი, სასოწარკვეთილი ბავშვის ხმა. შემიღვე უთუოდ ისიც იწყებდა ტირილს და სტიროდნენ ერთად.

ოო, რა თქმა უნდა, ესეც ცხოვრებაა; ცხოვრება, რომელიც გათავდება და მე მომივიდა სურვილი, მივიღე მგლოვანი დედისთან, ხელზე ვეამბორო და ისევე უსიტყვოდ დავტოვე.

ჩემ ეს არ მიქნია, მხოლოდ ასეთი განწყობილებით ვეჩვენე ელვარდს. მას ჩემი მისვლა არ ვაკვირებვია; როგორც იყო დაღვრემილი, ისევე დარჩა. არც მე შემქმლო დიმილი, ვინდ ლაპარაკი. ეუთხარი:

— მამა გაკონის —

მან თავი დააქნია. მერვე ეუთხარი:

— სანამ ოთახს მოვქებნდე, შენთან უნდა დავყო. —

თავი დააქნია. ამის შემდეგ გამოველ გარედ, ვიყიდე კინო, პური, მწვანელი, ყველი და დოზი. ავიტანე ოთახში. მრგვალი მაგიდა იღვა. ზღდ თეთრი საფარი დაეფარე და გავშალე სუფრა.

— მოდი — ეუთხარი ძმას. ძალიანაც რომ არ სლომებოდა, ის არ იკადრებდა ჩემი ხასიათის წახდენას. მოვიდა დაღვრემილი. დაჯდა. დროს გამოშვებით თავი ერთბაშად შეერყეოდა; ეს მას აშფოთებდა, მაგრამ ისევ მალე მშვიდდებოდა. მე ეს არ უნდა დამენახა და ვერც ვხედავდი: ძველი კანტუზია ვახსენებია.

ვირავფერი სუფრის კაცი ვიყავი მე. არც ღვინის სმა შემქმლო, ყოველ შემთხვევაში, ედიკო ჩემოდენას ყურში ჩაისხამდა; მაგრამ მე კარგად ვიცოდი, რომ სუფრა საქმეა და ცხოვრების ეწი მასაც სდევს.

— მიირთვი — ეთქვი მე და ჭიჭები ავაცეს, პირველი ჭიჭა შევსვი ისეთი ქიტყვებით, როგორც მუდამ იტყოდა მამა:

— დიდება უნდა დღერთი! გაუმარჯოს აქ ბრძანებულო! — დავლიეთ.

— შენ არაფერს ჭამ, ედიკო! — ყველი გასინჯა; დოზი, მწვანელი დაატანა. დიდ ხნის უქმელი უნდა ყოფილიყო, თუმცა რიგიანად ვერც ეხლა სჭამდა.

— ედიკო! მრავალი ადამიანი დაიღუპა! ისინი იყვნენ სასვე სიყვარულითა და გამბედაობით! დავლიეთ მათი შესანდობარი! ჩვენმა ქალაქმა დაპარვა მოხუცი ძმა ივანე; მისი დისშვილი გოგია კოკოსაძე და სათნობით სასვე თამა ფერეულელი! ჩვენ უნდა დავლით ყველა ამათი შესანდობარი! —

ჩემს სიტყვებზე ელვარდი მტკივნეულად შეტკავდა; მას უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ მღუმბრედ დალია; მაშასადამე, მას ბედვე უნდა დაეღია, რათა ენა ამოეღო და ბევრი, ბევრი უნდაპარაკა, რომ იქნებ ბოლმა ამოეტანა.

— ედიკო! ვისარგებლოთ ბედით და დავლით საღვრემლო იმითი, ვინც ჯერ კიდევ ცოცხალია და არ დაღუპულა. მაგრამ განზხდებულია და დაიღუპება ხელა! —

ჩვენ ესეამდით დიდრონ სასმისებით და თუმცა ელვარდს არა ეტყობოდა რა, მე ვგრძნობდი, რომ ღვინო მეკიდებოდა. ამის შემდეგ მე ვლაპარაკობდი ყველაფერს:

— გაძლევ პატიოსან სიტყვას ედიკო! სიყვდილი არაფერი არ არის, სრულოად არაფერი! როდესაც ამაზე დავფიქრებულვარ... არაფერი დამანებია... მხოლოდ მრჩება შური იმ უკანასკნელი ადამიანისადმი, რომელიც ვაიგებს, რომ ვთქვით ნასადილევს, ან შუალამით დაიწყება მიწის ნგრევა და იგი, ჯიბეში ხელზე ჩაწყობილი დაიწყებს ლოდინს, რათა თავისი თვალით იხილოს სოფლისა და თავისი აღსასრული!

ედიკო კარგად სჭამდა და თუ არ შეეცდი, ჩემი სიტყვები მას მოეწონა და მგონი გაიღიმა. მე დავიწყე აბალი საღვრემლო:

— ედიკო, ამ დღეებში გადაასახლებენ ალიკოსა და შალიკოს... —

— გუშინ გამაზვარეს —

— გაუმარჯოს მათ! — წამოვიძახე ტკივილით და ეივრძენი, რომ გულიც მქონია და ცრემლებიც, რადგან ორივე მომეზგინა ყელში. შეუძლებელია ეს არ შევნიშნა ძმას, რადგან ამის შემდეგ დაიწყო მან ლაპარაკი. იტყოდა ერთ-ორს; შეერყეოდა თავი; შესდგებოდა დაღვრემილი და ისევ იტყოდა:

— ძალიან მიწყინა, უნდა გიოხრა მართალი, იმ დღე



რომ ცივად გავისტუმრე, ბავალო... —
 — რას ამბობ, ელიკო, როგორ გეკადრება ბიჭო! —
 — მიხედვითი ალბათ, არავითარი ამხანაგი, არავი-
 თარი ეჭმი. ის იყო საზღვარგარეთიდან ჩამოსული! მე-
 ვას-მეტად კარგი ადამიანი; არ დამიყვება, მეორე დე-
 ხით გავიდა. დაატუსაღეს. დახბირტეს! —

მე უკვე საქმოდ ნასვამი ვიყავი, ვანწყობილება ვა-
 ზიმეცვალა და სრულიად არ ვიცოდი, როგორ ვადე-
 ლოდი ერთი საგნიდან მეორეზე.

— ჰო, რა საძაგელი ხასიათი მაქვს, ელიკო! რა საძა-
 გელი ვარ ბიჭო! — ეთქვი მე და დავიწყე მოყოლა
 ერთი შემთხვევისა, თუ როგორ ვაგაწიბლე და ვაწყე-
 ბინე მამას:

— მამამ ერთი ძველი ამბავი მომიყვა; ხომ იცი, რო-
 გორ ლაპარაკობს მამა! ისეინებდა, თავისთვის იცინო-
 ღო... —

— მაშ ასე! შენ მამას აწვალე? მიფრთხილდი! —
 — მე არ შემძლია! საუბედუროდ, ამბავიც ბევრჯერ
 ჩქონდა მოსმენილი. არ ვიცი, ეს არ ასხვოდა მამას,
 თუ იმდენად მშვენიერი ეჩვენებოდა ამბავი! —

— მამა! — ვაგაწყვეტენ მე. — უნდა შემიბრალო,
 ეს ბევრჯერ გაქვს ნათქვამი! —

ვერ წარმოიდგენ, როგორი სიცილი ასტება მამამ.
 ზიდ ხანს იციან; ბოლოს ძალით გული მოიყვანა და
 ვაბრტუშა:

— ნათქვამი მაქვს, თუ არა ნათქვამი, ეს შენ არ გეხება!
 ბინე უნდა მოგესმინო. — მე კარვად ვიცოდი, ელიკო,
 შენ მოისწენდი, რადგან ჩემსავით საძაგელი არა ხარ! —
 ძმებმა ვიკინეთ. მე ვადაქარბებული უღარდელიობით
 — ელიკომ კი: დაღვრევილად.

დამემუქრა ელიკო და მე ვიცანი ჩემი ძმა, რომელიც
 პოეულობდა თავის თავს. შემდეგ მოეუწყვიე ჩიტოს
 მბავი.

— შე გეზახა, შეგერთო — სთქვა ელიკომ და მხარზე
 ხელი დამკრა — მე ვიცნობ მას, მშვენიერი გოგოა;
 ახლა უთუოდ დიდი იქნება!

აედექი. ღვინო მამარბაცებდა და ელიკო, რომელსაც
 არა ემჩნეოდა, ის თულებული იყო მე ეჭვროდი.
 უთუოდ დიდი დრო იყო გასული. უნდა დავწოლი-
 ლიყავით და მეორე ოთახში გავედით.

მე ვლაპარაკობდი ენა-დაბმით:
 — ელიკო! ბაბიმ ყველაფერი მოხარა და უნდა გამო-
 გიტყდე, მე ეს არ შემძლია! ნამდვილად არ შემძი-
 ლია! —

— არა! — სთქვა ელიკომ — ეს სისულელე იყო. მე
 არ ვიზამ. —

მე უზომოდ გამეხარდა და სიხარულით წამოვიძახე:
 — მამა, იცოდე! შენი დაპირება ესმის დედას! —

ძმა ოთახში დავტოვე. შემოვიტანე ორივე სასმისი
 და დავილოცე:
 — ელიკო! ეს იყოს ჩვენი ძვირფასი დედის მოსაგონე
 ნარი! —

დავლოდი. შემდეგ მე ვლაპარაკობდი:
 — ნუ გამიმტყუნებ, რომ დედის შესანდობარი უკა-
 ნასტენლად დავლიე! მაგრამ შენ ხარ მოწამე, თუ ში-
 ნაურები დღეს მიხსენებია! არც მამა, არც ბაბი, არც
 შენ, მხოლოდ დედა... — და ბევრი ისეთი ვლაპარაკობდი
 მე, როგორც იცის პირველმა მთვრალმა. ელიკო კარ-
 ვად მისმენდა და ზოგიერთ ჩემს ნათქვამს, სიმთვრა-
 ლის გამომკლავებებზე, უღიმიოდა. მას უნდოდა ტანთ-
 ვადაზე მომშველებოდა, მაგრამ მე ნება არ დავართე.
 — როგორ — სიცილით ვიძახდი მე — ვანა სირცხ-
 ვილად არ მეყოფა, რომ დაეთვერი, შენ არავფერი გე-
 ტუობა და ესხა მთლად უნდა გამიმეტო, ჰო, შე ელი-
 კელო! —

ძმა მომიხაზლოვდა და მაკოცა.
 — მე მბლბოელი ვარ შენი ელუარდ — უკვე ბნე-
 ლაში ვებუტუტობდი — მე რომ მაძლევ საშუალებას
 შენით ვიამაყო!

ისე ტუბილად, როგორც იმ დამეს, არასოდეს არ მძი-
 ნებია, რადგან მე მგონია, მთელი ძილის განმავლ-
 ბით მესმოდა დედის ტირილი, რომელიც მოსთქვამდა:
 — ჩემო ვაჟკაცო, შეილო!

ყოველივე ამის შემდეგ გავიდა ორი წელი. ელუ-
 არდი პროვინციაში მასწავლებლად განეწესა და ძა-
 ლიან კარვად მოიქცა, რადგან წერილებზე ეტყობოდა,
 რომ დამწვიდა. მე დამრჩა მისი ბინა, სადაც ჩემთან
 ერთად თავსდებოდა უწყსარიგობა, სევედა და გაუგებ-
 რობა. უნივერსიტეტშიაც ვირიცხებოდი; კიდევ ვმსა-
 ხურბობდი, რათა შინაურები არ შემეწყუბებია; გარს მე-
 რტუნენ მშვენიერი ნაცნობები და მეგობრები, მაგრამ
 ჩემს სულს აფორიაქებდა უცმაყოფილება, მით უფრო
 დამქანცველი, რომ არ ვიცოდი, თუ რა მწადადა. ბევრ-
 ჯერ ვწოლილვარ ლოგინზე პირაღმა, რათა გამეპრკვია,
 გამეგო, თუ რატომ არ ვმშვიდდები.

— გავიგე! — ბოლოს გადაეწყვიტე — მე უნდა
 წავიდე ან ციმბირში, ან სახლვარგარედ! —

ამის შემდეგ ჩემს თავს ვარიგებდი:
 „არ არის კარგი, ადამიანი იყო მუდამ ერთ ადგილას;
 მოგეკიდება ზავის ცმაყოფილებისა, ჩვეულებისა, სიზხ-
 დალისა. ჩვენ წავიდეთ საზღვარ-გარედ, ჩემო სულელო
 ბავალო! დავიაროთ ქვეყნიერება; ენახოთ დედამიწა.
 დანარჩენი შემდეგ გამოჩნდება!“

იმ დღეს, როდესაც ეს გადაეწყვიტე, აგზნებული და

მზიარული ვიყავი ისე, როგორც დიდი ხანი არ ვყოფილავარ.

თოდა. ჭალაქს ეს აძლევდა დღესასწაულის ელფერს და ქუჩებში ისმოდა ახალგაზრდების სიცილი. ასეთ დროს თბილისი მომზიარებელია; იგი ჰგავდა პაპას, რომელიც იცხამდა ჭურჭს.

პირველდ შევხვდი მანანას. მან მოიხრბინა ჩემთან და თავისი პატარა ხელებით მკლავში მიმიქცო.

— უკ, მანანა! — წამოვიძახე მე, თითქოს გამოვიცან, რადგან ყოვლის უწინარეს დადინახე მისი მოღიპარი ტუჩები; მანანა იყო დათოვლილი.

— იცით, ბაჯალო რაა? — მანანა ჩქარ-ჩქარა ლაპარაკობდა — თქვენ უნდა მიხვდით ჩვენსას. არის ერთი მანდილოსანი, რომელსაც ძალიან, ძალიან უნდა თქვენი ნახვა... ნუ გააწყვეტინებთ... თქვენი მეგობარი ვანო უთნავიძე, რომელიც ამდენ ხანს იმალებოდა, ეხლა თავისუფალია და ამ დღეებში მოდის თბილისს; ჩამოდის აგრეთვე ტიტე! —

მანანა კიდევ უფრო გაწითლდა. მან შემეტყო, რომ ეს ამბავი ძლიერ მიამა. მაგრამ მანიშნა გავჩუმებულყავი. გვიახლოვდებოდნენ ლევან ფერეული და ანიკო ბადრიძის ქალი, აწ უკვე ლევანის მეუღლე. ამათაც მითხრეს მათთან შეხველა. მე აღუთქვი. ისინი წავიდნენ. „ნეტავ ვინ ქალია?! ძალიან, ძალიან, ძალიან“.... უთოვლდ მანანა აპარებდა.

მშენიერად თოვდა და რომ ადამიანს ასეთი სანახაობის დატოვება არ დანანებოდა, კაცი წავიდოდა სადმე, ვთქვამდ ენახა „სევილიელი დღაქი“; თეატრის სალონო ღია იყო და ერთი ბილეთი ვიყიდე.

კოტაოღენს მოვიმენე; თუ არ გამიტაცა და თოვაც ვაგრძელებდა, გამოვალ გარედ და ვიხეტილებ. ნიკა შემხვდა თეატრის კარებში; ის უკვე პარტიული კაცი იყო; საეჭოდ დიდი თანამდებობა ეჭირა; ცოლიც შეერთო. მე არ ვიციდი, რომ ის თბილისში ცხოვრობდა.

— არა — სთქვა ნიკამ: გუშინ ჩამოვედი, მაგრამ სამუდამოდ.

„ჩამოვედი“, სთქვა ნიკამ; ამაში გულსისხობდა ცოლს, რომელსაც მე არ ვიცნობდი; მის სიტყვაში იგულისხმებოდა კმაყოფილება. ნიკამ თვალეებში ჩამხედა და საყვედურით მითხრა:

— რას შვირები, ბაჯალო! უწინ იბეჭდებოდი. ეხლა ამასაც თავი მინებე. მე ვამბობ შენთვის, რადგან ძველი ამხანაგობის გულახდილობის უფლებას, გატყობ, არ მომიცემ... —

მე ეუპასუხე:

— რატომ ამბობ ასე? თუმცა ნაწილობრივ მართალი ხარ. მე გადაწყვიტე, ნიკა, საზღვარგარეთ წავიდე — მან უკან დაიხია და მის თვალეებში, რომელნიც წამით,

სიხარულითა და გატაცებით აენთენენ; მე დავინახე ჩემი ძველი მეგობარი, რომელსაც ასეთ სადგინებზე ბევრი ეოცნება და რომელიც მე მიყვარდა.

— ოო! — სთქვა მან: ეს საქება ბაჯალო! არაფერი მეთქვამს — მან ხელი მაგრად ჩამომართვა, წავიდა და მე შემეძლო მეფიქრა რაზნედაც მსურდა: „რამდენი ხანია კოტე ფერეული, ლევანის ძმა საზღვარგარედაა. შეიძლება ვაიფიქრებ ვინმე ნაცნობზე და რამდენიმე ხნის შემდეგ გაიფიქრებ ეს ნაცნობი ავტო მოდის; მაშინ ერთ-მანეთს ეუბნებიან: სწორედ თქვენზე ვფიქრობდით!“

მე მინც უნდა გამომერკვია. ვინ უნდა ყოფილიყო ის ქალი, რომელიც ძალიან, ძალიან... არის უტყპური შემთხვევა ადამიანის ცხოვრებაში; სრულებით უმიზნულოდ ვაიფიქრებ ვინმე ნაცნობზე და რამდენიმე ხნის შემდეგ გაიფიქრებ ეს ნაცნობი ავტო მოდის; მაშინ ერთ-მანეთს ეუბნებიან: სწორედ თქვენზე ვფიქრობდით!

უეცრად მე ვთქვი — ჩიტო!

და ვერ მოვასწარი წარმომეგინა მისი სახე, რომ ერთბაშად შევეზოთიდა და ნაბიჯი ამერია, რადგან ჩიტო მართლა მოდიოდა. მას ეცვს სისამურის მოსასხამი, ღია ნაცრისფერი ბოტები, ჭულ-ქვეშ თმებზე ათოვდა. მას ახლდა უცნობი მანდილოსანი.

ჯერ შევდექით ერთმანეთის წინაშე, გაოცებული; ჩიტომ ჯერ გაიღიმა, შემდეგ მკითხა:

— თუჯად, რა მოგივლით?

— სრულებით არაფერი, ქალბატონო!

მე უნდა გამეცნო მანდილოსანი, რომელიც ჩიტოს ახლდა, რომელიც სრულებით არ მსურდა გამეცნო და რომელიც მე შემომიქცეოდა უკმაყოფილოდ. რადგან სახირო შეიქნა ჩემთვის ეკითხათ: რა მოგივლითო? უთოვლდ მე მქონდა გამომეტყველება მკაცრი კაცისა, რომელიც ვაჯავრებულა, თუმცა ვინ ვაივინა ჩემი სიმკაცრე?!

ქალი ყველაფერს უტყპავად გრძობს. ჩიტომ, რომელსაც პირველად ვაიფიქრებ ვაუარა, სიღამა ყურადღება არ მიქცეოდა ჩემი გამომეტყველებისათვის:

— მოხარული ვარ ბაჯალო — ამბობდა იგი რომ ამ საღამოს თეატრში შევხვდებით. მე დავინახეთ, თქვენ თეატრიდან გამოხველით. მაშასადამე, ადგილი აიღეთ! „სევილიელი დღაქი“... ახ ბაჯალო! მე ეს კარგად მახსოვს, თქვენ მას ერთჯერ აქებდით. და ამ საღამოს მივდივარ მის სანახავად. ამ საღამოს მივდივარ ოპერაზე პირველად და თქვენ იქ იქნებით! მართალი თუ ვინდათ ბაჯალო, თქვენ არასოდეს არ ვისაუბრიათ ჩემთან არასოდეს... არასოდეს... —

ჩიტო ახლოს იდგა ჩემთან. ამ თოვაში იგი ჩქარა სუნთქავდა, ჩქარა ლაპარაკობდა, და რად მიწოდდა მე

მის ხმას კიდევ უფრო გავებზუტებო? მე ვთქვი ტაშ-
ოლი:

— ვუწუხვარ, ქალბატონო! მხოლოდ ამ საღამოს მე
ვარ ერთგან მიწვეული; ამის გამო, რა თქმა უნდა, თე-
ატრში ვერ ვიქნები... მშვიდობით ბრძანდებოდეთ ქალ-
ბატონო —

დიდი ხანია ვასული, რაც ყოველივე აქ მოთხო-
ბილი მოხდა. მაშინ მე ახალგაზრდი ვიყავი, მაგრამ
ქვეყნის ტრიასლ ვხედავდი და ვგრძნობდი დაახლოე-
ბით ისე, როგორც აქ არის აწერილი.

— ამჟამად მავანდება ბავშვობა, როდესაც ავტორე-
ბულვარ გულადი მეზღვაურების ამბავის კითხვით...

ბამსელის ძმთა სასაფლაოზე

მომჩვენებთ; ბინდი არის სასაფლაოზე,
ორთქლი წვიმების და ბურუსი წარსულ ომების.
ვიღარ ეღიროსეთ ჩვენი ქვეყნის საამურ მდელოს,
თავისუფლების ვერ მიიტანთ თქვენ სახლში ლელოს.

ვერ დაგირჩაოთ თქვენმა ცოლმა, ამხანაგებმა,
გუნდმა კესისის ვერ გვიგალობათ თქვენ „სულთათანა“,
„შემოდგომა, სცივიან ტოტებს“; ამბავს შემზარავს,
ნიავე ნელი გადააფენს მას ჩვენს ქვეყანას.

ერთ რომ უსწორო თქვენ ბრძოლაში ზედმა გიმტყუნათ,
მაინც დაგიჩაოთ ჰოლანდიის მიწა წყლიანი,
მაგრამ დაღუპულ და გაფანტულ ჩვენ ძმებს უწყალოდ
ვერსად მიაგნებს აწ მათ საფლავს კირისუფალი.

მსაჯულო ქვეყნის! მოგვეც ვაგება შენ დიად საქმის,
აზრი დაუდე და შეიწყალო მხენი შეილნი შენნი,
ღირსეულ ქმენი გრძელი წამება ჩაგრული ერის,
ეამთა ბუნებაში ნუ მოიშლება მათი ნაშენი.

ირ. ოთხმეზური

ძველ მუხის ძირმა გამოისხა ნორჩი ტოტები,
განახლდა ფესვი, ვალამაზდა კანი, კენწერო;
აღარ ებრძოდა მას გრივადი გაბოროტებით,
და მის გარშემო მყუდროება სოფელს ეწერა.

გადმოიხედა ზევის ბერმა როგორც არწივმა,
გახარებული ვასცქეროდა მწვანე ხეობას;
როდესაც ციდან გადმოჟონა, გადმოაწივმა,
ჯვარი დასახა მხენ და მამურალ მოსახლეობას.

— ბავჯადო, ბავჯადო! დილის სამი საათია, დაიძინე
შვილო! — თავისი ოთახიდან მემხბდა დედა.

მე კი ვტროდი, რადგან მეზღვაურებმა თავიანთი
თავგადასავალი დასწერეს, ცარიელ ბოთლში ჩაქაჩულ
ჩასდევს და მზად არიან დაიღუბონ! შენგაქმნიან
მეც მჭირია ყველაფერი ეს და რაც შემდეგ ზედმა
გამომზადა საჭქაროდ ვთქვა, ცარიელ ბოთლში ჩავდო
და გადავიცროლო.

† სტივანე პასრაძე

სოფო.

25 თებერვალისა 1941 წ.

ქვეით მინდორი გაშლილიყო განაოქები,
იქ თავთავები ირხეოდნენ, იფურჩქნებოდნენ,
და ორლობეში ვამოსული სველი გოჭები
დღის მუცელზე მიხტუტული, თვლითი შრებოდნენ.

იღვა ტაპირი, თავმორთული ახალ გუმბათით,
მესიადელმე, მოდარაჯე მლოცველებსა;
ბეგრე ენახა მის წარსულში ღრო უკულმართი,
მაგრამ მრავალი გამარჯვებაც ქართველებსა!

და შარა გზაზე, მოკირწყულზე თეთრი კენჭებით,
სადაც წინაპრებს დიდი წვლილი მოტანიათ,
ვიღოდა მგზავრი ვარიიმული სწორ ნაბიჯებით
და თან უსმენდა განახლების ჩუმ ლიტანიას!

ევ. აბულაძე

საიათნოვას ყაიღაზე

სიტყვა „ნუცა“ — „გენაცვალს“ მაგონებს,
ნუცას სახე, — თამარ მეფეს მაგონებს,
ნუცას ღიმი, — დილის ცისკარს მაგონებს,
შუბლის შეცვრა, — გულს მიზინელს, მალონებს.

×

როცა ვალობს, — ღვთისმშობელი მაგონია,
როცა დადის, — ანგელოზთ ვრ...ფრ.. მაგონია,
რომ არ გხედავ, — მაშინ რაღა მაგონია?
საღლა არის მაშინ გონი? — ბნელი ღამე მაგონია.

×

ცო და ნუცა — ერთია,
ოცნების და ტრფიალების ღმერთია.

რაე

პარიზი, 1951.



ზოგი მხარე, კინაიდან იგი არამც თუ საქართველოში, არამედ მის გარედაც არავის გაურჩევია.

ა-ა

ვაჟაფშაველა სრულიად თავისებური ფენომენია ქართულ პოეზიაში. როგორც ყოველთვის, როცა სა-ქმე ფენომენის გაგებასა და განმარტებას ეხება, ისე ვაჟას შემოქმედებაშიც ძნელზე ძნელი ხდება მისი მსოფლმხედველობის ამოხსნა და სათანადო შეფასება.

„მთების ხარის ბლავილიმა“ ზოგი შეაკარო, ზოგმა კი მასზე მხოლოდ ენობრივი მხარე დაინახა, — მისი ინტერპრეტაცია ბუნების სილამაზისა და თემის წყობის ელემენტარულ ცნებებს დასჯერდა. ეს გენიალური მგოსანი ვაჟაგის როგორც პროვინციული პოეტი, რომლის მნიშვნელობა ფშვეთს არ უნდა ვასცილებოდა. რასაკვირველია, იყენებ ვაჟას დამფასებელთა შორის გემონაკლისებიც. მაგრამ მათ ვაჟას პოეზიის ღრმა ანა-ლიზი არ მოუყვიათ.

ცხადია, ვაჟას ენამაც გარკვეული როლი ითამაშა მისი პოეზიის გაუგებლობაში. მისგან (ასეთი ენით მო-უხარი პოეტისაგან) ფილოსოფიურ ხედვებსა და მოვლენების ღრმა აღქმას არავინ მოელოდა! მართლაც, ძნელია იმ გმირების მოქმედებაში, რომლებიც შურს იძიებენ, სისხლს იღებენ, მარჯვენას სჭირან მტერს, კუთხური კილოთი ლაპარაკობენ და არც ერთ „იზმს“ არა ხმარობენ, რაიმე მეტის დანახვა!

ა-ა

უცებ ვაჟა ვახდა საყოველთაო შესწავლისა და ფი-ლოსოფიის საგანი. ქართველებმა დაინახეს ვაჟას პო-ეზიაში ობლად გაბნეული მარგალიტები ქართული და საქვეყნო მწერლობისა; და „თავში იტაცეს ხელია“! (გამოყვარების სწორედ ამტკიცებს ამ მოვლენას).

ახლახან ჩვენმა სამშობლომ იდეალისწაული ვაჟა-ყველგან ხაზს უსვამდნენ მის მსოფლიო მნიშვნელობას —ეთითომ იმ მოვლენასაც, თითქმის ვაჟა ცნობილი იყო და აღიარებულია მთელს მსოფლიოში!

ეჭვს გარეშეა, ვაჟას პოეზიის მსოფლიო მნიშვნე-ლობა, ხოლო ის ამბავი, თითქმის ვაჟა ცნობილი იყოს მთელს მსოფლიოში, არის ამ ბოლო ხანებში მეტად გავრცელებული ტრაბახის ერთი ნიმუში. მე კარგად მესმის ამ გადაჭარბების ფსიქოლოგიური მიზეზები, მაგრამ მისი სათავეებისა და შედეგების გარკვევას აქ ვერ გამოვუდგები.

ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენს სამშობლოში ჯერ-ჯერობით ვერ მოგვეცეს ვაჟას პოეზიის სათანადო ანა-ლიზი და სწორედ ამიტომ გვანტერესებს მისი პოეზიის

ვაჟაფშაველას ჭეკუთხედად ითვლება მისი პოემა „გველის მჭამელი“: შეიძლება ითქვას, რომ აქედან იწ-ყება მისი აღიარება, როგორც თავისებური პოეტისა და ფილოსოფიური მოაზროვნისა. მაგრამ მინდას, გველისმჭამელის გაგება შეუძლებელია ვაჟას საერთო პოეზიის, განსაკუთრებით მისი პოემების ცოდნის გა-რეშე. პოემები „აღლდა ქეთელაური“, სტუმარ-მას-პინძელი“, „ბახტრიონი“ და „გველისმჭამელი“ — ჩემ-თვის არის პოემათა მთელი რგოლი, რომელსაც პირო-ბითად „მინდას ციკლისის“ სახელს უწოდებდით. ეს არის ერთი დიდი თემის, მინდას თემის სხვადასხვაობა, ანუ მინდაური ვაჟაფშაველური პოეზიისა.

„გველისმჭამელის“ ერთი წაკითხვით გაგება შეუძ-ლებელია. პოემა ბევრი წინააღმდეგობით და სიმბო-ლოებით არის აღსავსე. მისი მთავარი აზრი პოეტური ოსტატობით მიჰყვება მას, არასდ წინ არ გამოიხსი, და თუ შეიძლება ითქვას, ასევე პოეტურად უსხლტება მკითხველს ხელიდან.

გრიგოლ რომაძეძის „ლაშირა“ და კონსტანტინე გამ-სახურდიას „ხოვის მინდია“ საზრდოებს მთოლოგიის წყაროების, მაგრამ არც ერთი არ შეიძლება ჩააუჯა-ლოს ვაჟაფშაველას მთავარი იდეის ანარეკლად, ან ვა-რიანტად.

ა-ა

პირველი და მთავარი წინააღმდეგობა, რაც ადვილია უ შესაზრწევია „გველისმჭამელში“, ეს გახლავთ ის ძა-ნია. ერთი მხრივ გულჩვილი და გრძნეული, რომელიც ხეს ვერ სჭრის; რომელს ყვავილის ენა ესმის; რომე-ლიც ბუნების ჯერ გაუგონარი პარამონის ისმენს. მეორე მხრივ, ომის დროს დაუნდობელი სისხლისმღვრელია: მისი ასელებს მტერს; საოზს ადამიანის სიცოცხლეს! და ეს ყოველივე რატომ? იმიტომ, რომ მისი სამშობ-ლო, მისი ერი გასაჭირშია; თავდამსხმელთ იგერიებს და სამშობლოს იცავს.

მოსალოდნელი იყო, რომ სწორედ ამიტომ დაკარ-გავდა მინდა თავის გრძნეულობას, ვიდრე ხის მოჭრი-სათვის, მაგრამ ვაჟაფშაველას, ამ მეტად თავისებურსა და არჭაულ ჰუმანისტს, კაცთა კვლა ომში, და მხოლოდ ომში სამშობლოს დასაცავად და გადასარჩენად, არ

მიზანა ცოდვად; ამის გამო კი არ არის მიწვდია ლანდ-დაკარგული, არამედ პირიქით!

მისი გონებულება მასში აღვივებს ზეგარდმო თვისებებს მტრის შეუწოდებელ განაღვლებსათვის. კაცო, ღრმელი სპარალო ჩივის მოთქმაზე ცრემლებსა ღრმის, დაუნდობელი და მკაცრი სარდალი არის ომში, ხოლო მისი გულჩვილობა აქ არაერთარ ზიანს არ განიცდის!

ამ დიდ წინააღმდეგობას პოემაში მიჰყვება მეორე — ერთი შეხედვით არანაკლები უცნაურობა — მიწდიას ცოდვანი ბუნების მიმართ (ხის მოჭრა, ნადირთა ხოცვა) ისეთი ცოდვანი არიან, რომ მათ გამო თავის თვისებებს, ბუნების საიდუმლოების ამხსნის უნარს ჰკარგავს, სარდალობის ძალა ომის დროს უკვე აღარ შესწევს, უდიდეს ტრაგედიას განიცდის, ბრძოლას აგებს და თავს იკლავს.

როგორც ვხედავთ, მიწდიას თვითმკვლელობაში ვაჟა აერთიანებს ორ, ზემოდ მოხსენებულ წინააღმდეგობას და თავისი ჩანაფიქრისათვის ვასაღებს ვეაღვებს.

მიწდიას ტრაგედია და საქაღვივ ვასაღებთ ვახდება ჩვენთვის. თუ კი ერთხელ კიდევ გონების თავის გადავაკლებთ ვაჟს პოეზიას.

გავიხსენათ, რომ ვაჟა არაჩვეულებრივი პოეტია ბუნებისა და სამშობლოს; დიან, პოეტი — უდიდესი პატრიოტი (რამდენადაც შეიძლება პატრიოტი უდიდესი ყოს). მაგრამ მისი პატრიოტიზმი ისევე თავისებურია, როგორც მისი პოეზია ბუნებისა, ესე იგი, არის არაქული.

ა-ა

მაშინაც კი, როდესაც საკითხი ეხება მიწდიასა და მისი საკუთარი ოჯახის შორის დავას, ვაჟა მას, რასაც სინაღვლივს, როგორც ფაქტს. მაგრამ ეს კონფლიქტი იმ წინააღმდეგობით კატეგორიებში უნდა ჩავსახოთ, რომელიც უკვე მოვიხსენიეთ.

ესენი ვახლავთ წმიდა ვაჟაშაველური პოეტური მსოფლმხედველობითი წინააღმდეგობანი და მათ არაფერი აქვთ საერთო, ჩვენთვის ესოდენ ჩვეულ, გარდაამოსულ დიალექტიურ წინააღმდეგობებთან.

უშუალობა ბუნებისადმი და უშუალობა სამშობლოს მიმართ არის დავას თავისებურება ქართულ პოეზიაში; ასეთი უშუალობით, ასე არქაულ — ორიგინალურად ჩვენს პოეზიაში სამშობლოსადმი და ამასთანავე, ბუნებისადმი არავის უმღერია.

ორივე, ბუნება და სამშობლო ვაჟასათვის სტიქიური მოვლენებია, მაგრამ ისე, რომ სამშობლოს სიყვარული, არ პირიქით. ბუნების სიყვარული ერთი მეორეზე არის დამოკიდებული, მისი მეტყველი და „კატურად

კატური“; ბუნება მეტყველებს სამშობლოს სიყვარულზე; ხოლო სამშობლოს სიყვარული, მისი ღირსებისა და თავისუფლების დაცვა შეუძლებელია ბუნების სიყვარულს გარეშე, ვინაიდან ორივე, ბუნება და სამშობლო ერთი, არქაული ერთი ერთ შერწყმული ელემენტები არის ლთვებრივი საკურთხისა.

კაცნი შეიღინ არიან ბუნებისა და სამშობლოს; ეს აერთიბთ მათ; ეს არის ზოგად საკაცობრიო. ხოლო სიყვალე ღმერთს ხომ მტრისათვის მოუგონია („ბახტრიონი“).

მოვიგონოთ ჩრდილში მყოფი იის ამბავი, მისი განცდანი; მოვიგონოთ შვლის ნუკრის ნაამბობი; წყაროს ჩხრალი; მდინარის ტირილი და ვინ იცის კიდევ რამდენი ვაფანტული ბრწყინვალე განცდა მისი პოეზიისა და ადვილად ვაგვიგებთ, თუ როგორ განიცდის ვაჟა ძალმომრეობას ბუნებაში; თუ როგორ სწუხს ამის გამო მისი პოეტური გული.

ა-ა

ვანა ვასაკერია, რომ ძალმომრეობას სამშობლოს მიმართ პოეტი ვერ იტანს! ამ ძალმომრეობაში იგი პირველად ყოვლისა არა ისტორიულ, სოციალურ, ან იმპერიალისტურ ანალიზს იყენებს, ესე იგი, ვაჟა პოლიტიკურ ფაქტორებს, როგორც ასეთს, სრულიად აიძებს თავისი აზროვნებიდან, როცა საკითხი სდგას, როგორ აქტი ძალმომრეობისა ბუნების წიაღში, როგორც აქტი ბუნებისა და მისი ღვთაური კანონების დარღვევა-შეურაცხყოფისა.

ა-ა

პოემა „ვეელისმჰამელის“ დასაწყისი, სამშობლოს დაშორებული და მონატრებული მიწდიას, მის მიერ მოპოვებული გრძელულობითა და სიბრძნით აღჭურვილი ბრუნდება სამშობლოში; მაგრამ მისი სიბრძნე არის კეთილი და იგი უმალვე სდგება სამშობლოს სამსახურში —

გვირგვინისანი თამარი სულ მუდამ ამის მოქმელია, „ოლონდ მიწდიას თან მყავდეს, მასთან მთიელი ერია, რაც უნდ ძალიან ეცადოს, ვერას დამაკლებს მტერია, იცის მტრის დასამარცხებია და შემეპსრველი ფანდია...

ხოლო იგივე მიწდიას ნახეთ, როცა ბუნება ჰყვავის — კაცთ სარგოდ თავს არ ჰჭოგვენ თავთავნი ოქროს ფერანი — არ სწადით ოზრად ლებობდენ, ჰკენცენენ ყვავნი და ძერანი. მიტომ ჩქარობენ მომკასა, ერთად ყვირიან ყველანი, ჰსურთ პურად იქცნენ საქმელად, რომ მითი გაძენ მშვირნი, —

მკვლართ კაცთა შენდობა ვუთხრათ,
ძალნი ვასხეთი ციერნი...

ხედავთ? აქ ბუნების გენიალური ხედვა გადადის ჰუმანიზმში (და რელიგიაში!)

ხოლო მოვისმინით, თუ რას იტყვის ბერდია ცოტა ხნის შემდეგ —

ვისტქვათ, სიზარალული კარგია ხე-ქვა-ბალახით, ცხოველთი...

კაცის კვლა ყველასა სჭარბობს, თუნდ მტერი იყოს ყოველთი...

შემდეგ —

მაგრამ ვკლავთ იმას, ვინაცა ჩვენსა დაარღვევს შეგებსა...

... მაშინ არც ღმერთი გვიცოდეტებს

მტრისად შექცევას ხელისა, ვგრავვე ოღონც ვიცხოვროთ მოპრას წვილისად, თელისას...

აი როგორ მოსთქევამს უკვე გრძნეულობა-დაკარგული მინდია —

ველარას ვარგებ ქვეყანას მტრის მამგრებელს ჯარშია,

ნიტომ რომ წინანდებული ცნება აღარ მაქვს თავშია.

რატომ ძალედვე არ ვაჭრა ჩემი ვარსკვლავი ცაშია!

ცოტა შემდეგ —

რისთვისა მინდა აბჯარი,

რისთვისა მინდა ხმალია,

თუ კი ჩემს მტრისად დაკარგულსა აღარ ეწებება ძალია.

ამ მიწის ამონაცენი

ჩემი სესხი და ვალია,

როგორღა ან პური წყამო,

როგორღა დავლინო წყალია?

თუ პირველ ასპექტში, ესე იგი, ადამიანისა და ბუნების ურთიერთ დამოკიდებულებაში ვაჟა მარტო მგოსანი რჩება; ამრიგად, სჯერდება აზრთა, ვანცდათა პოეტურ მოთქმას, სულ სხვაა მისი დამოკიდებულება სამშობლოს თავისუფლების დაცვის საქმეში. იგი აქ ბრძოლისაკენ მოგვიწოდებს ყველას, სასტიკ და დაუნდობელი ბრძოლისაკენ.

მაგრამ ასეთი ბრძოლის უნარი შესწევთ მხოლოდ მათ, ვინც თავისუფალია ცივილიზაციის „იშემები“-საგან.

ა~ა

პირველ ასპექტში ვაჟას შევნივრად ესმის, რომ პოეტურად ბუნების ენის შეცნობა ცხოვრების სინამდვილეს ეწინააღმდეგება — მინდისა მეუღლე მზია არის

ამ სინამდვილის გამოსახულება, რეალობა/საზოგადოებრივი, რომელიც წინ უდგება მინდისა მსოფლმხედველობას. ეს საზოგადოებრივი (თუ გნებავთ: სოციალური რეალობა), — შეიძლება ითქვას — „ცივილიზაცია, მინდისაგან უდიდეს მსხვერპლს მოითხოვს. ამ საზოგადოებრივ კონფლიქტში, ანუ ოჯახში მინდია იძულებულია მსხვერპლი გაილოს. იგი იძულებულია (დღესეული ნით რომ ვთქვათ), ცხოვრების დონე რათა აღმართოს, თავის ოჯახს შედარებით მაინც კეთილყოფა და კომფორტი შეუქმნას, როგორც საზოგადოების წევრმა, ვით ოჯახის მამამ თავისი „პოზიციებიდან დაიხიოს“; ამ შემთხვევაში მის არ შესწევს აქტიური უნარი და ამიტომ იგი უდიდეს ტრაგედიას განიცდის.

რაც უფრო ღრმად ჩაეწვდებით მზიასა და მინდის ოჯახურ კონფლიქტს, მით უფრო ცხადი გახდება ჩვენთვის, თუ რატომ გადააბა ვაჟამ ეს კონფლიქტი მითოსურ ამბავს, მინდისა მიერ გრძნეულების დაკარგვის ამბავს. აქ ჩვენ წინ აღიმართება ღრმად მოაზროვნე და უცდავი ვაჟა.

ა~ა

დავუკვირდით თუნდაც ჩვენი ქვეყნისა და სხვა დამონებული ქვეყნების ისტორიას. ყველგან დავინახავთ ერთ ფაქტს — დამორჩილებული, ან დამონებული ქვეყნის ბევრნი მკვიდრი გადადიან მტრისა და ლაშქარბელის მხარეზე და იმ მოსაზრებით, რათა სამშობლოს არსებობა გაუადვილონ. ეს, ერთხელ, ექსისტენციალურ, ან ყოფადობის ასპექტში, და მეორეჯერ, აქედან გადატანულ სოციალურ ურთიერთობაში. არ ყოფილა სამშობლოს მოღალატე მტრისა სამსახურში (განსაკუთრებით ჩვენში!), რომ მის ეს საბუთი არ მოემარჯვებინოს. ამის უდევდალ ისინი ჰკარავდნენ სამშობლოს ფეხებთან კავშირს, იმ მოლექტულმაც იმ გრძნეულობისა, რაც მათ მინცი გააჩნდათ. მაშ, რა ქართულები აიან ჩვენი გამაჰმადიანებული მეფეები და თავადები, სარდლები და მოლაშქრენი და სხვანი?

აქ ჩვენ პოლიტიკური ანალიზი ისტორიისა არ გვაინტერესებს, არამედ ვაჟავმეველური, ესე იგი, თუ რამდენად ქართული „მინდიაში“ გაჩნდათ ზემოდ აღნიშნულთ? თუ გნებავთ, ისტორიულადაც — რა შევება და თავისუფლება მოუტანეს მათ თავის სამშობლოს?

ვიცი, შეიძლება ეს ანალიზი ვაჟას პოემისა ერთი შეხედვით გადაჭარბებულად მოგვიჩვენოს. მაგრამ ხომ თავის თავად ცხადია, რომ ვაჟა, რომელსაც კარგად ესმოდა და გაეგებოდა ჩვენი ისტორია, ამ საკითხს ღრმად ჩაუფიქრდებოდა. და მისი ალგორითული პასუხიც ამ აზრით უნდა გაევიგოთ.

აღენიშნოთ კიდევ ერთი მეტად საინტერესო ფაქტი, რომელიც ჩვენს ზემო მოსაზრებას გარკვეულად ადასტურებს.

მინდია, ალუდა და ვაჟას სხვა ტიპები განსაზღვრებანი არიან იმ ტიპებისა, რომლებსაც შვეიცარიელმა მოაზროვნემ, იუნგმა არქაული ტიპები უწოდა. იუნგი ხედავს მეოცე საუკუნის ადამიანის უბედურებას, რომ მან ცივილიზაციის წყალობით, ანუ უწყალობით და მის შემდეგად დაპყრვა თავისი არქაული თვისებები; იგი ჩამოშორდა ბუნებას, მის რიტმს, მის უშუალოებას; იგი ბუნების ორგანიული ნაწილი აღარ არის, აპამედ მისი თანამგზავი, რომელიც მას, ამ ბუნებას თან და თან შორდება; ამის გამო იგი ავადმყოფდება სულიერად და ფიზიკურად.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ იუნგი ვეაფშაველას არ იცნობდა და არ გვეგულება პოეტო მსოფლიო ლიტერატურაში, რომელიც იუნგისათვის ისეთი აღფრთოვანების საგანი შეიძლება ყოფილიყო, რაგორც ვაჟა.

ამის აღნიშვნა საჭიროა. რათა გავიგოთ მინდია-ვაჟას სულისკვეთება.

აქედან ჩვენთვის ცხადი ხდება ვაჟას ვადახვევის მიზეზი მითოსისაყენ და მინდიას თავის მოკვლა.

აი რას ამბობს მინდია ამის გამო —
არ უღირს მკვდარმა იცოდეს თავის სიკვდილი —

მკვდარი,

იგლოვოს თავის თავი, თვის ყოფნა შესაზარია, სხვად ყოფნა, ამაზე მწარე მიპოვე შესადარია, ამ გვარი მკვდარი მე დღეს ვარ, სხვა მკვდრები რა უჭირს მკვდრობითა...

ეს ერთი. მეორე მხრივ, სიმბოლიურად თავის მოკვლა მათთვის, ვინც მზიასა და მინდიას კონფლიქტში — ვადატანილი აზრით — დათმობით კომპრომისების გზას დაადგება და სამშობლოს ზიანს თუ არა, საგრებლობას ვერ მოუტანს.

„გველისმკამელის“ აღნიშნულ წინააღმდეგობათა ანალიზი კმა არა იმისათვის, რომ მის გაგებას ახლებურად მიუღწევთ; მისი შესწავლა თემბატურ და ფილოსოფიური ანალიზით დაუსრულებრივ გაეამდიდროთ (როგორც ყოველი მითოს).

ბოლოს ისიც უნდა ითქვას, რომ არქაულ მითოსურ მგონას გარკვეულ ფილოსოფიურ სისტემასა და სკოლას ვერ მოთხოვთ. აქ საქმე გვაქვს განუსაზღვრელ პოეტურ ხედვასთან და მისი რომელიმე ფილოსოფიური სკოლით კრიტიკა, პოეტის აზგაგებას ნიშნავს.

პოეტო ბატარებს თავის თვალსაზრის ინსპირაციით, სიმბოლიებით, ალევგორიებით, წინააღმდეგობებით, ხარვეზებით; იგი ხედავს ან აღიქვამს სამყაროს პოე-

ტურ კატეგორიებით; მას არ დააჩნია ფილოსოფიური სკოლის შექმნის პრეტენზია.

თუ მაინც რამდენი აზრებისა და შემოქმედების წყარო ვეაფშაველა, ეს სრას თუნდაც იმ შემთხვევაში, რომელმაცასთან, რომელსაც ჩვენ აქ მხოლოდ გავკრთ შევხვებთ და რომლის გარჩევის უნარი მათ შესწევთ, რომელთაც ვაჟას თავისუფლება, მინდიაური შემეცნება რამდენადმე მაინც შერჩენიათ სულის სიღრმეში!

მინდა აღენიშნო კიდევ ერთი მეტად საინტერესო მომენტი „გველისმკამელიდან“. ეს არის შესავალი — ქაჯები ხარშვენ გველებს და სამშობლო დაკარგული და სამშობლოს დარღობა შეპყრობილი მინდიაც აქ არის. მან სძლია სიძულვილს, შესქამა გველი და გაეხსნა თავისი ყოფადობის (სამშობლოსთან!) საიდუმლოება (ნატერის თვლი). ასეთია პატარა უფერტატორა და მთავარი თემა მთელი პოემისა. ეს შესავალი არის გენიალური თავის მუსიკალურ-თემბატურ აღნაგობით, ვინაიდან იგი პოემაში მრავალფეროვან და საინტერესო გააღმაგებას განიცდის.

ეს ცხადი ხდება, თუ ტომას მან-ის „კალუბერბერგ“-ს წყაიკთხავთ, სადაც ავტორი მუსიკალურ კომპოზიტორის პრეტენზიებს ამკლავნებს და მკითხველს სობოვს მისი რომანი რამოდენჯერმე წყაიკთხოს და დარწმუნდეს, რომ რომანი მუსიკური ნაწარმოების პრინციპზე არის დაწერილი, ე. ი. ტონი და თემა მეორდება ვარიაციებში.

ეს მეტად საინტერესო მიდგომა ტომას მან-ისა რომ გადაეიტანათ ქართულ პოეზიაში, ალბად ბევრ მეტად საინტერესო ფენომენს წააწყვდებით. განსაკუთრებით საგულსისხმა ამ მხრივ „გველისმკამელის“ შესავალი!

გაორგი კორძაძია

არ ღამბრუნდები

12 წელი ურჩ სიჭაბუკის აქ დაიფერფლა; წითელ ქარბუქის გათარეშებით, მტვერად თან გაპყვა ცეცხლის ტაიქებს; და სიყვარულის გადაშენებით მიეციე იჭეებს.

ნეტავ ვინ იცის, კიდევ რამდენი რაშთა თქრაილი არ მომასვენებს და მოსაწყენი ეს ხეტალი სიკვდილს ხრაილით მე შემეაგებებს.

მაგრამ არა მსურს დახვტუო თვალი — ავედენენი რაშების ფრენას; თუ მეტყვის დასტურს წელთ სათვალავი და უმედოდ თუ მოვხუცლები: მძლე აღმაფრენას გავეკიდები რომ გადავლახო საზღვრები ავი... და თეთრი წვერით მე სამშობლოს არ დაებრუნდები...

1932

ბ. ბებურიშვილი

ერთი ძველი „ფარდის“ ამბავი

ამ 25 წლის წინ, ბერლინში ყოფნის დროს, ჩვენ ბედ-ნიერი შემთხვევა მოგვეცა, სრულიად მოულოდნელად გვეპოვნა და შეგვეჩინა „ტფილისის სიონის“ ტრაპეზის ძველი ფარდა.

სიძველეთა დიდი უხადლო და დაულოავ მკლე-ვარის, აწ განსვენებული მეცნიერის, აკადემიკოს ექვ-თიმე თაყაიშვილის დამოწმებით ეს „ფარდა“ დიდად საყურადღებო განაძღ უნდა ჩაგვეთავლა და როგორმე სასწრაფოდ შეგვეჩინა.

ბ-ნი ექვთიმე სხვათა შორის გვეწერდა: „თქვენ მიერ ნაპოვნი სიონის ტრაპეზის ნაქარგი ვადასაფარებელი ფრიალ და ფრიალ საყურადღებოა და მისი ხელიდან გაშვება შეუძლებელია“—ო.

ეს განძი, როგორც მოგახსენეთ, ვახლავთ „ტფილი-სის სიონის“ ტრაპეზის „ფარდა“, დღის ხელოვნებით შესრულებული 1773 წელს, ქსნის ერთიადის იესე ყუ-ლარადაისის მუდლის, ქეთევანის მიერ, რომელიც იყო ასული მეფე თეიმურაზ მეოთხის დის, მაკრინესი და მამიდაშვილი ჩვენი სახელოვანი მეფის, ერეკლე მე-ორდის.

დღიდან მისი შექმნისა (1937 წ.), ამ იშვიათ განძს ჩვენ დიდის სიყვარულით და ზრუნვით ვუვლიდით და ვინაზავდით; და ბედნიერი ვართ, რომ დღემდე უნაკე-ლიან გვაქვს დატკლი. ამ „ფარდის“ უენებლად დატყვა განსაკუთრებით ძნელი შეიქმნა ომიანობის აღრეულ წლებში. სიფრთხილის გამო 1939 წ. ის ჰამბურგის ცნობილ ბანკს მივაბარეთ სეიფში შესანახად. მაგრამ 1943 წ., რუსთა ჰამბურგზე საპაერო თავდასხმები მე-ტად ვახშორდა, ის ბანკიც სანახევროდ დაინგრა და ცეცხლიც მოედო. ჩვენი ფარდის სეიფი სასწულით გა-დარჩა და ბევრი ფიქრის და ყოყმანის შემდეგ ის ბან-კიდან გამოვიტანეთ და იმ დღიდან ომის დამთავრება-მდე მუდამ ჩვენთან ვინახავდით და მრავალი „უეკაუ-აკია“ ხან ტურინგიაში, ხან ბავარიაში, ხან აესტრიაში და სხვ. ამ „ფარდამაც“ ჩვენთან ერთად ვადაიტანა.

იმ საშინელ და არეულ დროში ჩვენ ბევრს რამ და-გვეკარგა (სხვათა შორის ყლივითი იშვიათის წიფინებით და ზოგი ჩვენი ხელნაწერებით), მაგრამ ეს განძი, ვა-ნუშრობებლად რომ თან დაგვექონდა, ვადავიგროჩა და ბედნიერი ვართ, რომ ის ჩვენს ქვეყანას შევუნახეთ...

ჩვენი დიდშობი ოცნება იყო — თუ ოდენიმე ბედი გა-ველიმედლა და განგება საშობლობის ხილვას კვლავ გვაღირსებდა, — ეს განძი თბილისში თან ჩაგვეტანა და

უკანვე დაგვებრუნებინა სიონისათვის, რომელსაც იგი ეკუთვნოდა და რომელს, ღმერთმა იცის, რა განგებინა ძალით, ვილაცამ გამოაძალა...

ამის გამო, ჩვენ ვესურს ამ განძის შესახებ ყველას ვამცნოთ ეს ჩვენი წადილი, იმ იმედით, რომ, თუ ჩვენ ვერა, სხვებმა მაინც ეს განძი ჩვენის სახელით საქაო-ტელოში ჩაიტანონ და სამშობლოს არ დაუეკარგონ...

გვინდა აღენიშნოთ, რომ ეს განძი ჩვენ დამოუღლად არასდროს არ გვექონია და ჩვენმა და ჩვენი ოჯახის ძველმა მეგობრებმა მისი არსებობა და ბოლონდელი „თავადესავალი“ იცოდნენ: პროფესორმა ექვთიმე თა-ყაიშვილმა, პროფ. ზურაბ ავალიშვილმა, პროფ. მი-ხეილ წერეთელმა, ვლადიმერ ასმეტელმა, სასიან ფირ-ცხალავამ, პროფ. ძმებმა ნიკურაძემ, კიტა ჩხეიკელმა, გრიგოლ რომაქიძემ, ვიქტორ ნოზაძემ და სხვებმაც; რომელთაც ეს ფარდა ჩვენსას მრავალჯერ ნახული ჰქონდათ და ზოგმა მათგანმა განსაკუთრებითი კმაყო-ფილება გამოთქვა ჩვენი გარდაწვევტილებისა გამო, რომ ეს განძი თბილისის სიონს დაბრუნებოდა.

ახლა კიტა რამ ამ „ფარდის“ შექმნის ამბავიდან.

1936 წელს ჩვენ ჰამბურგიდან ბერლინში — ლიხტერ ფელდეში — ჩვენს სახლში ვადავარადით და თან ვა-დავიტანეთ ჩვენი საკაოდ მიღიარო ბიბლიოთეკა.

ჩვენი სახლის კარები ყველა მეგობრისათვის დია იყო და ხშირი სტუმრები არ დაგვეკლებია, როგორც ქაოთ-ველები, ისე უცხოელებიც; ამ უკანასკნელთა შორის იყო ერთი, დოქტორ ხოპპ, რომელსაც საქათველოზე ბევრი რამ წაეკითხა; ეს უცხოელი კულტურული კაცი იყო და ჩვენის წარსულით დიდად დაინტერესებული ერთ მშვენიერ დღეს, ამ დოქტორმა ხოპპმა აღე-ღვებით ვაუფწყა, რომ მისი პაციენტის ერთი მეზო-ბელი, „კაკეასიელი“ (სომეხი) ვარდაიცვალა და რომ მისი „შეუღლეს“, თუ დიახსილის, გერმანული ჭალი, ზოგ დარჩენილ „კაკეასიურ ნივთებს“ ჰყიდისო. ეს დოქტორი, რაკი მან იცოდა, რომ ჩვენ, რამდენადაც შეგვეძლო, იშვიათ და საინტერესო ქართულ ნივთებს, თუ წიფუნებს ხელიდან არ ვუშვებდით, დაგვაპირდა, რომ თუ იქ რამე საინტერესოს იპოვიდა, გვაცნობებდა.

მეორე, თუ მესამე დღეს დოქტორმა ხოპპმა ვადა-მომცა, რომ ზოგი ნივთი უკვე ვაყიდული ყოფილა, მაგრამ დარჩენილია ერთი იშვიათი, „ფარდა“, სავანგე-გებო ნახლავი და ოქრომკვეთი, მხატვრულად შეს-რულებული, პორტრეტებითა და წარწერებით, რომე-ლიც, მისი პრითი, ქართული უნდა ყოფილიყო.

ჩვენ მას ვიხივეთ, ეს ფარდა როგორმე ეჩვენებინა და თუ შესსლებდა, ფოტოგრაფიული სურათიც ვადა-ვიღო.

რამოდენიმე დღის შემდეგ მან დაგვირეკა, რომ ორი-ოლე საათით ინაოხორა ეს ფარდა და შეგვიძლია მის ბინაზე ვნახოთ და სურათიც გადავიღოთ. ჩვენც დაუყონებლივ გავესწით და ფოტოგრაფიც თან წაიყვანეთ სიხარულით აღტაცებული დრ. ხოპპ კარებში მოგვევება, გვაჩვენა ნოხზე დაფენილი „ფარდა“, რომელიც მართლაც იშვიათის ხელოვნებით იყო ამოქარბული შვინდის ფერ ატლასზე; ის იყო საკმაოდ დიდი ზომის და კარგად შენახული.

რამდენადღე შევძელით, ზევითა და ქვევითა ნაწერები ამოვიკითხეთ, სურათები ფარდისა და წარწერისა (კალკულა და გადავადებინეთ და ვთხოვეთ დრ. ხოპპს, გაეწია შუაგაცობა და გაემართა მოლაპარაკება ამ ფარდის შექმნის შესახებ. წარწერის სურათი მიხ. წერეთელს ვაჩვენეთ და კიდევ ერთად წაიკითხეთ. ბოლოს გადავწყვიტეთ სურათი და კალკ გადავღებულ წარწერა შესამოწმებლად სასწრაფოდ ექვთიმე თაყაიშვილისათვის პარიზში გადავგვზავნა. ასეც მოვიქციეთ.

სამწუხაროდ, ბ. ექვთიმეს პასუხმა დაიგვიანა და ჩვენც შევშინდით — ნივთი არ დაგვკარგოდა და დრ. ხოპპის დახმარებით პატრონთან მოლაპარაკება გაემართეთ... ქალმა ვილაც ექსპერტები მოიყვანა და მათი დასკვნის მიხედვით, „ფარდას“ მეტად დიდი ფასი დააღო. აშკარა იყო, განსვენებულის მეუღლე; თუ დიასახლისი, ცდილობდა ეს იშვიათი შემთხვევა კარგად გამოეყენებინა. ეს ამბავი ხელახლა ვაჩვენებთ ბ. ექვთიმეს; იმ ხანებში მისი პასუხიც მოვიდა. დაგვიანების მიზეზი თურმე ის იყო, რომ ბ. ექვთიმე პარიზში არ იმყოფებოდა და ახლა ხან დაბრუნებულიყო.

ბ. ექვთიმეს წერილი უკვე აშკარად გვეუბნებოდა, რომ საქმე შეეხებოდა უნიკუმს. იგი გვწერდა, რომ ფარდაზე შესრულებული ამგვარი რამ მას საქართვე-

ლოში არ შეხვედროდა და რომ მისი ხელიდან გაშვება დანაშაულად ჩაითვლებოდა.

დრ. ხოპპმა მოლაპარაკება ვააცხოველა და დიდის მოხერხებითაც ჩაატარა; რის შედეგადღაც, შედარებით პირველთან, დაკლებულ ფასში. ფარდა ვითომ თავის სათვის შეიძინა და შემდეგ ჩვენ გადმოგვცა. ჩვენი და ყველა ჩვენი მეგობარის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა...

მას შემდეგ ჩვენ ეს ფარდა, როგორც ვთქვით, განუშორებლად თან დაგვექონდა და ბოლოს ის საგანგებო ჩარჩოში ჩავასმეინეთ, რათა მისი დაცვა-შენახვა უფრო მტკიცე ყოფილიყო და ბოლოს თავისი მოგზაურობა აჩვენებინებდა კარგად გადაეტანა.

იმედი გვაქვს ერთხელაც ასევე კარგად გადაიტანს უკან მოგზაურობას და ამ შემთხვევაში პირდაპირ თბილისის მიმართულებით, საიდანაც ის, როგორც შევიტყვეთ, თბილისის ერთ-ერთი ბანკის დირექტორს, არა-ქართველს, წამოვღო...

ვინ იცის, იქნებ სხვა განმეტლობაც, რაც იმ ქალს დარჩა, თბილისიდანვე იყო წამოღებული და ჩვენი ქვეყნის წარსულისათვის არა ნაკლებ მნიშვნელოვანიც იყო... ვინ არის გამკითხავი?

რავგვარად და სად მიგვეკვლია ამ ნაძარცვისათვის? თუმცა ბევრი ეცადეთ, საქართველოს ყოფ. ელჩი, ბ. ვ. ახმეტელი და სხვა გაველნიანი პირებიც დაეხმარეთ, მაგრამ ვერას გავხდით, გაყიდულიდან ვერაფერი აღმოვაჩინეთ... დღეს ზომ ამის კვალიც წაშლილია და დაკარგული; მაგრამ ჩვენ იმიტაც ბედნიერი ვართ, რომ ეს განძი ათას ქარცეცხლს გადავარჩინეთ და სამშობლოს შემოვუხანებეთ.

თამარ და აკაკი პაპავა

ბუენოს აირეს. დეკემბერი, 1963 წ.



ძვირფასო აკაკი!

1937. 9. 6.

სოფოს კოლონიამ მიმიწვია 26 მაისს დიდსაწყლო-ზე, რომელიც მათ 29 მაისს გადაიხადეს, უარი ვერ ვუთხარი და შეესძელი გამგზავრება, ხარჯი მათ გაილეს, ათი დღე დაერჩი ექ: არ გამოიშვეს, ხან ლექცია, ხან საუბაო ვაგუმბარო, მათის თხოვნით. დიდი პატივი მიქც; კარგი დარბი დამეწრო და მეზავრობაც კარგად გადაიტანე. რომ დავბუნდი თქვენი წერილი დამხვდა და მაშინვე შევეუდღეო თქვენ მიერ გამოგზავნილ სურათებს და წაწერების გარჩევას. ეს ჩემთვის სასიამოლო იყო, აი მოკლედი ჩემი აზრი. თქვენ მიერ ნაბოვნი სიონის ტრაპეზის ნაქარგი გადასაფარებელი ფრიალ და ფრიალ საყურადღებოა და მისი ხელიდან ვაშობა შეუძლებელია. სურათი, რომელიც მასზე ნაქარგივად გამოყენილია, წარმოადგენს ეგრედ წოდებულს იესს ნერგს (იესეველი დერევეო), რომელიდანაც მომდინარეობენ ძველი აღთქმის მეფენი და წინასწარმეტყველნი და მათ შორის ღვთის მშობელიც. ჩვენი ბაგრატიონის ლეგენდა ხომ იესეს და დავით მეფეს უკავშირებს მათ შთამომავლობას, ამიტომ მათი ტიტული ასე იწყება: „იესენიან-დავითიან ბაგრატიონიან“ და სხვა. ეს სურათი ეკლესიათა ფრესკებზე ზოგჯერ გვხვდება, მაგალითად საფარის მონასტერში (იხ. ჩემი „არბ. პუტ.“.. 1. გვ. 29-30), მაგრამ ნაქარგად მატერიაზე მე არსად არ შემხვედრია, თუმცა ბევრი ნაქარგები მინახავს და მათი სურათებიც ბევრი მაქვს. თქვენი გადასაფარებელი ამ მხრით პირველი მაგალითია. ამიტომაც ჩვენთვის ძვირფასია. თვით ქარგვის ხელობას ქალბატონი თამარი ჩემზე უკეთ დაფასებს, ყოველ შემთხვევაში ეს ერთი საუკეთესო იქნება მე-18 საუკუნისათვის. წაწერა ასე იკითხება:

„შენ ძირით იესესით აღყვავებულსა მაგას ქალწულსა დედასა მსწნლისასა ტფილისს სიონთა ღვთის მშობელსა გიძიდენ მეცა ქვრივითა მწულილსა დედა ქსნის ერისთვის დავითისა ქეთავან (სიყ) ფარდასა ამას საოხად სულისა მისისა და ძეთა მისთა აღსაზრდელად ავიწყლოს იოდ წყლსა 1773“.

წაწერაში მოხსენებული ქეთავან (რესპ. ქეთევან) არის პირველი ცოლი ქსნის ერისთვის იესე ყულარ აღასისა († 1745) და დედა ქსნის ერისთვის დავით მესამისა (1753 — 1756), ქართ. ცხ. გვ. 451, 471. ქეთევანი დატყვევებულ იყო ერთხელ 1739 წელს (ქარლ. ცხ. 2. გვ. 92). როგორც ამ წაწერებიდან სჩანს, ის ჯერ კიდევ ცოცხალი ყოფილა 1773 წელს. ფარდა მისი მოქარგულია და შეწერილი სიონის ტაძრისათვის ტფი-

ლისში, ზემო და ქვემო წაწერა ერთი შინაარსის არის, ნაგზამ ქვემო წაწერა ამოქარგულია სხვა პირის მიერ, ზემო წაწერა ქეთევანის უფრო მარტივი და ლამაზია. წაწერის სურათები საქმოდ კარგად არის გადმოღებული, ხოლო ვთხოვთ მთელი ფარდის სურათი უფრო დიდი კლიშეთი გადმოიღოთ და მომწოდოთ. მე გავხვანენ „გეორგიკაში“ დასაბეჭდად რამოდენიმე მოქარგული გადასაფარებლების სურათებიც, თუ თქვენი რაბეჯ იქნება, ამასაც აქ მოვითავსებ.

ნაც შეგებება რუსთაველის ხურციძე-ჩორჩანელობას — ეს საკითხი რთულია. თქვენ მიერ დასახლებული ავტორი ცდილა ყველა თქმულება, მასალები და მოსაზრებანი დაეახლოვებია ერთმანეთისათვის და აეგო მთელი ბიოგრაფია სახელოვანი პოეტისა, მაგრამ ყველა ეს მოსაზრებათ რჩება და რეალური ნიდავაი არა აქვს. ყოველ შემთხვევაში მე მინდა გავცნო მის ნაწერს და ამიტომ ვთხოვ დამისახელოთ ნომერი ვახუთის თუ გამოცემისა, რომელიც თქვენ ეს ამოკითხეთ.

სალამი ყველა ჩვენებს და განსაკუთრებით ქალბატონ თამარს.

თქვენი ექ. თაყაიშვილი

* *

გახტანგ ჯობაძე

კვლევებ-ძიებებ წარსულის აღსადგენად

(ერძო წერილიდან)

ძვირფასო ძმაო და ბატონო ჩემო ვიქტორ!
4 ნოემბერს 1963.

... ხომ გახსოვს: ხუცესმა რომ უღლით ორი კურდელი მისაყენა... მეც ასე მომივიდა — კინკურსში მოვიცეე. ე. წ. ფულურეიტის სტიპენდია, არა სწავლების, არამედ კვლევისათვის ერთი წლით. ახლა მეორე წელითაც გამოიძიდეს.

ხომ იცი, ამერიკაში „პროექტებით“ მოშობენ. ჩემს პროექტში იყო შეტანილი ორი თემა: 1). ათონის ხელნაწერების შესწავლა და 2). ანტიოხის საშუალო საუკუნეების შესწავლა. მე კი გულში მქონდა: 1). „ცხოვრება და მოქალაქეობა წმიდისა მამისა ჩუენისა და მოციქულთა სწოვისა ბაგრატისა...“ ამ ცხოვრების სანიქარტული ხელნაწერია ცნობილი; ერთი თბილისშია და ორი კი ათონში (რომელითაცანაც უადრესი ათონის ხელნაწერია № 54 და თარიღდება 1020 წლით). გარდა ამისა არის კიდევ რამოდენიმე ბერძნული, სერბიული (ერთი) და შემოკლებული რედაქცია სომხურ ენაზე-

დაც ეს ხელნაწერები შეიცავენ მნიშვნელოვან ცნობებს ადრე ქრისტიანული ხელოვნების შესახებ და შექსა ჰყენენ ზატისმებრძოლეობის და იკონოგრაფიული საკითხებს; ამიტომაც ვადევნებთ ამ ქართული ტექსტის ინვალსურად თარგმანითურთ გამოცემა, რაც აინტერესებს დომარტონ ოქს (ისინი ვამოსცემენ ალბათ). აი ამიტომაც ვიყავი რამოდენიმეჯერ ათონზე (ივრონიში).

მეორე თემა იყო ქართველთა ეკლესია-მონასტრებისა და მათი მონასტრული ცენტრების შესწავლა ანტიოხიის სანახებში: ა) შვე მთაზე ბ) საცივრეველმომქმედ მთაზე, ბ) კავკასიის მთაზე. ზოგიერთ ქართული ხელნაწერის ანდერძები გვაუწყებენ, რომ ზემოდ დასახლებულ არეებში ქართველებს თავისი მონასტრები ჰქონდათ ანდა ბერძნების მონასტრებში შეკედლებულნი მოღვაწეობდნენ.

ერთი წლის წინად, ზაფხულის მიწურულში (ჩემი აქ ჩამოსვლისათავე) მივაშურე ამ არეებს იმ მიზნით, რომ იქაური მდამოები ფეხით გადამესერა და სასურველი ძეგლებისათვის მიმეკვლია. თითქმის ერთი თვის განმავლობაში დაღვალადნი დავეხეტებოდი იმ საბიფთაო მივებში და რამოდენიმე ეკლესია-მონასტრის მოვიძიე. მაგრამ მათი სადაურბონის შესახებ მხოლოდ დათხრების შემდეგ შეიძლება ითქვას რამე დანამდვილებით.

ამ ზაფხულზე ეს გათხრებიც დავიწყე (ვთხრიდი ოთხი თვის განმავლობაში). გათხარე ერთი ეკლესია შვე მთაზე, რომელიც უდავოდ ქართველების აწენებულია მეთერთმეტე საუკუნის პირველ მესამედში. აქ სხვათა შორის, თორმეტ-ცამეტი წარწერაც მოვიპოვე (ქვაზე ამოჭრილი), მაგრამ მეტად დაზიანებული და მოკლე, თუმცა მოპოებული წარწერები და საგნები ცხადყოფენ ამ მონასტრის ვინაობას; ეს უნდა იყოს კალიპოსის მონასტერი, ანუ უკეთ: „ქართველთა მონასტერი ღმრთისმშობლისა კალიპოსისა“

საცივრეველმომქმედ მთაზე წმიდა სვიმონ მესვეტის მონასტრში ვაფთხარე ერთი ბინა ე. წ. პროპოლაში (მონასტრის დასავლეთი ნაწილი) და ვაგწმინდენ სანათლიო, ბაპტისტერიუმს. შედეგები საინტერესოა (ფულელები ბაილიისა, მეათე საუკუნის ბიზანტიის იმპერატორისა, თიხის ქუჩველი, მოზაიკური წარწერები, მთავარ ტაძარში), ორნამენტალური სტელები, მარმარილოს კაპიტელები და ასე შემდეგ.

მესამე არე, სადაც გათხრა ვაწარმოვე, არის ბარლამის მონასტერი მთა კავკასზე (ჯებელ აკრა, არაბულად). აი, აქ ჩემამდის არავის არ ემუშავა და ამიტომაც უფრო საინტერესოა იყო.

ჩემი გათხრების შედეგად გამოირკვა მეტად საინ-

ტერესო რამ: მონასტრის მთავარი ეკლესია აწენებული ყოფილა გვიანი პელინისტური ხანის ტაძარზე, რომელიც მიძღვნილი იყო ზევესისადმი, ანუ უკეთ: ზევისის ნიმიტორი პროტოტიპისადმი. ამას ადასტურებენ იონური კაპიტელები (მშვენივრად შენახულნი, იონური კოლონის ქვედა ნაწილი, არქიტრავი ტაძარისა და იქ ნაპოვნი ორიოდ ფული რომაული ხანისა). როგორც სჩანს, ეს ეკლესია მიუძღვის შედეგად დაზიანებულსა და მეთერთმეტე საუკუნეში ხელმოკრულ უშენებიათ. ყოველ შემთხვევაში, აქ არაბების ძალმომრეობა არა სჩანს.

ეკლესიის სამხრეთით სამ სართულიანი ნეკროპოლისი ვიპოვე, უამრავი ჩინჩხით და სხვათა შორის, ერთი ორნამენტალური ქვა, ქართული წარწერით, რომლისაგანაც მხოლოდ სამი ასო-ლა არის დარჩენილი. ხელნაწერებშიც ამტკიცებენ, რომ აქ მეთერთმეტე საუკუნეში და შეიძლება ქართველი ბერები მოღვაწეობდნენ. ამას ამტკიცებს აგრეთვე გიორგი დაყუდებულის (სვიმონ მესვეტის მონასტრში მოღვაწისა, გიორგი მთაწმიდელის სულიერი მამის) მიერ დაწერილი, ან დააწერილი, სვიმონ საცივრეველმომქმედის დედის მარათის ცხოვრება და აგრეთვე ცხოვრება წმიდისა ბარლამის იოაკავკასიელისა.

საშუალო საუკუნის ისტორიულ წყაროებში ხშირად იხსენიებენ წმიდა გიორგის მონასტრის სელევეკიის მახლობლად, რომელიც, მათი თქმით, ქართველებისა იყო. მათ ქართველი ბერებიც უნახავთ შიგ, მაგრამ ქართულ წყაროებში არასდ არ არის ხსენებული წმიდა გიორგის ეს მონასტერი, სელევეკიის მახლობლად. ამიტომ ეს ცნობა შეიძლება საეჭვოდ ეღერდეს; მაგრამ თუ ვაინხსენებთ ქართველი ბერები სელევეკიისა და ტრადიციისა, რაც მათი მონასტრების გეოგრაფიული სახელწოდების განსაზღვრაში გამოიხატება (მგალითად: — ბერთა, ხახული, ოშკი, კასტანა, კალიპოს...), მაშინ ადვილი მისახვედრი იქნება, რომ ეს წმიდა გიორგის მონასტერი არის დუბლეტი „წყაროხა“.

წმიდა სვიმონ მესვეტის და კალიპოსის მონასტერი რამოდენიმე მეცნიერმა ნახა, მაგრამ მხოლოდ ცნობებს მესერიანმა გამოაქვეყნა მის შესახებ (მკობრ სოხები იქ ჩატარებული მუშაობის შედეგად (მომავალ წელსაც გამოაქვეყნებს უფრო ვრცელ ანგარიშს); მაგრამ როგორც მესერიანი, ისე მისი პატივისმცემელი პეტერსი (რომელმაც დიდი ამაგი გასწია და დიდი პატივი დასდო ქართული ძეგლი მწერლობის საქმეს), ყალბ ნიღაღზე დგანან ორი მიზეზისა გამო. ერთია მათი უკრტიკოდ აღიარება ნ. ბარბის თეორიისა და მისი ნაწილობრივი განვრცობისა, და მეორე კი, ქართული ენის არა საკმარისად ცოდნა, რაც გამოიხატება შვე მთაზე მოპოებ-



ბული ერთი ქართული წარწერის სრულიად და-
ნაძვლებით მცდარი წაკითხვა და მასზე „მარინიზმი“
გაქვანთილი ინტერპრეტაციების დამყარება.

ახლა დავიწყებ მოგროვილი მასალის დამუწავებას
და გაზაფხულზე დამატებითი ვათხრების წარმოებას იმ
იმედით, რომ კიდევ ორ ქართულ მოხასტერს ამოვიტან
ძვის სინათლეზე...

შემდეგ შემთხვევა დანაძვლებით და ზუსტად
მოგწერო, როდესაც მთელ მასალას დავამუშავებ (რვა
თვეში, ან ერთ წელიწადში) უთუოდ. მაშინ გამოვი-
ცხადებ წერილსაც, ძალიან კარგ ფოტოგრაფიებს ქარ-
თული ხუროთმოძღვრული ორნამენტებით და ქართულ
წარწერებსაც. უკეთ: ქართული ეპიგრაფიის კლასიკურ
ხიმულს, რომელსაც საქართველოშიც არ აქვს შესა-
დარი...

ილი ბატონიციშვილი და სიყვარულით შენი

ვახტანგ ჯობაძე

ქეიბური

ციკლიდან: „მაიხის ზარები“

‘I

„ისეთი ლეჟი მინდა დავწერო...“

ისეთი ლეჟი მინდა დავწერო,
რომ მთა და ველი ჩემთან ვამდგრო,
რითმის ხალიჩად ეშალო ფიჭვები,
ზედ დავაფრქვიო ძვირფასი ქვები.

და მსურს ისეთ ხმით ვეჭქო ქართული,
რომ მნახონ იმ თქმით შორს დაკარგული.
მსურს მზის კამარის ცეცხლით ავეთო,
იმის სადარის კიბეს დავენდო.

ავყვე სულ მალა მის ცისარტყელას,
არ ვიგრძნო დაღლა, ვუმღერო ყველას.
მსურს — ზეცის კიბეზე ლეჟი აზილოს
და საქართველოს მზეს ვადაპკიდოს...

დაუშვას ქვევით, როგორც ჩანჩქერი,
აფრქვიოს მამულს ჩემი ნამღერი.
ახვიოს მტკვარსა იგი რითმები,
ეთ ვაზის ჯვარსა წმიდანის თიბები...

რომ შეკრთეს მტკვარი ხმით უცნაურით,
შესძრას მამული ახალ ხმაურით,
იქ მინდა ლეჟი ვთქვა სისახელი,
ერქვას სახელად მის — „საქართველო“!

ვთხოვ მომეშველო, ღმერთო მაღალო,
რომ მე ისეთი ლეჟი გავშალო,
რომ ენთოს კვარად, დაჰქროდეს ქვედაციქვენი
მოხვედეს იქ ზარებს და რეკოს მარად...

რეკოს აღდგომად ჩემი ერისა,
იქუხოს რითმად მგოსნის ელერისა,
თავისუფლების სხვივით დაჰვიაროს,
ძველი მირონი ვადმოაღვაროს.

მსურს ლეჟი გახდეს გედის სიმღერად
და შემდეგ დადგეს ამ გულის ძეგრაც...

თუ ეს ვერ შევძელ, — მსურს დავიძახო:
„საჯერ წყველომც იქმნეს ეს ხანა!“..
სიკვდილის წუთში მწიად დენიანხო,
რომ იწვის კუბრში მთელი ქვეყანა...

2.

„მიირთვიო და შეამეცრო!“

ბეზისა ჰქონდა ქვიჯა-სანაყით,
ღრო-გამისაგან დაშვებული,
გვერდზე ნაჩეჩქვი, მწარის ნანახით,
შვა-ვაბზარული, ვაშავებული.
ჩემი ბებია შიგ რას არ ჰყვიდა:
ქინძს, ნიგოზს, ნიორს, პილილს მწარესა,
სუნენლი, ქილას თავს რომ ახდიდა,
გააბრუნებდნენ არე-მარუსა.

სცემდა ფილთაქვას დაუსრულებლივ,
ნაირ ტკბილ-მწარეს წვრილად დანაყად,
იმ ქვიჯის გემო აუცილებლივ
ბეზისა კერძებს მუდამ თან ახლდა.

წვრილად დანაყულს შვაზავებდა,
ჰაზავედა ინჯრას ხელით დამეკნარით,
და რომ ნახელავს მოათავებდა,
ჩვენ გემასპინძლობდა ქვიჯის ტკბილ-მწარით...

ქართულ ბოდიშით ერძს მოგვაწვდიდა:
„ისიამოვნეთ, შეეძვეციო!“
მადლობის თქმასაც არვის გვაცლიდა,
სწულხა: „ბატვი სხვა ვერ გეციო!“...

ჩემის სიყრმისა ყვეილი,
ოქნება ნაირ-ფერადი,
გული მგოსნისა, სულ ჩჩვილი
და სიყვარული ელერადი,

ცხოვრებამ მოსჭრა, ჩაჰყარა,
თავის ძველთა-ძველ ქვიჯაში,
ჩემი ნალველიც ჩალვარა,
მნაყავს... ჩამიდგა კრიკაში.

დავდივარ, კლდე-ღრეს ვასკდები,
ეთომც თაენახსნის ლოდინში,
ალარც ცოცხალ ვარ, არც ვკვდები,
— მნაყავს ცხოვრება როდინში.

და როს ამ ყოფის სურნელი
სულ წვრილად დანაყავა,
უნდა მიიზთყათ სულ ცხელი, —
ღიდ ხანს არ შეინახება.
აიე ყოფილა კანონი,
მას ვერვინ გავექცევითო,
მოგიკვდეთ თქვენი ამსოენი:
პატრივი სხვა ვერ გეცითო!
კვლავ გთხოვთ: მეყავით გამგონი,

— „მიირთვიეთ, შეექცითო“.
— რისი „მადლობა“? მიხარის,
რომ არ დამნაყეს ტყვილად,
ნალველთან გულიც შიგ არის,
გთხოვთ: „შეექცით ტკბილად“.

3.

მწყემსის ღარღები

(ღიდ ეკაიის კეთილ ხსოვნას)

მისწყდა ხალისი, შნოც ჩაჰჭრა
ამ სოფლის ტიალ-ტრამისა;
გული გაიპო, შიგ ჩადგა
ხატი ერთ ლამაზ ქალისა...

დღეს არც ფანდურის ეშში მაქვს,
ალარც სმისა და ჭამისა,
არც სალამური არ დამაქვს,
ვერც ღვინომ წამახალისა.

ცხვარი დაეავდე მთებშია,
შიში მაქვს კლდის და ხრამისა,
წაესულვარ სხვა ფიქრებშია,
ეკეკაცი დაუნენ ლამისა...

დღისით სიცხადე მაწვალებს,
მეტი შიში მაქვს ლამისა, —
ლოკინში ვხედავ მაგ თვალებს,
ნელ რხევას გრძელ წამწამისა...

რად გამიწყერი? არ მხედავ,
არ მომეც შევბა წამისა...
„ნახეთქო“... თქმას ვერ გიბედავ,
„ტბები ამ თვალთა ნამისა“...

ვარსკვლავთ ვთხოვ: გამცნონ ტლუ-მწყემსის
მოსვლა სიკვდილის ეამისა,
ქარს ვთხოვ — გასმინოს ხმა კენესი
შენგნით დაცხრილულ გვამისა...

იქნება ერთხელც გამიყო
წყალობა ერთის დრამისო:
მწყემსის ნაბადი გამიგო,
„გამთენებელი ლამისა“.
იქნებ მომაკვდავს ჩამაცვა
შავი ხალათი ხამისა,
თან ზიარებაც შამასვა,
ნაცვლად ამღენის შხამისა...

სხვა თხოვნა ველარ შეგბედე,
არც ვარ ჩვეული ქუთამისა,
მხოლოდ გთხოვ: ჩემს ცხვარს შეხედე,
ფფიცავ, — ღირსია ამისა.

ვიცი, — არ გამხდი ღირსად,
ტრემლისა ერთის ცვარისა;
ეტოვებ ამ ქვეყნად ჭირსა და
დაზღს ობლად შეთინლ ცხვარისა...

ქიბურია

შავი კლდეები

სადაც მდინარის ურჩი ღინება
ვალიპულ კლდეებს მიებჯინება,
სად მთით მიხეთქილ სტიქის ნება
შავი ლოდების ქვეშ იღუნება,
სადაც ბუნების მთლად ყველაფერი
შვიკქვის მუზით არის ნაფერი, —
სად პიტე, სუსხი, ქარი, ნამქერი,
იმერთა ქვეყნის არის საფერი...
თურმე იქ უწინ იყო ველები,
მას ვერ ატანდნენ მცხრის ურმები,
უღანზოდ მღვარა ნიგვზის ხეები,
შიგ ბინადრობდა მაჩვი ურგები;
გზად გამელელ ყაიბს გაუტინია,
მდინარისათვის დაუტინია —
— ეს რა წყალია? ჭიათ თუ რა?
და წარმოიშვა იქ ჭიათურა...
შემდევ მოსულა ახალი ხანა,
ძველმა მიწებმა აღარ იყანა,



მიწის ზედაპირს ხედა არადანი,
 მის სიღრმიდან კი მოდის მიადანი.
 მოდის მადანის შავი ლადარი,
 ბაჯაღლო ოქროს ღირსი, სადარო.
 და ამ მურთან შავი ქვის ქალაქს,
 ჩემი ბავშვობის ზღაპარი ახლავს;
 აქ ყოველ ხეს და ვატეხილ ახოს
 ჩემს წინაპრებზე ლეგენდა ახსოვს,
 აქ ვეზიარე შოთას, აკაკის,
 აეხსენი აზრი იგავ-არაკის
 და შვეიყვარე ბედი დღევნოლი,
 მერანით მსაზღობი ბარათაშვილი.
 დღეს, ჭაბუკობის მხურვალე წლები,
 როს უტხოვთის ცის ქვეშ მძიმდება,
 კვლავ მენატრება შავი კლდეები,
 მსურს დედის მკერდზე აქეთინება.
 მსურს, რომ ფეხშველამ შემოიერბინო
 ეზო, ეენახი, მთის კორტობები,
 მწყემსებს დავეცე, როგორც მიმინო,
 ეელზე ვავფანტო მათი ძროხები;
 მინდვრად დაკოფილი ვარდების კონა
 კრძალვით მივიართვა მეზობლის თინას,
 ჩემი ბავშვობის „ქერა იზოლდას“,
 შეგლის ნუკრივით მინდორში მძინარს...
 ვაჰ, როგორც წინად, ოცი წლის წინად,
 ცის ჩირაღდნები როცა დაიანთოს,
 ავიზვიებულ ბუხრისა პირად
 ვახშმის ლოდინში კვლავ ჩამქმინოს...

გიორგი ქართველი

სმარბია მარსიაშვილის ხსოვნას

ფრინველებში ბუღბუღლი მაგალობელი შეუდარო,
 ხუმრობაში შენ იყავი სიამის და სიტკბოს წყარო.
 თითქოს რაღაცა თილისმა ჩამდგარი გქონდა ენაში,
 დრო მიდიოდა მგნს ახლო მარად სიცილ და ლხენაში.
 ერთი შეხვედრით სუფრაზე ხდებოდი დაუქონყარი;
 შემდეგ გეტპლდნენ ისე, ვით ყვაილებს ექმბს ფულ-
 კარო.
 ვაი რომ მიდი დასასრულს, უკვე განლიე დღენია,
 და შენ მეგობრებს შენებრი არავინ არ დარჩენია!
 თურმე ვიდრე სული გეღდა, მწარედ ან ტკბილად
 ხუმრობდი, დაპყრობილი ხალხის შვილი, შავ ბედზე
 დარდით ამბობდი:
 „მტერს წითელი ფერი უყვარს, ძლიერს სუსტი, სუ-
 სტად დახვდი, სხვა ვერაფერი შევიძელ და თითქოს
 „რეისიკა“ ვავხი.
 „ვიძახი, რომ წითელი ვარ, მაგრამ გულში სხვა აზ-
 რი ზის, მსურს უწყალო ჩემს ჯალათებს რისხვა მო-

ხედეს მიწის და ცის!
 „ჯოჯობენი ვინ შეიძლებს შეინახოს თავის ფერი?
 ჩემნი მზის და მთეარის გარდა გადამბუნდას ყველა
 ფერი!
 „თბილისზე რომ აფრიალდა უწყალო მტრის ბაირახი,
 გამარჯვების დღეს დაურქვა, გზა-შარაზე ცეცხვავთ
 ხალხი.
 „ერთი ვარსკვლავიც არ აფენს ესლა სხივებს ჩემნი
 ბნელ გზაზე, და მშვენიერ საქართველოს ჯვარი ააქვს
 გოლოგოთაზე.
 „სიკვილიამდე ერდგული ვარ; გმირი წინაპრების
 ფიცის, იმ ყიფინის ველი, უცდი, ქართველმა ხალხმა
 რომ იცის.
 „მინდა ქუჩის გაგივება, ისე როგორც ქარიშხალი.
 მტერს რომ გულში ჩაესობა ტრამდის ბასრი ხანჯალი.
 „დიამტერს და დაილომის ჯალათების თავის ქალა,
 ხალხმა მტრის სისხლს გააყოლოს მტრის უღელ-ქვეშ
 რაც იწვალა“.
 შენი ნატვრა შორს მოვიდა, ზღვა და ხმელი გადმო-
 ლახა; ჰგავს, რომ იგი ხალხში დაიღის და ხალხის ხმამ
 შეინახა.

რალოვი

ბარათი

უსაყვედურებ შენ დაკნინით ჩემს ნაზ სიფრთხილეს...
 ფაქიზი კლემბ, მოწიწება შენთან შეხვედრის, ფიქრის
 დამოკლება, სიტყვის ართქმა შიში არ არის! თუ ვერ გზ-
 ხავდი, ვიქნებოდი მე მწარე ხეცდრის.
 ხომ უველაფერი დამიკარგავს! აღარ მშთენია თვით
 ძვალნი ჩემთა მამა-პაპის და მეგობრების. ევლარ მო-
 ეესწარ მე გარდახდას წმიდა ალაპის, — და სულმა
 ჩემმა იტანტალოს ტანჯვით ეგემბს!
 სამშობლო ზეცა — ტკბილი და ლურჯი — სხვის
 დარჩენია! ძველი მტრისაგან ვალახული და დანალურ-
 ჯი, ვაჰ უტხო მხარეს დაკარგული, — ვადამარჩენია
 მხოლოდ-და გრძნობილი, სიყვარულით საცემ ეს გუ-
 ლი!
 ვერვინ დამიშლის ოცნებაში ვიყო უსაზღვრო: მრ-
 ვალ ნაირი სურვილები გულს ვავიტარო, — ამ ცივ
 სტრიქონებს ნატვრა ჩემი მე დაევაბარო — და ამნაირი
 ხეაშიაღით თან ვავიხარო.
 ფერად ფიქრებში ჩამქსოვიდა შენი ხსენება; ტკბილი სი-
 ნაზით დაუღლია შენს მოგონებას; უკანასკნელი იყო
 მასში ეს მკვეთრი ნება, თუ სიყვარულმა შენი თავი არ
 დამანება.
 შენს გულში თუ კი არ ზიშონიმებს ცეცხლი გრძნო-
 ბისა, სიცალიერეს დაუპყრია მშვიდი არსება, — ნუ
 დამიწყევლი საცეცხლური სასოებისა! იწამე მარად:
 ტუ-ფო-პი; ტაძრის მუნ დაარსება! **ბ. ბებურიშვილი**

ერთი ცნობა

ძველ ქართულ ოჯახთა ბანძეშულობიდან



ათასეულ წელს ითვის ქართული ოჯახის, ამ ჩვენი ეროვნული კულტურის კერის ისტორია.

ეს კერა, რომელმაც ამდენ მაგარ ტალღებს გაუძლო, უძველესი, ეროვნულთან ერთად, მყარ ეკონომიურ საფუძველზე ყოფილა დაფუძნებული. განსაკუთრებით, მთავი საუბუნიდან იწყება ჩვენი ოჯახის აყვავებისა და განვითარების პერიოდი. აქედან მოდის წყარო იმ დოკუმენტისა, რაც არა მარტო წარჩინებულ ფეოდალთა ოჯახებში გროვდებოდა; გვერდით მათ მოლონიერებულ და წელში გამართული გლეხობის ოჯახიც უღდას. ეს დოკუმენტი, რაც მაშინდელ საქართველოში გროვდებოდა, მარტო სახელოვან ომებს არ მიეწერება, — მრავალ ომში გამარჯვებას და დიდ ნადავლს, რითაც სასუა ჩვენი მატარის ფურცლები, ვიდრე მეცამეტე საუკუნის ბრველ მეოთხედამდე, ოდეს „ხრმალი ქართველთა ღელავდა“ მთელს წინააზიაში, სპარსეთში და კავკასიაში და დოვლათითა და ნადავლით აღეხება „ქვეყანას ნიოფიზიდან დარუბანდამდე“.

შევერდებოდა უთქვამს დიდი თამარის ისტორიკოსის მაშინდელ საქართველოს სიმდიდრით განვითარებაზე: „არამედ კვლად აღივსეს ყოველი საგანდური სამეფონი ოქროთა და ჭრჭლითა ოქროსითა, რამეთუ მიწისა მსგავსად შესასხმდეს ოქროსა. ხოლო თვალსა და მარგალიტსა წვევით დასდებდეს, ხოლო ოქრო ქსოვილთა ბერძულთა და სხვათა, ძვირად საპოვნელთა, ვითარცა ცუდას სამოსელთა ურცხელთა, დაპყრიდეს... და აღავენა გულნი ყოველთა“... (იხ. ქართლის ცხოვრ. გვ. 471). ეს ხარკი და ნადავლი მაინც არ იყო მთავარი; ნამდვილი წყარო ჩვენი ეროვნული დოვლათისა იყო ჩვენი მიწა, რომელიც უხვ და უღვეველ მარაგს და ძალას ფარავდა. უშიშროება, რაც განმტკიცებულმა მონარქიამ მაშინდელ ქართველობისათვის საუბუნეთა მანძილზე უზრუნველი გახადა, ინახავდა და ავროვებდა ამ ეროვნულ სიმდიდრეს, ოჯახთა ქონებას.

ჩვენი ამისი აზრც მასალები მოგვებოვება და არც ძალა შეგვეწეოს, რომ მაშინდელი ქართველი ოჯახთა ეკონომიურ მდგომარებაზე შევჩერდეთ. ფიქრი ამ დიდ თემაზე იმ ეპიზოდმა გამიცოცხლა, რაზედაც მინდა ქვემოლ მოგახსენოთ.

დღესაც გულის ტკივილით ფურცლავთ ჩვენს მატარებს და გაოცებით ეკითხებით თქვენს თასს: რამ წაშაყენა ფეხზე და რამ შეინახა ამდენ ვაებათა და ახ-

რებათა შემდეგ ჩვენი ქვეყანა, მისი კულტურა, მისი ოჯახის ფესვები და დოვლათი?

ჩვენი ოქროს საუბუნეთა შემდეგ, ხომ ასეთი ქართველი მოელო საქართველოს და მონგოლების გაბრუნებდან, მეცამეტე საუკუნის დასაწყისიდან, მას მოსვენებული და თავისუფალი ცხოვრება ხომ დიდ ხანს აღარ უნახავს!

ციტრალურ სახელმწიფოს დაცემა, საქართველოს დაქუცმაცება, ურთიერთზე მიხტომ-მოხტომვით ხომ უფრო გაამძლიერა და გაამხნევა მტრები და ახლა არა მარტო დიდი და ძლიერი, ფანატკური მგზობლები, უტყვენ მას, არამედ პატარა ტომებიც, რომელთაც საძაბრეცავად და სათარეშოდ გაიხადეს ოდესდაც ძლიერი და სახელოვანი დიდი დავითის, გიორგის და თამარის ივერთა. ქემშირბოტად, ეს დაუსრულებელი რბევა და სისხლიანი საგაზო და საშინაო ომები ფატალურად აახლოვდნენ იმ კატასტროფას, რაც მეთერთმეტე-მეცხრამეტე მუჯანზე საუბუნოს აღსასრულით დამთავრდა... ივერთა. ქემშირბოტად, ეს დაუსრულებელი რბევის შედეგად იმ მძიმე მდგომარეობის გადაჩინა, რაც წინა საუბუნების შედეგით და რაც „ქართლის ბედს“ უღმობულად სწყვეტდა... მაგრამ ჩვენი ერის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ეს საბრძოლო თავდასრუტის ამბები, ეს ბრძოლები, მათ რომ თავის გადასარჩენად და ოჯახის შესანახად უწაზობებით, წუთითაც არ შენელებულა... ეს იყო ქართველი ერის ის დღაბრული ენერჯა, რომელმაც ქვეყანა გაქობისაგან საბოლოოდ იხსნა.

მართლაც, დღემდე საკვირველებად რჩება ის მოვლენა, რომ ამდენ ქარცეცხლში და უდიდეს გასაჭირში ჩავაზრდილი ქვეყანა, ოქროს ზოდებდ ისევ ამოაწყობდა საღვთა გადნახულ ძალას, განამტკიცებდა რწმუნება და თავიდან (ცინ მოსთვის მწაყარბეჯერმე?) დარღვეული სახელმწიფოს შენებას იწყებდა, გაპარტახებულ ეკლესიებსა, უწინარეს ყოვლისა, განიავებულ ოჯახს აღადგენდა.

ამ ჟამად ჩემი მიზანია მე-16—18 საუბუნეთა უწყალა რბევათა დროიდან ზოგ გადნახულ და შემთხვევით გადაჩინილი სიმდიდრის სურათი გადგომილოთ; ამ გზით გადნახულ ოჯახთა განძეულობა მაშინდელ საქართველოს ახალ ოჯახებს ახალ საძირკველად ეჭვბოტდა. სწორედ ამ ოჯახთა გამძლეობამ კვლავ შეუქმნა ქვეყანას აღორძინების ხანა; ეს ოჯახ-

ხები მტრისაგან არა მარტო ნივთიერ ქონებას არიდებდნენ, დაცემდნენ, არამედ მრავალ იშვიათ ძეგლებს ჩვენი ძველი სულიერი კულტურისას. ჩვენი მართან ხშირად აღნიშნავს, რომ ოდეს ქვეყანას ნაირი მტრები შემოსეოდნენ, ქართველობა ბრძოლით ფხიზლად თავის ოჯახს აფარებდა და ამასთან გაუცვალ კლდე-ღრეხებში, კოშკებში და მონასტრებში ინახავდა ეროვნულ და ოჯახურ განძეულობას და „ამითში წიგნებს და ძველ ხელნაწერებს“ (იხილეთ ექვთ თაყაიშვილის „ოპიანიე“, ტ. 1. სადაც ის გვაუწყებს, რომ მონასტრები და ეკლესიები საგანგებოდ მიუვალ ადგილებში შენდებოდა და მათ განძეულობა-წიგნათათვის მუდამ ჰქონდათ ჩამოწებული ისეთი კ უ თ ხ ე ბ ე ბ, რომლებიც მტერი ადვილად ვერ მიაკვლევდა).

აქედან გასავხები ხდება ფოლკლორის, მაგრამ სეველი დამძიმებული თქმა სამშობლოს ბედით დაფერვლილ ისტორიკოსის:

„დროთაგან ძველთა ქართველთა მრავლად აქნდათ შენახულად (განძეულობანი) დრომდე შემოსვლისა რუსეთისა მთავრობისა“—ო. (იხილეთ პლატონ იოსელიანი — „მეფე გიორგი მე13“, გვ. 30).

შემთხვევით მოღწეულ ზოგ ქართულ წყაროში შენახულ არიან საბუთები, რომლებიც საკმაოდ ამეღანებენ მაშინდელ წარჩინებულ ოჯახებში დაცულ სიმდიდრის მაღალ დონეს; ეს „საბუთები“ იგივეა, რაც ჩვენი ძველ ხუროთმოძღვრებიდან შემთხვევით დაშთენილი ნანგრევები, ორნამენტები, ფრესკები, რომლებიც დღესაც უცხო მკვლევართ ასე აოცებენ... მათი შემეწობით ხომ შესაძლო ხდება დიდ ნაგებობათა მთლიანი სურათის რესტავრაცია. ასევე შეგვიძლია წარმოვიდგინოთ სურათი მაშინდელ წარჩინებულ ოჯახთა სიმდიდრისა იმ „ფრაგმენტებით“, რასაც, თუ ვნებავთ, ზოგი მაშინდელი მშთივების სია იძლევა.

ავიღოთ ხელთ თუნდ ერთი ასეთი „ფრაგმენტი“ და შევჩერდეთ ქსნის ერისთავის ოჯახის ერთ სამშთივო სიაზე, რაც ჩვენ სიძველეთა დღეღამე მკვლევარს, დაუეწყარ ექვთიმე თაყაიშვილს „საქართველოს სიძველეში“, ტ. 3. მოაქვს —

სწორად ამის გამო შეგვიძლია ეს სტრიქონებიც ერთ გვარ „დამატებად“ ჩავთვლოთ იმ ცნობებისა, რომელთაც მკითხველი ქსნის ერისთავის ქვრივის, ქეთევანის „ფარდის ამბებთან“ დაკავშირებით, ამავე „საკვასიონის“ წიგნში მკითხველი გაეცნობა.

ვგონებ შედგებთ არ იქნება, ამას წინ წარუძღვართო ჩვენი დიდი მგონისი, ნიკო ბარათაშვილის ერთი კერძო წერილი, ამ ამბებს შორეულად რომ ემთხვევა.

ამ წერილში მგონი ქსნის ერისთავიანთა ერთ-ერთ ოჯახის ბარათაშვილს, მისთვის ჩვეულ ხატოვნობით გადავვიწვლი.


რა თქმა უნდა, აღარ იყო ის ძველი ოჯახი, რომლის ცხოვრებიდან“ რომ მოსწინას: ვალაღებული და სუეტვერ ფეიდალ ქსნის ერისთავისა... ნახევარი საუკუნის შემდეგ რუსეთის დამკვიდრებისა ის საგრძნობლად დაეცემულა და დაკნინებულა... მაგრამ ზოგი რამ მიხეც შემონახულა „იმ ძველთა დიდებულთა“, რაც ნიკო ბარათაშვილს ასე ატყვევებს და ერთგვარი სიამაყით ავსებს. ჩვენი მგონისი დაი, კატო, თავად მელიტონ ბარათაშვილის ასული, შეუერთავს ქსნის ერისთავს ჩუგებს; და აი, ამის შესახებ ნიკო თავის ბიძას, ზაქარია ორბელიანს 1844 წლის მაისში სწერს:

„... კატოს ერთი თვეც არის ჯგვარი დავსწერთ. კარგი ქორწილი გადავიხადეთ. მეორე დღესვე წაყვანეს კატო. ერთი დამე და მეორე დღეს სადილად ქაიხოსრო მუხრანსკისას ვიყავით. კარგათ დავციხვდა. — იქედან ახალ გორს წავედი. ოძის რომ მივახლოვდით, სადაც ბიძინა ერისთავი სდგას, ლევან ერისთავი თავადებით, აზნაურებით და იმერეთის მაგლობლებით მოვეგებება; ჩვენთან იყვნენ მანანა თავის ქალით, მაიკო, ყაფლან, ზაქარია, ალექსი სუმბათიანი, — მეჯვარე.

“რომ დაანდა ახალ გორს. სასახლე ჰქაქებით იყო განახანებული, მოედანი მაშხალებით. ამ დრის ახალ არქიტერი, წულუკიძე, კატოს დედამთლის ძმა, აქ იყო და მაგლობლებიც იმისნი იყვნენ. დეკანოზი შემოსლისა და ვკრთი მოვეგებება გაღავნის კარებში; დაპკრეს ზურნას, სათარას, სიმღერა, თოფის სროლა და ხალხის ჭდევა და ყვირილი საუცხოვო სანახავს წარმოადგენდა; ამასთან მთავარიანი ლამე და მშენიერი მდებარეობა.

“სასახლეში რომ შევედი და ყაფლანმა ჭელი მოინახდა, შეხედა ზალას, ერთი გულით წამოიძახა: „ფუ, ე... ეტო დვორცი!“ ბერი გვიცინია...

“მესამე დღეს... მ ზ თ ე ვ ე გ ა მ ო ნ ჯ ე ჯ; მაგრამ, ზაქარია, მ თ ე ლ ს ქ ა რ თ ლ შ ი გ ა ი თ ქ ე ა; თუ არემ მანანა გეტყვის, როცა ნახავ. მეოთხე დღეს ნიშნები მთარევის დედამთლიმა, მახლებმა, მელემმა და რაძალმა; კარგი ნიშნებიც იყო. არქივლიც იმ დღეს ამობრძანდა კატოს სანახავად, დალოცა და ერთი ოქროთ მოჭედული ღვთის მშობლის ხატი აჩუქა. ხუთი დღე და ლამე სულ შექცევაში ვიყავით... ერთის ლეკსით, კარგათ გავტარეთ დროება, რომელი 2 კვირა. ზაქარია, სწორედ გულით გეტყვი, მთი კატოს თავი მოსწინს, ე ხ ლ ა ნ დ ე ჯ ს დ რ ო შ ი ს ა ნ ა ტ რ ე ლ ო ჯ ა ხ შ ი ა : მ ე ბ ი ს უ მ ა გ ა ლ ი თ ო თ ა ნ ხ მ ო ბ ა , ს ი მ დ ი დ რ ე ს ა ხ -



ლისა და უვალობა... მე ეს მიამა, რომ მტერი ვერ გაიხარებს; თუ ღმერთი გვაღირებს ერთად შეყრას... უნდა ვეწვიოთ ამ შემოდგომაზე, რომ ლაზათი გავწიოთ... (იხ. ნ. ბარათაშვილის თხზ. სამსონ ფირცხალავას რუდაქციით. გვ. 112. 1922 წ.).

მაგრამ ამ „ლაზათის“ გაწვევა ერისთავიანთა ოჯახში, დღეს ამ ნახევრად დანგრეულ შტუდენგზში, მგოსანს კვლავ ადარ შეძლო... წარედნენ ეს ზვიადნი, ქედმალლობის დრონი, რასაც ნ. ბარათაშვილთან მისი ბიძია გრიგოლიც მისტიროდა... და ვანა მარტო გრიგოლი? აქ გვიანდა ჩვენი ძველთა დროთა საუკეთესო მცოდნე პლატონ იოსელიანი ვალაპარაკით:

„იკითხავთ, სად ჰპოებდნენ ესოდენთა ოქროთა, ვერცხლსა და თვალმარგალიტსაო?

„დროთაგან ძველთა მრავლად აქენდათ ესენი შ ე ნ ა ხ უ ლ დ . დროდენდ შემოსვლისა რუსეთისა მთავრობისა, სამკაულნი განაშენებდნენ ქალთა; და დედანი ქალთა და ძაღლთა უძღვნიდნენ უხვად...“

„მზავალნი რეს გვარნი ძვირფასნი ნივით, ვერ დაფასებულნი რუსთა მოხელეთაგან, — უგვათა და არა მცოდნეთა მათისა ღირსებისა, მიიღეს და არ ნ ე ნ ე .“

„ქართველთა დაპყიდეს ივინი, სცვალეს რუსთა ხელოვნებისა სამკაულთა ზედა და სახმარებლად უკუ-ლოებელს ჰყვეს...“

და 1844 წელს, სწორედ იმ წელს, რომელშიაც ნ. ბარათაშვილი ქსნის ერისთავის ჭირაქის აგვიწერს, მეფის ნაცვლიდ საქართველოში მოვლინებული ვორონ-ცოვიც კი, დიდ საგონებელში ჩავარდნილა იმის გამო, თუ სად გაჰქარა ის იშვითა სამკაულეები, რაც მას უხვად ენახა თბილისში 1803 წელს, ოდეს იგი — ყმაწვილი — ღენერალ პავლე ციციანოვს ხლებოდა.

„და მიერთნი თვალ-მარგალიტთაგანი „მოიძიეს“, — ამბობს პლ. იოსელიანი — კვალად სახლებში, სოფელში, და სომეხთა შორის“... და აწ საგნისა ამისათვის ე ს ლ უ მ ე ბ “ ო, ამთავრებს ნაღვლიანი მემბრანა (იხ. „სცხოვრება მეფისა გიორგი მე13. გვ. 30).

დაეწყოთ ქეთევან ერისთავის, ყულარაღასის მეუღლის, ოჯახის ამბავი და მაშინდელ ქსნის ერისთავთა სიმდიდრის ერთ ნაწილს გავეცნობ.

აქედან დაეინახეთ, რომ, მიუხედავად მაშინდელ სისხლიან და დაუსრულებელ ომებისა, მარავი ამ ძველი ოჯახისა, რომელიც „კლდეზედ ყოფილა დაფუძნებული“ (იხილეთ შესავალი „მშობივების სისხლს“), კიდევ უღვევილი და უძირო დაშთენილა.

ამათ იშვითა სიმდიდრის სურათს ვაგვიცოცხლებს დოკუმენტი, დათარიღებული 1713 წლით, რომელიც მოაქვს მკვლევარს, ექვთიმე თაყაიშვილს („საქართველოს სიძველენი“, ტ. 3. №519, გვ. 492).

ეს არის სია მშობივების, ქსნის ერისთავის დაეითის ასულთა, ელენესი, რომელიც ცოლად გაჰყოლია უზბაშ — ქაიხოსრო ავალიშვილს.

აქ მხოლოდ ზოგი ნაკვეთი და ისრქ შეთარქულებთ უნდა მოეტიანოთ ამ შესანიშნავი დოკუმენტიდან.

მშობივების სის შესავალის გასარკვევად ორი სიტყვით მაინც უნდა ვავისენოთ ზოგი ცნობა ქსნის ერისთავთა წინაპრების შესახებ, რაზედაც დოკუმენტი თვის ძლიერებას აფუძნებს.

როგორც მ. ბროსე, დ. ბაქრაძე, მ. ჯანაშვილი და სხვა მკვლევარნიც გვაუწყებენ. ქსნის ერისთავები იწოდებოდნენ აგრეთვე: ვირშელი, ქვენაფენელი, ლარგველი. „ქსნის ერისთავთა მტიენეს“ სიტყვით, მათი წინაპარი მეექვსე საუკუნეში გადმოსულან დვალეთით კეისარ იუსტინიანის დროს. (მ. ბროსე თავის „მოგზაურობა“ — ში აღნიშნავს, რომ ქსნის ერისთავებს მისთვის უამბინათ, რომ ერისთავთ-ერისთავობაც კეისარ იუსტინიანეს უწყალობებია მათი წინაპრებისათვის). იგივე აღნიშნულია მშობივების აქტის შესავალში; დავით ერისთავი იქ სწერს:

... „საქართველოს წარჩინებულმან თავადმან, — ქვეყნისა მპყრობელის, ვიდრე შვე ზღვამდის მჭირავის, დიდისა კეისრის იუსტინიანეს მეფისაგან დიდათ გულ მოფინებთნი სიძალადე აღწეულქლმან და გამდიდრებულ-გაძლიერებულმან, ვიდრე აქამამდე შემდგომთა ხელწმიფეთაგან პატერ-საფარველ მოუკლებარამ, მისევე (ე. ი. იუსტინიანეს) მეფისაგან ერისთავთ-ერისთავად ხმობლმან, მყოფმან და ყოფილმან არა წერილისა მისა, მსავადე ქეიშისა ზედან შენებულმან, არამედ ეკლდე სავა ზედა და ნ დამყარებულის სახლისა და სავაროს მქონებელმან, სახელისა და სიკეთის მღარენლმან, საქართველოს მეფეთა სიქალღმბან და უნაკლებლმან სიმბროსის-სამტდრო ქტევათა, ერისთავმან ბატონმან დავით“... და სხვა. და აი, ამ დარბაისლური შესავალის შემდეგ იწყება სია იმ იშვითა განძეულობისა და ნივთებისა, რაც სავამოდ ამარბილებს ზემოდ მორტანილს რიტორიულ და ზვიად „შესავალს“.

ამ მშობივების ჩამოთვლას დავით ერისთავი წარუბმდვარებს: ... „დავეცისმა და მივთხოვეთ ძესა მათისა, ყოვლისა საეკაცისი ნხოვითი აღსავსის და სიკეთის უნაკლებლს პირმშოსა უზბაშის ქაიხოსროსთვის, ასული ჩვენი — სასურველი, აღზრდილი ქრისტეს სარწმუნებაზედ, ყოვლის მშვენიერებით აღსავსე, უნაკლებლთა ბანივანთა ქტევითა, მეორე მზე, მეორე მითვარე, სინათლე თვალთა ჩვენითა, სინარული გონებისა ჩვენიისა, პატრონი ელენე“... და სხვა.

აგრეთვე, თვითონ „მზითვის“ უწინარეს, დავით ერისთავს სასიძოსათვის მიუძღვნა —

„ჯგარი, ბერძულად მოქედილი მინანქარი, კიდევ ჯგარი ბერძულად მოპირილი, ხატი სამებისა, რუსულად მოქედილი, ხატი ყოვლად წმინდისა, აღღვამისა“ და სხვა... ხატები „თავითის ზარბაზის ბუდეებითა და ფარდითა... ქრისტეს საფლავის სახე სადაფით ჩასმულნი“.

შემდეგ დავით ერისთავს მოაქვს მზითვის სია, რომელიც იწყება სასულიერო და საერო წიგნების აღწერებით, რაც ჩვეულებრივ ყველა განმეულს წინ უძღვოდა. ამის მოსდევს დიდი ყველა ძვირფასი სამკაულებისა და ნივთებისა, როგორც:

„იალქანი, შავ ატლასზედ მიძილე სირმით ნაყარი, ჯილა პატოსიანი მურასად შემკული დიდის ლალით, ვარეშეში ოთხის იაგუნდით, ორის ზურმუხტით; მეორე პირი — დიდის ლურჯის იაგუნდით, ზეთით თელის ფეხი, შეილის იაგუნდით, ოთხის ზურმუხტით, ვარეშეში აშია წვრილის იაგუნდით, მეორე პირი აშია წვრილის ნიშაბურის ფირუზით“ და სხვა (ვარაძელებმა იხილეთ ქვემოლ).

ჩვენს დამსახურებულ პოეტს ი. გრიშაშვილს თავის „ძველი ტფილისის ლიტერატურული მოკვება“-ში (თბილისი, 1927 წ.) სხვათა შორის, მზითვისათვისაც მიუძღევია ყურადღება და გულსაკლავი შედარებები მოუხდენია ამ ძველ, მდიდარ დახვეწილ ქართულ სივრცესა და უკვე ფრიად შემცირებულ, შერყევილ და უსივრცო ახალ სიათა შორის, რაიც ჩვენში რუსეთის შემოსვლის შემდეგ ოჯახების გაღარიბება-გადაგვარების შედეგად ვაბატონდა.

ამ შიშველილ მგოსანს სხვა და სხვა ძველი სიაც მოაქვს; მაგალითად, მზითვის სია ანუკა ბატონიშვილისა — ვახტანგ მეექვსის ასულისა, რომელიც ვაჟყვა თავად ვახუშტი აბაშიძეს. (იხ. ი. გრიშაშვილი — „ძველი ტფილისის ლიტერატურული მოკვება“, გვ. 55-57). ამ წიგნში ი. გრიშაშვილი ჩვენს მიერ აღნიშნულ ქსნის ერისთავის სისაც ასახელებს, მაგრამ მხოლოდ ვაკერით... ჩვენ ქვ მასზე უნდა უფრო ვრცლად შევჩერდეთ, იმდენად, რამდენადაც ის ქსნის ერისთავის, დავითის ფრიად წარჩინებულ ოჯახს ენება. ეს მთი უფრო, რომ ქსნის ერისთავები საუკუნეთა განმეულობაში დიდ პოლიტიკურ როლს თამაშობდნენ. ამით აიხსნება, რომ ამ ძლიერ და უტყბ ფეოდალთა ნათესაური დაახლოვება ქართლ-კახეთის სამეფო კარს ფრიად მიზანშეწონილად მიჩნდა. სწორედ ამ მიზნით შერთო მეფეთ მეორეს მგორზე თავისი დის, მაკრინეს ასული, მშვენიერი ქეთევანი, ქსნის ერისთავის დავითის ვაჟს, ყუ-

ლარაღას იესეს. (ეს ის ქეთევანია, რომელსაც მოუქარავს თბილისის სიონისათვის შესაწირავი ფარდა, რომელიც შემთხვევით 1921 წლის შემდეგ ბერლინში აღმოჩნდა. ამის გამო აქვე იხილეთ ქვემოლ).

მაგრამ დავებდუნდეთ დავით ერისთავის ასულის ელენეს მზითვის სიის დაგვიძღვებას. იმ ძვირფას სამკაულთა გარდა, რაც უკვე მოვიხსენიეთ, აქ კიდევ მეტი განმეულობა ჩამოთვლილი —

„ოთხი ტოტი 62 ზოშორის მარგალიტით, 2 დიდის მარგალიტით, 2 ლალით, ოქროს თითრიმებით, 2 მურასის ჯინჯილით, 4 იაგუნდით, 4 ზურმუხტით, 2 კავით — მისი თომრით მარგალიტით, სინსილითა და ოქროს თითრიმებით. საყური, პატოსნათ შემკული — 2 ბაღაშანის დიდრონის ლალით, 2 ობლის მარგალიტით, 4 მსხვილის მარგალიტით, ჯინჯილით მურასა, 44 ნიშაბურის ფირუზით. 72 მარგალიტით, 4 კავითა, გარეშეში წვრილის იაგუნდით, 2 ოლით. ყელსაბამი, 86 დიდრონის მარგალიტით, 1 დიდის ლურჯის იაგუნდით. 5 ლალით, 10 ზურმუხტით, 10 ფირუზით, 55 დახვეტილის იაგუნდით, 106 ოქროს პირიცი მურასის ბოლოებით, სირიზა პატოსანი ერთის დიდის ბაღაშანის ლალით. ერთი კიდევ იაგუნდით, 13 ზოშორის მარგალიტით, მისის ოქროს სისილებით, 2 კავით. თმის სატანები 5, სამსამი გოზგორანი, 3,000 შადის მარგალიტით, 36 ოქროს მილით, 72 იაგუნდით, 72 ზურმუხტით, მისის ოქროს ქელიჩებით.

გულის პირის ჩამოსავლები 1,500 მსხვილის მარგალიტით, 14 ზურმუხტისა, 28 იაგუნდითა, 3 ფირუზითა, მისის ოქროს ქელიჩებით. პირის მარგალიტისა 200 ჯინჯილი, 4 კავი. პერანავის დილი მურასა ერთი. ოქროს ჯაჟვი მურასისა ამპარჩით, 5 დიდრონის ზურმუხტით, 8 დიდრონის იაგუნდით, 16 წვრილის იაგუნდით, 53 ნიშაბურის ფირუზით, 1 მსხვილის მარგალიტით“ ...

ბეჭუდებიან ჩამოთვლილია —

„წითლის იაგუნდისა ერთი, ლალისა ერთი. ყვითლის იაგუნდისა ერთი, ობლის მარგალიტისა ერთი; ზურმუხტისა ორი, მოქროლი ფირუზისა ერთი; ორი დიდრონის ნიშაბურის ფირუზისა“...

ამას შემდეგ მოსდევს ნივთები საპირფარეშოს იარაღებისა, სხვა და სხვა ზომისა და ხელობის „მაკერიტანები“ (სარკეები ძვირფას ბუდეებში), მაგალითად: „ოქროს მოქედილი, მსხვილის მარგალიტითა“ და სხვა.

შემდეგ: „ათასკრავები, ლენაქები, პერანგები, ანბალუბები“ (ხობისი ყელი, ყირმიზი, ყალამქარი და სხვა მრავალი).



ძვირფასი კამები, წელსარტყამი მისის ფირფიტების ოქროს დანითა“...

„კრილოლსანი მარჯნისა, კილდე კრილოლსანი დიდროვანის ქარვისა, კრილოლსანი გიშრისა დიდროვანი და დიდროვანი ქარვა ნარევი, ქარვის ჯვრით, ერთი თავთავის სირმის ფორმებით, კილდე მინისა ერთი, მარგალიტის გოზგარითა“...

აგრეთვე „ხელსახოცები ნაირი სირმით ნაკეთნი: ყალბაქრისა, ოქრომკედლისა, ჯუმალი“ და სხვა.

ნაირი სარტყელები, ქათიბები, მძიმე იეზდის დოზითა, სინჯაფის ბეწვითა, ძალარით“ და სხვა.

აგრეთვე „ტყავი ისპანის ქარხნის დიბა აზიადრად ჭყოლილი, შავის სიასამურის ბეწვით, ერთის ჯუფთვის მარგალიტის ქურთუბალით, ორის დიდის მარგალიტით, ვიდასის (700) მარცვლის მარგალიტით; კილდე შავის, მძიმეს იეზდის ნაქსოვის ტყავი მისის სიასამურის ბეწვით, ერთის ჯუფთვის მარგალიტის ქურთუბალით“...

ამის გარდა, „სხვა და სხვა გეაუბი იარაღები აზნაოსათვის, ქირმანაულის ხალიჩით“ და სხვა.

ამს გარდა: საწოლის მოფენილება, სკიერები და სხ.

კილდე დამატებით: „ვეფხისტყაოსანი“ და სხვა და სხვა წიგნი, „განჯაფა ერთი, ნარღი ხათამდინსა თევზის კბილის კაცებით“.

აგრეთვე: საწარელი სადაფქრისა ერთი, ვერცხლის თავით და განწყობილებით...

ამს მოსდევს: „ძვირფასი ქვეშავეებისაგან: ნაირი ბალიშ-საბანები (იეზდის ნაქსოვის), ჯეჯიომები და სხვ.

„კილდე: ვერცხლის იარაღები სხვა და სხვა“, განსაკუთრებით: „ნაირი სურები, ოქროს თასი, ფიალები, საყინულე ვერცხლისა“ და სხვა.

„ნაირი სურებები: ქარხნის იარაღები (თუ ში ფიალები), ნალბაქები, ბოშაღები, ამის ჯამი“ და სხვა. და აგრეთვე: სატხენოს იარაღისაგან: ტყავ-კაბა შავს ატლასზედ მძიმედ სირმით ნაკერი, სასეკ სიასამურის ბეწვით, ქურთუბანებით და ზონით“... ოქრომკედლი ნაკერი ჩიგორი, ყელსაღები ჯუფანია, თავსაღები ჯუფანია, მისის მძიმის მუყაისის ფათითა, მისის დარაიას ბოხითა, საწვიმარო სირმის აშით, ჩეჰმა, ხელსაჭერი მარაო, ზანდუკი ქაშანისა, წყვილი გადასაფარებელ ფარდავებთა. აგრეთვე ტხენის იარაღი: უნჯგარი ოზნებური ეგრცხლისა, მუდახილი ოქროთ დაფერილი ვერცხლის რახტით, მისის ზარნიშის ავეანდებით“...

მგარამ არა მარტო პატარაძალი, არამედ ახლოდელნი და საყვარელი თავადის ასულ ელენესი, რომელნიც მას თან ხლებიან, აგრეთვე ესენიც ძვირფასი ნივთებით და სამკაულით დაუჯილდოვებია დავით ერისთავს.

მაგალითად, ელენეს თან ხლებია გამძელი — „... საში პატრონანის ხატითა, მანდილითა, მარგალიტის საყ-

ბურითი, ჭავვით, ცხრის ოქროს ღილით, ოქროს ბეჭდებითა, ერთის იეზდის ნაქსოვის ტყავითა, შავის სიასამურის ბეწვითა; კილდე მეორის იეზდის ნაქსოვი ტყავითა, ისპანის თეთრის დიბის ქათიბით, სინჯაფის ბეწვით, ქათიბი კვერნის ბეწვით, ცხრა ზარბაზის კამებით, ორი დიბის სარტყელებით, ერთი თორმა შალით, ხუთი ხელის მოფებით და მერდინებით. ხუთი ლენაქებით, აგრეთვე ვერცხლის დიდის თასით, სპილენძის სურით; აგრეთვე მისთვის ქვეშავეები: „ 6 კაი საბნით, ერთის ბუმბულით, ერთი დორით, სამი კაი ბალიშით, 2 ქაშანის ზანდუკით, 4 მაფრაშა, ხალიჩებით, ჯეჯიომებით, ფარდავებით, ამასთან სპილენძის იარაღებით“ და სხვა.

აგრეთვე ხლების ბიჭი „ოზნებურის უნჯგარია, ვერცხლის რახტით, მისის იარაღით, იეზდის ნაქსოვის სიასამურის ბეწვით საესე, ტყავებით, ორი საწვიმარითა“.

ელენეს ხლებია: „ანაურიშვილის ფეცხელაურის ქალი, 2 ხატით, 4 ხელის ტანისამოსით, იეზდის ნაქსოვ ქათიბითა, სარტყელებით, ლენაქებით, ღილით, ბეჭდით, ქვეშავეებით“ და სხვა.

დედოფალს ხლებია აგრეთვე: პირის-ფარეში, ორის ხატითა, მძიმის იეზდის ნაქსოვ ტყავითა, ტყავებითა, ცხრა ოქროს ღილით, ზარბაზის კათიბით, ექვსი ხელი კაბითა, ლენაქებით, დიბის სარტყელებით, ქირმანის შალით, საწვიმარით, საბანებით, დოშაქ-ბალიშებით, ხალიჩა, ჯეჯიომით და ფარდავით, ზანდუკი, ტხენის იარაღით... ამასთან მოღარე: პატრონანის ორის ხატითა, იეზდის ნაქსოვი ტყავითა, ტყავებითა, ქათიბითა, საწვიმარითა, ცხრა ოქროს ღილითა, ექვსი ხელი კაბითა, მისის ფერადების პერანგებითა, სარტყელებითა და ლენაქებითა, ზანდუკებითა, საბან-ბალიშებით, ლეხებებით, ჯეჯიომ-ფარდავებით, ტხენის იარაღით“ და სხვა.

აგრეთვე: „მედომავე პატრონანი“, რომელსაც ხატების გამოკლებით, იგივე ნივთები წარატანეს.

გაკუოლია „დედოფალს“ კილდე „მერიქიფეთ — აზნაუშვილი, მათის კამებით და ტანისამოსით“. კილდე აზნაური აბულოაძე, ვიორგო: აგრეთვე ფარეში ჩიქლაძე, ფარეში გოგილაური.

თან გაკუოლია, რასაკვირველია, მზარეული და დედა-საშვილი, ზაბაბი და სხვანიც. ბოლოს ამას მოსდევს: ტხენის ჯოჯი, მისის ცხრა მეჯურით, სამებრეო, გამართლის მისის გუთნის-დედით. სადიასახლისის ფური, ცხრა მისი დიასახლისით; ცხარე 100, მისის მეცხვართა, ღორი 30, მისის მეღორეთი და სხვა და სხვა.

ასეთია შემოკლებით სია იმ განძნულობისა და სამკაულ-ნივთებისა, რომელიც ოჯახს ერისთავისა ერთი ქალისათვის მზითულ უზომებია...

ვიმეორებთ, ჩვენ განვებ შენებრით ასე ვრცლად

დავით ერისთავის ასულის მზითვის სიაზე, რომელიც ჩვენს მუკრობაში მხოლოდ ნახსენებია და ისიც ვაკე-რით. ამ სიდად აშკარა ხდება, თუ რა გვარად განლა-ღებულთა ოჯახში შეუყვანიან ქუთევეან (ასული ბატონიშვილ მაკრინესი, დისშვილი მეფე თეიმურაზისა). მაგრამ ვანა მარტო ამ ერისთავის ეს ოჯახი ყოფილა აგრერივად განლაღებული?

რაკი მზითვევ გვაქვს ლაბარაკი, შეგვიძლია აღვნი-შნოთ, რომ ჩვენს წყაროებში სხვა ამგვარი სიბედიცა დაცული, რომელნიც დავით ერისთავისას არ ჩამოუ-ვარდებიან და ზოგნი სკაბობენ კიდევ; როგორც მაგ. მზითვის წიგნი **ბაინდურ ქსნის ერსთავის დის ანასი**, რომელიც მიათხოვეს სარდალ ლუარსაბ ორბელიანს — 1688 — 1703 წ.წ. (იხ. მ. ჯვანაშვილი: „საქართვე-ლოს ისტორია“, გვ. 409 და „საქართველოს სიძველე-ნი“, ტ. 2. გვ. 429. № 386).

პლატონ იოსელიანის ძვირფას შრომაში „ცხოვრება გიორგი მეტაქმეტისა“ მოტანილია ითხ გვერდზე ამ მზითვის სია, რომელშიაც სხვათა შორის ნახსენებია: „ილიქანი 4,000 მარგალიტითა, თანქადე 15,000 მარ-გალიტითა და 3,000 კილოტითა. 83 მარცვალი პირის მარგალიტებითა, ყელსაბამი 140 მარგალიტითა, საყუ-რე ბადანის ლალისა, მარგალიტებითა, 12 იაუნდითა, 19 ზურმუხტითა; ოქროს ყელჯაბუკი 11 ლალითა, 71 ზურმუხტითა... უთვლავი ბეჭდები, პატრიარხის თვლებითა; გულის პირის ჩასაგლები 3,000 მარგალი-ტითა, 15 იაუნდითა, 15 ფირუზითა, კაბის ღილი 10 მურასა, 2,000 მარგალიტითა და 60 ოქროს ღილითა“ და სხვა, ათასი ამგვარი იშვიათი განძეულობა.

პლატონ იოსელიანის ეს სია (რომელსაც თავი და ბოლო, სამწუხაროდ, დაკარგული ჰქონია, ცნობილ მა-ნანა ორბელიანის ოჯახში უპოვნია). (იხ. ცხოვ. გიორ-გი მეტაქმეტისა. გვ. 31-35). კიდევ უფრო მდიდარია მზითვის სია ანუკა ბატონიშვილისა, რომელიც მიათ-ხოვეს ვახუშტი აბაშიძეს. (ანუკა ბატონიშვილის მზი-თვის წიგნი: „საქართველოს სიძველენი“; ტ. მესამე, ექვთიმე თაყაიშვილის რედაქციით. ამ სიას წიგნი მთლიანად თუთუმეტი გვერდი უქირავს. გვ. 477.)

ესა და ზოგი სხვა, შემთხვევით გადარჩენილი, შემთხ-ვევითვე მოპოებული სიბედი, თავის თავად მტკიცებდნენ ჩვენის წარსულის სიმდიდრეზე. თვით პლატონ იოსე-ლიანიც ამითარებს ერისთავის ასულის მზითვის სია-თა აღწერას ასე —

„მითხრეს, რომ ესე გვარნი მზითვისა სიანი აქეთ სახლებში შენახული ღილისა გვართა საქართველოს კაცთა“...

სავალალოდ დაშენია ჩვენს დიდ მოკრანხულეს, რომ „ქართველთა მრავლად აქენდათ ესენი შენახუ-ლად მდრომდემ შემოსვლისა რუსეთისა მთავრობისა“... და რომ აღარა დარჩენილა ამ წარსულ დიდებულნი...

და რომ არა თუ ეს მარგალიტნი და სამკაულნი გაპ-ქნენ, არამედ მათი „სიბედიც“ და მათგან თითო-ორთა-ლა თუ დაგვრჩენიათ (აგრეთვე უთვლავ სიმდიდრე ჩამოსვლის მარამა დედოფლის (როსტომ მეფის მე-რულის) მზითვის სია; ეს მზითვი მას მისმა მამ ლე-ვან დადიანმა წარატანა. (ეს სია ამ ბოლო დროს შემ-თხვევით უპოვია ზაქ. ჩხიკვაძეს. იხილეთ „სისტორიო მოამბე“, წ. 2. ს. კაკაბაძის რედაქ. გვ 136-8).

როგორ? მოხდა და რად მოხდა ეს განიკვება ძველი სიმდიდრისა?

გასაოცარია, რომ იმ ძველს, ბნელ და სისხლიან წვი-მების ხანაში საქართველომ ეს განძეულობა მინც გა-დადარჩინა და მომავალ თაობას და ისტორიას შემოუ-ნახა მრავალ საუკუნეთა გასწვრივ; ხოლო შემოსვლისა რუსთა მმართველობისა, 45 წლის თავზე, ამ განძე-ულობის „განქაზობამ“ თურმე თვით ევრონაცოცხაც კი დიდად ატკინა გული...

ამის მიზეზის ახსნა შორს წავიყვანდა, მაგრამ ამავე დროს იგი მარტივია: აღმოსავლეთის „ბარბაროსი“ და დამპყრობელი მეფეები, ქართველ კათოლიკოსებს კურთხევის დროს ძვირფას საჩუქრებს და თვალ-მარ-გალიტებს უგზავნიდნენ ხოლმე... დიან, ამას სჩადიოდა წარმართი მონაღლი, ხოლო „ქრისტიანი“ და ერთმორ-წმუნე რუსეთი... ქართველ ეკლესიებს სძარცვავდა და რუსეთს მიეზიდებოდა ქართველი ხალხის მიერ საუკუ-ნოთა განმანდილობაში ამ ეკლესიებისათვის შეწირულ ნივთებს. (იხილეთ აღ. მანველიშვილი — რუსეთი და საქართველო. ტ. 1. პარიზი, 1951. გვ 212)


განიფანტა ვითარცა „მტვერი ქარის პირას დებუ-ლი (არჩილ მეფე) ესე სიმდიდრე და განძი ძველთა ქართველთა; მაგრამ ურყევი და მტკიცე გამოდგა სული მისი — ყველა ამის შემქმნელი... და ეს ხომ ყოველ მატერიალურ განძზე უფრო ძვირია, ყველა „მარგა-ლიტზე“ უფრო მდიდარი და გამძლე. ვანა ცამდე მარ-თალი არ არის იგივე პლატონ იოსელიანი, რომელიც იტყვის:

„ქართველთა გამოსწოვეს ტინი სპარსთა, შექამეს იმპერიას რომისა, ვითარცა იტყვის პლინიუს, შექამეს ბიზანტია და თვით დაშთა შეუქმელად მათთვის, რო-მელნიცა ჰკონებდნენ მათსა შექმასა. მახესა დაგებულ-სა მტერთაგან თვით მტერი გაეხნენ... საბრძე შეი-მსრსა და ჩვენ განვერეთნი... ასეთი არის თვისება და

ხასიათი ქართველთა, ნათესავისა ძველისა, კაცთა შორის“—ო. (იქვე, გვ. 219).

აი, ეს „ხასიათი“, ეს სული შეინახა ჩვენმა ხალხმა და ამ „თვალმარავალიტს“ ის არასოდეს ჰკარგავდა. ის „გადანახული განძია“, და მტკიცედ იჭედება და ინახება, ვით მუდმივი თანამგზავრი და „მშითვეი“ საქარ-

თველისი... ამ „მშითვეის სია“ ხომ „ქარაღის ცხოვრება“ არის და დაშთება სამარადისოდ...



თამარ გოგოლაშვილის ასული მკვანჭიანი

ბუნენოს აირეს, 1963.

რობერტ ფროსტი —

სილის ბორცვები

(დიდი ამერიკელი პოეტის — რობერტ ფროსტის —

ზღვის ტალღები მწვანეა და სოველი, მაგრამ, როცა ნაპირებთან კვდებიან — იმათ ნაცვლად სხვები წამოდგებიან: მიხაკისფრაღ, და მშრალია ყოველი.

გარდაცვალების წლის-თავზე)

ეს ბორცვები — ზღვისაგან წარმომდგარია, რომ შექმნა მეთევზეთა სოფელი. მყარ სილამუი დამარბუნლი არიან: ვინც გადარჩა ზღვისგან დაუზრჩობელი.

იქნებ იცნობს ზღვა კონცხს რიყის კბილებით... მაგრამ, კაცთა არ სცოდნია ბუნება, თუ ის ფიჭობს: სახის რამე ცვლილებით — შესძლებს აზრის მოცვლას, დაძაბუნებას.

გემის, მისცეს ზღვას ჩაძირვის უფლება... დაუთმობენ სახლსაც, — დეე, ჩაძიროს! ოღონდ შეჩრეს ფიჭის თავისუფლება, ოღონდ ლურჯი ოცნება აუ გასწიროს.

თარგმნა გ. გამყრელიძემ.

ნათელი — ჩრდილი
(ზინატურა)

—არასოდეს ეს არ მომხდარა: ქვედა საბთულის ლამაზი ქალისათვის არ მიკონია; მხოლოდ ჩემი ლამაზი მალა იყო ჭერზედა; მისი კი დაბლა, — მაგიდაზედა. წყვილია ლამეში, ჭრის გადაღმა კედელზე, ჩვენი მუქები ერთმანეთის აძლიერებენ კუნაპეტ ჩარჩოში. მისი ჩრდილი ფურფურა თმებით ფანჯარის ამყოლს მიჰყუდებოდა და მშვენიერი პროფილი, ნაცვეთი ბავით, თითქო ოცნებით მგლოდებოდა. არ ვიცო, რა იგონო იმ მშვენიერი ჩრდილის საგანმა ქალმა, ჩრდილი კი ჩემი დაეკონა ტუჩებში კონცით და დავილიე ნეტარებითა.

არასოდეს ის ქალი აღარ მინახავს, აღარც შუქნი ჩვენნი, აღარც ჩრდილები არ შეხვედრილან წყვილია ლამეში, ჭრის გადაღმა კედელზე. ოღონდ, ჩრდილივან გულში, ვითა კუნაპეტ ლამის ჩარჩოში, ჩვენი შუქნი ერთმანეთს აძლიერებენ...

რაე

ღრმად მოხუცებული, 88 წლის ასაკში, ქალაქ ბოსტონში 1963 წლის 29 იანვარს გარდაიცვალა პოეტი რობერტ ფროსტი. მისი სახელი კარგად არის ცნობილი მთელს მსოფლიოში, ხოლო ანგლო-საქსონური მსოფლიოს პოეზიაში, მას ჩვენი დროის უდიდეს პოეტად სთვლიან.

თავისი ცნობა-დაფასება, აუ ვანსვენებულმა, პირველად ინგლისში მოიხვეჭა, როცა სრულებით უცნობი და დაუფასებელი საკუთარ სამშობლოში, იქ ჩავიდა და თავისი ლექსების პირველი კრებული გამოაქვეყნა. ამ ლექსებით მას წილად ზედა დიდზე დიდი გამარჯვება და პოეზიის მოყვარულთა ყურადღება მაშინვე მიიპყრო. ამ გამარჯვების შემდეგ, ის დაფასებულ იქმნა საკუთარ სამშობლოშიც და ღრმა მოხუცებულობაში მას ყველა განათლებული ამერიკელი დიდ პატივს სცემდა — მათ შორის თვით პრეზიდენტი კენედი.

ამის უმთავრესი მიზეზი იყო: მისი ფორმით დახვეწილი ლექსების ღრმა შინაარსი. ამერიკელებს სხვა დიდი პოეტებაც უყოლიათ, მაგრამ ლექსის ფორმისა და შინაარსის ისე პარამონიულად შერწყმა, როგორც ფროსტს, იშვიათად ვინმეს განუზოარცილებია. ამერიკელი დიდი პოეტი ედგარ ს. პო, ხშირად ანიჭებდა ლექსში, მის ფორმასა და მუსიკალობას უპირატესობას, მაშინ როცა უოლტ უიტმანი, შინაარსისათვის სრულიად უყურადღებოდ სტავენდა ლექსის ტექნიკას.

მათ შორის, რ. ფროსტს შუა ადგილი ეკავა. და ის იყო როგორც ფორმის, ასევე შინაარსის ოსტატეტი. აი, ერთი მისი ლექსი, ქართულად თარგმნილი:

გ. გ.

ზალტბურგი, 1945.

კომპოზიტორ ალ. ბოროდინის

წარმოშობისათვის

საქართველოში ძველად ფრიად გავრცელებული იყო ცნობა, რომ რუსეთის სახელგანთქმული კომპოზიტორი ალ. ბოროდინი (1834 — 1887) ქართველის შვილი იყო და რომ თითქმის ეს მისი ქართველა მამა გედევანიშვილი ყოფილიყო.

ამ ქართული წარმოშობით ა. ბოროდინისა ხსნიდნენ იმასაც, რომ ოპერაში „თავადი ივრონი“, განსაკუთრებით კი ამ ოპერის ბალეტის „პოლივრეტის ცეკვა“ წმინდა ქართული მელოდია და რიტმი. მაგრამ მხოლოდ ეს საბუთი, მისი ქართული წარმოშობის დასამტკიცებლად ვერ გამოდგებოდა, რადგან ქართული ჰანგები სხვა რუს კომპოზიტორებსაც გამოუყენებიათ ხოლმე. მთ შორის ნიკ. რიმსკი-კორსაკოვმა (გარდაიცვალა 1908 წელს), რომელიც თბილისშიც კი იყო ქართული მუსიკის მოსასმენად თავისი ბალეტის „შეპერხაზადა“ — ს მუსიკისათვის. და საყოველთაოდ ცნობილია, რომ პ. ჩაიკოვსკიმ იავ-ნანას მელოდია თითქმის მთლიანად, სრულიად შეუცვლელად გამოიყენა თავის სილტაში „შჩელიკუნჩიკი“ — ში და რატომღაც „აბაშული ცეკვა“ უწოდა!

ამ ქართული მუსიკის გავლენის შესახებ ბოროდინის, რიმსკი-კორსაკოვის და სხვ. მუსიკაში, კიდევ ძველად ჩვენმა კომპოზიტორებმა დიდი არაყვივინა (მაშინ არაჩქევემა), როცა ის მოსკოვში ფილარმონიის მუსიკალური საზოგადოების სასწავლებელში იყო მასწავლებლად, გამოაქვეყნა შრომა რუსულად და გერმანულად (შტუტგარტის ჟურნალში).

ალანინშავია, რომ იმ დროს, როდესაც ამ ბოროდინის გედევანიშვილობას მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში ირწმუნებოდნენ, ამავე დროს დასავლეთ საქართველოში დარწმუნებით ამბობდნენ, რომ ალ. ბოროდინი, იმერეთის ბაგრატიონის ვაჟი იყო. ეს თვით მშენი ისეთი პირებისაგან, რომელთა ოჯახები ახლო დანათესაებული იყვნენ იმერეთის ბაგრატიონებთან, მავალითად: კიტა აბაშიძე, ელ. წერეთლისა, დათა ნიჟარაძე, კ. ლორთქიფანიძე და სხვ. თვით ჩვენს ოჯახშიაც მშენია მე ეს. ერთხელ ბიძა-ჩემმა მოკლედ მომიპოვა — „გედევანიშვილი კი არა! ნამდვილი ჩვენებულნი ბაგრატიონი იყო!“ (აქ უნდა შევნიშოთ, რომ მაშინგის დედა, აგრეთვე მაქსანი აკაის დედაც, ივანე აბაშიძის — დიდად წოდებულის — ქალიშვილი იყო, და ივანე კი იყო ვაჟი ქაიხოსრო აბაშიძისა და დარეჯან ბატონიშვილისა, მეფე სოლომონ პირველის

ქალიშვილი, რომელიც გარდაიცვალა რუსეთს გადასახლებულს. (მის შესახებ იხილეთ თამარ ბაბაძის — „დიდი სახეები პატარა ჩაჩოებში“ წიგნი 133-34)

ეტყობა ამ ოჯახებში უსათუოდ რაღაც ცნობა იყო ამის შესახებ, რომ აჯერ გადაჭრით ირწმუნებოდნენ ბოროდინის ბაგრატიონობას. შარშან ჟურნალ „საბუქთა ხელოვნება“ — ში, ნომერი 2; 1962 წ. გვერდი 74 თბილისი, გამოქვეყნებული იყო ვინმე რუსი მკვლევარის, სერგეი დიანინის წერილი — „ახალი შრომები ბოროდინზე და მის მუსიკაზე“. აქედან ვტყობილობთ, რომ ეს დიანინი ალ. ბოროდინის ბიოგრაფიკი ყოფილა და მას წინადა გამოუქვეყნებია ბოროდინის ბიოგრაფიისა და მუსიკის შესახებ შრომა. ამ წერილში კი ეს ს. დიანინი კრიტიკულად იხილავს ვასილენკოს ახლად გამოსულ შრომას ალ. ბოროდინზე.

ის შენიშნავს ვასილენკოს, რომ ბოროდინის მამის გვარი იყო არა „გედევანოვი“, ან „გედევანოვი“, არამედ „გედევანოვი“-იო. და ამბობს: ვასილენკოს აზრით თითქო „ბოროდინის წარმოშობა მამის ხაზით“ ჯერ კიდევ ზუსტად არ იყო დადგენილი და ამასთან დასძენს: „მნელად თუ ვინმე მიხვდება, საიდან აღეძრა ეს აზრი ავტორს! (ე. ი. ვასილენკოს). თუ მას ჩემი წიგნი წაკითხული აქვს, არ შეიძლება არ შეეშინია მითითება პერალდის დეპარტამენტის საქმე ნომერ 20-ზე. საიდანაც ამოკრეფილია ყველა ცნობა ბოროდინის წინაპარზე მამის ხაზით“-იო.

რომ ამ გედევანოვის წინაპარი დადგენილია, ეს იმას სრულიად არ მოასწავებს, რომ ესენი ბოროდინის წინაპრებიც არიან და არც იმას ადასტურებს, რომ ბოროდინის წარმოშობა მამის მხრივ ზუსტად დადგენილია.

ეს ს. დიანინი არც იმას ამბობს, თუ რად იყო კომპოზიტორის გვარი ბოროდინი და არა გედევანოვი. ერთი ფსევდონიმი იყო? იმ დროს კომპოზიტორები და მწერლები ფსევდონიმებს არ ატარებდნენ. მაშასადამე ვასილენკოს მიერ გამოთქმული აზრი და ერთგვარი ეჭვიც სწორია. ეტყობა მას ამის შესახებ რაღაც ცნობა ჰქონია ან რაიმე გაუგონია, მაგრამ ვერ გაუბედავს ამის თქმა.

და მართლაც, ბოროდინი არ იყო გედევანოვის შვილი. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ალ. ბოროდინი იყო ჭორწინების გარეშობილი, ანუ როგორც მაშინ იყო ხმატებულნი „უქანონოდ შობილი“ („ბეზუკონნოროედენნი“).

მაშ ეს გედევანოვი თუ გედევანოვი ყოფილა ბოროდინის მამინაცვალი. ეტყობა დედამისი ვაჟყალია გედევანოვის. და აქ ვიკვებთ, თუ საიდან წარმოშობილა ჩვენში ცნობა ბოროდინის გედევანიშვილობაზე, რად-

გან ეს გედანოვ თუ გედინოვ ისმის ხომ როგორც ქართული გედენიანიშვილის, ანუ მისი რუსული ფორმა „გედენიანოვ“.

მაშ ვინ იყო ბოროდინის მამა? აი ამის უტყუარი საბუთებიც —

ოციან წლების დამლევს და ოცდაათიან წლების დასაწყისში (ყოველ შემთხვევაში არა უადრეს 1928 წ. და არა უგვიანეს 1933 წ.) მოსკოვის გაზეთში თუ ჟურნალში გამოქვეყნდა ისტორიული დოკუმენტი, როგორც შემთხვევით იპოვნეს სახელმწიფო არქივში. (ეს ცნობა მუშინ გადაბეჭდა პ. მილიუკოვის გაზეთში — „პოსლედნია ნოვოსტი“-მ, პარიზში).

ეს იყო თხოვნა ბოროდინის დედისა მეფისადმი, სადაც შუამდგომლობდა ბავშვის წარმოშობის, მისი შთამომავლობის დადასტურებას, მისი წარმოშობის დადგენას და მისთვის კანონიერი გვარის მიცემას.

აქ გამოირკვა, რომ ბავშვის მამა ყოფილა „სვეტლენიშია კნიაზ იმერეტინსკი“; ესე იგი: იმერეთის ბაგრატიონი (როგორც „გრუზინსკი“ ქართლისა).

რადგან „უკანონოშობილთათვის“, ან ისეთებისათვის, რომელნიც შობილ არიან არა წარჩინებული გვარის ქალისგან, არ შეიძლება კანონით სამეფო გვარი მისცემოდა, ამიტომ იმპერატორ ნიკოლოზ პირველს საკუთარი ხელით წაუწერია ამ თხოვნაზე:

„პრისვიოიტ მლადენცუ ფამილიუ ბოროდინა ი ზანესტი ვგო ვ დვორიანსკეო სოლოვიე“. („ზანესტი“, თუ „ვოზვესტი“, არ მახსოვს ზუსტად).

ბოროდინის გვარი ალბათ იმიტომ მიანიჭა იმპერატორმა, რომ სახელგანთქმული სარდალი პეტრე ბაგრატიონი ბოროდინოსთან ბრძოლაში დაეცა და ამის მოგონებით ეს გვარი მისცა.

ბოროდინი რომ ბაგრატიონის, „იმერეტინსკის“ შვილი იყო, ეს ევროპაშიც ცნობილი ყოფილა. განთქმულმა უნგრელმა მწერალმა ცსოლტ პარსანიმ, რომლის ბიოგრაფიული წიგნებში, მაგალითად, გ. ვალილიეზე: „ის მინც ბრუნავს!“ და სხვ. თარგმნილია ყველა განათლებული ხალხის ენაზე, აგრეთვე კარგად ცნობილი რომანი კომპოზიტორ ფ. ლისტის შესახებ: „უნგრული რამსონდია“, ერთ აღვილას მოთხრობილია, როგორ ესაუბრება ალ. ბოროდინი ფ. ლისტს და როგორ აღტაცებული იყო ლისტის, როცა ბოროდინმა თავისი კომპოზიციები დაუტყრა. და აი, აქ შენიშნავს პარსანი — კომპოზიტორი ბოროდინი ბაგრატიონი — იმერეტინსკის შვილი იყო.

როგორც ზემოდ ვთქვი, ვასილენკომ რალაც იცოდა ამის შესახებ და რალაც მიზეზით ვერ ვაბედა ამისი თქმა.

მაგრამ ის შეუძლებელია ის კრიტიკოსს ს. დია-

ნის არ სცოდნოდა ეს ფაქტი და არ ახსოვდეს ის, მეორედ გამოქვეყნებული საბუთი ბოროდინის შესახებ, რადგან ერთი რომ ის უკვე მოხსენიდა და შესაძლებელია მოწვევ იმ ამბავისა; მეორეც, მას ეტყობა, ენა რუსები ცდილობენ: ქართული წარმოშობა ბოროდინისა მიჭამალონ და ის რუსად გაასალონ. ალბათ ეს სტალინის კულტის წინააღმდეგ ბრძოლის გეგმაში შედის. უსათუოდ მაღე ალ. სუმბათაშვილი-იუვიანო და სხვათაც რუსულ წარმოშობისად დასახვევენ.

ნიკო ნაყაშიძე

მელუნენი, 1963. ივლისი.



წმიდა ნინო = წმიდა კობინე

რა უნდა ჰქონდეს საერთო ამ ორ წმინდას სახელს? ყველა ქართველის შეცნობაში წმინდა ნინო არსებობს, როგორც ქართველთა განმანათლებელი დედაცა, ანუ ქართველთათვის ქრისტიანობის მქადაგებელი და ქრისტეს მწამსმუნე მათი მომქცევი.

ვინაა არის წმინდა „კრეტინე“?

იგიც არის დედაცა წმინდა და მისი სახელი ცნობილია რომაულ მარტიროლოგიაში, 15 დეკემბრის თარიღით.

ამავე რომაულ მარტიროლოგიას 15 დეკემბრის თარიღით მოხსენებული ჰყავს წმინდა ნინო, — სახელით: „კრეტინე“ (რაც ნიშნავს სიტყვა სიტყვით: ქრისტიანი დედაცა).

შევიცარიაში, ფრიბურგის უნივერსიტეტის პროფე-

რი პრინცი მაქს დე ზაქს ამის გამო ამბობდა (1908 წ.):
„ეხლანდელ რომელ მარტროლოგიას აღნიშნუ-
ლი ჰყავს 15 დეკემბრის დატით წმიდა ნინა, სახელით:
„ლა კრეტინე“ და იქვე თქმულია: „იბერიაში, შავი
წლების მიღმა, დატულია ხსენება ქრისტიანი მსახურის
წმიდისა (დედაკაცისა), რომელმაც კონსტანტინეს
დროს მოაკცია ეს ხალხი ქრისტეს რწმენაზე, თავისი
სასწაულებითი“—ო.

Max, prince de Saxe, prof. à l'Université de Fribourg (Suisse).
— Relation du Prince Max de Saxe sur son voyage au Caucase. Guénange, 1908.

„არ ვიცი — ამბობს პროფესორი ზაქს — ასე იყო თუ არა შუა საუკუნეთა მარტროლოგიაში: შესაძლებელი არის, რომ იგი (წმიდა ნინო-ნინა) ჩასწერეს როგორც „კრეტინე“, რადგან დასავლელი ისტორიკოსები არასოდეს არ ამბობენ მის სახელს, რომელიც ევონით იყო უცნობი; იგი წოდებულია მსახურად მისი თავმდაბალი ცხოვრებისა გამო, რომელსაც იგი ეწეოდა იბერიაში ყოფნის დასაწყისში“—ო.

პროფესორი ზაქს მაშინ საკითხს გარკვეულად არა სთვლიდა რა, უნდა ითქვას, არც დღეს არის იგი ნათელი — როგორ დაერქვა წმიდა ნინოს სახელად: „კრეტინე“!

+

ყოველ შემთხვევაში ეს საკითხი კვლევას მოითხოვს, მაგრამ დღეს ჩვენთვის აღსანიშნავია და დიდდ საფურადღებო ის ფრიად მნიშვნელოვანი ამბავი, რომ წმიდა ნინო — კრეტინის სახელობაზე მრავალი რელიგიური დაწესებულება არსებობს: საფრანგეთში (რამოდენიმე, და კაპოდი, პარიზთან, ისი დე მელი-ნო-ში), ბელგიაში, ავსტრიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში და კანადაში.

ეს რელიგიური დაწესებულებანი აწიან დედაკაცთა მონასტრები, მათი სკოლები, ჰოსპიტალები, სემინარები, საბოლო თავშესაფარი, კლინიკები, პენსიონატები და სხ. დაახლოებით ორმოცდაათი დაწესებულება, სადაც დღემდე სამჯერ საქართველოს იხსენიებენ და სამჯერ საქართველოსათვის ლოცვას ადავლენენ.

+

1807 წელს მგრ. ჟოფერ-მა, მეტცის (მოხელ) ეპისკოპოსმა დააარსა ქალბატონ დე მეტცის-ის თანამშრომლობით დედაკაცთა რელიგიური კონგრეგაცია, სკოლის და ჰოსპიტალის დანიშნულებითაც, ქრისტიანობის განსამტკიცებლად, რაც ასე საჭირო იყო რევოლუციის შემდეგ ხანაში.

ქალბატონ დე მეტანეს სურდა ამ დედაკაცთა დაწესებულებას ჰქონოდა სახელად: „იესოსა და მარიამის წმიდა ბავშვობის ასული“, მაგრამ რამოდენიმე სხვა

კონგრეგაციასაც ჰქონდა ასეთი სახელი და მგრ. ჟოფერს სურდა მის მიერ შექმნილ დაწესებულებას საკუთარი სახელი დაერქვოდა.

სიხელოვნება

მგრ. ჟოფერ მიეღო ლეთის ნებას და გადაშალა რომაული მარტროლოგიის წიგნი და სწორად ამ გადაშლილ ვერსიებზე შეხვდა მას სახელი „წმიდა კრეტინე“ (დედაკაცის წოდება). მგრ. ჟოფერმა ამ შემთხვევაში კარგი ნიშანი და ლეთის მითითება დანიხა, და ამას შემდეგ ახლად დაარსებულ კონგრეგაციას ეწოდა: „ღები წმიდა კრეტინისა“.

და ვინაღდან ეს სახელი დღე კრეტინისა ემთხვეოდა წმიდა ნინოს სახელის დღეს — ორივე რომაული მარტროლოგით: 15 დეკემბრის, აქედან ამავე კონგრეგაციას დაერქვა აგრეთვე სახელად „წმიდა ნინო“ — „სანკტა ნინა“.

ეს კონგრეგაცია დიდად განვითარდა მე-19 საუკუნეში. მონსტრეალურმა უფლებამ იგი აღიარა 1857 წელს და ვატიკანმა იგი საბოლოოდ დამტკიცა 1899 წელს. მთავარ კონგრეგაციას (მეტცში) 1898 წლიდან მუდმივი კავშირი ჰქონდა ქართულ მონასტერთან კონსტანტინოპოლში.

მიუხედავად ომებისა და სხვა მრავალი დაბრკოლებისა ამ დედაკაცთა მონასტრმა სახელით: „ღანი წმიდა ნინო — წმიდა კრეტინისა“, თავისი მოქმედება დიდად განავითარა და როგორც აღვნიშნე, ამ კონგრეგაციის დანაწესებთა რიცხვი დღეს თითქმის 50-ს აღწევს, სადაც ყოველ დღე სამჯერ საქართველოსათვის ლოცულობენ.

+

დასახელებულ კონგრეგაციას აქვს ხატი „წმიდა კრეტინე—ნინოს“, რომლის სურათებს იგი ფართოდ ავრცელებს და კანადაში კიდევ მის პატარა, ლამაზ ქანდაკებებსაც ამზადებენ. ეს ხატი ჰგავს ჩვენთვის ჩვეულ წმიდა ნინოს სურათს: ჯვარი არის დედაკაცის თმით შეკრულთ, და მას აქვს წარწერა-ლოცვა, რომელშიც ნათქვამია —

„ო, წმიდა ნინა, რომელმან იესო ქრისტეს სწავლისადმი თქვენი სთავყვანებული ერთგულებით, დაიმსახურეთ ზედმეტი სახელი „კრეტინე“—სა, ილოცეთ ჩვენთვის; მეოხებით თქვენსა მივგავლინებთ მადლს, რომ შეგვეძლოს ერთგულებასა თქვენსა მივბაძოთ, მათა სული იესო ქრისტესი უფრო და უფრო შევიდეს ჩვენში, გამოჩნდეს ჩვენს მოღვაწეობაში და ღირსი გავგებავთ განვაგრძოთ თქვენი მოციქულება. იყავნ ეგრე“...

ვახტანგ ციციშვილი

(მოგზაურობის შობებულებანი)



(მოხსენებად წაითხული და სურათებით გაშუქებული პარიზის ქართულ საზოგადოებაში, დეკ. 14-ს 1963)

მსოფლიო მართლმადიდებელმა ეკლესიამ წელს იდელსასწაულა წმიდა ათონის მთის მონასტერთა დაარსების ათასი წლისთავი.

ეს დატა დაეკვირებულია პირველი მონასტრის, დიდი ლავრის დაარსებასთან — 963 წელს. ხოლო ქართველებმა „ივერიონის“ მონასტერი დააარსეს ოცი წლის შემდეგ; ასე რომ არსებითად ეს იუბილე მასაც მიეკუთვნება.

ჩვენ როგორც ქართველებს, გვინტერესებს ათონის მთის ივერიელთა მონასტრის წარსული და მისი დღევანდელი მდგომარეობა.

+

ჩვეულებრივ დროს ათონის მთაზე წასვლის ნებაართვის აღება სიძნელეს ელოდება. იუბილეს გამო უფრო ადვილი უნდა ყოფილიყო ვიზის მიღება. გარდა ამისა ჩემმა მეგობარმა ალექსანდრე კინწურიშვილმა ერთი ნაცნობი ფრანგი ელჩისაგან სარეკომენდაციო ბარათი მიიღო და 20 აპრილს 1963 წ. შევედღეეთ მორიელ გზა

ოთხი დღის მგზავრობის შემდეგ (ავტომობილით) უკვე საბერძნეთის სატაბტო ქალაქ ათინაში ვიყავით. აქ წყდებოდა ჩვენი ბედი — შევძლებდით თუ არა ათონის მთაზე წასვლას.

აქ საფრანგეთის საკონსულომ დახმარება მართლაც აღმოვიჩინა. ფრანგმა კონსულმა სთხოვა საბერძნეთის საგარეო სამინისტროს, რათა მას აღეძრა ათონის მთის მმართველობის წინაშე შუამდგომლობა ჩვენთვის ათონის მთაზე ასვლის ნებაართვა მოენიჭებინათ. სანამ ალექსანდრე კონსულთან შესვლას უცდიდა, გამოგველაპარაკა საკონსულოს ერთი მოხელე ბერძენი და როცა ვაიგო ჩვენ ათონის მთაზე გვესურდა წასვლა, მან ღიმილით გვითხრა:

— რა ვაგვირდით ამ სიშორიდან რომ მოსულხართ! რა უნდა ნახოთ ათონზე, გარდა ტუქციან ფანატრიკოს ბერებისა, ბაღლინჯოებისა და სიბინძურისა?

ამაზე მას ჩვენ პასუხი არ ვაძეცი, მაგრამ მე გამახსენდა რანდოლ კოატის წიგნი ათონზე, სადაც იგი მოგვითხრობს ზოგი მონასტრის სიბინძურეზე; ხან და ხან იძულებული ვიყავითო ღამე გართვთ გავგეთია,

ცის ქვეშ, რათა ბაღლინჯოების შეტევას გადავჩვენოთ! გამახსენდა ისიც, რომ ალექსანდრემ თან წამოიღო, ვილაკის რჩევით, ფხვნილი დეტეტესი, ბაღლინჯოების წინააღმდეგ თავის დასაცავად. ცოტა არ იყოს, ცუდ გუნებაზე დავდექით.

საფრანგეთის საკონსულოს ბარათი წავიღეთ საბერძნეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში, სარელოგო საქმეთა განყოფილებაში. აქ ჩვენთვის უნდა მოეცათ ათონის მთის მმართველი წრის წინაშე შუამდგომლობის ქალაღი ნებაართვისათვის. სამინისტროს მოხელემ ორივეს პასპორტი გვთხოვა, ჩვენი პასპორტები გასინჯა და მიმართა ალექსანდრეს:

— მხოლოდ თქვენ მოკცემთ სარეკომენდაციო ბარათს; ამას კი, ვერ მივცემთ — და მიუთითა ჩემზე.

— რატომ?

— ბრძანება მაქვს, რაც შეიძლება შევამცირო ტურისტთა რიცხვი, რადგან ბერებს ტურისტები არ უყვართ! —

ალექსანდრემ პროტესტი განაცხადა — ეს არის ჩემი შოფერი და საპეილისტი ათონის მთისა. მე უამისოდ ვერ გავემგზავნები; დღესვე დავბრუნდები პარიზს...

რასაკვირველია, ამ უარში ბერები არაფერ შუაში იყვნენ; მოხელეს არ მოეწონა ჩემი ემიგრანტული პასპორტი!

შემდეგ მაინც მოხელე დავგეთანხმა ჩვენთვის მოეცა ბარათი და გვითხრა, ხვალ შემობრძინდითო.

— ამდენი დრო არა ვაგვექს და ვთხოვთ დღესვე დავგიშვალოთ ბარათები...

ასეც მოხდა. ერთი საათის ცდის შემდეგ მივიღეთ სარეკომენდაციო ბარათები ათონის მთის რესპუბლიკის მმართველობასთან.

+

წმიდა ათონის მთის ტერიტორია წარმოადგენს ნახევარ კუნძულს, რომელიც შეჭრილია ეგვის ზღვაში. მისი სიგრძე უდრის 45 კილომეტრს, ხოლო უფართოესი განი ათი კილომეტრისაა. ძველ საბერძნეთში ათონის მთა ითვლებოდა წმიდა ადგილად; იგი მიეკუთვნებოდა იყო ღმერთ ზევსისადმი და ამ ნახევარ კუნძულს ეწოდებოდა — მწვერვალი ღმერთისა.

ქრისტიანული გადმოცემის მიხედვით, ლეთისმშობელმა მარიამმა მოიკიწელ ოიანესთან ერთად ათონზე იქადაგა ქრისტიანობა; ამიტომ ბერძნებმა ეს ნახევარი

კუნძული ღვთისმშობლის წილხედილიად გამოაცხადეს.

ათონის მთაზე პირველი მონასტრის გაშენებამდე, ე. ი. მთავო საუკუნემდე, იქ უკვე ცხოვრობდნენ განყენებული, განდევნილი ბერები, რომელთაც ბიზანტიის იმპერატორმა ბასილ დიდმა (876 — 886) მიანიჭა ყოველგვარი პატივთაგანა, ხოლო იმპერატორმა მონიშნა განსაკუთრებული ბრძანებები დაადგინა ათონის მთის ზელშეუხებლობა.

+

ცნობილი არ არის, თუ როდის დაიწყო ათონის მთაზე ქრისტიანული სამონასტრო ცხოვრება. გამოჩენილია მხოლოდ, რომ 963 წელს ბერმა ანტონიემ ათონის მთაზე, რომელიც იყო მრჩვეული და სულიერი მამა ბიზანტიის იმპერატორ ნიკეფორე ფოკას-ი, ათონის მთაზე დააფუძნა მონასტერი — ჰაია ლავრა — რასაკვირველია, იმპერატორის დახმარებით. ეს იყო პირველი მონასტერი ათონის მთის ნახევარ კუნძულზე.

სწორედ იმავე ხანაში, ესე იგი, პირველი მონასტრის დაფუძნების შემდეგ, ოცი წლის მერე, ქართველებმა ააშენეს ქართული მონასტერი. ამ მონასტრის დაფუძნებელი იყო ბერი იოანე, ერისკაცობაში გვიარდ ჩოხანელი ხურსიძე, და ამ მონასტერს ეწოდა ბეძენულად „ივირონი“, ხოლო ქართულად ივირონი.

ათონის მთის დიდებამ შუა საუკუნეთა მანძილზე უშლალეს წერტილს მიაღწია; მონასტრების რიცხვი 180-ზე ავიდა. მას შემდეგ რაც თურქებმა საბერძნეთი ბიზანტია დაიპყრეს (მეფთომეტე საუკუნეში), მონასტერთა რიცხვმა თანდათან იკლო და 1822 წელს მხოლოდ ოცდაერთ მონასტერში გაისმოდა ვალობა! დღეს კი მონასტერთა რიცხვი ოცს უღრის.

+

ათონის მთის მონასტრები განაწილებული არიან ოთხ მთავარ მონასტერს შორის; ამითი სახელია: ლავრა, ვოტაოლე, ივირონი და შილანდარი, ხოლო აღმინისტრატული ადგილად ითვლება კარიკი. აქ არიან ოთხივე მონასტრის წარმომადგენლები, რომლებიც ათონის მთის მმართველობას წარმოადგენენ. ყოველ ოფიციალურ ქალაქზე, ან დადგენილებაზე ოთხივე მონასტრის ბეჭედი უნდა იყოს დასმული. კარიესში იმყოფება საბერძნეთის მთავრობის წარმომადგენელიც, გუბერნატორის სახელწოდებით.

1927 წელს ბერძნული კონსტიტუციის ძალით ნახევარკუნძულზე გამოცხადებულია საბერძნეთის უზენაესობა, მაგრამ მის შინაგან მმართველობაში საბერძნეთი ვერ ჩაერევა. ასე რომ ათონი წარმოადგენს არსებითად თეოკრატულ რესპუბლიკას, რომელსაც 4 ბერი განაგებს. ეს ბერები ყოველ წელს იცვლებიან.

ათინაში დარჩილ ექვსი დღე. ვინახულეთ ათონის ცნობილი ძეგლები, ანტიკური და ბიზანტიური მუზეუმი. პირველ დღესვე, დღითი ფაქს დავხედოვ ჩვენნი ძველი მეგობარი ბერიძე ივანისის, რომელსაც თავისი დასაქმებითი დამარბანი პირნათლად შესარულა. პირველად ყოველისა გავიწვია ბერძნული სტუმართმოყვარება; გვაცნობდა თინამედროვე საბერძნეთის მთლ წვეებს, და რაც მთავარია, მოგვითანა ურთი ბერძენის ბართი ივირონის მონასტრის ილუმენთან წასაღებად, რომლის სახელი ყოფილა ათანასე. მის ბართში ნათქვამი იყო, რომ ჩვენ მისი მეგობრები ვართ, ქართველები, რომელთაც სურთ მოიხილონ ივირონის მონასტერი და უმორჩილებად სთხოვდა ილუმენ ათანასეს მონასტრის ვაცნობაში დავცხმარებოდა. ამ წერილმა ძლიერ გავგახარა. ვიფიქრეთ, ეს წერილი გვიშველის, რათა ათონის მთაზე განვცხადებოთ იმ აუარებელი ტურისტისაგან და მოლოცველისაგან, რომლებიც იქ ყოველდღიურად თავს იყრიან...

ათინიდან წავიდეთ სალონიკში, საიდანაც გზა მიდის ათონისაკენ. აქ ჩვენ დავტოვეთ ჩვენი თანამგზავრი მუხომენი, რადგან ვიცოდით, რომ ათონის მთაზე ასკის უფლება მდებარებითი სქესს არა აქვს. შემდეგ თითონ მთაზე ვავიგეთ, რომ არამც თუ ქალები, არამედ ყოველგვარ მდებარებითი სქესის ცხოველს არ შეუძლია ფეხის დაღმა ათონის მთაზე. აქ ნახეთ მხოლოდ ჯორებს, რომელთაც სამუშაოდ და საგზავროდ იყენებენ.

არის ვადმოცემა, თითქოს იმპერატორ იუსტინიანის მუელე. ცნობილი თეოლორა, ძვირფასი ძღვენით დატვირთული, მიაღვა ათონის მთას, ვადვიდა იქ, მაგრამ ბერებმა ივი წინ არ გაუშვეს და ვაწვილებული იმპერატორც ვამობრუნდა, ხოლო იმ ადგილზე, სადაც მან ფეხი დასდგა, ბერებმა კირი მოასხეს და ჯვარი აღმართეს!

საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ როგორც ძველ საბერძნეთში—ლოკალურად, ისე ბიზანტიაშიც ლეგენდების დღითი სიმდიერეა, ვანსაკუთრებით მონასტრებში არიან მდიდრები სასწაულმოქმედების ისტორიებით. თითოეულ მონასტერს აქვს თავისი სასწაულის ისტორია და, რასაკვირველია, ქართული მონასტერიც არ წარმოადგენს გამონაკლისს, მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ მოვახსენებთ.

+

გვიცხადებთ ზღვა ტბასავით წყნარი და მშვიდი იყო. მზიანი დღეც ვადვიდა. ორი საათის სვლის შემდეგ უკვე გამოჩნდნენ კლდეები ვადმოცემალი, ვანყენებული ბერების სკიტები. ტურისტებმა თავისი ფოტოაპარატი მოიმარჯვეს და არც ჩვენ ჩამოვრჩით მათ. შორიდან ვხედავთ მონასტერს; ესაა მონასტერი სტავრონიკიტას

სახელწოდებით.

10 საათზე მივიდით დიდ მონასტერში, რომელსაც წოდება ეოტოპედი; მისი ფასადი არის აგურის ფერად შეღებილი; შორიდან იგი ვამაგვრებულ სასახლეს ჰგავს; მაღალი კოშკები იცავენ მას. აქ ლურჯ ზღაპრულ შენობების ანაბეკლი ფანტასტიკურ ფერებს იძლევა.

აი, გამორჩა ქართული მონასტრის — ივერიონის — სილუეტი!

ზღვიდან ჩვენი მონასტერი ჰგავს გამაგრებულ ციხე-ქალაქს. ნავთსადგურიდან მარჯვნივ სდგას მაღალი კოშკი; მეორე, უფრო დიდი სიმაგრე მარცხენა მხარეს იცავს; წინა ნაწილი მაღალ კედლებზეა აშენებული; აქ ბერების სენაკებია ჩამჭკრიებული; წინ ვენახია გაშენებული; გარშემო სიმაღლეები ხშირი ტყით არის დაფარული.

მონასტრების არქიტექტურული პლანი თითქმის ყველა ერთნაირია. ციხე-სიმაგრეში არის შიგნით დიდი ეზო, სადაც მთავარი ადგილი უკავია ეკლესიას და ოთხკუთხედი მოედანი გარეშეში შეკრულია შენობებით, სადაც ბერების საცხოვრებელი ბინები ანუ კელები, სენაკები არიან გაწყობილი. და სტუმრებისათვის მისაღები დარბაზები. მაღალი კოშკები, რომლებიც ძველად სახვერავ მოვალეობას ასრულებდნენ, დღეს გამოყენებული არიან ან ბიბლიოთეკად, ან უბრალო საწყობად. ყველა მონასტრის გარშემო აკრავს ბაღი და ბოსტანი, ზოგჯერ ვენახიც. მონასტრის გარეთ არის სხვა და სხვა პატარა შენობა მონასტრის მეურნე მუშებისათვის. მონასტრების სახე თუ ერთმანეთს წააგავს, განსხვავება მაინც არის; ზოგ მონასტერში მთავარი ეკლესიის გარდა არიან პატარა ეკლესიებიც, სამრევლოები.

ეზოში მოჩუჩხუჩუ წყარო, ან აუზი ნაკურთხი წყლით, გადახურულია პატარა ოთხკუთხედი, ან რგველი ფანჩატურით. მონასტრები განსხვავდებიან ფერითაც — წითელი, იისფერი, მარწყვის ფერი და ლურჯი ფერი აქვთ მათ. ყველა მონასტრს აქვს მაღალი სამრევლო, სიღინავე ზარის ხმა იშვიათად მოისმის. მის მაგივრობას ასრულებს ქსილომანდრანი — ეს არის გრძელი დაფა, რომელზედაც ბერი ხის ჩაქუჩით ურტყამს და მისი ხმა შორს გაისმის. ყოველ ღამე, ორ საათზე, მოისმის ეს ყრუ ხმა და ამ დროს კელებში აენთენენ სანთლები და შავი აზრობილი ბერთა ეკლესიისაკენ მიეჭაჩაჩებოან. გარეთ ისევე სიწყნარე სუფევს, ხოლო მონასტერში გაისმის გალამა ბერთა. ერთი საათის შემდეგ ბერები უკან ბრუნდებიან, მაგრამ გათენებამდის ისევ გაისმის ძელის ზარის ხმა და ისევ იწყება ლოცვა. შუადღემდე ორი წირვა; საღამომდე კიდევ ერთი წირვა და ასე გაუთავებლად. დიდ დღესასწაულებზე ხშირად გამუდმებული წირვალოცვაა.

ნავი 11 საათზე მიავლა ივერიონის მონასტრის ნათესადღეს. ნაპირზე სდგას ერთი ბერი, ტურისტების მიწასაღებად. ბერს სახე მოღუშული აქვს, თითქმის ტურისტების ნახვა არ სიამოვნებდა! მას ვუჩვენებდით ბერად იღუმენ ათანასისათვის. ბერი არც კი მოპარუნებულა ჩვენსკენ; მხოლოდ ხელი გაიწვილა მონასტრისაკენ და სთქვა — მონასტერი! მონასტერი!

+

ყველა ვაყვეით ამ ბერს. გერმანელებმა მოიკიდეს თავისი ზურგანთები; დანარჩენებმა — პატარა ჩემოდნები; ავაყვეით აღმართს.

ზღვიდან სამასი მეტრის სიშორეზე მივადექით დიდ ქარს. აქ მოვითხოვეს ის ქაღალდები, რაც საბერძნეთის საგარეო სამინისტროს მიერ იყო მოცემული ათონის სამმართველოსათვის კარიეს-ში. ამის შემდეგ ვაგვატარეს დიდი ეზო და მის სიღრმეში მეორე სართულზე მივიწვიეს მისაღებ დარბაზში.

დარბაზში შესვლისათანავე თვალში მეცა ნაცნობი სურათი. მას მივეხალვოდით და ეხედავ—ეს არის წმიდა ნინოს სურათი, ამართული ჯგერით. დავუძახე ალექსანდრეს:

— ხედავ! ეს პირველი ქართული ნიშანია!

ვაკირებდი სურათს: შუაშია მცხეთის სვეტიცხოველი; მარჯვნივ სდგას წმიდა ნინო და ხალხი; მარცხნივ იმყოფება მუსლი-მოდრეკილი მირიან მეფე თავისი დიდებულებითა და ლაშქარით. სურათს წარწერა აქვს პატარა ასოებით — საბინინი.

+

მასხენდება ძველი ამბავი — ეს სურათი ხშირად მიწახავეს ჩვენში საეკლესიო დღესასწაულებზე, ბაზრობაზე — ამ დროს ჰყიდდნენ ხოლმე ასეთ სურათებს!

საბინინი ცნობილი მოღვაწე იყო წარსულ საუკუნეში; მან დაბეჭდა დიდი წიგნი თურქულად, რომელსაც ერქვა „საქართველოს სამოთხე“. ეს იყო ქართველ წმიდანთა ისტორია, ზოგი მართალი; ზოგი მოგონილი, მაგრამ, რაც მთავარია, წიგნში იყო ბევრი სურათი. ამ წიგნის წინასიტყვაობაში საბინინი მოვეთხრობს, რომ ეს სურათები მან ვააკეთებინა პეტერბურგში ერთ ცნობილ მხატვარს. საბინინმა მას მიაწოდა ძველი ქართული ეკლესიებიდან გადაღებული ფოტოგრაფიული მასალები; და ამის მიხედვით რუსმა მხატვარმა ქართველ წმიდანთა ხატები დახატა. საბინინი მოვეთხრობს თავის წიგნში, რომ ქართულმა მოწინავე საზოგადოებამ დაიწუნა მისი ნამუშევარი, მე ეფიქობდი, დიდ ქართულ საქმეს ვაკეთებდიო. მიუხედავად ამისა, საბინინის წიგნი დიდად პოპულიარული გახდა ქართველთა შორის, განსაკუთრებით მის მიერ ვაკეთებული სურათები წმიდანთა. ეს სურათები ბეჭდვითი გზით ფართოდ გავრ-

ეცლდა ქართველ ხალხში — წმიდა ნინო, თამარ მეფე, დავით აღმაშენებელი, არჩილ მეფე, დავით და კონსტანტინე, აბო თბილელი, შუშანიკი, ქეთევან დედოფალი და სხვა და სხვა, საბინინის წყალობით მთელ საქართველოში მოეფინა. ხოლო ნამდვილი, ძველ მხატვართა მიერ შექმნილი ხატები ისევ იმ ტაძართა კედლებზე დარჩნენ, რომელთაც საბინინის თაობა და შემდეგც სათანადოდ ვერ აფასებდა. ყველაფერი ეს გამახსენდა, როცა წმიდა ნინოს სურათს მივჩერებოდი. როგორ მოხვდა ეს სურათი ათონის მთაზე? შესაძლებელია, იგი ვინმე ქართველმა მლოცველმა მიიტანა იქ; ან თვითონ საბინინმა გაუგზავნა ქართულ მონასტერს ათონზე.

+

რამოდენიმე წუთის შემდეგ დარბაზში მოგვართვის თურქული ყავა, მაგარი სასმელი დუზო, რახათლუკუმი და ცივი წყალი. შემდეგ მოვიდა ერთი ახალგაზრდა ბერი თარჯიმანი და მან წაგიყვანა სასწაულომოქმედი ლეისიმოზის ხატის საჩვენებლად და მთავარი ეკლესიის დასათვალიერებლად.

ჩვენი გამყოლი ბერი იყო დიდად ახოვანი, უზარმაზარი ტანის კაცი; იგი ბერძნულად გველაპარაკებოდა, ხოლო ერთი პატარა ბერი ხან ინგლისურად, ხან გერმანულად გვითარგმნიდა. მე და ერთ გერმანელს გვინდოდა ხატის სურათის გადაღება, მაგრამ ბერმა მკაცრად აგვიკრძალა.

ამ ბერმა მთავარი ეკლესიის შუაგულში დაგვაყენა, გულმათის ქვეშ, ღვინისფერ მრგვალი მარმარილოს გარშემო, რომელსაც თეთრი მარმარილოს არშია უვლის. მასზე იყო ირგვლივ ბერძნული წარწერა. თარჯიმანი თარგმნის — მე აღვაშენე ეს ეკლესია, რომელიც იარსებებს სამუდამოდ. გიორგი ივერიელი, დამფუძნებელი. —

ამ დროს ალექსანდრემ წამოიძახა:

— ეს ამწმენბელი იყო ქართველი! ჩვენ აქ მოსული ორი ქართველი ვართ!

ბერებმა და ტურისტებმა ჩვენ გაკვირვებით შემოგვხედეს; ერთი ბერი გავიდა ტრაპეზის უკან, გამოიტანა გრძელი ჯოხი და მით ჩამოიღო ტრაპეზის წინ ჩამოკიდებული ვერცხლის ჭურჭელი...

— თუ ქართველები ხართ, ამა წაიკითხეთ აქ რა სწერია! ილუმენ ათანასეს, რომლის ნახვა თქვენ გინდათ, აინტერესებო!

ტურისტებიც ძალიან დაინტერესდნენ ამ შემთხვევით. მე ძალზე შევიწინდი: ვაი თუ ხტუნდა სწერია! და თუმცა ხტუნური ანბანი თან მქონდა წაღებულს, მაგრამ იქ ანბანთა ძებნა დიდად სასახელი არ იქნებოდა! მაღლობა ღმერთს: წარწერა მხედრული ასოებით

იყო შესრულებული, რაც უკვე ადვილად წაეკითხეთ იგი იყო ასეთი: „უფალო, ამ ბარძიმის მომართმევი და ამკვიდრე სასუფეველსა შენსა ამინ ვარ არისო ჩუღლ“. (ეს უღრის 1434 წელს).

+

ამის შემდეგ ეკლესიიდან გამოგვიყვანეს და გამოგვიცხადეს —

— აიღეთ თქვენი ბარგი და წაბრძანდით კარიესში ვიზიტის მისაღებად...

ტურისტები გზას გაუდგნენ; ჩვენ კი არ ვინძრევით. მოგვიახლოვდა თარჯიმანი ბერი და გვეუბნება —

— თქვენ რატომ არ მიდიხართ? აქ უფიზოდ დარჩენა აკრძალული არის!

— ჩვენ ვაქვს ბარათი მონასტრის წინამძღვართან, ათანასესთან და სანამ მას არ ვიხილავთ, აქედან ფეხს არ მოვიცვლით!

— მაგისტანა ბარათები ყოველ დღე მოაქვთ ტურისტებს! — გაბრაზებით ამბობს ბერი.

— ჩვენ ქართველები ვართ; მივდივართ შორიდან, რათა ჩვენ წინაპართა მიერ აგებულ ეკლესიაში ვილოცოთ და იგი დაწერილებით დავათვალიეროთ. ჩვენ უბრალო ტურისტები არ ვახლავართ! ჩვენ ცნობისმოყვარეობის ვულისათვის არ მოვსულვართ!

— მაშ კარგი! ახლა იწყება წირვა; დაეწარით მას; ილოცეთ. და შემდეგ ენახით.

ამ ბრძანებამ დიდად გავახარა.

+

შევიდვართ მთავარ საყდარში ივერიონისა; ბერები ცალ-ცალკე მოდიან; ისინი თითქმის ყველანი ხანდაზმულნი არიან; ერთი ბერი მოგვიახლოვდა; მივციყვანა საპატოო ადგილზე და იქ ვაგვჩერა.

სამოცველის კედლების გასწვრივ მაღალი სკამები; ბერები, ზოგი ნახევრად დამჯდარი; ზოგი ფეხზე მდგომი უსმენენ წირვას. მარცხნივ და მარჯვნივ სდგა ორი მოხუცი მაღლობელი ბერი; ტრაპეზთან ახლოს იმყოფება ორი ახალგაზრდა დიაკონი; წირვას ძვირფასად შემოსილი მღვდელი, რომელიც საკუთხვევლიდან იშვიათად გამოდის. მონასტრის წირვა განსხვავდება ეკლესიის წირვისაგან; ვალობა არის დიალოგებით; ჯერ ერთი ვალობს; მეორე მეორე ორი მას უპასუხებს; შემდეგ ყველა ერთად ვალობს.

„ქრისტე აღსდგა“ როცა ივალობეს, ალექსანდრე ქართულად დაბალი ხმით ივალობა „ქრისტე აღსდგა“ ქართული ვალობა უკვე დიდი ხანია ივერიის მონასტერს აღარ ვაუგონია!

+

წირვის შემდეგ მივმართეთ ჩვენ გამყოლი ბერს:

— გთხოვთ ეს ბარათი გადასცეთ ილუმენ ათანასეს!



ივირონის მონასტრის იოანე ნათლისმცემლის სახელობის მცირე ეკლესია, დაარსებული 983 წ. ამ ჯამად განახლებული.

და თუ ის უარს გვეტყვის მიღებაზე, მაშინ წავალ აქედან.

— ათანასე ბერს სძინავს; შეუძლოდ არის; ყოველ შემთხვევაში მას ნაშუადღევს ოთხ საათამდე ვერ ნახავთ. — მან ზარათი ჩამოგვართვა და წავიდა. ნახე-ვარი საათის შემდეგ იგი მიბრუნდა:

— ოთხ საათზე მინდოთ მთავარი ეკლესიის დერეფანში და იქ ნახავთ ათანასეს — გეიოხრა ღიმილით — ახლა კი, წამობრძანდით სასაღილოდ.

— გავიმარჯვეთ! გვტოვებენ!

სასაღილო დარბაზში საღილოდა ჩვენს გარდა, სტუმრად მოსული ორი ბერი. საღილოდ მოგვიტანეს ლობიოს წვენი, ერთი ჭიკა ღვინო და პური. ეს იყო მათი საღილი. თვითონ ბერები თავ-თავის საკანში საღილობენ, ზოგ მონასტერში კი საერთო სასაღილოში.

ივირონის წინამძღვარ ათანასესთან შეხვედრამდე დაგვიჩრა ორი საათი. გავედიეთ ეზოში. ჩვენს მტკ სულონი იქ არავინ სჩანდა! შემდეგ გავიგეთ, რომ ოთხ საათამდე თურმე ყველას სძინავს, ბერებსაც და მუშებსაც. შევეუდევით ფოტოაპარატით სანახების გადაღებას — სამრეკლო, კოშკები, ბერთა საკნები, ეზოს შუა გულში მარმარილოს ფონტენი, სადაც წირვის შემდეგ ბერები ნაქურთხ წყალს სვამენ და სხვა მრავალი ნაგებობა.

გავდივართ ეზოს გარეთ. გარშემო კარგად დამუშავებული ბოსტნებია და ზეთისხილის მრავალი მცენარე.

გვერდზე ჩამოდის პაწაწა მდინარე. გარემო გორაკები დაბურული ტყით არის შემოკბილი. მდებარეობს წყნე მტაცია თავისი მომხიბლველი სილამაზით. შორს მონასტრის ათონის მთის მწვერვალი.

ცნობილი ქართველი მოგზაური, ტომოზე ვახაშვილი, რომელმაც ათონის მთა მოილოცა 1775 წელს თავის „მიმოსვლა“-ში სწერს —

„გავიციად რა ადგილთა შევნიერება, ხეხილთა, ვენახთა და წყაროთა, ედემის შესწორებულ იყვნეს“-ო.

ხოლო თვით გიორგი მთაწმიდელის აზრით, მონასტერი ივერიელთა:

... „რომლისა ჰაეროვნება და შევნიერება უფარეს ქებას აღმატებულ იქა“. „ფრაიანი იყვნენ მონასტენი, ვარნა მსგავსი მისი არ მოიპოვებოდა არა მხოლოდ მთასა, არამედ სხუთაჲც მრავალთა ადგილთაჲც“-ო...

მზე სასტიკად აცხრუნებს; ჩავდივართ ზღვისპირას; გვიინდა გავგრილდეთ, მაგრამ ზღვაში ბანაობას ვერ გვებოდავთ. ბერების კელებში ერთი ნაწილი ზღვაზე გადა-მომდგარი — შეუძლიათ დაგვიხანონ! ზღვის ნაპირას აღმართული კოშკის ჩრდილში წამოწოლილი არიან მუშები და სძინავეთ. გავიხადეთ ფეხსაცმელები და ჩავდევით ზღვაში მუხუმებამდე. ცოტა გავრილებული უკან გბრუნდებით და დანიშნულ ადგილზე ვუცდით წინამძღვარ ათანასეს. ამ დროს ეხედავთ, ეზოში შე-მოდის სამი კაცი, რომელთაც უკან მოჰყვებიან სამი, დატვირთულნი ყუთებითა და აპარატებით. ისინი ჩვენს ახლოს დასდნენ. მუშებმა ბარჯი იქვე დააწყვეს და მოშორებით გაიქურდნენ. მოგზაურნი მოგვესალმნენ თავის დაქნევით. ჩვენ, რასაკვირველია, დაინტერეს-დით მათი ვინაობით. მათ შორის ახალგაზრდა ხან ინ-გლისურად, ხან გერმანულად ლაპარაკობდა; ერთი ფრაზაც ფრანგულად გამოუტრია. ეტყობოდა უთარგმ-ნიდა ერთ საპატოო შეხედულებების კაცს მეორის ნათქ-ვამს, რომელიც სხეებისაგან განსხვავდებოდა თავისი ჩაკეულობით. ვამოველაპარაკეთ ამ უკანასკნელს ფრან-გულ ენაზე:

— კინორეჟისორი ხომ არ ბრძანდებით, ამდენი აპა-რატი რომ მოსულხართ?

ეს კაცი, მზიარული და უხეი მოლაპარაკე აღმოჩნდა. იმ წამსვე გავაცანიო თავი:

— მისტერ კ. ვარ დაბადებული ამერიკაში. რუსე-თიდან ჩემი დღემამა პირველი ომის წინ ამერიკას გა-იხიზნა; ერთ დროს საფრანგეთშიც ვიცხოვრე; პრო-ფესიით ვარ რეჟორტერი და აუტრანალისტი; ცნობილი ამერიკელი ერთი თურნალისაგან მაქვს დავალებული წმიდა ათონის მთის მონასტრების სურათების გადა-ღება. ათინიდან წამოვიყვანე პროფესორი ვ. და ახალ-გაზრდა თარჯიმანი. პროფესორი მხოლოდ გერმანუ-

ლად ლაპარაკობს კარგად; იგი არის დიდი სპეციალისტი ათონისა და ბერების მის დიდი პატივით ეპყრობიანო. თქვენ ვინ ხართ? გეტყობათ, ფრანგები არა ხართ!

— ჩვენ ვართ ქართველები. აქ მოველით, მოვილო-კით ჩვენე ქართული მონასტერი, ჩვენ წინაპართა მიერ აშენებულა.

— ქართველები? იქნებ რუსული იცით? რუსული უფრო მეტხრება, ეიდრე ფრანგული. არ ვიცოდი, თუ აქ ქართველებს თავისი საკუთარი მონასტერი გქონდათ. მე ვინახულე და გადავიღე ყველა მონასტერი — ბერძნების, ბულგარელების, სერბების, რუსების და როგორ მოხდა, რომ ჩემმა პროფესორმა ან მითხრა, რომ ეს მონასტერი ქართველებისა არაა?!

— სამწუხაროდ, იყო და აღარ არის! აქ ვიცი, კიდევ არიან აქ დარჩენილი ქართველები თუ არა. ამას გავიგებთ, როცა იღუმენ ათანასეს შეხვდებით. მას ვცდილი აქ.

— ჩვენც მას ველოდებით.

— მისტერი! ერთი ჰკითხეთ მაგ თქვენს პროფესორს, თუ იცის, რომ ეს მონასტერი ქართველებისა არის?

თარჯიმანის საშუალებით იგი ეკითხება პროფესორს და პროფესორი უპასუხებს:

— ეს მონასტერი მეათე საუკუნეში იოანე თორნიკოსმა აღაშენა, ივერიიდან იყო, გენერალი.

— სად არის თქვენი აზრით ივერია? — ვეკითხები.

— ივერია იმყოფება შავი ზღვის მეორე მხარეს.

— იმ ივერიას დღეს საქართველო ეწოდება — ეუ-პასუხებ მე.

— საქართველო საბჭოთა ქვეყანაა! იქიდან მობრძანდით სალოცავად! — გაკვირვებული სახით გვეკითხება პროფესორი.

— არა. ჩვენ საფრანგეთში მცხოვრებნი ვართ, პარიზიდან მოსულნი. — პროფესორი კმაყოფილი დარჩა ამ პასუხით.

+

ნარტქის შესავალში, ჩვენ პირდაპირ, ეკიდა ქართული ხატი, რომელზედაც ქართული წარწერა არის. ამერიკელს ვეკითხები:

— თქვენ ხომ ყველა ენა იცით? ანა წაიკითხეთ, რა სწერია ამ ხატზე! აი, შეხედეთ!

ამერიკელი უცქერის ხატის წარწერას და გაკვირვებულთა თავს აქნევს. — არ ვიცი.

— ეს არის ქართული წარწერა. აი, პირველი საბუთი იმისა, რომ ეს მონასტერი ქართული იყო!

— თუ შევიძლიათ გვიამბეთ, როდის და როგორ დააარსეს ქართველებმა ეს მონასტერი. ჯერ კიდევ დრო გვაქვს, სანამ წინამძღვარი მოვიდოდეს.

— დიდი სამოგენებით, მაგრამ ერთი პირობით: თქვენ უნდა მოიხსენიოთ თქვენს რეპორტაჟში ყველასაგან დაეწყებულეს ეს ისტორია.

— ათონი...
საქართველო

— ათონის მთის ივერიის მონასტერი დაარსებულია 980 — 983 წლებში. მისი დაფუძნების დაწვრილებით ცნობებს იძლევა ამ მონასტრშივე არსებული ხელნაწერი, „ათონის კრებულად“ ცნობილი. ათონის მონასტრის დამაარსებლად ითვლება ქართველი ბერი — იოანე. იგი იყო საქართველოს ერთი მხარის, ტაოკლარჯეთის დიდად წარჩინებული პიროვნება, დაიბადებოდა ქუთაისის ახლო მეოფე, განთქმული მხედარი, გარეგნობით მაღალი და მშვენიერი, გონებით ბრძნის, მქმნელი მრავალი კეთილი საქმისა. იგი იყო დიდად მღვივე მორწმუნე; მან მიატოვა ცოლშვილი, სოფლის დიდება და ჩემად გაიპაზა საქართველოში არსებულ ოთხთა ეკლესიათა ლავრაში. საქართველოში ხმა გავრცელდა მისი ბერად შედგომის შესახებ და ხალხი მოაწყდა მას სანახავად. ამიტომ იგი წავიდა მკირე აზი-აში. უღუმენის მთის მონასტრში იგი მსახურობდა მეჯორედ და მისი სახელი ამიტომ იყო „ხარტულიანი“, (ქართულად: მეჯორე). იქ მან მოიყვანა თავისი უმცროსი შვილი ექვთიმე, რომელიც შემდგომი გახდა საეკლესიო მოღვაწე და მწერალი. უღუმენიდან მამა-შვილი მალე გადასახლდა ათონის მთაზე და აქ ისინი შეეკვიდრნენ წმიდა ათანასეს მიერ ახლად დაარსებულ დიდ ლავრას. თვით ეს დამაარსებელი ლავრისა იყო ნახევრად ქართველი, რადგან დედა მისი იყო მოღვმით ლაზი, ანუ ქართველი. მალე მათ შუაერთდნენ სხვა ქართველი ბერები და მათ შორის იყო ცნობილი მხედარი თორნიკე ერთიანი. იგი უკვე ბერად იყო აღკვეცილი. რადგან ბერთა რიცხვი თანდათან იზრდებოდა, ლავრაში სიციწრო შეიქმნა. ათანასეს რჩევითა და კურთხევით ქართველებმა აქვე დააარსეს მახლობლად, წარმტაცი ბუნების წიაღში მონასტერი ივერიელთა, სადაც ახლა ჩვენ ვიმყოფებით. ივერია მაშინ დღევანდელ საქართველოს ეწოდებოდა. ქართველთა მიერ აგებული პირველი შენობა იყო პატარა ეკლესია იოანე ნათლისმცემლის სახელით. ამასთან ერთად ააშენეს ქართველი ბერთათვის სატარ-პატარა სენაკები. ამ დროს ბიზანტიაში მოხდა დიდი ამბავი. მკირე-წლოვან ბიზანტიის იმპერატორებს, ძმებს ბასილს და კონსტანტინეს აუჯანყდა იმპერიის აღმოსავლეთი მხარის მმართველი, ბარდს ცელგაროს. აჯანყებულებმა სასტიკად დაამარცხეს იმპერატორთა ლაშქარი და თვით სატახტო ქალაქი კონსტანტინოპოლი საფრთხეში ჩაეარდა. იმპერატორც თხოვანად გადასწყვიტა დახმარება ეთხოვა საქართველო-

ში მეფე დავით კურაპალატისათვის. ბიზანტიის სატრაპო ქალაქში კარგად იცოდნენ, რომ ათონის მთაზე ბერად იმყოფებოდა დიდი სტრატეგი და განთქმული მეომარი, თორნიკე ერისთავი, ახლა ბერი იოანე და სწორად მას მიმართეს. იგი გაიწვიეს კონსტანტინოპოლს, სასაღვთო; რათა მცირეწლოვანი შვილები შეეზარალებინა ბერისათვის, იმპერატორსაც ფეხზე ჩაუვდო ბერს იმპერატორები და სთხოვა საქაროდ მოციქულად წასულიყო საქართველოში, დავით კურაპალატთან.

— ეს საქმე სიკვდილზე უფრო მძიმედ მიმანიაო, — ამბობდა ბერი. მაგრამ მან გაითვალისწინა, რომ აჯანყებას მეტად ცუდი შედეგები მოჰყვებოდა, შეიძლება ათონის მონასტრის ცუდ მდგომარეობაში ჩაყარდნისთვის, ამიტომ გადაწყვიტა დავით კურაპალატთან გამგზავრებულიყო და თან წაიღო იმპერატორის სავედრებელი წიგნი. მეფე დავით კურაპალატმა შეაგროვა 12.000 რჩეული მხედარი, ხოლო მისი სარდლობა თვითონ თორნიკე ერისთავს დაეძალა. ქართულთა ჯგუზმა სასტიკად დაამარცხა აჯანყებულთა ლაშქარი და გადარჩენილნი სპარსეთისაკენ გადაჰყარა. დიდ-ძალი ქონება ჩაუყარა ხელში გამარჯვებულ თორნიკე ერისთავს; ერთი ნაწილი მას ერგო და დიდი სიმდიდრით ისევ ათონის მთას დაუბრუნდა ბერად. მან მთელი ეს სიმდიდრე გადასცა მონასტრებს და, რაკაკიკრებლია, ქართულ მონასტრებსაც. ამ ქონების წყალობით ქართული მონასტერი ივერიონი გადიდეს და გაამდიდრეს... თვით დავით კურაპალატმა მიიღო საჩუქრად მთელი მისი სიცოცხლისათვის ივერიის მოსაზღვრე მხარეები.

— მასწავლამე, ქართველები-ივერიელები მაშინ ისე ძლიერი იყვნენ, რომ მათ გადაარჩინეს ბიზანტიის ტახტი? — გაეცინებოდა კითხვარს ამერიკელი.

— ეს ჩემი აზრი კი არ არის... ამის საბუთები ქართულსა და ბიზანტიურ ანალებში მოიპოვებოდა. ქართველები ისე ძლიერი იყვნენ ეკონომიურად და კულტურულად, რომ მათ, არა მარტო ათონის მთაზე, არამედ სხვაგანაც გააშენეს მონასტრები. სირია, პალესტინაში და ბიზანტიის სხვა მხარეშიც და სხვაგანაც. ამ მონასტერთა კულტურულმა კერებმა ააყვავეს ქართული კულტურა, მაგრამ ჩვენ ბერებს თავისი წვლილი შეჰქონდათ აგრეთვე თვით ბიზანტიურ მწერლობაშიც. მაგალითად, ამ მონასტერში მოღვაწე ბერმა ე ქ ე თ ი მ თ ა წ მ ი დ ე ლ მ ა ქართულიდან ბერძნულად თავიანთ მსოფლიოში ცნობილი რომანი „ბალავარიანი“, ანუ ისტორია ვარლამისა და იოსაფისა. აქვე მოღვაწეობდა ცნობილი მთარგმნელი და კომენტატორი, გ ი ო რ გ ი მ თ ა წ მ ი დ ე ლ ი ; ცნობილი არიან

ქართველი ფილოსოფოსები: ფერეზ მცირე, პეტრეწონელი, არსენ იყალთოელი და სხვანი. ამ მონასტერში ინახება ზემოხსენებული ქრისტიანული რომანი „ბალავარიანი“, რომლის დასურათება-მინიჭები გვეტყვიან თქვენ თუ რა ჰიმიადღებე იღვა ძველ ქართველთა შორის აგრეთვე მხატვრობა. ნახეთ იგი მისტერ კ!

— ამ მონასტრის ამბავი და მისი ღვაწლი ახლა ხომ კარგად იცით. ბ. კ. — უუბნება მას ალექსანდრე. — ახლა თქვენს წერილებში ათონის მონასტრის შესახებ, იმედი გვაქვს, ქართულ მონასტრებსაც მოხსენებთ!

ერთი თვის შემდეგ გამოქვეყნდა ამერიკულ ჟურნალში მისტერ კ.ს მიერ გადაღებული სურათები, ივერიონის მონასტრის სურათიც. მაგრამ ქართველებზე ერთი სიტყვაც არ იყო ანუ. ასე უშედეგოდ დასრულდა ჩვენი პრაოვანდა...

+

ამ ბაასის დროს უკვე ოთხმა საათმა მოაღწია და ვხედავთ გვიახლოვდება წარმოსადგეი მოხუცი ბერი, სათნო, მოღიმარი სახით; მან ბერძენი პრაოვსარი იცნო, ხელი ჩამოართვა და მას ცოტა ხნით ბერძნულად ესაუბრა; შემდეგ ჩვენცენ მობრუნდა და ფრანგულად ითხოვა:

— ვინ არიან თქვენ შორის ქართველები? ჩვენ წინ წაუდგითო.

— თქვენ მოხვედით თქვენ წინაპართა მონასტერში სალოცავად, თუ ვით ცნობისმოყუვერე ტურისტები?

— დიდი ხანია სურვილი გვექნადა ათონზე სალოცავად მოვსულიყავით. დიდი გზაც გამოვიარეთ ამ მიზნით. რა თქმა უნდა ამასთან ერთად გვანტერესებს ქართულ ნაშთთა ნახვაც. თუ ამის საშუალებას მოგვეცემთ, დიდად მადლობელი დავრჩებით — უბასუხებს ალექსანდრე.

— უსათუოდ ყველაფერს ვაჩვენებთ; თქვენ ქართველები ხართ. მოხარული ვარ თქვენი მოსვლით. ეს მონასტერი თქვენი წინაპრების მიერ არის აშენებული და ღირსი ხართ დაწვრილებით მოიხილოთ იგი. ხომ ნახეთ დილით, რა სწრაფად გაისტუმრეს აქედან ტურისტები!? თქვენ შეგიძლიათ აქ დარჩეთ, რამდენხანსაც გსურთ; ჩვენი სტუმრები იქნებით. მე ავად ვარ, სიტყე მაქვს; მაგრამ რომ ვაივებ ქართველების მოსვლად, თავს ძალა დავატანე და მოვიდი თქვენს სანახავად. 1906 წელს მე თბილისში ვიყავი. მაშინ ახალგაზრდა ბერი, თან გავყევი ერთ დღეგაც; ქართველებს კარგად ვიცნობ...

+

გამახსენდა ილია ჭავჭავაძის წერილი, რომელიც საქართველოში ათონიდან მოსულ ბერებს ეხებოდა. ეს ამბავი მოხდა 1886 წელს და ამ ამბავში, ეს ჩვენი თა-

ნასე ბერი მონაწილეობას ვერ მიიღებდა. მაშინ ჩასულან საქართველოში ათონის ბერები და ჰყიდნენ თურმე ქართულ მიწებს, რომელიც ათონის ივერიის მონასტრის ეკუთვნოდა! ილია ჭავჭავაძე სწორედ ამის გამო აცხადებდა პროტესტს...

+

ჩვენი მასპინძელი ბერი ათანასე მოგვითხრობს ლევენდას სასწაულომომქმედ ღვთისმშობლის ხატის შესახებ. ამ ხატს ბერძნები უწოდებენ: პორტიკისა-ს, ე. ი. კარის ღვთისმშობლის ხატი. ეს პორტიკისა დიდად ცნობილი ხატია; მისი თავდადასავალი აღწერილია ათონის წიგნებში; იგი აღწერა ტიმოთე გაბაშვილმაც, თავის „მომოსლვა“-ში; ფრანგმა მოგზაურმა რანდოლ ფოტმა და ბევრმა სხვამაც. დაახლოებით ყველა ერთსა და იმავე ლეგენდას მოგვითხრობს:

ბიზანტიის იმპერატორ თეოფილეს დროს (829 — 842) ბატყდა დიდი დევა ხატის თაყვანისმცემელთა და ხატის მოწინააღმდეგეთა შორის. ესენი ხატებს უარსა ჰყოფდნენ, იტაცებდნენ, სწევადნენ, ვითარცა კრპოთ-თაყვანისმცემლობის ნიშანს. მათ მიეზარა თვით იმპერატორიც და ბრძოლა დიდად გამწვავდა. მეფის ერთი მოხელე ქალაქ ნიკეაში, შესულა ერთი დედაკაცის ბინაში ხატის წასაღებად; მოხელეს გადაამალული ღვთისმშობლის ხატი ამოუჩურჩინა და გაჯავრებულს ხატისათვის ხრმალი აღურტყამს. ნახრმაღევზე ხატს სისხლი გამოსვლია. ამ სანახაობით შემინებული მოხელე გიჟივით ვაჭყეულა, ხოლო შემინებულ დედაკაცს ეს ხატი ზღვაში გადაუღვია. ზღვის ზვიერებს ეს ხატი მიუტყდებოდა ათონის მთასთან ახლოს. აღმდამობით ხატზე ზეცით შუჭით ანათებდა ხოლმე. წმიდა მამებს გადაუწყვეტიათ ამ უცნაური ხატის გამოტანა და ნავით მისულან, მაგრამ ყოველი მიახლოვებისას, ხატი მათ შორიდებოდა და იგი ტრღლებს შორს მიჰქონდა. ამის გამო ბერები დიდად შეწუხებული ყოფილან. მაგრამ ერთ დღეს მათ მოესმათ ხმა კიდან: ხატის გამოუყენის ღირსი არისო მხოლოდ ქართველი ბერი გაბრიელი. ბერები მივიდნენ ქართველთა მონასტერში და იკითხეს ბერი გაბრიელი. იგი მონასტერში არ აღმოჩნდა. ძებნის შემდეგ მიაკვლიეს: იგი თურმე დაყვადებული ბერი ყოფილა მიერუებულ ადგილზე, მთაში.

გაბრიელ ბერს აუხსნეს საქმის ვითარება, მაგრამ მან ნაეშო ჩაჯდომანზე უარი განაცხადა; იგი ფეხით გვივინდა ზღვაზე და ხატი მას მიუახლოვდა. შემდეგ ეს ხატი დაასვენეს ქართულ მონასტერში, „ივერიონ“-ში.

ტიმოთე გაბაშვილის გადმოცემით, ამოთან მუხრან-ბატონს აღუწვინებია ამ ხატისათვის მონასტრის კართან გუმბათიანი პატარა ეკლესია, სადაც ეს ხატი დაუსვენებიათ. აქედან არის მისი ბერძნული სახელი პორ-

ტიკისა, ანუ კარისა. როგორც იქვე ტიმოთე გაბაშვილი ამბობს, ყვარყვარე ათაბაგს ეს ხატი მოუტყეოდინებია და მდიდრულად შეუტყვია.

ქართველი

ენათმეცნიერი

+

ჩვენმა მასპინძელმა ათანასე ბერმა დამატებით გვიამბო ამ ხატის სხვა სასწაულზე — წარსულში მეკობრეები, ზღვის ავაზაკები თავს დასხმიან მონასტრის გასაძარცვად. ერთ ავაზაკს ამ ღვთისმშობლის ხატისათვის ჩაუტყავს შუბი ყელში. იმ ადგილზე ჭრილობა გაჩენილა და სისხლი გამოსულა. ასეთ სასწაულს დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია იმ ავაზაკებს; მას თავისი ცოლდა მოუზნებია და ქრისტიანობა მიუღია. ამ ეთიოპელი პირატის სურათი გამოხატულია ამვე ეკლესიის შესავად კართან, მარჯვნივ.

ტიმოთე გაბაშვილიც გვიამბობს ერთ სასწაულს — როდესაც იგი მეორეამეტე საუკუნეში ქართულ მონასტრის ათვალიერებდა, მას ერთ ადგილზე ნამწვარი შეუნინებდას და მიზეზი უკითხავს; მისთვის განუმარტებიათ: ამ ორი წლის წინად, ერთმა ბერმა ღამით შეალო ტაძარი საღოცად და იხილა ბრწყინვალედ მოსილი დედაკაცი, რომელმაც მას უთხრა: წადი, აცნობე ბერებს, თქვენე მონასტერი იწვიოს! ბერმა ასტება განვაშო და ცეცხლი სწრაფად ჩააქაწეს. ამგვარად გადარჩა მონასტერი.

ტიმოთე იმასაც გვიამბობს, რომ მონასტრის სასწაულთა, სენაკები და გოდოლინი განუახლებია ქართველთა მეფის ალექსანდრეს; სხვა გოდოლინი და გალავანი — დადიანსა და გურგიელს, ხოლო ტრაპეზი — აშოთ მეხრანს და სხვა შერობები ნიკოლოზ კათოლიკოსის და სხვა ქართველთა... ტიმოთეს დროს, 1755 წელს ივერიონში წირვის დროს იხსენიებდნენ ხოლმე შემომწირველთა სახლებს; მას თვითონ — ამ სისათვის დაუმატებია თეიმურაზ და ერეკლე მეფის სახელი, რათა არა დასცხრესო მოხსენება მათი სამაზადისოდ.

არა მგონია, რომ დღევანდელი ბერები ძველ ქართველებს წირვის დროს იხსენიებდნენ ამ ყამად.

+

საინტერესოა გავიხსენოთ, თუ როგორ იხილდნენ ბერები შობას. ტიმოთე გვიამბობს:

ყო დღის თვეა მწუხრით ცისკრამდე და ვანთიადისას ჰკრეს დიდა ზართა და შეიმოსნენ წინამძღვარი და მამანი და გამოასვენეს ხატი პორტიკისა ლამპრებითა მრავლითა, დროშებითა და ფარნებითა თითოსანიითა და განვედით ზღვათ ღელესა მუნ წყლითა, შემოწირული ქართველთა და კახთა მეფისა ლეონის მიერ და ზედან ქოლგა მძიმედ ნაკერი, ამოთან მუხრან ბატონისა მიერ შეწირული. და აღვიდეს ფარდა



ივირონის მონასტერი ათონის მთაზე

მძიმე, სვიმონ ქართველი ბატონის მიერ შემოწირული. ორი სახარება, მურასა, დაასვენეს; ერთი დიდი სახარება, მძიმე თვალთ შემეული, პეტრე რუსთა იმპერატორის მიერ შეწირული და მეორე მინანქრისა სახარება, ბაქარ ეპიტანგის ძისა ქართველთ ბატონისა მიერ შეწირული და იწყეს კურთხევა წყალთა. და წინამძღვარი დიდებულისა მონასტრისა ჯვარსა შთასვენებდა წყალთა და მდგომარე იყვნეს გუნდ - გუნდებად და მწყობრად განკარგულნი მონაზონნი და განშორებულნი და დაყუდებულნი, მთით და კლდით და ნაპრალით გამოსულნი ხილვად ნათელთა, ესოდენ იყო, ვითა მინდორი ვერ იტევდა... და აღსრულებისა შემდგომად ზღუდვებით მონასტრისათ და ბურჯებით იყო დიდი ზარბაზანთ ცემა, ხმა ჭექისა და სიხარულისა მონაზონთაგან ესოდენ, ვითა მიწა იძვროდა. და წირვის შემდგომად — ტრაპეზობა და სერი დიდებული დღესასწაულსა მას ღმრთისასა...

+

— ასლა თუ არიან ამ მონასტერში ქართველი ბერები? — ეკითხები წინამძღვარ ათანასეს.

— არავენ. უკანასკნელი ქართველი ბერი გარდაიცვალა აქ 1956 წელს; მას ერქვა ტიხონი. 90 წლისა იყო; იგი იყო არაჩვეულებრივი კარგი კაცი და დიდი მორწმუნე. ჩვენ ყველა მას დიდ პატივს ვცემდით და გვიყვარდა იგი. სიკვდილის წინ მან მთავარი ეკლესიის კედელზე ამოჭრა კუთხეში ერთი ფრაზა ქართულად.

შემდეგ გავიგეთ, რომ ეს უკანასკნელი ქართველი ბერი ყოფილა გვაზად ფალავა.

ამასობაში ამერიკელმა თავისი აპარატები ამოალაგებინა და უცდიდა ჩვენი ბაასის დასრულებას, რათა გადაღების საქმეს შედგომოდა. მაშა ათანასე მიუბრუნრუნდა მით და უთხრა: მე ამით მოგრჩები და შემდეგ თქვენს განკარგულებაში ვიქნები.

ეს ამბავი ამერიკელს და მის თანამგზავთ არ მოეწონათ; სახე მოედღუშათ; მაგრამ სიტყვა არ დაუძრავთ.

+

ათანასე ბერმა ჯიბიდან ამოიღო უზარმაზარი გასაღები და გაგვიძღვა.

— თუ შეგვიძლია ფოტოსურათების გადაღება?

— თქვენთვის არ არის აკრძალული; ისე კი საჭიროა

სპეციალური ნებართვა, რაც კარიესში უნდა მიიღონ. ხშირად ეს ნებართვა არაა საქმარისი, რადგან ჩვენ ვეპქს უფლება მომსახურელებს არ ვაჩვენებთ ყველაფერი, განსაკუთრებით, ჩვენი კავშირულობა. თქვენ ყველაფერს ვაჩვენებთ...

პირველად ვინახულეთ პატარა ეკლესია, რომელიც სპეციალურად აუშენებიათ ცნობილ პორტიტისას ხატისათვის.

ათინაში ჩვენმა მეგობარმა ბერძენმა დაგვავალა მის ნაცვლად ამ ხატის წინ სამი სანთელი ავკენით. მის დანაბარებს ვასრულებთ.

კედლებზე არის ზოგი ახალი, ზოგი ძველი ფრესკა. ეიკლი, რომ აქ პორტრეტები იყო გამოხატული ძველ ბერძენ ფილოსოფოსთა: პლატონისა, არისტოტელისა და სხვათა, რის გამო ძველად ქართველ ბერებთან უსიამოვნება ჰქონიათ ბერძნებს.

ფრანგი მკვლევარი რ. კოჯე ეგება ქართული მონასტრის კედლებზე ელინურ ფილოსოფოსთა გამოხატულებას და ამბობს — ქართველთა ელინური მიმართულების გამო, მეთოთხმეტე საუკუნეში, ბერძნები თავს ესხმინა ელინიზმის მიმდევარ ქართველებს და მონასტრიდან აძევებენო.

მაგონდება აგრეთვე აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის წიგნი, ქართული ხელოვნების ისტორიაზე, სადაც იგი ამბობს, რომ ათონის მთაზე მოღვაწე ქართველებს სურდათ ძველ ელინთა აზროვნება შეერწყმიათ, შეეთავსებინათ ქრისტიანობასთანო.

— მამა ათანასე! როგორ ხსნი თანამ, რომ ქრისტიანულ ტაძარში წარმართულ ფილოსოფოსთა პორტრეტება გამოხატული?

— ესენი იყვნენ ზეაკები, ღვთისაგან ამორჩეულნი და შთაგონებულნი. ამიტომ ვცემთ მათ პატივს.

ამ რთო მოდის ერთი ბერი და წინამძღვარ ათანასეს უჩურჩულებს. იგუშენი მერმე ჩვენ გვეუბნება:

— დიდი გმით თათხის კათოლიკე მოემგზავრება ათონზე... თუ პირველად აქ მოვიდნენ, ცუდია, ხელს შეგვიშლიან! მანამ კი ჩვენი საქმე მოვათავითო.

გემმა არ შემოღვხია ივიროსთან; პირდაპირ წავიდა ნავთსადგურ დაფნისაკენ. მოიტარა ასეთი ცნობა ცოტა ხნის შემდეგ მორჩილმა. ეს რომ ათანასეს გაეგო, შევებით ამოიხსენოქა. ეტყობა, მას რომელი კათოლიკები არ უყვარს, არც მათი მხატვრობაც მოსწონს:

— აბა, რას წარმოადგენენ მათი მალონები! ვაშოშვლებულეთ უსირჯეო ქალების პორტრეტები! ხომ ნახეთ ჩვენი ღვთისმშობელი? სახის მეტი არაფერი სჩანს! ტანისამოსით, ან ლითონით არის დაფარული!

გამოვიდევართ გარეთ. მამა ათანასე მიდის მთავარი დიდი ეკლესიისაკენ. მე მას ვეკითხები:

— მამა ათანასე! ეს მეორე პატარა ეკლესია იქნის სახელობისა? თუ შეიძლება მისი დათვალიერება? (ვიცანი, რომ ამ პატარა ეკლესიაში ტანისამოსი ფრესკები იყვნენ).

ალექსანდრე ფრანგულად ამბობს ისე, რომ ათანასემ გაიგონოს:

— ნუ ვაუწყებთ მამა ათანასეს, ავად არის; რაც თითონი მას სურს, ის ვაჩვენებო!

— არა, არ მავუწყებთ! რადგან გაინტერესებთ, ამასაც ვაჩვენებთ.

მოეტრიალდით და ამ პატარა ეკლესიაში შევედით. აქ მართლაც შესანიშნავი ფრესკები არიან.

— გრჯეთო მოუფის მიერ არიან დახატული — ამბობს ათანასე და განაგრძობს:

— ეს ეკლესია მესამე საუკუნისაა და მის ადგილზე ძველად იყო აპოლონის ტაძარი. ქრისტიანებს ის დაუნგრევიათ და მის ადგილზე იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია აღმშენებიათ. ამ ეკლესიის ქვეშ დამარხული არიან წარმართული კერპები, მათი ძეგლები, რათა აზარადეს მშის შუქი არ მოხვდეს მათ.

ეს ამბავი ცოტა საეჭვოდ მივიჩინე — მესამე საუკუნის ნაგებობას არა ჰგავს ეს ეკლესია! გადავწვიტე ჭეშოლ დასახლებულ პროფესორთან შემემოწმებინა ათანასეს ნაამბობი.

+

აქედან მივდივართ მთავარ ეკლესიაში; ამ საყდარს წინ ახლავს ნარტექსი (დერფანი), რომელიც მილიანად მოხატულია ფრესკებით. ფრესკა ზოგი ძველია, ზოგი ახალი. უძველესი არის მხატვარ ბერის თეოდანის მიერ მოხატული მე-16 საუკუნეში.

საერთოდ მონასტრების მხატვრობა არის ტრაფარეტული. არსებობდა სახელმძღვანელო, რომელიც აღნოაბნა ერთმა ფრანგმა 1845 წელს. ამ სახელმძღვანელოს მიხედვით დაკანონებული იყო, რა და როგორ უნდა დაეხატათ, რა ფერები უნდა ეხმარათ და რა ადგილზე მოეთავსებინათ. ასე რომ, ამ შეზოაკვითა და განსაზღვრით თანდათან დაქვეითდა სამონასტრო მხატვრობა, ძველი ბიზანტიური ხელოვნება.

აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის ცნობით, უკანასკნელ საუკუნეებში ბერძენი მხატვრები ისე დაქვეითებულან, რომ იძულებული გაჩვენდნენ ათონზე მიეწვიათ ქართველი მხატვარი მარკოზი, რომელმაც მონაბტა ივიროის ეკლესიის 1590—1600 წლ. ხოლო 1842 წელს მოუხდენიათ რესტავრაცია და ამიტომ ვარჩევა ძველი და ახალი რესტავრირებული მხატვრობისა შეუძლებელია.

იღუმენ ათანასეს ეუამბე ეს. ათამასემ ამის შესახებ

არაფერი იცოდა, მხოლოდ ცოტა უკმაყოფილებით ამბობს:

— რა მნიშვნელობა აქვს ამას, ის მხატვარი ზერძენი იყო, თუ ქართველი, ან სხვა?! აქ მოსული მოღვაწე პირველად ყოველისა მართლმადიდებელი კაცია და ეს არის საკმარისი.

+

გალერიის შესავალში არის ჩარჩოში ჩასმული ფერადი დიდი ხატი; მას ზემოდ აწერია მხედრული ასოებით: „დიდა ლეთისა, იესო ქრისტე, წმ. იოანე ნათლისმცემელი“. ხატ ქვეშ არის თარიღი: 1902 წ.

ეს ხატი შესრულებულია რუსულ-ბიზანტიური სტილით.

— ქართველი ბერის დახატული უნდა იყოს; ქართული წარწერა ამას მოწმობს — ვამბობ.

— რატომ? შეიძლება ზერძენმა დახატა, რომელმაც ქართული წერა იცოდა! ჩვენ არქივში მრავალი ხატია შენახული, სხვა და სხვა დროს შესრულებული... ეს ხატი მე მომეწონა და სარდაფიდან ამოვიტანე; აქ დავკიდე.

+

ათანასე განგვიმარტავს აქ, ამ მთავარი ეკლესიის კედლის მხატვრობას; შინააქი ამოღებულია, ცხადია, ძველი და ახალი აღთქმიდან. მამა ათანასე კარგად ერკვევა მხატვრობაში; მიგვითითებს ძველსა და გულგულად ხატებზე; ეს განახლებული მხატვრობა არც მას მოსწონს და მწუხარებით აღნიშნავს:

— აღარ არიან კარგი მხატვრები — და მერმე ნაღვლიანად დასძენს: — მე როცა აქ მოვედი, ახალგაზრდა ვიყავი; მაშინ აქ ორასი ბერი ცხოვრობდა; ახლა აქ თექვსმეტი მოხუცი დავრჩით და მხოლოდ ექვსი ახალგაზრდა ბერი გვეყავს! სხვა აქაური მონასტრებიც ცალმეგრებიან. ახლა ცუდი დრო არის... კომუნისტებმა მოწყობეს მთელი მსოფლიოს ატმოსფერა; სულიერად ვიტანჯები; ფიზიკურად დავესუსტი; ხშირად ავადმყოფობ...

— უნდა მოუაროთ თავს, წინამძღვარო! — მიმართავს მას ალექსანდრე.

— რისთვის უნდა მოვეუარო თავს?! ის მირჩენია, ჩაღვ განვიდე ამ წუთისაფლიდან, თუ ამას ღმერთი ინებებს...

+

შევიდვართ მთავარ საყდარში. ეკლესია აშენებულია ბერძნული ჯვრის ფორმის პლანზე; გუმბათი დაყრდნობილია პანდატივებზე; შუაში უზარმაზარი კანკელაა ჩამოკიდებული; იგი ბრინჯაოსია.

— ეს კანკელი იმპერატორ პერაკლიანს მოიგანა სპარსეთიდან, გამარჯვების შემდეგ — ამბობს ათანასე.

წინამძღვარი მიგვითითებს ეკლესიის ცენტრში მარმარილოს ფიქლებზე, სადაც ბერძნულად ამოკრულია გიორგი პირველი-მშენებლის სიტყვები: „მე დახატე ამ სიტყვებს ფრანგულად ფეთარგმნის; მამდილიად კი აქ არის ვსალმუნიდან ამოღებული სიტყვები (ფსალმუნე 74.3):

„მე დავამტკიცენ სუეტნი მისნი და უკუნისამდე არ შეიძრნენ“ — გიორგი მონაზონი ქართველი და აღმამშენებელი —.

დატა დაფუძნებისა ზედ არ არის. აკადემიკოს კორნელა კეკელიძის აზრით, ეს გიორგი I არის ვარაზვანი, რომელიც აქვე იყო წინამძღვრად 1204 წელში. მამასადამე, ეკლესიის დაარსება ამ ხანას ეკუთვნის. გიორგი II კი იყო ცნობილი მწიგნობარი, გიორგი მთაწმიდელის სახელწოდებით.

+

აქედან გადავდივართ ძვირფას საუნჯეთა საწყობში. მის დიდ კარებს დიდი გასაღები ალბს. აქ არის ვასაოცარი სიმდიდრე: სხვა და სხვა ფორმის ბარძიმები, მრავალი ძვირფასი ჯვარი, ოქროსი, ან ვერცხლისა, ძვირფასი თვლებით შემკული... ყველაფერი ეს შეწირულია ქართველთა მიერ და ამის დაწერილობით ცნობებს გვეყვების მოგზაური ტიპოთე ვამაშვილი, მე-18 საუკუნეში.

ენახეთ აგრეთვე პეტრე დიდის მიერ შეწირული სახარება, რომელიც ბაჯალლო ოქროს ყდით არის შეკრული და შემკული ძვირფასი თვლებით — განსაცვიფრებელი თავისი სიდიდით.

— ამის ვახსნა არ არის საჭირო. ძველი რუსული ენით არის — გვეუბნება ათანასე. — ახლა მე თქვენ განვივთავებ ქართველი ბერის გაბრიელის სახეს, რომელმაც პორტაიტისა მიერ მოიგნა ზღვიდან. — ათანასემ ანიშნა მოჩილის და მან გააღო ვანჯიჩინა; იქიდან გამოიღო ოქრომკვითი მოქსოვილი აბრეშუმი, რომელზედაც გამოქანებულია გაბრიელისა და ერთი წმიდანის სახე.

მერმე მივბრუნდით იქ, სადაც ამერიკელი კორესპონდენტი თავისი მზღებლებით გვიცდიდა. დავსხდით. ვისცვენებო. ათანასე ჩვენ მოვგმართავს:

— საღამოზე მწუხრის ლოცვა იქნება; თუ გენებათ დავსწავრთ. ზვად კი დილის ექვს საათზე უსათუოდ მოდიდ დილის წირვანზე. წირვის შემდეგ განვაგრძობთ დათვალიერება.

— ძალიან გვიანტერესებს ქართული ხელნაწერები და ბიბლიოთეკა...

— ყველაფერს ნახავთ; მხოლოდ ამ ამერიკელს არა უთხარა რა, თქვენ რაბო სურათები გადაიღოთ!

ალექსანდრეს სურდა უსათუოდ რაიმე წამოეღო სა-

ნახსოვროდ ათონიდან და ამიტომ იგი მამა ათანასეს მიმართავს დიპლომატიურად:

— მამო ათანასე! ასეთი პატივი დავდევით და ნება გვიბოძეთ შემოვიწიოთ თქვენს მონასტერს (გულის-ხმოზდა, რასაკვირველია, ფულს).

— როგორ გეკადრებათ! ჩვენთვის საკმარისია, რომ მოიტანეთ რწმენა და სიყვარული ამ მონასტერისა! ეს სასველი საკმაოა!

— მაშ, იქნება აქედან ვავატანთ სახსოვრად რამე!

— ამდამ ვიფიქრებ. ხვალ ენახოთ.

+

ამით დაეშორით წინამძღვარ ათანასეს და იქვე ჩამოგვეკით. შევცქერით გაღურვის ფრესკებს. ხმამალა ლაპარაკი ისმის. ამერიკელს ვეკითხებით:

— რატომ ჯავრობს თქვენი პროფესორი?

— აი, ეს მაღალი გამხდარი ბერი ნებას არ გვაძლევს სასწაულმოქმედ ხატის სურათი გადავიღოთ.

— თქვენ ხომ გაქვთ მთავარ სამმართველოდან ნება?

— ნებათვან რამდენიც გინდათ გეაქვს, მაგრამ ამ ბერსაც ალბათ აქვს უფლება, უარზე რომ არის! ასეთი შემთხვევა კიდევ მქონდა ერთ-ერთ ეკლესიაში.

— ქრთამი ჯოჯოხეთსაც ანათებს — ვეუბნები მას ხუმრობით.

— ფული მგათ არ აინტერესებთ. ეს მონასტერი ყველაზე მდიდარია. ყველა დიდი ოტელი სალონიკში ამ მონასტერს ეკუთვნის...

არ ვიცი, რამდენად სწორია ამერიკელის ეს ცნობა, ამის შესახებ მამა ათანასეს ვერ ვაუბრდებო შევკითხებოდი.

ბერსა და პროფესორის დაეაში ჩვენი ათანასე არ ჩარეულა. ბოლოს შესწყვიტეს კამათი და ათანასე ვაჰყვა ამერიკელს ეკლესიაში.

გულში მიხარობდა: აპა! ყოვლად შემძლე და უმდიდრესი ამერიკული ჟურნალის წარმომადგენელს სურათის გადაღების უფლება არ მისცეს და ჩვენ კი, უბრალო გარდახვეწილებას ან იოლად, ათანასის წყალობით შევძელით ეს.

რადგან სხვა საქმე არ გექონდა, ჩვენც ავედგენეთ ამერიკელს და ხელმოკრედ ვინახულეთ ფრესკები და სხვა ძეგლები.

+

ამასობაში ვახშობამაც მოატანა. ჩვენ ორი, ამერიკელი, პროფესორი და თარჯიმანი ვახშმად მიგვიწვიეს. სასადილოში უკვე ისხდნენ სალოცავად მოსული ორი ბერი და სტამბოლიდან მოსული ერთი ბერძენი. ვერ ვხედავთ სამ მუშას, რომელიც ამერიკელის აპარატურა და ბარგი მოიტანეს.

— სად არიან თქვენი მომყოლები? — ვეკითხებით ამერიკელს.

— აქ სიცილიური იერარქია ძველმწიფრის კიდევ... ისინი, ვარეთ რომ შენობა არის, იქ ვახშობა და იქვე დაიბინებენ.

ვახშმაც ღარიბული გამოდგა. მოვიტანეს ერთი საინი უტნაური გემოს თევზი წვეთი, პური და ერთი ქიკა დინო. ეს საჭმელიც ისეთი უგემური იყო, რომ ერთი კოვზი ძლივს გადავყლაპეთ.

— ნუ მიძალბებით მაკ საჭმელს — გვეუბნება ამერიკელი. — მე მაქვს წამოღებული სურსათი, დამეწვიეთ. აბა, უარს როგორ ვიტყვით! დილის ხუთი საათიდან ლობიოს წვენის მეთრ არ ჩავსვლია პირში!

— გადაციეთ ჩვენი მადლობა თქვენს პატრიარქულ რედაქციას...

— ამერიკის პროგრამაში: ყველას, მშვირთა და მწყურვალთა დახმარება — სიცილით ამბობს ამერიკელი და გავწდის საჭმელს და კიდევ რაღაც მაგარ სასმელს.

როდესაც ყველა დაენაყრდით, ვაიმართა საუბარი, ცხაბა, ათონის შესახებ. ამით ვსარგებლობ და პროფესორს ვეკითხები ზოგ რამეს; მინტერესებს ამ ბერძენი მეცნიერის პასუხი.

მამა ათანასეს განმარტება, თითქო პატარა ეკლესია მესხა საუკუნეში აშენებულია, მას საეკვოდ მიაჩნია.

— ეს მთა ლეგენდებით არის ვატენილი...

— ისე როგორც ძველი საბერძნეთი — უმატებს ამერიკელი.

პროფესორი ამტკიცებს, რომ ათონის მთაზე ქრისტიანები — პერმეტები — უკვე 50-ან წლებში ცხოვრობდნენ.

— ალბათ რადიოთი მიიღეს ცნობა ქრისტეს მოძღვრების შესახებ! — ხუმრობს ამერიკელი.

პროფესორს სახეზე ეტყობა, ეს ხუმრობა არ მოსწონს და განმარტავს:

— როდესაც ცნობილი პეტრე ანტონიტი აქ მოვიდა, მან აქ იცხოვრა ორმოცდაათი წელიწადი გამოქვაბულში; აქ უკვე განყენებული, განდევნილი ბერები ცხოვრობდნენ, მაღალ კლდეებზე. მათ არ ვაჩინდათ საჭმელი; შიმშილობდნენ ნებაყოფლობით; მხოლოდ სამოწყალოდ თუ ვინმე მოუტანდა მათ მცირეოდენ საწოვებს...

— ივერიელებს არ წუთბაძვით მათთვის, რომ ასეთი მშვენიერ ბუნების წიაღში გაუმართავთ მონასტერი...

— ახლა კი არც ერთი ქართველი აღარ არის აქ...

— ყველა მონასტერში დიდად დაიკლო ბერთა რიცხვმა — მიპასუხებს პროფესორი — აი, მაგალითად: რუსების მონასტერში, წმინდა პანტელეიმონის სახელო-

ბისა, ორი ათასი ბერის სამყოფელია; ამ ეჟმად ასამდე თუ იქნება! საბჭოთა რუსეთს უნდოდა 150 ახალგაზრდა ბერი გამოეყვანა აქ, მაგრამ ბერძნებმა უარი უთხრეს მათ შემოშვებაზე.

+

წარსულ საუკუნეში, ათონის მთაზე დიდი გავლენა ჰქონდა ძველ რუსეთს, რადგან მონასტრები ათონის მთაზე იმ ხანაში გალაზრდნენ, რუსებმა დაიწყეს მიწებისა და ეკლესიების შესყიდვა. და რუსების მფარველობა ბევრმა მონასტრმა მიიღო მაშინ. რუსებზე მათ მამულებს მოურავობას უწყევდნენ, მაგრამ მამულთა შემოსავალს რუსეთის მთავრობა მონასტრებს არ აძლევდა, თუ მათი წინამძღვარი რუსთა მომხრე და გამგონე არ იქნებოდნენ. მაგალითად: 1885 წლიდან ივერიონის მამულების მოურავი იყო რუსეთის ზელისუფლება. ივერიონს მამულები ჰქონდა: მოსკოვში, ბესარაბიაში, ეკატიაში; რუსები იღებდნენ შემოსავალს და ივერიის მონასტრს ყოველ წლიურად უხდიდნენ ასი ათას ოქროს ფრანკს. ერთ დროს რუსეთის სინოდმა მისი თანხა დაუკავა და მოსთხოვა ივერიონის მონასტრში იყო ქართველი ბერისათვის აღდიო დაეთმოთ. ბერძნები იძულებული იყვნენ ამას დასთანხმდებოდნენ.

+

ათონის მთა ამ ეჟმად კრიზისის განიცდის. მის შემოწირულებაც აღარ შეიძლება — ამბობს პროფესორი — ბირველი ომის შემდეგ რუსეთი, რუმინეთი და სხვა სლავური ქვეყნები ხელს ვეღარ უწყობენ ათონის მონასტრებს; მათ ჩვენმა, საბერძნეთის მთავრობამ ჩამოართვა ნახევარკუნძულის გარეშე არსებული მათი მიწები და ამის ნაცვლად წლიურად რენტა დაუნდნა, რაც ბერძნული ფულის დაცემის გამო ძალიან მცირე თანხა წარმოადგენს. ახალგაზრდები ბერად აღარ მიდიან, რათა შეავსონ მოხსენიებული კადრები; მაინც და მაინც მოხუცებს არც კი სურთ ბევრი ახალგაზრდა ბერი მოვიდეს აქ და თავისი სუსტი შემოსავალი მათ გაუყონ. თუ 1912 წელს აქ იყო შეიდი ათასი ბერი, ახლა აქ მხოლოდ ათასამდე ბერია დარჩენილი...

— ჩემი აზრით — ამბობს ამერიკელი: საუკეთესო გამოსავალი იქნება, რომ მონასტრები მუხუჭებმად გადააქციონ, ხოლო მონასტრთა შენობები კი გააწყონ ოტელებად. ეს ზღვა და ეს მშვენიერი ბუნება დიდ კონკურენტის გაუწყვდს ფრანგულ კოტაჯზრასა და იტალიურ რივიერას...

ამ ჟურნალისტ ბიზნესმანის ნათქვამმა საკითხი სიცილი გამოიწვია.

— თქვენ ვანმარტავთ, ბატონო პროფესორო, ათონის კრიზისს მხოლოდ ეკონომიური მიზეზით; იქნებ სხვა მიზეზიც არის? — ეკითხება მას ალექსანდრე. — მე

მგონია, ეკონომიური კრიზისის ვარა უნდა იყოს სულიერი კრიზისიც. თქვენი მონასტრები ქათოლიერთონ შედარებით კულტურულად უფრო დაბლა დგას აქეთ სკოლები, სემინარები, არ ეტანებიან შეცნობებებს; მონასტრების სარდაფები სასევა უძველესი ხელნაწიერთა და ნივთების; და არაიცი იწუხებს თავს მათ შესასწავლად და გამოსაცემად დასაბეჭდად...

— ნაწილობრივ ვიზიარებ თქვენს აზრს, მაგრამ გავიწყდებათ, რომ მონასტერი კულტურული ცენტრი კი არ არის, არამედ სარწმუნოებრივი კერა — ამბობს პროფესორი.

— აი, ეს ჩვენი მასპინძელი, ამერიკელი ჟურნალისტი იძულებული იყო ათინიდან თქვენ მოეყვანეთ, რომ ასხანავანაზტება თქვენგან მოესმინათ...

პროფესორი გვიპასუხებს:

— მონასტერ გოტაპედის მახლობელ გორაკზე არის ნანგრევი ერთი შენობისა... იქ არსებობდა ძველად ანტონიას სკოლა, რომელიც წარსულში დიდ ცენტრს წარმოადგენდა თეოლოგიურ და ფილოსოფიურ საკითხთა შესასწავლად. დღევანდელ ხანაში ეს საკითხები ისწავლებიან და ირკვევიან უნივერსიტეტებში...

— ბატონო პროფესორო! — მივმართავ მას: მოგახსენებთ ათონის სპეციალისტთა აზრს ამ საკითხზე. ერთი ფრანგი ეტება დღევანდელ აქაურ ბერთა უფიქრბას და მას განმარტავს და ამბობს, რომ არის ორი საუკუნე მას შემდეგ, რაც ბერძნული ეკლესიის იერარხის მეთაურობა დარწმუნებულია, თითქმის გონებრივ საკითხთა სწავლა-განვითარება იწვევს ერესს. ამიტომ ურჩევიათ აუტოკიარი თავი არ აიტკიონ. სანტერესთა კიდევ ცნობილი ბიზნტოლოგის პ. უსპენკის აზრი, რომელმაც კარგად შეისწავლა ათონის მონასტრების რაობა 1845 წელს და დიდი შრომაც დასწერა. მისი აზრით, ათონზე ბერძენი და სლავი ბერები მეთაუ საუკუნის ბოლოდან დღემდე თავის სიკოტლეს ატარებდნენ ღმერთზე ფიქრსა და ლოცვაში; მხოლოდ თავისი სულის ცხონებაზე ზრუნავდნენ. ამიტომ ისინი სწავლას, მეცნიერებას არ ეტანებოდნენ. პირადად ამას უნდა დაეფიქრო — ამ მხრივ გამოხატვის წარმოადგენდნენ ქართველი ბერები, რომლებიც მეცნიერულ და ლიტერატურულ მუღვაწეობას მისდევდნენ. ამისი საუკეთესო საბუთია ის აუტარებელი ხელნაწერი, ქართულ თუ ბერძნულ ენაზე, ამ ივერიონის მონასტრში ჯერ კიდევ შემონახული. ვამბობ: „ჯერ კიდევ“, რადგან საქართველოში გავრცელებული შეხედულებით, ამ საუკუნეთა გასწრებ ბერძნებმა გასაჩუქეს, თუ ვაპყრდეს ბევრი ხელნაწერი...

— ეს შეუძლებელია! — ამბობს გაჯავრებული ტონით პროფესორი.

— ფაქტებს დაეისახელებთ: 1880 წელს ათონზე ყოფილა ქართველი მოგზაური ბარკალაია; მას უნახავს ბერძენი ბერები, რომლებიც ქართულ ხელნაწერთა ფურცლებს ბოთლების დასაცობად ხმარებდნენ! მასვე უნახავს კონსტანტინოპოლში, მაზარზე გატანილი გასასყიდად, ქართული ხელნაწერები, ათონის მთიდან გამოტანილი.

— ეს ცნობა საკმარისი არ არის ასეთი ბრალდების დასამტკიცებლად — ამბობს უკმაყოფილო პროფესორი.

— ძალიან კარგი, ამ ქართველს ნუ დაუჯერებთ, მაშ, როგორ აღმოჩნდნენ მოსკოვში ქართული ხელნაწერები, წალეხული ათონიდან? ივერიის მონასტერიდან? საქე ასე იყო: 1665 წელს მოსკოვს ათონის მთიდან დაბრუნდა რუსი, ანსენ სუხანოვი და მან თან მიიტანა მოსკოვს ხუთასამდე ხელნაწერი, რომელიც მან მოსკოვის სინოდალურ ბიბლიოთეკას ჩააბარა! სამი მეოთხედი ხელნაწერთა ათონის ივერთა მონასტრის ეკუთვნოდა! რუსმა აუქციონდრიტმა ველადიმერმა შეადგინა კატალოგი ამ ხელნაწერთა. ვატკანის ბიბლიოთეკაშიც ბლომად არის ივერიონის მონასტრიდან წალეხული ხელნაწერი...

პროფესორი ჩემს განმარტებაზე არაფერს ამბობს; მხოლოდ მეკითხება, დაწყნარებული:

— საინტერესოა, რა შინაარსისა არის ყველა ეს წალეხული ხელნაწერი?

— თუ განიტრეყებთ, მოგახსენებთ: ქართველმა პროფესორმა ბ. ბუაჩიძემ, დიდი ხანი არაა მას შემდეგ, გამოკვლევა გამოაქვეყნა, სათაურით: „ბერძნული კლასიკური ხანის ძეგლები ათონის ივერთა მონასტერში“. აქედან ვიგებთ, რომ მოსკოვს მიტანილი, ვამბობ, ქართველთა მონასტრიდან წალეხულ ხელნაწერთა შორის, არის ძველ ბერძენთა დიდი მწერლებს — ესხილოასის, სოფოკლესის ტრაგედიები, არისტოფანესის კომედიები, ჰომეროსის ილიადა და ოდისეა, პინდარის ნაწარმოებნი და სხვა აგრეთვე მრავალი სასულიერო წიგნი.

მთელი ეს ვებებრთელა შრომა დაწერილია ბერგამენტზე! ყველა მას აქვს თანდართული კომენტარები. ქართველმა მეცნიერებმა დამტკიცეს, რომ გადამწერლები იყვნენ ქართველი ბერები. ზოგ ხელნაწერზე აღნიშნულიც არის გადამწერის სახელი: ქართველი ბერი თეოფანე, რომელსაც დიდი მუშაობა გაუწევია მეოთხრთმეტე საუკუნის დამდეგს. ხომ ხედავთ, ძველი ქართველი ბერები შეზღუდულნი არ ყოფილან მარტო რელიგიური საკითხებით; ქრისტიანული წიგნების გარდა ისინი ძველი კლასიკური კულტურითაც იყვნენ გატაცებული და მის გავრცელებას ცდილობდნენ...

პროფესორი ჩაფიქრდა და ცოტა ხნის შემდეგ სთქვა:

— როგორც ერთჯერ უკვე მოგახსენეთ, ამ მეცნიერულ და კულტურის საქმეს დღეს მონასტრები აღარ ეწევიან; ეს არის დღეს უნივერსიტეტის დანაშაულებანი; დღეს კი მონასტრების დანიშნულება არის მხოლოდ დიდებულური სარწმუნოების დაცვა-შენახვა. ამ მოვალეობას ის პირნათლად ასრულებს. თითოეული ბერი-სათვის სულიერი ცხოვრების გარეშე ქვეყანა არ არსებობს; არც ნათესავი; არც მეგობარი; ყველაფერი შენაცვლებულია ღმერთით. მხოლოდ ლოცვა; ლოცვა წმიდა, სიმბურვალე გულისა; სიჩუმე ფიქრისა; განწმედა აზროვნებისა, გონებისა; მისტერიის ხილვა, ნათელი გულისა — აი, მათი დანიშნულება და ამიფიხი ბედნიერად გრძობენ თავს, რადან სულიერად ძლიერი არიან...

— ყველაფერ ამის მივეყვართ ფანატრიზმისაკენ — ამბობს ამერიკელი.

— ივერიონში, წიწვის დროს. — ვამბობ: ვუკვირდებოდი ბერების პირისახეს; მათი თვალების გამომეტყველება რაღაც უცნაური იყო! თუ თვალში ადამიანის სულიერი განწყობილების გამომსახველია, მე იქ დაეინახე უსაზღვრო შინაგანი ძალა, სათნოება, სიყვარული...

— ამ შინაგან ძალაზე მოგახსენებდით წელიან — ამბობს პროფესორი — ამ მთაზე არიან ისეთი ბერები, რომლებსაც გარედან მოსული ხალხი ვერასოდეს ვერ იხილებს!

— აქ არის ბერების ერთი ჯგუფი, რომელსაც ჰქვია „აკიტი“. მათ არასოდეს არ სძინავთ, არც დღით, არც ღამით. ასეთია მათი აღთქმა. არიან აქ „ეთიოპაგ“-ები, რომლებიც არსად არ ცხოვრობენ, არა აქვთ ბინა, მხოლოდ დადიან და დადიან, ერთ ადგილზე არ ჩერდებიან. არიან „ჰეზიშისტ“-ები, რომლებიც მუუერებელივ იგოს ქრისტეს სახელს იმეორებენ. თუ თავი არ მოგაწყინეთ, ზოგ საკირველ ამბავსაც ვიამბობთ...

+

წმიდა მკარბი, რომელმაც 90 წელიწადი იცოცხლა, კვირაში მხოლოდ ერთჯერ კომპოსტის ერთ ფურცელს ჰქამდა! ერთხელ შემთხვევით მოჰკლა კოსა; ამ ამბავმა იგი ისე შეაფლანა, რომ თავისი თავის დასასჯელად წავიდა იმ გამოქვაბულში, სადაც კოლოების ზღუდე იყო; იქ კოლოების ნაკებნისაგან ისე გასივდა იგი, რომ დაბუნებებისა ბერებმა იგი მხოლოდ ხმით იცნენ!

ერთ ახალგაზრდა ბერძენს სურდა გაეჭურდა ერთი მონასტერთაგან და ამ მიზნით ბერად შესდგა. რამდენიმე წელიწადი ცხოვრობდა ბერებთან, მათთან ერთად მუშაობდა, მარხულობდა, ლოცულობდა. ბოლოს მან დიდად დამისახურა და დანიშნეს იგი ხაზინაძარის მოადგილედ. იგი ნელნელა იპარავდა ძვირფას ნივთებს



კედლის მხატვრობა ივირონში:
ოიანე ნათლისმცემელი

და შეუმჩნეველად აგზავნიდა თავის სოფელში. როდესაც იგი დარწმუნდა, რომ ის უკვე მდიდარი კაცია და შეუძლია კმაყოფილი ცხოვრება და თავის სატრფოს შერითვისა რომელიც წლობის განმავლობაში უცდიდა, ბერებს გამოუცხადა თავისი ვადამწყვეტილება მონასტრის დატოვების შესახებ და დანიშნა დრო წასვლისა. მაგრამ მოხდა უცნაური ამბავი: რაღაც მისტერიული ძალით, ჭერდი ბერი ავიდა სამარგლოზე და მთელი თავისი ძალით დაიწყო ზარების რეკა. არა ჩვეულებრივ დროს ზარების რეკამ ყველა ბერი შეგაზოვა ამარგლოს მთიდანვე. ყველა გაკვირებული შესცურადა ზევით. უცებ ზარების რეკა შესწყდა და ახალაზრდა ჭერდი ბერი მოსწყდა ამარგლოს და ავიდა უსულოდ დაეცა.

პროფესორმა ბერი რამ საკვირველი ამბავი გვიამბო ბერების ცხოვრებიდან, ზოგი — ძველი; ზოგი — ახალი. შევეცადეთ საუბარი უფრო საინტერესო დამაზებელად გავაგვეტანა და პროფესორის ვეკითხებო: **იხილეთ**

— წარსულში ათონის მონასტერი ყველა მართლმადიდებელ ქვეყანას აქ გაკეთებულ ხატებს აწვდიდა. შემდეგ რუსეთი გახდა ხატების მიმწოდებელი; იგი ათონს მეტოქეობას უწევდა; ახლა რუსეთში ხატებს აღარ აკეთებენ. როგორ არის ათონის მხატვრობის საქმე ამ ვამბად?

— ამ ნახევარი კუნძულის სამხრეთ ნაწილში არის ორი სკოლა მხატვრობისა, მაგრამ ორივეს შემოქმედება თითქმის ერთი და იგივეა. საერთოდ კი ძველი ბიზანტიური მხატვრობა მივიწყებულია...

— აბსტრაქტულ ხელოვნებას ალბათ არავითარი გავლენა არ მოუხდენია მათზე! — სიცილით ამბობს ამერიკელი.

— აქ დახატული ხატები ბერები მიაქვთ ბერძნებს ამერიკაში, კანადაში, ავსტრალიაში, აზინინაში — ამბობს პროფესორი.

— ბატონო პროფესორო! თქვენ ბრძანებთ, რომ ეს მონასტერი ივერიელთა დაარსებულია მეთექვსმეტე საუკუნეში. იქნებ ისიც გვითხრათ, როდის და როგორ გამოდევნეს ამ მონასტრიდან ბერძნებმა ივერიელები?

— ამის შესახებ ვერაფერს გეტყვით. თუ თქვენ გაქვთ რაიმე ცნობა, გთხოვთ გამაცნოთ იგი.

— დიდი სიამოვნებით. მონასტრის დამაარსებელ ქართველებს განუზრახათ დასაწყისში: აქ მხოლოდ ქართველი ბერები უნდა ყოფილიყვნენ; მაგრამ რადგანაც ისინი საკმაო მუშა-ხელს ვეთოვლობდნენ, ამიტომ ქართველი ბერები ბერძნებს იღებდნენ, რომლებიც თან და თან მომრავლდნენ. შემდეგ ივერიელთა მონასტრის სილაშხითა და სმიდირით მოხიზლული ბერძნები შეეცადნენ აქედან ქართველების გამოძევას და მონასტრის დაპატრონებას. მეთოთხმეტე საუკუნედან ბერძენ ბერთა რიცხვი უფრო გაიზარდა ამ ქართულ მონასტერში. ამავე დროს საქართველოში მონღოლთა შემოსევების შედეგად ქართული სახელმწიფოს მთლიანობა დაირღვა და, ცხადია, მას უტოვებოდაც გავლენა და პატივი დაეკარგა; ვერც მონასტრებს ეხმარებოდნენ ქართველები; ამით ისარგებლა პატარიაჩქა კ ა ლ ს ტ ე - მ და 1353 წელს, მისი ბრძანებით, რადგან ბერძნების რიცხვი მეტო იყო ქართველთა ამ მონასტერში, და თითქოს თავისი სულიერი თვისებებით ქართველები ბერძნებზე დაბლა იდგნენ, აკრძალა ქართველებისათვის მაღალ თანამდებობაზე არჩევა; ხოლო მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს, როდესაც რუსეთი საქართველოს დაეპატრონა და ქართული ეკლესიის ავტოკეფალიაც

გაუქმეს რუსებმა, ბერძნებმა ქართული მონასტრიდან საბოლოოდ განდევნეს ქართველი ბერები და მათ მიეცათ უფლება ეცხოვრა მხოლოდ მონასტრის გარეთ. აი, მოკლე ისტორია ქართულ-ბერძნული ურთიერთობის ამ ქართული მონასტრის გარშემო.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველები აღარ მეთაურობდნენ ივერიონს, ქართველი მეფე და მთავარები მაინც ზრუნავდნენ მისი კეთილდღეობისათვის. აქ მოხსენებულია აღაპებში გიორგი მეფე, ალექსანდრე მეფე, ერეკლე მეორე და სხვებიც; ესენი სწრაფდნენ ხოლმე ქართულ მონასტრს დიდ საფასურს...

პროფესორი, როგორც სწანს, ძალიან დინტერესდა ჩვენი განმარტებით, რადგან ამბობს:

— ეს ცნობები თქვენ გაქვთ ქართული წყაროებიდან მიღებული. საინტერესოა ბერძნული ცნობები ამავე საკითხზე. ოდესმე ვეცდები ეს საკითხი შევსაწავლო ბერძნული წყაროების მიხედვით.

+

ამ ბაასში ვიყავით გართული და ვერ შევემჩინეთ კაშვანს მთავარ რომ ამოსულიყო! ყველა გავდეთ აივანზე. აქედან მოსჩანდა საშაყლო, კოშკები და გუმბათები. მთავარის შუქზე მისტერიულად გამოიყურებოდა შენობათა ჩრდილი. იყო სიმშვიდე. მხოლოდ ფრინველთა გალობა გაისმოდა. ყველას გაუცვირდა ღამით ფრინველთა ჭიკჭიკი.

ახალგაზრდა თარჯიმანმა სთქვა:

— ეს მთავარიანი ღამე ისე ნათელია, ალბათ ფრინველებს დღე ჰგონიათ და გალობენ.

ამერიკელს გამოაქვს ფეხზე შემდგარი ფოტოაპარატი და აყენებს მას. მე ვეითხები:

— არა სჯობია დღის სინათლეზე გადაიღოთ ეს სურათი?

— არა უშვას-რა. იდგეს ასე აპარატი. იქნებ საყურადღებო რამე გადაიღოს ავტომატურად! ომის დროს ვიყავი ათინაში. ღამით ჟურნალისტები ოტელის ტერასაზე ვიკრიბებოდით ხოლმე. მე ყოველ საღამოს გამოქაზდებოდა ჩემი ფოტოაპარატი და ვაყენებდი: ვინ იცის, რა მიზანია? მაშალაც, ერთ ღამეს მოფრინდა ინგლისური ავიონი და ათინაზე გადმოჰყარა სხვა და სხვა ფერის შუქურები! ფეერული სანახაობა იყო! სხვა კორპორანდენტები დატრიალდნენ, მოაზრდნენ თავისი ფოტოაპარატები, მაგრამ უკვე გვიან იყო! იქ გადაღებულ სურათში მე პრემია მივიღე!

— ალბათ, ახლაც ფიქრობთ პრემია მიიღოთ! იქნებ ანგელოზები ჩამოფრინდნენ და ეკლესიის გაუმბათზე ჩამოსხდნენ! — ხუმრობს თარჯიმანი.

+

უკვე გვიანაა. მივიდევართ დასაძინებლად. მე და ალ-

ქსანდრეს მოვცეცეს სუფთა დიდი ოთახი. ელექტრონის განათება აქ არ არსებობს; ანთია ნათის სანათი. ერთ მდიდარ ბერძნის შუთავაგუბია მის სწრაფზე ქალექტრონის სადგურის აშენება, მაგრამ ათონის მთის შათოველობას უარი უთქვამს. ამერიკელებს, ომის შემდეგ, საბარგო ავტომობილები შეუფორავთ და გზის გაყვანას შეჰპირებიან. ამაზედაც უარი ეთქვამათ.

ასე რომ, თანამედროვე ელექტრონიკის მიღწევები აქ არ არსებობს. ცხოვრება გაყინულია საშუალო საუკუნეებზე. ერთად ერთი პროგრესი — ეს არის ტელეფონი, რომლითაც მთავარი მონასტრები დაკავშირებული არიან მთავარ სამმართველოსთან კარგად. მხოლოდ ერთმანეთთან მონასტრებს სატელეფონო კავშირი არ აქვთ.

ქვეშაგებელი და თეთრეული სუფთა არის.

ძილი არ მეკარება მიღებულ შთაბეჭდილებათა გამო; ყველადერი მეროდება ფიქრში. მთავარმ შემოანათა და ამან სულ გამომავდებოდა! ჩიტების გალობა გრძელდებოდა...

მიუხედავად უძილობისა და დაღლილობისა, დღის ხუთ საათზე ორივე ფეხზე ვართ. ცისკრის ლოცვის უნდა დავესწროთ. ლოცვის შემდეგ წინამძღვარი ათანასე წავგიძღვება ბიბლიოთეკაში...


— ასი ათასამდე წიგნია ჩემს ბიბლიოთეკაში — ამბობს ღღერევი ათანასე. — თქვენ გაინტერესებთ ხელნაწერები; აი, აქ არის ქართული ხელნაწერთა განყოფილება; აი მათი კატალოგი. ორი კატალოგია, ბლეიკისა და დუმენილის მიერ შედგენილი. ყველა ხელნაწერს, რასაკვირველია, ვერ ნახავთ. სანიმუშოდ იხილეთ რამოდენიმე...

და მას თაროდან გადმოაქვს დიდი წიგნი, შავ ყდაში ჩასმული. ეს არის ქართული ბიბლია, დაწერილი ხუცურის ასოებით.

ფურცელათა ამ ბიბლიის და განცვიფრებული ვარი; გვერდით ნაბეჭდი ასოები! ამ ბიბლიაზე ვნახეთ წარწერა მხედრული ასოებით: „წავიციოთხე და განვიხილე წიგნი ესე აქა მთასა წმინდას ყოფნას ჩემისა. პლატონ ოსიელიანი“.

ეს, ოშკის ბიბლიის უძვირფასესი ხელნაწერი შესრულებულია 978 წელს. ქართველი მეცნიერები მას დიდ ყურადღებას აქცევენ. ლ. მენაბდის ცნობით, 1849 წ. პლატონ ოსიელიანს იგი ათონიდან თბილისში მოუტანია; ის ვადაუწერიათ ორ ცალად; ერთი სამეცნიეროს მთავარის, დავით დადიანისათვის, ხოლო მეორე — თბილისის სიონის ტაძრისათვის. შემდეგ ეს ბიბლია დაუბრუნებიათ ისევ ათონის მთაზე.

პირველი ომის წინ რუსეთის სამეცნიერო აკადემიას დაუწვია ოშკის ბიბლიის ბეჭდვა; მაგრამ ეს საქმე ომის



იგირონის წიგნთსაცავი:
ქართულ ხელნაწერთა განყოფილება

ამოა შეჩერებულა. 1947 წელს თბილისში დაიწყო მისი სტუდია აკადემიკოს აკაკი შანიძის რედაქციით და ჯერ კიდევ დასრულებული არ არის.

ოპიზის სახელგანთქმული სახარება 913 წლით თარიღდება. სხვა მრავალი ხელნაწერია ამ ათონის ქართულ მონასტერში თავმოყრილი, მოტანილი უმთავრესად ტაო-კლარჯეთის საენაგებიდან. ოსმალთა მიერ ამ მხარის დაპყრობის შემდეგ, მე-15-16 საუკუნეიდან, ტაო-კლარჯეთში ქართული მონასტრები იხურებოდნენ და იქაური ბერები თავიანთი ხელნაწერებით მილიონდენ ათონზე, რათა იქ განეგრძობთ თავისი მოღვაწეობა. ისინი მტკიცედ იცავდნენ ძველ სამწერლო ტრადიციას, ათონზე ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელის მიერ დამყარებულს.

ყველა ხელნაწერი ყდაში არის ჩასმული, დანუმრული და კარგად შენახული. ხელნაწერთა უმრავლესობა პერგამენტზეა დაწერილი.

მანუსკრიპტების ასე კარგად შენახვა-მოვლა მკაცრად და ძალიან ვაგვახარა.

— ახლა გაჩვენებთ ბერძნულ ენაზე დაწერილ მანუსკრიპტს. ეს არის სასულიერო რომანი, გადაწერილი და დასურათებული მეთერთმეტე საუკუნეში: ვარლამისა და იოასაფის ამბავი...

ამ რომანის დასურათება მართლაც შესანიშნავია: ნაზი ფერები, ფაქიზი ხაზები; სრულებით არ ეტყობა გამოა დალი!

— მაშო ათანასე! — მიემართავ მას: ეს დიდებული

ხელნაწერი, რომელიც თქვენ ასე სამართლიანდ შეაქეთ, მართალია დაწერილია ბერძნულ ენაზე, მაგრამ მისი ავტორი იყო თქვენი წინამორბედი, სტრატონი მწერალი, წინამძღვარი ივერიონისა, ექვთიმე მთაწმიდელის, რომელიც მეთექვსმეტე საუკუნეში აქ ცხოვრობდა. მან იგი ქართულიდან ბერძნულად სთარგმნა, ხოლო შემდეგ ბერძნულიდან გავრცელდა მაშინდელ ქრისტიანულ ქვეყნებში.

მაშა ათანასე გაკვირვებული მიყურებს. მე ვანავარდობ: პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში არის ეს წიგნი, მეხუთმეტე საუკუნის ტექსტით, რომელიც გადაც არის წარწერა, რომ იქაბოლიდან ბერძნულად სთარგმნა ექვთიმე ივერიელმა. ვენეციაში წმიდა მარკოზის ეკლესიის ბიბლიოთეკაშიც არის მეფერთმეტე საუკუნის იგივე მანუსკრიპტი, ასეთივე წარწერით. აქვე ბიბლიოთეკაში არის გიორგი მთაწმიდელის თხუთხულება, რომელმაც აღწერა ექვთიმეს ცხოვრება მეფერთმეტე საუკუნეში. მისი ცნობაც იგივეა. საქართველოში მეცნიერებმა ნ. მარამა, ივ. ჯავახიშვილმა, პ. ინგოროყვამ, შ. ნუცუბიძემ საბოლოოდ დაამტკიცეს, რომ ექვთიმე მთაწმიდელი არის ბალავარიანის ბერძნული ტექსტის ავტორი.

— ეს სადავო საკითხია. გამიგონია, რომ ევროპელი ზოგი მეცნიერი სხვა აზრისა არის...

— ყველა არა! ჰომელი, პეტერსი იზიარებენ ექვთიმეს ავტორობის აზრს.

— დავანებოთ ამას თავი! მეცნიერებმა იმტერიონ თავი, თუ ვინ დასწერა იგი. ჩემთვის საკმარისია, რომ იგი დაწერილია მართლმადიდებელი ადამიანის მიერ!

— ძალიან მოხარული ვარ, რომ ეს ხელნაწერები ასე კარგად არიან დაცული. ჩვენ ამ სასიხარულო ამბავს გადავცემთ ჩვენ თანამემამულეებს; მთ ზორის გავრცელებულია შეხედულება, თითქოს ეს ხელნაწერები მოგებული არ არიან და იკარგებიან კიდევ.

— შესაძლებელია წინა ხანებში ეს ხდებოდა. წარსულ საუკუნეებში ეს მონასტერი ხშირად გაძარცვული იყო თურქების, არაბების, „ფრანკების“, კატალანების მიერ. 1285 წელს „ფრანკები“ დაესხნენ თავს ამ მონასტერს და მოსთხოვეს ქართველებს რომის პაპის უფლების აღიარება. ქართველებმა უარი უთხრეს მათ, რასაც მოჰყვა მონასტრის გაძარცვა. 1306 წ. კატალანებმა დაარბიეს ეს მონასტერი. 1308 წ. — არაბებმა. ამ მარბიელი ძვიროფის ნივთებთან ერთად მიჰქონდათ აგრეთვე ხელნაწერებიც. ახლა ეს შეუძლებელია. ჩვენ ისეთი სისტემა ვაჭყქს დადგენილი, რომ მოპარვა აქედან არ შეიძლება, არც დაიკარგება რამე. რასაკვირველია, ამ სისტემის თქვენ ვერ ვაგაცნობთ — ამბობს ლიმილით მაშა ათანასე.

— ახლა წაეიდეთ ზემო საბრუნველში, სადაც ნაბეჭდი წიგნების განყოფილებაა.

დერეფანში ვიტრინებია, სადაც გამოწყობილია სხვა და სხვა საგანი. ჩვენი ყუარდლება მიიქცია ერთმა სამოსელმა, რომელიც უჭირბოვლოდ და მრავალი პატრონისათვის თვალთ იყო შექმნილი...

— ეს არის იმპერატორ კონსტანტინის სადღესასწაულო სამოსი, რომელიც მან ჩვენს მონასტრს შეამოსწია...

ნაბეჭდი წიგნთა ბიბლიოთეკა ძალიან დიდია, ხოლო ქართული წიგნები ცოტაა. რაც არის, უმთავრესად ეხსტანგ მეფის სტამბიდან არის გამოსული. ერთ წიგნს ასეთი წარწერა აქვს: „შეწირულია მეფის ძის თეიმურაზის კარის ეკლესიისაკენ“; გობრონ საბანინის მიერ დაბეჭდილი პეტერბურგში 1882 წელს „საქართველოს სამოთხე“ და სხვა.

ნაბეჭდი წიგნებს ვერ ვაუძლიათ. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ბევრად უფრო ძალიან დროს მიხედვით. ბევრ მთავანს ჩრჩილი მოსდებია და დაუქმია. ბიბლიოთეკიდან შევიღვით წინამძღვრის კაბინეთში და ვბასობთ სხვა და სხვა თემზე.

— მამა თანასე — მიმართავს მას ალექსანდრე: გუშინ ჩვეინათ ერთად მოგზაურობდა ერთი ბერძენი, რომელიც ფრანგულ ლეიონ ეტრანდისში ყოფილა ომის დროს; მას უნდოდა აქ ბუჯად აღკვეცა. რა ბედი ეწვია მას? დაბრუნდა თუ არა მას ნება?

— არა. არ მივიღეთ. იგი ხანში შესულია და დაავადებულიც. ჩვენი მონასტერი არც მოხუცთა თავშესაფარია და არც სასნეულო.

— ჩვენ რომ მოვისტუვით აქ დაარჩნა და ბერად შედგომამ? — ეკითხები ხუმრობით.

— ვერც თქვენ მივიღებთ. ჩვენი წესია: ბერად შედგომა შეუძლია მხოლოდ ახალგაზრდას; კანდიდატმა სამი წელიწადი უნდა იმუშაოს მიწაზე; სამი წლით სკოლაში იგზავნება; ასე შეუძლია გახდეს ჩვენი წევრი. — ძალიან ძნელი პირობები ყოფილა! ამიტომ არის, რომ თქვენი მონასტრები თან და თან ცალიერდება!

იღმურე ცოტა ხნით ჩადვიჭდა და ბრძანა:

— თურქობის დროს უარესი იყო; ამის ნახევარიც არ ვიყავით, რაც დღესა ვართ. ღვთის წყალობით, კრიზისი გადავიტანეთ. დღესაც გადავიტანთ. მაგრამ ხან და ხან ექვი შეპარება, რაცა დღევანდელ კაცობრიობას ვუყურებ. ხალხმა ღვთის შიში და სახელი დაკარგა. იმედი მაქვს, რომ თქვენ შეიღებს ჩაუნერგავთ ქრისტიანულ რწმენას. მიხარია, რომ გადამოხვეწილ ქართველებს პაიხში მართლმადიდებელი ეკლესია შეგიქმნება. მე თქვენ ვგავტანთ ორ საჩუქარს ივერიელთა

მონასტრიდან. ერთი იქნება პარიზის ქართული ეკლესიისათვის, მეორე — თქვენთვის.

მე და ალექსანდრემ სიამოვნებით გადავხედეთ ერთმანეთს. ათანასე აღებს ღიღ ზანდუქსა და იქიდან ამოიქვს ორი მოზარდი ფურცელი...

— ეს არის ივერიონის სასწაულომოქმედ ღვთისმშობლის ხატის რეპროდუქცია. თქვენ როგორც ქართველებს მოგიღწენით მას. დეე, მისი ძალა და კურთხევენე მოუვალათ ღმერთმა. დამლოცნია თქვენთვის გზა, რომ მოვიდოხით დაბრუნებულყავით შინ.

ამ სიტყვებით გამოვიცხტურმა ამ კეთილმა ადამიანმა, ტომბი ბერძენმა, ჩვენ ორი ქართველი, მისული შორიდან ჩვენ მამაპაპათა შრომითა და სიყვარულთ შექმნილ საგანეში.

ნავის მოსვლამდე გვრჩებოდა ორი საათი. წავედით მიდამოების სანახავად.

ქართული მონასტრიდან სამსი მეტრის მოშორებით არის ერთი საბრუნველიანი გრძელი შენობა. ეს ქართველი ბერების ყოფილი სენაკები არიან ჩამწყვრივებული. აქ ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ქართველი ბერები მას შემდეგ, რაც ისინი ივერიონის მონასტრიდან გამოასახლეს. დღეს ეს ადგილი გულსაკლავად გამოიყურება. შენობა ჩანგრულია; ერთ დროს გადაღვეწებულნი მიღნა ყვირად ვადაქვეყლუ. ზაღაფელთ სურათი, რათა ძვირილ დიდდების ეს ნიშანი მაინც დარჩეს სამახსოვროდ. შემდეგ ესხდებით ივერიონის ტერასაზე და ეტკემებით მიდამოს ცქერით.

ორ საათზე მოვთავსდით ნავში. წყნარ ზღვაზე ნავმა ნელ ნელა მსკლურა. უკანასკნელად შევიტყობით დაკარგულ სამოთხეს, რომელსაც ასეთი უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული კულტურისათვის!

ხებდა რა ივერიელთა მონასტრის მნიშვნელობას აყვადმიყოსი კორნელი კეკელიძე სათანადოდ განმარტავს:

„თუ ქართული მწერლობა უაღრესად განვითარდა მეოთხმეტე-მეოთხმეტე საუკუნეში, ეს ივერიის მონასტრის მეოხებითაც, კვლავ თავმოყრილი იყო ქართველი მწერლების საუბრელო ძალეობის, რომელიც მიზნად დაისახეს გაეცნოთ თავიანთ თანამემამულეთათვის დასავლეთის ლიტერატურული სიმდიდრე და შემკვიდრობა. აქ ითარგმნა და გადაიწერა მომეტებელი ნაწილი ამ ლიტერატურული განქველბისა, რომლითაც ამაჟობს ჩვენი ძველი მწერლობის ისტორია. აქ, ათონის მთაზე ჩამოყალიბდა განსაკუთრებული სალიტერატურო, საგარამტეო და საკალიგრაფიო სკოლა, რომელმაც წარუშლელი კვალი დასტოვა ჩვენს წარსულში. ერთი სიტყვით, არც ერთი მონასტრი დაწე-

ებულებას არ ჰქონია ჩვენი მწერლობისა და კულტურის ისტორიაში, როგორც ათონის ივერიის მონასტრის, უიმისოდ ჩვენი კულტურის ისტორიას, შექმნა, სხვა სახე და ხასიათი მიეღო.“

ნელ-ნელა ვშორდებით საშუალო საუკუნეებს; ვუ-

ბიბლიოგრაფია:

1. ტომოთე გაბაშვილის „მიმოსვლა“.
2. კ. კეკელიძე — ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ტომი მეორე — მეოთხე.
3. ლ. მენაბდე — ძველი ქართული მწერლობის კერები.
4. კახაბე — ქართველები ბიზანტიის პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში.
5. საბინინი — საქართველოს სამოთხე.

ბრუნდებით მეოცე საუკუნეს და თან მოგვატყობს ჩუჩუშელი შთაბეჭდილება ჩვენ წინაპართან მიერ დაფუძნებული სავანისა, — გრონობა სიამყეს და დამცირებისა, სიხარულისა და მწუხარებისა. გიორგი ნოზაძე

გიორგი ნოზაძე

6. P. J. Launay — Grèce. Paris 1957.
7. G. Zographakis — Athos. Athènes 1962.
8. R. Coate — Mont Athos. Paris 1948.
9. J. Bies — Mont Athos. Paris 1963.
10. Ch. Bayet — l'Art Byzantin.
11. A. Schidke. Das Klosterland des Athos. Leipzig, 1903.
12. S. Avalichvili — La succession du Curopalat. Bruxelles 1933.

გივი შაორელი

მეფე ბეოლა

ჩვენი ოდის აიენიდან ჩანდა მწვანე მოლი, მ მოლს შუა ტანშალაი ალვა ასულიყო, დღაიჩი საშოვარზე სადღაც წასულიყო და წერილ ბარტყებს ალვის წერიზე მიეღულათ თოლი

ღელის პირას, სუცა: სი: ა ხლო, იღვა მწიფე ბეოლა; საწყალს ღამით მიხტა: ა: საწალკოს სიო, სიბრტყით ხრმალი შემოე: ა: ხარკი მომეციო, — იქ მდგარ ტირიფს თურმე ნ: შით ცივად გააქროლა.

უამრავი თუთა ენახე დილით: მოზნეული, შაშვები და ბელურები დასეოდნენ ყველა, ასაკრეფად გამობობდა ბიჭი ფეხშიშველა, ბეოლის პატრონს უხაროდა... ა: მოსცლია გული.

ჭრელ ფარდაგზე ნებიერად იწვა ჩვენი კატა, და ქედანა, ეზოს მცველი, გახლებით ჰყვფდა, ყოველ კენჭში და ბალახში მზის სიკოცხელ ჩქეფდა,— ეუმზერ მთებს და ვფიქრობ: რაჟა ასე ვინ დიხატა?!

ღმერთმა! ღმერთმა, თორემ ამის სხვას ვის შესწევს ძალი!

ცა მართლა რომ ფირუზია, აკაკიმ სთქვა ასე! და ხმელეთი ლალ-ზურმუხტი, იავარდით სავსე, საოცნებო ჩემი მხარე, ჩემი ნატერისთვალე...

ვაშინგტონი, 6 ივნისი, 1963 წ.

აპროსტინიზმი

ნანას მიმღერდა დედა, აკანას მირწევდა ბებო, მასამნების დაბლა ეზო ხალიჩად ეგო ქარიდან ჩანდა ქედი, მწვანე შაორის ეელი, მღის ღირეზე მქისედ ზონანავა პაპის ცელი. როცა შებინდა, მთებმა წამოიფარეს რიდე, წყალმა დაჰკარგა ფერი, „ნუ: დღევე, მოერიდე, მანება, რადგან სიხნავს“... ასე ამბობდა ბებო, მასამნების მაღლა ეზო ხალიჩად ეგო. ნაქეალიდან ნიავს გამოვუზანვა ჯარი, დედამ ჩუჩულთით მითხრა: „შეილო გვერია ჯვარი, ამიერიდან მცველად გყავდეს ნიკოლოზ-წმინდა, სიკოცხელ გქონდეს გრძელი, სხვა არაფერი მინდა“... 9 დეკემბერი 1963. ვაშინგტონი.

ღ

როგორც ნაბდებით ფლოქეარული ლურჯა ცხენები, ასე მიფრინავს უმბაჟოდ ჩემი ცხოვრება! შირიმე შენი, ხზრად ძილში მომეჩვენებო, ავახელ თვალსა, და ცრემლები ჩამეტბორება... 25 მარტი, 1948 წ.

შენდობა

ეჰ, ნეტა იმას; ვინც თბილისში გაივლის ვიდე და ნაცნობ ქუჩებს ჩამოუვლის სანახავად; მე უბედურმა ეს რა ჭირი გადავიკიდე: უსამშობლობა შემეყარა, ვავხლი ავდა...



არ მაქვს წამალი, ის მქონდა და
გადამიქცევს...
არ მყავს მკურნალი — მომარჩინოს
საწყალობელი...
იქ ალბად უკვე ხვანჭკარულით
აივს წამიქცევს,
და ნაღვლიანად თქვეს მათ ჩემი
შესანდობელი...

ვედრება

ოთხი წელი თითქოს ძილში ვიყავი, —
ძილში ვიყავ თითქოს მთელი წლოვით,
მკერდზე მძიმედ დადებული ლოდით!
ღმერთო, ღმერთო, მო წყალობა მიყავი,
ვიარსკვლავებო გადომოხმედი გრძობით...
22 სექტემბერი, 1945 წ.

ალსფელი. ზემო ჰესენი; გერმანია.

რახველი ოსტატი

ლურჯ გუმბათზე აღამალდე ჯვარი
და გულსაცე ჩამოხველი დაბლა,
ცას შეჰხედე. — სახე გქონდა წყნარი, —
და სთქვი: „ღმერთო, არ მიგრძენია დაღლა...
მე ხომ შენთვის ვაშენებდი საყდას,
ქრისტე, ჩემგან მიითვალე ესე,
და შემიღდე უზარალო მომკვდავეს,
შენს წინაშე თუ რამ ცოდავ ვეთყე“ ...

კარიბჭეზე შემოადვი კიბე

და სარტყელზე რაღაც წააწერი:
შეგებით, ტკბილად ღლინებდი კიდევ,
ხელოსანი იყავ მოსიძღვრე...
ძირს დასულმა აიხედე ზევით
და წააწერას გაუღიმე თბილად.
მარჯვენაზე დაიხედე ძლივით
და ჭურჯინთან მიხველი გულჩვილად...
შენს ჭურჯინში მოგელოდნენ ძმები:
ხერხი, ხევა, იზმირი და ცული,
ხაშტარა და რანდა, კუთხედები,
და წალღუნა ნისკარტმოკაული...
სწრაფად ხელი წამოავლე ჭურჯინს.
გადიკიდე ძმები ძლიერ მხარზე.
მოგეწონა ნაგებობა ბურჯის
და ახალი გეგმა შემოხაზე...
სასოებით ჯვარი გაღისაზე,
ქუთუთოზე დაეკიდა ცრემლი,
ოპ რა წმინდა გქონდა სახე
ლოცვა რომ თქვი უტყვნობი და წრფელი...
ნათლის სევეტი გადმოგვა ციდან
და მარჯვენაზე დაგეფინა იგი.
ხმატ მოგესმა ზეცის თაღებიდან:
„ღვთისთვის შრომა წესია და რიგი“ ...
ხელეჩოს ტარს სისველე აქვს ნამის,
დამშვეული — საქმეს ელის ახალს.
კვლავ აშხედე, — იქ ეწერა: „ამის
მშენებელი ენუქიმე მალხაზ“ ...

გივი შაორელი

9 მარტი, 1945 წ. ბერლინი.

ბ ა რ დ ა ს რ უ ლ შ ა მ თ ა

ამბავნი და სამყენი

ჩემს არქივში მომეპოვება მრავალი საბუთი გიორგი
დეკანოზიშვილის მოღვაწეობის შესახებ უცხოეთში;
ამასთან ერთად მაქვს წერილები არჩილ ჯორჯაძისა,
გიორგი ლასნიშვილისა და სხვათა. მე დიდი სტრეილი
მაქვს, თუ კი მოეახერხებ, მთლიანად ყველა ეს მასალა
დავბეჭდო. სხვათა შორის, ამავე არქივში არის „ნო-
ბილი დიდი ქართველი მოღვაწის, დიმიტრი ყივიანის
შვილის, ნიკოლოზის საბუთებიც. ნიკოლოზი იყო ემი-
გრანტი, ბელგიაში და იქ ცხოვრობდა ივანე მარტი-
ნოვის გვართთ; იგი დაკავშირებული იყო გიორგი დე-
კანოზიშვილთან. ამ „მარტინოვ-ყივიანის“ ერთ წე-
რილსა და ლექსს აქ ვაქვეყნებ. ლექსი როგორც პოე-
ზიის ნიმუში სათანადო სიმალღეზე არ არის, მაგრამ

იგი გამოხატავს იმ განწყობილებას, რომელიც მაშინ
დელ ემგრაციაში — 1903 — 1905 წ.წ. — ბატონობდა

მარკოზ ტულუში

მადლობას ვუძღვნი ბ-ნ მარკოზ ტულუშს აღნიშნუ
ლი მასალის მოწოდებისათვის და ვუსურვებ მას შესტ-
ლებოდეს მთელი მასალის გამომქვეყნება და არ დაკარ-
გულიყოს, როგორც დაკარგულად ვთვლი გიორგი დე-
კანოზიშვილის დღიურთა რეეულუმს და როგორც და-
იკარგა გიორგი ამილახვარის მოგონებათა ოცდახუთზე
მეტრ რეეული და კიდევ სხვისაც.

3. ნ.

მისტვირული



გაუმარჯოს საქართველოს!
 ღმერთმა მარად მას უშველოს!
 გაუმარჯოს ქართველ ერსა
 და მათ, ვინცა მას ამშვენებს!
 გაუმარჯოს ქართველ გმირებს,
 სახელოვანს დიდს ქართველებს!
 სხივ-მომფენსა თამარ მეფეს,
 ჩენი ქვეყნის დამშვენიებელს!
 დავით აღმაშენებელსა,
 ვახტანგს კანონთა-მდებელსა,
 დიმიტრი თავდადებულსა
 და ქეთევან წამებულსა!
 დიდსა ბაგრატს და ერეკლეს,
 პატარა კახს, ქვეყნის დამცველს,
 ტკბილსა შოთა რუსთაველსა,
 ჩენი ენის განმბრწყინებელს!
 გაუმარჯოს იმ გმირებსა,
 სახელოვანთ სპასილარებს,
 ზაქარიას, სარგის მხარგრძელს,
 სააკაძეს, დიდსა ორბელს.
 ამისთანას ყოველ ქართველს,
 ამისთანა ქვეყნის შვილებს!
 გაუმარჯოს ყოველს ქართველს,
 რომელიცა იმათს ევალს სდევს,
 ვისაც გული ისრე უძგერს,
 როგორც უძგერდა იმ გმირებს!
 გაუმარჯოს ყოველს ქართველს,
 ვინც ბაძილავში ასახელებს:
 საქართველოს, ქართველთა ერს,
 თავის გვარსა, თავის სახელს!
 საქართველოს გაუმარჯოს,
 გული, მკლავი გაგვიმაროს!
 ღმერთმა ბედი მიანიჭოს
 ჩვენს ძვირფასსა საქართველოს!
 გაუმარჯოს ქართლს, კახეთსა,
 გაუმარჯოს იმერეთსა!
 ღმერთმა მარადის უშველოს
 გურიასა, სამეგრელოს,
 რაჭას, ლეჩხუმს და სვანებსა,
 ჭიჭიას, ფშავეთს, ხევსურეთსა!
 ღმერთს ვევედროთ რომ ინებოს
 საქართველო ქართველთ დღაგერჩეს;
 ნუ ინებებს რომანოვმა

ანპალტ-ცერბსტმა გადაგველაოს...
 გაუმარჯოს ვაჟი კაცებს,
 მოხუცებსა და ყმაწვილებს,
 გაუმარჯოს მანდილოსნებს,
 ეშხიანსა, ლამაზ ქალებს;
 მათმა ეშხმა, სილამაზემ
 მტერთან გული გაგვიმაროს,
 იმათ ტრფოვამ ერთი ათად
 ჯანი, ღონე მოგვიმატოს!
 ღმერთმა ყველა ვადღეგბრძლოს,
 ღმერთმა ყველას გაგვიმაროს!
 კიდევ ღმერთმა გაუმარჯოს
 ჩემს სამს შვილსა, სამს ანგელოსს,
 დღენი იმათ ვაჟგბრძლოს,
 ჩემი თავი ანაცვალოს!
 ამის მთქმელი ნებას გთხოვთ,
 ერთი სიტყვაც მოვახსენით:
 მაშ ეროს სიტყვას კიდევ ვიტყვი,
 არ ვამიწყუბო, ყმაწვილებო!
 ბოლოს ღმერთმა გაუმარჯოს
 ამის მთქმელსა ნიკოლოზს.

ნიკოლოზ

ძმანო და მეგობარნო

ამ დღეებში ერთმა ქართველმა ქალმა, მანდღამ ორი დღით აქ მოსულმა, — ელიკო წერეთლისამ, მოგვიტანა ორი № „საქართველო“-სი. რა თქმა უნდა, რომ დიდად სასიამოვნო იყო ჩემთვის, საქართველოდამ დიდი ხანია ამ სიშორეს ვადმოტყორცნილს, თავისუფლად გამოთქმული ქართული სიტყვის გამონათება და სულით და გულით დავიძახე მეცა: „გაუმარჯოს საქართველოს“-მეთქი. გულით ვისურვებ ხელი მოგიმართოსთ და გულის წადილი ავირულოსთ. რაც ჯანი და ღონე გვაქვს უნდა ვეცადოთ ეს პირველი უცნაურთა თავისუფალი და დამოუკიდებელი ორგანო ქართველთა ერისა წარმატებას მიეცეს.

ვთხოვთ, რაც უფრო საჩქაროთ შეიძლებოდეს, მაცნობათ — მიიღებთ თუ არა „საქართველო“-ში დასაბუქდად ერთს ჩემს ამ ათიოდე წლის წინეთ ნაწერსა: „მამი ჩემის დიმიტრი ყიფიანის უყანასკნელნი დღენი“. როგორც მოგვხსენებათ, მამა ჩემი რუსეთის მთავრობამ მოგვიკლა. რა იყო მიზეზი, ესეც ვეკლდინებათ. ამ ათი წლის წინეთ დავესწერე რაც ვიცოდი და მინდოდა ჩვენშივე დამებუქდა. ვანგებ ცუნაურის მიხედვით რაოდენათაჲ კი შევიძელი შევამჩატე სტილი: ახლა გულით მსურს ეს ჩემი ნაწერი მანდ დაიბეჭდოს, როგო-

რიც არის, ახალი დამატებითურთ. თითო ნუმერში რომ ერთი გვერდი ან გვერდ-ნახევარი მოუნდეს, ექვსსა ან შვიდს ნუმერში დატევა.

თუ ლექსებს დაბეჭდვით ხან და ხან, იქნება ამ ლექსების დაბეჭდვა ინებოთ.

გარდა ამისა, ჩვენი წარსულის ეპიზოდები მაქვს ზოგიერთი, რომელიც ჩვენში ვერ დაიბეჭდება; თუ გინდათ, გამოვიგზავნი.

ამ წერილის პასუხი გთხოვთ ამ აღრესით მომწეროთ: Bruxelles, M. Ivan Martinoff, Chaussée de Wavre, 33. მე აქ ამ სახელით ვცხოვრობ.

თქვენი პასუხის მოუთმენლევ მოლოდინე ვიქმნები

როდესაც მესამე № გამოვა „საქართველოში“, გთხოვ გამოვიგზავნოთ ჩემი შვილების სახელზე, ან წირად: Miles Barbara et Nina Kipiani, Chaussée de Wavre, 16, Bruxelles. (ამ ჩემი წერილის პასუხშიც შენიშოთ ჩემი შვილების სახელზე გამოვიგზავნოთ), ელიკო წარეთლისა რომ ნახავთ, გთხოვთ გარდასცეთ, რომ მეცა და ჩემი შვილებიც გულითად მოკითხვას ვუთვლით.

თქვენი ერთგული ნიკოლაოზ ყიფინი
(იგივე: ივან მარტინოვ)

23 მაისს, 5 ივნისს, 1903. ჭ. ბრუსელის.



მარცხნივ: ა. ჯორჯაძე; მარჯვნივ: გ. დეკანოზიშვილი

† გიორგი დეკანოზიშვილი

დ ღ ი შ რ ი

წინასწარი შენიშვნა: სრულიად შემთხვევით, ჭან მედვა დამზამიძის ასულ ნიკოლაძესთან უბრალო საუბარისას, ვაივებ, რომ მას ჰქონია გიორგი დეკანოზიშვილის ნაწერები. ამ ცნობამ მეტად გამაყვირა, რადგან ასეთი ხელნაწერი არ მეგულებოდა და შეეშინდი, იგი არ დაკარგულიყო. ვთხოვე იგი ჩემთვის ეჩვენებინა. და შემდეგ, როცა ამ ნაწერის მისაღებად მიველმასთან, აღმოჩნდა, რომ მას იგი ხელთ აღარ ჰქონია. ამ ამბავმა დიდად შემაწუხა, მაგრამ მალე დაეწყნარდი, როდესაც ვაივებ, რომ გიორგი დეკანოზიშვილის ნაწერი ჭან მედვასგან ბ-ნ ნიკ. თოხაძეს წაუღია; — დარწმუნებული ვიყავი ეს ხელნაწერი მის ხელში არ დაიკარგებოდა და კიდევ მივიღე იგი.

ეს ჩვენი ისტორიისათვის დიდად მნიშვნელოვანი ნაწერი ურადლებით წავიკითხე და ჩემთვის აშკარა გახდა, რომ ეს რეველი ერთად ერთი არ უნდა ყოფილიყო.

ამ რეველიდან ცხადია, რომ გიორგი დეკანოზიშვილი დღითურებსა სწერდა და აქ გამოქვეყნებულ დღიური კი იწყება 1904 წლის ივლისის 25-ით, და იწყება ყოველი განმარტებისა, ან შენიშვნის გარეშე, — ისეთი ამბავით, რომელსაც მკითხველი არ იცნობს. და მას კიდევ ბევრი ამბავი მიუძღოდა, უეჭველია. ამიტომ ვფიქრობ, გიორგის მოგონებათა სხვა რეველები გერჯერობით დაკარგულად უნდა ჩაითვალოს. შევეკითხე ყველას, ვისაც შეიძლება გიორგის ნაწერები ჰქონოდა, მაგრამ უშედეგად. მხოლოდ დრ. მარკოზ ტულუშმა პარიზზე გამოვლისას ჩამოთქმანა და მაჩვენა ბევრი მასალა გიორგი დეკანოზიშვილს რომ ეხებოდა, მაგრამ დღიურთა კვლი იქ არ სჩანდა.

ამ რეველში მოთხრობილი არ არის: გიორგი დეკანოზიშვილი თუ როდის და რატომ წამოვიდა უცხოეთს; როგორ მოაწყო მან ქართული სტამბა პარიზში; როგორ გამოსცა მან ვაზეთი (კურნალი) 1903 წელს, სახელწოდებით „საქართველო“, ქართულად და „ლა ევროპი“, ფრანგულად; ვინ იყვნენ მისი პირველი თანამშრომლები და დამხმარენი; როგორ გააბა მან კავშირი ემიგრანტ რევოლუციონერებთან, რუსეთთან, თუ სხვა ერის შერიგებთან; როგორ მოაწყო მან ქართველთა კონფერენცია, და რაც მთავარია კიდევ, როგორ და რა გზით დაუკავშირდა იგი იაპონელებს (რუსეთ-იაპონიის ომის დროს); როგორ შეიძინა მან იარაღი საქართველოში გასავაზენად და სხვა და სხვა.

გიორგი დეკანოზიშვილის ამ რეველის წაკითხვამ გამახსენა ის რუსული წიგნაკი, რომელიც მე ვითარჯნე

და დაბეჭდულ თურნალში „ქართველი ერი“. ეს წიგნაკი იყო „იზნანკა რევილდუსტი. ეოორუთიონოე ეოხსტანიე ვ როსსი ნა იაონსკია სრედსტეა. ს. პეტერბურგ. 1906. ცენა 10 კოპ.“.

ჩემთვის მამინაც ცხადი იყო, რომ ეს ოცგვერდინი რუსული წიგნაკი გამოცემული იყო რუსეთის „ოხრანკის“ მიერ, რათა რუსის ხალხისათვის დაემტკიცებინათ, რომ ქართველები აჯანყებას აწყობენო იაონელებს ფულთო.

როდესაც წავივითხე გიორგი დეკანოზიშვილის დღიური-რეველი, დავრწმუნდი, რომ რუსული „ოხრანკა“ არც თუ უკლად მუშაობდა. მის აგენტებს კარგად გამოუტყვევიათ, რომ გიორგი დეკანოზიშვილმა იაონელებისაგან ფული მიიღო და შეიძინა იარაღი საქართველოს გადასაგზავნად. რუსულ წიგნაკში დაბეჭდილია იაონელებისა და სხვა პირთა წერილები, დეპეშები და საბუთები, რომელთა მოპოვება ჯაშუშებს თავისი დაუდგომელი მუშაობით მოუხერხებიათ, მაგრამ მათ ერთი მაინც არ იცნან: ვარდა გიორგისა, რომელი ქართველი მონაწილეობდა ამ საქმეში. აღნიშნულ წიგნაკში თვინიერ გიორგისა, არც ერთი ქართველის სახელი და გვარი არ არის, ხოლო თვითონ გიორგის დღიურში კი მათ ეცნობოთ.

გიორგი დეკანოზიშვილი ასახელებს შვეიცარიელს „ბო“-ს (ევენი ბო), მაშინ როდესაც რუსული „ოხრანკის“ წიგნაკში ამ „ბო“-ს ვარდა მოხსენებულია იაონელი „აკაში“ (არის გამოქვეყნებული წერილები და დეპეშები გიორგის მიმართ).

გიორგი დეკანოზიშვილის ეს დღიური ნაჩქარევად დაწერილი; მას დრო ალბა ჰქონდა: ამბავი უფრო დალაგებით მოეთხორო და ალბათ შემდეგ, მძიმე სნეულებამ შეაფერხა იგი ეს დღიური მეტყუარებად გადაეკეთებინა. ეს ნაწყვეტი დღიური მაინც ძვირფასია ჩემი ისტორიისათვის.

დღიურში მოხსენებული „მიშო“ არის მიხეილ კიკნაძე, ვახუთ „საქართველოს“ ასოთამაშეობი; აჩილი არის არჯილ ჯორჯაძე; დანარჩენთა გვარები მოხსენებული არიან.

პარიზში განსვენებულ ანდრო დეკანოზიშვილს ერთ დღეს ვთხოვე აღეწერა გიორგი დეკანოზიშვილის ცხოვრება და მოლაშქეობა. მძიმე ავადყოფობისა გამო მან ეს ვედარ შესძლო და მხოლოდ მოკლე ბიოგრაფიული შენიშვნა მომაწოდა, რასაც აქვე განმეორებით ვთავსებ, რადგან თურნალი „ქართველი ერი“ დღეს ძნელი საშენიელია.

ანდრო დეკანოზიშვილი სწერს: გიორგის ეხმარე-

ბოლოა ახალგაზრდა იასონი (თუში), გვარად გვარნი ქადაგიძე.

გიორგი დეკანოზიშვილის რეველიდან კი სჩანს, რომ ეს თუში იყო იასონ ბობლაშვილი, რომელიც 1905 წელს სათაური „დღიური“ მე წავეწერე.

თავის თვად ცხადია, ამ დღიურს ვბეჭდავ სრულიად შეუცვლელად. ამაში () ჩასმული ასო, ან ნიშანი ჩემს ჩამატებას წარმოადგენს.

გ. მ.

გ. მ.

† ანდრო დეკანოზი

† გიორგი დეკანოზიშვილი

გიორგის მამა, გაბრიელი, ოფიცერი იყო და უმეტესად რუსეთში ცხოვრობდა. ამიტომ მისმა ვაჟმა გიორგიმ და ქალიშვილმა მარიამმა სრულებით არ იცოდნენ ქართული. გიორგი, პეტროვსკში, დაიბადა ავგუსტოში 1868 წ. თბილისში მისმა მამამ იყიდა პატარა სახლი „ნოვოგიორგიევსკია პლოშადი“-ზე. ნორაშენის ეკლესიის ახლო და შვილები მიაბარა: გიორგი რეალურ სასწავლებელში, რომელიც მან მშვენივრად დაასრულა, და მისი დაა ქალებმა პირველ გიმნაზიაში. შემდეგ გიორგიმ დაასრულა პეტერბურგში სამთო ინსტიტუტი, საუკეთესო დიპლომით. საკვირველი ის იყო, რომ გიორგი ჯერ რიადც სამხედრო სასწავლებელში მიაბარა იმისმა მამამ მოსკოვში, მაგრამ მან მალე მიატოვა სამხედრო კარიერა. გიორგი და მხედარი! მეტად პატარა ტანისა, სუსტი აგებულებისა, წერბილი ხმა; ავადმყოფობის დროს ძლივს ლაპარაკობდა. ქართული ენის სწავლას გიორგი შეუდგა პეტერბურგშივე სტუდენტობის დროს; თბილისში კი ოჯახში ვერაფერი შეიძინა.

გასაოცარი იყო ის ტრანსფორმაცია, რომელიც ამ ადამიანმა განიცადა. იმდენად იყო „გარუსებული“, რომ ჰუდის სახელიც არ იცოდა და პირველად რომ ნახა ჰადი ჩემს სახლში ბავშვობისას, „ხოლოტრი ხლებ“-ი დაარქვა მის და აი, ეს ადამიანი, რომელმაც მართალია ჰუდის სახელიც კი არ იცოდა, ვახდა შემდეგში გულწრფელი და თვადიდებული პატრიოტი. მთელი მისი გონება, ენერჯია და თვით სიცოცხლეც სამშობლოს შესწირა. არავითარი წერილმანი თავმოყვარობა და ამბიციისა მას არა ჰქონდა. საქართველო იყო მისი ფიქრის, გრძნობის, მოქმედების ერთადერთი საფარი. მიუხედავად სუსტი აგებულობისა და შემდეგში მძიმე ავადმყოფობისა, ეს იყო კაცითი მგარი

და უღრევი ხასიათის პატრონი. მისი ნელი ზმით ბაასი, ყოველთვის მოფიქრებული და გულწრფელი, ადამიანზე საკვირველად მოქმედებდა. იზიდავდა უსიკეთ და აჯებებდა, რომ ის მართალი იყო. ყველა მოსიკეთლა წრეებში ჰყავდა მის მეგობრები. ერთმა ოსმალეთის გამოჩენილმა მოღვაწემ მშვენიერი წერილი მოსწერა სტამბოლიდან, როდესაც მიიღო პირველი ფრანგული ნომერი „საქართველო“-სი და უჩვენდა თავის პარიზელ მეგობრების ვაცნობას და კავშირის დამკურას.

ბრაზილიაში გიორგი ვაგაზენა გიორგი ზდანევიჩმა 1902 წ. ივლისში. იქიდან დაბრუნებისას შეუღდა „საქართველოს“ გამოცემას. მოიწვია არჩილ ჯორჯაძე. ცხოვრობდა პარიზის მონპარნასზე, 168; არჩილ ჯორჯაძემ ახლო ცხოვრობდა რაჟ რენე პოლინო-ზე; რედექტია ჟურნალისა კი იყო 51, რაჟ სან სოვაჟორ.

გიორგიმ ჯერ ვაიკონო და დაუმეგობრდა ცილიაკუსს, და ფინლიანდლებს. გიორგის ეხმარებოდა ახალგაზრდა იასონ (თუში), გვარად შგონი ჰადაგიძე.

თუ არ ცვდები, იარაღის მომტან გემზე ისიც იყო. გიორგი როდესაც მძიმედ ავად გახდა ივლისში 1906 წ., წავიდა ლოზანაში; შემდეგ ერთი წელიწადი ვენაში ექიმობდა და იქ, მარტში არჩილ ჯორჯაძემ ინახულა და რამოდენიმე თვის შემდეგ არჩილი თვითონდა ავადმყოფი დაბრუნდა საქართველოში.

არის ერთი წერილი გიორგი ლასხიშვილისა, სადაც

ის თხოულობს „ჯოხებს“ (თოფებს), მაგრამ მისი წერილი არ არის იმედით საესე. ჩვენ მანც ვემუშაობთ. ი. იწერება ლასხიშვილი, მაგრამ ვემუდრებოთ გიორგი ლასხიშვილის სისუსტეს, გულს უშვებრებს ავადმყოფ გიორგი დეკანოზიშვილს და ეუბნება „ლიბერალბუნად“ არ გადავიტყვევითო. რაც შეეხება „სოც. დემოკრატებთან“ შეთანხმებას, რომელსაც გიორგი დეკანოზიშვილი უჩვენებდა, ის სხვა აზრისა იყო: მათთან კავშირი შეუძლებელიაო, მათ მხოლოდ ჩვენი „ჯოხები“ (ე. ი. თოფები) უნდათ, თორემ სხვა არაფერი, სულ ჩვენი ლამაზ-ვაინებაში არიან და სახელს გეიტებენო. და უგზავნის პარიზის მანდატს მომავალი კონფერენციისათვის.

1907 წ. ოქტომბერში გიორგი ოჯახობით გადასახლდა მონპელიეში, სადაც ცოტა უკეთ შეიქმნა, მაგრამ 1910-ში უცაად აღმოაჩნდა ქლექი და საჩუროდ გადაიყვანეს კან-ში, სადაც გაარდიცვალა 18 ნომბერს 1910 წ.

† ანდრო დეკანოზი

პარიზი, 1944 წ.

მიმატება: გიორგი დეკანოზიშვილის ნეშტი იმავე წელს გადაასვენეს თბილისის და დასავლეთის წმიდა ნინოს სასაფლაოზე. ე. ნ.

ბიოგრაფიული აღწერის დანიშნულება

25 ივლისი, 1904 წელს.

დღეს დილით დაებრუნდი სოფლიდან. გულს მიკლავს ავარტყოფობა. ცოლი ავარტყოფია. ქრონიკული ფილტვების ბრონხიტი აქვს, ე. ი. სიკლექი. ტარიელი ვერ არის კარგა, რადგან ჰანრიეტა ავად იყო მის ორსულობაზე. თინათინი ჯფრო ყოჩაღს ჰკავს. ვერვინ წაუვა ბუნებრივ კანონებს. ჩამომავლობას მდედ მზნენვლობა აქვს. სუსტნი უნდა დაიღუპონ ბრძოლაში. ეს არის ადამიანის დაკნენა, ეს ფაქტები ამსხვრევენ ყოველგვარ მეთაფიზიკურ ოცნებებს. ბევრი წერილები დამიხვდა. სადილობადინ მოუხდი მათ გარჩევას. სასიამოვნო ამბავია შიგ. რუსების ლიტერატურა გაზრუნია. წერილი მიეწერე სოციალისტ რევოლიუციონერებს (.) რომ მათი უფრანგები ვაგზავნილია ჩემს მიერ. ძლიერი გაუხარებდათ. მეც მიხარიათ (.) რომ შეველა შევქმელი. ზდანოვიჩისაგან სამი დეპეშა იყო. ერთი დეპეშა 100 სიტყვაზედ მეტს შეიცავს. მთხვავს წავიდე ანტერპენში და შვიი ქვის საზოგადოების შავი ქვა დაეთავალიერო. უსიამოვნება მოსვლიათ. უნდა დაე-

თანხმდე, რადგან ჟურნალისათვის სამყოფი ფული არ გავქვდა. ცოტა მინც დარჩება — ევეც კარგია, რადგან საწყალო მრუსს (.) ასოთ-ამწყობს ფული არ აქვს.

პოლონელი პარტია პ.პ.ს., ე. ი. პოლონელი სოციალისტები კონგრესს მართავენ. სურთ მოიწვიონ ყველა სოციალისტები რუსეთისა. ჩვენც ვეიწვევენ. უპირველესი მიზანი, რასაკერაველია, იქმნება ბრძოლა რუსის მართებლობის წინააღმდეგ. მგონია რუსების პარტიები უთანხმოების გამო არ დავსრუებთ (.) ასე რომ დავრჩებით: პოლონელები, ფინლიანდლები, სომხები, ლიტოველები, ქართველები და სხვა... ჯერ არ არის გამოარკვეული ვინ და ვინ ეიქმნებით. არება იქმნება ლემბერზე. იქ წასვლის ფული უნდა. მით უმეტეს უნდა წავიდე ანტერპენში. ჩვენ თანხმობა გამოუსხადეთ წინარ კონგრესი მინაწილოების მიღებისა. გამაშვილი იწერება (.) რომ მიგზავნის ვაზთების უკან, რადგან მის დიდას შენიღბია და ვერ წაუღია რუსეთში. კიდევ კარგია (.) რომ არ გადაუყრიათ. მშინურები ეგახდები. თუმცა ეგ დროებითი მოვლენაა. ყველას გავეცო პასუხი. რვა წერილი დაეწერე და 2 (გაურკვეველი).

დამრჩა 1 ურ. როგორც იქმნება დღეს გამოვალ. უკან ტიპოგრაფიაში ვიყავი(;) ვეამხნევე მიზა. ჩვენი კონკრეტის ოქმებს აწყობს. ტიპოგრაფიადი ძველ სადგომში დაბერუნდენ ვახუთების გამოსართმევად. ჩამდენჯერ მივეწერე ცნობის ფურცლის და ივერიის რედაქციებში უამოუცვალათ ადრესი, მაგრამ ვერ მივიღწიე მიზანს, ჯერ წესს ან არიან მიჩვეულნი. საღამო გახუთების და ჟურნალისტის კითხვაში ვავატარე. 10-ს მოვიდა მიზა. ვილაპარაკე გვიანობამდინ. ძალიან უნდა ჩვენში წა(ს)ვლა.

26 ივლისი

დღეს დილით ადრე ავდექი. ჩემი ფიჭვი ის იყო, რომ უკან დაბრუნებული ვახუთები „საქართველო“, როგორმე გამეგზავნა. ფული ან არის. გამოსულ ნომრებს კი ვაგზავნა უნდა. აქ სამი ქალია ქართველი. ერთი ქეთისილიდან ქანი გოლოვინა და ორი თბილისიდან(,) ვახუთიშვილის ქალები არიან. უნდა წაიდე მათთან. ვიცი თანავიგობანობენ(,) მაგრამ ან ვახუთლებს ვამოიჩინენ(,) ჯერ არ ვიცი. მივიღიარე გოლოვინასთან. თომეტ საათამდინ ვიჯექი გოლოვინის ქალთან. უშიშრად დათანხმდა წალებას. ქალები უფრო სინდისიერთად და უშიშრად იქცევიან. მეტადრე, ახალგაზრდები. მე აუხსენი(,) რომ მაგისტვის მოელის 2-3 წლის ცხებ და რაგორი ცხებ — რუსეთის ცხებ. მაინც მოპვიდა ხელი. კაცო რომ ყოფილიყო(,) ძნელი უნდა იქნებოდა. იტყვიან(,) მე იქ გამოვადგებიო(,) იქ ვიშინებო(,) (,) ჩასაკვირველია(,) არავფერს არ ვაკეთებდა. 2-ს მიველი ვახუთიშვილის ქალებთან(,) მათთან 6 საათამდინ დახარხი. ისინიც (ვაუტრკვეველი სიტყვა) სიამოვნებით თანმდებთან წალებას. ეხლა მარტო ფულის შოვნა უნდა(,) რომ მოუწყუთო როგორც წესია. სირცხვილია ამგვარი ხრიკებით ვახუთებისა მეოცე საუტუნეში, მაგრამ რას იზამს ადამიანი, სად წაუვა ამ გვარ დესპოტობას. ვინ დაიჯერებს(,) რომ მეოცე საუტუნეში დაბრუნდელი ჟურნალისტები ვადავტაქეს უბებებით, ვაბებებით, მპლით და მოსყიდით. ჩვენც ამბავი „სამ მუშეკტერის“ ამბავს მაგონებს, მხოლოდ ოქროს თმინი ქალი ვეკვლია, მაგრამ ამისთვის საქიროა დღესთან ფანტაზია. თუმცა ერთი ვახუთიშვილის ქალი საშინელი ქერაა. შეიძლება ვამოდგეს ინგლისელის მაგიერ.

სადილი ეკამე ქან რენოსთან, ჩვენ პასუხის მგებელ რედაქტორთან. საშინელი კარგი ქალი არის. თუმცა ზოგიერთების(,) ქართველების ემდურებინა, რადგან ანხელია და ფულის მოყვარე, მაგრამ ეგ ტყუილია. ფანტავები ვაზრდილები არიან წეს რიგში და თუ დაუდევრობას ხედავენ, რასაკვირველია(,) არ მოსწონთ. ამის გამო უსიამოვნება მოუვიდა ზოგიერთ ქართვე-

ლებთან. ქან რენო სურს ყოველ საზღვარ გარეშე მოსულ ქართველში, მძლარი და პრინციპებით გამსჯეალელი ადამიანი ნახოს, ჩვენები კი შურს პრინციპმა ვახუთ. საშინელი ვულგარული და დაუდევარი ახალგაზრდობა გვეყავს. ან რა უნდა იყენებ რუსის დესპოტის შკოლუშნი ვაზრდილი. გლეხებისა და ვაჭრების შვილები უფრო მჭიდრო ხასიათისან არიან, თუმცა მათაც ეტყუათ შკოლის ვაგლენა.

ბევრი ვილაპარაკე ქართველი ხალხის ვინაობაზედ და მის მდგომარეობაზედ. ვილასაც ჩაუფონებია რენოსთვის(,) ვითომც ქართველები ველური ხალხია, ინციპიტავს მოკლებული. მარტო მივარლობდა ატარებს თავის დროს, ასე რომ არცეკი ღირს მათი დაცვა.

მთქმელს როგორც სჩანს ან უნახავს ქართველი ხალხი. უნახავს მხოლოდ მექეთი ჰამია თავადები, რომელნიც უძებრებდა რუსის მართებლობას. ჩვენ არც ვთხოვლობთ დაცვას. ჩვენ თითონ დავიცავთ ჩვენ თავს. როდესაც დრო მოვა ჩვენი(,) თითონ შევებძობოდა თავისუფლებისათვის. ჩვენ ვთხოვლობთ მხოლოდ სოლიდარობას და თანავაძობას — სხვა არავფერს იმედი გვაქვს. ბოლოს დამეთანხმა რენოც და შკაღამისს ვავმოლო.

27 ივლისი.

დილით 7 საათზედ ავდექე. წაივიტებ გუშინდელი ვახუთები. გუშინ დრო არ მქონდა კითხვისა. მოვიხიარე კერეები. საუზმის შემდეგ წაველი მიმსთან. წაუღე 600 გუგუმბლიანი სალატეფულისი № 1 და 2, რადგან ჩვენი ახალი წელიწადი იწყობა პირველ მაისს. ფული ნაშოვნი მქონდა. ვისესებ საჩვენებით, მეტი რა ჯანია, რადგან ნაცნობებისა ბევრი (მ)მართებს, თუმცა ყველას უბრუნებ, როგორც მომიდა ფული ან შინიდან ან ჩვენ კომიტეტისგან. წაველით მე და მიზა(,) ვიყიდეთ რაც საქირო იყო. მიზა მაშინვე შეუღდა მუშაობას. საშინლად უყვარს, რომ მე დავესწრო მის მუშაობას, თუმცა თითონ მარტო აკეთებს ხოლმე. მხოლოდ ხანდისხან მკითხავს ხოლმე. შოკ ზალია რამოდენიმე ბარათი, დაწერა(,) „ამხანაგებო(,) ვაკიმარჯო(,)“ და სხვა ამისთანები. 12-ს წამოველი, რადგან პანრიეტა უნდა მოსულიყო. სადილი ეკამეთ ერთად. როდესაც ჩამოდინ(,) მხოლოდ მაშინ ეკამ ხოლმე რიგიან სადილს, რადგან იმდენი არ არის, რომ რიგიან რესტორანში ჰამოს ხოლმე კაცმა. ბევრი ვილაპარაკე თსხვა და სხვა საქმეზედ. რასაკვირველია(,) უფრო მეტს ვილაპარაკობდი ტარიელზედ და თინათინზედ. საშინლად უყვარს ბავშვები. მეც საშინლად უყვარვარ. ყოველ ღონის ძიებას ხმარობს(,) რომ უშველოს ჩვენ საქმეს. ასწორებს ფრანგულ ნაწერებს, მერე ჩვენ მიერ დაწერილ წერილებს ვასწორებდა რა ძნელია. ასწორებს

კორექტურას, შოულობს ფულს როცა გვეკრძება და სხვა. არ მგონია, რომ ამას ვერგებოდეს მარტო იმისთვის, რომ მე უფეარვარ, ეხლა ვაიცი ქართველები, ვაიცი ჩვენი მდგომარეობა და გულით და სულით შევლის ყოველ დნაგრულს. შევლის ხოლმე არა მარტო ქართველებს, არამედ დევნილ რუსებსაც. თუმცა მე თავის დღეში არ უჩვენებ ხოლმე ჩემს უ(კ)მაყოფილებას, გულწივი ძალიან მიხარია.

4 საათზე მივიღეთ არჩილის წერილი. წაეკითხე და საშინლათ დავლანდი. რა არის(.) მკითხა პანრიეტამ. ისევე ძველი ამბებია. არაფერი უბასუხე მე. აღარ დამიწყო მეტი კითხვა, რადგან იცის, რომ არ მიყვარს, როდესაც ჩამაცივლებიან ხოლმე. საშინლათ უმოქმედია ავადმყოფობას არჩილის ხასიათზედ. თავათაც დაულაცვებელი და ჰინჯულიანი კაცი იყო. ეხლა უარესი გამხდარა. ძლიერი მიყვარს ეგ კაცი და ამისთვის არაფერს ვიშურებდი მისთვის. ძნელია მისთან მუშაობა, რადგან ნამდვილი შვილია თავადაზნაურობისა, მაგრამ საქმე ითხოვს ამას ერთის მხრივ და მეორეს მხრივ ნიჭური კაცი. სურს გაავდოს ყოველგვარი წოდებრივი კრიტერიუმები, არ სწამს ეგ წოდება, ეკარგება, ზიზღით უყურებს, მაგრამ მის ზნეჩვეულებას ვერ იშორებს. უყვარს(.) ფლანგვა ფულისა, უყვარს ვალის აღება და არ მიცემა, უყვარს ძილი 2 საათამდინ, თანაც ნანობს შემდეგში ამგვარ დროს გატარებით. ბევრი მწარე დღე დამანახვა, როდესაც ერთად ვიყავით, რადგან უფულობის დროს აუტანელია. ნამდვილი ბავშვია, რომელიც მზიარულობს, როდესაც შოკოლათი აქვს. მაგრამ ნაკლუვანება ვის არ აქვს. ვიცი ნამდვილად, რომ არ უმტყუნებია თავის მიმართულებას(.) არ დასტოვებს თავის ამხანაგებს. ამას დიდი მწიფელობა აქვს, როდესაც მტერს ევბრძვი. საჭიროა კაცები, რომლებიც მზათ იყვენ მედგრათ და უშოშრათ შეებრძოლინ მტერს. მაგრამ ეხლა ყველაფერი გათავებულია. ეს კაცი ველარ იბრძოლებს. იწერება ხმა წამივლიდო; რაც ვლაპარაკობ, ნამდვილი ხმა არ მაქვსო. თანაც საშინლათ სწუსს ამ გვარ მდგომარეობისა, სწებს, რომ მარტო არის და სურს საშინლათ აქ მოსვლა. აქ-ი მოსვლა შეუძლებელია, რადგან პიერი ძალიან ცუდია, ისევე ძველებურათ ვახდება ავით და მისი საქმე ორ დღეში გათავდება. ნამდვილი ქლექი აქვს. შეიტლება ჩამოვალბობითაც იყოს, რადგან მისი დედაც ავად არიან, მაგრამ ეგ სიკლექე არ განვითარდებოდა, რომ რიგანი ცხოვრება ჰქონოდა. ბევრს ვუბნებ(.) რომ დამის გატება და არა რეგულიარული ცხოვრება მას მოსტებას, მაგრამ არ დამიჯერა. შეიტლება გულწი მიჯერებდა, მხოლოთ ვერ დაამალათ თავის თავს. რა ძნელია, როდესაც ავით გვაქვს ადა-

მიანი(.) რომელიც დევივარს(.) ამ ობმა სულ მთლად მიმიკლებს გული. ამ ორს მესამეც უნდა მრუმებოთ, ნიშაც ავად არის, სიყრუს გარდა(.) ნამდვილსნ ჩამოუქნდა. საშინელი მედგარი წამლობა უნდა: სანამ აქ იყო სანდრო დიასამიძე(.) მაშინ მუქთად გამოვიდი(ი)ლით, ყურსაც უგდებდა მავას. ეხლა-კი სხვა ტემი(.) რასაკვირვალა(.) ფულსაც გვაართმებს და ისეთ ყურადღებასაც(.) რასაკვირვალა(.) არ აქცევს. თუმცა მისი მორჩენა ადვილია. იმედია ამ სამ წელიწადში მორჩება, რადგან კარგათ უგდებს თავის თავს (ყურს) და ყოველ ღონის ძიებას გზნაობთ, რომ არ მოაკლდეს წამლობა.

ფულსაც მთხოვს არჩილი. ფული რომ იყოს, მაშინ მისი გავზავნა უნდა სენატორიუმში, მგონია, ისე მოაზრინონ, რომ შეეძლოს კიდევ 10 წელიწადი მაინც სი-ცოცხლე, რადგან 30 წელიწადი გადაცილებულია. ვნახობ(.) თუ ვიშევი ფულს. ერთ კაცს ვუგზავნე ჩვენი ჟურნალი და შეუთვალე, თუ მოგწონს ჩვენი მიმართულება, თუ გგონია(.) რომ ჩვენი მოქმედება სასარგებლოა ქართველი ხალხისათვის, მაშინ მოგვეშველი(.) თუ არა და არც შენი შევალ ვინცნა(.) არც შენი ფული(.) თუმცა ბევრი-ი აქვით. ვნახობ(.) რას იტყვის, მაგრამ ამ(ს) დრო უნდა. სანამ-კი ცოცხათი უნდა დავკმაყოფილებთ.

5-ს წავიდა ანრიეტა. 6 საათზედ მოვიდა მიშა, ოქმებს ეწევის კონგრესისას აწყობს. უნდა გადავცე მასალები ფრანგულ ნომრისათვის, რადგან ჩემს წასვლის დროს შეეძლოს მუშაობა და დამზადება ფრანგულ ნომრისა. მიშა რომ წავიდა(.) მოვიდნენ ვ. ჩერქეზიშვილი და მისი ცოლი. ლონდონიდან ჩამოსულან რამდონიმე დღით. საშინელი სიმპატიური ქალია. ჩუმი, წყნარი, ნახი და განვითარებული. ყოველი ფერს გულით ეკიდება და როგორც ქალი საშინელი სიზრადული აქვს იმათი(.) ვინც სწუნან. დღეს კრება აქვთ ვოლდშიტის ქალთან, ახალგაზრდა რუსები აპირებენ დაეკითხონ ჩერქეზიშვილს სხვა და სხვა საგნებზედ. მეც მთხოვეს მივსულიყავი. 7-ს მიველი ვაბუნისათან, რომელიც უნდა წამოვიდეს ამავე კრებაზედ. 8 - 9 საათ. ვალაგებთ ჩემს ბარეს. 10-ს მე და განუხლა (სანდრო) მიველით კრებაზედ. დავრჩით 12 საათამდინ. არაფერი არ იყო სანტერესო, ცნობილ კითხვების ლეკვა იყო. დაღალული დავბრუნდი შინ. ამ კრებებმა, ამ ჩრდილებმა კავებებში, ამ ლაპარაკმა ძალიან მომალა. როდის იქნება ჩემი დასვენება? რეველზედ კინალამ დამეძინა.

28 ივლისი.

დაუწყვეტიათ ყურნალის გამოცემა „სოციალისტი“(,) როგორც ჩანს(,) ჯერ ვერ მოუხერხებიათ, რადგან
სტამბისთვის ფულს აგროვებენო. ჩვენი პარტიის პრო-
გრამაც ვერ გამოუყვიათ. თუმცა დრო არ მაქვს(,) მა-
ინც უნდა ჩქარა გავუგზავნო. უნდა პირდაპირ გავუგზავ-

ნო „გამომცემელ საზოგადოებას“(,) ალექსანდრე ჯა-
ზარდის სახელზედ გავუგზავნი, ვითომც იმან მემომი-
კეთოთ აქ. დღეს წაველი ბოსთან(,) ვხანგრძობ მის, რომ
ეკისრა აქ გვიარ ყალბ კვიტანციის მუდგენა და წერი-
ლის მიწერა ვაბადას(,) ვითომ მან(,) მიპყიდა ეს
ყველა მაშინები და ასობები. ბომ უარი არ მოითარა და
დამეთანხმა. მაშინვე წაველი და შეუკვეტი(თ) დაბეჭ-
დილი ბლანკები ზოს სახელზედაზედ. გარდა ამისა ყვე-
ლა ყუთები დიდ კამპანიას უნდა გადაეცე(,) რომ მან
გავაგზავნოს(,) როგორც დიდრიან ფირმის მაგიერ. დღეს
მიწერე კოლომბოს(,) რომ ყველა ყუთები გადაეცა
აგენსტოში იმდენი დღე სოსიეტე დუ ტრანსპორტ ენტერპრისი-
ო. ამ საზოგადოებას დაევალებ(,) რომ თბილისში
გაუგზავნოს „ჭაბუთელ გამომცემელ საზოგადოებას“
და იქიდან იმედია ჩვენები გამოიტანენ ან მოიპარევენ
ან იყიდიან მისგან. მგონია ეს კია საშუალება იქმნება.
დღეს ცოტათი უყუთ ვარ. პანრიეტა რადგან
ბავშვებს მოვლა უნდა. საწყლები ძრიელ იშვიათათ
მხედვენ.

4 დეკემბერი.

დღეს მივიღე დღეებში კაბიტანისგან. დიდ სამღერავს
იწერება. ისეც ვარნაში ვარო და არავითარი პასუხი
არ მომსვლიათ თქვენგან. მიკიორს(,) რატომ არ მიუღია
ჩემი დღეებში. საკვირველი ამბავია. რას უნდა მიგა-
წერო. მაშინვე გავუგზავნე დღეებში კაბიტანისგან რომ
ჩამოსულიყო. მე, ბო და კორნეილისენი შევიყარენით
და მოვილაპარაკეთ(,) რა უყოთ(,) რა გქმნათ. გადაე-
წყვეტეთ კიდევ დღეების გავგზავნა და თანაც დღე-
ტეტი(,) თუ საჭიროა ძალიან(,) ვინმე მოვა. ვნახოთ(,) რას
მოიწერება. თუ საჭიროა(,) ან მე უნდა წავიდე(,) ან
ბო უნდა წავიდეს(,) რომ ეკიპაჟი გავაგზავნოთ(,) ალბათ
ძალიან დაშინებულნი არიან და ევიარ ბედენ წასვლას.
დღეებში გავუგზავნე იმ გვართ(,) რომ მისი
მიღება ტელეგრაფმა უნდა შემეტყობინოს(,) ვნახოთ(,) რა
გამოვა. არჩილისგან წერილი მივიღე(,) საწყალი
ისეც ვადა ყოფილა, სიცხეს მამდევსო. პროგრამის და-
სრულება ძრიელ მინდა და მოხოს სინდიკალიზმზედ
წიგნების გამოგზავნას, აგრევიც მოხოს სხვა და სხვა
წიგნებს; ჯერ არ მცალბად ამისთვის(,) რომ მოვიკლო(.)

უსათულოდ აუსრულებ. რომ კარგათ ყოფილიყო სა-
წყალი(,) წერაში ძალიან მო(მე)შველებოდა.

დღეს მითხრეს(,) რომ ფოთის ამბავი სხვა ფრანგულ
გავთებზედ იყო. ერთი უნდა მოგებნო, რადგან
ეხლა ტელეგრაფი შეწყვეტილია რუსეთში და არავი-
თარი ცნობები არ მოდის, ჩვენებიც ვერას მოიწერე-
ბოდნენ.

5 დეკემბერი.

ორი დღეებში მოვიდა კაბიტანისგან(,) იწერება, რომ

ფრანგო ზღვაოსნები ავად არიან(;) დანარჩენებს დარჩნომა არ სურთ და თხოულობს უსათუოთ მოსვლას. ამასთანავე დებუმა მოვიდა ნაზაროვისგან, რომ ოტელში ვარო გაჩერებული და თხოულობს გზის ფულს, რადგან წამოსვლა უნდა ბრიუსელში. ორივეს დაუქარ დებუმა, რომ ნუ სწუხდებიან, დამშვიდნენ, რადგან ჩვენ მოვალე ამ რამდონიმე დღეში.

კიდევ მოგზაურობა, კიდევ აქ(-)იქ თრევა. მე რა მიჭირს(,) გაუძლებ ყოველგვარ ვეგლასს, უძილობას, უჭმელობას, მაგრამ ჩემი ბავშვების ბრალი, რომლებსაც აკლდებთ თავიანთი მშობლები. ტარიელს უკვე ესმის ყველაფერი, მისი აღზრდა და თვალ-ყურის დევნა ძრიელ საჭიროა, მაგრამ ამის ნებას ვინ მომცემს, ანუ უკეთ ვთქვათ(,) ამისთვის სად მოვიდა ელა. დღეს წაველი მაღან რენოსთან, ჩვენ უწინდელ „ლა ეფორუს“ ეფრანთან ანუ რედაქტორთან; დამობრა, რადგან ეფრანალ „მატენ“-ის თანამშრომელს სდომებია ჩემი ნახვა, სურს ცნობები შეკრიბოს საჭიროებელზე. რასაკვირველია(,) მე დიდის სიამოვნებით მივცემ ყველა ცნობებს, მხოლოდ დრო ეს ოხერი არ მაქვს მათთან სალაპარაკოთ. უთხარი(,) მე თითონ მივწერ(,) როდესაც შევიძლებ მის ნახვას, ამ ორ დღეში უსათუოდ ვნახავ. ყოველ წუთს მოველო კიდევ ამბებს კაპიტანსან(;) არაფერი შემიბეჭეო. თუ პოლიციამ გააკო(,) რომ ამ გემმა ვაიტანა იარლი სტამბოლზე. მაშინ გაგვიძენდებმა მისი გატარება უკან.

7 დეკემბერი.

დღეს მეგლი დღე წიგნების ძებნაში ვიყავი. ჩვენში ეხლა მიტრევილი არის სხვა და სხვა ხელობის მუშეებისა, მათთვის ძრიელ საჭიროა ახსნა(;) რა არის სინდიკალიზმი, რა არის საერთო ვაფიცვა და სხვა... ამ მრავოლუციონურ პერიოდში ადვილათ ისარგებლებენ მართებლობის და პატრონების სისუსტით. შეუძლიან იპოვონ ის(,) რასაც შემდეგში ვერ მოიპოვებენ. წაველი მდივანთან „ბლუს დე ტრავი“ ბ-ნ პუესთან(,) ვთხოვე მას(,) რომ ყოველი წიგნაკები მოეცა ჩემთვის(,) რაც მათ გამოუცხათ მუშებისთვის(,) მებტარე სინდიკალიზმზე, საერთო ვაფიცვაზე და 8 საათის სამუშაოზე. მომცა რამდონიმე(,) მაგრამ ყველა არ ჰქონია. მირჩია ვან გრავთან მივსულიყავი, რადგან მასაც აქვს ზოგიერთი წიგნაკები. წაველი გრავთან(,) მაგრამ სახლში არ დამიხვდა. იქიდან ისევ ბოსთან დავებრუნდი. მთელი საღამო თათბირში ვივატარეთ(,) როგორ ვუშველოთ გემს, რადგან მე ფული ბეგერი არ მაქვს და ეს საქმე ასე და ისე უნდა გავთავაო. თუ მოვინებრებთ გემის გაყიდვად(,) კიდევ კარგი, მაგრამ ამის იმედი სრულებით არ მაქვს. ერთის სიტყვით(,) ზვალ უნდა წავიდე ვარნაში. მეტი ჯანი არ არის. შინ და-

ვბრუნდი პირველ საათზე ღამისა. ნეტავი ვიკიდ(,) რა ხდება ჩვენში(,) რა ქმნეს, თუ ის ნახევარი იარჯლისა არ დაკარგეს(;) მე ვინ დამაყვედრის, ამხედ მეტი გაკეთება ვგონებ ერთ კაცს არ შეიძლებოდა

8 დეკემბერი.

დღეს მე და ბომ გავაღწევიტეთ ვარნაში წასვლა. რასაკვირველია(,) იქ აღარ მეცლება წერისა, რადგან დილიდან საღამომდინ გემზედ მომხედება ყოფნა, ეკიპაჟთან სალაპარაკი, საქმის მოწყობა, კანტორებში თრევა და სხვა. როცა დაებრუნდები(,) მოკლეთ ავეწერო რაც იყო.

26 დეკემბერი.

დღეს დაებრუნდი. ძრიელ მინდობა დავბრუნებულყავი ოც და ხუთს შობისთვის(,) რადგან ბავშვები მიცდიდნენ. მაგრამ ვერ შეძეულ. როცა აღამიანი ამ გვარ ბრძოლაში არის, მისთვის არც შობა არის და არც ახალი წელიწადი. რასაკვირველია(,) ბავშვებს არ ესმით, მათ მხოლოდ თავიანთი მამის ნახვა სურთ, რადგან სათამაშობს მოვლიან. კიდევ კარგია(,) რომ აგრეთი დედა ჰყავთ(,) რომელიც ნაზით და გულწრფელათ უღლის(;) დარწმუნებული ვარ(,) რომ არაფერი აკლათ, რადგან პანრიეტა თითონ დაიკლებს და ბავშვებს მისცემს(,) რაც საჭირო არის.

კაპიტანმა ორი დიდი წერილი დაწერა და ამიხსნა ყოველგვარი(,) როგორც მოხდა. მისი ნაამბობი სწორეთ მაინ ჩილის ან ჯულ ვერნის მოთხრობებს ჰგავს. ეხლა დრო არ მაქვს(,) რომ დაწერილებით აღწერო. იქმნება შემდეგში(,) თუ ცოცხალი დავრჩი(,) ავეწერო უფრო დამშვიდებულათ. მოკლეთ ასე მომხდარა:

თითხმეტ (14) ნოემბერს ახალის სტილით, ამბობს კაპიტანი, მიველით კუნძულ ზეაზე (Zea), რომელიც ეკუთვნის საბერძნეთს. ეს კუნძული ძლიერ პატარა არის. ზღვის ნაპირზედ რამდონიმე სახლია. თვით სოფელი ზეა მდებარეობს შუა კუნძულზედ ამართლ გორაზედ, ასე რომ ზღვის ნაპირიდან ანუ პორტიდან სოფლამდინ ორი საათის სავალია. თელგრაფის სტანცია თვით სოფელშია(,) ასე რომ დებუშების სამდენლათ იკცებს აგზავნიან. მოსვლისას დებუმა დაგიკარითო. მართალიც არის(;) მე მივიღე ეს დებუმა და მაშინვე პასუხი გავეცი(,) რომ არსად წასულიყო და ყიფიანისთვის დაეცადა, მაგრამ არც ეს დებუმა და არც სამი სხვა არ მუღლია და აქედან დაწყებულა მისი ვიი ვაგლახი.

დებუშის ვაგზავნის შემდეგ(,) განავარძობს კაპიტანი(,) შეუდღეი ნაწირის აღებას, რომელიც ვიყიდე პოლანდის კონსულიდან. ნაწირის აღების შემდეგ ვაგზავნე კაცი დებუშის საკითხავად(,) მაგრამ არაფერი პასუხი არ მომსულია. ამის მიზეზი ისიც იყო(,)

რომ საბერძნეთის ტელეგრაფისტებმა ამ გაყრუებულ სოფელში არ იციან ყოველი წესი ინტერნაციონალური ტელეგრაფისა. მე ვაგზავნიდი თვით გემზედ(;) იმათ კი სტოვებდნენ კანტორაში. უ(ნ)და მომეცადა კიდევ თქვენ დაგზავნათვის(,) ამბობს კაპიტანი, მაგრამ მე-ორე დღეს ატლად ისეთი ქარი და ისეთი ზღვა, რომ ჩვენ გემს როგორც ბურთის ისე ისერიდა. პორტი ზეა ძრიელ ცუდი სადგომია გემებისთვის, ან რომელი გაჩერდება დიდ ხანს ამ გადაყრუებულ ადგილას, მხოლოდ ჩვენ ამოვარჩიეთ ამ გეარის ადგილი, რომ უფრო უმტყნარეოდ დავარჩეთ. ჩვენი ორთქლის გემი მობმული იყო დიდრონ თოკებით ბოძებზედ და ძირს ჩაშვებული იყო ჯაჭვი გემის კავით. ამ დღეღვის დროს პოლანდიის კონსული გემზედ იყო და ანგარიშს ასწორებდა. ერთბაშად საშინელმა ქარმა იღრიალა, ზღვამ აიტაცა ჩვენი გემიო, თოქები და ჯაჭვი დაწყნდნენ და ჩვენი გემის კავი ზღვაში დარჩა. ვანათვის უფლებებლმა გემმა დაიწყო პორტში წინ და უკან სიარული. ორთქლი და მაშინა წინ და წინვე მომხადებულნი იყვნენო, რადგან ყოველი წამს მოველოდიოთ ამ გემს შემთხვევას. პოლანდიის კონსული ძალიან შეწუხდა. კაპიტანს წინადადება მიუცია, რომ მას წაიყვანს შუა ზღვაში და როდესაც დღევა დაწყნდება(,) უკანვე მოვიყვანათ. კონსულს უარი უთქვამს(,) შეშინებია. გემიან ნიშნები მიუციათ, რომ კონსულს წასაყვანათ გემი გამოეგზავნათო. მაშინვე გამოეგზავნათ და როგორც იყო(,) კონსული ვაღუსტვამთ.

გემის დადგომა პორტში შეუძლებელი იყოო. მე ვთხოვე კონსულსაო, რომ თუ დღეგმა არის ჩემთვის(,) თეთრი დროშა გამოეფინა, თუ არ არისო, მაშინ წითელი დროშა გამოეფინა. ცოტა ხნის შემდეგ წითელი დროშა შეენიშნეო, რადგან აღარაფერი ყოფილაო, მაშინვე გავიქე სტამბულისაკენაო იმ იმედით(,) რომ იქ დაიხედებათო თქვენი კაცი. საწყალმა არ იცოდა(,) რომ იმ დროს ყოფიანი მიდიოდა ზეაში მასთან იმ იმედით(,) უკან წამოსულიყო ამ გეარათ დაშორდნენ ერთმანეთს.

თექვსმეტს მიველით დარდანელში. მოვიტხოვეო პილოტი ანუ პატარა გემი(,) რომელმაც უნდა შემიყვანოს სტამბოლში. აქეთ(-)იქით ვიყურებოდიო(,) ხომ არსად ჩანს ჩვენი კაციო, მაგრამ ვერ ვინ ვნახეო. როდესაც მიველით სტამბოლში(,) გემზედ ამოვიდა ოსმალეთის ჩინოფიცი. მან შემიყვანაო ცალკე ოთახში და მითხრაო, აქ თქვენ გემზედ იარაღი არისო, მე ნამდვილათ ვიციო. მე ყველა ქალაღები უჩვენეო და უთხარი(,) რომ მხოლოდ ყაყა, ნახშირი და ბურთულეა მატარ(,) რომელიც ვალტოში მიმაქვს. თუმცა ქალაღები კარგად, მაგრამ იარაღი მინც ვაქვსო(,) მიპა-

სუხა პორტის თანაშემწემო. მაშინ მე ფული დაუღებო წინ. პორტის თანაშემწემ ფული ჩაიღვა ჯდემში და მშვიდად გავიდა ოთახიდან და თუნ მიხხრაო, ეხლა შეგიძლიან მშვიდად წახვიდითო, უნდა დავიდექეს თანაშემწემ გავიდაო(,) მაშინ თვით უმტყნარო მოვიდაო და მიხხრაო(,) ეს გემი უნდა შევიტყნაროთო(,) თანაშემწემ კაპიტანის მაგიერ უპასუხა(,) რომ მისი ქალაღები წეს-რიგზედ არიან და არავითარი მიზეზი არ აქვს ვაჩერებომა. მოილაპარაკეს ერთ მანეთთან და მიხხრესო, მშვიდობით მაგვარობა გქონდეს(,) ამ სიტყვებით შემდეგ მე უბრძანეო, რომ მაშინა ყოველის ძალით ემუშავნათ და ჩქარა წახსულიყავითო. 18 ნოემბერს გავცილდითო სულ მთლათ სტამბოლს და ს(-)წრაფით გულდევით ფოთისკენ. ძრიელ ბეჭი და მხარაჯაო სტამბოლში, რადგან ყველა ერთი ორათ მართმევიდაო, ალბათ ვაიგვესო რაშიც იყო საქმეო. მეც უარს ვერ ვეუბნებოდიო. სტამბოლიდან ფოთამდინ მოუხდით სამ დღე ნახევარსაო. 22-ს დილით ფოთის წინ ვიყავითო. გზაში სულ აქეთ(-)იქით ვიყურებოდიო(,) ძალიან გეგონიდა სამხედრო გემისაო(,) როდესაც მატროსებმა ვაიგვესო(,) რომ იარაღი უნდა ვაღვეტვირტოთო, ორმა მათთანა მთითქმის ტრილი დაიწყესო. მოსამახებო ავით გაგვიხდაო შიშისგან. ყველა სამხედრო გემი გვესიზმრებოდა. ჩვენ მარხულში წავიკითხეთო, რომ რუსის ესკადრა მიდის და მოდის ტრაპიზანს(,) ფოთს და ბათუმს შუა, ასე რომ სულ იმის ფიქრში ვიყავითო(,) ვი თუ მოგვანწრონ და დავეკვირონ, ას შეიძლება მიწანოსკა გამოგვანწონ ერთი მინით ყველანი პაერში ავგავდონ, რუსები ხომ დაუნდობელი ხალხი არისო, ან ამისთანა შემთხვევაში რომელი სახელმწიფო დაინდობსო.

მე ყოველ ღონისძიებას ვხმარობდი(,) რომ დამემშვიდებინა ეკიავაო, ნუგეშს ვაძლევდიო, ასე რომ ვამხნევებდიო.

22-ს ნოემბერს დილით რომ მიველით ფოთთან(,) ახლოს არ მიუახლოვდით თვით ქალაქს, შუა გზაში გაეჭვრდიო(,) ორმოც მიღზედ. რომ დაღამდა(,) მაშინ თვით ქალაქთან მიველით და დანიშნულ ადგილას ავიწით ანთებული ფარნები. თანაც ძებნა დაუწყეთ ნავესო.

კაპიტანს და მატროსებს ტყუილად ვგვანათ(,) რომ სამხედრო ესკადრა ფოთს ახლოს არის. რადგან კაპიტანი სულ ზღვაში იყო(,) მას არ შეეძლო ვაგეო(,) რა ხდებოდა შავ ზღვაში. მე-კი სულ მთლად დამშვიდებული ვიყავი(,) რადგან ვიციდი(,) რომ ესკადრა არ არსებობს შავ ზღვაში. სწორეთ 21-ს შავი ზღვის ესკადრა აჯანყდა სებასტოპოლში(,) ასე რომ ყველა სამხედრო გემები სებასტოპოლში იყვნენ(,) სწორეთ იმი-

სთვის მე დაუქარი კაპიტანს დებუმა(,) რაც შეიძლება ჩქარა გასწიე ფოთისკენ. გარდა ამისა მეორე მიზნებიც იყო, რომ გემი ჩქარა წასულიყო. ევროპა დიდ უთანხმოებაში იყო ოსმალეთთან მაკელონის რეფორმების გამო. შეერთებული ევროპის ფლოთი უკვე შევიდა კონსტანტინოპოლში (ოსმალეთს ეკუთვნის ეს კონსტანტინოპოლი)(;) დაიჭირა ტამოყნა ოსმალეთისა. როგორ გათავადებოდა ევ. საქმე(,) არ ვინ იცოდა. ევროპის შეერთებულ ფლოტს ყოველ გემის ჩხრეკა რომ დაეწყია(,) ჩვენი გემიც ხიფათში იქნებოდა. ერთის სიტყვით(,) ამ მიზნების გამო მე დაუქარ კაპიტანს(,) რომ ჩქარა წასულიყო და 21 ნოემბერს უსათუთო ყოფილიყო ფოთის წინ. აქედან დებუმა დაუქარ თბილისში და ბათუმში(,) რომ გემი 21-ს ფოთის წინ იქნება. 21-ს დილით დაუქარი დებუმა(,) გემი დღეს მოვა(;) ასე რომ იმ დღეს იცოდნენ. 21ს სწორეთ მოხდა ვაფიკვა ფოსტატელეგრაფისა მთელ რუსეთში(;) ასე რომ შეწყნა ყოველი მომოსვლა დებუებისა და წერილებისა. ჩვენი ბედნი და იღბალი, რომ მოვასწარ თბილისში და ბათუმში შეტყაბინება, თორემ ჩვენი გემი უჭკბათ ჩავიდოდა. სწორეთ რომ გასაკვირველი შემთხვევა არის.

განხილვანი წინათა

მცირე შენიშვნა

როდესაც „ნასიონ ჟეორჯიან“-ში მოკლე შენიშნარის ჩემი (მოშავალი) წიგნიდან „ურარტუ“-ზე და ნიუიორკის „კრებულ“-ში ჩემი მოკლე შენიშნარით „ქართული მოღამის წულილი მსოფლიოს ცივილიზაცია“-ში დაიბეჭდა — ჯერ არ იყო გამოქვეყნებული ზოგი ფრიად სანტერესო არქეოლოგიური ცნობა საქართველო - კავკასიაში, მცირე აზიაში და სხვაგანაც აღმოჩენილ ძეგლებზე. ეს ძეგლები, ნივთიერ, ენობრივ, გრამატიკულ თუ სულიერ სიმდიდრეზე, გასაოცრად არა მარტო ერთმანეთს, არამედ, როგორც ვარსკვლავნი თავთავის ჰბუტში, სხდებიან იმ დიდი უცნაურ პანორამაში“, რომელიც იშლება წინაწარმეტყველურ განცხადებაში ინგლისელ მეცნიერ ჰაიდ კარპოს 1878 წ., რომ კავკასიიდან სასპათის უყრბედ. ინდოეთიდან — ესპანეთამდე, სამი ათასი წლის წინად ქრისტეს დაბადებამდე, ცხოვრობდა ერთი ხალხი, ერთი სარწმუნოებით, ერთი ცივილიზაციის დონით, მოლაპარაკე ერთი ენით. ეს ერთი ენა („ერთი და იგივე სიტყვებით“, როგორც ნათქვამია ბიბლია-დაბადებაში, მასზე უფრო ადრე ათასი წლით, ნათქვამია იგივე, სუმერო-ქალდეველ ლურსნულ ნაწერებში. რ. გ.) არის

გარდა ამისა სამი-ოთხი კვირის წინ გამოვიდა მინიფესტი ხელმწიფისა და დროებით თავისუფლება ჩამოვარდა. სამხედრო წესი დროებით მოსპეს, ხალხმაც დროებით ამოისუნთქა. სწორეთ კი დროსამდენად ჩვენი გემი, მსოლით ჩვენმა პარტიამ, როგორც ხალხმაც გავრბამ და გამოუცდელმა ისეთი წეს რიგით ვერ მოაწყო(,) როგორც საქირია იყო. თუმცე სამხედრო ორგანიზაცია არსებობს(,) თუმცა აფიკრულიც და მუშებიც ურევინა, მაგრამ ვერ მოაწყვიათ (,) როგორც მოითხოვდა ნამდვილი რევოლუციის წესი.

22 ნოემბერს ბევრი ვიძიეთ, ვანაძრობის კაბიტანი, მაგრამ ნაგები ევროსად ვნახეთ, თმც(კ)ა ამინდი მშენაერი იყო.

(სამწუხაროდ, აქ სრულდება ეს რვეული.

მაგრამ ცნობილია, რომ ამ გემიდან იარაღი გადატვირთეს, ხოლო იარაღის მიმღებ სოციალისტ-ფედერალისტებს შეედავენ სოციალ-დემოკრატები და ამ იარაღის გამო მათ შორის მწევე დედაც მოხდა. ამის მოწმენი აქაც უნდა იყვნენ და საქირია ამ ამბავის აღწერა.)
გ. ნ.

უძველესი ქართული ენა, ურომლისოდ გაუგებარია სუმერული და აკადურია“-ო. (; ავად).

საკვირველი არ არის განა, რომ რაქაში, თრიალეთში, ერივანთან და სხ. აღმოჩნდა არა მარტო გამოქვამბულები, ქარხნები (ზეთის, შუშის, ლევის მარხები და სხ.), არამედ ცოკლომიურად ნაშენი ციხეები, ქალაქები და არხები, — ურარტუ (ქალდიის), ბაბილონ-ქალდიის, სუმერო-ქალდიის მინავაზარდ? და რაც უფრო საოცარია ვაძიხის გამოქვამული ტაძარი („ქართლის ცხოვრება“-ით მიწერილი დავით აღმაშენებლისა და თამარზე) ისევე ხომ რვა სართულად არის ნაგები(?), როგორც ქალდეველთა 5000 წლივან ცივილიზაციის დამახასიათებელი „ცა-გორ“-ები („ციგურატ“-ები), გავრცელებულნი მრ-იდან ბაბილონში (ბიბლიის „ბაბილონის გოდოლი“), აშურში, ურარტუში, ეგვიპტეში. ეს უცანასკნელი გარემოება, შეიძლება გვიხსნიდეს თვალუწვდენელ პერსპექტივას (ჯერჯერობით მავალად გამოთქმულ პოსპოტხას), თუ „სიიდან მოვიდნენ ქალდეველები“.

სხვების და დამკვიდრებულ დებულების საწინააღმდეგოდ, რომ „ყველა ხალხი საიდლანაც არის მოსული დღევანდელ სამკვიდრებელზე“, მე შეხატება, რომ ქალდეველნი ამინის უქუნისამდე (ამინ!) იყვნენ ოტო-

ხტონური კავკასია—მცირე-აზიის არესი. (ე. ი. ეპო-
ქალურად და სივრცით). ამის საბუთები თანდათან
მრავლდება (იხილეთ ჩუბინაშვილის ახალი ცნობა —
რუსულად — ქვის ხანის ნაშთებზე საქართველოში).

არა ნაკლებ საინტერესოა, თუ უფროც არა, ფილა-
დელევის უნივერსიტეტის პროფესორის, ცნობილი
ნოეს ძის, კრამერის მეთრედ გამოცემული: „ისტორი-
კომანა ა სუმერის“ („ისტორია იწყება სუმერიაში“), სა-
დაც დამატებულია ორი თავი, პირველ გამოცემასთან
შედარებით. პირველში ამტკიცებს ამაოდ და თავისივე
საწინააღმდეგოდ, ეითომ „მსოფლიო ცივილიზაცია
ნაერთია (თავიდანაო) სამი ელემენტისაო“, სადაც ნა-
ძალადევიდ შეჰყავს მამინ ბუნებაშიაც არ არსებული
სემიტები, არამც თუ ისტორიულ ასპარეზზე.

მეორე თავს კი მთლიანად უძღვნის სუმერულ გრა-
მატიკას. და თუ ჩვენი მეცნიერი ასიოროლოგი მის.
წერეთელი ამტკიცებს სუმერული ენისა და ქართლის
ნათესავობას, ბატონი კრამერი სწერს:

„სუმერლის გარეგა და გავგა იმითა განდლებუ-
ლი, რომ მისი ორიგინალური გრამატიკა არა ჰგავს
არც ერთს მკვდარ და არც ერთს დღეს ცოცხალ ენა-
საო. მაგრამ მთელი რიგი მისგან მოტანილი გრამა-
ტიკული წესებისა სუმერულიდან, — მისი-მისივე
ეთანაბრება ქართული გრამატიკის წესებს.

ეტყობა, ფილადელფიაში არ იცნობდნენ არა მარტო
ქართულს, არამედ არც მის. წერეთლის კვლევას და
საუცხოო თარგმანს ქართულად (1924 წ. სტამბოლში)
„გილგამეშინი“-სას; არც ჰაიდ კლარკის ნაწერს
(1871 წ.); არც აკადემიკოსი ნ. მარრის „აოდეტურ თე-
ორიას“; არც ნეტარხსენებულ ივ. ჯავახიშვილის 1937
წლის წიგნს; არც რ. კონტენოს; არც ვილეგის „ფორ
5000 იაფრ“-ს; არც მრავალ სხვას, საცა ვაკვრიოთ,
ხან მკვიფიდა ნათქვამია, რომ სუმერულ-ქალღური
ენა — „აზიანიკური“ სამეცნიერო ტერმინით — „ენა-
თხსავება კავკასიურ ენებსა“-ო.

დასასრულ ერთი: რუსეთის სამეცნიერო აკადემიამ
ყველაზე გვიან მოიცალა გამოცემა „გილგამეშინი“
რუსულად, საიდანაც ამოვიკითხე სხვა ქართულ სიტყ-
ვებთან ერთად, როგორც: „ავური“ და „მერაბი“, ათ
წლობით ნაძებნი მნიშვნელობა სიტყვისა „გილგამე-
ში“. თურმე გილგამეშის დედის ტიტრი და სახელი
ყოფილა „ბუგიოლიცა“ ესე იგი: ფურ-კამეჩი (ძველი
ქართულით: ფურ-გამეში). და თუ დედა იყო ფურ-
კამეჩი, მისი ღვიძლი შვილიც ხომ კამეჩი იყო, რად-
გან კამეჩი სუმერეთში ითვლებოდა არა მარტო სიმ-
ბოლოდ ღვთიერი, რაინდული და სამეფო ძლიერე-
ბისა, არამედ ყველა ცხოველზე უძლიერესად („ლომ-
ზედაც კი“-ო!), როგორც იყო სინამდვილეში ერი-

ის მეფე და ყულაბის თავადი გილგამეში. რომელ-
მაც დაამარცხა „ციური ხარი“, თანამად ქართული
ანდაზისა: „კამეჩის მარაღულ ხარის რქაქმარა მერჩე-
ბა“-ო.

იქნებ როდისმე, ან ვინმემ გილგამეშის სახელის პირ-
ველი ნახებავიც გამოარკვიოს და „გულ“, ან „გუ-
ლად“-ად გამოიყვანოს, რიშარ — კერ — დე ლი-
ონ“-ის... მიბაძვიოს.

რ. გაბაშვილი

გაბ

გრიგოლ აბაშიძე, „ლაშქარელა“. თბილისი, 1957.

„ლაშქარელა“ ფრად საყურადღებო მოვლენაა ქარ-
თულ ლიტერატურაში. პრესიდან ეტყობილობთ, რომ
მას საქართველოში დიდი კამათიც გამოუწვევია. სა-
მწუხაროდ, ამ კრიტიკამ ჩვენამდე ვერ მოაღწია. ცნო-
ბა ამოვიკითხეთ აკაცი ბელიაშვილის მოხსენებაში (იხ.
„ლიტ. გაზ.“, 9 იანვ. 1959 წ.), სადაც ვაკვრიოთ ამ რო-
მანსაც ეხება. „ლაშქარელას“ ინტერესი სრულიად ვა-
საგებია. მთელი ეს ამბები, რომელიც საქართველოს
დიდებას დასავალს მოჰყვება, მუდამ იყო საგანი ქარ-
თული მკითხველის ცნობისმოყვარეობისა. ლეგენდარულ
თამარის შვილის, უბედო ლაშის ბედიც რომ აღდრე
თუ გვიან გახდებოდა სიტყვაჯამში მწერლობის
თემა, ესეც მოსალოდნელი იყო და ქართველი ადამი-
ანის ეროვნული გრძნობა და ჰევედა მის დიდებაზეც
დერ დარჩებოდა შემოქმედთა ჯულისყურის გარეშე. ამ-
დენად ეს ნაწარმიველი ორი მზრით უნდა ყოფილიყო
მიზიდველი ქართველი მკითხველისათვის. ჯერ თვით
რომანტიკა ახალგაზრდა გვირგვინოსანისა და მერე
სულისკვეთება იმ დიდი პოლიტიკური და საზოგადო-
ებრივი გარდატეხისა, რითაც ლაშის ეპოქა ხასიათდება.
ამიტომ უდავოდ დიდი უნდა ყოფილიყო ამ რომანი-
სადმი წარდგენილი მოთხოვნილება და ავტორი ფართო
ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობის ქვეშ ჩაყე-
ნებულთ.

ისტორიული თემის ნიადაგზე შექმნილ ხელოვნების
ძეგლს, მხატვრულ გამართლებასთან, ისტორიული ქე-
შმარბრტეხა და მოვლენათა კანონზომიერი ვანლავე-
ბაც მოეთხოვება. მხატვრობა ვერ იქნება სრულყოფი-
ლი, თუ მოვლენებში შეიჭრება ტენდენცია, ხოლო სი-
ნამდვილე იქნება მოჩვენებითი, თუ ის არ იქნება ეპოქის
ტრანსცემელში წარმოდგენილი. თანამედროვე ენებათა
ღლეითი მისვლა შორეულ წარსულის ამბებთან, ყო-
ველთვის მხატვრის მარცხით თავდება.

მიუხედავად ავტორის ნიჭისა და ურწმუნოებრი ბუნე-



ბისა, რომელიც მეთხველს საკმარისად აჯადოდებს, თემა დაუძლეველი აღმოჩნდა, ტილო დაუმთავრებელი. ვხვდებით მთელ რიგ წინააღმდეგობასაც, როგორც გმირთა მოქმედებაში, ისე პოლიტიკურ მოვლენათა გაშუქების დროს.

ავტორი აჩქარდა კიდევ. ამას ვგაგულსხმებინებს ის გარემოება, რომ ცალკე შემთხვევებში ავტორი იჩენს ისტორიის სათანადო ცოდნასაც და მოვლენათა ვაგებაზე და რომ მას ხანდახან გადაბეჭდა მისი ნაწარმოებისათვის, ზოგიერთ ვაუტვებრიობას უდავოდ თავიდან აიცილენდა.

ჩვენი მიზანია, ზოგიერთ ვაუტვებრიობებთან ერთად წმინდა დესკოლოგიური ხასიათისა, შეიგრძობდენ უმთავრესად ისტორიულ მოვლენებზე, ეს არ იქნება ლიტერატურულ კრიტიკაში დაუშვებელი, მით უმეტეს ამ შემთხვევაში, როდესაც ნაწარმოებში აშენებულია გარკვეულ ისტორიულ ეპოქაზე და მოქმედ პირებად გამოყვანილნი არიან ისტორიული პიროვნებანი.

X

1. გმირთა პოლიტიკა. „ლშარელაში“ წარმოდგენილია ორი მთავარი პოლიტიკური გმირი. ორი დიდი ბურჯი საქართველოს ძღვევამოსილებისა მისი დაცემის დასაწყისში. ესენი არიან: იოანე მხარგრძელი ათაბაგი, ფაქტური მბრძანებელი საქართველოსი ლაშას დროის და გამოჩენილი მხედართმთავარი შალვა ახალციხელი-თორელი. ავტორის დახასიათებით, ამ ორი დიდი მეთაურის პოლიტიკურ ჩწმენება განსხვავებაში ისახება მიზეზები საქართველოს შემდგომი დაცემისა. ავტორი ახდლიად რჩება შალვა ახალციხელის მხარეზე. ეს არის მისი ყველაზე საყვარელი გმირი. უკანასკნელის ღირსებამ ავტორი იქამდე მიიყვანა, რომ დაბრისპირებული საგარეო პოლიტიკაში, შალვა ახალციხელი დაუპირისპირა ათაბაგს თვით სოციალურ პოლიტიკაში და უკანასკნელი ვადისპირა დიდგვარიანთა ბანაკში, რაც ისტორიულად გაუმართლებელია. მით შორის წინააღმდეგობა იმდებდა თავდაცვის საკითხებში. აი, როგორ ახასიათებს ამას ავტორი:

როდესაც ლაშას გამეფებისას მოწვეული იყო დარბაზის პირველი სხდომა, მხარგრძელმა აქ ჩამოაყალიბა თავისი პოლიტიკა. ავტორი სწერს:

„მისი აზრით ქართველებმა სამადო მეტი იომეს და ისედაც მცირე რიცხოვანი მოსახლეობა კლებას განიცდის. [ეს თანამედროვე მიდგომაა — იმ დროის ქართველი და იმ ეპოქის საქართველოსზე ამას ვერ იტყობდა] ახლა საქართველო იყო მოპოვების შემტყვევება და ათვისება [ესეც საბჭოთა ტერმინია!]. დაპყრობილ ქვეყნებში ქრისტიანობის გავრცელება და მოსახლეობის თანდათან გაქართველება. ქართველებმა ახალი ქვეყ-

ნები კი არ უნდა აზბიონ, დაპყრობილ ქვეყნებში და ქალაქებში ციხე-სიმაგრეები უნდა აშენონ და შვი ძლიერი რაზმები უნდა ჩააყენონ, ქვეყნის სანაპიროები უნდა გაამაგრონ, რომ მტერი აქეთ არ დაგვეცხოს თავს“-ო. „მხარგრძელის წინააღმდეგ ახალციხელმა ილაპარაკა... იგი დიდი დავით აღმაშენებელისა და მისი ღირსეული მემკვიდრეების გზის გაგრძელებას მოითხოვდა...“

ამ კრებაზე ერთი საერთო პოლიტიკის დადგენა არ მოხერხდა. აშკარად გაჩნდა ორი პოლიტიკური კონცეპცია: ერთი, რომელიც სდგას თავდაცვის ნიადაგზე, მხარგრძელის მეთაურობით, და მეორე, მომხრე შეტევისა შალვა ახალციხელის მეთაურობით და რომელსაც თურმე მეფეც თანაუტყრანობდა. ეს რამდენად შეეფერება ისტორიულ სინამდვილეს, ამაზე არას ვიტყვით; ერთი ვიცით, რომ მხარგრძელი მეტად მზაკველად დაუპირისპირდა ახალციხელს და ამაში ის ვერც იმ დიდმა სიყვარულმა იხსნა, რომელიც მას, ავტორის სიტყვით, ახალციხელისადმი ჰქონია.

აი, აქ გრ. ამაშივე ახალციხელისადმი ბოლომდე ლოლიკაში დარჩა, ხოლო ვაუტვებრიობაში გადავიდა მხარგრძელის მიმართ.

ავტორი ერთი მხრივ დადებითად ახასიათებს მხარგრძელს: როგორც ერთგულს თამარის პოლიტიკისა, ბურჯს საქართველოსა, ეროვნულ გმირს და ამავე დროს, როგორც მზაკვერს ახალციხელთან და თვით მეფესთან ურთიერთობაში, როგორც მოღალატეს სწორედ ეროვნული პოლიტიკისა, რამდენადაც ავტორმა ეროვნულ პოლიტიკად წარმოადგინა მეფისა და ახალციხელის პოლიტიკა. რადან ავტორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ შალვა ახალციხელი მოითხოვდა: დავითის პოლიტიკის ვაგრძელებას, თურმე მეფეც ამას იზიარებდა და ისტორიიდან ისიც გარკვეულად ვიცით, რომ თამარი განაგრძობდა დავით — გიორგის პოლიტიკას. მხარგრძელი კი გამოყვანილია თამარის პოლიტიკის გამაგრებელად და ამავე დროს დაპირისპირებული იმავე პოლიტიკის მომხრეებთან!

გარდა ამისა ავტორი მხარგრძელის მოქმედებათა დეტალში იქამდე მიდის, რომ შთაბეჭდილება რჩება არა ეროვნული გმირის, არამედ ეროვნული მოღალატისა, კაცი, რომელიც ეროვნული მიზნებით კი არ ყოფილა ამოძრავებელი, არამედ ბიუროკრატიული სურვილით მისი პატრონობისა და კიდევ უარესი, მისი პირადი ქონების დაცვის მიზნით მოითხოვდა თურმე მისთვის პოლიტიკას, ის მხარგრძელის ამ ეგოიზმს ამატებდა იმითაც, რომ მან საკუთარი თავის დახსნისათვის ქალიშვილიც კი გაჰყიდა! ამნაირად, მხარგრძელი ყოფილა დიდი პატივ მოყვარე, ქონების და ხელისუფ-

ლების მოყვარე, ბოროტი, მზაკვარი და სხ. რამდენადაც ახალციხელი შეინახა ბოლომდე, როგორც მთლიანი პიროვნება, იმდენადვე მხარგრძელი მრავალჯერ შეაბრუნ-შემოაბრუნა. და ფიჭობით, ეს არის შედეგი არა ავტორის უეციობისა, არამედ იმ ტენდენციური განწყობილებისა, რომელიც მეოლი ნაწარმოების მანძილზე ასე აშკარად გამოიყურება.

მხარგრძელს, მისი განსხვავებული პოლიტიკა კიდევ არ ხდის მეფის ორგულად. მაგრამ ეს რომ ასეთად აქცეოს, საჭიროა ზოგიერთი მოგონილი ამბების მიწერა მხარგრძელისადმი.

ლასამ დარბაზის კრებაზე დასვა საკითხი თამარის ნეშთის იერუსალიმში გადსვენების შესახებ, რომელიც გულისხმობდა ჯვაროსანთა ლაშქრობის მიღებას და რის წინააღმდეგაც ყოფილა მხარგრძელი. რომ მხარგრძელს თავისი აზრი გაეყენა, ავტორმა მას მიაწერა ისეთი თეორიის წამოყენება, რომელიც, ისტორიულად ვიცი, მას არ ეკუთვნოდა. მხარგრძელმა მოისტურვა მეფის უფლებათა შეეყვება. ავტორი მას ათქმევინებს:

„შენ კიდევ ჰაბუკი ხარ, მეფე, ამიტომ უმჯობეს არს, რამეთუ დასბდომილი დარბაზსა გამგებელი მიცემისა და მიღებისა, წყალობისა და შერისხვისანი, გვადრებდეთ და გაცნობდებთ მეფესა და მაშინ და სრულ იქმნას განგებული ჩენი“-ო.

აქ ლაპარაკია ორ დიდ ისტორიულ ფაქტზე, მხარგრძელს დასაბრისპირებლად. და ორივე მცდარად.

პ ი რ ე ო . ჯერ ერთი, თამარის ნეშთის გადსვენება იერუსალიმში სრულებით არ გულისხმობდა ჯვაროსანთა ომში ჩაბრუნებას. მუსულმანთა კოალიცია კიდევ მეტ ხარჯს გაიღებდა, რომ ქართველებს ჩაურევლად დაეცვა. ხოლო ისტორიულადც საწინააღმდეგო მოხდა. მხარგრძელის წერილიდან პაპისადმი მხოლოდ ისა სჩანს, რომ ქართველ მთავართავან სწორედ მხარგრძელს მიუღია პირველს ჯვაროსანთა; ამისთვის ბოლი მზადებაც ჰქონია და რასაც ავტორი წიგნის ბოლოში გვამცნობს, და მხარგრძელის ასეთი უცაბედი ცვლილება არაფრით საბუთდება.

მ ე ო რ ე . გულგებობა ეხება ივანე მხარგრძელის მოთხოვნილებას. აქ ავტორმა მხარგრძელს მიაწერა ცნობილი ყუთლუ არსლანის მოთხოვნილება, რაც სრულიად არ უდგება თამარის პოლიტიკის მომხრე მხარგრძელს! ამავე დროს ეს დებულება მეტად ბუნდოვანად ვაღმოგვცა. ივანეს პირით ნათქვამი სიტყვების შინაარსი არ ამართლებს მის აზრსა და მიზნს. ყუთლუ არსლანის შემთხვევაში ვარკვეულად არის აღნიშნული მეფისა და დარბაზის უფლებრივი დამოკიდებულება, — აქ კი ეს არა სჩანს. ავტორის მიზანი მხარგრძელის

მოთხოვნაში გამოხატოს მეფის უფლების შეეყვება, მაგრამ არა სჩანს, მეფეს რა უფლებას უტოვებს, თუ რას იზამს დარბაზი მეფის უარის შემთხვევაში. აქვე ასე ტორი არ ითვალისწინებს. ხოლო თუ ჩვენ მას ყუთლუ არსლანისებურად გავიგებთ, მაშინ კიდევ უარეს წინააღმდეგობაში ჩაჯვრდებით მხარგრძელის პოლიტიკური მრწამსის მიმართ: რომ ამ კერძო შემთხვევაში, თავისი აზრის გასაყენად, აბსოლუტისმის მომხრე მხარგრძელი კონსტიტუციონალურ დებულებას ვერ წამოაყენებდა! ასეთი ულოლიკობა არც რომანს მოუღებია!



2. მხარგრძელი და დიდგვარიანი. ასევე გაუგებარობაში ვარდება ავტორი მხარგრძელის დიდგვარიანებათ ურთიერთობაში. ამ შემთხვევაში ლაპარაკია იმ დიდგვარიანებთან, რომელნიც დაპრისპირებულნი იყვნენ მეფის პოლიტიკის მიმართ და თამარსაც სისხლს უშრობდნენ. ავტორი არა ერთხელ ხაზს უესამს იმ ვარემოებას, რომ მხარგრძელი იყო ერთგული თამარის პოლიტიკისა. ხოლო ჩვენ ვიცი, რომ თამარი, გარდა ზოგიერთი კომპრომისისა, გამგრძელებელი იყო დავითის და გიორგის პოლიტიკისა. მაშასადამე, ამ ფაქტით, მხარგრძელი ვერ იქნებოდა მომხრე დიდგვარიანთა იმ დაბრუნებულ პოლიტიკისა, როგორც ამას ვიცნობთ ისტორიულად ავტორმა კი მხარგრძელის, მეფესთან დასაპრისპირებულად, სწორედ დიდგვარიანთა ამ ბანაკში გადაყვანა მოინდომა.

ავტორი ისევე წინააღმდეგობაში ვარდება, როდესაც იმ დავასვეს დიდგვარიანთა და ეკლესიის პოლიტიკას. აქ კი ახლილად მკლავდებდა ავტორის შესაბამო ტენდენცია.

როგორც აღვნიშნეთ, ავტორმა პროგრესული აზროვნების მომხრეთ დასახა მეფე, შალვა ახალციხელის პოლიტიკის მისდებდა; მეფე — მომხრეთ ამ პოლიტიკისა. მხარგრძელი, კათოლიკოსი და დიდებულები მითებრძვიან — ესენი რეაქციონერები არიან. ხოლო როდესაც ავტორი ამ წრის არაუმეტესს ალაგებს, ამის მიხედვით სწორედ ეს ბანაკი გამოდის ერთგული იმ ტერცესების დამცველად.

მაშასადამე, ერთი მხრივ მხარგრძელი და კათოლიკოსი გამოყვანილი არიან რეაქციონერებულ და მათ მეფისადმი დაპრისპირებაში ხედვას საშემოდას ინტერესთა შელახვას, მეორე მხრით, მეფე თავისი უხასიათო, უწყსო საქციელით იყო მგომბელი აღნიშნული ინტერესებისა, რისთვისაც მას ებრძოდნენ მხარგრძელი და კათოლიკოსი.

აი ავტორი რას სწერს ლასს დაეთ აღმაშენებელთან შედარების დროს:

„დავით ცივისისხლიანი იყო, ალბთ, პირად ცხოვე-



რებაში ზომიერი და შეზღუდული. მისი სიკაცხლის აზრს მარტოოდნ ტაბტის სიმტკიცე და სამშობლოს ბედნიერება შეადგენდა. ლაშასაც უყვარდა სამშობლო, ტაბტის სიმტკიცე ზრუნავდა თავის მოწოდებად მიანდა, მაგრამ რა ჰქმნას, რომ მესამე ხატიც ჰყავს, ორივეზე ძლიერი და სასწაულომომქმედი. ეს ხატი მისი სიყვარულია. იგი ისე დაუფლებდა მეფის გონებასა და მთელ მის არსებას, რომ სხვა კერპების სამსახურისათვის ღონე წაუერთმევია, სამშობლოსა და ტაბტის წინაშე ვალდებულებებზე ხელი აუღებინებია. სწორედ ამ ძლიერი ღვთაების სამსახურსა და **მორჩილებას უშლიან ლაშას დიდებულები და ეკლესიის მეთაურები**“...

უქანსტენილი სიტყვებიდან სრულმითაც არ სჩანს, რომ კათოლიკოსს და დიდებულებს ეტობი რამ სდომებოდათ. პირაქით, მეფე იმის მეფეა, რომ ის ვერ აპყვება პირად ენებათა დიდვას. მან პირადი ბედნიერება ერს უნდა შესწიროს და ამაში დიდად მისი მოქმედების დამამბოღლი გამოდიან დამცველად ეროვნული ინტერესებისა. და განა მარტო ესენი, თვით მეფის ერთგული და დიდებულთა მოძულე მითული ჩაღხიაც ხომ ამას ეუბნებოდა მეფეს:

„შენ მეფე ხარ, ქვეყნის მამა და წინამძღვარი, არ გამართებს განურჩევლად აყოლა გულისა და ნდომისა“. ჩვენი ავტორი კი ვატაცხულები რადაც აკვიტებული „გრძობის თავისუფლებით“, ამ შემთხვევაში მეფისა, და რომ როგორმე დაპვმოს კათოლიკოსისა და სხვათა მოქმედება, ძალიან იაფად აფასებს ქვეყნის მეთაურის თვისებებს. მას ავიწყდება, რომ მისი „თავისუფლება“ უბრალო მოქალაქის მიმართ ერთია და ქვეყნის მესვეურის მიმართ — მეორე. ავტორის ესეც ესმის და სწორედ ამიტომ მისი მოთხრობა ეხვევა წინააღმდეგობათა რაკალში. როდესაც საბოლოო ჯამში არც მეფის მიღლებელი საქციელის გამართლება შეუძლია და ჰკმობს იმათაც, ვინც მეფეს ამ საქციელის მოშლას ურჩევენ.



8. ზოგიერთი გაუგებრობანი. „სამხედრო ძლიერებაზე დამყარებულ ისეთ ქვეყანაში... როგორც იყო საქართველო“ — ტრადიციული შეცდომა. სინამდვილეში, საქართველო სამხედრო ძლიერებას ემყარებოდა იმდენად, რამდენადაც ამას თავდაცვა მოითხოვდა. საქართველოს რომ დავით აღმაშენებელიდან მოყოლებული, იმპერიალისტური პოლიტიკა ეწარმოებინა, შეიძლება დღეს ნახევარი წინა აზია სჭეროდა და მოსახლეობაც ორმოცდაათი მილიონი ყოფილიყო! ქართულმა ერმა, როგორც ისტორიამ დაამტკიცა, ეს კონცეპტია უარპყია. მისთვის სამხედრო ძლიერება იყო საშუალება სამშობლოს განთავისუფლებისა და მერმე ამ თავისუფლების შენახვისა. როგორც მაშინდელი სხვა

სახელმწიფოები, საქართველოც, თავის დიდების ხანაში, დიდ დოვლათს იძენდა ომებითა, დარბევებით და ვასალური ქვეყნების გადასახადებით. **ქველამქველუნა**, რაგინდ მნიშვნელოვანი არ ყოფილიყო, იყო ეპიზოდური და ის სახელმწიფოს ძლიერების ბაზა ვერ გახდებოდა. დღეს საქართველოს ეკონომიური წარსული ისე კარგად არის შესწავლილი, რომ ასეთი შეცდომების აცილება შეიძლებოდა.



გაუგებრობას იწვევს რუსუდანის სცენა ლუბუმთაზ აბანოში. ეს სცენა უადგილო და უშნოა; ნაძალადევი და გაუმართლებელი. აბანოში შეხვედრის სწორედ ერთ საათის წინ, რუსულენოვანი შეხება ლუბუმს ლაშას დარბაზის კარებთან. აქ მათ შორის დიალოგი, შემდეგ გამომქვანება, რომ ის იყო მეფის დაა (რაც მანამდე არ იცოდა ლუბუმმა), ისეთ ფსიქოლოგიურ გარემოებაში მოხდა, რომ შეუძლებელია ერთი საათის შემდეგ

ლუბუმს მისი სახე ვერ ეცნო. ასეთი შემთხვევა ადამიანს მთელი სიკაცხლის განმავლობაში არ ავიწყდება. აღნიშნული გაცნობის შემდეგ კიდევ ერთხანს ესაუბრა რუსულანი ლუბუმს. — ამის შემდეგ სულ ცოტა დრო იყო გასული, როდესაც ლუბუმი შეიყვანეს აბანოში. აქ შედის ვადაცმული რუსულანი და ერთხანს ნელსაცხებლით ტანს უზღვს ლუბუმს. შეუძლებელია ლუბუმს ვერ ეცნო ჭალი, რადგან ავტორის შენიშვნით, რუსულანს „წარბები ჭალივით ჰქონდა კობტად გამოქნილი და ტანს კეკლუცად მიარჩევდა“. როცა ლუბუმს ჭალობა გაუმტვანდა, ვერც მამში იცნო ლუბუმმა. ხოლო გვიან, როცა მან რუსულანის ტანის ლოწონი გული იჯერა, მაშინ ეცნაურა რუსულანის ხმა ლუბუმს!

მთელი ეს სცენა უშნოა და დაუჯერებელი, მხატვრულადაც გაუმართლებელი.



ასევე გაუმართლებელია მესამე სურათიც. კათოლიკოსი ჭადავობს ეკლესიაში და ჭარაგებით ამხელს მეფის ურწმუნოებას. მეფეს ეს ესმის. როდესაც ყველა მუხლებზე დაეცემა, ის ფეხზე სდგას. შემდეგ კი: „ჩამოქვებული ახალციხელის გოლიათობური ხელები სხევისათვის შეუმჩნევლად მოუხეხია მის ფერხი და მეფე მოწყვეტილი დაეშვა მუხლებზე“. კათოლიკოსზე გაბრაზებული მეფე მაინც დათმობაზე მიდის ხალხის გულის მოსაგებად და წინააღმდეგ სურვილისა, შალვის ძალდატანებით დაიჩივებს. კათოლიკოსი კმაყოფილია. იწყებს ხალხი ზიარებას. ამ დროს მეფე ვარდ გადის და ავტორი უტბად მას ვადაფერხს: „მეფეს რომ კათოლიკოსის თვალები დაეძებდნენ, იმ დროს ლაშა თა-

ვისი საყვარელი ხათუნის — მეკუბოვის ჰამადავლეს ცოლის აღერისთ იყო გართული“.

უცბად, მისი აღნიშნული განცდების შემდეგ, რანაირად ეს მოვლენა მეტად უცნაურად გვეჩვენება. მეფე ასე შეიძლება, სულ რაღაც რამდენიმე წამში, ხათუნისათვის აღიაროს ყოფილიყო გართული? ეს გასაგებარია ფსიქოლოგურადაც და უბრალო დროის თვალსაზრისით.

საერთოდ, ლაშას ახალგაზრდული ცაბაცება, ავტორის გადაჭარბებული სულიერი უთანასწორობით აქვს ახსნილი, რაც ეწინააღმდეგება ისტორიულ სინამდვილეს — ფსიქოლოგურადაც გაუმართლებელი.

იგივე ითქმის მოლოზნებთან ანტიტიურაზე, სადაც ავტორმა კიდევ ერთხელ ვასტყორცნა თანამედროვეობის ისარი.....



4. ლაშა და ქრისტიანობა. „ბიზანტიური და ქართული ნეოპლატონიზმის მსოფლმხედველობაზე აღზრდილი ლაშა უძღები ეპისკოპოსებისა და გარყვნილი ბერების ქრისტიანობის უმეცართა თავშესაფარად, დავდრომილია და მიხრწნილია საწმუნოებელ სივლიდა“ —ო — სწერს ვრა ამაშიძე.

ამის გამგონე დავით აღმაშენებელი და გიორგი მთაწმიდელი ალბად საფლავეში ვადარბუნდებოდნენ! ან და საიდან მოიგონა „ქართული ნეოპლატონიზმი“? ეს ზერაყვედ წამოსროლილი ფრაზა ავტორის სურვილი გამახატავს მხოლოდ.

ავტორი ვანავრძობს: „იგი ქართულ წარამოთბას ვმირების რელიგიას ეძახდა, ხოლო ქრისტიანობა ბუნებით მონებისა და გლახაკების საწმუნოებელ მიანდა“ —ო.

ხოლო ეკლესიაზე:

„ერთ დროს ახალისათვის მებრძოლი ეკლესია ახლა თვით ებრძოდა ყოველივე სახელსა და მოწინავეს“ —ო. ბეგერი რამ წამიკითხავს სარწმუნოებაზე როგორც მოაწმუნე, ისე ურწმუნო ავტორებიდან და ასეთი ვულუბრავილო აზრი პირველად მესმის! ბრინჯაოს კერპებისადმი თაყვანება ქრისტიანობის მაღალ მცნებებთან შედარებით პროგრესული და მოწინავე ყოფილა!

ყველა ჭკუათმყოფელისათვის ცნობილია, რომ წარმართობა იყო ვაცილებით ძველი და ჩამორჩენილი და ის უკვე პირველ საუკუნეებშივე ვეღარ უპასუხებდა ვანაოლებელი კაცობრიობის სულსკვეთებას; იყო დროისმული ვადამონაშთი და ხარობდა მხოლოდ უადრესად ჩამორჩენილ ხალხებსა და თემებს; მაშინ, როდესაც ქრისტიანობა მოვიდა და მივალბა; აკთმოყვარე იდებით. და მის დამახასიათებლად რამდენიმე ვარყე-

ნილი ბერისა და პატრიმოყვარე ეპისკოპოსის შემთხვევის დასახლება არ ვამოდგება.

მაშ იმაზე რატომ ჩემდება ავტორი: „ქრისტიანული ლესიამ ეკლტურულ კაცობრიობას?! მთელი ქართველი ერის დიდება წარსულში უმთავრესად მას ემეწერება“!



დილა! ავტორმა ყოველ მხრივ ვათახსირა ლაშა. მაგვარა რომ ის მაინც ეკლესიის წინაშე სპეტაკად ვამოყვანა, ეს უკანასკნელი უფრო მეტად უნდა ვაეთახსირებინა და ასეც მოიქცა. ეს კი, მიუხედავად ყველა მისი ნაკულუვეანებისა, არა ჰვავს ქართულ ეკლესიას. ის ავტორის ვანებით შეთხზული დანტხავია ვ. ი. საბუათა ხანის თვალსაზრისით დღვამებელი, რათა ვამართლოს მისი უშინაარსო დებულება: ლაშა „არწმუნის თავისუფლების მომხრე იყო“ —ო. უშინაარსო, რადვან ეს ჩვენი დროის ცნებაა.

ლაშაზე ერთი რამ შეიძლება ითქვას, რომ ის არ ეკუთვნოდა დანტკოსთა წრეს და ადგა დავით აღმაშენებლისა და იმავე გ. მთაწმიდელის გზას. დანარჩენი მისი მოქმედება უნდა მიეწეროს მის ახალგაზრდაობას და ნებეგრად აღზრდას, შეიძლება ხასიათის სისუსტეც დავმავტოს და სხვა არაფერი. საერთოდ ლაშა უნდა წარმოვიდგინოთ იმავე ტრადიციულ გზაზე, რომელსაც მისი წინამძებნი ადგენენ და აწნაირი საზოგადოების დახასიათების ნიმუშად ავტორი სამართლიანად იმავე შალვა ახალციხელს ანუთლებს:

„თითოთი შალვა ახალციხელიც მეფის უხბლოვის თანამზრახველი და თანამდგომიც კი ურყვედ იდგა ქრისტეს სარწმუნოებაზე და საქართველოს შემდგომ წარმატებასა და დიდებას ქრისტიანობის ვანმტკიცებაში ხედავდა“.

ეს დავა იყო მასულდმულბებელი სწორედ მაშინდელი ჩვენი მოწინავე საზოგადოებისა. ვანა მარტო მაშინ, შემდგომიც, ისტორიამ ვამართლა ქრისტიანობის მნიშვნელობა საქართველოსათვის. ასე დავას ეს დიდმა ილია ჭავჭავაძემაც; რადვან ჩვენი ეროვნული მეობის შესანარჩუნებლად, დაპირისპირებული მუსულმანურ სამყაროსთან, მაშინ ეს იყო ერთად ერთი ძლიერი დედა, რომლითაც უნდა დავცვა თავი ქართველებს.



5. სოციალური მდგომარეობა. აქაც ავტორი თანამედროვეობის თვალსაზრისით მიუღდა მაშინდელი მდგომარეობის დახასიათებას და აბიტრ ყველაფერი შავად ვამოუვიდა. ავტორის აზრით, ფეოდალურ საქართველოში უდანაშაულოთა დევნა მძევნვარებად. ძველი რეჟიმის დაცვა იმდენადვე უაზრო იქნებოდა,

რამდენადაც მისი გავზავილება, ე. ი. მოწინდელი ყველაფრის დაფასება დიდგანდელი მორალური და იურიდიული ნორმების მიხედვით.

ავტორის მიერ ზოგიერთი ფანტასტიური სცენების დახატვის გვერდით, სჩანს მაშინაც ყოფილან მკვლევლები, ჭურბ-ბაცაკები, „ნაძირალები“ და აღბად მათ დასჯაზე უარს არც ავტორი იტყობდა. ამიტომ არა შეიძლება ყველაფრის ერთმანეთში არევა. — თითქოს მაშინ უსამართლობის მეტი არაფერი ყოფილიყოს.

არავითარი მიზეზებით არ შეიძლება მმარცველობის გამართლება. ავტორი ტყუილად სცილობს. რომ მისი „ყაჩაღები“ კეთილსინდისიერებად დაგვიხატოს! რადგან გავარდნილი კაცისათვის ყოველთვის არ არის შესაძლებელი ტყუილ-მართლის გარჩევა. რადგან არსებები ერთეულები იყვნენ და ავაზაკები კი — ათასობით. ამ უტყუარობასაც შეხედეთ: „მეფის წინააღმდეგ განწყობილი ვაზირებსა და დიდებულებს გუნებაში უხაროდათ კიდევ“ მეკობრების ძარცვა-გლეჯა, გამოწყვეული მეფის უსამართლო მოპყრობით მიგრიაული სადმი. ავტორი იმასაც ვეატყობინებს, რომ თვითონ მხარგრძელი კაცებს უგზავნიდა ყაჩაღების მეთაურს და მათ აქეზებდა. ამ დიდ ადამიანს, საქართველოს ბურჯს, თუმცე ყაჩაღების საშუალებით სურდა თავისი პოლიტიკური გამარჯვება!.. ხოლო დიდებულები მაშინ შეუფთავდებოდნენ, როდესაც ყაჩაღები მათ ქონებას შეეპობიან და კერძოდ ათაბაგი კი მაშინ, როდესაც მის ქარავნებს გასძარცვევენ. აქედან სჩანს, რომ თუმცე ათაბაგი არაფერი უწუაში იყო მიგრიაულის უსინდისოდ დასჯაში და პირიქით, მას თანაუგრძობდა, მაგრამ ყაჩაღებმა ისიც მიაყოლეს.



6. გიორგი ლაშა. ავტორი ლაშას ვარკვეულად ვერ ვერა შეხასიათებს. რჩება შთაბეჭდილება, თითქოს ეს იოსა გვიგანი მისი სუსტი ხასიათისა და უნებისყოფიანობისა. სხვაგან კი ის დიდ სიმტკიცეს იჩენს. მაგ. დიდებულებთან და კათოლიკოსთან. აგრედევ მის მიერ დახატული ვეყაკი და გმირი ლაშა შეუთავსებელია უნებისყოფიანსთან. იგივე ითქმის ლაშას მორალზე. ერთგან ის დახასიათებულია როგორც სინდისიერი და მოწყალე ადამიანი, ქვრივ-ობლების განმკითხველი; სწყალობდა ჩამორჩენილ მთიელებს; იყო ჰუმანისტი; მოწინავე იღის პატრონი; დამხმარე საწყალი ხალხის; და აღბად ამ მიმართულებით, ის ვაჰყვეოდა დიდი პაპის დავითის კვალს, რომ მას დიდებულები არ წინააღმდეგობდნენ, ხოლო ძლიერ სახელმწიფოსაც შეჰქმნიდა, უტუე, შეინახავდა, რომ მას სიკუარულის სენი არ გასჩენოდა და მისი ნებისყოფა არ გამოეხრა. ასეთია საერთო დახასიათება.

ახლა ვაღაზენდე ვრ. აბაშიძის მიერ დასახატულ ფაქტებს, რამდენად ამართლებენ ესენი სინდისიერი ადამიანის ბუნებას:

1. სწორედ იმ დღეს, როდესაც ქვეყნობლებს ვამფრესარჩლა — მოლოზნები გაიტაცა ტყეში, როგორც ამას ისამდა ყველაზე დიდალი ავაზაკი, ვაუპუბატურა და ისამ ნამუსხილელი მონასტრებს დაუბრუნა.

2. მის ერთგულ მკველს ლუხუმს კოლი მოსტაცა.

3. ხოლო შემდეგ მის ლუხ: მისადმი მოპყრობას ევრაივითარი სიყვარულის მოტივი ვერ გაამართლებს. ის დარჩება ნიმუშად უდიდესი უსინდისობისა. ასე მოექცა მეფე მის ყველაზე ერთგულ პირს და მამასადამე, რა მოლოზინის დამყარება შეეძლო ვისმეს ასეთ მეფეზე! ხოლო მეფის მოწინააღმდეგენი, რომელთაც ვატულებით ამკირებს ავტორი, მეფეთთან შედარებით ანგულუზებად მოჩანან.

4. ლაშამ ერთხელ დარბაზის კრებაზე, შურეაცხყოფა მიაყენა ისეთ ერთგულსა და დიდ პიროვნებასაც, როგორც იყო შალვა ახალციხელი.

5. ლაშამ ახალგაზრდა კოლი ვაუპუბატურა მის აღმზრდელს, საკუთარი დედის ერთგულსა და სამშობლოს წინაშე დამსახურებულ მხარგრძელს და სხვ.

საერთოდ ლაშა წარმოდგენილია, როგორც ყოველად ვარკყენილი ადამიანი. თუმცე ავტორი სცილობს ყველა კრიმინალსა რადაც მისთვისაც ვაუგებარია „თავისუფალი გრძნობის“ სამოსელში ვახვიოს, მაგრამ ასეთი საქციელი მეფისათვის კი არა, უბრალო მოქალაქისათვისაც კი მიუღებელი უნდა ყოფილიყო და მისი ავტორი დასჯილი სისხლის სამართლის წესით (რასაკვირველია, აქ აღაპარაია ვრ. აბაშიძის ლაშაზე).

ვაგიმეორით და კიდევ დავუმატოთ: ლაშა ყველგან ქალებს დასდევს. მას იშვიათად ვადატურჩება ლამაზი ქალი. მან ვაუპუბატურა ქვეყნის მმართველის მხარგრძელის კოლი. ნამუსი ახადა მოლოზნებს. ერთგულ მსახურს კოლი მოსტაცა. მონგოლების ჯაშუშის „მეკუბოვის“ კოლის საყვარელი ვახდა და ვასცა სახელმწიფო საიდუმლოებანი. საკუთარი მხატვარი ციხეში ვამაობარო, მხოლოდ იმისთვის, რომ მისი დახატული სურათი არ მოეწონა და სხვ.

როდესაც მკითხველი ეცნობა ვრ. აბაშიძის მიერ დახასიათებულ ლაშას, მის წინ წარმოსდგება არა ქართველი მეფე, არამედ უდიდესი კრიმინალი, რომელსაც თუმცე მომხრეებაც და თანამგრძობნიც ბევრი ჰყოლია! ყოველივე ეს შეუთავსებელია ქართველ მეფეთა დიდ ტრადიციებთან. ვრ. აბაშიძემ ვერ დაგვიხატა ქართველი მეფე, თუნდაც მისი ნაკულუევანებით.

ავტორის ცდა, მოეცა ფსიქოლოგიური დახასიათება ჩვენი ისტორიის ამ ვარდტების ხანისა, სუსტად აღმო-

ჩნდა. ჩვენ არ მოვიბოხეთ ჩვენი შინაური ვითარების აპოლოგისა. მაგრამ ჩვენს არღევსა და ღაცემში გარეშე ფაქტორებშიც ითამაშეს როლი. ამ ხანაზე ჩვენი წარმოდგენა სულ სხვაა. ხოლო თუ გრ. აბაშიძის დახასიათებას მივიღებდით, მაშინ შეგვიზრდებოდათ არა მარტო ლაშა, არამედ მთელი იმდროინდელი ქართველი საზოგადოება და შეიძლება თამარის შარავნის დღეც მისილი სახეც დაჩრდილული წარმოდგენით...

ავტორის უდავოდ ნიჭიერი კალმის ქვეშ, თითქოს ეს მწარე სინამდვილე კითხვის დროს იჩრდილება. ხოლო წაკითხვის შემდეგ, უდავოდ აგეშლებათ ეს მწარე ფიქრები და აქ ავტორი დამარცხდა, როგორც ისტორიულად, ისე წმიდა ხელოვნების თვალსაზრისით. ეტყობა, ეს არ იყო ავტორის სურვილი. ალბათ ის არც მოელოდა მკითხველის ასეთ განაჩენს. ეს არის ზვედრი ყუელი დამარცხებულის... თემა დაუძლეველი აღმოჩნდა.

რატომ? იმიტომ რომ, როგორც მას შენიშნავენ, ეს იყო მისი პირველი პროზა და ასეთი დიდი ტილოს დახატვა გაუჭირდა გამოუცდელი ავტორს, თუ ამაში ბრალი მიუძღვის მის მდგომარეობას, ანალოგიურად მეფის მხატვრისა, რომელსაც გრ. აბაშიძე ათქმევინებს:

„თუ კაცს შენს ნებაზე ფიქრისა და აზროვნების უფლება არა გაქვს... მით უფრო მხატვარი, ნადირ, იგი თუ სხვის თვალით ზედაც და ხატავს, შემოქმედი აღარ არის“?

ალ. მანველიშვილი

1959 წ. გაშინგტონი.

ქადვით საღირაშვილი — ფიქრთა და მოგონებათა რეველი. მადრიდი, 1961 წ. გვ. 288.

შუა საუკუნეთა მანძილზე არა ერთი ისტორიული ამბავი, ცხოვრება და მოქალაქეობა, თუ საზოგადოებრივი ისტორია ლექსად არის დაწერილი.

ფრიდრიხ პირველის საქმენი პოეტურად არიან აღწერილი, ხოლო „მემორია საეკლორუმ“ პროზითა და ლექსითაა შეთხზული. ისტორიულ ნაწარმოებებში, თუ ბიოგრაფიაში ხშირად შექმნიდათ ფანტასტიური პოემები, „ზაგ“-ები, ლექსები...

საქართველოშიც მოგვიანებით მთელი ისტორიული ეპოსი შეიქმნა. რუსთაველის ლექსით არის დაწერილი თეიმურაზ მეფის ცხოვრება („თეიმურაზიანი“ არჩილ მეფისა) და გაღვქმნილია თვითონ ისტორიის რამოდენიმე წელიც: მიტროპოლიტ იაკობ ღუმუშაძის ლექსად აქვს აღწერილი „დარღვევა მამკაძიანთ საწმუხ-

ნობისა“; თბილისის მიტროპოლიტმა ლექსად დასწერა გიორგი სააკაძის დიდი ისტორია და ცხოვრება („დიდ-მორეაიანი“); ცნობილია „შაპ-ნავაზიანის“ ანუ ვახტანგ მეხუთის (1656 — 1675 წ.წ.) ცხოვრებასა და იგი საისტორიო პოემა; „ქათალიკოს-ბაქაძიანი“ — ში გაღვქმნილია მე-18 საუკუნის ქართლ-კახეთის მფლობარეობა; „ვახტანგისანი“ — ში აღწერილია ლექსად ვახტანგ მეექვსის, სტუდენტების რუსეთს წასვლის ამბავი და სხვა და სხვა.

როგორ და რატომ მოუვიდა აწ განსვენებულ დავით საღირაშვილს თავისი მოგონებანი ლექსად დაწერა? იქნებ დავით გურამიშვილის გავლენით, რომელმაც თავისი თავგადასავალი შესანიშნავი ლექსითა და ისტორიებით მოგვითხრო? მაგრამ ეს დავით იყო უდიდესი მეოსანი და ბატონი სიტყვისა და კალამისა, და, რასაკვირველია, დავით საღირაშვილის „ფიქრები და მოგონებანი რვეული“ მისგან ძალიან შორსაა, თუმცა ავტორი მოგახსენებს: „ქარღუს კარხანით ლექსად გავიღე“ — და ჩემს „ნაწერს ნუ ჩხრიკავთ გასაწილებლად, გადაკითხეთ მშვიდად და წყნარად“ და თუ არ მოეწონებთ ხრამლით კისერი მოგვეთხოთ.

შუბეულია, აწ განსვენებულ და ტრალიკულად დაღუპულ დავით საღირაშვილს ამ თავისი ნაწერისთვის თავს არაფერ წარკვეთდა, ხოლო საყვედურს მიიღო ეტყოდნე: რატომ მიიღე და მიიღე ლექსად ასწერე ეს შენი ძვირფასი თავგადასავალი, რაც ასე სანატრულო ხანასა და დიდ ამბავთ ეხება? სახუმარო საქმე არაა 282 გვერდზე 30 და მეტ სტრიქონიანი ლექსით თავგადასავალისა და ფიქრთა, განცდათა აღწერა!

მისი ლექსი თავის თავად პოეზიის ნიმუშად ვერ ჩაითვლება და ამ ლექსით თვით დიდად სანატრულო ისტორიული თხრობა ზიანდება, ვინაიდან ავტორის უხედება ხშირად რომელიმე ამბავი თავის ლექსს შეუფარდოს და მასში ჩაკვეტოს იგი. ეს თავგადასავალი ავტორის რომ პროზით დაეწერა, რამოდენად მოიკვდა მის მოგონებათა რვეული! ისტორიულნი ამბავნი უფრო დაწერილობით, უფრო გაშლითა და თანამიმდევრობით იქნებოდნენ აღწერილი! მაგრამ ეს ავტორის არ მოუსურველია და ამით ბევრი რამ დაგვაკლო.

კარი პირველი საქართველოს ამბავს ეხება — 1905 წელი! საესე ბოზოქარ ამბავთ! და რა მოკლედ ლექსის გამო! აქ არის სომეხ-თათართა შორის ყლტეს მოწყობის ცდა თბილისში, გენერალ გარსხაოვის მოკვლის ამბავი და ქართველი ერის ერთი უმძიმესი ტრადედია: ილია ჭავჭავაძის კანური მკვლელობა, ილიას დასაფლავების და მასზე გლოვის ამბავი.

კარი მეორე ეხება იმ ბრძოლას, რომელს ქართველი რევოლუციონერები სპარსეთში ეწოდნენ სპარ-

საქართველო
საბჭოთაო
საქართველო

ლაქის ერთ-ერთ სასაფლაოზე... მოესწრებინა ძველნი მისნი მშობელითა ძვალთ შეუერთდენ? — დღემთომ უყისი!

ააა

.. პოლიკარზე დგებუაზე — ტყვეობაში (მცირე მოგონება). პარიზი, 1962. 32 გვ.

უპრეტენზიო და მართალი წიგნაკი!

ეს მცირე მოგონება არსებითად მწარე მოგონებას შეიცავს, — მცირეა წიგნაკი ტანით, მაგრამ დიდა იგი იმ განცდით, რაც ავტორს ტყვეობაში გადაუტანია. ვინ იცის ტყვეობის ამბავი? — მხოლოდ მან, ვინც ტყვეობაში გაატარა თუგინდ ერთი კვირით. ტყვეობა წითელარმიელთა გერმანულ ბანაკებში, ეს იყო: შიმშილით წამება, წყურვილით ტანჯვა, ფიზიკური დაცემა, ზნეობრივი უნუგეშობა და მძაფრი სულიერი ტკივილი, განსაკუთრებით პირველ ხანებში.

ყველაფერი ეს განიცადა პოლიკარზე დგებუაქემ, მაგრამ მას არ დაუკარგავს მანიც მიუდგომლობის უნარი და გერმანიელთა მოქმედებას იგი განსაკუთრებული ობიექტივებით ასახავს.

თუ ადამიანზე იტყვიან: კაცი კაცისათვის მგელიაო, — ტყვეობაში კაცი კაცისათვის მგელზე უარესია და ამგვარ პირობებში კეთილ კაცთა გამოჩენა და მათ მიერ დანახარების აღმოჩენა, დიანაც აღსანიშნავია და ავტორი ასე პირებს მოწიწებით იხსენიებს, მაგრამ „დედანს“, დედანს იგონებს ტყვე — იგია მისი სისოება...

ააა

ალექსანდრე შათირიშვილი — ერის რაობა და მშობლიური გრძნობა (ფსიქო-სოციოლოგიური ნარკვევი). პარიზი, 1962. გვ. 96.

ეს საკითხი იოლად ხელწამოსაკრავი არ არის, რამეთუ იგი ფრიად რთულია; დიდ ცოდნასა, დაკვირვებასა და დამოუკიდებელი მსჯელობის უნარს მოითხოვს იგი.

ვასაყვევია უწინარეს ყოვლისა საკითხი პიროვნებისა — ინდივიდუუმისა, — ცნობიერება მისი. და ეს პიროვნება ამასთანავე საზოგადოების ელემენტს წარმოადგენს; აქედან ხდება ვადსელთა თვით საზოგადოების შესწავლაზე; შემდეგ კი პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობის გამოკრევეა მთავარი; ამასთან სოციალურ დანაწესებთა = ინსტიტუტთა დადგენა. მაგრამ ამ საკითხთა შესწავლა-გარკვევას მრავალნაირი მიდგომა ახასიათებს და სხვა და სხვა შეხედულების შორის გზის გაკვლევა ძნელია ისეთი შემსწაველისა-

სეთის შაპის ტახტის დასანგრევად სპარს რევოლუციონერებთან ერთად. ეს ამბავი საქმიოდ ვრცლად აღწერილია, თუმცა სრულ სურათის მანიც არ იძლევა. იგი ძალიან საინტერესოა.

მესამე კარში დ. საღირაშვილი ისევ საქართველოში იმყოფება, სადაც მას რუსეთის ადმინისტრაცია ატუსაუნებს და ეტაპით რუსეთს მიამგზავრებს!

მეთხუთ კარში აღწერილია რუსეთში ყოფნა, იქ რევოლუციონერი მუშაობა და მებუთე კარით ისევ საქართველოში დაბრუნება: მსოფლიო ომი; მერმე ისევ პატიმრობა და ვადსახლება (მეექვსე თავში) და 1917 წლის რევოლუცია, რომელს იგი დიდი სიხარულით ცარიკონში შეეგება. აქ ჩვენ ვეცნობით იმ დიდ ამბავთ, რაც მაშინ ხდებოდა და ეს საინტერესო ნაკვეთია ამ დროიდან.

კარი მეშვიდე ვეცამბობს ავტორის საქართველოში ყოფნას, ბრძოლებს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, დამოუკიდებლობის გამოცხადების ამბავს, სომხეთთან ომს, გერმანელების მოსვლას, წასვლას, ინგლისელების მოპრძანებას, სოციალისტური დელოგაციის ჩვენში მოგზაურობას, მოსკოვში თავის ყოფნას, და ბოლოს წითელი ჯარების შემოსევის უბედურ ამბავს...

კარი მერვე: ბოლშევიკების ბატონობისას — კიდევ მეტების ცხეში; სხეებთან ერთად ვადსახლება-ვაქევება ევროპისაკენ და გერმანიაში ყოფნის პირველი განცდები.

კართი მეათით იწყება „გონების აღრევა“ — ესაა საქართველოდან მოსული კაცის აღრევა იმ ევროპის წინაშე, რომელს იგი მხოლოდ ვაგონებით, ან ვაზეთებით იცნობდა მხოლოდ და რომლის ავი და კარგი მას არ ესმოდა და რომლის პოლიტიკა მას არ ვაგებოდა. ეს იმედის დაღუპვის ვანცდა ყველა მაშინდელი მოსული-სათვის დამახასიათებელი იყო...

კარი მეთერთმეტით უკვე მორე მსოფლიო ომში ვი-მყოფებით; აქაც ავტორს იმედების დაღუბა მოულის; ზეტალი და სხვა ქვეყნებში, სადაც იგი ყველაფერს მწარედ ვანიციდის, თუმცა ბევრ შესანიშნავ ისტორიულსა და არტისტულ ქალაქს იხილავს...

მთელი ამ ტრაგიკული თავგადასავლის დასკვნაც უბედოდა: — „ბოროტი ძალა დამაგვრელია, სჩანს ჯერჯერობით კეთილ ძალისა“ —ო, — გვეუბნება იგი დასასრულს და ერთს, მხოლოდ ერთს რამეს ითხოვს იქ, სად კრწანისის სასაფლაოა, გითხვიე დამასკენით მაშის ვაგვრდიოთა, სად ჩემი ძელები შეუერთდება მშობლების ძვლებსა, მოსვენებითა...

...იგი დასაფლავებულია ამერიკის ვეებერთელა ქა-

თვის, რომელიც დამოუკიდებელ აზროვნებაში გაწე-
რონილი არ არის.

საბედნიეროდ, ჩვენი ავტორი ასეთ შემსწავლელთა
ჯგუფს არ ეკუთვნის: მრავალ სხვა და სხვა ზებედუ-
ლებს შორის ალ. შათირიშვილი ადვილად ერკვევა
და დამოუკიდებლად თამამად გზას თვითონ მიიკვლევს.

ყველა რთულ საკითხს ალ. შათირიშვილი მოკლედ
განსაკვიფრებლად მოკლედ და გასაგებად განმარტავს.
ასეთი დახლართული საკითხის გამორჩევა-გარკვევა და
სადაღ ვადმოცემა შეუძლია მხოლოდ მას, ვინც სა-
კითხს ზედმიწევნით იცნობს და საქმეში მიყენილად
ღამად ჩაებედულება.

დასახლებული წიგნის შემდეგი თავი ეხება კიდევ
უფრო რთულსა და ფართო საკითხს — განმარტება
იმისა, თუ რა არის „ერთი“. ამის გამო აუარებელი თე-
ორიაა განვითარებული და დღაც არც დღეს არის შეწ-
ყვეტილი. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ალ. შათირი-
შვილი მოკლედ მინჯს მიმოიხილავს სხვა და სხვა სწავ-
ლას ამ საკითხზე.

მისი მხედველობისათვის მიუღებელია ანთროპო-
სოციოლოგიური თეორია, თუმცა იგი არც იმას უარ-
პყობს, რომ ერს „ერთგვარი შთამომავლობითი ფიზი-
კური სპეციფიკურობა“ მოეპოვება.

ამ პატარა წიგნში ჩვენ ვეცნობით ფუსტელ-დე-კუ-
ლანდესს, პეკოსს, დე სოხიურს. ვუნდტის და სხვათა თე-
ორიას; ამასთან ერთად ავტორი ერისა და სახელმწი-
ფოს ურთიერთობისა და დაჩაგრული ეროვნების სა-
კითხსაც აჩვენებს. და ბოლოს ალ. შათირიშვილი თავის
ზეხედულებას ერის რაობის შესახებ გვაცნობს —

ერი სმონტანური, იურიდიულ და ყოველ გვარ ძალ-
დატანებითი ორგანოების უშუალო ზემოქმედების გა-
რეშე არსებული საზოგადოებრივი ერთეულია; მისი
შესატყვისი კოლექტიფური ცნობიერება ერთმანეთს
უკავშირებს ერთ მთლიან ტერიტორიაზე გაშლილ ძი-
რითად მცხოვრებთ, რომელნიც სხვა და სხვა და, გან-
საკუთრებით, კულტურული ზასიათის დანაწესთა ზე-
გავლენით ერთგვარ სულიერ და ზოგჯერ აგრეთვე ჩა-
მომავლობითი ფიზიკურ მსგავსებას აღბეჭდავენ“ (გვ.
45).

ასე სხატულად, მკერვიად და შეკუმშულად გვაც-
ნობს ალ. შათირიშვილი ერის რაობას — გასაგებია?
თუ არა, — თქვენ თვითონ წაიკითხეთ მისი წიგნი და
გაიგებთ.

წიგნის უკანასკნელი ნაწილი ეხება ადამიანის ისეთ
ფსიქიურ ვანცდას, რომელიც არის მშობლიური ვარძნო
ბა, სამშობლოს ნატურა. ამ საკითხის გამოსაჩვენებლად
ალ. შათირიშვილს ანექტატ კი მოუხდენია უცხოეთში
მყოფ ვარდმობეწილთა შორის და მისი მუდებებიც

მნიშვნელოვანია. ეს ამბავი თვითველ ქართველს ეხე-
და და ამ მხრივ მიმზიდველია.

ალ. შათირიშვილი არკვევს აგრეთვე უცხოეთში აღ-
ზრდილ ქართველ ბავშვთა საკითხსაც. იგი მხოტ ქართ-
ველობას, მათ ეროვნულ შეგნებას ოპტიმისტურად გა-
ნიბილავს. სამწუხაროდ, მის ასეთ ოპტიმიზმს ვერ გა-
ვიზიარებ...

Die Aposteln Nino. Eine georgische Legenden-
gestalt. Herausgegeben von Nikolas Dschanelidse.
Itzehoe in Holstein, 1961. S. 53.

ყველა წიგნს თავისი დანიშნულება აქვს. ნიკოლოზ
ჯანელიძეს განუზრახავს და ვანუზორციელებია კიდევ
ვერმანელებისათვის მიეწოდება ნიმუში იმისა, თუ სა-
ქართველო დასავეეთის კულტურასთან როგორ იყო
ვადაბმული. და კერძოდ ქრისტიანობის მოვრებთ.

ამ ნიმუშად მას გამოყენებული აქვს თბრობა წმიდა
ნინოს შესახებ, რაც კარგად არის ცნობილი ქართულ
რელიგიურ მწერლობაში და ლიტერატურის ისტორი-
აში: „ცხოვრება და მოქალაქობა იორისისა და მოცი-
ქლთთა სწორისა ნეტარისა ნინოისა“, სადაც მოთბრო-
ბილია მოქცევა ქართლისა, ანუ ვაქრისტიანება მისი
წმიდა ნინოს მიერ.

დასახლებულ გერმანულ წიგნაკში ვადმოცემულია
ამბავი წმიდა ნინოსი. გერმანულად ტექსტის დადგე-
ნაში ნიკოლოზ ჯანელიძეს მოხმარება ვანსვენებულ-
ლი ქართველი მეცნიერი მიხეილ თარხნიშვილი.

წიგნაკი დასურათებულია: წმიდა ნინო, წმიდა გიორ-
გი, (რომელიც იმპერატორ დიოკლეტიანეს ჰკლავს),
ქართველთა მეფე მირიანი, და სვეტიცხოველი.

ნიკოლოზ ჯანელიძეს თავისი წველილი შეუტანია
ქართული კულტურის ვერობილთათვის ვაცნობის სა-
ქმეში და ეს კარგი საქმეა, — საკები საქმე!

† ისიდორე მანწკავა — ქართული კულტურის ვზები.
პარიზი, 1962 წ. გვ. 48.

ისიდორე მანწკავა (1900 — 1944) ერთი იმ იშვიათი
ახალგაზრდათავანი იყო, რომელიც, საქართველოში
ჩეკის კლანჭებიდან თავდახწეული, უცხოეთს მიაშუ-
რებს და პარიზის ერთ-ერთ ქაბრანაში მუშაობს. და
ამავე დროს ქართული ლიტერატურისა და კულტურის
საკითხებით ვატაცებული, მეცნიერულ მუშაობას ეწე-
ოდა.

მისი უკანასკნელი, დასახლებული წიგნი იბერო -

ეს დებულება სხვა მკვლევართაგან წარმოუდგენილ
და ამ აღნიშნულ მოძრაობას პარლამენტარულ მოღვაწე
მოღვების დასაწყისად სთვლიან — ვით წინასწარს ნათქვამ
შანს!

ჩვენი დიდი მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი ამბობს:
(ქართული ერის ისტორია, წიგნი 2. გვერდი 581) —
„ამგვარად ცხადია, რომ საქართველოში თვითმპყრო-
ბელობის აჩრდილიც უნდა გამჭარალიყო და მის მაგიერ
პარლამენტის მსგავსი დაწესებულება უნდა დაარსე-
ბულიყო“-ო.


ამ სტრიქონების დამწევიც იზიარებდა ამ შეხედუ-
ლებას, მაგრამ დღეს კი ვფიქრობ, როცა თამარ მეფის
დროის ამავსე უფრო გულდასმით ვეცნობი, რომ ეს
„პარლამენტარული მოძრაობა“ იყო არა წინასწარს და
„დემოკრატიის“ გამარჯვების ცდა, არამედ პირწმინ-
დად რეაქციონური, დიდ-გვირანთა გალაშქრება სამე-
ფოს ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ, წინა-
აღმდეგ ერის მთლიანობისა... მაგრამ ეს ბრძოლა მაშინ
დროებითი დათმობა-შეთანხმებით დასრულდა და იგი
უეჭველია უფრო მძაფრად განახლებოდა, რომ მონ-
ლოლთა შემოსევას სახელმწიფო აპარატი არ მოეშალა.
ეს საკითხი სადავოა და აქ სიტყვას აღარ ვავაგრძელებ.

შემდეგ თავში წიგნისა ავტორი ეხება საეკლესიო
ცხოვრების დემოკრატიზაციის საკითხს და სათანადოდ
დაასკვნის, რომ ეკლესიის „ზრდა და ძლიერება აღმა-
ვალი ეროვნულ-კულტურული და სახელმწიფოებრივ-
პოლიტიკური ცხოვრების გარეშე წარმოუდგენელი
იყო“-ო.

ავტორი სახელმწიფო ორგანიზაციის ზრდასთან ერ-
თად აგრეთვე სასამართლო უწყების განვითარებასაც
და საერთოდ მთელი ქართული სახელმწიფო და საერო
ცხოვრების განვითარებას მოკლედ განიხილავს, მის მა-
ღალ დონეს „ხანგრძლივი ტრადიციებისა და კულტუ-
რის ხარისხის“ შედეგად სთვლის.

მეორე ნაწილი ამ პატარა წიგნისა არქიტექტურასა
და ხელოვნებას ეხება, მის მოკლე ისტორიის შეკუმშ-
ულად გვაქრობს და გვეუბნება: „საქართველომ არა
მხოლოდ ხუროთმოძღვრებაში შექმნა ბიზანტიის გვერ-
დით, მისგან დამოუკიდებლად და პარალელურად მთე-
ლი ეპოქა, არამედ მხატვრობაშიც და ამ მხრივ ხუროთ-
მოძღვრებაზე არა ნაკლებ საინტერესო ძეგლი ქარ-
თული კედლის მხატვრობა“.

შემდეგ საქმე გვაქვს საერო მწერლობასთან. ეს „სა-
ერო მწერლობა, განსაკუთრებით კი (პოეზია, ვეპებერ-
თელა მწვერვალია ქართული კულტურის იმ თავისებუ-
რობის და დაწმენდილი სახისა, რომლის დიაპაზონი



ილია შალვა (1900 — 1944)

კავკასიურ, ანუ ქართულ კულტურას ეხებოდა, რო-
მელიც „აღმოსავლეთ-დასავლეთის რთულ და ხანგრძ-
ლივ განვითარებათა მომჭკეპვეში დამოუკიდებელ ერ-
თულად სდგას, მიუხედავად იმ გავლენებისა, რომელ-
საც ახდენდნენ მასზე სხვა და სხვა ერები განვლილი
ისტორიის გრძელ მანძილზე“ — როგორც გვეუბნება
თვით ავტორი.

ამ თვალსაზრისით აღმუშავებული იგი პირველად ყოვ-
ლის იძიებს „აღმავალ ხაზს“, თუ როგორ განვითარ-
და და ამოღდა ქართული სახელმწიფო; როგორ მი-
აღწია მან თამარის „ოქროს ხანას“ და ბოლოს, მონღო-
ლების შემოსევათა შედეგად როგორ დაეცა იგი. ამას-
თან დაკავშირებით მისი ყურადღების რაკალშია მოჭკე-
პული პირველად სოციალური კულტურა და მიდის იმ
დასკვნამდე, რომ საქართველოში „კონსტიტუციონა-

თავისი სიმკვრივით და სიღრმით დამოუკიდებელ ჯე-
ზირად მოსწაინან მსოფლიო კულტურის საღარიბოში“-ო.

ბოლოს საკითხია „აღმოსავლეთისა და დასავლეთის“ ურთიერთობაზე და აქ ავტორი ზოგ საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს აღმოსავლეთისა და დასავლეთის შესახებ, თუმცა ზოგი რამ საერთოდ დღესაც სათანადოდ გარკვეული არ არის, ან არის საკამათო დასავლეთ მეცნიერთა შორის. ასეთია, მაგალითად, დებულება: „დასავლეთის ევროპული კულტურა და ცივილიზაცია, აღმოსავლეთის ნიადაგიდან, მისი საწყისებიდან მომდინარეობს“-ო — ამბობს ავტორი და რასაკვირველია, აქნად ლოლიკრად დაცენასაც გვაწოდებს: „აღმოსავლეთის და დასავლეთის კულტურათა „შეხვედრის პირველი ადგილი სწორედ დასავლეთი არ არის, არამედ საქართველო, მისი კავკასიური ფარგალით“-ო.

ეს არის მეტად თამამი დებულება, რომლის დამტკიცება არც ისე იოლია და რაც რთულსა და მძიმე მეცნიერულ რუდუნებას მოითხოვს; ეს კი ისიღორე მანწყავას, სამწუხაროდ, აღარ დასცალდა.

ისიღორე მანწყავას აღნიშნული წიგნი არის მნიშვნელოვანი წვლილი, მიტინალი ქართული კულტურის ისტორიის საკუთხვევლთან, — თუგინდ მხოლოდ საკითხთა დასმით.

მომომხილველი

ა-ა

† ივანე ზურაბიშვილი — კარგ ქართველთა ხსოვნისათვის. პარიზი, 1962. გვ. 232.

ივანე ზურაბიშვილი (1872 — 1940), საქართველოში ცნობილი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, მწერალი და მთარგმნელი იყო და განაგრძობდა იგი ამ თავისი მოღვაწეობის და მოვადეობის გარდახვეწილობის დღეში პირობებშიც. მოამაველი, რასაკვირველია, მის მოღვაწეობას თავისი აღმწერელი გამოუჩნდება.

ივანე ზურაბიშვილის ამ წიგნს მიუძღვის მისი მოკლე ბიოგრაფია და თვითონ წიგნი იწყება თავით — „ღედა“. ეს წიგნი არ არის მოგონება-მეწერა, არც არის წმიდა მხატვრული ანაწარმოები, მაგრამ ორივე ერთად ისე ლამაზად არის შერწყმული, რომ დაუეწიყარ შთაბეჭდილებას სტოვებს.

„ღედა“ — „შენ“ — პირველი სიტყვა და პირველი გრძნობა იმ გულისა, რომელიც ისე ტკბილად მტკივნა, როდესაც ამ ორ მარცვალში გამოხატულ ტკბილს არსებას მოვიგონებ. ...

„ღედას მამაგერი“ — „მკათათევა. ცხელა.

უხმოდ, თითქმის უცრემლოდ ვდგევართ კუბოს წინ, — მეტად დიდა ჩენი მწუხარება... გარშემო სიჩუ-
მა. ვდუმვართ ჩვენც იმ უკანასკნელ რბინი უკერის წინაშე, რომელსაც უძრავ უყვია საყვარელი სანე იმისი, ვინც ჩენის ბავშვობისა და სიყმაწვილის ბედნიერების საღარაჯოზე იდგა...“

„გ რ გ ო ლ ვ ო ლ კ ი — მან „სხვა უფრო რთული სხეული დაიხანა თავის ზურუნის სანგან... ქართველი ერი და ქართული ეროვნული საქმე გვექონდა სახეში“... „უტრიალებდი იმ სავანს, რომელსაც შეგნების პირველი წამიდან მოყოლებული უკანასკნელ სულთქმეად უტალობდი შენს ჰიმს: შენ გეტრჯი მარად, შენ გეტრჯი მარად“...“

გ ა ბ რ ი ე ლ ე ვ ი ს კ ო ო ს ი — „მწელი წარმოსადგენია უფრო მილიანის და ამასთან ისეთის თევისებურის ბუნების ადამიანი, როგორც გაბრიელ ევისკოპოსი იყო“... მისმა „განსვენების დღემ ნათლად დაგვანახა რომ მთელი ქართველი ერი, როგორც ერთი კაცი ვანიცილდა ამ ღრმა მწუხარებას“...“

კ ი ტ ა ა ბ ა შ ი ძ ე — „კიტას მოძრავი, შეიძლება ითქვას, ნოსტენიანი ხასიათი, მისი თეგანწირული სიყვარული სამშობლოსადმი, მისის წინესლისა და დავითარების აღგზნებული და ცეცხლმოკიდებული გული“...“


ვ ლ ა დ ი მ ე რ ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე — „თავგამოდებით იღწვის ვალოდია საზოგადო ასპარეზზე, — მასწავლებლის ეროვნული გიმნაზიაში და ფორნალ-გახტებში თანამშრომლობს, რომ ვთქვათ, ვერაფერი დამახასიათებელი იქნება მისი ლიტერატურული შრომისათვის — რედაქციაში ათეფს და აღამებს“...“

კ ი ო რ ი ე ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე — „დიდის და მადლის ბუნების პატრონი იყო კირილე. მისი გული ღრმა და კეთილ გრძნობათ გახებათ თავიანთ სამკვიდრებლად, და მისი სული — პატრონან და მადლი მისწავებლად. და ყველა ეს გრძნობა, მისწავება, აზრი, მთელი მისი სული, გული და გონება ერთს საგანს ეკლებოდა თავს, — თავის ერს“...“

მ ი ხ ე ი ლ ხ ე ლ თ უ ფ ლ ი შ ვ ი ლ ი — „გაპქრა სული იმეითის სისპეტაკისა, წარვიდა მადლის ნიჭით უხვად დაჯილდოვებული გონება და გული, სავსე უწმიდეს გრძნობებით“...“

კ ო ნ დ რ ა ტ ი მ ხ ე ი ძ ე — ეს იყო ქართველი ინტელიგენტი, და ერთი მათგანი, მუდამ მთა, თანაგრძნობით და გამსუგეობით, იქნებოდა, თუ ნივთიერად, საკუთარის ჯიბით დასახმარებლად და ხელის მოსაწყობათ იყო კონდრატე...“

და ვ ი თ ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ს ძ ე გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი — დავითი ნამდვილი ესთეტი იყო... სულით



ივანე ზურაბიშვილი (1872 — 1940)

და ვუღიოთ არტისტი, მშვენიერების ტრფიალსა და ძებნაში იყო... „ჩვენის თავისუფლების დღეს დავითი გამოუთქმელის სიხარულით დახვდა“... და წითელი ოკუპაციისას... „დავითმა მწარედ ხელი ჩაიჭია. დაფიქრებული, უღიმიო ერთ ხანს საღდაც შორს რაღაც უხილავ საგანს მისჩერებოდა... „პირველია განა? ჩვეული არა ვართ ასეთს ზედს“?...

თ ა მ ა რ ო ბ ე ლ ი ა ნ ი ს ა ს უ ლ ი — „რისთვის, რა განზრახვით მოაგვლინა ბუნებამ ამ ქვეყნად ეს სულიერი და ხორციელი სრული სიტუაფე? ამა ქვეყნის სიხარულისა და სიტკბოების უნაკლო ჭურჭელი რამ შექმნა? მამ რად-და არ აავსო იგი ყოველნაირ ბედნიერებით!“...

ი ლ ი ა ტ ვ ე ჯ ა ვ ა ძ ე — მოხსენებდა წყაიბხული პარიზის ქართულ საზოგადოებაში...

●
მკითხველის თვალ წინ სურათი სურათს მისდევს — მხატვრული სურათი ნაირ-ნაირი მომზიბლველი ფერით შემკობილი — სურათი ნარტო? ყველა ამასთან ერთად ქართული საზოგადოება, ცხოვრება და ბრძოლა!

და სურათთან ერთად წარმტაცი ბუნება, ცოცხლად დიდი ხელოვნის ხელით დახატული!
და როგორ? რა სინაზით, რა სიფაქიზით არის ნაჩვენები ყველა ამ კარგი ქართველის ხატ...
წმიდა მეგობრობის რა განუზომელი და ზნირად რა ხალისით, რა იუმორით არის შესრულბებული ყველაფერი ეს! სიამოვნებით კითხულობთ ამ კარგ წიგნს; წაიკითხავთ რამოდენჯერმე და განიცდით მადლობის კრძნობას ივანე ზურაბიშვილის შვილებისადმი, რომელთაც მამას მუდმივი სასაფლაოს ქვის გარდა, ცოცხალი წიგნითაც მას უტყობთში ძეგლი დაუდგეს...

ვ. ნოზაძე

ა-ა

აკაკი პაპავა — „მოწამეთობა“. ლექსები. ნიუ იორკი, 1962.

ამ ლექსთა კრებულს მიუძღვის, ასე ვთქვათ, ემიგრაციის გამამართლებელი მსჯელობა, სისხლის მელნით დაწერილი, და თვით სათაურიც ამ ლექსთა კონისს ამით განისაზღვრება — ჩვენი მისობა მტერმა ჩვენ მოწამეთობად აქცია: „და ჩვენი გოლგოთის გზა უეჭველად იმსახურებს „მოწამეთობის“ გზის სახელს. ჩვენ, ყველა რწმენის და მიმართულების ლტოლვილით, ერთნაირად გვევლია ამ წამების გზით... ჩვენ ყველანი მანინც ამ „მოწამეთობის გზის“ თანაბარ მგზავრებად ვრჩებით და დავრჩებით“-ო — გვეუბნება პოეტი აკაკი პაპავა.

ეს თქმა გადაჭარბებულია — არა მგონია „ყველანი“ ... „თანაბარ მგზავრნი“ იყვნენ...

აი, ამ „მოწამეთობით“ არის შემოფარგლული დასახელებული წიგნის ლექსთა კრებული — თავისუფალი საქართველო — 26 მისი —; დაპყრობილი საქართველო — თებერვალი; დამპყრობელნი, გამცემნი, მათნი დამტკაზნი, დაღუპულნი მებრძოლნი, გელოვარენი...

მთელი წიგნის ფურცლებზე იზლება და იღვრება გოდება... ეს არ არის გოდება იერემიასი... შემზარავი და შემამძრწუნებელი, ღვთის რისხვით გამოწვეული წარტყვევნა იერუსალიმისა — „მოწამეთობა“-ში არა სჩანს ხელი ღვთისა, მაგრამ ეს არის გოდება ქართველისა, რომელშიაც მოისმის გლოვის ზარი (მეგრული სტილისა) მომბრალთა და მებრძოლთა. ლექსი მოთქმისა და ბრძოლისა. დამწვარ-დათუთული გულის ამონახებთქია თითოული სტრიქონი, ხანდახან გაურანდავიც — აქა მძიმე განცდა უტყობთში მყოფ მგონანისა — ფართო და ღრმა, შეიძლება ითქვას: უძირო — რა-

საც მთელი მისი არსება დაუპყრია. ეს განცდა, მეტად თუ ნაკლებად, უცხოეთში მყოფ ქართველთათვის ნათესავურია, გასაგები და პოეტი აქ მათ ნაცვლად ღაღადებს...

ეს არის „კონტაკონი“, ოლიონდ არა რელიგიური, არა მღვდელი ეკლესია, რომლის შეიძლება პოეტური, ლირიკული ქადაგება ეწოდოს.

ამ ლექსთა კონაში არ არის ფრთხილბედი ლექსი, — იგია თემის შესაფერისად მძიმე ვით გლოვა და დიდი გამოტრიალი. მხოლოდ ორიოდე ლექსია აქ ტრფობისა და ისიც მწუხარებითა და სინანულით არის დატვირთული და დამძიმებული, ისიც მწუხარებითა და სინანულით თავდება, — კვითხულობთ აგრეთვე ბავშვობის მოგონებას, გარანა ვ მოგონება დღეისეულის მწარე ხვედრით ტრადიციით შექმნილია...

აკაკი პაპავას „მოწამეთობის“ წიკითხვისას მომგონდნენ დიდი ესპანელი მწერლები ლარრა და ხოზე მარტინეზ რუიხი. — გამახსენდა მათი სევდა და გლოვა ესპანეთზე და მათი არაჩვეულებრივი თქმა: — ესპანეთში წერა ეს გლოვა არის! აკაკი პაპავას მიმართ ეს განსაკვირვებელი თქმა ასე შეიძლება გადაკეთდეს: — საქართველოზე წერა. ეს არის ტრილი და გლოვა! მიუხედავად გლოვა-ვაებისა იმედი მაინც კიაობის მის პოეზიაში და საბოლოოდ პოეტი მაინც გვაიმედებს: მჯერა — სამშობლოს გაუთენდება...

ეუსტურეებთ პოეტი აკაკი პაპავას ამ გათენებას თვითონ მოსწრებოდეს და ღიზით ევალობოს... ამინ!

3. 6.

+

† ვ. გოგუაძე — მოგონებანი. პარიზი, 1963. გვ. 128.

ქ-ნი ნამეტია ბერძენიშვილის ასული გოგუაძისა მწუხარებით აღნიშნავს ამ წიგნის „წინასიტყვა“-ში, რომ მისი მეუღლის დიდი ხელნაწერი ცეცხლმა შთანთქმა, ხოლო დასახლებული ვამოცემა ნარჩენ ნაწერთაგან შედგენილი წიგნაკი არის.

მართლაც სამწუხაროა დიდი ხელნაწერის დაკარგვა! რატომ? იმიტომ, რომ ვ. გოგუაძე ისეთ ამაღლებებელ ამაღეს მოგვითხრობს, რაც მეოცე საუკუნის პირველ მეოთხედს ეხება — მოგვითხრობს საღად, დაუმოზავად, მიუჩქმალავად და შეუღამაზებლად...

პირველი ხანა ბავშვობასა და სოფელში მუშაობას გვაცნობს; მერმე ბათუმის მუშაობა ცხოვრებას და ვ. გოგუაძე ისეთ სურათს გვაჩვენებს, რომელიც მაშინდელი ბათუმის მუშებისათვის დამახასიათებელია: მძიმე მუშაობა, მიღებული ფულის „შეჭმა“ ქვიფში და შემდეგ უსახსროდ დარჩენა! ჩხუბი და დავიდარაბა —

ისინი არ იზიარებენ ეკლოდიას მამის ნათქვამს — ქამის ღროს ძაღლები ჩხუბობენო!

შემდეგ: სამხედრო სამახურო; იქ დაწინაურება; ერთჯერადა მუდისადმი; მანჯურიაში ყოფნა; დამარუნება ოდესსა; რევოლუციური მოძრაობის გაცნობა ბაქოში და მისი გაწვევოლუციონერება. აქ ცხადია, მოკლედ აღწერილია ბაქის ამბები. დამარცხდა რევოლუცია, რომელსაც, მახსოვს, ივანე გომართელმა რუსული „ბუნდას“ უწოდა. იწყება რეაქცია და აი ვ. გოგუაძე პირველ როლს თამაშობს... ტერორისტულ საქმეში.

ბაქოში გამეფებულია დაბნევა და უღალაჯობა აღმინისტრაციისა და ... მჭინვარე ტერორი... აღმინისტრაციის მოქმედება ერთი მხრივ ტერორისტულ მოქმედებას შეუცვლია. ვისი დადგენილებით ხდებოდა ეს ტერორი? შეუდგენიათ რევოლუციონური სამხედრო საბჭო, რომელიც ამ ტერორს კარნახობდა, მაგრამ არა ერთია ისეთი შემთხვევა, როდესაც ტერორის მიმართაც თვით ვ. გოგუაძე პირადათ თავისი გარდაწყვეტილების თანახმად.

რით ხელმძღვანელობდა ამ შემთხვევაში იგი? და აი, ეს არის დამახასიათებელი ბაქოს რევოლუციური მოძრაობისათვის: მავანი და მავანი არის ჯაშუში, ის პოლიციის ავენტა, იგი გამქმნია — იქნება მართლა, იქნებ მოჩვენებით — იმ ხანაში გამკითხავი არის მხოლოდ ტერორისტი თავის ამხანაგებთან ერთად! განსვენებული ვ. გოგუაძე არ მალავს ამას და ჩვენ წინ იშლება სურათი მკაცრი და მჭინვარე ტერორისა.

იმ არეგდარევის ხანაში, თავისთავად ცხადია, ავაზაკებსა და შანტაჟისტებს ფართო ასაპრეზი და დიდი გასაქანი ეძლეოდნენ. და აი, აქ ეხედავთ, რომ ვ. გოგუაძე მათ ებრძვის; მათ იჭერს; მათ სჯის. ვინ დაავალა ეს განკითხვა და განსჯა, დაჯჯა? აღმინისტრაციამ? — არა. პარტულმა ორგანიზაციამ? — ეს არა სჩანს ამ ნაამბობიდან. ვ. გოგუაძეს აუღია თავის თავზე ავაზაკებისა და შანტაჟისტების, ჭრადების და მკვლელების გამოსწორება, გასწორება და წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი დასჯაც.

ეს დიდად საინტერესო მოვლენაა კაცის ფსიქოლოგიური დახასიათებისათვის. ასეთი ტიპი ცნობილია ფსიქოლოგიაში — კაცი, რომელსაც წარმოუდგენია, რომ იგი არის თვითონ სამართლიანობისა და სამართლის დამცველი, ზნობის დარაჯი, ქემარტიტების გუშავი, დაჩაგრულითათვის მზრუნველი, გამომასწორებელი ყოველი უმეტურებისა. ასეთებად ითვლებოდნენ რელიგიის დამაარსებელი, წინასწარმეტყველნი, ესპატოლოგიის მოქადაგენი... აი, ასეთ ტიპს გვაგონებს ვ. გოგუაძე თავისი მოთხრობით, რაც მეტად მოკლეა,



ვ. გოგუაძე

მაგრამ ამაღლებულები და შემბოჰველია... გულწრფელად მოგვითხრობს ვ. გოგუაძე ამ ტიპის ამბავს და თუმცა ეს წიგნი ძალიან მცირეა. მიანიც მკაფიოდ მოსჩანს და რელიეფურად ისახება ვ. გოგუაძის სურათი.

იგივე მოქმედება მეორდება გურიაშიც. სადაც ვ. გოგუაძე ქუჩაღებს, ავაზაკებს, შანტაჟისტებს სვდენის, მათთან ბრძოლაში მძიმე კრილოვას ღებულობს...

სურათი იცვლება მაშინ, როდესაც ვ. გოგუაძეს მოქმედების ახალი ასპარეჟი ეშლება. ესაა უკვე რევოლუციის დრო — ბრძოლა საქართველოსათვის! აქ იგი დიდი აღფრთოვანებითა და თავდადებით იბრძვის. იგი იყო ჯაგჷშოსანის ხელმძღვანელი და თითქმის ყველა ბრძოლაში აქვს მას მონაწილეობა მიღებული. აქ მას გაეხსნა იდეალი წმიდა და დამაპყრობელი: ბრძოლა საქართველოსათვის; მიეცა გარკვეული და ნათელი, საყვარელი და სასურველი იდეა — დაიცავს სამშობლო შინაური თუ გარეული მტრის წინააღმდეგ. აქ ვ. გოგუაძე სრული პიროვნებაა, ანუ რობაქიძის თქმით — „იგი არის ფესვმეგარი, მტკიცე ურყევი, უღრვეი

უტეხი, უშიშარი: როგორც თავგამოდებული მებრძოლი სამშობლოსა“...

ცნობილია, ყველაზე უფრო ძნელი დარგი მწერლობაში არის მოგონებათა, მემუარათა წერა; მხოლოდ იმიტომ, რომ ძნელია კაცმა თავისი პირადღებულ მემუარათაში წინ არ წამოაყენოს, ყველაფერი თავის თავს არ მიაწეროს; ან მოვლენები თავისი შეხედულებით არ აღიქვას და ისე არ დააფასოს, ან ეს მოვლენები, დაწერისას, თავისებურად არ გააშუქოს, ან ახლანდებურად არ წარმოიღვინოს...

ვ. გოგუაძე ხშირად თავის თავზე ლაპარაკობს და ფაქტობრივად რამდენად ზუსტია მის მიერ მოთხრობილი, — ამის განსჯა არ შემიძლია; მაგრამ იქ შეცდომებიც რომ იყოს, ეს დიდი ზედუნა არ არის; რადგან ისტორიას მარტო ერთი პიროვნება არა სწერს და საბოლოოდ მრავალთა ნაწერნი, გარდმოცემანი, თუ მოგონებანი ერთი მეორეს ასწორებენ და ბოლოს სინამდვილენი გამოიჩინებიან.

ვანსეცენებული ვ. გოგუაძის „მოგონებანი“ ისტორიის ერთი შესანიშნავი ნაკვეთი არის და დიდად ღირსეულიც. რამეთუ იგი ეკლუტენის ყველაზე ძნელს ხანას ჩვენს ისტორიაში და მისი წიგნაკის გამოცემა ამ აზობოქრებულნი ისტორიისათვის კაცე ვეწლიის მიძღვნა

მკითხველი



Bedi Kartlisa, re vue de Kartvélogie. Etudes géographiques et caucasiennes. Vol. XV - XVI. Publiée avec le concours du Centre National de la Recherche Scientifique. Paris, 1963.

„ქართველოლოგიის მიმოხილვა“ არის მხოლოდ ღირსმნიშვნელოვანი ჟურნალი, რომელიც ერთი მხრივ თავს უყრის უტეხოდ, სხვა და სხვა ქვეყნის ქართველოლოგოსების და მეორე მხრივ იგი არის ის მეცნიერული ხიდი, რომელიც ქართულ მეცნიერებას უტეხოდ ქართველოლოგოსებთან აკავშირებს.

უკვე გამოქვეყნებული ქართველოლოგიური მიმოხილვის 16 წიგნში დაიბეჭდა ბევრი საინტერესო მეცნიერული კვლევა ფრანგ, ინგლისელ, გერმანელ სპეციალისტთა, რომელთა ძიება თბილისში ქართველ მეცნიერთა აინტერესებთ; და ერთ ორგანოში ყველა ამ მეცნიერის თავის მოყრა და მონაწილეობა დიდი საქმე არის, რასაც დაუღალავი ამავით ჟურნალის დირექტორმა ბ-ნმა სალიამ მიაღწია ამ ხნის განმავლობაში. და ისიც დიდი მიღწევაა, რომ ეს ჟურნალი ფრანგული „მეცნიერულ ძიებათა ნაციონალური ცენტრის“ თანაშემწეობით გამოიცემა.

დიდი ქართველოლოგიური კვლევა-ძიება სწარმო-

ებს ქართულ მეცნიერულ დაწესებულებებში თბილისში და სამუშაო ის არის, რომ იგი, ჩაკეტილი და შემოზღუდული რკინის ფარდით, ხშირად უცნობი რჩება უცხოელ სპეციალისტთათვის, მაშინ როცა უცხოეთის და ქართველ სპეციალისტთა მუდმივი ურთიერთობა ქართველოლოგიის კვლევა-ძიებისა და მიღწევების საქმეში აუცილებელია მეცნიერების წინსვლისათვის, — ამ მხრივ, შედეგისამებრ, მცირედ მაინც ხარვეზს ავსებს ქართველოლოგიური ჟურნალი „ბები ქართლისა“, რომელიც, რომ შედეგს უცხოელებს აცნობებს, მაგრამ ეს საკმაოდ არ შეიძლება ჩათვალოს. საუბედუროდ, არც თვითონ აქვს საშუალება ფართოდ გააცნოს უცხოელებს ქართული მეცნიერების ნაყოფი იმავე კარჩაკეტილობის გამო, რაც ზემოდ აღინიშნა.

აქ დასახელებული რეეული (15—16) ამ მხრივ უფრო ვრცელია წინანდლებთან შედარებით.

არც ის ცდაა უმნიშვნელი, რომ ჟურნალის ღონისძიება იქით არის მიმართული, რომ საერთოდ კავკასოლოგიური საკითხები თავის ფარგალში შეიტანოს და უცხოელთ ამ დარგში თავიანთი კვლევის გამოქვეყნების საშუალება მისცეს.

ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ კავკასიოლოგიური მეცნიერება დღეს დიდი ნაბიჯით მიემართება წინ, განსაკუთრებით ჩვენში.

მკითხველი

ვ. ნოზაძე — ეფეხისტკაოსანის ღმრთისმეტყველება.
პარიზი, 1963 წ. 560 გვერდი.

ეს წერილი არის თარგმანი იმ წინასიტყვაობისა, რომელიც დასახელებულ წიგნს წინ მიუძღვის და უფროოდ განსვენებულ არჩილ ზრნაბიშვილს ეკუთვნის.

პოემა რომანი „ეფეხისტკაოსანი, რომელიც ქართული მრავალი საუკუნეგანი მწერლობის ისტორიის მეთორმეტე საუკუნეს ეკუთვნის, არის მხოლოდ შუა საუკუნეთა მწერლობაში. ამ პოემას, რომელიც დაწერილია დიდი მუსიკალური ენით, არ მოეპოვება მსგავსი ნაწარმოები მაშინდელ არც აღმოსავლეთისა და არც დასავლეთის ლიტერატურაში. ეს ქართული ნაწარმოები იმდენად საყვარელი იყო ქართველი ხალხისათვის, რომ უბედურ ქართველია და მტრების მუდმივ შემოსევათა და განადგურების მიუხედავად, შეინახა მან იგი მრავალ ხელნაწერად და მხოლოდ პირ-

ველად დაიბეჭდა იგი 1712 წელს თბილისში, ვახტანგ მეექვსის ბრძანებით. თვით ამ დიდად განათლებულმა ქართველმა მეფემ, მეცნიერმა, მწერალმა და მთარგმნელმა დასახელებული პოემის კომენტარები დაბეჭდა და მას შემდეგ ბევრი დაიწერა ამ პოემის შესახებ.

შოთა რუსთაველის გაწმენდა თავიდანვე შეიქმნა დავა: ბერძნულ-ზონთა ძალიან ვიწრო წრე ამ პოემის ავტორს ბრალს სდებდა, მან თავისი რომანი ხორციელ სიყვარული იქადაგა და ქრისტიანული მორალი შელახა.

მეცხრამეტე საუკუნეში ამ პოემის ზოგი გამოცემულია და რედაქტორმა ამ ნაწარმოებში ხელდავდა სხვა და სხვა დიდილოგიური მიმართულებას: ზოგს პოემა მიაჩნდა ქრისტიანულად; ზოგს — ნეოპლატონურად და უკანასკნელ ხანაში მკვლევარებმა მასში აღმოაჩინეს მანიქეიზმის, ელინიზმის, პაგანიზმის, ათეიზმის, პანთეიზმის, „მატერიალისტური პანთეიზმი.“ მსოფლმხედველბა და სხვა. განმეორდა ის, რაც დანტეს დაემართა, რომელიც ზოგმა მანიქეანად და სოციალისტადაც კი გამოაცხადა.

ჩვენს დროში ეს დავა რუსთაველის მსოფლმხედველობის შესახებ გართულდა და გაძლიერდა; — ამის შემდეგად შეიქმნა ფართო რუსთაველოლოგიური ლიტერატურა და თბილისში დაიარსდა რუსთაველის შემსწავლელი ინსტიტუტი.

ამ წინამდებარე წიგნის ავტორმა დრ. ვიკტორ ნოზაძემ უკვე კარგა ხანია რუსთაველოლოგიური საკითხთა გამო შრომები გამოაქვეყნა და ამით პოემის დეტალურ შესწავლას შეუდგა.

პირველი მისი წიგნი ეხებოდა ამ პოემის სიმბოლიზმს ავტორს; მეორე წიგნი განიხილავდა ასტრონომიას და ასტროლოგიის საკითხს პოემაში; მესამე წიგნი — მზის მნიშვნელობას, ხოლო მეოთხე — ეფეხისტკაოსანის საზოგადოების აღნაგობასა და ჩვეულებათ. ეს წინამდებარე წიგნი ეხება რუსთაველის ფილოსოფიურისა და რელიგიის მსოფლმხედველობის საკითხებს; ავტორი დაწერილებით განიხილავს კლასიკურ და ჰელენისტურ ფილოსოფიას, ქრისტიანულ ფილოსოფიას და კერძოდ დიონისე არეოპაგელის მსოფლმხედველობას; არკვეს მთ ურთიერთობას და შემდეგ გადადის თვით ქართული პოემის გარჩევაზე.

ეს გარჩევა არ არის ადვილი, რადგან პოეტი რუსთაველი თავის პოემაში არ ლაპარაკობს ფილოსოფიური პოსტულატებით, ან რელიგიური დოგმებით. არამედ პოეტური ბიტყვით გამოხატავს იგი თავის აზრს.

პირველი და მთავარი საკითხი, რომელსაც დრ. ვიკტორ ნოზაძე ეხება ამ პოემის გარჩევისას, არის საკითხი მართი-სა. იგი მკითხველს აცნობს ამ მართი-სა-

კითხის ისტორიას და გრძელი რკვევის შემდეგ ამტკიცებს, რომ რუსთაველის მართი არის არეოპაგიტული ტერმინი და რათა ამ ცნების წინაარსი და მნიშვნელობა გაარკვეოს, იგი განიხილავს ურთიერთობას მართი-სა და სამშენის შორის. თვით ეს თეოლოგიური ცნება სამშენი-სა პოემაში არ აჩვენებს, მაგრამ იქა ტერმინი მართარსმება. რაც ძველ ქართულ მწერლობაში ხშირად იხმარება; ამით ამ წიგნის ავტორი ამტკიცებს, რომ რუსთაველის მართი არის ქრისტიანული სამშენი.

რუსთაველის პოემაში ღმერთი მოხსენებულია ვითარცა „ნათელთა სხამ“; ავტორი განიხილავს ცნებისა „ნათელი“ ისტორიას და არკვევს, რომ რუსთაველის ღმერთი არის ქრისტიანული ფილოსოფიის „ნათელი“, რაც დადასტურებულია ძველ ქართულ მწერლობაშიც.

მერმე საკითხი ეხება: ღმერთსა და მშენს, და რადგან ზოგი მკვლევარი ამტკიცებს, თითქო მშენ ამ პოემაში ღმერთი ყოფილიყოს, ამას ავტორი უარყოფს, დაწერილობით გაარჩევს მშენს საკითხის ისტორიას ფილოსოფიაში და რელიგიაში და დასკვნის, რომ მშენ რუსთაველის პოემაში ღმერთად არ იგულისხმება.

მერმე ავტორი მეტხველს აცნობს აპოკრიფურ და კატაფორურ სახელებს ღმერთისა; განიხილავს დაწერილობით საკითხს კმთილოზისა და ბორმოტმინსა სხეველი დიონისე არეოპაგელის სწავლის მიხედვით, რომელსაც ამ შემთხვევაში მისდევს რუსთაველი.

დასკვნა ამ წიგნის პირველი ნაწილის ის არის, რომ რუსთაველის პოემა ავტორის მიანჩია ქრისტიანული ფილოსოფიის დებულებათა გამომხატველად.

ამ წიგნის მეორე ნაწილი ეხება სიკვდილის საკითხს და მერმე, მესამე ნაწილი განიხილავს საიქიოს საკითხს. ეს რკვევა მნიშვნელოვანია, რადგან ღმრს ამტკიცებენ, რომ რუსთაველის პოემაში საიქიო, ანუ მომავალი სიცოცხლე არ არსებობსო. წინამდებარე წიგნის ავტორი, პირიქით, პოემის სტროფთა ანალიზით ამტკიცებს, რომ რუსთაველის რწამს ქრისტიანული ღმერთი და აღიარებული აქვს საიქიო ცხოვრება სწორედ ქრისტიანული იდეალსაზრისით.

ამ წიგნის მეორე ნაწილი არკვევს ზიბლიის გავლენას რუსთაველის პოემაზე და ავტორს მოაქვს სხვა და სხვა ადგილთა შედარებანი.

ბოლოს, მეხუთე თავში გარჩეულია ისლამის საკითხები, რადგან იქ ზოგი ისლამური ცნებაც გვხვდება.

საბოლოო დასკვნა წინამდებარე წიგნისა არის —
1. ზოგადად: ქართული კულტურა არის აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურათა შთათვისებულ-მერწყ-

მის ნიადაგზე წარმოშობილი, ქართული სულით გაქმნილი;

2. ვეფხისტყაოსანის საზოგადოება არის პატრიონიმური საზოგადოება;

3. ვეფხისტყაოსანის საზოგადოება არის ქართული საზოგადოება;

4. ვეფხისტყაოსანის საზოგადოება არის ქრისტიანული საზოგადოება;

5. ვეფხისტყაოსანის საზოგადოება და ქართული საზოგადოება — ორივე ქრისტიანული — არის დასავლეთ-ევროპული საზოგადოებრივი წყობის მსგავსი და მსოფლმხედველობით: — ახლობელი ნათესავი.

† არჩილ ზურაბიშვილი

პარიზი, 1963.

**

რუსთველოლოგიური გამომკითხვანი. ყველა წერილი რუსთველოლოგიურ საკითხთა შესახებ გადიოდა დასაბუქდალ „პამკასნიონი“-ს შემდეგი წიგნისათვის.

**

რადგან არსენიძე — განხილვა მეფე ვახტანგ მეექვსის კანონმდებლობისა. პარიზი, 1963. გვ. 272.

ჩვენს ღარბ მეცნიერულ ლიტერატურას უცხოეთში ერთი ჩინებული წიგნი მიემატა. ეს არის რადგან არსენიძის განხილვა ვახტანგ მეფის კანონმდებლობისა.

ვახტანგის კანონმდებლობა თავიდანვე ყურადღება დაიმსახურა; რუსულადაც გადათარგმნა; მისი ნაწილი რუსეთის მთავრობამ თურქესტანის ზოგ მხარეშიც შემოიღო და მას ქართულ ცხოვრებაშიც სოფლად დიდი გავლენა შეტრა. პროფესორმა ფრენკელმა იგი საკმაოდ დაწერილობით განიხილა.

სტრატაპურგის უნივერსიტეტის პროფესორმა ვოზეფ კარსტმა მთელი ქართული კანონმდებლობის კოდექსი (ხუთი ტომი) ფრანგულად გამოაქვეყნა და მას თავისი კვლევა დაურთო, ხოლო უფრო ადრე უორდრობმა ინგლისურად გამოსცა ვიოზი ბრწყინვალის კანონები.

ეს ინტერესი იმით იყო გამოწვეული, რომ ქართული კანონმდებლობა მეტად თავისებურია და მაშინდელ იურიდიულ კულტურის დონეზე ნაწილობრივ მიზნც სდგას, როგორც ევროპის, ისე მით უმეტეს აღმოსავლეთის მიმართ.

ბუნებრივია, საქართველოშიც ქართული კანონმდებლობის ისტორიის კვლევას სათანადო ადგილი

უნდა მოეპოვებინა — ჩვენმა დიდმა მეცნიერმა ივანე ჯავახიშვილმა წიგნები მიუძღვნა ქართული სამართლის საკითხებს და უფრო ადრე ურბნელმა გააჩიოა ბუკა — აღბუკის კანონები.

უცხანსკელ ხანაში თუმცა ეს რკვევა მოგვიანებით დაიწყო, მაინც საკმაოდ განვითარდა. პირველად ყოველისა გამოკერა ვახტანგ მეექვსის „სამართლის წიგნი“ (ტექსტი გამოასაცემად დაამზადა თინა ენუქიძემ. თბილისი, 1955 წ.); გამოკვლეოთა და პარალელური მუხლების აღნიშვნით, მაკრამ ვახტანგის მთელი კოდეფიკაცია დღემდე მაინც გამოცემას უტყდის. ხელნაწერად არის დარჩენილი სამართალი მოსხვი, ბეჭდული, სომხური და სხვა. ალბათ ამასაც მიეჭყევა ურბანელმა და იქნებ მოვესწროთ იმ დროს, როდესაც ვახტანგის სრული კოდექსი იქნება გამოცემული.

აღნიშნული ტექსტის გამოცემის გარდა, ქართულმა მეცნიერებამ მოგვარა ტექსტები და გამოკვლევები აღმოსავლეთის სამართლის შესახებ (ი. დოლიძე: ძველი აღმოსავლეთის სამართალი) და შესწავლის საგანი აგრეთვე ქართული ჩვეულებითი სჯული (ი. დოლიძე — საქართველოს ჩვეულებითი სჯული; გ. ნადაზიშვილი — განქორწინების წესი) და სხვა, მაგრამ რამდენ მრავალი საკითხია ჯერ კიდევ ხელუხლებელი! სასიხარულოდ, მაინც დაწყებულია იურიდიულ საკითხთა კვლევა (ვახეიშვილი — ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან; ნადაზიშვილი — ქართული სამართლებრივი კულტურის ზოგიერთი საკითხი მე-11—მე-12 საუკუნე), ხოლო კლასიკურად რჩება ისევ ურბნელის — ათაბაგი ბუკა და აღბუკა და მათი სამართალი (თბილისი, 1890 წ.) და ივანე ჯავახიშვილის დიდი შრომა...

x

რაედენ არსენიძის „განხილვა ვახტანგ მეექვსის კანონმდებლობისა“ დიდი შენაძინა ქართული იურიდიული მეცნიერებისათვის, და თუმცა იგი მთელ კოდექსს არ მიმოიხილავს და მხოლოდ „სამართლის წიგნს“ ეხება და ისიც ნაწილობრივად, მაინც მნიშვნელოვანი და ჩინებულია მისი განვითარების ისტორიისათვის.

მთავარი ის არის, რომ რაედენ არსენიძის განხილვაში მოცემულია ანალიზი ქართული სამართლისა და ნათლად ნაჩვენებია ის პრინციპები, ანუ საწყისები, რაზედაც ეს კანონმდებლობა არის დამყარებული.

პირველად ყოვლისა ეს არის იგივედა ვახტანგის კანონმდებლობის საწყისისა და იგი დავუძნებელია სარწმუნოებრივი, ანუ ქრისტიანულ პრინციპზე — საძირკველი ამ კანონმდებლობის არის ქრისტიანული იდეა — ღმერთის შთავიანებით და მისი მოწყალებით

ღმერთული განვებით არის დაღებული ეს სჯული, ანუ კანონი: „უფალმან... აღმოიღო მე უნარჩევნის სახლისა ჩემისა და მცა მე მსაჯულად“ — ამბობს უფროთინი ვახტანგ მეექვე.

ბუნებრივია, ეს პრინციპი შეტანილია მთელს კანონმდებლობაში და კერძოდ სისხლის საქმეშიც და მასთან დაკავშირებულია „ორდალიები“, ანუ „ღვთის სამართალი“, რაც ვახტანგის სამართლის წიგნში დაწვერილებით არის განვითარებული. და აქ ავტორი, რაედენ არსენიძე ამ ორდალიების წესს, რასაკვირველია, სამართლის წესის ჩამორჩენილობად რაცხს იმდროინდელ ევროპულ კანონმდებლობასთან შედარებით, თუმცა იგი მხოლოდ ერთი ნაკლია ქართული კანონმდებლობის სხვა მრავალი უპირატესობისა და მაღალი იურიდიული კულტურის დონეზე.

ეს სარწმუნოებრივი ელემენტი გადადის აგრეთვე სამოქალაქო კანონმდებლობაშიც და მას თავის მტკიცე დაღს აჩენს, — აქ საერთო და სასულიერო საწყისების გავლენა — როგორც ამბობს რ. არსენიძე — ერთი მეორეს ეცილება და შერეულია, ხოლო მიდრეკილება მაინც საზოგადოებრივი სამართლიანობის სფეროსაკენ მაგრად მიემართება.

xxx

შუა საუკუნეთა ქართული სოციალური წყობილება იყო ფეოდალური და თავის თავად ცხადია, კანონმდებლობაც ამ ფეოდალურ საწყისებსაც შეიცავს — წოდებრივი განსხვავებაც თან მისდევს, თუმცა — როგორც იტყვის რ. არსენიძე — „კატურ-კაცობასაც ეძლევა ფასს“.

სარწმუნოებრივი და ფეოდალური საწყისის გარდა ვახტანგის სამართალში ადგილს იჭერს — როგორც იურიდიული საფუძველი — კერძოუფლებრივობა. ანუ ავტორის თქმით — „ვახტანგის სამართალი ერთიანად ეკრძო-უფლებრივ პრინციპზე აგებული: სისხლის საქმეშიც ისე, როგორც სამოქალაქო ერთნაირად წარმოადგენილი აქვს კანონმდებელს კერძო საქმედ“.

რასაკვირველია, ამასთან დაკავშირებით, მკვლევარი ხედავს კერძო-უფლებრივობას სისხლის საქმეში, კერძო-უფლებრივობასა და დანაშაულს, სასჯელთა სისტემას და კერძოუფლებრივ საწყისს, მაგრამ თანდათანობით ძლიერდება საზოგადოებრივი საწყისი და კერძო-უფლებრივობიდან სამართალი სახელმწიფოებრივი საწყისისაკენ მიემართება, ხდება სახელმწიფოს ჩარევა და წესდება მოსამართლეთა ინსტიტუტი, იწყება სამართლის ევოლუცია და სახელმწიფოებრივი პრინციპის განმტკიცება. მაგრამ ყველაფერი ეს იზ-

ლება და ინგრევა ქართული პოლიტიკური ცხოვრების მძიმე გააღატახათა შედეგად.

x

ვახტანგის კანონმდებლობისათვის დიდად დამახასიათებელია მისი კულტურისნობა — გვეუბნება ავტორი. მიუხედავად იმისა, რომ შუა საუკუნეთა მანძილზე ზეპირობდა ძალა, ძალმომრეობა, კულტი მიმლაგრებისა, მაინც —

„სწორედ ჰუმანიურობა, ანუ ადამიანობა, პიროვნების პატრიცემა, ადამიანის ღირსების დაცვა... ერთი ძირითადი თვისებათაგანია ვახტანგის სამართლისა, და რაც განსაკუთრებით აღნიშნვის ღირსია, ასეთი ჰუმანიურობა ემჩნევა მას ყოველი ხარისხის და სოციალური საფეხურის პიროვნებისადმი. ამ ძირითადი თვისებით აზსებითად განსხვავდება იგი არა მარტო წინაფეოდალური სამართლისაგან, არამედ ევროპის ქვეყნების ახალ კანონმდებლობისაგანაც (რაც) მე-16 — მე-17 საუკუნეში იქნა შემუშავებული“.

ეს გამოჩინებული დიდი მოვლენა იყო ქართველი ხალხის ევროპული მთლიანობისა და ეპოქური დიორსების მართალი ხარისხი; და ეს მთლიანობა ერისა და ფუნქციური ჰუმანიურობაზე, იყო აგრეთვე ერთი ღირსშესაფერლოვანი მიზეზი იმისა, რომ ერთი და ბერიც, თავადიც და გლეხიც. — ორივე ერთად — იბრძოდა განუწყვეტლად სამშობლოს დასაცავად, ვინიდან დიდი თუ პატარა, თავადი თუ აზნაური, დიდი სასულიერო პირი, თუ მდბიო ხუცესი, მსახური თუ გლეხი, მოქალაქე თუ სოფელი, — ყველა ერთად — „ყოველი ადამიანის პიროვნების პატრიცეით“ გამსჭვალული. ამ თავის ჰუმანიურობას, თავის მორალურ პიროვნებას თავგამოდებით იცავდა და „გარეზე ბატონობის უღელს არ ურიდებოდა, მუდამ ებრძოდა“.

ამ უშესანიშნავესი ფაქტის გამოჩენა და აღნიშვნა რ. არსენიძის კვლევის ერთი მნიშვნელოვანი დასკვნათაგანია და ავტორის აზრით, ეს —

„ეს ჩვენი ერის ისტორიული საძირებიდან მოდის. იგი არ არის მხოლოდ შალაი წრის, ან წარების მიღწევა, არამედ მთელი ერის შეგრძნობა, მთელი ერის კულტურული ზეგანა“...

—

შემდეგ ავტორი ეხება ქალსა და მის უფლებრივ მდგომარეობას, და ამბობს — ოჯახის სიწმიდე და ქალის ღირსება ოჯახში დიდად არის ვახტანგის სამართლით დაცული. ოჯახის შეღავა — მკვლელობის თანხმარი არისო. ზოლო რაც შეეხება ვერეთ წოდებულ „პირველი დამის უფლებას“, ეს მოგონილი და მოჭირალი ამბავია, რაც აზრ ქართველი ხალხის მორალს და არც კანონმდებლობას სრულებით არ ეფუ-

ება, — სადაც „ოჯახისა და ქალის უფლება“ ყოველგვარ წოდებრივ, თუ კლასობრივ განსხვავებას და საზღვრებს შლის და ზოგად ადამიანურ უფლებების სფეროში გადადის“.

საქართველო

საქართველო

ქალის უფლებრივი მდგომარეობის ანალიზის შედეგად რ. არსენიძე სამართლიანად დაასკვნის: —

„ქალის უფლებრივი მდგომარეობა იმდენად ვაშეჯობისებულა და მამაკაცის უფლებასთან გათანაბრებული, რომ რომელიც გინდა განათლებული ერის ქალთა უფლებებთან შედარებას თამამად აიტანს“

ზოლო რაც შეეხება ქალის მთიერი უფლებასა და მემკვიდრეობის საკითხს, — იგი აქ უფლებრივად საეკმაოდ მაღლა იდგა. და ამის ძირებს, ამის მიზეზებს რ. არსენიძე ეკონომიური როლით განმარტავს, რასაც წარსულით ასაბუთებს, თუმცა ეს ჩემთვის მაინც და მაინც დამაჯერებელი არ არის. ქალის გავლენა, ქალის კულტის ძალასა და ქალის ღირსებას ავტორი რ. არსენიძე იმ ეკონომიური როლით განმარტავს, რაც ქართველ ქალს ტომური ცხოვრების პირველ საფეხურზე წილად ხვდა, ეკრძოლ სოფლის მეურნეობაში. ამ ანალიზზე დაყრდნობით ავტორი ცდილობს გავაჩვენოს ქალის კულტის არსება ქართულ ცხოვრებაში, თუმცა ამ „ქალის კულტმა თავისებური ევოლუცია განიცადა, სახე იცვალა“ — რაინდობის ხანასთან დაკავშირებით...

ამ საკითხს აქ ვერ შევხებო, რადგან ეს გასჯდება ამ წერილის ფარგალს, მაგრამ მოკლედ ერთს მოვახსენებთ — ეკონომიური ისტორიის განსაზღვრულ ხანაში ყველა ტომის, და ხალხის ქალი იმავე მოვალეობას ასრულებდა, როგორც ქართველი ქალი, მაგრამ ამას არსად არ გამოუწვევია „ქალის კულტი“, როგორც ეს ქართულ ცხოვრებაში ხანას...

რ. არსენიძე უყურადღებოდ არ სტოვებს არც კუდიანების საკითხს. რაც ასე მწარედ აწვალდება იმ ხანის ევროპას და სასტიკ ნორმებს ამტკიცებდა მთელს დასავლეთ ევროპაში (კუდიანების დაწევა, დადღურება, დახარბობა და სხვა). რ. არსენიძე ვეაჩვენებს, რომ „ქართულმა ეკლესიამ ასეთი ბრალდების პრაქტიკა არ იცის და საერო სასამართლომ — მით უმეტეს“ — ია!

და შემდეგ იგი სამართლიან დასკვნას გავაოტებს — ქართული კანონმდებლობა: „ეს არის ნაყოფი ქართული ცივილიზაციის, შემცველი მისი თავისებური ღირებულების. და ერს, რომელმაც აანთო ჩირაღდანი ადამიანის უფლებათა პატრიცეებისა, აანთო იქ, აზიის მიჯნებზე, სადაც გარშემო ყველაზე მეტად იყო ფეხქვეშ გათილილი ადამიანის პიროვნება, აქვს რა შეი-

ტანოს კაცობრობის კულტურის საერთო სალარო-
ში“-ო. (გვ. 93).

x

აქედან ჩვენ შევდივართ საქართველოს სოციალურ წყობილებაში და აქ ჩვენ წააფუძვლებთ ზოგ ისეთ საკითხს, რომლის დახასიათება ან ვადაპარებდა, ან მიკერძოებულად მიმანჩია, განსაკუთრებით ზოგად მიმოხილვაში, რაც მე17— მე-18 საუკუნის საქართველოს სოციალურ წყობილებას შეეხება.

ამ ხანის სოციალური წყობილება, ცნობილია, იყო ფეოდალური და იმ ეპოქაში იგი ბატონყმობის სახელს ატარებდა.

მკვლევარი რ. არსენიძე განვითარებას — „ბატონ უფლებების მატარებელია და სახელმწიფოებრივ მართვა-გამგებობაშიც მონაწილეობა აქვს მოპოვებული; ყმა კი უფლებას მოკლებულია. ვახტანგის კანონი ამბობს: „ყმისა ყოველი ბატონისა არის“-ო (მუხლი 258). ამ ფაზაში ისახება მთელი არსება ბატონყმური დამოკიდებულებისა. ბატონს ყოველივე შეუძლია ჰქონდეს, ყმას კი თავისი არაფერი გააჩნია, ყოველივე ბატონისა არის: „ყმა ბატონისა და საქონელიც“, ამბობს მუხლი 260. ყმა და საქონელი, ცოცხალი ადამიანი და ნივთი აქ ერთს როგვანა დაყენებული. ყმობის ასეთი ტენდენცია — ლტოლვა მოწურვი მდგომარეობისაკენ, უბრალო ნივთად გადაქცევისაკენ“-ო — დასკვნის რ. არსენიძე (გვ. 95).

აქ ყველაფერი არ არის გამოირკვეული და ნათელი. აქ საქორი იყო არა ერთი და ორი განმარტება იურიდიულ - ეკონომიური ცნებითა, როგორც არის მაგალითად: ოჯახი, საქონელი, მამული, სამამული, ქონება და საერთოდ სოფლურ-ფეოდალური კონსტიტუცია, მეკვიდრეობის უფლება, გათხოვებისა და შვითვის საკითხი, ოჯახის უფლება, გაყოფა ქონებისა, ჩუქება, წყალობა, გაყიდვისა და ყიდვის უფლება და სხვა და სხვა.

თუ ვახტანგის კანონის მუხლით 258 და 260 გვინახია ყოველი ბატონისა არის; ყმაც ბატონისა და საქონელიც; მინც 204 მუხლი, რომელიც გვლების ოჯახის გაყრას შეეხება, ამბობს —

„გვლების გაყრა ასე არის: დარბაზი, დერეფანი უფროსისა არის, კალო, სამძელი უმცროსისა, ლედი, სახნის-საკვეთი, გუთნის იარაღი, გუთნის დედისა, ცხვრის ქვაბი, ერეკმალი, რაც არის, მეცხვარისა არის, ხრამალი, თოფი, ცხენი, იარაღი მსახურისა არის; სხვა მამული მძაზე გაიყონ და რჩობა მწყემსზედ“-ო.

მაშასადამე: 260 მუხლის „ყმაც ბატონისა და საქონელიც“-ო, რომ ყველაფერი ბატონისა იყო, ეს დებულება თავის გამართლებას როგორადც არ ღებუ-

ლობს. და თუმცა რ. არსენიძე დაწვრილებით არ განიხილავს, მაინც გვეუბნება:

„სინამდვილეში ყველაფერი ასე ლამაზდრკლად, ასე მეკეთილად არ არის გამოთლილი; ყმები არ არიან პირწმინდად გამარტული ყოველივე უფლებისა და ქონებისაგან“-ო.

x

სოციალურ საფეხურზე პირველი ადგილი უჭირავს, რასაკვირველია საერთოდ თავისუფალ წოდებას, რომლის სათავეში მეფე იმყოფება. მეორე საფეხურზეა — სასულიერო წოდება; შემდეგ მოდის ვაჭართა კლასი (ოთხ კატეგორიად დაყოფილი) და ბოლოს გლეხობა (ორ კატეგორიად გაყოფილი).

აგორი ამ ქართული სოციალური წყობის ცალკეულ წოდებათა რაობას გააჩნეს და უწინარეს ყოველისა მეფის მდგომარეობასა და უფლებას ახასიათებს. ფეოდალურ პირობებში მეფე თვითმპყრობელს არ წარმოადგენდა არც ცენტრალური ხელისუფლებით იყო აღჭურვილი. თვითონ თავდასწავრობაც ერთი მოლიანი წოდება არ იყო და იგიც დახარისხებული იყო სამ მთავარ წაწილად და მათ შორის კიდევ ეს დახარისხება ფართოვდებოდა და იმდენად, რომ თავდასა და აზნაურს შორის დიდი დაშორება არსებობდა. ფეოდალური უფლების საკითხი, ეკონომიური უფლების საკითხი მარადეამს დიდი სადგენი საგანი იყო და ამ დავამ ქართული სახელმწიფო სიკვდილის პირზე მიიყვანა, რასაც აგრეთვე ვაჩვენებ დამპყრობელებიც დიდი სიმოყენებით ხელს უწყობდნენ. ეს დავა და ბრძოლა ფეოდალური, კარგად აქვს რ. არსენიძეს დახასიათებული.

სასულიერო წოდება, აგრეთვე ფეოდალურ წრეში მოქცეული, მაინც მეფეს უჭერდა მხარს, უმთავრესად და იგი იყო ქართული კულტურის მესაქე და ერთგული მებრძოლი, — და თუ შემდეგ მან ვეღარ ითამაშა დიდი როლი, ეს აიხსნება იმ განდღურებით, რაც მას რუსეთმა მიაცენა.

ვაჭართა კლასი მოკლედ არის განხილული და მაინც და მაინც არც ბევრი იყო სათქმელი რადგან ვაჭრობა მხოლოდ სადა აღებმძიეობა იყო და ჯერ კიდევ მრეწველობასთან ძალიან შორს იყო; იგი უფრო სავაჭრო და სავანში კაპიტალს ატრიალებდა, რაც თავის მხრივ ეკონომიური განვითარებისათვის შემადგურებელიც იყო; თუმცა ქალაქები და მოქალაქენი არსებობდნენ, აგრეთვე ფეოდალურ წესში შემხულნი, მაგრამ მათი მნიშვნელობა დიდი არ იყო.

განსაკუთრებულად განიხილავს რ. არსენიძე ქალაქობილობის, მის მოკლე ისტორიის, მის კულტურის და

სხვა. მგონი არავის ისე მკაფიოდ არ უჩვენებია ქალაქი თბილისის როლი ქართული კულტურის საქმეში, როგორც ეს გვიჩვენა რ. არსენიძემ. ქალაქის ყველა ფენას თავისი წვლილი შეჰქონდა ქართული კულტურის განვითარებაში და ამგვარად — როგორც ამბობს რ. არსენიძე — „სტახტო ქალაქმა თბილისმა მოგვცა ჩვენ რაფინირებული კულტურა სპარსულ-ქართული, ფეოდალურ-არისტოკრატიული, თავისი გავაჭიზებული ზრდილობის წესებით და თავაზიანობით, თავმდაბლობით და ჭიამყით, ტბილი საუბარით და რიხიანი შემოძახილით“—ო.

მგონი იოსებ გრიშაშვილსაც კი, რომელსაც ვატყობთ უყვარს ძელი თბილისი და მისი ბოჰემა, ასე ვფიქრობად და ძლიერად არა აქვს თბილისის სურათი ნაჩვენები, იმ თბილისისა, რომელიც იყო — არსენიძის თქმით — საქართველოს ხელმძღვანელი თბილისი, იმავე დროს განსაკუთრებული ქალაქური სახის, ფორმის და შინაარსის კულტურის მატარებელი!

და დღესაც — „საქართველოს რესპუბლიკის გაუქმების შემდეგაც მძიმე ცხოვრების ახალ ჭიდილში დგან იგი, როგორც ურყევი და უდავო მეთაურ... საქართველოსი ეკონომიურად, პოლიტიკურად და კულტურულად — ის ერთადერთი ნამდვილი ქალაქი საქართველოსი“...

ფეოდალური საქართველოს უკანასკნელ საფეხურზე სდგანან „უფლებრივად დაჭედილებული, უგვაროდ მიჩნეული და კეთილშობილთა ვარეშე დატოვებული წრეები“ — მსახურნი და გლეხნი.

მსახურთა ინსტიტუტის საკითხი ყველაზე უფრო რთული და სადავო იყო და არის დღესაც. ამ ინსტიტუტის სხვა და სხვა შინაარსს ანიჭებდნენ, მის წევრთა ნაირნაირად განიხილავდნენ და ერობილ ფეოდალურ წყობაში მას ნათესავს უძებნიდნენ. და თვითონაც რ. არსენიძე ამ საკითხს თავისებურად უდგება და არც ერთი სხვა მკვლევარის შეხედულებას არ ემხრობა. მისი აზრით, მსახურთა ინსტიტუტი „სრულიად განსაკუთრებულ ქართულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. მას, რამდენადაც ვიცით, მხოლოდ ფეოდალურ ურთიერთობაში ჰქონდა ადგილი; ყოველ შემთხვევაში — ამბობს იგი — იმ ფორმით და იმ შინაარსით, როგორც ის ჩვენში არის წარმოდგენილი, არც ერთმა ევროპის მოწინავე ერთა ფეოდალურმა წყობილებამ არ იცის“.

ეს საკითხი დიდ ინტერესს იწვევს და ამ მიმართულებით კვლევა უაქვევოდ გაგრძელდება დიდი სიფართობითა და სიღრმით

რ. არსენიძის შეხედულებით, „მსახურნი პიროვნულ დამოკიდებულებაში იყვნენ თავის პატრონთან, მის კაცებად ითვლებოდნენ და მისდამი განსაზღვრული სამსახურის გაწევა ევალებოდათ; ხოლო — ჩამოვსუსტ მხრივაც იყვნენ თუ არა ფეოდალური ურთიერთობის ფარგალში ჩაყენებული, ამის შესახებ არავითარც კნობა ვერჯერობით არ მოგვეპოვება“—ო. (ვ. 205). ამ საკითხზე მსჯელობას აღარ გავაგრძელებ; ოღონდ აღსანიშნავია ის მართლაც დიდი მნიშვნელობა, რომელიც მსახურთა ინსტიტუტს მიენიჭა ქართულ სინამდვილეში.

„ბატონის კარზე მიღებული ადათი — ამბობს რ. არსენიძე — ჩვეულება, ზრდილობა და თავაზიანობა, წესი ქვევისა და მოპყრობისა, იდეები და შეხედულებანი სხვა და სხვა საქციელზე ქალის, ოჯახის მიმართ და სხვა ათასი რამ, რაც ამ მაღალ წრეებს სასახლის კარიდან მოჰქონდათ, ამ მსახურთა საშუალებით ფართე მასსა ეფინებოდა“—ო. (გვ. 221).

ამგვარად, მსახურთა ინსტიტუტი იყო ქართული კულტურის გამავრცელებელი, და ამასთანავე ამით ერთი მთლიანი ეროვნული კულტურის ფართოდ დამყენებული: მსახურთა საშუალებითა და მათი მეოხებით ქართული კულტურა სერით, ზოგადი, ხალხური ხდებოდა; ეს ღირსუ შესანიშნავესი მოვლენა ჩვენს საშუალო საუკუნეთა ქართულ ვითარებაში.



ბოლოს, რასაკვირველია, საკითხია გლეხობაზე, მის უფლებრივსა და ეკონომიურ მდგომარეობაზე და მის შინაგან დანაწილებასაც ეხება მკვლევარი. გლეხის მნიშვნელობა მარტო იმით არ ამოიწურება, რომ იგი იყო მარჩენალი და მასაზრდოვებელი ქვეყანისა, არამედ ამას ემატება მეორე მისი მოვალეობა: დაცვა ქვეყანისა, მოგერიება ვარეშე მტერისა, ანუ როგორც რ. არსენიძე ამბობს: გლეხი იყო ერთსა და იმავე დროს მუშა და მეომარი.

ამით უნდა დასრულდებლიყო „განხილვა“, მაგრამ აეტარა მოისურვა მკითხველისათვის გაეცნო „გლეხის იდეალს“ და ამით იგი ფოლკლორში და პოეზიაში შეიჭრა, რაც სრულიად ზედმეტი იყო ასეთი შესანიშნავი ნარკვევისათვის.

ზოგადად, რ. არსენიძის ეს „განხილვა მეფე ვახტანგ მეექვსის კანონმდებლობისა“, როგორც დასაწყისს მოგახსენეთ, ერთი ჩინებული ძღვენია ქართული იურიდიული მეცნიერებასათვის.

გიორგი გამყრელიძე — ლექსები, მოთხრობები და ნარკვევები ფრინველებზე. ვაშინგტონი, 1963. გვ. 210

აი წიგნი, რომლის წაკითხვის შემდეგ თუნდ ნაკლის მამებარი მკითხველიც ვერ იტყვის: ეს რა დაუწერიო!

ამას იმიტომ ვამბობ, რომ საუბედროოდ, იყო არა ერთი შემთხვევა, როცა — ზოგჯერ გ. გამყრელიძეზე მეტად, ზოგჯერ ნაკლებად, — ცნობილ ავტორთა წიგნის წაკითხვა მკითხველმა ინანა და სთქვა: ნეტავ არ წამეკითხაო!

გიორგი გამყრელიძის ლექსთა კრებული შეიცავს ოცდახუთ საკუთარ და ხუთმეტ თარგმნილ ლექსს, ოთხ პატარა მოთხრობას ფრინველთა ცხოვრებიდან, და ერთ მოკლე ნარკვევს აგრეთვე ფრინველებზე.

გ. გამყრელიძის ჩვენი საზოგადოება დიდი ხანი იცნობს, როგორც ნიჭიერ და კულტურულ პოეტს, და ეს წიგნიც ადასტურებს მკითხველთა აზრს.

გ. გამყრელიძე ალბად უკანასკნელი რაინდია ჭეთაისელ პოეტთა ორდენის მიერ შექმნილ ლიტერატურული სკოლისა; ამ წიგნში დაბეჭდილი მისი ლექსები თითქოს უკანასკნელი აკორდია იმ ძველი და ტკბილი ჰანგებისა ამ ორმოცდაათიოდე წლის წინად რომ გაისმოდა საქართველოში.

გ. გამყრელიძის ლექსები დაწერილია უნაკლო ტექნიკით. დახვეწილი გემოვნებითა და ფაქიზი გრძნობიერებით; ასეთი ხარისხის ლექსებს, თუნდაც ასე ნაგვიანებად დაბეჭდილი, მაინც ლიტერატურული ფასი აქვთ, ხოლო თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ეს ლექსები, ბოლოს და ბოლოს, ემიგრანტი მკითხველისათვის იბეჭდებიან, მაშინ ხომ ჩვენი გემოვნებისა და სულიერი განწყობილებისათვის მათ არც აქტუალობა აქვთ დაკარგული და არც მომხიბლველობა.

რაც თარგმნილ ლექსებს შეეხება, რადგან ჩვენ ისინი დედანთან არ შეგვიდარებია — რაც აუცილებელი პირობაა თარგმანის სწორი შეფასებისათვის — შეგვიძლია მხოლოდ ის ვთქვათ, რომ ისინიც მშვენი-

ერ შთაბეჭდილებას სტოვებენ. ვერ ვიტყვით, რამდენად ვადმოცემულია თარგმნილ ავტორთან სტაბილად, მაგრა მთარგმნელს თავისი საკუთარი სტილიდან თავის დაღწევა მოუხერხებია და თვით მისი თარგმანი არის ნამდვილი შემოქმედება და ლექსის შესანიშნავი მიღწევა.

ჩვენის აზრით, ამ წიგნის ყველაზე ღირსფასიანი ნაწილი ავტორის პირველად გამოქვეყნებული მოთხრობები არიან; ჩვენ მას ვურჩევდით ამ გზით მუშაობა უფრო ინტენსიურად განაგრძოს — მას შეუძლია ამ დარგში ქართულ ლიტერატურას ძვირფასი რამ შესძინოს.

ორნითოლოგიური ნარკვევნი, რომელნიც ამ წიგნის მესამე ნაწილს შეადგენენ, ინტერესით იკითხებიან და თუ ავტორი თავისი შრომის გამოცემას მოახერხებს — რასაც ჩვენ მას გულთთ ვუსურვებთ — ამით იგი ამ დარგში საგრძნობ წვლილს შეიტანს.

დასასრულ ერთი შენიშვნა წიგნის ტექნიკური ნაკლისა გამო ავტორის წუხილზე.

წიგნი გარეგნულადაც მშვენიერია, ქალაღიც ფრიალ კარგი ხარისხის, ხოლო თუ აქა-იქ სტრიქონები გამრუდებულია ან ასოები ერთი მეორეზე მიტყუპებული, რა კი ვიცით, რომ წიგნი თვით ავტორის მიერ არის აწყობილი, ჩვენის აზრით, წიგნის ხარისხს კი არ ამცირებს, არამედ აძლიერებს — პირველი: ეს მოვლენა გვიჩვენებს, თუ რაოდენ ძლიერია ქართველ კაცში კულტურული მოღვაწეობის სურვილი; მეორე: ავტორის ხელით აწყობილი წიგნი იჯივია, რაც ავტორივე და ამით წიგნი მკითხველს ავტორთან აახლოვებს; ხოლო მესამე: ყოველივე ეს ჩვენ მოგვაგონებს იმ ბრწყინვალე ტრადიციას, რომლის მიმდევარი ჩვენი წინაპრები, სადაც არ ღნდა ყოფილიყვნენ — უცხოეთის მონასტერში, თუ გარდახვეწილობაში, — თავისი ქვეყნის კულტურას წერით და თარგმანით და ბეჭდვით ემსახურებოდნენ.

მთ. ქავთარაძე



(მისი სიკვდილიდან ოცი წლის თავზე)

(სიტყვა, რომელიც ავტორის უნდა წარმოეთქვა ლა-
სა მგელაძის ხსოვნის აღსანიშნავად გამართულ კრე-
ბაზე, პარიზში, მაგრამ შემთხვევის გამო არ მოხერხდა

დამარცხებული, ცხოვრების დასასრულს მისრული, გრძელი დროის განმავლობაში სხვისი ცის ქვეშ, სხვის მიწაზე გადმოსროლილი — ვიცი — მოსაწყენი ვიქნები სამარადისო დანთქმული და დაკარგული, საყვარელი ნეგობრის და ამხანაგის მოსაგონებლად ლაპარაკის დროს. კიდევ კარგი, თუ რამ პატარა სულიერი საუნჯე მქონდა, მრისხანე ბედმა და დრომ მთლად არ მომი-
სპეს და აქამდე დამტოვეს ქედ-მოუხრელი, იმედიანი და გულგაუტრეხელი. ასე რომ არ იყოს, საცოდავი ვიქ-
ნებოდი იმ ლასას ვახსენებზე, რომელიც განხორციე-
ლება იყო ფოლადის და კაეის და რომელმაც სიმტკი-
ცე საფლავის კარამდე ატარა.

ჩემს ხანში კაცმა რომ ის ინატრო, რაც სამარადი-
სოდ წასრულია და არას დროს არ მოპარუნდება, უაზ-
რბობაა. უნდა სიყვარულით და ბრწყინვალე მომავლის
სურვილით დასტოვო სამშობლო და ხალხი, რომლე-
ბიც სიყოფილით და სიტკბო-სიმწრით გამკობდნენ.
სადა, უბრალო, ღარიბი, მაგრამ სულით მდიდარი ლა-
სა მგელაძე თავის წესზე პატარა მშენებების მატარე-
ბელი როდი იყო. ეს მშენებება მან ღირსეულად იხმარა
და ღირსეულად წავიდა საფლავის სიცივეში.

**

იმედი მაქვს აქ ყველამ იცის ქართველი პოეტი იო-
სებ დავითაშვილი: მუში, ხელობით ღურვალის, ნიჭი-
ერი, გლეხების წრიდან გამოსრული, ღარიბი, საწყა-
ლი კაცი. ეთხება და წერა რომ იცოდა, ამას უმადლო-
და თავის დესა, რომელსაც მეღანია ერქვა. ამაზე ერთ
თავის ლექსში იგი ამბობს:

ქვების მურის მონალესით
მომიზხადა ძელანია,
ზარის ბეჭი დავაღმ მქონდა,
მასწავლიდა მეღანია...

მეორე ლექსში საფლავის ქვეზე აღსანიშნავად სწერს:
განისვენებ ხნელ საფლავში,
გეყო რაც რომ ივადგაზე,
თან წაიღე, აქ არ დავგრჩეს
სიმწუხარე, სივადგაზე...

ამა რას არ სწევდებოდა ილია ჭავჭავაძის მალაღი აზ-
როვნება და გონება? ის მოხარული იყო, რომ საქარ-
თველის ცხოვრებასა და ისტორიაში სჩანდნენ დიდი
და ბრწყინვალე პიროვნებები, მაგრამ გლოვდა და
სწულდა, რომ არსად სჩანდა ხალხი. ალბათ ამ ხალხის
ძებნის ნიადაგზე დაიხალგოვა ნიჭიერი, უსწავლელი
გლეხი დავითაშვილი, ბეჭდავდა მის ლექსებს თავის
ვაჭუთში, და როცა დავითაშვილი გარდაიცვალა, სა-
მარის კარს მიაცილა იგი ილიამ და ჩვეულებრივ სა-
ხელთვანი სიტყვა წარმოსთქვა.

ვლასას ცოტა რამ ამი ჰქონდა საერთო იოსებ დავი-
თაშვილითან. მასაც ილია ჭავჭავაძემ გაულო სტამბის
კარი და ასოთამწყობად ჰყავდა. დავითაშვილის მსგავ-
სად იგი ხალხის, გლეხობის წრიდან გამოსრული, მი-
სებრ იყო ნიჭიერი და პატიოსანი, სწერდა ლექსებ-
საც; სწავლა ლასასაც არ ჰქონდა და როგორც და-
ვითაშვილი, ისე იგიც ატარებდა სიმწუხარესა და სი-
ვადგაზე. ოღონდ ლასა ალბათ გამოირჩეოდა პირადი
მიზიდევლობით, — მისი ხნება სასიამოვნო იყო და
მოშორება დანანებას იწვევდა.

**

ასე მგონია, მარტო ჩემი ბედი არ არის, რომ ვინც
ვიყვარს, იმის ღირებულებას სწორედ მაშინ მიხვედ-
ბი, თუ დავეკარგა. ბრძანდა რუსთაველი ალბათ ასეთ
მოვლენაზე ამბობს — „რაცა მაქვს, იგი არ მინდა, რაც
არ მაქვს, ის მომიწინებებს“—ო. სადა ხარ, სად ეხლა,
ჩემო ლასა?!

ვიგომო გუჯუნავა ღმერთის შესახებ სწერს: „სხვა
მის გარდა არავინ ვიცი უნაკლებო, ყოველად სრუ-
ლო“—ო. ალბათ როგორც არავინ სხვა, ისე ლასა მგე-
ლაძეც არ იყო სუსტი მხარეებისაგან თავისუფალი,
მაგრამ გრძელი მეგობრობის განმავლობაში, მე არ
ვიცი, რაში სცოდავდა იგი!

ლასა იყო სტეპი, იდეური სოციალდემოკრატი,
მაგარი ვეკაცია, უყვარდა რევოლუცია, თავისუფ-
ლება, ხალხი და სამშობლო და სიყოფილე მარად
მზად ჰქონდა ამაღების სამსხვერპლოზე დასაწვავად.
წავიდა, იბრძოდა სპარსეთის რევოლუციამდე, დასტო-
ვა კარგი „გურჯის“ სახელი და გამოვიდა სახელოვ-
ნად. როცა თბილისში თათრების და სომხების სისხ-
ლიანი ბრძოლა იყო ლასა მოსაშვალედ მუდამ ცეც-
ხლი ტრიალებდა; მისი ჩაჩევა ზოგჯერ უსარგებლო
არ იყო, ორივე მეტროდ მხარეს იცნობდა და ორივეს

კეთილი მოგონება დამისახურა.

თუ ბრძოლის იმ ნიადაგზე სიმარგრე და თავის განწირვა, რომელსაც იგი ეწეოდა და რაც ზემოდ აღვნიშნე, მხოლოდ მაღალი ღირსებაა, როგორც მე მეჩვენება, მაშინ ადვილი არ იქნება ლასას სუსტი მხარის მონახვა.

ყველა სხვა ურთიერთობაში იგი იყო განხორციელებული სიყვარულისა, სიხარულისა, ნუგეშისცემის, კეთილი ამხანაგობისა და მეგობრობისა.

თუ ზოგს ეგონება, რომ მე მის ყურადღებას დაუშვავად ვემკვიცი, ვითხოვ მაპატიონ. ვერ ვახერხებ გვერდს ავეუარო ლასას პიროვნულ თვისებებს. ასე მეჩვენება: ისინი არ არიან მნიშვნელობას მოკლებული.

მაგარი და ძნელი სიტყვები, როგორც არის: შური, მტრობა, სისხლი, ღალატი, ავაზაკი და სხვა ასეთი ბოროტების გამომსახველი გამოთქმები, ლასას ენას არ უღებებოდა და მის ლექსიკონში არ იყო. ასევე მისთვის სრულიად უცხო იყო უშუკრი, დამამკირებელი, მიუღებელი, მოსასმენად უსიამოვნო სიტყვების ხმაარება. ზევით უკვე ვთქვი: ლასა იყო გულადი ვაჟაკი. აგრეთვე მოკლებული არ იყო მშუენებას, ძალღონეს და მოხერხებას. ის გრძობდა თავის ღირსებებს და იყო მედიდური; მაგრამ არც მედიდობის და არც თავის მოწონების გამოჩენა არ სჭირდებოდა და ამავსე კეთილად ჰყვარავდა უზარალოება, სიბნობა, თავაზიანობა და თავმდაბლობა. თუ ვერ აიცილებდა და ძალიან იშვიათად გაჯავრდებოდა, მისი ვალიზიანება ჰკავდა ნადირისას, რომელიც ბუნავში მივა და თავისი ლეკვები მოტაცებული დახვდებდა.

ადვილი არ არის ზრდილობის შეთვისება. უხეშ პირობებში აღზრდილი ადამიანი ზოგჯერ კლასიკური ცოდნის დროსაც რჩება ხეგრ. ლასა ხვდებოდა როგორც ქართულ, ისე უცხოელების ისეთ წერებში, სადა უბრალო ადამიანისათვის წესიერად თავის დაქვერა ადვილი არ იყო; და ის ახდენდა ზრდილობიან და სასიამოვნო შთაბეჭდილებას. ლასას სასაბურო ენა იყო ხალისიანი, უბრალო, სადა, მოხერხებული და სასიამო.

ინტერესს მოკლებული არ არის, საიდან მოდიოდა და რა იყო წყარო ლასას იმ გავების, ზრდილობის და თვისებების, რომლებიც შეძლებისდაგვარად მე აღვნიშნე.

ლუარსაბ თათქარიძე ამბობდა: სიმღერა რომ ვიკოდე, ჩემოდენა ღვინოს ვერავინ დაღვეს, დადიანი ვერ იფიქრებს სმაში ჩემი დაძლევის შესაძლებლობას!

ვლასა კითხულობდა, მაგრამ ვაკილებით ნაკლებს, ვიდრე შეეძლო. იმას რომ კითხვისამდე მეტი მისწრავება ეხმარა, ეს კიდევ ამაღლებდა მის გავებას. სა-

მაგვიროდ არამც თუ უფრო ადრე, არამედ სიბერეშიდაც კი ატარებდა უარესად განვითარებულ დაკვირვების და შეთვისების გრძობას. ამას ვაჩვენებს იყო ილია ჭავჭავაძის ასოთმწეობი და არცა მწეობა ამ აზროვნებით მდიდარი კაცის და მისი ღირსეული თანამშრომლების წერილებს, აქედან როგორც ნივთიერი კაცი უსწავლობდა და იღებდა ცოდნასა და განვითარებას, ერთი მხრივ. მეორე მხრივ ამ ხალხთან ურთიერთობაში ალბათ ხელი მოუწყო იმ თვისებათა გამოხუშვებასა და გამოჩენას, რაც ადვილი არ იქნებოდა შეძინა იმდროინდელ პირობებში სხვა გზით.

შემდეგში იმ პარტიისაგან, რომელსაც ლასა ეკუთვნოდა, მან ალბათ შეითვისა არა მარტო ბრძოლის უნარი, არამედ სხვაც ბევრი რამ თავის გავებიდან და თვისებებიდან, რადგან ეს პარტია არც ისე ღარიბი იყო ბრწყინვალე და მისაბამი პიროვნებებით. აგრეთვე თავისი ხალისიანი სითამამით და მიმზიდველობით ლასა მოსაწყენი არ იყო და ახერხებდა მისი პარტიის გარეშე ინტელიგენტურ პიროვნებებს და წრეებში ტრიალს; მისი დაკვირვება აქაც ნახულობდა საზრდას და ყველა ეს ერთად აღებულად, იყო მისი სკოლა და სათავე მისი ძალის.

თავი ვახერხებ აქ არ მოვიგონო, რომ ლასა თავისი თანამედროვედ, პირველი გამოსცემის მონაწილე მუშებში, ერთადერთი კი არ წარმოადგენდა სიკეთეს. იყო მუშების წრე, რომელიც არც კეთილშობილებით, არც დარბაისილობით და არც თავის განწირვის შესაძლებლობით ლასას არ ჩამორჩებოდა. ეს წრე მე გვიან ენახე. მაგრამ ზოგჯერ, როცა მინდა მიმიე მოგონებებს გავეძე და რაც მიყვარდა, ის გავიხსენო, ამ წრეს ვიყენებ წინ.

როცა შემდეგში მღშათა მოძრაობა დიდი მასშტაბის შეიქმნა და მოდელი სხვათა შორის ფახი-ფუხი და გაუმართლებელი თავის გამოჩენის ცდაც შემოვიდა, ამ სახელოვნება მუშათა წრემ წესად გაიხიდა უბრალოდ, უსაკეცდოდ ჩრდილდა და უკანა რიგში დადგომა ისე, როგორც ზოგჯერ მთავრე ღრუბლებში შეტურდებდა, ან ცეცხლი ნაცარში დაიძლეოდა. მაგრამ როცა სინდელის დროს ბრძოლის ველი ფახი-ფუხის ხალხისაგან შეთხვლდებოდა, ეს მიმაღული მუშები, ისევე უბრალოდ და დარბაისლურად, როგორც წვიოდნენ, გამოვიდოდნენ ხოლმე და დაიკავებდნენ თავის ადგილს. ისინი ამ დროსაც ჰკავდენ მთვარეს, რომელიც ღრუბლებიდან მედიდურად გამოვა და ცეცხლს, რომელიც ნაცარში მიმაღლდა, ნაწერწყლებლისაგან დაინთება. ასეთი დიდი სიმტკიცე და სურლის სიმძლავრე გამოიჩინა ამ უბრალო მუშების წრემ, როცა ცხრასსუთი



ვლასა მეგლაძე

წლის შემდეგ იმედები სისხლიანმა რეაქციამ შესცვალა. როცა უკანასკნელად დამარცხებული საქართველოს გულში. ჭალარა თბილისში, ბოლშევიზმმა თავისი ცოდვიანი ზაირალი ასწია და აგრეთვე. როცა გამარჯვებული სტალინი სადღესასწაულად თბილისში მოვიდა, ეს მუშები მას დახედნენ სალი კლდის სიმღერით და დაანახვეს, რომ ისინი თავისი სიმართლით და ბრწყინვალეობით დამშვენებულ დამარცხებას არ გასცვიდნენ თავისი ქვეყნის ღალატით და თავისი ხალხის სისხლით მოპოვებულ სიბოროტით და სიმახინჯით წარწყმედილ გამარჯვებაში.

უბრალო, მაგრამ თავის უბრალოებაში სიკეთით და სიღამაზით დამშვენებული თავისი წრის თვისებები გიორგი ერატეს არ შეუცვლია დამფუძნებელი კრების წევრობის და მინისტრობის დროს არც ჩაცმა-დახურვის და თავის გამოჩენის ცდით. ძნელად მოსაგონებელი ეწმაველი ამბობდა — სოციალდემოკრატებმა დამფუძნებელ კრებაში მუხჯი მოიყვანეს და ისიც მინისტრად! დადგა მუშათა სამინისტროს საკითხი და გიორგის არ შეეძლო დამცველად არ გამოუსულიყო. იმავე გრ. ვეშაპელმა პირველმა დიძებმა — მე მუხჯი მეგონა ეს არ ყოფილაო!

თბილისში ამ სახელოვანი მუშების წრიდან აღარავინ დარჩა. კანინს, იუდას და შექსპირის იაგოს შემკვიდრემ, იმ წყევლის ღირსმა, რომლის გამოთქმა მხოლოდ ზაირონს შეეძლო, შხამიანი, გესლიანი გველივით თავაყუღლმა ტურფა საქართველოს მშვენიერ სხეულზე მახინჯ მუწუქებით და პირდაღებულ ქრილობად მოკლენილმა, მოკვლის და სისხლის ღვრის საზიზღარ-

მა ოსტატმა, სტალინმა ისინი მოახვედრა აჯანყებისა იმ წინდაწინ შედგენილ სიებში, რომლითაც ორნი ათასამდე რჩეული და დარჩეული, საუკეთესო, ჰამული-შვილი უწყალოდ გაქვლიტა.

სიზღოროვნება



ამ უწყალოდ განწირულ და სახელოვან მუშებიდან ერთი რაჭველი იყო — დათიკო დვალი. თვითმპყრობელობის დროს ვერ აიცილა და ნებადასურთველი მუშაობისათვის გრძელ ვადიანი კატორღა მიუსაჯეს. მას ცოლად ჰყავდა უბრალო მუშა ქალი, კობჯა, მოხდენილი გოგო, სასიამო მოწინათაო სახით და მომღმირა, ხალისიანი ჩარბებით, მშვენიერი ტანადი, გულლია, პატარა სადა ოჯახის მომხიბლავი მასპინძელი. როცა მისი ქმარი კატორღაში წაიყვანეს, არ აღმოჩნდა ამ ახალ ვაზრდა, ღარიბი მუშა ქალის შეგკავებული დაბრკოლება, გამოიჩინა მის პირობებში განსაკვირვებელი ენერჯია, ვადსარევი მოხერხება და ნებისყოფა და საცხოვრებლად ციმბირში, კატორღულ ქმართან წავიდა.

ეს ღირსეული ცოლ-ქმარი საშობოლოში დააბრუნა რევოლუციამ და კატორღელი დათიკო დვალი იყო უმაგრესი მოდავე ჯალათად შექმნილ-შობილი სტალინის, როცა იგი განმარჯვებული, მის მიერ საწყვლელად ბოლშევიზმის ხელში მიცემულ თბილისში მივიდა. დათიკო დვალი დაბრუნდა; მაგრამ საინტერესო ვახდა მისი ცოლი, ეს უბრალო მუშა დედაკაცი. ამან თავისი ქმარის მუშური ტანსაცმელი ფუთად გააკეთა და არა ერთხელ მოახერხა უცხოელების საწვენებლად მოწვეულ კრებებზე შესვლა და მუშების ვაგენდნიერებაზე ლაპარაკის დროს ფუთაში შეხვეული სამუშაო ტანსაცმელის გამოტანა და ძახილი — „ამის პატრონი, ჩემი ქმარი, მუშა არ იყო? განა ის კატორღაში არ იყო? განა ჩვენ ციმბირში არ ვიყავით? რას ეჩიოდით? რაზე მოკალით ის?“

ეს ქალი არ წუწუნებდა; ლაპარაკობდა მაგრად; არ ტიროდა; ცრემლები ალხათ შიგნით წვეთავდა ნაჯახირევ გულზე.



ორი გმირი რუსის ქალი თავის ქმრებს, რუსეთში თავისუფლების პირველ მოციქულებს, დეკაბრისტებს ვოლკონსკის და ტრუბეცკოის სატორღაში გამოეყვინა. ამ ქალების ღვაწლზე დიდი ლიტერატურა არის შექმნილი და ცოტა არ არის ნაწერი საქართველოშიდც. მატრო ნეკრასოვის შესანიშნავი ლექსი რად ღირს?! მეც იმათი მადიდებელი ვარ, მაგრამ თვითონ მათი და ქმრების მშობლები და ნათესავები რუსეთს ატრიალებდნენ, ჰჭონდნენ სიძლიადრე და როცა ქმრებთან მიემგზავრებოდნენ გზა და გზა ვენერალ გუბერნატორები მოწიწებით ეგებებოდნენ...

საწყალი, უბრალო, სოციალდემოკრატების რიგებში მებრძოლი მშენებელი, ღარიბი მუშა-ქალი, კატორღელი დათიკო დვალის ცოლი, ვინ უწყის, როგორი სიძნელით ამხანაგებში მოგროვილი გზის ხარჯით წავიდეთ ციმბირს ქმართან! ვინ უწყის, რამდენი ხეტიალი, დამცირება და წავლება განიცადა მან ამ წასვლის მოწყობის ვარჯიშში, ტლანქი და ხეპრე რუსი მოხელეებისაგან! ვინ უწყის, როგორ ყველა შემხვედომ რუსის „გაორბადოვის“ შედეგად მისთვის ქიშკის ვაკერა, სანამ იგი საყვარელ ქმართან მიაღწევდა! დასასრულს, ვინ უწყის, სიდიდით მისი ბოღმის, როცა ეს ქმარი უწყალოდ დაუტოვებს და ფუთად გამოკრულ მის მუშურ ტანსაცმელს, გააკეხული, ზოლშევიკების კრებებზე ატარებდა და მას დამწვრთვით უჩვენებდა?!

❖

მე არაფერი არ მიშლის ამ სპეტაკი, მტკიცე, მსხვირპლის წემძლე მუშა-ქალზე ლაპარაკის დროს მოვიგონო არამც თუ კეთილშობილი რუსის ქალები, რომლებიც „დეკაბრისტებს“ გამოეკიდნენ, არამედ ის დიდებული ქართველი ისტორიკოსი ქალიც, რომელიც შაჰ-აბაზს შემპოკილი მიუყვანეს და რომელსაც აცაქი წერეთელის თქმით, გაოცებულმა ზტარხალმა უთხრა —

თავს გვიკვრივი გვიკარებო!

და რას ნიშნავს ფეხთ ბორკილი?

რაზედაც პასუხად მიიღო —

ჩემს სისუსტეს, და თქვენს ძალას,

— ქალი მტკიცედ ეუბნება —

აღბათ ღმერთთან შემეკოდე ვარ,

კურთხეულ არს მისი ნება!

❖

ყველამ იცის, რომ ლასა ყურადღებას იქცევდა და იზიდავდა თავისი გამოსვლებითა და საუბარით არა მარტო საქართველოში, არამედ მის გაზრდაც. აჯანყების შემდეგ ირაკლი წერეთლის სურვილის მიხედვით ლასამ მოხსენება გააკეთა რუსულად თუნალის: „სოციალისტურისკი ვესტნიკის“ მკოდნე და დაკვირვებულ წერეთელს. დამწყობი თუ არა ლაპარაკი ლასამ, იგი ჩქარა გადავიდა ამ დროს განსვენებულ კათოლიკოსსზე და მის მოღვაწეობაზე აჯანყების დროს. რუსებში თითქმის უმრავლესობა ებრაელები იყვნენ და ვიფიქრე, ამითან ქართველ კათოლიკოსზე ლაპარაკი არც ისე მოხერხებული იყო; თითონ რუსები მოხსენებას სულგანაბლად უსმენდნენ და მოხსენების შემდეგ ლასას ვატყობთ მოუფერხნენ და ხელის ჩამორთმევა დაუწყეს. შემდეგ ირაკლი წერეთელმა მიიხრა —

კათოლიკოსზე გრძელი ლაპარაკი გადაჭარბებულად მეჩვენა. მაგრამ რუსებს სწორედ ეს ძალიან მოსწონს!

აღბათ ზოგმა ჩემზე უკეთესად იცის, რეოლოგიის

წინ როგორ ყურადღებას იწვევდა ლასა თავისი რუსული მოხსენებებით ვენევაში, სადაც თავმოყრილი იყო ბოლშევიკ-მმართველის მთავარი ქალები. პლენარისთვის და ლენინის მეთაურობით და ნდერადა საერთო კრებები. ლასა აზრანი კაცი იყო, იცოდა გონიერი მოხსენება; რუსულს ლაპარაკობდა ცუდად და ძნელად, მაგრამ ნახლობდა ყველა საჭირო სიტყვას, ხმარობდა ამ სიტყვებს უცოდინარად, მაგრამ თამამად; არ იკარგებოდა იმათი შინაარსი და თავისებურება გამოთქმისა იწვევდა არა სისუსტეს, არამედ ძალას. ამ მოხსენების მსმენელი რუსები შემდეგ აღარ ივიწყებდნენ ლასას.

ბერლინში მე და ლასა ერთად დავესწარი რუსი სოციალდემოკრატის, მარტოვის გასვენებას. გასვენების მინაწილეთა შორის აღმოჩნდა შეუმჩნეველად შემოსული მაქიმ გოაკი. ნელ-ნელა იწია ლასაკენ და ბოლოს ბუერი ჰკოცნა. ლენინმა საქართველოს დაყრბობისთანავე იკითხა და ლასა და დიდ სისუსტედ ჩათვალა თავის ქართველ მიმდევრებს, რომ ვერ მოაგვარეს მასთან სასურველი დამოკიდებულება.

❖

ლასა იყო ფრიად მოხერხებული კაცი და როგორც ყველაფერში, ამაშიდაც სასიამოდ თავისებური. ციმბირში გადასახლებული ვიყავი და როცა გამოვიქცეოდა და ლენინში მივედი, ასეთი ამბავი დამხვდა: ოსეთის სამხედრო გზაზე ლენინში არის სოფელი ალაპანა. ამ ალაპანაში რაღაც არჩვენების გარშემო თბილისიდან პარტიულ ორგანიზაციას გაუგზავნია ლასა და მიუტყა ერთად ერთი მისამართი. ამ მისამართში აღნიშნული პირი წარსული აღმოჩნდა და ლასა დარჩა ცაიელ-ტარელი! ალაპანაში მდის ვადაფული მიდინარე ლაჯანური, რომელზედაც იყო და აღბათ ახლაც არის ხიდი. ამ მიდინარეში ხეებს მოაკურებენ ხოლმე, უცნაოდ მოვიდა კოკისპირული წვიმა, წყალი აღიდა, ხეები ზიანს ქვევ გაიხლართა, მიდინარე შეუგუბდა, ხიდი უნდა დადარბოის და ყველაფერი წალახო. და ამ ამბავს ხალხი უმწუროდ უყურებს. ლასამ მახლობლად მდებარე გრძელი ბაჟარი გამოართვა; ტანსაცმელი გაიძირა; ბაჟარის ერთი თავი გამოიბრა; მეორე გაჩერებულ ხალხს მისცა და უთხრა: თუ ვირობოდ, გამომიწვითო; თან მიყვირა: — რავა გაჩერებულხართ ყაზახები, ხომ ხედავთ, უპედურება ხდება? — ცურვა კარვად იცოდა, შევიდა წყალში; გაჩხრული ხეები ფიხილით აუშვა; გაჩერებულ მიდინარეს გზა მისცა და მოსალოდნელი უზედურება მოსაო. მაყურებელ ხალხს პირველად უზედურება შეგრეული თურმე ეგონა, მაგრამ როცა ლასა წყლიდან გამოვიდა, ზოგს ხელი მოუჭირა, ზოგს კისერში წაპკრა და ამით აღტაცება გამოიწვია.

ბოლოს იკითხა: სოციალდემოკრატები თუ არის ვინმე თქვენში? უთხრეს: ყველა ვართ! გააკეთა, რაც საჭმე პჭონდა; გამართა ახალი ხელის მოჭრა და კისერ-წაკერა და დასტოვა ყველა მზიარული, მოყვარული და მოხიბლული. მეღელქე, რომელმაც ბაწარი ათხოვა, ყუფილი მენახზირე, შეძლებული, რიგიანი კაცი იყო და სულ მოხოვდა, ლასა იმასთან სტუმრად მიმეყვანა.

✱

ლასას ადვილად შეეძლო ჭჩხის დამორჩილება, ბრბოს აღფრთოვანება და წყევნა. იცოდა ხალხის ბუნება და ახერხებდა თავის ლაპარაკისათვის მიეცა მისთვის გასაგები და სასიამოვნო ფორმა.

გვარდიელები თავის დღესასწაულს იხდინდნენ და მთავარმა შტაბმა საჯარო კრებაზე, თეატრში, ლასას მიანდო სიტყვის თქმა. ლასამ ცოტა ილაპარაკა გვარდიელებზე: შემდეგ თეატრის პატრონული ლექსი წარმოსთქვა და ტაშმა, მოწონების ძახილმა თითქმის შეარყია თეატრი. მეორე დღეს შტაბში შევიარე და იქ გაჯავრებული ამბობდნენ — ლასა მეგლოდეს გვარდიეზე ლაპარაკი დაეავლე და მან კი თავისი ლექსები გაასაღია. ამაზე მე ვიციინოდი და როცა ლასას ეუთხარი ეს, მან სიცილით მიპასუხა: — გელმა ამოუყარა მაგვის საფლაგი! ყველას ჩემზე გრძელი ენა აქვს! რატომ არ ილაპარაკეს! ვის უნდა მაგათი გვარდიი?!

✱

ილია ჭავჭავაძის გასვენებაზე და უნივერსიტეტის გახსნაზე ლასას მიერ წარმოთქმული სიტყვებით გამოწვეული ალტაცება სალაპარაკოდ იყო დარჩენილი. ორივე ამ შემთხვევაზე ზოგი ისეთი ხალხი ლაპარაკობდა, რომ აზროვნების მხრივ ლასას არ შეეძლო იმით დონეზე ასვლა. მაგრამ სამაგიეროდ ლასას შეეძლოდა და ამაღლებდა ის, რომ ყველა იცნობდა მას და წინდაწინ იყო შეყვარებული თავისი სიმართლის, მუშურის დიოსების, მიმზიდველობის და თავისი ფასის სწორად ცოდნის წყალობით.

✱

26 მაისს, ჩენი დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს ლასა მიიძალა და აღარ სჩანდა. ენაზე მხოლოდ გვიან, ნაშუადღევს, ჩემს შეკითხვაზე, თუ სად იყო, მიპასუხა —

მამა-დაეთის ეკლესიაზე ზარს ვრეკავდი; ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, დიმიტრი ყიფიანს თავისუფლება მივულოცე, ბებრმა ქალმა მოიყარა თავი!

ასე მოისახრებდა ხოლმე ლასა რაღაც თავისებურს, მაგრამ მუდამ სასიამოს!

რუსის მწერალს ნეკრასოვს აქვს ერთ ლექსში ადგილი წყალების მშენებებაზე, რომელიც ქართულად მომაქვს —

აზიან ღრო და საუტყუნენი,
როდესაც ბრწყინავს ეკლის გვირგვინი,
ერთად ერთია ის დამამშვენი.
გარკვესელი
გინუნიქიქსა

×

საქართველოს პატრონად გამხდარმა კომუნისტებმა ძველ ბალშევიკებს კარგი ცნებები მისცა და სანამ მათ დაკლავდნენ, ფულფუნებით ცხოვრება დასწყვიტინეს. ლასას გაეგო, რომ ერთი მისი კარგი ნაცნობი, სომხის მუშის არაქელას ბინა მოფენილიყო ძვირფასი ხალიჩებით და ამბობდა —

გელმა ამოუყარა საფლაგი არაქელას, იაროს ახლა ხალიჩაზე!

მე ვეუბრებოდი — არც შენ დაიწუნებ კარგი ხალიჩებით მოართულ ბინას! — ამ ზუმროზაზე ლასა გადაისყამდა მწვენიერ თმაზე კბილებისაგან გვარიანად დაცლილ დიდ საეგრეველს და იტყუადა სასიამოლო ლექსიდან: „რაც უნდა მტანჯონ, მაწამონ, მე არ გაეხდები საპარსელი!“ და დაუმატებდა —

აკაკი ჭირსა და ლხინში შენ ხალხთან უნდა იყო!
იმ ჭკუის, ღირსების და თვისების პატრონს, როგორსაც ლასა ატარებდა, მას ადვილად შეეძლო თავისი პირადული მდგომარეობის მოგვარება, მაგრამ ამის ნაცვლად მთელი ცხოვრების განმავლობაში დადიოდა ისე, როგორც ბიბლიაში ნათქვამი —

მელთა ხერული აქეთ, ფრინველთა სამყოველი, ხოლო ძესა კაცისასა არა სადა თავი შეაფაროს...

ლასას უნდოდა ხალხში ტრიალი, ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლა; ეს სურვილი სკარბობდა ყველა მის სურვილს და ამ ნიადაგზე წყალბება არამც თუ აზინებდა, არამედ ამხნეებდა. მოსწონდა, ძვირად აფასებდა და რადგან მეტი არაფერი ჰქონდა, ფიქრობდა, რომ მის ტანჯვას მისი ხალხი ძღვნიდ და შესაწირავად მიიღებდა.

×

ემიგრანტობაში ლასა შემომიერთდა ბერლინში. მიუხედავად იმისა, რომ იქ საყვარელი ამხანაგების მხრივ ოპოლი არც ვიყავი, მისი ნახვა ძლიერ გამეხარდა და თითქმის ყოველ დღე ერთმანეთს ვხვდებოდით. ჩენი სასაუბრო ადგილი იყო საგანგებოდ გაშენებული და დამშვენებული ვარდების ბაღი, ცნობილ ცხოველთა ბაღის ერთ კუთხეში. ერთი ასეთი საუბარის დროს, პირდაპირ ჩვენსკენ წამოვიდა მაგარი და წნოინი გერმანული პოლიციელი. ამის დანახვაზე ლასა წამოიჭრა და ისეთი ჩქარი ნაბიჯით წავიდა, რომ აქამდე მივიკის, როგორ საეგრო პირად არ მიიღო და არ გააჩერა იგი პოლიციელმა? პოლიციელს ჩენს გრძელ სამუზე დაჯვლამ ეფიქრა, ამის ნება ითხოვა და დაჯდა. როცა ლასასთან მივედი, გაფთვირებულმა მკითხა

— რა უნდოდა იმ ყაძახს?

და როცა გაიგო, დაჯდომის ნება ითხოვო, ვაკვირ-
ვებულმა წამოიძახა —

გელმა (მგელს არ ამბობდა!) ამოუყარა საფლავი!
პოლიცია მუდამ მიჭერდა და მაგი გერმანიაში და-
ჯდომის ნებას მე მთხოვს?!

x

როგორც ყველაფერი სხვა, ლასას ნატვრაც უბრალო
ჰქონდა: მნიშვნელოვანი მოვლენების დროს მამა-და-
ვითზე (მთა-წმიდის ეკლესიაზე) ზაჩს რეკავდა და რო-
ცა გურიაში წავიდოდა, დედასთან მუდამ სათელი მი-
ჰქონდა. და მისი დედა ამ სათელზე ლოცულობდა.

აი, ამას ნატვრად და ამავების შეუძლებლობაზე
დარდობდა იგი ემიგრაციაში. მე მას ვაგონებდი, რო-
გორ უთხრა ბაირონმა თავის სამშობლოს მშვიდობით
და როგორ მედიდურად, სამუდამოდ დასტოვა ინგ-
ლისი და ან კიდევ, როგორ ამბობს ჩვენი ბარათაშვი-
ლი თავის მერანში —

ნუ დაემიარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ სა-
ფლავებს შორის,
ნუ დამიტროოს სატაფომ გულისა, ნულა დამეცეს
სრული მწუხარის

და შემდეგ —

საც დამიღამდეს, იქ გამოთენდეს, მუნ იყოს მიწა ჩე-
მი სამშობლო,

მხოლოდ ვარსკვლავთა თანამავალთა ვამცნო გული-
სა მე საიდუმლო...

— ბარათაშვილი დიდი ყაძახია— იტყვოდა საწყალი
ლასა — მე იმის გამოკიდების თავი სადა მაქვს!

და საფლავის სიცივეში წავიდა ლასა ისე, როგორც
ბრძანა ბარათაშვილმა, მაგრამ მან წაიღო ისეთი სურ-
ვილი, როგორსაც წარმოსთქვამდა ხევსურები —

არ გავეციო სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,
არ გავეციო მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთ-
ხეზედა...

რ. ყიფიანი

ლევლი, 1964 წ.

+ მიხეილ ახმეტელი

(1895 — 1963)

მიხეილ ახმეტელი დაიბადა 1895 წელს; დაასრულა
თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზია 1914 წელს; შე-
მდეგ სწავლობდა ხარკოვის უნივერსიტეტში, ხოლო
რევოლუციის პირველ წლებში აქტიურ მონაწილეო-



ბას იღებდა კახეთის ცხოვრებაში. 1919 წლის დასა-
სრულს იგი ჩარიცხეს უტხოეთს სწავლის გასაგრძელე-
ბელად გასაგზავნ სტუდენტთა შორის და გერმანიაში
1924 წელს დაასრულა სახელმწიფო მეცნიერებათა
დოქტორატი იენის უნივერსიტეტში (დრ. რურ. პოლ.)
1925 წელს იგი შეუდგა სასოფლო-სამეურნეო მეცნი-
ერებათა სწავლას და 1927 წელს იგი დანიშნეს აღმო-
საველეთის შემსწავლელი ინსტიტუტის წევრად ქალაქ
ბრესლაუში, სადაც იგი აღმოსავლეთის აგარულ სა-
კითხებს ამუშავებდა. 1928 წელს მან დაასრულა ამას-
თანვე აგარულ მეცნიერებათა დარგი დრ. ფილ. დო-
ქტორატი და ინსტიტუტში იგი გახდა საციალისტი
სამბუთა რუსეთის სამეურნეო საკითხთა და საერ-
თოდ ბოლშევიზმის პოლიტიკის მკვლევარად. 1934
წლიდან ბრესლაუს უნივერსიტეტში კითხულობდა
ლექციებს რუსეთის შესახებ, მაგრამ მას ამასთანვე
დაეკისრა 1935 წლიდან სახალხო მეურნეობისა და ფი-
ნანსისურ მეცნიერებათა მასწავლებლობა ბრესლაუს
ტექნიკურ უმაღლეს სასწავლებელში. მალე იგი ჯერ
ექსტრაორდინარიუს, ხოლო მერმე ორდინარიუს პრო-
ფესორად დანიშნეს; ამავე დროს გახდა იგი აღმოსავე-
ლეთის შემსწავლელი ინსტიტუტის დირექტორად. შე-
მდეგ იგი იყო ბერლინის უნივერსიტეტში ორდინარიუს
პროფესორად და თავის მეცნიერულ მუშაობას დაუ-
ღალავად განაგრძობდა; ამის შედეგი იყო მისი ხუთი
დიდი წიგნი საბუთთა მეურნეობის შესახებ და მათ შო-
რის უმთავრესი: „აგარული პოლიტიკა საბუთთა კავ-

შირისა და მისი შედეგები“ (303 გვერდი), რომელშიც იგი ამტკიცებდა ბოლშევიკური აგზარული პოლიტიკის აუცილებელ გაკორტებას. მან გამოაქვეყნა მრავალი გამოკვლევა და წერილი გერმანულ სპეციალურ გამოცემებში და ჟურნალ-გაზეთებში, ხოლო ლითონ-გრაფიულად დაბეჭდილ შრომათა რიცხვი სამოკამდე აღწევს.


ყველა თავის შრომაში იგი სწავლობდა და აკრიტიკებდა საბჭოთა მეთუნეობას, როგორც აგრარულ, ისე ინდუსტრიულ დარგში და მისივე თაოსნობით შეიქმნა აღმოსავლეთის შემსწავლელი დიდი ინსტიტუტი ბერლინში, რომელსე იგი თვითონ ხელმძღვანელობდა. ომის დროს ეს მუშაობა მას არ შეუწყვეტია

ომის შემდეგ თუმცა დასწრულეზული, მაგრამ მინც მუშაობის უნარით სავსე, უღროოდ გარდაიცვალა.

მიხეილ ახმეტელი ერთი იმ დიდ ქართველთაგანი იყო, რომელიც უცხოეთში მეცნიერულ მუშაობას ეწეოდა და თავისი კვალიც გაიტანა, ოღონდ ვეღარ მოეწყო იგი თავისი მეცნიერული მოღვაწეობა სამშობლოში გაეგრძელებინა.

მიმედ ავადმყოფი პროფ. მიხეილ ახმეტელი ხშირად ნატრობდა თავის კახეთს და აგონდებოდა ალბათ კახტანგ ორბელიანის მწარე სიტყვები —

აღარ მეღირსა, მშენიერიო ჩემო კახეთო, რომ გომპოროს მითთ შენს შეენებას კვლავ გაღმოვებლო...



სასრულეზლად. მაგრამ მაღე სამხედრო და პოლიტიკურმა გარდატეხამ დაღუღუნა მას თამამი იმეღები საქართველოს დამოუღეღებლობისა და მას მოუჭრა გზა სამშობლოში დაბრუნებისა. იგი სავსებით თავის თავს უნდა დაყრდნობოდა და იძღუღუღული იყო გაეკავა გზა უცხოეთში. ბოლოს მიღღია მან დასარღუღებინა თავისი სწავლა პოლიტიკური ეკონომიის დოქტორატის მიღებით. თითქმის ამავე დროს მას დაავალეს რღუსული ენის კურსი ჰამბურგის უნივერსიტეტში. და რადგან მას აგრეთვე დაკისრებული ჰქონდა ქართული ენის ლექტორატი, მას შეეღლო ამდღუღებული სამსახური გაეწია თავისი ძვირღვასი სამშობლოსათვის. აი აქ დაიბადა გეგმა: მისაწღომი გაეხადა მას დასავლეთ-ევრობიელთათვის ქართული ენა, რომლის ორიგინალური აღნაგობა უკვე დიდი ხანია ინტერესს იწვევდა ზოგად ლინგვისტიკაში და ამით გაეხსნა კარი მდიდარი მწერღობასთან მისასღეღლად, რომელიც შორეულ წარსულამღე აღის. მაგრამ ვაი რომ მისი მასალა და თვით მთელი ბიბლიოთეკაც გამანადღურებელმა ომმა იმსღეღპალა.

ბერლინელი

+ კიტა ჩხენკელი

(1895 — 1963)

ცღერბში, 22 ოქტომბერის საღამოს, გარდაიცვალა ლა 68 წღისა, დოქტორი ჰონორის კაუსა, კიტა ჩხენკელი. უცნაურმა ხვედრმა მოიკვანა იგი აქ საქართველოდან, კავკასიის ფერღობიდან, საღაც იგი დაიბადა 1895 წღს და საღაც მან თავისი ახალგაზრდობა გაატარა, მღკიცე სიყვარული ამ სამშობლოსადმი ლევიღდა მისი მამის სახღში. მისმა უფროსმა ძმამ მნიშვნელოვანი წიღი შეიტანა საქართველოს რესპუბლიკის დამყარებაში 1918 წღს და მამინ კიტა, 23 წღისა, ენთუზიაზმით ჩადგა ახალდ აღორძინებულ სახელმწიფოს სასმსახურში. შემღეგ იგი ამ ახალმა მთავრობამ გამოგზავნა გერმანიაში თავისი განათღების და-

და ასე, ომის დასასრღლის ცოტა წინ, იგი მოიღდა ცღერბში, მეორეჯერ უსახსროდ, მეორეჯერ ემიგრანტად. დაღუღობიღი ენერგიით იგი შეუღდა მეორეჯერ დაეგრეღებინა მასალა თავისი შრომისათვის, და მოეძებნა საზრღელი რღსული გაკეთიღების საშუაღებით. მას გამოუღნდენ დამმზარ ქღლბატრანები, რომელთაც თავისი თავდაღებული აღფროთავანებით შესწირეს მას თავისი მთელი თავისუღალი დრო, და

ამით მან იმას მიადგინა, რომ 1958 წელს გამოცა ორი ტომი „ქართული ენის შესავალი“-სა, გერმანულ ენაზე. 1960 წლიდან იბეჭდება რეგულური ქართულ-გერმანული ლექსიკონისა, რომლის ექვსი წიგნაქ უკვე გამოცემა და შევიდებოდა იგი მუშაობდა სიკვდილის წინ. რადგან მასალა თითქმის დარგოვით იყო, ჩვენ გვეგონია შევიძლია გამოვიქვათ ჩვენი იმედი, რომ ერთ დღეს ეს ლექსიკონი მოთავსებული იქნება.

პირველი ორი შრომა კარგად იყო მიღებული, უფრო მეტი: აღფრთოვანებით დაფასებული ინტერნაციონალურ მეცნიერულ მსოფლიოში. ამ შრომათა დიდი ღირებულება უპირველესად გამოიხატება იმ ფაქტით, რომ ეს შრომები ანგარიშს უწევს ქართული ლინგვისტიკის უკანასკნელ მიღწევებს და იმ ფაქტითაც, რომ ამ შრომების ორიგინალური მიღვამა მატერიალისადმი, ნათელსა ჰყვენს ენის აგებულებას, მის ფორმათა სირთულეს და იოლ გასაგებად ხდის იმ ნაირ-ნაირ მის ნაუნახებს, რაც არის მეტის მეტად მნიშვნელოვანი არა მარტო მათთვის, ვისაც სურს ქართული ენის პრაქტიკულად შესწავლა, არამედ უმთავრესად ლინგვისტიკისათვის.

1961 წელს ცალკეობის უნივერსიტეტის სიტყვა-კაზმული მწერლობის ფაკულტეტმა კიტა ჩხენკელს მიანიჭა ხარისხი „ლოკტორ პონორის კლას“ არა მარტო იმისი სამადლობლოდ, რომ მან გამოიჩინა ხოლოო დამაბლომა ქართული ენის ამომწურავი აღსახვისათვის; ფაკულტეტმა ამით მადლობა გამოუცხადა; პატივი დასდო აგრეთვე ბრწყინვალე მაგალითისათვის: დაუღალავი გულდადებითა, მრავალი მსხვერპლითა და ჭირანახლოებით მან თავისი შრომა შეასრულა.

1960 წლის გაზაფხულიდან კიტა ჩხენკელს დაკისრებული ჰქონდა ცალკეობის უნივერსიტეტში და აგრეთვე ფედერალურ პოლიტექნიკურ სკოლაში რუსული ენის კურსები. მრავალრიცხოვან სტუდენტთა წინაშე მან განავითარა თავისი არაჩვეულებრივი ნიჭი, რაც იყო ცოდნა იმისა, რომ გასაგებად განემარტა რთული და უჭონა ლინგვისტიკური ფაქტები. ამასთან ერთად მას ჰქონდა უნივერსიტეტში ქართული ენის კურსები.

კიტა ჩხენკელს ყოველთვის მაინც თავის აზროვნებაში და მოქმედებაში დაცული ჰქონდა შინაგანი ურთიერთობა თავის ძველ სამშობლოსთან. შეიძლება ითქვას: როდესაც იგი მუშაობდა ბეჯითად, შეუსუსტებელი გამრჯელობითა და დაბრკოლებათა წინაშე უკან დაუხვევლად, იგი მოქმედებდა ვითარცა ქვემარტივი შეილი თავისი ლეგენდარული ქვეყანისა, რომლის მტკბორებანი ანტიკის ხანდაზნვე ცნობილი იყვნენ უღრავი ტიტანური ნებისყოფით და რომელიც არც თავის თავსა ზოგადენდ და არც სხვებს. მაშინ როცა

სხვანი თავიანთ ძალებს შეუბოროკვე ჯიუტობაში ფლანგადენდ, მასში, კიტა ჩხენკელში ყველაფერი უბოქეილი იყო იმ დიდი ამოცანით, რომელსთვისაც იგი მოწოდებული იყო. ეს იყო მისთვის წმინდა აგი ემსახურებოდა მას კეთილშობილური სიწმიდით, რაც ჩვენი დროის კაცთათვის აწი თითქმის შეუძლებელია. მას სწირავდა იგი არა მარტო თავის დროს, თავის სახსარს, თავის ძალებს, არამედ მთელ თავის არსებას („თვით-ობას“ — „ზელსტი“). ამგვარად, არსებითად იყო იგი მეტი, ვიდრე მასწავლებელი, გაცილებით მეტი, ვიდრე მეცნიერი, — იყო განკუთვნილი ასკეტისი და მღვდლისი, — მღვდლისი თავისი დედაენის ტაძარში. ვაჟმა მისმა დასტოვა ეს ტაძარი. ჩვენ კი გვჩნება მოვალეობა მისი შრომის დასრულებას მივხეხნაროთ.

ერნსტ რიშ

ცალკეობის უნივერსიტეტის ორდინარიუს პროფესორი
შედარებითი ენათმეცნიერებისა.

(„ნოე ცალკეობის კაიტუნგ“, სამშაბათისა, 29. 10. 1963 წ. დილის გამოცემა. ნომ. 4395).

სამგლოვიარო წერილები

კიტა ჩხენკელის გარდაცვალების გამო:

პროფ. დრ. შ. ბარტ — ცალკეობის უნივერსიტეტის ფილოსოფიური ფაკულტეტის დეკანი.

პროფ. დრ. შაფტერ — ცალკეობის უნივერსიტეტი.

პროფ. დრ. ბ. ეჟმან — შევიცარიის ტექნიკურ უმაღლეს სასწავლებელთა დოცენტების კომისიის ვიცე-პრეზიდენტი.

დრ. ფ. ენდერლინ — ცალკეობის ქალთა გიმნაზიის ალტერეიტორი.

დრ. ი. ბუმან — პროფ. ცალკეობის კანტონალური გიმნაზიისა.

დრ. ა. ზიგრიხტ — ცალკეობის.

პროფ. გარრიხტ — ბელგიელი აკადემიკოსი, რუვენის უნივერსიტეტის პროფესორი.

დრ. ი. კნობლოხ — ბონნის უნივერსიტეტის პროფესორი.

დრ. ი. იედლიჩკა — პრაგის უნივერსიტეტის პროფესორი.

პროფ. დრ. შ. ფოგტ — ოსლოს უნივერსიტეტის პროფესორი.

დრ. ი. ასფალგ — მუნხენის უნივერსიტეტიდან.

დრ. ფილ. ვ. ცინდალ — აღმოსავლეთი გერმანიიდან.

ნიკო ნაკაშიძე — ქართული საზოგადოების თავ-

მეგლობარე, მელუნენში.

ა. შათირიშვილი — სოფის ქართული საზოგადოების
თავმჯდომარე.

ინფენერ დრ. ირ. გველესიანი — მილანოდან.

თამარ და აკაკი პაპავა — ბუენოს აირესიდან.

პროფ. დრ. ვიორგი ნაკაშიძე — ნიუიორკიდან (მან-
კე მოათავსა ირის ნეკროლოგი: პოლონურ და უკრაი-
ნულ განუთში).

ნოე ცინცადე, ნოზაქიანთ ოჯახი...

და ბრავალი დებეშა თუ წერილი პარიზიდან და სხვა
ქალაქებიდან...

რეგენსიები

დაბეჭდილი სხვა დასხვა სამეცნიერო ჟურნალებში კიტა
ჩვენების შრომათა შესახებ:

1. *Boletín de la Real Sociedad Vascongada de los Amigos del País*. Año XIV, Cuaderno 4, 1958, San Sebastian (Spanien) (K. Bouda).
2. *Revue de Karthvélogie*. N° 30-31, 1958, Paris (M. V. Tseretheli).
3. *Librarium*, Zeitschrift der Schweizerischen Bibliophilen Gesellschaft, Heft II, 1958, Zürich.
4. *Anthropos*, Fasc. 1-2, 1959, Fribourg (Schweiz) (E. Zyhlarz).
5. *Archiv Orientalni*, 27, 1959, Prag (J. Jedlicka).
6. *Asian Review*, Vol. LV, N° 204, 1959, London (W. E.D. Allen).
7. *Journal of the Royal Asiatic Society of Great Britain and Ireland*. Parts 1 et 2, 1959, London (R. H. Stevenson).
8. *Bulletin of the School of Oriental and African Studies*, Vol. XXII, Part 2, 1959, London (D.M. Lang).
9. *La Nation Géorgienne*, Mai-juin 1959, Paris.
10. *Word*, Vol. 15, N° 2, 1959, New York (R. Lafon).
11. *Zeitschrift für Assyriologie*, N. F. 19 (53). Bd. 1959, Berlin (J. Friedrich).
12. *Acta praehistorica*, II, 1959, Buenos Aires (E. Zyhlarz).
13. *Byzantinische Zeitschrift*, 52. Band, Heft 2, 1959, München (J. Assfalg).
14. *Caucasian Review*, N° 8, 1959, Munich (T. Tatlok).
15. *Wiener Zeitschrift für die Kunde des Morgenlandes*, 1960 (J. Knobloch).
16. *Orbis*, Tome IX, N° 1, 1960, Louvain (Belgique) (G. Garitte).
17. *Bulletin de l'Université de Toulouse*, N° 6, 1960 (J. Allières).
18. *Neue Zürcher Zeitung*, 27. April 1961, Nr 1573 (E. Risch).
19. *Bulletin de la Société de Linguistique*, tome 56, 1961, Paris (R. Lafon).
20. *Phonetica*, Vol. 7, 1961 (H. Vogt).
21. *Phonetica*, Internationale Zeitschrift für Phonetik. Vol. 8, 1961 (H. Vogt).
22. *Bulletin of the School of Oriental and African Studies*, Vol. 24, Pt. 2, 1961, London (D.M. Lang).
23. *Bulletin of the Royal Asiatic Society of Great Britain and Ireland*. Parts 3 and 4, 1961, London (R. H. Stevenson).
24. *Anthropos*, Fasc. 3-4, 1961, Fribourg (Schweiz) (E. Zyhlarz).
25. *Archiv Orientalni*, 29, 1961, Prag (J. Jedlicka).
26. *Oriens Christianus*, Bd. 45, 1961, Wiesbaden (J. Molitor).
27. *Neue Zürcher Zeitung*, 28. Septembre 1961, Nr. 3569 (C. Regamey).
28. *Zeitschrift für Ethnologie*, Bd. 85, 2, 1961, Braunschweig (K. H. Schmidt).
29. *Erasmus*, Vol. 14. Col. 28-31, 1961, Darmstadt (H. Quecke).
30. *Bulletin de l'Université de Toulouse*, N° 6, 1961 (J. Allières).
31. *Le Droit du Peuple*, N° 2, 1961, Paris.
32. *Bibbia e Oriente*, 3, 1961, Milano (S. Binda).
33. *Thesaurus*, tomo XVI, N° 1, 1961, Bogota (Columbia) (J. Paramo Pomareda).
34. *Orientalia Christiana Periodica*, Vol. 27, 2, 1961, Rom (J.G.).
35. *Man*, N° 77, 1962, London (A. Gugushvili).
36. *The Modern Language Review*, January 1962, Birmingham (D.M. Lang).
37. *Bulletin de la Société de Linguistique*, tome 57, 1963, Paris (R. Lafon).
38. *Le Muséon*, 75, 1962, Louvain (Belgique) (G. Garitte).
39. *Analecto Bollandiani*, tome 80, 1962 (N. Van Esbroeck).
40. *Indogermanische Forschung*, LXVII, 2, Heft, 1962 (K. H. Schmidt).
41. *Aevum*, Anno XXXVI, Fasc. 5-6, Milano 1962 (Nina Kautschischwill).
42. *Orientalis*, Pontificium Institutum Biblicum, Rom, Vol. 32, Fasc. 3, 1963 (J. P. Smith).
43. *Zeitschrift der Deutschen Morgenländischen Gesellschaft*, Heft 113/2, 1963 (K. H. Schmidt).
44. *Bulletin de la Société de Linguistique*, tome 58, Fasc. 1, Paris, 1963 (R. Lafon).
45. *Ostkirchliche Studien*, 12. Jg. (1963) Heft 4 (Ernst Hammerschmidt).
46. *Language*. Vol. 39, N° 3, Pt. 1, 1963 Yale University. New Haven (Urban T. Holmes).



შოთა ნიკოლაძე

(1899 — 1963)

ძვირფასო შოთა,

ბედის წერა მართლა უტყუდმართია: „ვაჰ, სოფელო რა შიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გვირსა, ყოველი შენი მონდობილი ნიადამცა ჩემებრ სტირსა; საღწაიყვან სადაურსა, საღ აღუფხვრი საღით ძირსა“...

მართლა ცოდვა არ არის შენ, რომ უტყობ მიწას სამუდამოთ ებარებოდე? უღარესათ ქართველი, გულკეთილი, უბრეტენზიო, ყველასათვის კეთილის მდომი შოთა მუდამ ახალგაზრდა სულის და გულის მატარებელი შოთა... იგი იყო იუნკერთა ჟურნალის „მხედარი“ს ერთი ხელმძღვანელთაგანი... მას უყვარდა და ესმოდა ნორჩი თაობის გულის ცემა. მისი ღვაწლი სამშობლოსადმი იყო, რომ აქაურ, უტყობ მიწაზე დაბადებულ თაობისთვის საკუთარი მიწის სიყვარული ჩაენერგა. ნორჩი თაობა მას ეხვეოდა და იზიდავდა, როგორც თავლი ფუტკარს. შოთა ცდილობდა პოპულარული ქართული სიმღერებით მათ გულში გაეღვიძებია მანძილით დაშორებული სამშობლოსადმი ნაპერწკალი სიყვარულისა.

არ არის არც ერთი ბეჭედი პარიზში დაბადებული. რომ შოთასგან შესწავლული „ქრელი პეპელა“ს და „გალიაში რომ გავზარდე“ს არ მღეროდეს.

ძვირფასო შოთა, ელიკო წერეთელი და შენ მე გან-


საკუთრებული ყურადღებით და სიბილით ჩემგრობოდით, რადგანაც ფიზიკურად მამსგავსებდით სიყვარულ ტატას. სწორედ ამ სიბიბომ მიკარნახა ჩემი დაქმერი სიყვარულით მოგიძღვნა ქართული მღვწე, ცერედი და ბალახი დამკნარიჟ მგაზამ ჩვენთვის მუდამ ცოცხალი, ერთი წლის წინეთ მამა ჩემის მამულიდან ჩამოტანილი.

დეე, ეს იყო სიმბოლიური მადლობაც ჩენი სამშობლოდან, რომლის სიყვარულს მისი აქაური ნორჩი თაობის სიმღერით გულში უნერგავდით.

მშვიდობით, ჩემო ძამიჯ, სამარადისო იყო ხსენება შენი...

ლუბა ჩაჩიბაიას ასული აბულშელისა

(სიტყვა წარმოთქმული შოთა ნიკოლაძის დასაუღავეებაზე, ლევილში).



არჩილ ჯურბანიევილი

(1896 — 1964)

არჩილი დაიბადა ქუთაისში; სწავლა მიიღო თბილისის მეხუთე გიმნაზიაში, რომელიც მან ოქროს მედალით დაასრულა 1915 წ. შემდეგ გაემგზავრა იგი მოსკოვს უმაღლესი განათლების მისაღებად ორიდიულ ფაკულტეტზე. აქ იგი მერმე შევიდა საარტილერიო სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ გან-

წესებულ იქნა ბათუმის ბაზახანას ბატარეაში; მერვე იგი გადაიყვანეს „კავკასიის საოლქო ბრეიდა“-ში და კიდევ ვაგზანეს დასავლეთით, გერმანიის ფრონტზე, სადაც მან რევოლუციით მოსწორა; დიდ დაბრკოლებათა გადალახვით, მზავალი დაჭირების გამოვლით, ახალგაზრდა ოფიცერი თბილისის დაბრუნდა. აქ არჩილი დაუყონებლივ ჯარში წავიდა და გენერალ ამირჯვანიას არტილერიაში მსახურობდა, — იქიდან როგორც უცხო ენების მცოდნე „დაკავშირების ოფიცრად“ დანიშნეს ქართულ სამხედრო უწყებაში (რომელს გენერალი ივანე ჯავახიძე განაგებდა).

1919 წლის დასასრულს არჩილი სხვებთან ერთად საქართველოს შიდაკავშირის მთავარ ვაგზანს საფრანგეთის სწავლის გასაგრძელებლად.

მისი ბაბუის, ნიკო ნიკოლაძის რჩევით არჩილი შევიდა გრენობლის ელექტრო-ტექნიკურ ინსტიტუტში, რაც მან 1922 წელს დაასრულა და მსახურობდა პოლიტექნიკის კაშხალის აშენებაზე; ხოლო როდესაც მისი დედამამა პარიზს მოვიდა, იგი მათ შეუერთდა და სამსახურიც დაიწყო „როლს როის“-ის საზოგადოებაში.

1928 წელს არჩილი დაქორწინდა ქალბატონ რეი მიუსო-ზე. დაიჯახებისა და შეილიანობის მიუხედავად, არჩილმა შოთა ნიკოლაძესთან ერთად პარიზში დაარსა ქართული სასპორტო საზოგადოება „შეაოდენი“ და მასზე მუდამ ზრუნავდა. ამასთან ერთად ის მაცადინობა-სწავლის განაგრძობდა „კონსერვატორის ნასონალ დეზარ ე ტეტე“-ში, სადაც მან „მშენებლობის“ და „შრომის მეცნიერული ორგანიზაციის“ დარგში შეისწავლა.

ინჟინერ აბალონ კობახიძესთან ერთად არჩილმა შექმნა „საფრანგეთში მყოფ ქართველ ინჟინერთა და ტექნიკოსთა საზოგადოება“, რომელიც ხშირად მოხსენებს მართადა. ამასთანავე არჩილი განსაკუთრებით ზრუნავდა ქართული ეკლესიისათვის პარიზში.

უკანასკნელად არჩილი იყო დიდი ელექტრო-ქიმიური საზოგადოების ტექნიკო-კომერსიული დირექტორი და მას ხშირად უხდებოდა უცხოეთის მგზავრობა.

ასეთი იყო არჩილი ზურაბშვილის ცხოვრება გააგნულად და მისი დაუღალავი მოღვაწეობა. და ამგვარი მოღვაწე, ჯერ დიდი უნართა და ენერჯიით აღსავსე ადამიანი მოულოდნელად სიკვდილმა მოგვტაცა. ადამიანი კი არა, — კაცი! ადამიანი, ანუ ადამის შთამომავალი ყველა არის. არჩილი, როგორც ყველა, იყო ადამიანი. მაგრამ კაცი, ან სიტყვის სრული გაგებით.

დიდად კითხილი იყო არჩილი, — ოღონდ არც თუ ოდენ არს რიცხვი განათლებულ ადამიანთა!

დიდად კითხილი იყო არჩილი, — ოღონდ არც თუ

კოტანი არიან კეთილნი ამ ბედკრულ ქვეყანაზე/ მეთის მტად თავმდაბალი იყო არჩილი, — ეს დიდი ღირსება ბევრს არ გააჩნია, გარნა ასეთი ღირსების ქართველსაც გაიცნობთ!

მეგობრობისა და ამხანაგობის განსახიერება იყო არჩილი, — ბევრი თუ არა, მცირე რაოდენობით მაინც მოიპოვება ამაირი ხალხიც!

ქვეიანი დივიჯი, დარბაისელი, ჩუმი და წყნარი იყო არჩილი (ანუ როგორც მე ვუწოდებდი: „ჩემი ბუნჯი-ლა არჩილი!), — ბევრ ასეთ პიროვნებას ვერ შეგვხვდებით და ვერ გაიცნობთ!

გაქირებულნი სხვისი დამხმარე და ხელისამყრობელი იყო არჩილი, — მოიპოვებთან ასეთნი სხვანიც, იქნებ მრავალ!

ღმრთისმოსავი და ღრმა მორწმუნე იყო არჩილი, — არა გარეგნულად, გარნა შინაგანად, — იქნებ წაწყვდეთ ვინმეს ამგვარს ჩვენს ურწმუნო ხანაში!

ქართული ისტორიისა და ლიტერატურის დიდი მოყვარული და მცოდნეც იყო არჩილი, — სხვებსაც ნახავთ ამგვარს.

შესანიშნავი მცოდნე იყო უცხო ენათა არჩილი, მაგრამ არავინ ისე არ იყენებდა ამ ენათა ცოდნას ქართული საქმისათვის, როგორც არჩილი; იგი იყო უანგარო და დაუღალავი მთარგმნელი და არა ერთი და ორი მის მიერ მთარგმნილი დაბეჭდილია უცხო ენებზე. აღსანიშნავია ისიც, რომ ირაკლი წერეთელმა არჩილი თავის მთარგმნელად წაიყვანა, როდესაც იგი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრ კერზონს შეხვდა!

ქართულ საქმეზე მზრუნველი და მისი მოამაგე იყო არჩილი; არა ერთ ყრილობაზე, თუ კრებაზე გამოსულა არჩილი ქართულ უფლებათა დასაცავად, — სხვასაც ბევრს ნახავთ ასეთს!

თავისი ძვირფასი და შეხმატკილებული მეუღლის, ქალბატონ რეის და მთელი ოჯახის დიდი მოყვარული იყო არჩილი, რომელმაც თავის ორ შვილს უშვალესი სწავლა მიაღებინა, — ასეთი მამა არა ერთი და ორი!

ყველა აქ ჩამოთვლილი მაშალდი ღირსებისა და ბრწყინვალე თვისების პატრონი იყო არჩილი, ოღონდ ამით არ ამოიწურება მისი პიროვნების ბუნება.

ყოველივე ეს იყო არჩილი, მაგრამ მას ზედმიწევნით შეეფუტება ის ბრძნული თქმა, რომელიც ქართველ ხალხს გამოუქვდაც მრავალსაუკუნოვან მანძილზე: „კაცური კაცი“!

აი სწორედ, ეს არ არის ჩვეულებრივი მოვლენა და ამით განსაკუთრებით აღინიშნება არჩილი ზურაბშვილის ბუნების აღმატებულება, მისი უშვალესი ღირსება და მტკიცე ღირებულება, რაც მის სიცოცხლეს წაბრანდს ანიჭებდა!

აი, ასეთი კაცური კაცის სიცოცხლე მოულოდნელად შესწყდა! ასეთი ცხოვრება აღმოიფხვრა!

რაოდენ საგოდებელია ეს! რაოდენ სავალალო!

მეგობარი

მიმართვა პართიველოზისადმი

ღიღი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც ქართულ ემიგრაციაში ლიტერატურული კრებული „ძამპასნიონი“ს გამოცემა შესწყდა (დაიბეჭდა რვა წიგნი) და ამით უცხოეთს გარდახვეწილ ქართველობას მოაყვდა ის სულიერი საზრდო, რომელიც განვითარებული საზოგადოების კულტურულ მოთხოვნილებათათვის აუცილებელია.

ქართული ემიგრაცია არის ეროვნული და ამიტომ ეროვნულკულტურულ ფორტზედაც დგომას საჭიროებს იგი.

„ძამპასნიონი“ ფართო ადგილს დაეთმობს პოეზიას, პროზას, ისტორიას, კულტურის სხვა და სხვა საკითხს და რაც მთავარ ამოცანად მიიჩნია, იმ ძვირფას მასალას, რომელიც უბატრონობის გამო ზოგი უკვე დაკარგულია და ბევრს უეჭველი დაღუპვა მოელოს; ეს არის ქართველ მოღვაწეთა და მებრძოლთა მოგონება, მემორიები — ჩვენი ისტორიის დაუფასებელი განძი —

ჩვენ, ჯერ კიდევ ცოცხლებს, გვეკისრება ეს ფასი დაუღებელი მასალა ჩვენს ისტორიას შემოვუნახოთ და დაუფუკვიდროთ.

თქვენ დაუზმარებლად, პატივცემულო მამულიშვილო, „ძამპასნიონ“ს არ შეეძლება ნივთიერად ამ სანუკვარი ამოცანის შესრულება. ამიტომ „ძამპასნიონი“ უმორჩილესად გთხოვს თქვენ, მას ამ საქმეში შეძლებისამებრი დახმარება გასწვიოთ: ერთდროული შემოწვირულებით და ექრანალის განოწვიოთ.

თვითებულმა ჰეშმარიტმა ქართველმა თავი უნდა დააბეგროს ამ საქმისათვის — ეს არის კეთილი მოვალეობის აღსრულება პირადლ თავისი თავისა და ისტორიის წინაშეც, რათა მომავალ თაობათა როგმა ჩვენ არ შეგვატყვიანოს...

ვიკტორ ნოზაძე

სიხარულისა და აღტკინების არა ერთი და რორი წერილი მივიღე კრებულ „ძამპასნიონი“ს გამოცემა-ლებისა და აღდგომის გამო. აქ ვითამყვან: მხოლოდ ბნალექსანდრე შათირიშვილის ბარათს —

ძვირფასო ვიქტორ!

ძალიან მესიამოვნა შენი განზრახვა „აკეკასიონი“ განახლების შესახებ: ეს ძალიან დიდი კულტურული საქმე იქნება; ამას შენს გარდა ვერავინ მოახერხებდა და ამდენად შენი დამსახურება უცხოეთში მცხოვრებ ქართველების და, რიკოშეტირ, მთელი ქართველი ერის მიმართ, დიდი იქნება: ერთი — „აკეკასიონში“ შეიძლება დაიბეჭდოს წერილები, რომლებიც საქართველოში მზის სინათლეს ვერ ნახავდენ; მეორე — ემიგრაციაში არიან ქართველები, რომლებსაც რაღაც სათქმელი აქვთ, მაგრამ ასპარუზის უქონლობის გამო ვერაფერს ამბობენ; შენ მათ თქმის საშუალებას მისცემ; მესამე — ბევრისთვის სერიოზული გამოცემის არსებობა საბანი იქნება იმისთვის, რომ მიგდებულნი ინტელექტუალი მუსაობა, ემიგრანტულ პირობებში უაზრობად მიჩნეული, ისევე განაახლონ და თავიანთი უნარი საბოლოო დაკარგვას გადაარჩინონ; მეოთხე — სერიოზული გამოცემა კვალს დასტოვებს და უცხოეთში მცხოვრებ ქართველების ღირსებას მომავალ თაობათა თვალში ასწევს; ისინი იტყვიან: „ემიგრანტი ქართველები ცხოვრების მიძიმე პირობებშიაც კი ინტელექტუალურ შრომასაც ეწეოდნენ“.

„ძამპასნიონი“ს შენ მიერ გამოცემა მით უფრო აღანინწვავია, რომ პირადლ შენ იგი არ გქირდება; თუ შენ მისთვის გაირჯები, დროს დაკარგავ; შენ ძალღონეს შესწირავ, ეს იქნება შენი ზრუნვა სხვებისათვის, მოყვასისათვის, თანამემამულეთათვის, შეძლებას მოკლებულთა და სუსტთათვის.

გითელი გულითად სულამს და ჩემს აღტაცებას შენი დაუღალავი, ღირებულ კულტურული მუშაობისათვის. იყავ კარგად!

შენი ა. შათირიშვილი

1. 12. 63.

✱



ჩვენ, არგენტინაში მცხოვრები ახალგაზრდა ქართველობა და ჩვენი ნაცნობ-მეგობრები, რომელ საქართველოს და ქართული კულტურის სიყვარული და პატივისცემა ავთ, ვავეცანით თურნალ „კავკასიონი“-ს მიმართვის მკითხველთადმი და იქედან შევიტყვეო, რომ განზრახულია გაწახლება „კავკასიონი“-ს მორიგ წიგნთა გამოცემისა.

წიგნით რა, რომ „კავკასიონი“, რომელმაც პარიზში რვა წიგნი გამოცა, თავის დროზე ქართული ემიგრაციის მწერალთა საუკეთესო ნაწილს უყრიდა თავს და უტყუოთვი განაგრძობდა თავისუფალი აზრით და კალმით ეროვნული კულტურის უანგარო სამსახურს, — ჩვენ ყველა დიდი კმაყოფილებით ვეგებებით და ვაუწყებთ, რომ მზადა ვართ ჩვენი მცირედი შესაძლებლობით ამ გამოცემის წარმატებას მხარში ამოუდგეთ და „კავკასიონის“ გაგრძელების და ვაგრცელების საქმეში ჩვენი მორალური და მატერიალური წვლილიც შევიტანოთ. ამასთან თავს ნებას ვაძლევათ: გამოვთქვათ იმედი, რომ სხვა ქვეყნებში მყოფი ქართულ ემიგრაციის ახალი თაობა თავის ზრუნვას და დახმარებას არ მოაკლებს ამ წმინდა მამულიშვილურ საქმეს.

ნინო ჭეიშვილის ასული,
 ტორფა-მარიამ ჭეიშვილის ასული, ნოდარი,
 გულნარა ჭეიშვილის ასული,
 თეო ჯაფარიძის ასული,
 დეარ ნაკაშიძის ასული, ესკუდერო,
 გივი ჯაფარიძე,
 ამალია გარილიოვი,
 ელიზაბეტ მენდრეკი,
 ბეტი ბერტოლა,
 ელუარ ნოდარი,
 ოსმარ ვილიონე,
 გური პატარბალიშვილი,
 ზაურ აბუთიძე,
 სალომე ჭეიშვილის ასული,
 მაყვალა ჭეიშვილის ასული,
 თორე გუკარ.

არგენტინიდან, ახალგაზრდებისაგან 100



„კავკასიონი“-ს მისამართი —

Dr. VICTOR NOSADZE

26, RUE LACRETELLE - PARIS-XV*

„კავკასიონი“-ს გამოსაცემად, ფონდით თუ პირადად, მიიღეს ბ-ნმა გ. წერეთელმა და ვ. ნოზაძემ შემდეგი შემოწიქლება —

ახალი ფრანკი

კოტე სუჯუნაშვილი	250
გ. ზოდელი	250
სოზოს ქართული საზოგადოების გამგეობა	200
ინდიკო პაპაშვილი	200
მ. დიანა	176
გ. ყიფიანი	150
თ. ა. პაპავა	120
ექიმი ილია ბაღდადიძე	120
მარიამ ლოდობერიძის ასული	100
გ. წერეთელი	100
ვ. წილოსანი	100
საფრანგეთში მყოფ ქართველთა ასოციაციის გამგეობა	100
ფედერალურ გერმანიაში მყოფ ქართველთა საზოგადოების გამგეობა	100
ნ. ცინცაძე	100
ექიმი გ. კორძაბია	100
ალ. კინწურიშვილი	100
ლ. ზურაბიშვილი	100
ალ. ფანჩულიძე	100
შალვა კალანდაძე	100
ვიქტორ ზომერიკი	100
დ. ჭიმერიძე	80
დ. ტორიჯაძე	62
ალ. ნაკაძე	50
მედვა ლამაზიძის ასული ნიკოლაძისა	50
პაველ ვაშაძე	50
ვალ. გაჩეჩილაძე	50

გ. დალიანი	50
კ. გამსახურდია	50
კ. ინასარიძე	50
დ. ურატაძე	50
აკაკი ასათიანი	50
ექიმი ან. ყორყოლიანი	50
დრ. მარკ ტულუში	50
ქრისტ. იმნაიშვილი	50
ეოდე-მდივანი	50
ირ. ჯაფარიძე	50
გ. ვაჩნაძე	50
რ. ყიფიანი	50
ვალ	50
ალ. მელიავა	50
გ. კობახიძე	50
გ. გოგელაშვილი	50
ირ. ოთხმეზური	50
პროფ. შ. ბერიძე	40
დ. ქვარიანი	30
მ. ხუნდაძე	30
გ. ბერეკაშვილი	30
რ. გაბაშვილი	30
მ. ცაგარელი	30
ე. უგრეხელიძე	25
ვრ. ლომაძე	20
ე. ტულუში	20
ელ. მაყაშვილი	20
გ. აკოფაშვილი	10
ალ. გამყრელიძე	10
ირ. მჭედლიშვილი	10

ახლახან გარდაცვალებულის ჩემი საყვარელი დედის ხსოვნისათვის „კვკასიონს“ მივუძღვნი 500 ანალ ფრანკს.
პატივისცემით აკაკი შავგულიძე



მიძღვნა	4
გიორგი ყიფიანი — დამწებლობა	5
ტიციან ტაბიძე — გრიგოლ რომაქიძეს	6
ი. გრიშაშვილი — სონეტი რომაქიძეს	6
გიორგი ყიფიანი — გრიგოლ რომაქიძეს	6
გიორგი გამყრელიძე — გრიგოლ რომაქიძეს	6
დავით სალირაშვილი — გრ. რომაქიძე თბილისში	7
დ. ქიქოძე — მწუხრი	7
გიორგი გამყრელიძე — ებიტაფია	8
გრიგოლ რომაქიძის წერილი ირ. აბაშიძისადმი	9
გრიგოლ რომაქიძის ლექსები და წერილები	16
აკაკი პაპავა — მკირე უწყება გრ. რომაქიძისათვის	20
გიორგი ყიფიანი — ისევ ქუთაისი	31
ვ. ნოზაძე — გახსენებით	32
პროკოფი აბულაძე — გადაარჩენილი ფურცლები	33
ეგვტიხ აბულაძე — სტეფანე კასრაძის ხსოვნას	34
სტეფანე კასრაძე — ბაჯაღო	34
გიორგი ყიფიანი — საქართველოდან. ერთი მარცვალი. საიდან ხარ	43
გიორგი გამყრელიძე — ამერიკას	63
შოთა აბაშიძე — როკვა ქართული	63
ირ. ოთხმეზური — ტექსტის ძმთა სასაფლაოზე	69
ევ. აბულაძე — ლექსი	69
რაე — საიათნოვას ყიდაზე	69
გიორგი კორძახია — ზოგი რამ ვაეაფშავეღის მსოფლმხედველობის გამო	70
ბ. ბებურიშვილი — არ დაებრუნდები	73
თამარ და აკაკი პაპავა — ერთი ძველი „ფარდის“ გაწო	74
ექვთიმე თაყაიშვილი — „ფარდის“ გამო	76
ვებტანე ჯობაძე — კვლევა-ძიება წარსულის აღსადგენად	76
ქიბური — ციკლიდან: „მაისის ზარები“	78
გიორგი ქართველი — შვი კვლევები	79
რალფი — სერგია ერისთავის ხსოვნას	80
თამარ გოგოლაშვილის ასული პაპავასი — ერთი ცნობა ქართველ ოჯახთა განქულობიდან	81
რობერტ ფროსტ — სილის ბორცვები (თარგმანი გიორგი გამყრელიძისა)	87
რაე — ნათელი და ჩრდილი	87
ნიკო ნაკაშიძე — კომპოზიტორ ალ. ბოროდინის წარმოშობისათვის	88
ე. ციციშვილი — წმიდა ნინო — წმ. კრეტინე	88
გიორგი ნოზაძე — ივერიელთა მონასტერი ათონზე	91
გივი შაირელი — ლექსები	109

გარდასრულ ეპოთა ამბავნი და საქმენი	110
ნიკოლოზ ყიფიანი — მეტიკირული	111
ნიკოლოზ ყიფიანის წერილი	111
გიორგი დეკანოზიშვილის დღიური (წინასწარი შენიშვნა)	112
ანდრო დეკანოზი — გ. დეკანოზიშვილი	113
გიორგი დეკანოზიშვილი — დღიური	114
განხილვანი წიგნთა —	131
რ. ვაბაშვილი — მკირე შენიშვნა	131
ალ. მანველიშვილი — გრ. ავაშელის „ლაშარელა“	132
მიმომხილველი — დ. საღიზაშვილის „ფიქრთა და მოგონებათა რვეული“	138
მიმომხილველი — პოლიკარბე დგებუაძის „ტყვეობაში“ —	139
მიმომხილველი — ალექსანდრე შათირიშვილის „ერის რაობა და მშობლიური გრძნობა“	139
მიმომხილველი — „დი აპოსტოლინ ნინო“	140
მიმომხილველი — ისიდორე მანწყავას „ქართული კულტურის გზები“	140
ვ. ნოზაძე — ივანე ზურაბიშვილის „კარგ ქართველთა ხსოვნისათვის“	142
ვ. ნ. — აკაკი პაპავას „მოწამეთობა“	143
მკითხველი — ვ. გოგუაძის „მოგონებანი“	144
მკითხველი — „ზედი ქართლისა“	145
არჩილ ზურაბიშვილი — ვ. ნოზაძის „ვეფხისტყაოსანის ღმრთისმეტყველება“	146
ბ. ვარდანი — რაქდენ არსენიძის „განხილვა მეფე ვახტანგ მეექვსის კანონმდებლობისა“	147
მიხ. ქავთარაძე — გიორგი გამყრელიძის „ლექსები. მოთხრობები და ნარკვევები ფრინველებზე“	152
სამგლოვიარო ფურცელი —	153
რ. ყიფიანი — ელასა მგელაძის მოსაგონებლად	153
ბერლინელი — მიხეილ ახმეტელი	158
ერნსტ რიშ — კიტა ჩხენკელი	159
ლუბა ჩაჩიბაიას ასული აბდუშელისა — შოთა ნიკოლაძე	162
მეგობარი — არჩილ ზურაბიშვილი	162
„კავკასიონის“ გამოცემისათვის —	164
ვიკტორ ნოზაძე — მიმართვა ქართველობისადმი	164
ალ. შათირიშვილი — „კავკასიონის“ გამოცემის გამო	164
ახალგაზრდებისაგან — „კავკასიონის“ ს. რედაქციას	165
შემოწირულებანი „კავკასიონის“-სათვის	165

ვიკტორ ნოზაძის რუსთველოლოგიური ნარკვევები:

ვეფხისტყაოსანისფერთამეტყველება. ბუენოს აირეს 1953 წ. 208 გვერდი.

ვეფხისტყაოსანის ვარსკვლავთმეტყველება. სანტაგო დე ჩილე. 1957 წ. 264 გვერდი.

ვეფხისტყაოსანის მზისმეტყველება. სანტაგო დე ჩილე. 1957 წ. 224 გვერდი.

ვეფხისტყაოსანის საზოგადოებათმეტყველება. სანტაგო დე ჩილე. 1958 წ. 312 გვერდი.

ვეფხისტყაოსანის ღმრთისმეტყველება. პარიზი, 1963 წ. 560 გვერდი.

